საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ალექსანდრე კანკაძე, ჯემალ კანკაძე,
მურმან ბლიაძე, მზია მოისწრაფიშვილი,
ჯონი შანიძე, ანა წულაია,
ცირა ელგენდერაშვილი

# ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი

## I ნაწილი

## ა – მ

თბილისი
2022 წ.

ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი I-II შეიცავს 7500 ტერმინს მასში ფართოდ არის მოცემული ეკონომიკური, იურიდიული, მექანიკური, ტექნოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა სიტყვათა განმარტებები.

ლექსიკონი დახმარებას გაუწევს როგორც მეცნიერ-ეკონომისტებს, ბიზნესმენებს ისე პრაქტიკოსებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს, ბაკალავრებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

„ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ წარმოადგენს ავტორთა სოლიდურ ნაშრომს. იგი აკრეფილია კვალიფიციურად და არ მოიძებნება უზუსტობანი.

„ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონის“ ავტორები იმედოვნებენ, რომ ნაშრომი აღიარებული იქნება მომხმარებლების მხრიდან და სიამოვნებით მიიღებენ კორექტიულ მითითებებს შემდგომ გამოცემაში გასათვალისწინებლად.


სამეცნიერო რედაქტორები:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის
დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი

**გოდერძი ტყეშელაშვილი**

ამავე დეპარტამენტის პროფესორები

**ნოდარ დუმბაძე, იოსებ ამანათაშვილი**

რეცენზენტები: 1. საქ. ტექნ. უნივერსიტეტის ტრანსპორტისა
და მანქანათმშენებლობის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი: **ინგა გიგაური**

2. საქ. ტექნ. უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და
ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორი
**ლალი ბოჭორიშვილი**

3. საქ. ტექნ. უნივერსიტეტის ბიზნეს
ტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის
ადმინისტრირების დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი **ნანა ნადარეიშვილი**



წიგნი განხილულია, მოწონებულია და რეკომენდებულია დასაბეჭდად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის დეპარტამენტის სხდომაზე 08.06.2021 წ. ოქმი № 6.

კომპიუტერული უზრუნველყოფა ეთერ ზარიძის

პოლიგრაფიული ცენტრი „ბარტონი“
ISBN 978-9941-9769-3-3

## ა

**აბრეშუმის გზა** – ტრანსკონტინენტური სავაჭრო საქარავნო გზა, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის საუკუნეში გადიოდა საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველო წარმოადგენდა სასაზღვრო ზოლს ევროპასა და აზიას შორის. იგი იყო და არის ამ ორი კონტინენტის სახელმწიფოთა დამაკავშირებელი ხიდი. „XX საუკუნის აბრეშუმის გზად“ მონათლულია ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი.

**აბსენტეიზმი** – თანამშრომლის არასანქცირებული არყოფნა სამუშაოს ადგილზე.

**აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი** – ფულადი თანხების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან.

**აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი** –– გაიანგარიშება როგორც ფულადი და მასთან გათანაბრებული სახსრების შეფარდება მოკლევადიან დავალიანებასთან. იგი ასახავს საწარმოს მიმდინარე ვალდებულებების წილს, რომელიც აქტივების ყველაზე უფრო ლიკვიდური ნაწილის ფულადი სახსრების ხარჯზე შეიძლება დაიფაროს.

**აბსოლუტური რენტა** – არის ზედმეტი პროდუქტის ნაწილი, რასაც მიწის მესაკუთრენი ითვისებენ მიწაზე კერძო საკუთრების მონოპოლიის ძალით.

**აბსოლუტური უპირატესობა** – (absolute advantage) ქვეყნის უნარი აწარმოოს მეტი საქონელი ვიდრე სხვა ქვეყანა აწარმოებს რესურსების იგივე მოცულობისას.

**აბსოლუტური უპირატესობა** – ისეთი უპირატესობა, როცა ერთი სუბიექტის მიერ წარმოებული პროდუქტის წარმოება სხვა სუბიექტებს არ შეუძლიათ, ან შეუძლიათ მცირეოდენობით, არაეფექტიანად.

**აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი** – გამოითვლება საწარმოს ბუღალტრული ბალანსით, წლის ბოლოს არსებული ფულადი თანხების შეფარდებით მიმდინარე

ვალდებულებებთან. თავის მხრივ, ფულადი თანხების სიდიდე ფულის ბრუნვის სიჩქარეზეა დამოკიდებული, რაზეც გავლენას პროდუქტის რეალიზაციის ხანგრძლივობა ახდენს.

**აბსოლუტური მაჩვენებლები** – ეკონომიკური მოვლენებისა და მათი შედეგების რაოდენობის ანუ მოცულობის მახასიათებელი.

**აგენტ-დელკრედერე** – ისეთი აგენტია, რომელიც კისრულობს მის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობით გამოწვეული პრინციპალის ნებისმიერ დანაკარგის ანაზღაურებას.

**აგენტები შესყიდვის** – სამრეწველო დანიშნულების საქონელზე.

**აგენტი** – (ლათ. Agentis-მოქმედი) 1. იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც სხვა პიროვნების (პატრონის ან პრინციპალის) დავალებით მოქმედებს. გენერალური აგენტი თავისი პარტნიორის ექსკლუზიური სრულუფლებიანი საქმის მწარმოებელია. სპეციალური აგენტი მხოლოდ გარკვეულ ვიწრო მოქმედებებს აწარმოებს და შედეგებზეც, გენერალური აგენტისგან განსხვავებით, მხოლოდ თვითონ აგებს პასუხს; 2. აგენტი, შუამავალი, რწმუნებული, წარმომადგენელი; 3. შუამავალი, რომელიც ვაჭრობს იმ საგნებით, რაც თვითონ გააჩნია.

**აგენტი** – ბითუმად მოვაჭრე, რომელიც მყიდველი და გამყიდველის წარმოადგენს შედარებით მუდმივად. ის ასრულებს მხოლოდ მცირე რაოდენობის ფუნქციას და არ იღებს თავის თავზე საქონელზე საკუთრების უფლებას.

**აგენტი** – პიროვნება, რომელიც სხვისი დავალებით, მოქმედებს: რწმუნებული, წარმომადგენელი, კომერციული შუამავალი, ბროკერი, ლიდერი, მაკლერი. ვაჭრობაში ასრულებს შუალედურ მოქმედებას ან სარეკლამო სამუშაოს. მრეწველობაში ეწევა მომსახურებას პროდუქციის რეალიზაციის დაწყებაში. აგენტის შრომა როგორც წესი, შესრულებული სამუშაოს ან საკომისიო ანარიცხებით ანაზღაურდება.

**აგენტი შესყიდვების** – სამრეწველო დანიშნულების საქონელზე პროფესიულად მომზადებული მყიდველები.

**აგორა** – თანამედროვე ბაზრების წინამორბედი ძველ საბერძნეთში მსხვილ ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებში მოედანი, სადაც საჯარო ვაჭრობა იმართებოდა.

**აგრეგირება** – (aggregation) (ლათ. Aggregatus შეერთება) ერთგვაროვანი მაჩვენებლების (სიდიდეების) გაერთიანება, გამსხვილება უფრო განზოგადებული ერთობლივ მაჩვენებლად (სიდიდედ).

**აგრესიული ფასიანი ქაღალდები** – ფასიანი ქაღალდები, რომლებზედაც მოსალოდნელია კურსის აწევა და რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალის სწრაფ ზრდას.

**აგროსამრეწველო კომპლექსი** – სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დარგებისა და საწარმოების ჩამოყალიბებული ერთიანი სისტემა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სტაბილური, გრძელვადიანი საწარმოო და კომერციული ურთიერთობებით მოიცავენ წარმოების საშუალებათა წარმოებას სოფლის მეურნეობის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობისათვის, დაცვა-შენახვის, ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და მზა პროდუქტის გასაღებისთვის.

**ადამიანთშორის ურთიერთობათა ზოგადი კანონზომიერებები** - პროფესიული საქმიანობის პროცესში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ადამიანთშორის ურთიერთობათა თავისებურებების განმსაზღვრელი კანონზომიერებანი. ადამიანთშორის ურთიერთობათა თავისებურებები არის ობიექტურად არსებული მოვლენების მნიშვნელოვანი კავშირები, რომლებიც წარმოიშობიან პიროვნებათშორის ურთიერთობებში და მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ მის ხასიათზე.

**ადამიანის განვითარების ინდექსი** – (human development index – HDI) მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: მოსახლეობის ერთ

სულზე მშპ-ის წარმოების ინდექსი, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი, მოსახლეობის განათლების დონის ინდექსი. მათი შეჯიბრებით გამოიყენება საშუალო მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს მოცემული ქვეყნის რეიტინგს ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით. აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად: 1. მაღალი ინდექსის მქონე; 2. საშუალო ინდექსის მქონე და 3. დაბალი ინდექსის მქონე ქვეყნებად. 2009 წელს გამოკვლეული 182 სახელმწიფოდან ძალზე მაღალი დონისაა 38, მაღალი დონის – 45, საშუალო დონის 75, ხოლო დაბალი დონის 24 ქვეყანა. საქართველო HDI-ის მიხედვით საშუალო რეიტინგის მქონე სახელმწიფოთა ჯგუფს განეკუთვნება და უჭირავს 89-ე ადგილი.

**ადამიანის რწმენა** – მყარი წარმოდგენა მოვლენაზე. პროცესზე ან ადამიანებზე. რწმენა გამოუმუშავდება ინდივიდუალური გამოცდილებისა და ინფორმაციის გზით. ხშირად რწმენა ადამიანებს უვითარდება სხვადასხვა ადამიანების მსჯელობათა გავლენით, ამიტომ რწმენა ხშირად არ შეესაბამება რეალურ სინამდვილეს.

**ადამიანის ფიზიკურ – თავისებურებებთან ერთად** - მნიშვნელოვანია მისი **ეროვნული-კულტურული** საზოგადოებისა და ადამიანის განვითარების ისტორიული განსაზღვრის დონე, რომელიც გამოიხატება ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის ორგანიზაციის ტიპებსა და ფორმებში, მათ მიერ შექმნილ მატერიალურ და სულიერ ფასეულებებში.

**ადამიანის ქცევის ფუძემდებლური საფუძველებ**ი: – **მოტივაცია, აღქმა, საკრიტერიუმო (შეფასებითი) საფუძველი.**

**ადამიანისეული კაპიტალი** - (human capital) ინტელექტუალური კაპიტალი, რომელიც გამოხატავს ადამიანის პროფესიულ დონეს, მის განათლებას, კვალიფიკაციას, ცოდნას და გამოცდილებას, რაც უფრო მაღალია ხარისხი, მით უფრო მაღალია შრომის მწარმოებლურობა. ადამიანისეულ კაპიტალს ქმნის ინვესტიციები ადამიანისეულ რესურსებში,

რომლის მიზანია თვით ადამიანის, მისი ინტელექტუალური პოტენციალის, შემოქმედებითი უნარის განვითარების საფუძველზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ასეთი ინვესტირების მიზანშეწონილობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მეტია შემოსავლები დანახარჯებზე და დაცულია თუ არა სტანდარტული საინვესტიციო კრიტერიუმები. ზოგიერთი ეკონომისტის, მაგალითად ჯ. კენდრიკის აზრით ადამიანისეული კაპიტალის ღირებულება უნდა შევიდეს, ერთობლივი აქტივების ღირებულებასა და საზოგადოების ეროვნულ სიმდიდრეში.

**ადამიანური კაპიტალი** – სამუშაო ძალა, შრომის უნარი რომელიც მოიცავს ცოდნის და გამოცდილების, კვალიფიკაციისა და საზოგადოებრივად ყოველმხრივ განვითარების უნარებს.

**ადამიანური რესურსები** – კომპანიის ისეთი მნიშვნელოვანი რესურსებია, როგორიცაა ფინანსები. ფინანსური სახსრების საფუძვლიანი ანალიზის გარეშე შეუძლებელია სტრატეგიული გადაწყვეტილების გატარება, იგივე შეიძლება ითქვას კომპანიაში მომუშავე ადამიანების მიმართ.

**ადამიანური რესურსები მართვის** – (მენეჯმენტის) ინგლისური ფილოსოფია ემყარება ერის ტრადიციული ფასეულობებისა და ადამიანური ურთიერთობათა თეორიას. იგი ითვალისწინებს მომუშავის პიროვნების პატივისცემას, გულწრფელ კეთილმოსურნეობას, მომუშავეთა მოტივაციას და მიღწევების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, კვალიფიკაციის სისტემურ ამაღლებას, ღირსეულ ანაზღაურების გარანტიას.

**ადამიანური რესურსების აუდიტი** – 1. ადამიანური რესურსების აუდიტის განხორციელებისთვის საჭირო მეთოდებს ზოგადად ყოფენ სამ ჯგუფად:

1. ეკონომიკური მეთოდები – მათი საშუალებით ხდება ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება დადგენილ ნორმებთან და ნორმატივებთან ან ამ სფეროში საშუალო და საკუთარი ანალოგიურ მაჩვენებლებთან. ეს

კი საშუალებას იძლევა, შეფასდეს: ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სამსახურების ეფექტიანობა; კომპანიის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.

2. ორგანიზაციულ-ანალიტიკური – იგი გულისხმობს დოკუმენტაციის და ანგარიშგების შემოწმებას, ადამიანური რესურსების საქმიანობის შედეგიანობის შესახებ შრომითი მაჩვენებლების ანალიზს, როგორიცაა: სამუშაო ძალის და დროის გამოყენება, შრომის ხარისხი, შრომის მწარმოებლურობა, შრომის ანაზღაურება და ა.შ.
3. სოციალურ-ფსიქოლოგიური – მასში იგულისხმება დამოუკიდებელი სოციოლოგიური გამოკითხვების ჩატარება, გასაუბრება, ანკეტირება, ინტერვიუების ჩატარება.

**ადამიანური რესურსების აუდიტი** – 2. ეს არის ორგანიზაციის რიცხოვნების, უნარის, სტრუქტურის და სხვა ასპექტების გამოკვლევა. აუდიტის საშუალებით მოწმდება ადამიანური რესურსების უნარი, თუ როგორ შეძლებენ არჩეული სტრატეგიის რეალიზებას.

**ადამიანური რესურსების აუდიტი**-ს პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფორმაციის ძირითად წყაროებს მიეკუთვნება: შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი კანონები, ორგანიზაციის დოკუმენტაცია და ანგარიშგება, თანამდებობრივი ინსტრუქციები დასაქმებულთა ანკეტირებისა და მათთან ინტერვიუების შედეგები და ა.შ.

**ადამიანური რესურსების აუდიტი** – 3. განისაზღვრება, როგორც მომუშავეთა საქმიანობის ანალიზური შეფასებისა და ექსპერტიზის ერთიანი სისტემა. იგი მოიცავს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ყველა ასპექტს.

**ადამიანური რესურსების აუდიტის განხორციელება** – დაფუძნებულია ისეთ პრინციპებზე, როგორიცაა: პროფესიონალიზმი, დამოუკიდებლობა, საიმედობა, პატიოსნება, ობიექტურობა, კანონმდებლობასთან შესაბამისობა. ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

1. დასაქმებულთა დაქირავების შეფასება;

2. საკადრო პოტენციალის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების შეფასება;
3. საკადრო პროცესებისა და მართვის პროცედურათა დიაგნოსტიკა, მათი ეფექტურობის შეფასება.

**ადამიანური რესურსების კორპორაციული ჯგუფები** – ფოკუსირებულია ტიპ მენეჯმენტის დახმარებაზე და უზრუნველყოფს ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა, მაგალითად, კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის განვითარება.

**ადამიანური რესურსების ლოკალური ერთეულები** – ესენია სპეციალისტები, რომლებიც, ისე როგორც ადამიანური რესურსების უნივერსალური მენეჯერები, წარმართავენ ადგილობრივი წარმოების ან გაყიდვების განყოფილების ადამიანური რესურსების მენეჯმენტს.

**ადამიანური რესურსების მართვა** – (მენეჯმენტი) იაპონური ფილოსოფია აგებულია უფროსისადმი პატივისცემის, კოლექტივიზმის, საყოველთაო თანხმობის თავაზიანობისა და პატერნალიზმის ტრადიციებზე. აქ უპირატესად მოქმედებაშია ადამიანურ ურთიერთობათა თეორია. პერსონალის მართვის იაპონური ფილოსოფიისათვის დამახასიათებელია ფირმის იდეალებისადმი ერთგულება, მსხვილ კომპანიებში მომუშავეთა მუდმივი დაქირავება, პერსონალის მუდმივი როტაცია, ეფექტიანი კოლექტიური შრომისათვის პირობების შექმნა.

**ადამიანური რესურსების მართვა** – (მენეჯმეტი) ამერიკული ფილოსოფია ემყარება კონკურენციის ტრადიციებისა და კომპანიების (ორგანიზაციების, საწარმოების) მოგებაზე მკაფიოდ ორიენტირებული მომუშავეთა ინდივიდუალიზმის წახალისებას. მისთვის დამახასიათებელია მიზნებისა და ამოცანების მკაფიოდ დასმა, პერსონალის შრომის ანაზღაურების მაღალი დონე, სამომხმარებლო ფასეულობათა წახალისება, დემოკრატიის მაღალი დონე, მაღალი სოციალური გარანტიები.

**ადამიანური რესურსების მართვა** – რეალური მონაცემების საფუძველზე – ადამიანური რესურსების მართვის დროს ყოველთვის იბადება კითხვები: „რამდენად პროდუქტიული იქნება ახალი დასაქმებულები თუ შევიმუშავებთ ახალ ტრენინგის პროგრამას?“, „კონკურენტებთან შედარებით რამდენად პროდუქტიულია ჩვენი ადამიანური რესურსები გუნდი თითოეულ თანამშრომელზე?“ და ა.შ. ასეთი მონაცემების შეგროვება უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვას რეალური სიტუაციის მიხედვით. ადამიანური რესურსების მართვა რეალური მონაცემების საფუძველზე არის ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის, მეცნიერული კვლევის, კრიტიკული შეფასებისა და ძიება სწავლების გამოყენება ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მიზნების, გადაწყვეტილებების, პრაქტიკისა და დასკვნების განსახორციელებლად.

**ადამიანური რესურსების მართვაში** – ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია საქმიანი კარიერის მართვას. იგი იწყება პიროვნების ინტერესების, მიდრეკილებების, შესაძლებლობებისა და ჩვევების განსაზღვრით. თითოეული პიროვნების კარიერა შედგება ზრდის, ძიების, ფორმირების, აქტიურობის და დაცემის სტადიებისგან:

1. **ზრდის სტადია** – იწყება ადამიანის დაბადებიდან და გრძელდება 14-15 წლის ასაკამდე. მოცემულ დროში ინდივიდი სხვა ადამიანებთან ურთიერთობითა და სწავლით შეიმუშავებს საკუთარ კონცეფციას და საზოგადოებას ევლინება როგორც პიროვნება. ყოველდღე ეს ხდება ოჯახთან. ნათესავებთან, მეგობრებთან და მასწავლებლებთან. მოცემულ პერიოდში ბავშვები ითვისებენ ქცევის წესებს და სერიოზულად იწყებენ ფიქრს საქმიანობის სხვადასხვა სახეზე.

**ძიების სტადია** – იწყება 14-15 წლის ასაკიდან და გრძელდება 24-25 წლის ასაკამდე. მოცემულ პერიოდში პიროვნება, საკუთარი ინტერესებისა და უნარის გათვალისწინებით, სერიოზულად ეძებს სხვადასხვა პროფესიულ

ალტერნატივას. ამ სტადიაზე დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების მიერ საკუთარი უნარის, ნიჭისა და ინტერესების სწორ შეფასებას.

3. **ფორმირების სტადია** – იწყება 24-25 წლის ასაკიდან დ გრძელდება 44-45 წლამდე. იგი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძირითადი სტადიაა. ამ პერიოდში უმრავლესობა მუშაობს არჩეული სპეციალობით და იმკვიდრებს საკუთარ ადგილს საზოგადოებაში. ეს სტადია შედგება სამი ქვესტადიისგან: ა. **გამოცდის სტადია** – მოიცავს ფორმირების სტადიის პირველ 5 წელს. ამ პერიოდში ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, იმუშაოს თუ არა არჩეული სპეციალობით. **ბ. სტაბილიზაციის სტადია** - მოიცავს ფორმირების სტადიის მომდევნო 10 წელიწადს. გ. კარიერის კრიზისის სტადია – მოიცავს ფორმირების სტადიის დაახლოებით ბოლო 5 წელიწადს.
4. **შენარჩუნების სტადია** – იწყება სიცოცხლის დაახლოებით 44-46 წლიდან და გრძელდება 65 წლამდე. მოცემულ პერიოდში ადამიანს, როგორც წესი, მოპოვებული აქვს თავისი ადგილი საზოგადოებასა და პროფესიულ საქმიანობაში. ამ პერიოდში დიდი ყურადღება გადატანილია მიღწეულის შენარჩუნებაზე.
5. **აქტიურობის შემცირების სტადია** – მომდევნო ეტაპი, როდესაც მცირდება ადამიანის ენერგია. ის იძულებული ხდება შეეგუოს ძალაუფლების შემცირებას, გადავიდეს შედარებით ნაკლებ-საპასუხისმგებლო სამუშაოზე. აქტიურობის შემცირების სტადიისას მაღალკვალიფიციური მუშაკები ხშირ შემთხვევაში გვევლინებიან სხვადასხვა რანგის მრჩევლების როლებში.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტი** – არის მმართველობითი პროცესი, რომელიც ორგანიზაციაში მაღალი შედეგების მისაღებად უზრუნველყოფს დასაქმებულთ მოზიდვას, ტრენინგს, განვითარებას, დაწინაურებას, შრომის ანაზღაურებას, ასევე შრომით ურთიერთობებს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოების დაცვას.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტი** – ეყრდნობა, აგრეთვე, მისთვის დამახასიათებელ განსაზღვრულ პრინციპებს. პრინციპებში იგულისხმება პერსონალის მართვის პროცესში ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისათვის სამოქმედოდ განსაზღვრული ძირითადი წესები, დებულებები და ნორმები. ისინი გამოხატავენ ობიექტურად არსებული ეკონომიკური კანონებისა და კანონზომიერებათა მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პრინციპებიც, თავის მხრივ ობიექტური ხასიათისაა.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტი** – როგორც მეცნიერება, არსებობს თეორიული და გამოყენებით დონეზე. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მიზანია ფუნქციური და სხვა ურთიერთკავშირებისა და მათ შორის კანონზომიერებათა დადგენის გზით ახალი ცოდნის მიღება, ტიპიური ორგანიზაციული ორგანიზაციების პროგნოზირება. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი გამოყენებით დონეზე დაკავებულია ისეთი საკითხებით, როგორიცაა: რეალური წარმოებრივი სიტუაციების ცვლილება და განახლება, მომუშავეთა გამოყენებისას ეფექტიანობის ამაღლებისათვის კონკრეტული მოდელების, პროექტებისა და წინადადებების დამუშავება. ადამიანური რესურსების მენეჯმენტში, თეორია გვევლინება კონკრეტული ანალიზისა და დაპროექტების მეთოდოლოგიურ საფუძვლად, ხოლო გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევების მონაცემები ჰიპოთეზის აგებისა და თეორიის განვითარების ბაზად.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის** – სისტემის აგების ძირითადი მეთოდებია სისტემური ანალიზი; ეკონომიკური ანალიზი; დეკომპოზიციის მეთოდი (რთული მოვლენების მარტივ მოვლენებად დანაწევრება); თანამდებობრივი ჩანაცვლების; შედარების; დინამიკური; ექსპერტულ-ანალიტიკური; ნორმატიული; ფუნქციურ-ღირებულებითი; საბალანსო; ანალოგიის; შემოქმედებითი თათბირები; კოლექტიური ბლოკნოტი (იდეების „ბანკის“) და სხვა.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის** – ფილოსოფიაში იგულისხმება მისი (ადამიანური მენეჯმენტის) არსის წარმოშობისა და მეცნიერებებთან კავშირის ფილოსოფიური გაგება.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის** – ძირითადი კანონზომიერებებია:

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სისტემის შესაბამისობა წარმოებრივი სისტემის განვითარების თავისებურებებთან,** მდგომარეობასა და ტენდენციებთან. ამ კანონზომიერების არსი წარმოების მოთხოვნებთან ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სისტემის შესაბამისობაა.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სისტემური ფორმირება.** მისი არსი ისეთი შესაძლებელი ურთიერთკავშირების გათვალისწინების აუცილებლობაშია, როგორიცაა: პერსონალის მართვის სისტემის შიგნით ურთიერთკავშირები. მისი ქვესისტემებისა და პერსონალის მართვის სისტემის მთლიანობაში ორგანიზაციის მართვის სისტემას შორის, წარმოებრივ სისტემასა და გარესამყაროს შორის.

**ადამიანური რესურსების მენჯმენტის სისტემის ელემენტების და ქვესისტემების ერთობლიობის პროპორციული შეხამება.** ერთი რომელიმე ქვესისტემის ან ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სისტემის ელემენტების სრულყოფამ შეიძლება გამოიწვიოს მართვის მთლიანი სისტემის დისპროპორცია. ამიტომ აუცილებელია პროპორციულად განვავითაროთ ყველა ქვესისტემა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სისტემის ელემენტები.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სისტემის აუცილებელი სხვადასხვაგვარობა (მრავალფეროვნება**). აქედან გამომდინარე, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სისტემა უნდა იყოს წარმოებრივი სისტემის იდენტური. რთული წარმოებრივ სისტემას (და საერთოდ, მართვის რთულ სისტემას) აუცილებელია შექმნას პერსონალის მართვის რთული სისტემა და არა მარტივი.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ფუნქციათა შემადგენლობისა და შინაარსის ცვლილება.** იგი გულისხმობს, რომ წარმოების განვითარებასთან ერთად, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ზოგიერთი ფუნქციის მნიშვნელობა იზრდება, ზოგიერთის კი მცირდება. ამასთან ერთად, იცვლება მათი შინაარსი.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფეხურით რაოდენობის მინიმიზაცია.** იგი გულისხმობს, რომ რაც უფრო ნაკლებია მართვის დონეთა ოდენობა, მით უფრო ეფექტიანად მუშაობს იგი.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის კანონზომიერებათა მოქმედების ერთიანობა.** მისი არსი ისაა, რომ ზემოაღნიშნული კანონზომიერებანი ურთიერთზემოქმედებს, გავლენას ახდენს ერთმანეთზე და წარმოშობს ინტეგრირებულ ძალას.

1. **ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შეხამება.** ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ცენტრალიზაციის დონე დამოკიდებულია წარმოების განვითარებისა და მისი ორგანიზაციის დონეზე.
2. **წარმოებისა და მართვის პროპორციულობა.** იგი გულისხმობს, რომ ცვლილებებს წარმოების განვითარებაში თან უნდა ახლდეს ცვლილებები პერსონალის მართვაში.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის კონცეფცია** – ამ კონცეფციაში იგულისხმება ადამიანური რესურსების მენეჯმენტის არსის გაგებასა და განსაზღვრაზე, შინაარსზე, მიზნებზე, ამოცანებზე, კრიტერიუმებზე, პრინციპებსა და მეთოდებზე თეორიულ-მეთოდოლოგიურ შეხედულებათა სისტემა. იგი მოიცავს, აგრეთვე, ორგანიზაციის ფუნქციონირების კონკრეტულ პირობებში მისი რეალიზაციის მექანიზმის ფორმირების ორგანიზაციულ-პრაქტიკულ მიდგომებს.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის კონცეფციის საფუძველი** – მომუშავის პიროვნების მზარდი როლი, მისი

მოტივაციური განწყობილებათა ცოდნა, მათი ფორმირებისა და მათთვის ორგანიზაციის წინაშე მდგომი ამოცანების შესაბამისი მიმართულებების მიცემის უნარი.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მეთოდოლოგია** – პერსონალი, როგორც მართვის ობიექტი; ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მეთოდებისა და პრინციპების შესაბამის ინდივიდთა ქცევის ფორმირების პროცესი.

**ადამიანთა რესურსების მენეჯმენტის სისტემა** – პერსონალის მართვის მიზნების ფუნქციებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებას. იგი მოიცავს, აგრეთვე, მმართველობით გადაწყვეტილებათა დასაბუთების, დამუშავების, მიღებისა და რეალიზაციის პროცესში ხელმძღვანელობის და სპეციალისტების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფუნქციური ურთიერთკავშირების ფორმირება.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სუბიექტები** – ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ფუნქციებს ახორციელებენ მისი სუბიექტები. ესენია ამ საქმიანობით დაკავებული თანამდებობრივი პირები. პერსონალის მართვის სუბიექტებია, აგრეთვე, პერსონალის სამსახურები, (კადრების განყოფილებები), შრომითი კოლექტივების ორგანოები და საბჭოები, შრომითი კოლექტივების წევრთა საერთო კრებები, ხარისხის ჯგუფები, პროფკავშირები, ქალთა ორგანიზაციები, რაციონალიზატორთა და ვეტერანთა ორგანიზაციები.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ტექნოლოგია** –დაქირავება, შერჩევა, პერსონალის საქმიანი შეფასება, პროფორიენტაცია და ადაპტაცია, სწავლება, საქმიანი კარიერისა და სამსახურებრივ-პროფესიონალური დაწინაურების, შრომის მოტივაციისა და ორგანიზაციის, კონფლიქტებისა და სტრესების მართვის, ორგანიზაციის სოციალური განვითარების უზრუნველყოფის, პერსონალის გამოთავისუფლებისა და სხვათა ორგანიზაცია. ადამიანური რესურსების მართვის ტექნოლოგიაში შედის ისეთი

საკითხები, როგორიცაა: ორგანიზაციის ხელმძღვანელთან კავშირურთიერთობა პროფკავშირებთან, დასაქმების სამსახურებთან და სხვა.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ძირითადი პრინციპებია** – მეცნიერება, გეგმიანობა, განკარგულების ერთიანობა, კადრების შეკრება, შერჩევა და განლაგება, ერთმმართველობისა და კოლექტივიზაციის შეხამება, ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია, ფუნქციური და მიზნობრივი მართვა, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი და სხვა. ამერიკულ და იაპონურ კორპორაციებში ფართოდ იყენებენ პერსონალის მართვის ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: მუდმივი დაქირავება, ნდობაზე დამყარებული დავალებათა შესრულების კონტროლი, გადაწყვეტილებათა კონსესუსის წერით მიღება (გადაწყვეტილების მიღება მომუშავეთა უმეტესობის თანხმობით) და სხვა.

**ადამიანური რესურსების მენეჯმენტს** – უშუალო კავშირი აქვს ბევრ სხვა მეცნიერულ თეორიასთან, ასეთებია: პოლიტოლოგიური თეორიების ის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სოციალური ორგანიზაციის პირველ დონეზე მართვის პრობლემებს; კონფლიქტოლოგიის ის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ორგანიზაციაში კონფლიქტებს; ერგონომიკას, შრომის ფიზიოლოგიას, შრომის ფსიქოლოგიას, შრომის სოციოლოგიას, შრომის ტექნოლოგიას, რომის პედაგოგიკას, შრომის მედიცინას და ა.შ.

**ადამიანური რესურსების სერთიფიკაცია** – გასაკვირი არ არის, რომ ადამიანური რესურსების მენეჯერებზე მოთხოვნის ზრდასთან იზრდება მოთხოვნა ადამიანური რესურსების მენეჯერების პროფესინალიზმზეც. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში შექმნილია სასერთიფიკაციო ინსტიტუტი, რომელიც სთავაზობს გამოცდებს ადამიანური რესურსების მენეჯერებს. გამოცდა მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის ყველა ასპექტს: ეთიკა, მენეჯმენტის პრაქტიკა, პერსონალის განვითარება, კომპენსაცია, საქმიანი ურთიერთობა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. ის

ვინც ჩააბარებს ამ გამოცდებს წარმატებით მიიღებს ადამიანური რესურსების პროფესიონალური მენეჯერის სერთიფიკატს, ასევე ადამიანური რესურსების გლობალური პროფესიონალური უფროსი მენეჯერის სერთიფიკატს. მენეჯერებს შეუძლიათ გაიარონ შეფასებითი გამოცდები ინტერნეტში ვებ-გვერდზე www.hrcg.org.

**ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა** – ნიშნავს ადამიანური რესურსების კანონების და პრაქტიკის ფორმულირება-რეალიზაციას, რომელიც განსაზღვრავს დასაქმებულის კომპეტენციებსა და ქცევას, რაც კომპანიას თავისი მიზნების მიღწევისათვის სჭირდება. გარდა ცოდნისა და გამოცდილებისა და მოტივაციისა, ადამიანური რესურსების გეგმა მოიცავს იმის დეტალურ აღწერას, თუ რა სახის გამოცდილება და ცოდნა ან ტესტი სჭირდება დასაქმებულს აღნიშნული სამუშაო ადგილის დასაკავებლად. ადამიანური რესურსების სტრატეგიული გეგმა საშუალებას აძლევს კომპანიას შეარჩიოს კადრები, რომელიც სჭირდება მიზნების მისაღწევად.

**ადამიანური რესურსების ტრანსაქციური ჯგუფები** – იყენებენ კომპანიის გარეთ არსებული ცენტრალიზებული ცენტრების ინფორმაციასა და სხვა გარე წინადადებებს (როგორიცაა კონსულტანტების რჩევები) და უზრუნველყოფენ კომპანიის დამსაქმებლების სპეციალიზებულ დახმარებას (მაგალითად, როგორიცაა შემწეობის გეგმების შეცვლა და პერსონალის შეფასების განახლებული ფორმების შექმნა).

**ადამიანში თავის თავისადმი/სხვა ადამიანისადმი/ გარემოსადმი/ მოვლენებისადმი/ საგნებისადმი წარმოშობილი მყარი და ხანგრძლივი ემოციები** – არის გრძნობა. გრძნობაზე ზემოქმედების საშუალებით შეიძლება ადამიანთა ქცევის განსაზღვრული მიმართულებით მართვა.

**ადაპტაცია** – 1. პირველადი – პროფესიული საქმიანობის ახალგაზრდა თანამშრომელთა შეგუება ორგანიზაციასთან (კოლექტივთან). 2. მეორადი – პროფესიული საქმიანობის გამოცდილების მქონე პირთა შეგუება ორგნიზაციასთან

(კოლექტივთან). პირველადი ადაპტაცია, როგორც წესი, ეხება სხვადასხვა დონის სასწავლებელდამთავრებულებს, ხოლო მეორადი – საქმიანობის ან თავისი პროფესიული როლის შემცვლელ მუშაკებს. შრომის ბაზრის ფუნქციონირების პირობებში მეორადი ადაპტაციის როლი იზრდება.

**ადაპტაცია** – სისტემის უნარი, გარდაქმნას თავისი სტრუქტურა ან ქცევა გარემოს გარეშე ზემოქმედების ცვლილების საპასუხოდ, ამასთან შეინარჩუნოს მისი ფუნქციონირების ზოგიერთი მაჩვენებლის მნიშვნელობა.

**ადაპტაციის ლაგი** – (adaptation Lag) – დროის პერიოდი, ცვლილებების შესახებ სიგნალის მიღების მომენტიდან ადაპტაციის დაწყებამდე.

**ადაპტური სტრუქტურა** – ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც იძლევა გარემოს ცვლილებებზე მოქნილი რეაგირების საშუალებას, რითაც იგი პრინციპულად განსხვავდება მექანისტური (ან ბიუროკრატიული) სტრუქტურისაგან. მას ორგანული სტრუქტურასაც უწოდებენ.

**ადგილები** – (გეოგრაფიული ტერიტორიები) ტურისტების მიზიდვისა და საწამოო სტრუქტურების განლაგებისათვის აქტიურად იბრძვიან ქალაქები, რეგიონები და სახელმწიფოები. გეოგრაფიული ტერიტორიების ბაზრების სუბიექტებად გვევლინებიან ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალისტები და მენეჯერები, კომერციული ბანკები, ადგილობრივი ბიზნეს ასოციაციები, სარეკლამო სამსახურები და სხვ.

**ადგილების დაჯავშნის კომპიუტერული სისტემა** – საშუალებას იძლევა შიდა და საერთაშორისო რეისებზე დაჯავშნოს ადგილები. სისტემის მეშვეობით დაჯავშნა პასუხის მიღების საშუალო სისწრაფეა 2-3 წამი.

**ადგილის მარკეტინგი** – საქმიანობა, გაწეული იმ მიზნით, რომ შექმნას, მხარი დაუჭიროს ან შეცვალოს დამოკიდებულება ან საქციელი კონკრეტული ადგილის მიმართ.

**ადგილის ხელსაყრელობა** – საქონლის განთავსება ისეთ ადგილებში, რომლებიც ხელმისაწვდომია კლიენტისათვის.

**ადგილობრივი ბიუჯეტები** – წარმოების საბოლოო შემოსავლების მოსახლეობამდე დაყვანის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. ამ ბიუჯეტიდან ფინანსდება, უპირატესად, სოციალური სფერო (სკოლები, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური და სხვა ობიექტები), აგრეთვე, საწარმოო სფეროს ობიექტები.

**ადგილობრივი ბიუჯეტი** – (local budget) დროის პერიოდი, ცვლილების შესახებ სიგნალის მიღების მომენტიდან ადაპტაციის დაწყებამდე.

**ადგილობრივი ბიუჯეტი** – ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ, მუნიციპალური წარმოქმნის ბიუჯეტი, რომელსაც ადგენენ, ამტკიცებენ და ასრულებენ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები.

**ადეკვატური** – (ლათ) რაც სავსებით შეესაბამება, შეესატყვისება რასმე თარგმანი, გამოხმაურება არალიმიტირებული საბანკო პროდუქტი ისეთი პროდუქტია, რომლის მოცულობა (რაოდენობა) არავითარ ქვოტებში არაა შეზღუდული.

**ადეკვატური** – შემოსავლების ჯგუფი საბანკო საქმიანობის ძირითადი სახეობებიდან მიღებული ხარისხობრივად უფრო მაღალი (განასხვავებენ საპროცენტო და არასაპროცენტო, სასესხო, საკომისიო – საშუამავლო და სავაჭრო, რესურსტევად და ა.შ.).

**ადეკვატური ლიკვიდობა** – ბანკს გააჩნია, თუ მას შეუძლია სწრაფად და მისაღებ ფასებში, აქტივების კონცენტრაცია ან ვალდებულებების გაზრდის საშუალებით, მოითხოვოს აუცილებელი სახსრები. ბანკს უნდა ქონდეს საკმარისი ლიკვიდობა, რათა მან შეძლოს უზრუნველყოს თავის ბალანსში ყველა მოულოდნელი ცვლილება და მოიპოვოს განვითარებისათვის აუცილებელი სახსრები.

**ადვალორემი** – საბაჟო გადასახდელი, რომელიც საქონლის ღირებულების გარკვეული პროცენტის სახით ამოიღება.

**ადვალორემი** – (ad valorem)(ლათ.ad valerem-ღირებულების მიხედვით) ძვირფასი ტვირთის გადაზიდვისათვის გადა-

სახადების გამოთვლის ან საქონლის ფასიდან პროცენტებში საბაჟო გადასახადის გაანგარიშების მეთოდი.

**ადმინისტრატორი** – ბანკის სამეთვალყურეო დირექტორატის (გამგეობის) ან სარეზერვო კომისიის წევრი, აგრეთვე პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან ერთ ან მეტ პირთან ერთად უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები ბანკის სახელით.

**ადმინისტრატორი** – მას უნარი შესწევს სიახლის დანერგვის სტადიაზე ორგანიზაცია გაუკეთოს ამ პროცესის მკაცრ კონტროლს. „ადმინისტრატორს“ „ლიდერისაგან“ განსხვავებით შეუძლია შეაფასოს მომუშავის არა ინოვაციური პოტენციალი, არამედ კოლექტივის მუშაობის ორგანიზაცია.

**ადმინისტრაცია** - უზრუნველყოფს განსაზღვრული ლოგისტიკური ამოცანების შესრულების ორგანიზაციას.

**ადმინისტრაციული აქტი** – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გაკოტრების გამოცხადების თაობაზე ადმინისტრაციული აქტების გამოქვეყნებისთანავე სათანადო ღონისძიებების ამოქმედება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.

**ადმინისტრაციული გადაცდომის ობიექტი** – საგადასახადო სფეროში (რაზედაც არის მიმართული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა) წარმოადგენს გადასახადების დადგენილი წესი და გადამხდელებისა და სხვა პირობის მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულება.

**ადმინისტრაციული დეპოზიტები** – დეპოზიტური ოპერაციებია, რომლებიც იწვევენ დეპო-ანგარიშების, ანკეტების, აგრეთვე დეპოზიტარეუმის სხვა კართოტეკებისა და ჟურნალების შემცველობის ცვლილებას, გარდა პირად დეპო ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების ნაშთებისა.

**ადმინისტრაციული ლაგი** – (administrative lag) დროის მონაკვეთი ადმინისტრაციის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან მისი აღსრულების დაწყებამდე; ლაგის ერთ-ერთი

სახეობა, რომელიც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ფულად საკრედიტო პოლიტიკაზე. ამ დროის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ხელისუფლების ეფექტიანობაზე და მის სწრაფ რეაგირებაზე ან იშვიათ, მაგრამ უფრო რადიკალურ ცვლილებებზე.

**ადმინისტრაციული ოპერაციები** – ადმინისტრაციულია ის დეპოზიტური ოპერაციებია, რომლებიც იწვევენ დეპო-ანგარიშების ანკეტების, აგრეთვე, დეპოზიტარიუმის სხვა კარტოთეკებისა და ჟურნალების შემცველობის ცვლილებას, გარდა პირად დეპო-ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების ნაშთებისა.

**ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა** – წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ სახელმწიფო იძულების ღონისძიებას, რომელიც დგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში და მდგომარეობს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების (თანამდებობის პირების მიერ სამართალდამრღვევი პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებაში.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის** – სუბიექტურ მხარეს შეადგენენ გადაცდომის ჩადენის მომენტში სამართალდამრღვევის შედგენაში მიმდინარე ფსიქიკური პროცესები, რომლებშიც დაკავშირებულია მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან და მის შედეგებთან.

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის** – შემადგენლობის ობიექტურ მხარეს კანომდებლობით დადგენილი ნიშნები შეადგენენ, რომლებიც ახასიათებენ გადაცემის გარეგან მხარეს, მის შედეგს.

**ადმინისტრაციული ფასი** – (administrative price) ფასი, რომელიც დგინდება ფიზიკური ან იურიდიული პირების გადაწყვეტილებებით და არ არის საბაზრო ძალების ობიექტური თამაშის შედეგი. ადმინისტრაციული ფასის დადგენა შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელს ყიდის მონოპოლისტი ან სახელმწიფო ორგანო. საპირისპიროა მოქნილი ფასი.

**ადმინისტრაციულია დეპოზიტური ანგარიშები** – რომლებიც გულისხმობენ დეპო-ანგარიშების ანკეტების, აგრეთვე დეპოზიტორიუმის სხვა კარტოთეკებისა და ჟურნალების შემცველობის ცვლილებას, გარდა პირად დეპო-ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების ნაშთებისა.

**ადმინისტრაციული უფლებამოსილება** – უფლებამოსილების ფორმა, რომელიც გადაეცემა ადმინისტრაციულ ფუნქციებს და ხელმძღვანელებს, განსხვავებით წრფივი უფლებამოსილებისაგან, როდესაც ეს უკანასკნელი გადაეცემა ხელქვეითებს.

**ადმინისტრირება** – სამეურნეო საქმეების, განსაკუთრებით, დანახარჯების მართვის, გაძღოლის, რეგულირების პროცესი.

**აეროდრომი** – (აერო და ბერძ. Dromos - სარბიელი) – თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენი, დასაყენებელი და მათი მომსახურებისათვის განკუთვნილი ნაგებობათა და მოწყობილობათა კომპლექსი, მიწის ნაკვეთი და მისი მიმდებარე საჰაერო სივრცე. აეროდრომის ძირითადი ნაწილებია: საფრენი ზონა (საფრენი ველი, უსაფრთხოების გვერდითა და კიდურა ზოლები, საჰაერო მოსასვლელები) და აერო ტერიტორია (50 კმ. რადიუსში აეროდრომის მიმდებარე სივრცე).

**აეროვაგზალი** – (აერო და ინგ. Vauxhall) შენობა ან შენობების, ნაგებობების და მოწყობილობათა კომპლექსი, რომელიც განკუთვნილია მგზავრთა მომსახურებისთვის, საჰაერო ხომალდების ფრენის მოსაწესრიგებლად და მომსახურე პერსონალის მისათვისებლად.

**აერონავიგაცია** – ფრენის მართვის, მიწისზედა პუნქტებიდან ან საფრენი აპარატების პორტებიდან სანავიგაციო ელემენტების განსაზღვრის ოპერაციების ერთობლიობა და მათი გამოყენება საფრენი აპარატების ტარებისათვის.

**აეროპლანი** – (აერო... და ფრანგ. Planer – ლივლივი) თვითმფრინავის ადრინდელი სახელწოდება.

**აეროპორტი** – (აერო... და ლათ.portus - ნავსაყუდელი) საავიაციო საწარმო, რომელიც უზრუნველყოფს სამგზავრო, სატვირ-

თო და საფოსტო გადაზიდვებს, თვითმფრინავის ტექნიკურ და კომერციულ მომსახურებას. აეროპორტის მნიშვნელოვანი ელემენტებია: აეროდრომი, საფრენი მინდორი, ასაფრენ-დასაფრენი ზოლები, მოსახვევი და მისასვლელი ბილიკები, თვითმფრინავის სადგომებში, უსაფრთხოების ჩამკეტი და გვერდითა ზოლები და სხვა.

**აეროპორტი** – (გამგზავრების, გაფრენის) აეროპორტი, საიდანაც საჰაერო გადაზიდვების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, იწყება მგზავრების, ბარგის ტვირთისა და საფოსტო გზავნილების გადაყვანა-გადაზიდვა.

**აეროპორტი** – (დანიშნულების) აეროპორტი, რომელშიც საჰაერო გადაზიდვების შესახებ ხელშეკრულლების თანახმად, გადამზიდველმა უნდა გადაიყვანოს მგზავრი, გადაიტანოს ბარგი, ტვირთი და საფოსტო გზავნილები.

**აეროპორტი** – (შეჩერების) აეროპორტი, სადაც საჰაერო გადაზიდვის ხელშეკრულების თანახმად, მგზავრი დროებით წყვეტს ფრენას.

**აეროპორტი** – (შუალედური) აეროპორტი, გადაზიდვის მარშრუტზე მდებარე აეროპორტი, სადაც გათვალისწინებულია საჰაერო ხომალდის შეჩერება.

**ავანსირება** – (advancement) (ფრანგ. avancer) ხელსაყრელი მდგომარეობა, პიროვნების (ჯგუფის) სარგებლობა, უპირატესობა.

**ავანსირებული კაპიტალი** – (advance capital) წარმოებაში წინასწარ დაბანდებული კაპიტალი ფულადი თანხის ან ქონებრივი ფასეულობის სახით.

**ავანსირებული კაპიტალ**ი – კომპანიაში მესაკუთრის მიერ დაბანდებული ფულის სიდიდის დამახასიათებელი.

**ავანსირებული კაპიტალი** – ფულადი თანხა, რომლებიც იხარჯება წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის ყიდვაზე მოგების მიღების მიზნით. ავანსირებული კაპიტალის ნაწილი იხარჯება წარმოების საშუალებების შეძენაზე და წარმოადგენს მუდმივ კაპიტალს, მეორე - ცვალებადი კაპიტალი ნაწილდება მუშა ძალის დასაქირავებლად.

**ავანსირებული ხარჯები** – (Prepaid expenses) და სხვა მიმდინარე აქტივები (other current assets) ისეთი აქტივებია, რომლებიც გახარჯულ სახსრებს ასახავენ, რომლისგანაც სარგებელი ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში იქნება მიღებული. აღნიშნულ ხარჯებს მიეკუთვნება ავანსად გადახდილი მომსახურება, ერთი წლის წინასწარ გადახდილი იჯარა, სადაზღვევო პოლისები და ა.შ. წინასწარ გადახდილი ხარჯები, რომგორც თვითღირებულების კომპონენტი, შესაბამისი პერიოდის ხარჯებში ჩამოიწერება.

**ავანტაჟი** – (avantage) (ფრანგ.Avantage) – ხელსაყრელი მდგომარეობა, პიროვნების (ჯგუფის) სარგებლობა, უპირატესობა.

**ავანტურული** – დაბალი ხარისხის, ან პრაქტიკულად უხარისხო შემოსავლები, რომელიც მიიღება ბანკის მიერ სახელშეკრულებო პარიტეტის დარღვევისას, თანაფარდობის რისკი – კლასიფიკაცია, რეზერვი და ა.შ. დარღვევისათვის.

**ავანტურული მისმენეჯმენტი** – (კრიზისული მმართველობა) წარმოადგენს ოპერაციათა კომპლექსს, რომელსაც ბანკის მენეჯმენტი მიმართავს მაშინ, როცა კოსმეტიკურ მენეჯმენტს უკვე აღარ ძალუძს კაპიტალის დაკარგვისა და დივიდენდის შემცირების დამალვა. ამ ოპერაციების მიზანია – შესაძლებლობა მისცეს ბანკს, თუნდაც მოკლე დროით, კონცეტრაცია გაუკეთოს რესურსებს, მოიგოს დრო და ხელსაყრელ გარემოებათა წყალობით გამოასწოროს მდგომარეობა, კრიზისული მმართველობა მოიცავს დეპოზიტების შესყიდვას ბაზართან შედარებით მაღალი განაკვეთებით, მსესხებლებისაგან სესხებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მაღალი პროცენტების მიღებას, მეანაბრეებისათვის თანხების დაბრუნების გადავადებას, სპეკულაციური ოპერაციების მკვეთრ გაფართოებას.

**ავერაჟი** – (averaging) - საბირჟო თამაშის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს დროის გარკვეულ შუალედში გამოშვე-

ბული აქციების ყიდვა-გაყიდვას მისი კურსის ცვლილებების შესაბამისად.

**ავიაზედნადები** – (airway bill) -ავიატვირთბარათი, გადაზიდვის კონტრაქტის დამადასტურებელი სავაჭრო ქვითარი.

**ავიასატვირთი ზედნადები** – ტვირთის გამგზავნის მიერ ან მისი სახელით გამოწერილი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს ტვირთგადამგზავნისა და გადამზიდავს (გადამზიდავებს) შორის გადამზიდავს (გადამზიდავთა) ავიახაზების ტვირთების გადაზიდვაზე ხელშეკრულების არსებობას.

**ავიასატვირთო ზედდებული** – ხელშეკრულება ტვირთების საჰაერო გადაზიდვების შესახებ, ივსება გამგზავნის მიერ და გადაეცემა გადამზიდავს ერთდროულად გადაზიდვაზე ტვირთის გაცემის დროს. დგება სამი ორიგინალური ეგზემპლარის სახით. პირველს ხელს აწერს გამგზავნი და რჩება გადამზიდავებთან, მეორეს – გამგზავნი და გადამზიდავი და მიდის ტვირთთან ერთად მიმღებამდე, მესამეს ხელს აწერს გადამზიდავი და მიდის ტვირთთან ერთად მიმღებთან.

**ავტარკია** – ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

**ავტოკრატიული ხელმძღვანელი** – ხელმძღვანელი რომელსაც აქვს საკმარისი ძალაუფლება, რათა საჭიროების შემთხვევაში ხელქვეითებს საკუთარი ნება მოახვიოს თავს.

**ავტომატარებელი** – ავტოსატრანსპორტო საშუალება მისაბმელით.

**ავტომატიზებული დაპროექტება** – კომპიუტერის გამოყენება ახალი პროდუქციის დაპროექტებისათვის, რაც ხელს ხაზვისაგან განსხვავებით, იძლევა დროის ეკონომიას და პროექტის ადვილად შეცვლის საშუალებას.

**ავტომატიზირებული სასაწყობო სისტემები** – ნაწარმის დასაწყობებისა და გაცემისათვის საჭირო სატვირთო-სატრანსპორტო მოწყობილობები, რომლებსაც მართავს კომპიუტერი. ამავე დროს, კომპიუტერი თვალყურს ადევნებს

თითოეული ნაწარმის ადგილმდებარეობას საწყობში. ასეთ სისტემის ავტომატიზებულს საწყობსაც უწოდებენ.

**ავტომატურია** – ისეთი ლიცენზია, რომელიც იძლევა საქონლის ექსპორტის და იმპორტის შეუფერხებელი განხორციელების შესაძლებლობას დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

**ავტონომიისა და დამოუკიდებლობის კარიერული მომენტი**-ს შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ადამიანებთან, რომელთა მთავარი მოთხოვნილებაა, იყვნენ დამოუკიდებელი ან თავისუფალი ყველა იმ მარეგულირებელი მოქმედებისაგან, რომელთაც ადგილი აქვთ დიდ ორგანიზაციებში სამუშაოზე მიღება და გათავისუფლება, სამსახურეობრივი დაწინაურება და სხვა. მათგან ბევრს აქვთ ტექნიკურ-ფუნქციური ორიენტაცია. ასეთი ადამიანები ცდილობენ იმუშაონ კონსულტანტებად, შტატგარეშე ჟურნალისტებად და ა. შ.

**ავტონომიური ინვესტიცია** – (autonomous investment) კაპიტალდაბანდება, რომელიც არ არის დამოკიდებული შემოსავლების შემოსავლის დონის ცვლილებასთან. ასეთი ინვესტიციების მაგალითად გამოდგება სახელმწიფო კაპიტალდაბანდებები, ის ინვესტიციები, რომლებიც ხმარდება გამოგონებებს, აგრეთვე გრძელვადიანი ინვესტიციების ის ნაწილი, რომელთა ანაზღაურება სწრაფად არ ხდება.

**ავტორიტეტი** – არის მენეჯერის (ხელმძღვანელის) წარმატებული საქმიანობის მნიშვნელოვანი პირობა, ამავე დროს ის მორალურ-ფსიქოლოგიური ზეგავლენაა, რომელსაც ხელმძღვანელი ახდენს ადამიანებზე (თანამშრომლებზე) ე.ი. ფორმალური ავტორიტეტი ხშირ შემთხვევაში განისაზღვრება დაკავებული თანამდებობით და ხელმძღვანელს ექცევიან უფრო მეტი პატივისცემით.

**ავტოსაგზაო ზედნადები** (ავტო საგზაო ზედნადების) ტვირთის გამგზავნისა და გადამზიდავს შორის ტვირთის (ზოგადი ტერმინი) ავტოსაგზაო გადაზიდვის ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელი სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

**ავტოსადგური** – მგზავრთა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მომსახურებისთვის განკუთვნილი ადგილი.

**ავტოსატრანსპორტო საშუალებები** – გზაზე ძალის მეშვეობით გადაადგილებადი, მძღოლის მიერ მართვადი ურელსოდ მოძრაობისთვის განკუთვნილი თვლებიანი მექანიზმი.

**ავუარები** – ფულადი დოკუმენტები (ჩეკები, თამასუქები, გზავნილები, აკრედიტივები) რომელთა მეშვეობით ხდება ფულის გადახდა და ვალდებულებების დაფარვა. ბანკის სახსრები, რომლებიც მის ანგარიშზე იმყოფება უცხოური ვალუტის სახით საზღვარგარეთ ბანკებში.

**აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა** – სამთავრობათაშორისო ფორუმი, რომელიც 1989 წელს შეიქმნა და აერთიანებს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის 21 სახელმწიფოს. ფორუმის სამუშაო ორგანოების ფარგლებში მუშავდება ვაჭრობის, ინვესტიციური და ფინანსური საქმიანობის რეგიონული წესები, ტარდება დარგობრივი სამინისტროებისა და ექსპერტების შეხვედრები.

**აკორდული გადასახადი** – (lump-sun tax) სახლმწიფოს მიერ დადგენილი ფიქსირებული გადასახადი, რომელიც არ არის დამოკიდებული შემოსავლების ან შესყიდვების სიდიდეზე.

**აკრედიტივი** – (ინგ.Jetter of credit, ფრანგ. Jettre de credit, გერ. Acreditive) აკრედიტივი ბანკის ვალდებულებაა მყიდველის თხოვნითა და მითითებით ექსპორტიორის მიერ გაგზავნილ საქონელზე ფულის გადახდის შესახებ, რომელიც ხორციელდება კონტრაქტით გათვალისწინებული დოკუმენტების სანაცვლოდ. ვინაიდან ფულის გადახდა ხდება დოკუმენტების სანაცვლოდ, ამიტომ ანგარიშსწორების ამ ფორმას ხშირად დოკუმენტურ აკრედიტივს უწოდებენ.

**აკრედიტივი** – 1. საბანკო ანგარიშის სახეობა, რომელიც კონტრაგენტს აძლევს შესაძლებლობას, სააკრედიტივო დავალებაში მითითებული პირობების დაცვით მიიღოს გასამრჯელო ვალდებულებების შესრულებისთანავე; 2. ანგარიშ-

სწორების ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 3. სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მოცემული პირის უფლებას, ბანკში მიიღოს აკრედიტივში მიღებული თანხა.

**აკრედიტივი** – დაუფარავია, რომელზეც გადახდის გარანტიას მიმწოდებელს ბანკი აძლევს. ამ შემთხვევაში ფულის გადამხდელი შუამდგომლობით მიმართავს თავის ბანკს, გარანტირებული აკრედიტივი გამოყოს მისთვის. ამ შუამდგომლობას ემიტენტი ბანკი აკმაყოფილებს, როგორც წესი, გადახდისუნარიანი, პირველი კლასის კლიენტების მიმართ და ისიც იმ პირობით, თუ მას და აკრედიტივის შემსრულებელ ბანკს შორის საკორესპოდენტო ურთიერთობებია დამყარებული.

**აკრედიტივი** – დაფარულად ითვლება, რომლის დროსაც გადამხდელი წინასწარ ახდენს სახსრების დეპონირებას მიმწოდებლებთან ანგარიშსწორებისათვის. ამ შემთხვევაში ფულის გადამხდელი ბანკი (ემიტენტი ბანკი) გადამხდელის ანგარიშსწორების ანგარიშიდან ჩამოწერს სახსრებს და ისინი გადააქვს მიმწოდებლის ბანკში (შესრულებულ ბანკში) ცალკე საბალანსო ანგარიშზე „აკრედიტივი“.

**აკრედიტივი** – მყიდველის ბანკის მიერ მიმწოდებლის ბანკისათვის მიცემული დავალება საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლის ფულის გადახდის თაობაზე იმ პირობებით, რომელიც მყიდველის სააკრედიტივო განცხადებაშია გათვალისწინებული. ამ განცხადებას საქონლისა და მომსახურების მყიდველი აკეთებს მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.

**აკრედიტივი –** ორი სახისაა: დაფარული (დეპონირებული და დაუფარავი (გარანტირებული).

**აკრედიტივი** – წარმოადგენს ბანკის ფულად ვალდებულებას, რომელიც კლიენტის დავალებით მისი კონტრაჰენტის სასარგებლოდ, ხელშეკრულების საფუძველზე არის გაცემული და, რომლის მიხედვითაც ბანკი – ემიტენტი ამ კონტრაგენტის სასარგებლოდ ახორციელებს გადახდას

თუკი აკრედიტივით გათვალისწინებულ პირობებში სრულად არის შესრულებული და ამაზე შესაბამისი წერილობითი დასტური არის მიღებული. **აკრედიტივი მხოლოდ ერთ მიმღებთან** ხელშეკრულების ვადების ფარგლებში ანგარიშსწორებისათვის არის განკუთვნილი. პრაქტიკაში დეპონირებული, გარანტირებული, გამოუთხოვადი, გამოთხოვადი დოკუმენტარული აკრედიტივები გამოიყენება მიმწოდებელსა და მყიდველს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

**აკრი** – (acre) ფართობის ერთეული ინგლისურ საზომთა სისტემაში: 1ა=0,4047 ჰექტარს.

**აკრი** – (ინგლ.acre ფართობის ერთეული ინგლისური ზომის სისტემაში 1 ა = (3სმგდ)

**აკუმულირებული ამორტიზაცია – ანგარიში**, რომელიც გვიჩვენებს ამორტიზაციის მთელ თანხას დარიცხულს აქტივზე ბალანსის შედგენის დროისათვის.

**აკუმულირებული გაუნაწილებელი მოგება** – ბალანსის მუხლი, რომელიც გამოხატავს სხვაობას ორგანიზაციის (კომპანიის) მოგებასა და ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების მიხედვით გადახდილ დივიდენდებს შორის.

**ალბათობა სტანდარტული განაწილების მეთოდი** – ეყრდნობა PERT-მეთოდს (PERT-PROGRAM EVALUTION AND REVIEXY) თავდაპირველად ექსპერტული შეფასებათა საფუძველზე განსაზღვრავენ სამი ტიპის პროგნოზს: ოპტიმალურს (0) ყველაზე ისე მოსალოდნელს (M) და პესიმისტურს (P) ამის შემდეგ განსაზღვრავენ გასაღების მოსალოდნელ მნიშვნელობას, რისთვისაც იყენებენ სტანდარტულ ფორმულას: E=(0+4M+P):6.

**ალბათობა** – როგორც გარკვეული შედეგის (როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური მიღების შესაძლებლობა, დამოკიდებულია მოსალოდნელ მოვლენათა ბუნებასა და მასზე დამყარებულ ობიექტებზე (ან საშიშროებაზე).

**ალბათობა** – კონკრეტული მოვლენის ალბათობის დონე.

**ალბათობის თეორია** – მათემატიკური მეცნიერება, რომელიც იძლევა საშუალებას ერთ შემთხვევაში ხდომილების ალბათობის მიხედვით ვიპოვოთ სხვა შემთხვევაში ხდომილების ალბათობა, რომელიც რაღაც სახით დაკავშირებულია პირველთან.

**ალბათობის სიმკვრივე** – ისეთი ფუნქცია, რომლისთვისაც მოცემული ერთგანზომილებიან შემთხვევაში სიდიდის ალბათობის განაწილების ფუნქცია პირველყოფილს წარმოადგენს.

**ალდაგი** – (Aldagi) აქციონერული საზოგადოება, პირველი არასახელმწიფო სადაზღვევო კომპანია საქართველოში. დაარსდა 1990 წელს. 2006 წლის ბოლომდე ეკავა ლიდერის პოზიცია, ვიდრე მისი აქციების 100% არ შეიძინა სადაზღვევო კომპანია „ბისიაიმ“. 2009 წლის მონაცემებით, გაერთიანებული კომპანიის „ალდაგის ბისიაის“ წილი ბაზრის 41,3%-ს შეადგენს.

**ალოკაციური ეფექტიანობა** – (allocative effiency) 1. პროდუქტის წარმოების ოპტიმალური ანუ საუკეთესო კომბინაცია რესურსების ეფექტიანი კომბინაციის გზით; რესურსების ისეთი კომბინაცია, როდესაც პროდუქციას აწარმოებენ მინიმალური ალტერნატიული დანახარჯებით. რესურსების ასეთ გამოყენებას ტექნიკურ ეფექტიანობასაც უწოდებენ; 2. სიტუაცია, როდესაც შეუძლებელია რეორგანიზაციით ან გაცვლით ერთი ინდივიდის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მეორის ინტერესების შელახვის გარეშე. მეორე სახელწოდებით პარეტო – ეფექტიანობა.

**ალტერნატივა** – დასმული ამოცანის მიღწევის საშუალება, რომელიც განსხვავებულია სხვა შესაძლო ხერხებისგან. ალტერნატივა შედგება გადაწყვეტილების მაფორმირებელი განსაზღვრული ცვლადების კომპონენტისაგან, რომლებიც იწოდებიან ღონისძიებებად. ცვლადობის დროს იღებენ განსაზღვრულ ალტერნატივას.

**ალტერნატივების ძიება** – მიზნის მიღწევის ხერხების გამოვლენა, ფორმირება და ანალიზი.

**ალტერნატიული დირექტორი** – კომპანიის თანამდებობის პირი,

რომელიც უფლებამოსილია შეცვალოს დირექტორთა საბჭოს რომელიმე წევრი.

**ალტერნატიული პერსონალი** – ზესაშტატო მუშაკები, რომელსაც სამუშაოდ იწვევენ ორგანიზაციაში მომატებული დატვირთვის ან პერსონალის უკმარისობის შემთხვევაში.

**ამალგამაცით** – (ბანკების) ორი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ბანკის შერწყმა კონკურენტული ბრძოლის პროცესში. ორი სახისაა: 1 ერთი მსხვილი ბანკის მიერ მეორის შთანთქმა, რომელიც ამასთან, კარგავს თავის დამოუკიდებლობას და ჩვეულებრივ ცვლის თავის აქციებს მისი მშთანთქმელი ბანკის აქციებზე. 2. ახალი ბანკის შექმნა ბანკების შერწყმის გზით, რომლებიც ამასთან, კარგავენ დამოუკიდებლობას და გადასცემენ აქტივებს ახალ ბანკს. მათი აქციები ექვემდებარებიან ახალი ბანკის აქციებზე გაცვლას.

**ამბალაჟი** – (ფრანგ.embllage 1. საფუთავი მასალა; 2. შეფუთვის ხარჯები.

**ამერიკული სტილი** – ითვლება რომ ამერიკელებმა არსებითი ზეგავლენა მოახდინეს მოლაპარაკებათა წარმოების სტილზე მთელს მსოფლიოში/ ამერიკული სტილი ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმით. მათ დელეგაციებში პრაქტიკულად გამორიცხულია მოლაპარაკებების საკითხებში არაკომპეტენტური პირის არსებობა.

**ამონაგები** – არის საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაყიდვიდან მიღეული შემოსავლები, რომელიც არ არის დაკავშირებული გაყიდვებთან.

**ამონაგები** – პროდუქციის (მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი თანხა, რომლის სიდიდე დამოკიდებულია რეალიზებული პროდუქციის, გაწეული მომსახურების ხარისხზე. ამონაგები საწარმოს ფულადი შემოსავლის ძირითადი წყაროა და განსაზღვრავს სამეურნეო საქმიანობის შედეგებს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (თვე, კვარტალი, წელი). ამონაგები საწარმოს მიერ გაწეული საექსპლუატაციო დანახარჯების დაფარვის წყაროა.

**ამონაგები** – პროდუქციის რეალიზაციიდან (Sales Revenue) ანგარიშგების ყველაზე მაღალი (დასაწყისში) აისახება, როგორც შემოსავლის მთავარი წყარო. თუ კომპანია პროდუქციის წარმოებით კი არა, არამედ ტვირთის გადაზიდვით იყო დაკავებული, მაშინ აღნიშნულ მუხლს „შემოსავლის ძირითადი საქმიანობიდან“ (Operating Revenues) ეწოდებოდა. შემოსავლების აღრიცხვა იმაზეა დაფუძნებული, რომ საქონლის გაყიდვას, ან მომსახურების გაწევას გადახდების შემოტანა ახლავს თან. კორპორაციებს შორის გარიგებებში ვალის დასტურს ანგარიშფაქტურის წარდგენა წარმოადგენს. საქონლის მიტანის, ან გადატვირთვის მომენტში გადაცემის ფაქტი ზედნადებზე ხელწერის დასმით ადასტურებს.

**ამორტიზაცია** – შრომის საშუალებაზე ღირებულების ცვეთის შესაბამისად თანდათანობითი გადატანის ობიექტური პროცესი, წარმოებულ პროდუქციაზე სპეციალური ფულადი საშუალებების, საამორტიზაციო ანარიცხების გამოყენება, რომლებიც შედის წარმოების ან მიმოქცევის დანახარჯებში.

**ამორტიზაცია** – შრომის საშუალებების ფიზიკური და მორალური ცვეთის ღირებულების თანდათანობითი გადატანა მგზავრობის ღირებულებაზე.

**ამორტიზაცია** – წარმოების (მომსახურების) პროცესში მომხმარებელი ძირითადი საშუალებების გაცვეთილი ნაწილის წარმოებულ პროდუქციაზე თანდათანობით (გაცვეთის შესაბამისად) გადატანის ობიექტური ეკონომიკური პროცესი. ამორტიზაციის აუცილებლობა გამოწვეულია კვლავწარმოების პროცესში ძირითადი საშუალებების მონაწილეობის თავისებურებებით: ისინი მოქმედებენ რამდენიმე საწარმოო ციკლის განმავლობაში ისე, რომ არ იცვლიან თავიანთ ნატურალურ ფორმას, თანდათანობით ცვდებიან და გაცვეთის პროპორციულად გადასცემენ მათი დახმარებით წარმოებულ პროდუქტს გაცვეთილი ნაწილის შესაბამის ღირებულებას.

**ამორჩევა** – 1. მოსახლეობის სეგმენტი რომელმაც უნდა ასახოს მთელი მოსახლეობა. 2. გენერალური ერთობლიობის ერთ-ერთი ქვესიმრავლე, ჩვენს მიერ მთლიანად განსახილ-ველი დაკვირვებათა რაოდენობა.

**ამხანაგობა** – (company) ფიზიკური ან იურიდიული პირების გაერთიანება ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობის-თვის. განასხვავებენ შერეულ და სრულ ამხანაგობას.

**ამხანაგობაზე ანუ პარტნიორობაზე** – ერთპიროვნული მფლობელების ბუნებრივი განვითარების შედეგია. იგი გულისხმობს ორი ან მეტი პირის თანამშრომლობის ბიზნესის წარმოების პროცესში. სავაჭრო ან სამრეწველო პარტნიორობას ეწოდება კომპანია

**ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებ**ი – ამ ტიპს მიეკუთვნება ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, როგო-რიცაა სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) და კომანდიტური საზოგადოება (კს).

**ანაბარი** – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების პარტ-ნიორის წევრის მიერ შეტანილი ფულადი თანხა, რომლის საკუთრების უფლებას იძენს დაწესებულება და რომელ-საც როგორც წესი ერიცხება პროცენტი.

**ანაბარი** – არის მოცემული ქვეყნის ეროვნული ვალუტით ან უცხოური ვალუტით გამოხატული ფულადი სახსრები, რომლებსაც მოქალაქეები ათავსებენ შენახვისა და მოგე-ბის მიზნით.

**ანაბრების** – მოზიდვასთან და მეანაბრეების დავალიანების ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული ბიზ-ნესი შესაძლებლობას აძლევს ბანკს შემდეგი ფორმით მიიღოს მოგება: – საკომისიო ჯილდო: ანგარიშის წარმო-ებისათვის, ანგარიშის მიხედვით ჩატარებული ოპერაციე-ბის შესახებ ამონაწერის გაცემა, ანგარიშის დახურვა; ნაღდი ფულის გაცემის ან ანგარიშსწორების ხასიათის მქონე ოპერაციების განხორციელება.

**ანალიზი** – SWOT არის სტრატეგიული ანალიზის სახეობა, რომლის საშუალებით კონკრეტული ბანკის საქმიანობის

ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საშიშროებები (ინგლისური აბრევიატურა SWOT) განისაზღვრება. იგი ბანკის მოქმედების სფეროში მიმდინარე ცვლილებების სტრატეგიისა და სტრუქტურის შესაბამისობის ხარისხის გამოვლენაზეა მიმართული.

**ანალიზი** – ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და დაშლა-დანაწევრებას ნიშნავს. ანალიზი როგორც კვლევის მეთოდი, მრავალ დარგში გამოიყენება და სხვადასხვა ხასიათისაა. მაგალითად, ქიმიური ანალიზი, ისტორიული ანალიზი, გეოლოგიური ანალიზი და ა.შ.

**ანალიზი** – გამოკვლევის ჩატარების პროცედურა:

1. ლოგისტიკური პრობლემა იყოფა მის შემადგენელ ნაწილებად, რომლებიც უფრო მოხერხებულია გადასაწყვეტად;
2. შეირჩევა და გამოიყენება ცალკეული ქვეპრობლემების გადასაჭრელად ყველაზე მისაღები მეთოდები;
3. კერძო გადაწყვეტილებები ერთიანდებიან ისე, რომ აგებულ იქნას ლოგისტიკური პრობლემების საერთო გადაწყვეტა. ორგანიზაცია ე.ი. კავშირები ლოგისტიკურ სისტემებში გარკვეულ წილად მოწესრიგებულია.

**ანალიზის ინფორმაციული ბაზა** – საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგება; შიდა და გარე აუდიტორული დასკვნები; ბიზნეს გეგმა; საშუალო დარგობრივი მაჩვენებლები; მაღალი რეიტინგის მქონე კომპანიების ფინანსური მაჩვენებლები; დირექტორთა საბჭოსა და საერთო კრების გადაწყვეტილებები; დაკვირვების მასალები და სხვ.

**ანალიზური აღრიცხვის ორგანიზაცია** – ანალიზური აღრიცხვის პირადი ანგარიშები ეხსნება სინთეზური აღრიცხვის ყველა საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშს აღრიცხული სახსრებისა და ფასეულობების მიხედვით და მათი დაყოფით დანიშნულებისა და მფლობელების მიხედვით. გაცემულ სესხებს ითვალისწინებენ იმ პირად ანგარიშებში, რომლებიც გახსნილია საკრედიტო ხელშეკრულე-

ბის შესაბამისად და მათი მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, აგრეთვე მსესხებლების მიხედვით.

**ანალიზური და სინთეზური აღრიცხვა** – ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში ორი მიმართულებით ხორციელდება ანალიზური და სინთეზური. ანალიზური არის დაწვრილებითი აღრიცხვა, რომელიც საბანკო ოპერაციას ყველა დეტალით აღრიცხავს. მისი მიზანია:

- ყველა საბანკო ოპერაციის სრულად, დაწვრილებით და ოპერატიულად ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში;
- მათი გაკონტროლება არსისა და ფორმის მიხედვით, იმ პირველადი ფულად საანგარიშსწორებო დოკუმენტების მონაცემების გამოყენებით, რომლებიც ანალიზურ აღრიცხვაში ბუღალტრული ჩანაწერების საფუძვლად გვევლინება.
- ანალიზური აღრიცხვის ძირითადი საშუალებებია (რეგისტრებია): პირადი ანგარიშები, დოკუმენტის კართოთეკები, ოპერაციული ჟურნალები. სინთეზური განზოგადოებული აღიცხვა – განაზოგადებს ანალიზური აღრიცხვის მონაცემებს. სინთეზური აღრიცხვის ამოცანებია: ანალიზური აღრიცხვის მონაცემების დაჯგუფება გარკვეული ნიშნებით (საბალანსო ანგარიშების მიხედვით) ანალიზური აღრიცხვით მიმდინარეობს სისწორის შემოწმება.

**ანალიზური კომპეტენტურობა** – მოვლენების შედარების, ანალიზისა და პრობლემების გადაწყვეტის უნარი.

**ანალიტიკური** – გამოვლენილი რისკების ზონების გაღრმავებულ ანალიზს (დასახელებული მეთოდების გამოყენებით) ბანკის თითოეული ოპერაციის ან მათი ერთობლიობისათვის დასაშვები რისკების ოპტიმალური დონეების დადგენის მიზნით.

**ანგარიშგება** – საწარმოების, ორგანიზაციების მიერ თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშების პერიოდულად შედგენა, რომელიც წარედგინება სახელმწიფო ორგანოებს. კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საბა-

ლანსო ანგარიშგებას, ანგარიშგებას მოგებისა და წაგების შესახებ, ცალკეულ ანგარიშგებას. ერთად აღებული ყველა ანგარიში სრულ წარმოდგენას გვაძლევს კომერციული ბანკის რეალურ ფინანსურ მდგომარეობაზე.

**ანგარიშგება შემოსავლების შესახებ** – (income statement) საქმიანობის შედეგების გამომხატველია: ამონაგები და დანახარჯები საანგარიშო პერიოდისათვის. კაპიტალიდან სუფთა მოგება და ზარალი დაემატება, ან გამოიქვითება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშის მეშვეობით. ამრიგად, სამეურნეო საქმიანობის წარმოდგენა ანგარიშების პერიოდის განმავლობაში.

**ანგარიშგების ანგარიში** – ანგარიში რომელსაც ბანკები უხდიან დამოუკიდებელი ბალანსის მქონე იურიდიულ პირებს (საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, იმისათვის, რომ შეინახონ ფულადი სახსრები და განახორციელონ ანგარიშსწორება სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.

**ანგარიშგების გახსნა ბანკში** – საბანკო დაწესებულებებში სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საბანკო ანგარიშის გახსნა. ანგარიშსწორებისა და ორგანიზაციების ანგარიშზე თავს იყრის საწარმოებისა და ორგანიზაციების ფულადი სახსრების ძირითადი ნაწილი. ანგარიშების გახსნისას საჭიროა: განცხადება ანგარიშის გახსნაზე, დოკუმენტის საწარმოს შექმნის შესახებ, დამტკიცებული წინადადებები, ბარათები ხელმოწერით, ნიმუშებითა და ბეჭდების ნაბეჭდით.

**ანგარიშები მისაღები** – (accounts recervable) მოიცავს დავალიანებას გადატვირთულ პროდუქციაზე და გაწეულ მომსახურებაზე (Trade receivables) აღნიშნულ მუხლზე აისახება თანხები, რომლებიც დამკვეთის მიერ ჯერ ანაზღაურებული არ არის და საქონელი გადასახადის მიღებამდე არის განსაზღვრული. მყიდველებისათვის საქონლის გადასახდელად, როგორც წესი, გარკვეული დრო არის დადგენილი.

**ანგარიშები მოთხოვნამდე** – არსებული ისეთი დეპოზიტური ანგარიშებია, რომლებზეც საანგარიშსწორებო დოკუმენ-

ტების გამოწერა შეიძლება მესამე პირის სასარგებლოდ. ეს ანგარიშები ლიკვიდობის პრინციპებს აერთიანებს შემოსავლების მიღების შესაძლებლობებთან (პროცენტის სახით) მათ უხსნიან მხოლოდ კერძო პირებს და მოგების არმქონე ფირმებს.

**ანგარიშები**, – რომლებსაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს რჩებათ სალდო, რომელიც ბალანსში გადაიტანება, **რეალურ ან მუდმივ** ანგარიშებად იწოდებიან; ხოლო ანგარიშები, რომლებიც ასახავენ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საკუთარი კაპიტალის ცვლილებას, ნომინალური (დროებითი) ანგარიში ეწოდებათ.

**ანგარიშების წიგნი** – კომპანიის ყველა ანგარიშის სრული რეესტრი ანგარიშები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: ბალანსის ანგარიშები (აქტივები და პასივები და საკუთარი კაპიტალი) და მოგებისა და ზარალის (შემოსავლები და გასავლები) შესახებ ანგარიშები.

**ანგარიშთა გეგმა** – მოწესრიგებული, ორგანიზებული ბუღალტრული ანგარიშგების სისტემა ერთობლიობა.

**ანგარიშთა გეგმის** – დამუშავების დროს გათვალისწინებულია საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციისა და წარმართვის შემდეგი საერთაშორისო პრინციპები:

- საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის უწყვეტობის პრინციპი, რომელიც იმას გულისხმობს, რომ ორგანიზაცია უწყვეტად განახორციელებს თავის საქმიანობას მომავალში.
- საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების წესების მუდმივობის პრინციპები, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საკრედიტო ორგანიზაცია უნდა ხელმძღვანელობდეს საბუღალტრო აღიცხვის ერთი და იმავე წესებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებითი ცვლილებები ხდება სამართლებრივ მექანიზმში ან საკუთარ საქმიანობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესადარისობა სხვა პერიოდების ანგარიშებთან;

- საბანკო ოპერაციების ჩატარების დროს სიფრთხილის პრინციპები;
- შემავალი ნაშთის ურყეობა;
- შინაარსის პრიორიტეტი ფორმაზე: ოპერაციები აისახება მათ ეკონომიკურ არსთან და არა იურიდიულ ფორმასთან შესაბამისობით;
- აქტივებისა და პასავების ცალკე ასახვის პრინციპი, რომლის შესაბამისად აქტივებისა და პასივების ანგარიშები ცალ-ცალკე ფასდება და გაშლილი სახით აისახება;
- გახსნილობის პრინციპი ნიშნავს, რომ საბანკო ანგარიშები სარწმუნოდ უნდა ასახავდეს საკრედიტო ორგანიზაციის ოპერაციებს, გასაგები იყოს ინფორმირებული მოსარგებლისათვის და არ შეიცავდეს ორაზროვან განმარტებებს საკრედიტო ორგანიზაციის პოზიციის გამოხატვისას.

**ანგარიშთა გეგმის ფორმირების პრინციპებია**:

1. ანგარიშების დანაწილება აქტიურ და პასიურ ანგარიშებად და აქტიურ და პასიურ ანგარიშების გამოყენებაზე უარის თქმა.
2. საბუღალტრო ანგარიშების ნომრების აგების ორდონიანი სისტემა.
3. აქტიური და პასიური ოპერაციების ერთიანი დროითი სტრუქტურა მათი გატარების ვადების მიხედვით.
4. ანგარიშების დაყოფა კლიენტთა ტიპების მიხედვით.
5. აღრიცხვაში საბანკო ოპერაციების ასახვის პრინციპები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.
6. დამატებითი ანგარიშების გახსნის უფლების მიცემა ბანკებისთვის გასატარებელი ოპერაციების ზუსტად ასახვის უზრუნველყოფის მიზნით.
7. ანგარიშსწორება ფილიალებთან.
8. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების ცალმხრივად დაჯგუფების პრინციპი. იმას ნიშნავს, რომ ბანკის ბალანსის ერთ განყოფილებაში შეიძლება მოხვდეს როგორც აქტიური ისე პასიური ანგარიშები.

9. კლიენტთა პირადი ანგარიშების ნუმერაცია. კლიენტი-სათვის პირადი ანგარიშის გახსნის დროს ბანკი მას აკუთვნებს ნომერს დასახელებას საერთაშორისო სტან-დარტებით პირადი ანგარიში ნომერი ოცი ნიშნისგან შედგება.

**ანგარიშთა სისტემა არის** – ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომლის საშუალებით საანგარიშგებო პერიოდის განმავ-ლობაში აისახება სამეურნეო რესურსების ცვლილებები, დაჯგუფებულად ერთგვაროვანი ნიშნის მიხედვით.

**ანგარიში** – ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ელემენტია, რომელიც საანგარიშსწორებო პერიოდის განმავლობაში სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი მოვლენებისა და ოპერაციების შედეგად ფინანსური ანგარიშგების ელემენ-ტებში გამოწვეული ცვლილებების ერთგვაროვანი ნიშნით დაჯგუფებული აღრიცხვის საშუალებას იძლევა.

**ანგარიში** – განსაზღვრული ფორმით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობის ამა თუ იმ ასპექტის გამოსახატავად. მაგალითად დროის გარკვეულ მონაკვეთში აქტივისა და პასივის, ან კიდევ მათი მარაგის ცვლილებების ანგარიში შეიძლება იყოს აუდიტორული, ბუღალტრული, კაპიტალის მოძრაობის, კომერციული, მიმდინარე ოპერაციების, მოგებისა და ზარალის, საკორესპოდენტო, ფედერალური და ა. შ.

**ანგარიში** – განსაზღვრული ფორმით შედგენილი ცნობები, მონაცემები, ორგანიზაციის, კომპანიის საქმიანობის შესახებ გარკვეული გასული პერიოდისათვის.

**ანგარიში-ფაქტურა** – (ინგ. Invoice, account, final invoice, ფრ. Facture, გერ: Rechnung, Fakture, Habdelstaktura) ჩვეულებ-რივ გამოიყენება მყიდველის მიერ საქონლის საბოლოო მიღების შემდეგ. თავისი ძირითადი დანიშნულების გარდა (საქონელზე გადასახდელი თანხის მითითება), მას შეუძლია შეასრულოს ზედნადების როლი და გაგზავნოს საქონელთან ერთად.

**ანგარიში „ლორო“** – ("ჩვენთან გახსნილი თქვენი ანგარიში").

**ანგარიში „ნოსტრო“** – ნიშნავს („თქვენთან გახსნილი ჩვენი ანგარიში“).

**ანგარიში მოგებისა და ზარალის შესახებ** – გვიჩვენებს სამეურნეო საქმიანობის შედეგებს წლის განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნას კომპანიის პერსპექტივების შეფასებისათვის. დიდ ინტერესს წარმოადგენს ინვესტორისათვის. აპირისპირებს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს მთელ დანახარჯებთან და დარიცხულ გასავლებთან. შედეგად რჩება წმინდა მოგება ან ზარალი.

**ანგარიში მოგებისა და ზარალის შესახებ** – მოიცავს შესაბამის ანგარიშებზე მიკუთვნებული შემოსავლებისა და ხარჯების სპეციფიკაციას (ჩამონათვალს) ანგარიშში მოჰყავს ცალკეული სახეობების მიხედვით დაჯგუფებული ბანკის საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლები და ხარჯები. ცალკე განყოფილებადაა გამოყოფილი მართვის აპარატის შენახვის ხარჯები და ზარალზე მიწერილი თანხები. ანგარიშის მონაცემებს იყენებენ ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილებების ფაქტორების ანალიზისა და გამოვლენისათვის.

**ანგარიში საკუთარი კაპიტალის შესახებ** – (Statement of Stockholders Equity, Statement of owners Equity) ან ანგარიში სააქციო კაპიტალში ცვლილებათა შესახებ (Statement of Changes in Shareholedr equity) იძლევა მონაცემებს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ყველა ინვესტიციისა და კაპიტალის დინამიკასა და სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები.

**ანგარიშის** – დებეტისა და კრედიტის ჩანაწერებს შორის სხვაობას სალდო ანუ ნაშთი ეწოდება. ანგარიშის დებეტი ან კრედიტის სალდო „ნორმალურ სალდოდ“ იწოდება, თუ იგი ზრდის ამ კონკრეტული ანგარიშის მნიშვნელობას. აქტივების ამსახველი ნებისმიერი ანგარიშისთვის ნორმალურ სალდოდ სადებეტო, ხოლო ვალდებულებებისა და

კაპიტალის ამსახველი ანგარიშისთვის – საკრედიტო სალდო ეწოდება.

**ანგარიშის** – მარცხენა მხარე ყოველთვის დებეტისათვის, ხოლო მარჯვენა მხარე კრედიტისათვისაა განკუთვნილი. დებეტში ჩაწერა ნიშნავს მარცხენა მხარეს ჩაწერას, ხოლო კრედიტში ჩაწერა – მარჯვენა მხარეს ჩაწერას. დებეტში ჩაიწერება: აქტივების ანგარიშების ზრდა; ვალდებულებების ანგარიშების შემცირება; საკუთარი კაპიტალების ანგარიშების შემცირება; ხარჯების ანგარიშების ზრდა/შემცირება. კრედიტებში ჩაიწერება: აქტივების ანგარიშების შემცირება; ვალდებულებების ანგარიშების ზრდა; საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ზრდა შემოსავლების ანგარიშგების შემცირება შემოსავლების ანგარიშგების ზრდა.

**ანგარიშის გახსნა** – ბანკებში ფორმდება ანგარიშის გახსნის შესახებ განცხადებები, დოკუმენტური გაერთიანებების, ორგანიზაციების, დაწესებულებების შექმნაზე, დამტკიცებული წესდებები (დებულებები) ბარათები ხელმოწერათა ნიმუშები და ბეჭდების ანაბეჭდით.

**ანგარიშის გახსნა ნიშნავს** – მთავარ ბუღალტრულ წიგნში (რეგისტრში) განთავსებული სპეციალური მოხაზულობის ცხრილებისათვის (ანგარიშგებისათვის) ბალანსის ცალკეული მუხლის მიხედვით სახელწოდების მიკუთვნებას და შესაბამისი თანხობრივი განზომილების გადატანას საწყისი ნაშთის სახით, მისთვის სპეციალურად განკუთვნილ სტრიქონზე. შემდეგ კი, მთელი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში უკვე ანგარიშში აისახება სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი მოვლენები და ოპერაციები, რაც პერიოდის ბოლოსათვის ცალკეული ანგარიშის მიხედვით ახალი ნაშთის განსაზღვრისა და ინფორმაციის განზოგადების საშუალებას იძლევა.

**ანგარიშის მფლობელი ბანკი** – ნებისმიერი ბანკი, რომელსაც ანგარიში აქვს გახსნილი ეროვნული ბანკის დავთრებში.

**ანგარიშ-საგადასახადო მოთხოვნა** – საანგარიშო დოკუმენტი, შეთავსებულია ანგარიშფაქტურა და საგადასახადო მოთხოვნა.

**ანგარიშ-სპეციფიკაცია** – (ინგ,invoice-specification, specifieol account; ფრ - facture specification, გერ.Rechnungs verzeichnis) გამოიწერება იმ შემთხვევაში, როდესაც პარტიაში შედის სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელი. იგი აგრეთვე ცნობილია სერთიფიცირებული ანგარიშის სახელწოდებით. ანგარიშ-სპეციფიკაციაში ჩვეულებრივ უთითებენ ერთეული საქონლის ფასს სახეობათა და სორტების მიხედვით, აგრეთვე საქონლის მთლიანი პარტიის საერთო ღირებულებას.

**ანგარიშსწორება** – საბანკო გზავნილებათა ფორმით გამოიყენება იმ კონტრაქტებში, რომლებშიც დათქმულია მისი გამოყენება და მითითებულია ბანკები-კორესპოდენტები.

**ანგარიშსწორება თამასუქებით** – გულისხმობს უბრალო ან გადასაგზავნი თამასუქების გამოყენებას – მიკროპროცესური ბარათი წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო ან საგადასახდელო ბარათის ზომის ბარათს, რომელშიც ჩადგმულია მიკრო ჩიპები – მიკროპროცესორები; - „ბანკი-კლიენტი“ პროგრამა – თანამედროვე კომპიუტერულ-პროგრამული სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საბანკო ოპერაციების წარმოება, საკუთარი ანგარიშების კონტროლი და მართვა ოფისიდან/სახლიდან გაუსვლელად; – ინოვაციური საქმიანობა – ახალი სახის პროდუქტის, ტექნოლოგიების, ორგანიზაციული ფორმების შექმნის, წარმოების, განვითარებისა და ხარისხობრივი სრულყოფისაკენ მიმართული პროცესი; – ინტერნეტ ბანკინგი – ანგარიშების მართვა ინტერნენტის ქსელის მეშვეობით. იგი ბანკს საშუალებას აძლევს განახორციელოს, მიიღოს საბანკო მომსახურების მაქსიმალური სპექტრი, შესაძლებელს ხდის ანგარიშის მდგომარეობისა და ოპერაციებზე თვალყურის დევნებას დროის ნებისმიერ მონაკვეთში.– ინფორმაციული პროცესები – ინფორმაციის შეკრების, და-

მუშავების, დაგროვების, შენახვისა და გავრცელების პროცესები; – ბანკის ლოგისტიკა – კლიენტის ფულადი ნაკადის მოძრაობა ოპტიმიზაციის პროცესი მათი ეფექტიანად გამოყენების მიზნით კლიენტის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე; – ონლაინური ტექნოლოგიები – შეტყობინებათა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები ფიჭურ საინფორმაციო სივრცეში, რომლებიც არსებით ასინქრონულობას უშვებენ მონაცემებისა და შეტყობინებების გაცვლაში. – ელექტრონული კომერცია – საქონლის გაყიდვისა და მომსახურების გაწევა ინტერნეტის საშუალებით (საიტების შედგენა, პროვაიდერული მომსახურება, რეკლამა ინტერნეტში და ა.შ).

**ანგარიშსწორებათა აკრედიტივი** – მყიდველის ბანკის მიერ მიმწოდებლის ბანკისათვის მიცემული დავალებაა საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლის ფულის გადახდის თაობაზე იმ პირობებით, რომლებიც მყიდველის სააკრედიტივო განცხადებაშია გათვალისწინებული. ამ განცხადებას საქონლისა და მომსახურების მყიდველი აკეთებს მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.

**ანგარიშსწორების აკრედიტული ფორმა** – შემოღებულ იქნა 1931 წლიდან გადასახდელებზე. ანგარიშსწორების აკრედიტული ფორმის დროს მყიდველი თავის მომსახურე ბანკს ავალებს: აკრედიტივის გახსნას, რომელიც ეცნობა მომწოდებლის (გამყიდველის) ბანკს. გამყიდველი აგზავნის პროდუქციას და შესაბამის საგადასახადო დოკუმენტებს გასანაღდებლად წარუდგენს თავის მომსახურე ბანკში. ეს უკანასკნელი კი ანაღდებს მყიდველის ბანკის მიერ დაჯავშნული თანხის (აკრედიტივის) ხარჯზე, რომელიც ეცნობება მყიდველის ბანკს მყიდველის ანგარიშიდან საბოლოო თანხის ჩამოსაწერად.

**ანგარიშსწორების ანგარიში** – (paying account) ანგარიში, რომელსაც ბანკი უხსნის იურიდიულ პირებს ფულადი სახს-

რების შესანახად და სხვა იურიდიული, ასევე ფიზიკურ პირებთან ანგარიშსწორების განხორციელებისათვის.

**ანგარიშსწორების ანგარიში** – ანგარიში, რომელსაც ბანკები უხსნიან დამოუკიდებელი ბალანსის მქონე იურიდიულ პირებს (საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს) იმისთვის, რომ შეინახონ ფულადი სახსრები და განახორციელონ ანგარიშსწორება სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.

**ანგარიშსწორების ანგარიში** – არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ანგარიში, რომელსაც უხსნიან კომერციული ანგარიშის პრინციპებზე მომუშავე და იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოებს.

**ანგარიშსწორების დღე** – ბირჟაზე ანგარიშსწორების დამთავრების დრო გარიგების მიხედვით.

**ანგარიშსწორების სისტემები** – ბუღალტრული სისტემის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები, პრაქტიკაში გავრცელებულია ანგარიშსწორების მარტივი და ორმაგი სისტემა. პირველი აღიცხავს საწარმოს მხოლოდ შემოსავლისა და გასავლის პარამეტრებს. ორმაგი სისტემა კი საწარმოს სამეურნეო საშუალებების ცვლილებას (შემოსავალი-გასავალი), ამ საშუალებების წარმოქმნის წყაროებთან მჭიდრო კავშირში.

**ანგარიშსწორების სუბანგარიში** – ანგარიში რომელიც იხსნება ფულადი რესურსების (ამონაგების) აკუმულაციის მიზნით ბანკის დაწესებულებებში იმ სამეურნეო საწარმოებისათვის, რომლებსაც აქვთ ქვედანაყოფები ან ფილიალები სხვა დასახლებულ პუნქტებში და რომლებიც არ შედიან ბანკის დაწესებულებების მოქმედების რაიონში, სადაც გახსნილია ძირითადი ანგარიშსწორების ანგარიში დადგენილ ვადებში. სახსრები სუბანგარიშებიდან გადაირიცხება ძირითადი ანგარიშსწორების ანგარიშებზე.

**ანგარიშსწორების ფასი** – მოცემულ დღეს თითოეული ფიუჩერსული პოზიციის ერთიანი ფასი ანგარიშსწორების ფასს აწესებს ანგარიშსწორების პალატა, როგორც წესი, საფუძ-

ვლად აიღება ვაჭრობის დამთავრების უკანასკნელ წუთებში შესრულებული გარიგების ფასი. ანგარიშსწორების ფასი გამოიყენება დეპოზიტების და მარჟის შეჯამების და იმ ფასის დასადგენად, რომლის მეშვეობით განხორციელდება ფიუჩერსული კონტრაქტები რეალური საქონლის მიწოდების შემთხვევაში.

**ანგარიშსწორების ფორმა** – საერთაშორისო კომერციული და საბანკო პრაქტიკით მიღებული საქონელგანმკარგულებითი და საგადასახადო დოკუმენტების გაფორმების, გაცემისა და ანაზღაურების ხერხებით.

**ანგარიშსწორების ფორმა** – წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობას, მ.შ. გადახდის ხერხი და მისთვის შესაბამისი დოკუმენტთბრუნვა. დოკუმენტთბრუნვას უწოდებენ საანგარიშსწორებო დოკუმენტებისა და ფულადი სახსრების გაფორმების, გამოყენებისა და მოძრაობის სისტემას, რომელშიც შედის: ანგარიშსწორების გამოწერა ტვირთის გამგზავნის მიერ და მისი გადაცემა ანგარიშსწორების სხვა მონაწილისათვის, საანგარიშსწორებო დოკუმენტის შევსების ვადები და ბანკისათვის, აგრეთვე ანგარიშსწორების სხვა მონაწილეებისათვის მისი წარდგენის წესი, საანგარიშსწორებო დოკუმენტის მოძრაობა საბანკო დაწესებულებებს შორის, საანგარიშსწორებო დოკუმენტის განაღდების და ფულადი სახსრების გადაგზავნისა და მიღების წესი და ვადები; ურთიერთკონტროლისათვის საანგარიშსწორებო დოკუმენტის გამოყენების და ეკონომიკური ზემოქმედების ღონისძიებათა გატარების წესი.

**ანგარიშ-ფაქტურა** – გამოიწერება მიმწოდებელი საწარმოს მიერ მყიდველის სახელზე პროდუქტის, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას.

**ანგარიშ-ფაქტურა** – დოკუმენტი მომზადებული გამყიდველის მიერ გაგზავნილი მყიდველისადმი, რომელიც შეიცავს გაყიდვის შესახებ გარიგების დეტალებს, მოცულობის (ერთეულების რაოდენობა), ერთეულზე ფასის, საერთო

ფასის, გაყიდვების პირობების, მიწოდების წესების მიხედვით. საცალო გაყიდვის დროს ანგარიშ-ფაქტურას ამზადებენ გარიგების მომენტში, საბითუმო გაყიდვის დროს ანგარიშ-ფაქტურა მომზადდება მას შემდეგ, როდესაც ბუღალტერიაში მიიღებენ ცნობას გაგზავნის განყოფილებიდან, ტვირთის მყიდველზე გადაგზავნის შესახებ.

**ანგარიშ-ფაქტურა** – ინვოისი – გამოიწერება მიმწოდებლის ორგანიზაციის მიერ მყიდველის სახელზე.

**ანგარიშფაქტურა** – სავაჭრო გარიგების ამსახველი დოკუმენტი, რომელსაც გამყიდველი ადგენს და უგზავნის მყიდველს, შეიცავს საქონლის მიწოდების საბაზისო პირობებს.

**ანგარიშ-ფაქტურა** – ძირითადი საანგარიშსწორებო დოკუმენტია, რომლითაც გამყიდველი მყიდველისგან ითხოვს მიწოდებულ საქონელზე თანხის გადახდას. ანგარიშში ჩვეულებრივ მოცემულია: ერთეული საქონლის ფასი და ანგარიშის მთლიანი თანხა ან სარგები გადასახდელი, საქონლის მიწოდების საბაზისო პირობები, გადახდის ხერხი და ანგარიშსწორების ფორმა, მონაცემები დაზღვევის შესახებ როდის უნდა ანაზღაურდეს და ვის მიერ) მონაცემები დაზღვევის შესახებ (ვინ იხდის) და სადაზღვევო პრემიის ზომა (CIF პირობით მიწოდებისთვის).

**ანგარიშ-ფაქტურების** – დაუყონებლივ გამოწერა და საქონლის დროული გაგზავნა – გავლენას ახდენს მიწოდების განაღდების პერიოდზე. ამიტომ, აუცილებელია, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი დრო საქონლის გაგზავნასა და ანგარიშ-ფაქტურების გამოწერას შორის, მაგალითად, საკანცელარიო და ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივებით.

**ანგარიშ-ფაქტურის დისკონტირება** – მისაღები ვალის მესამე პირზე მიყიდვა დისკონტით, ნაღდი ფულის დაუყონებლივ მიღების სანაცვლოდ.

**ანდერაიტერი** – გარანტი - მყიდველი ან საინვესტიციო ბანკირი – შუამავალი, ემიტენტ კორპორაციასა და საინვესტიციო საზოგადოებას შორის. ანდერრაიტერი რისკისა და

პასუხისმგებლობის განაწილებისთვის, როგორც წესი ქმნის ჯგუფს, რომელსაც სინდიკატი ეწოდება.

**ანდერძის ტრასტი** – არის მინდობილობა, რომელიც ანდერძის სახით ფორმდება. რწმუნებულ პირს ავალებენ განკარგოს ქონება და დანიშნულ ბენეფიციარებს შორის გაანაწილოს მიღებული შემოსავალი.

**ანიუიტეტი** – სკორინგი აქტივებისა და პასივების მართვის ინსტრუმენტარიუმი, მოიცავს საინფორმაციო სქემებს, დაგეგმვის მოდელებს, ანუ სცენარულ ანალიზს, ყოველთვიურ მიმოხილვას და სპეციალურ ანგარიშგებას. უკანასკნელ პერიოდში ბანკი გადავიდა ბალანსის მართვის ახალ სტრატეგიაზე, რომელიც მართვის პრინციპებს ეყრდნობა, გარდა ამისა არსებობს რამდენიმე სხვა ინსტრუმენტი, რომელთა მეშვეობითაც ბანკის აქტივებისა და პასივების მართვას ახორციელებენ. ესაა წმინდა საპროცენტო მარჟა, ვალის ხანგრძლივობა (ან მისი დაფარვის საშუალოშეწონილი ვადა), საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების მიმართ მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების დისბალანსი (გეპი), შემოსავლიანობის მრუდი.

**ანტეპრენიორი** – მესაკუთრე მეწარმე, რომელიც კომერციული იდეის საფუძველზე, მოგების მიზნით ეწევა ეკონომიკურ რისკს, დამოუკიდებლად აწყობს წარმოებას, ერთპიროვნულად მართავს და განაგებს მიღებულ შემოსავალს.

**ანტერპრენორი** – (anterpreneur) (ლათ. anterpreneur მეწარმე) 1.კერძო თეატრის, ცირკის და ა.შ. მფლობელი, არენდატორი; 2. მეწარმე;

**ანტერპროზი** – (private theატრეცალ ენტერპრისე) [ფრანგ. entreprise] კერძო სანახაობითი საწარმოო (თეატრი, ცირკი და ა.შ).

**ანტიდემპინგური ბაჟი** – შემოტანილი საბაჟო ბეგარის სახე, რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალისტური ქვეყნების საშინაო ბაზრის დაცვას საქონლის შემოტანისაგან დემპინგური ფასებით. ახდევინებენ იმპორტირებულ საქონელზე, რომლის რეალიზაცია ხდება დაბალი ფასებით ან

შემოაქვს ქვეყნიდან, რომლებიც სუბსიდიას უკეთებენ ექსპორტს.

**ანტიდემპინგური კანონმდებლობა** – (anti-dumping legistation) დემპინგის წინააღმდეგ მიმართული სოციალური სამართლებრივი აქტები და დებულებები.

**ანტიდოვლათი** – (bad) პროდუქტი, რომელსაც მომხმარებლისათვის უარყოფითი ეფექტი მოაქვს. ეს ტერმინი ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში. მას განსაკუთრებით ხშირად იყენებენ გარე ეფექტებთან დაკავშირებული ხარჯების განხილვისას.

**ანტიმონოპილისტური კანონმდებლობა** – კანონები, რომლებიც კრძალავენ კონკურენციის შეზღუდვის პრაქტიკას და მონოპოლისტური ძალების გაძლიერებას.

**ანტისატრესტო კანონი** – კანონი რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ის საწინააღმდეგო ნორმები, რომლებიც ზღუდავენ თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას, პირველი ცნობილია კლეიტონის სახელწოდებით მიიღეს 1914 წელს აშშ-ში, ხოლო მეორე შერმანის სახელწოდებით მიიღეს 1890 წელს.

**ანტიციპაცია** – ვალის გადახდა ვალდებულებებით დადგენილ ვადამდე.

**ანტიციფაცია** – (anticipation) (ლათ.anticipation) ფულის გადახდა სავალო ვალდებულებების საფუძველზე დათქმულ ვადამდე.

**ანტრეპრენიორი** – შრომის მართვის ინოვაციური სისტემის მთავარი ფიგურაა. ფაქტობრივად, ესაა ორგანიზაციაში ენერგიული ხელმძღვანელი, რომელიც მხარს უჭერს  და ავითარებს ახალ იდეებს, ზოგჯერ საკუთარს.

**აპორტები** – ქონება, რომელიც გადაეცემა სააქციო საზოგადოებას აქციების საფასურად.

**აჟიო** – 1. ქაღალდის ფულში გამოხატული ოქროს საბაზრო ფასის ზრდა  ქაღალდის ფულის რაოდენობასთან შედარებით. 2. ფასიანი ქაღალდებისა  და ფულადი ნიშნების საბირჟო (საბაზრო) კურსის აწევა, მათ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით. ანგარიშობენ პროცენტობით.

**აჟიო** – განსხვავება (ნამეტი) ბირჟაზე გაყიდული ფასიანი ქაღალდის (ან სხვა ფასეულობის) საბირჟო ფასსა და ნომინალს შორის. საბირჟო ფასების მკვეთრ მერყეობას ნომინალთან შედარებით აჟიოტაჟს უწოდებენ (იგივეა რაც ლაჟი).

**არაავტომატურია** – ლიცენზია ერთჯერადი გამოყენებისაა. იგი გარკვეული იმპორტიორისათვის (ექსპორტიორისათვის) გარკვეული საქონლის იმპორტზე (ან ექსპორტზე) გაცემული ნებართვაა.

**არავერბალური ინფორმაციის გაცვლით** – ინფორმაციის შემცველი ნიშნების გაცვლით სიტყვების გამოუყენებლად.

**არააკუმულირებადი ანგარიშების დახურვა** – (close moncimulative accounts) შემაჯამებელ ეტაპზე კომპანიის ფინანსური საქმიანობის შედეგების შეჯამება ხორციელდება. „შემოსავლებისა და ხარჯების ჯამური ანგარიშის“ დახურვის შედეგად მიღებული მოგების, ან ზარალის ჯამი საკუთარი კაპიტალის ანგარიშზე გადაიტანება.

**არაბული სტილი** – არაბებისათვის მთავარია პარტნიორთან ნდობის ატმოსფეროს შექმნა. ისინი საკმაოდ კეთილმოსურნენი არიან, აფასებენ იუმორის გრძნობას. აქვთ მკაფიოდ გამოხატილი საკუთარი ღირსების გრძნობა, კორექტურნი არიან საკუთარი მეგობრების მიმართ, დიდ ყურადღებას უთმობენ მოლაპარაკებებისათვის მზადების ეტაპს.

**არაგაბარიტული** მძიმეწონიანი ტვირთები, ტვირთის ცენტრის გადანაცვლებით ტვირთები, რომლებიც მოითხოვენ ტრანსპორტირების განსაკუთრებულ რეჟიმს, სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებისა და გადატვირთვის მოწყობილობების გამოყენებას.

**არადეპოზიტური სახსრები** – ის სახსრებია, რომელსაც ბანკი იღებს სესხის სახით ფულის ბაზარზე თავისი სავალო ვალდებულებების გაყიდვის გზით. საბანკო რესურსების არადეპოზიტური წყაროები დეპოზიტებისაგან განსხვავდება: ჯერ ერთი მათ არაპერსონალური ხასიათი აქვთ, ე.ი. ბანკის კონკრეტულ კლიენტს კი არ უკავშირდება, არამედ მას ბაზარზე იძენენ საკონკურენტო საფუძველზე, მეორეც

ამ სახსრების მოზიდვის ინიციატივა თვითონ ბანკს ეკუთვნის.

**არადეპოზიტური სახსრები** – ის სახსრებია, რომელსაც ბანკი იღებს სესხის სახით ან ფულს ბაზარზე თავისი სავალო ვალდებულებების გაყიდვის გზით.

**არადიფერენცირებული მარკეტინგი** – ერთ სეგმენტში ძალების თავმოყრის საპირისპირო და იგივე მიწოდებით ერთ-დროულად ერთიან ბაზარზე გასვლა.

**არადიფერენცირებული რისკი** – დამახასიათებელია მთელი ეკონომიკური სისტემისათვის ან ცალკეული ბაზრის-თვის, ხოლო დივერსიფიცირებული – კომპანიისათვის ან მისი ფინანსური აქტივებისათვის.

**არაეკონომიკური იძულება** – შრომისადმი იძულების ფორმა, რომელიც დამყარებულია უშუალო ბატონობასა და დაქ-ვემდებარებაზე, მშრომელთა პირად დამოკიდებულებაზე ექსპლუატატორებისადმი. დამახასიათებელია მონათმფლო-ბელობისა და ფეოდალიზმისათვის. მათი საწარმოო ძალით განვითარების დაბალი დონისათვის.

**არაელასტიური მოთხოვნა** – მოთხოვნა მოთხოვნაა რომლის ტენდენციაა, ფასების მცირე ცვლილებების მიუხედავად, დარჩეს უცვლელი.

**არაკომერციული გადაზიდვა** – შესრულებილი გადაზიდვა გასამრჯელოს გარეშე. არარეგულარური გადაყვანა-გადა-ზიდვა – ერთჯერადი კომერციული გადაყვანა-გადაზიდვა, რომელიც სრულდება განრიგის გარეშე და ყოველი რეისი მოითხოვს საავიაციო ხელისუფლებისაგან შესაბამის ნებართვას.

**არაკომერციული ორგანიზაციები** – (non profit institutions) არა-მომგებიანი ორგანიზაციები, (მაგალითად, მრავალი ორგა-ნიზაცია ჯანდაცვისა და განათლების სისტემაში) ითვლება, რომ ასეთი ორგანიზაციები მუშაობენ სპეციფიკურ რეჟიმში და სხვა ფირმებისაგან განსხვავებულ მიზნებს ასახავენ.

**არაკუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქცია** – ისეთი უვადო პრივილეგირებული აქციაა, რომელიც არ ხდება

წინა წლებში ბანკის მიერ გაუნაწილებელი დივიდენდის აკუმულირება.

**არალიკვიდობის რისკი** – მნიშვნელოვნად დიდია საბანკო საქმიანობაში – საკმარისი რაოდენობით ლიკვიდური სახსრების გარეშე დარჩენის საშიშროება, როდესაც ისინი აუცილებელია ანაბრებიდან ფულის გასაცემად ან საიმედო კლიენტებისათვის კრედიტების მისაცემად.

**არალიკვიდური ბანკი** – რომელიც ლიკვიდური აქტივებისა და ფულადი სახსრების ხარჯზე ვერ ახერხებს გაისტუმროს თავისი მიმდინარე ვალდებულებები ანაბრების ჩათვლით.

**არალიკვიდური სახსრები** – აქტივები, რომელთა ფულად გადაქცევა, ეტყობა ვეღარ მოხერხდება (ვადაგადაცილებული და უიმედო ვალები, ბანკის მიმართ ბანკის ის აქტივები, რომელთაც მყიდველები არ გამოუჩნდა.

**არალიმიტირებული საბანკო პროდუქტი** – ისეთი პროდუქტია, რომლის მოცულობა (რაოდენობა) არავითარი კვოტებით არაა შეზღუდული. ამ პროდუქტს უშვებენ შესაძლო პოტენციურ მყიდველზე გათვლით.

**არალიმიტირებული საბანკო პროდუქტს** – ეკუთვნის პლასტიკური საანგარიშსწორებო და საკრედიტო ბარათები, საბანკო ანგარიშები და ა.შ.

**არამატერიალურ აქტივებს** – მიეკუთვნება პატენტები, ლიცენზიები, სხვადასხვა უფლებები, გუდვილი და ა.შ. მათ ნივთიერი, ხელშესახები სახე არ გააჩნიათ.

**არამატერიალური აქტივები** – „გუდვილი“ ან ხელშეკრულებები ძირითადი კაპიტალი – სხვაობა მთლიანად საწარმოს ფასს და მის რეალურ ძირითად კაპიტალს შორის, არამატერიალური აქტივების შეფასების მეთოდები ფრიად ვარიაციულია.

**არამატერიალური აქტივები** – „გუდვილი“ და სხვა არამატერიალური ინვესტიციები (Goodvill and other intangille investments) ამ სახის აქტივებს მატერიალური ფორმა არ გააჩნიათ და კომპანიისთვის განსაზღვრულ ფასეულობას წარმოადგენენ.

**არამატერიალური აქტივები** – არის ისეთი აქტივები, რომლებსაც აქვთ გარკვეული ღირებულება და არა აქვთ მატერიალური ფორმა: მაგალითად პატენტები, საჯარო უფლებები, სასაქონლო ნიშნები, ნოუჰაუ, გუდვილი და ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტები;

**არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება** – არის არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებაზე დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით მისი გაანგარიშებისას N2961 საბალანსო ანგარიშზე რიცხულ თანხას აკლდება N4911 საბალანსო ანგარიშზე რიცხული თანხა.

**არამატერიალური აქტივების შეძენა** – შეიძლება გრძელვადიანი ინვესტიციების ხარჯზე. გაცვლის პირობებით, საკუთარი სპეციალური ქვედანაყოფების შექმნით, უსასყიდლოდ მიღების გზით განხორციელდეს.

**არამატერიალური მომსახურება** – შრომის ის სპეციფიკური ეკონომიკური ფორმა, რომლის სასარგებლო ეფექტიც არამატერიალიზებულ მომსახურებაში ვლინდება.

**არამწარმოებლური ხარჯები და დანაკარგები –** რომელიც გამოწვეულია გაერთაინების, საწარმოს ორგანიზაციის საწარმოო და სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობაში დარღვევებითა და ნაკლოვანებებით. მათ მიეკუთვნება: დანაკარგები წუნზე, შეკვეთების ანულირება ან მშენებლობის შეწყვეტა, მოწყობილობების მოცდენა.

**არაორდინალური (გაუთვალისწინებელი) შემოსავლები** – ბანკის ქონების რეალიზაციაზე დადებული ერთჯერად გარიგებებთან დაკავშირებით. ამ შემოსავალს აყალიბებს საბაზრო ფასის გადამეტება საბალანსო შეფასებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ოპერაციები უკავშირდება ხარჯებს, რომელიც ბანკის პირდაპირ ზრდას ქმნის.

**არაპირდაპირ ტრანზაქციაში** – კი იგულისხმება საქონლის დაწყობა საბაჟო საწყობებში მისი გადამუშავებისა და სხვა ქვეყანაში გადამუშავებული სახით გატანის მიზნით.

**არაპირდაპირი** – (ანუ ირიბი) ისეთი დანახარჯებია, რომელიც ერთდროულად რამდენიმე სახის პროდუქციაზე იხარ-

ჯება, ამიტომ გაწევის მომენტში ცნობილი არაა რომელიმე სახის პროდუქციის თვითღირებულებას მიეკუთვნოს და მხოლოდ განაწილების გზით (ანუ არაპირდაპირო გზით) შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში. არაპირ-დაპირი ხარჯების გაიგივება უშუალოდ დანახარჯების ერთეულთან ან დანახარჯთა ცენტრთან, შეუძლებელია. მათ მიეკუთვნება საწარმოო და არასაწარმოო ზედნადები ხარჯები. ამ თვალსაზრისით, საწარმოო ზედნადებში ხარ-ჯებში შედის: არაპირდაპირი მასალის ხარჯი, არაპირდა-პირი შრომითი ხარჯი, დანარჩენი არაპირდაპირი ხარჯები.

**არაპირდაპირი (ირიბი) ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები** – არიან პირები, (როგორც ფიზიკური ისე იურიდიული), რომელთაც აინტერესებთ გარკვეული ფინანსური ინფორმაცია. მათ რიცხვს მიეკუთვნება: საგა-დასახადო სამსახური, რომელიც დაინტერესებულია მოგების, ქონების, დამატებითი ღირებულების აქციების, საშემოსავლო და სხვა გადასახადების სწორად ადმინის-ტრირებაში; სტატისტიკური აღრიცხვის ორგანო; აღრიცხვის მარეგულირებელი ორგანო; მყიდველები და საზოგადო-ება მთლიანად, რომელთა დაინტერესებაც განპირობებუ-ლია იმით, რომ საწარმოთა მომგებიანობაზე ბევრად დამოკიდებული ინფლაცია გარემოს მდგომარეობა, სოციალური პრობლემები და ცხოვრების საერთო დონე.

**არაპირდაპირი გადასახადი არის** – ის საგადასახადო ანარიცხი, რომელსაც საქონლის შემენისას იხდის მყიდველი. ეს არის გადასახადი მოხმარებაზე, რომელსაც კრეფენ გაყიდვის ყოველი აქტიდან, დაწყებული დარგობრივი და განაწილე-ბითი ციკლიდან და საბოლოო მოხმარებით დამთავრე-ბული. არაპირდაპირი გადასახადი შედის საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასში.

**არაპირდაპირი ზემოქმედების გარემო** – გარესამყარო, რომლის ფაქტორები დაუყონებლივ და პირდაპირ არ ზემოქმედე-ბენ ორგანიზაციაზე, მაგრამ მაინც ახდენენ მასზე ზეგავ-ლენას.

**არაპირდაპირი საექსპლუატაციო დანახარჯები** – ისეთი არაპირდაპირი საექსპლუატაციო დანახარჯები – ხარჯები, რომელთა ხარჯვის მომენტში შეუძლებელია განისაზღვროს მგზავრგადაყვანების თუ ტვირთგადაზიდვების თვითღირებულებას მიკუთვნება, ვინაიდან, ორივე სახის საქმიანობაზე ერთდროულად იხარჯებიან. ამიტომაც ეს ხარჯები თვითღირებულებაში განაწილების გზით შეიტანება.

**არაპირდაპირი ფაქტორინგში** – მონაწილეობს ორი ფაქტორი: ფაქტორი ექსპორტიორის (მყიდველის) ქვეყანაში.

**არაპირდაპირი ხელფასი** – გაიცემა ისეთ სამუშაო დროზე, რომელიც კონკრეტულად არცერთი სახის პროდუქციის დამზადებაზე არ იხარჯება. მაგალითად, საექსპლუატაციო ინჟინრის ხელფასი. ექსპლუატაციის ინჟინერი მუშაობს დანადგარებზე, რომელთა მეშვეობით მრავალი სახის პროდუქცია მზადდება, ამიტომ ინჟინრის ხელფასი პროდუქციის თვითღირებულებაში უნდა შევიდეს, მაგრამ, წინასწარ ცნობილი არაა, მისი ხელფასი კონკრეტულად რომელი სახის პროდუქციის თვითღირებულებას მიეკუთვნოს. ამიტომ იგი პროპორციული წესით განაწილდება პროდუქციის სახეებს შორის.

**არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება** – იურიდიული პირი, რომელიც არ წარმოადგენს კომერციულ ბანკს და უფლებამოსილია მიიღოს დეპოზიტები და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოოს კანონმდებლობით განსაზღვრული საბანკო საქმიანობის ნაწილი, გარდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ ლიცენზირებული პირისა.

**არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება** – საკრედიტო კავშირი კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული საწარმო, რომელიც მხოლოდ თავისი წევრებისაგან – საკრედიტო კავშირების შესახებ კანონით ნებადართული სხვა საბანკო საქმიანობას და რომლის უმთავრესი მიზანი არ არის მოგების მიღება.

**არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებს –** რომლებიც ცენტრალური ბანკის მიერაა ლიცენზირებული, შეუძლიათ და მოვალენი არიან ჩაატარონ კანონით და მათი პერსონალური ლიცენზიებით გათვალისწინებული ცალკეული საბანკო ოპერაციები, საკუთრივ საბანკო ოპერაციები, ამ ორგანიზაციებისთვის არ ითვლება საქმიანობის ძირითად და რეგულარულ სახედ.

**არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები** – ისეთი დაწესებულებებია, რომლებიც ფორმალურად არ წარმოადგენენ ბანკებს (არა აქვთ საბანკო ლიცენზია), მაგრამ მათი ძირითადი საქმიანობაა ფინანსური მომსახურების გაწევას და ისეთი ოპერაციების განხორციელებას უკავშირდება, რომლებიც ბევრი რამით საბანკო ოპერაციების ანალოგიურია, ამიტომ ინგლისურენოვან ეკონომიკურ ლიტერატურაში არასაბანკო საკრედიტო საფინანსო ინსტიტუტებს Near bank-ებს უწოდებენ, რაც ბანკებთან ახლოს მდგომ დაწესებულებას ნიშნავს.

**არასაგადასახადო შემოსავლი** – ( off-budjet receipts) შემოსავალი, რომელიც არ არის გათვალისწინებული საგადასახადო კოდექსით. მას მიეკუთვნება ლიცენზიებისა და სხვა სახის სახელმწიფო მომსახურების გაწევიდან მიღებული მოსაკრებლები, სახელმწიფო ბიუჯეტის, სახელმწიფო ქონების არენდიდან მიღებული შემოსავალი და ა. შ.

**არასადეპოზიტო სახსრები –** ის სახსრებია, რომელსაც ბანკი იღებს სესხის სახით ან ფულის ბაზარზე თავისი სავალო ვალდებულებების გზით.

**არასაზოგადოებრივი (საუწყებო) დანიშნულების ტრანსპორტი** – შიდა საწარმოო ტრანსპორტის და სატრანსპორტო საშუალებების მფლობელი ყველა არასატრანსპორტო ორგანიზაციები. არასაზოგადოებრივი (საუწყებო) დანიშნულების ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაცია წარმოადგენს საწარმოო ლოგისტიკის სფეროს.

**არასამთავრობო ორგანიზაციები** – დამოუკიდებელი საინიციატივო საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ისინი პრაქ-

ტიკულად არსებობენ კავშირების, ცენტრების, ფონდების, ასოციაციების, გაერთიანებების და სხვა სახით. ხშირად სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების მიზნები ერთმანეთს ემთხვევა.

**არასაოპერაციო დანახარჯები** – ისეთი დანახარჯებია, რომელიც მოცემული საწარმოსთვის დამხმარე ხასიათის საქმიანობაზე გაიწევა. სამრეწველო ფირმებში ასეთ ხარჯებს მიეკუთვნება გადახდილი საიჯარო ქირის თანხები, სესხებზე გადახდილი პროცენტები, სასამართლო პროცესებზე გაწეული ხარჯები და სხვ.

**არასაოჯახო კორპორაციები** – უპირატესად იქმნება სოფლის მეურნეობაში წმინდა სამრეწველო მონოპოლიების შეჭრით, მონოპოლიებისა, რომლებიც ძირითად საქმიანობასთან ერთად მისდევენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას, ზოგჯერ – გადამუშავებას, შენახვასა და რეალიზაციას.

**არასაპროცენტო შემოსავალის ანალიზი** – მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა მისი სტრუქტურის შესწავლა არასაკრედიტო მომსახურების ცალკეულ სახეობათა ცხრილში, ან მომსახურების ბაზარზე ბანკის პოზიციების შენარჩუნებისა და განმტკიცების ალბათობის შესწავლა, მომსახურების თვითღირებულებისა და ფასის შედარება. არასაპროცენტო შემოსავლების ელემენტების სიდიდის ცვლილებების მიზეზების გამოვლენა.

**არასაპროცენტო ხარჯები** – შეიძლება იყოს: დისკონტის ხარჯები, ბაზარზე სპეკულატური ხასიათის მქონე ხარჯები, აქტივის გადაფასება, ჯარიმები, საურავები და პირგასამტეხლოები, მართვის აპარატის შენახვის ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კადრის მომზადება და ა. შ) სამეურნეო ხარჯები.

**არასაწარმო ზედნადები ხარჯები** – საწარმოს საერთო მმართველობითი ხარჯებია, როგორიცაა მარკეტინგისა და საერთო – ადმინისტრაციული ხარჯები.

**არასაწარმო ხარჯები** – დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციასთან (გასაღებასთან), რომლებიც შედიან პროდუქციის სრულ თვითღირებულებაში მათი საწარმოო ღირებულებების ზევით. მოიცავს ხარჯებს საწყობებში მზა პროდუქციის შეფუთვასა და ტარაზე, ტრანსპორტირებაზე გაგზავნის სადგურამდე, ტრანსპორტზე დატვირთვის, გადარიცხვებს გასაღების ორგანიზაციაზე და გასაღების სხვა დანახარჯებს.

**არასაწარმოო ზედნადები ხარჯები** – მართვისა და მომსახურების ხარჯებია, რომლებიც იხარჯება კომპანიის საერთო მართვა მომსახურების მიზნებისათვის. ეს ხარჯები არ წარმოადგენენ უშუალოდ წარმოების პროცესის მართვისა და მომსახურების ხარჯებს, ამიტომ, არასაწარმოო ზედნადები ხარჯები პროდუქციის თვითღირებულებაში არ შეიტანება.

**არასაწარმოო მოხმარება** – ესაა საზოგადოებრივი პროდუქტის გამოყენება პირადი და მოსახლეობის არასაწარმოო სფეროს დაწესებულებებსა და საწარმოებში.

**არასახელმწიფო საპენსიო ფონდები** – დაკრედიტება ეს ერთადერთი სფერო არაა, სადაც კომერციული ბანკები კონკურენციას აწყდებიან ნუარ-ბანკების მხრიდან. კერძოდ კლიენტების დროებით თავისუფალი სახსრების მოსაზიდად გამართულ კონკურენციაში ერთვებიან არასახელმწიფო საპენსიო ფონდები, რომლებიც ნებაყოფლობით დამატებით საპენსიო უზრუნველყოფას ახდენენ სამუშაოს დამკვეთთა მოქალაქეთა შენატანების ხარჯზე. ასეთი ფონდების აქტიურად შექმნა ერთგვარად ამცირებს ანაბრების შემოსავალს კომერციულ ბანკებში.

**არასრული დასაქმება** – (under empleyment) ეკონომიკური სიტუაცია, როდესაც მუშახელის მიწოდება აჭარბებს მასზე მოთხოვნას.

**არასრულყოფილი კონკურენციის თეორია** – საბაზრო ეკონომიკის თეორია, რომელიც ცნობს მასზე მონოპოლიების

ბატონობას და უძლეველობას ფასების ფორმირებისა და წვრილი მესაკუთრეების ექსპლუატაციაში. ის არ განიხილავს კონკურენციას მონოპოლისტური სექტორის შიგნით, არამედ იკვლევს უმთავრესად ფასწარმოქმნას, რომლებიც იქმნება მონოპოლიებისა და არამონოპოლიზირებული ფირმების შეჯახებისას.

**არასტაბილური გარესამყარო** – ფაქტორების ურთიერთკავშირის მაღალი დონის მქონე გარემოცვა, რაც განაპირობებს გარესამყაროს (გარემოს) სირთულეს, განუსაზღვრელობას და მოძრაობის უნარს.

**არასტანდარტული რისკი** – როდესაც ქვეყანა ვერ ასრულებს ვალის მომსახურების ვალდებულებებს, არ იღებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომიკური ადაპტაციის პროგრამებს ან არ მიჰყვება უკვე არსებულ პროგრამებს.

- მოვალე ქვეყნები (როდესაც ქვეყანამ შეაჩერა გადახდები და აგროვებს დავალიანებას);
- გაკოტრებული ქვეყნები.

ამ რეიტინგების შესაბამისად, ქვეყანას უწესებენ დაკრედიტების პირობებს, რომელშიც შედის კრედიტის მაქსიმალური სიდიდე (ქვეყნის ლიმიტი) სუბლიმიტები, მოქმედების ვადებისა და მსესხებელთა ეტაპების მიხედვით (სუვერენული რისკი, სამთავრობო დაწესებულებების დაკრედიტებისას და კომერციული რისკი კერძო სექტორის კომპანიების დაკრედიტებისას), აგრეთვე, რისკის ტიპების მიხედვით. კონკრეტულად აღებული ქვეყნისთვის თითოეულ ამ ელემენტს შეიძლება მივცეთ სხვადასხვა მნიშვნელობა კრედიტების პორტფელის ფორმირებისას.

**არატარიფული ბარიერები** – შემზღუდველი ღონისძიებები საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელიც გულისხმობს კონკრეტული ქვეყნიდან მიწოდების, წინადადებათა, შეთავაზებათა მიმართ დისკრიმინაციას ან ისეთი საწარმოო სტანდარტების არსებობას, რომლებითაც რომელიმე ქვეყნის საქონელი განიცდის დისკრიმინაციას.

**არატრადიციული მომსახურებიდან ბანკის შემოსავალს** – აყალიბებს სალიზინგო, საინფორმაციო, საკონსულტაციო მომსახურებიდან, კლიენტების სწავლებიდან და ა. შ. მიღებული შემოსავალი. სალიზინგო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალში შედის ლიზინგის გადასახადი, საპროცენტო გადასახადი და მომსახურების გაწევისთვის მიღებული კომისია.

**არაფინანსური ანუ ევრისტიკული მეთოდი** – შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ხელმძღვანელის მიერ დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებითა და საკუთარ ინტუიციაზე დაყრდნობით ოპტიმალური გადაწყვეტილების მაღალეფექტიანობაში მდგომარეობს, თუმცა, გამორიცხული არ არის არასაკმარისად დასაბუთებული ალტერნატიული ვარიანტების საფუძველზე არაეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიც.

**არაფონდირებული სესხები** – მოკლევადიანი სახელმწიფოებრივი სესხები, რომლებიც გამოშვებულია რამდენიმე კვირიდან 1 წლამდე ვადით; საფინანსო რესურსების მობილიზაციის მეთოდი. არაფონდირებული სესხების ძირითადი მყიდველები არიან ცენტრალური და კომერციული ბანკები, საბანკო გაერთიანებები.

**არაფორმალური ორგანიზაცია** – ადამიანების გაერთიანება, რომელიც ერთობლივად ახდენს ზოგიერთი პროგრამის მიზნის რეალიზაციას მათ შორის პირდაპირი კონტაქტების საფუძველზე წარმოადგენს ფორმალური ორგანიზაციის გარდაუვალ და არსებით შემავსებელს.

**არბიტრაჟი** – ანუ სამედიატორო სასამართლო ითვალისწინებს სადავო საკითხების გადაწყვეტას არბიტრების ანუ მხარეთა შორის შუაკაცების მეშვეობით.

**არბიტრაჟი** – ითვალისწინებს არბიტრის კანდიდატურის შერჩევას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ან მისი შერჩევის უფლება ეძლევა მესამე პირს.

**არბიტრაჟი ეწოდება** – ორ საერთაშორისო ფინანსურ ცენტრებს შორის გარიგებას ვალუტების კურსების დროებითი

სხვაობის საფუძველზე მოგების ანუ ე.წ. ჯობერის მოგების მიღების მიზნით.

**არბიტრი** – მხარეთა მიერ არჩეული ან საარბიტრაჟო შეთანხმებით დანიშნული კერძო მოსამართლეა.

**არენდა** – (ლათ გაქირავება) 1. ქონების დროებითი დაქირავება ხელშეკრულებით, გარკვეული გადასახადის დაფიქსირებით; 2. გადასახადი დროებით ქონების დაქირავებაზე.

**არენდა** – (ლათ. Arradar) ერთი პირის ან ორგანიზაციის მიერ მეორე პირის ან ორგანიზაციისგან ქონების (მიწის ნაკვეთის, საწარმოების, საცხოვრებელი ბინების და ა. შ.) დაქირავებაა განსაზღვრული ვადით და განსაზღვრული საფასურით.

**არენდა ეწოდება** – უძრავი ან მოძრავი ქონების დროებით დაქირავებას სათანადო კონტრაქტის გაფორმებით. პირს რომელიც არენდით გასცემს საქონელს, ეწოდება არენდაგამცემი, ხოლო ქონების არენდით ამღებ პირს ეწოდება **არენდატორი**.

**არსებითობა** – სეგმენტი საკმაოდ დიდი უნდა იყოს საიმედოდ, რომ მომგებიანი გამოდგეს მოცემული ბანკისათვის. ახალი საქონლის დამუშავების სტრატეგია ხორციელდება პრინციპულად ახალი საქონლისა და მომსახურების დამუშავების, უფრო ხშირად კი – უკვე არსებულის მოდიფიკაციისა და ძველ ბაზრებზე მათი რეალიზაციის გზით.

**არსებითობის კონცეფცია** – (money measurument concept) კომპანიებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ ბუღალტრულ ბალანსში რომელი ფასეულობების გათვალისწინებით მათთვის მნიშვნელოვანი და რომელი მაშინათვე ხარჯებს მიეკუთვნებიან.

**არსებობს ფრანშიზინგის სამი ტიპი** 1. ფრანშიზინგი მზა საქონლის გაყიდვაზე; 2. ფრაშიზინგი საქონლის წარმოებაზე და 3. ფრანშიზინგი საქმიანობის სახეზე. პირველ შემთხვევაში ფრანშიზი ყიდულობს ფრანშიზერის სასაქონლო მარკით საქონლის გაყიდვის უფლებით (თვით საქონელსაც ყიდულობს ფრანშიზერისაგან). მეორე შემთხ-

ვევაში ხდება დედა კომპანიისაგან საქონლის წარმოებისა და გასაღების უფლების ყიდვა. ამასთან ფრანშიზი იყენებს ამ კომპანიისაგან ნაყიდ ნედლეულსა და მასალებს; მესამე შემთხვევაში ფრანშიზი ყიდულობს საკუთარი ფიმის გახსნის უფლებას, რომელიც მოქმედებს კორპორაციის სახელით. ასეთი ალიანსის შემთხვევაში ფრანშიზის საწარმომ უნდა შეინარჩუნოს ძირითადი კომპანიის სახე.

**არტისტული ორიენტაცია** – ორიენტაცია, რომლის დროსაც ადამიანებს მიდრეკილება აქვთ დასაქმების ისეთი სახეობისადმი, როგორიცაა: მსახიობობა, მხატვრობა, მუსიკოსობა, რეკლამისტობა და ა.შ.

**არჩევა** – შერჩევა, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მყიდველის (გამყიდველის) უფლება შეიძინოს (გაყიდოს) ესა თუ ის ნივთი განსაზღვრულ დრომდე ან მოვლენამდე.

**არხის დონე** – ესაა შემავალი, რომელიც ასრულებს სამუშაოს საკუთრების უფლებით მისი საბოლოო მომხმარებელთან მიტანამდე.

**ასიგნაცია** – 1 ქაღალდის ფული. 2. ასიგნება ნიშნავს გარკვეული თანხის გაცემას რაიმე მიზნის განსახორციელებლად.

**ასკ** – აგროსამრეწველო კომპლექსი.

**ასორტიმენტი** – (ფრანგ) სხვადასხვა სახეობის და ხარისხის პროდუქტი.

**ასოციაცია** – ფიზიკური და იურიდიული პირების ნებაყოფლობითი გაერთიანება ერთობლივი თანამშრომლობის მიზნით.

**ასპექტი** – (ლათ. შეხედულება სახე) შეხედულება, თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც განიხილავენ საკითხებს, მოვლენებს და ა. შ.

**ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო** – (МАГАТЭ) დამოუკიდებელი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შედის გაეროს სისტემაში; ახალისებს და ხელს უწყობს ატომური ენერგიის განვითარებას და მის პრაქტიკულ გამოყენებას მშვიდობიანი მიზნებით, აგრეთვე, გამოკვლევებს ამ დარგებში.

**აუდიო-ვიდეო ტრენინგი** – სწავლების ეს მეთოდი იყენებს DVD-ს, ფილმებს, სლაიდებს. ეს ტრენინგი უფრო ძვირია, ვიდრე ლექციები, თუმცა მეტი უპირატესობით სარგებლობს.

**აუდიტი** – (ლათ) 1. ბუღალტრული შემოწმება, რევიზია კვალიფიციური სპეციალისტების მიერ რათა დადგინდეს შეესაბამება თუ არა არსებული მდგომარეობა სააღრიცხვო წესებსა და სტანდარტებს; 2. ანგარიშგება, რომელიც შეიცავს საწარმოს მდგომარეობის შესახებ ფინანსურ მონაცემებს, როდესაც საწარმო მიმართავს სესხს ან თავისი ფასიანი ქაღალდების დააბანდებას საფონდო ბირჟაზე, რომლისთვისაც აუცილებელია აუდიტი. ეს ანგარიშგება სარგებლობს დიდი ნდობით მაშინ, თუ ეს გაკეთებულია დიპლომირებული, დამოუკიდებელი ბუღალტრის (დდბ) მიერ. დდბ ფირმას კომპანიას ქირაობს თავისი საბუღალტრო აღრიცხვებისა და ფინანსური საქმიანობის შესამოწმებლად. დამოუკიდებელი აუდიტორი შემოწმების დროს იყენებს გარეშე წყაროებსაც (მიმართავს ბანკს და სხვ.) და ამზადებს ანგარიშს, სადაც აღნიშნულია თუ რამდენად შეესაბამება ფირმის საფინანსო ანგარიშგება საქმის რეალურ მდგომარეობას.

**აუდიტი** – ანგარიშგება, რომელიც შეიცავს საწარმოს მდგომარეობის შესახებ ფინანსურ მონაცემებს, როდესაც საწარმო მიმართავს სესხს ან დააბანდოს თავისი ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟებზე, მისთვის აუცილებელია აუდიტი. ეს ანგარიშგება სარგებლობს დიდი ნდობით მაშინ, თუ ის გაკეთებულის დიპლომირებული დამოუკიდებელი ბუღალტერის (დდბ) მიერ. დდბ-ს კომპანია ქირაობს თავისი საბუღალტრო აღრიცხვისა და სხვა ფინანსური საქმიანობის შესამოწმებლად. დამოუკიდებელი აუდიტორი შემოწმების დროს იყენებს გარეშე წყაროებსაც (მიმართავს ბანკს და სხვა) და ამზადებს ანგარიშს, სადაც აღნიშნულია თუ რამდენად შეესაბამება ფირმის საფინანსო ანგარიშგება საქმის რეალურ მდგომარეობას.

**აუდიტი** – არის ეკონომიკურ ქმედებათა და მოვლენათა შესახებ არსებული ცნობების ობიექტური შეკრებისა და შეფასების სისტემატური პროცესია, იმ მიზნით, რომ განისაზღვროს დადგენილ კრიტერიუმებთან ამ მტკიცებულების შესაბამისობის ხარისხი და შემოწმების შედეგები გადაეცეს დაინტერესებულ პირებს.

**აუდიტი** – ლათინური სიტყვიდან გამომდინარეობს და „მოსმენას“ ნიშნავს.

**აუდიტი** – საწარმოების ორგანიზაციების, ასოციაციების, ფონდების, კავშირების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური ანალიზი, ბუღალტრული კონტროლი, რევიზია, რომელსაც კვალიფიციური სპეციალისტების (აუდიტორული სამსახურები, აუდიტორები) დამოუკიდებელი სამსახურები ატარებენ. აუდიტის პროცესში ძირითადად ბუღალტრული ანგარიშგება ანალიზდება. აუდიტის მთავარი მიზანია შემოწმებული ობიექტების ფინანსური მდგომარეობის გამოვლენა და მათი გაუმჯობესების მიზნით სათანადო რეკომენდაციის შემუშავება.

**აუდიტი** – უნდა შეასრულოს პირმა ან პირებმა, რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება და ამჟღავნებენ აუდიტორული მუშაობისათვის აუცილებელ უნარჩვევებს.

**აუდიტის კლასიფიკაციას** – ახდენენ სხვადასხვა ნიშნით:

- შემსრულებლის მიხედვით – გარე (როცა მას ატარებენ ორგანიზაციის გარედან მოსული სპეციალისტები) და შიგა (როცა მას ატარებს თვით ორგანიზაცია);
- სპეციალიზაციის მიხედვით – მარეგულირებელი, ეტალონური, სტრატეგიული, სპეციფიკური;
- ობიექტის სისრულის მიხედვით – კომპლექსური და შერჩევითი;
- დროის მიხედვით – მიმდინარე და საბოლოო.

**აუდიტის პროცესი** – გულისხმობს შემდეგი ეტაპების განხორციელებას:

I ეტაპი – აუდიტის ჯგუფების ფორმირება;

II ეტაპი – აუდიტის ჯგუფების ფორმირება;

III ეტაპი – აუდიტის განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება;

IV ეტაპი – მომუშავეთა სიობრივი სიის და სხვა შიგა საფირმო დოკუმენტების შემოწმება;

V ეტაპი – ბიუჯეტის შესწავლა და გაანალიზება;

VI ეტაპი – დამატებითი ინფორმაციის მოპოვება მომუშავეებთან გასაუბრების, ინტერვიუების საშუალებით;

VII ეტაპი – შეგროვილი ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი; ინფორმაციის დამუშავება ცხრილების, სქემების, დიაგამების, და სხვათა სახით.

VIII ეტაპი – აუდიტის შესახებ საბოლოო ანგარიშის გაკეთება, წარდგენა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. იგი არის შემაჯამებელი დოკუმენტი, სადაც ასახულია ადამიანური რესურსების ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური ეფექტიანობა, რომელიც დაისაჯა აუდიტის შედეგად.

**აუდიტის სამსახურის** – მიზანია ორგანიზაციის ფინანსური, საბუღალტრო პროცედურების, ჩანაწერებისა და პოლიტიკის სამართლიანობისა და სიზუსტის შეფასება. აუდიტის მიერ შეგროვილი ინფორმაცია ღირებულება დამოკიდებულია მისი დამოუკიდებლობის დონეზე, აუდიტორების კომპეტენციაზე და აუდიტის მასშტაბზე, თუ ამ ფაქტორებიდან რომელიმე საეჭვოა, მაშინ ეჭვს იწვევს საერთოდ აუდიტის ადეკვატურობა. ბანკი, როგორც წესი, ატარებს როგორც შიდა, ისე გარე აუდიტს. შიდა აუდიტი ტარდება ბანკის შიდა კონტროლის განყოფილებების მიერ. იგი აწარმოებს ყველა სფეროს ოპერაციების მიმდინარე შემოწმებას.

**აუდიტორები** – ნდობით აღჭურვილი პირები, რომლებიც ახორციელებენ აუდიტს, ამოწმებენ საწარმოების (ბანკების) ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას.

**აუდიტორი** – ან აუდიტორები უნდა ზრუნავდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე, როდესაც მსჯელობენ მოცემულ დაკვეთასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

**აუდიტორია** – ადამიანთა რიცხვი, რომლებიც კონტაქტირებენ რეკლამის მატარებლებთან (თუ რეკლამის ბეჭდურ საშუალებას ყავს, მეორადი მყიდველები, აუდიტორია ზრდის ტირაჟს).

**აუთსაიდერი** – (ბანკის) Outsider) არაინსაიდერი.

**აუთსორსინგი** – ფირმის შინაგანი საქმიანობა, გარკვეული გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობის გადაცემა სხვა პირისათვის. რაც შემდგომში გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, წარმოების მაჩვენებლებს და მოიტანს მაღალ შემოსავალს, მოგებას.

**აუტსაიდერ**ი – არის არაინსაიდერი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

**აუტსაიდერი** – ბროკერი, რომელიც არ არის ბირჟის წევრი. მას შეუძლია მიიღოს სავაჭრო დარბაზში მუშაობის დროებითი, მიზნობრივი ნებართვა იმ პირობით, თუ დავიცავთ საბირჟო საქმიანობის ზოგიერთ წესს.

**აუტსორსინგი** – გულისხმობს ხელშეკრულების საფუძველზე გარე პროვაიდერისთვის ფირმის შიდა საქმიანობის გარკვეული სახეეების, გადაწყვეტილებების მიღების პასუხისმგებლობის გადაცემას. გადაცემა შეიძლება მოხდეს არა მარტო საქმიანობის გარკვეული სახეების, არამედ რესურსებიც, რომელიც საჭიროა პროდუქციის საწარმოებლად.

**აუტსორსინგი** – ფირმას საშუალებას აძლევს მიაღწიოს კონკურენტულ უპირატესობას და იმავდროულად შეამციროს დანახარჯები, ამასთანავე, ფირმას შეუძლია გადასცეს სხვა ფირმას რომელიმე ერთი ელემენტის შესრულების ფუნქცია დანარჩენი კი თვითონ დაიტოვოს.

**აუქციონები** – შეიძლება იყოს ღია და დახურული. ღია აუქციონი ტარდება მყიდველთა მონაწილეობით. ისინი ჩვეულებრივ მსხვილი აუქციონერებით. დახურულ აუქციონებში

მყიდველები და გამყიდველები თვითონ არ მონაწილეობენ, მათ დავალებებს ასრულებენ ბროკერები (სპეციალიზირებული საბროკერო ფირმები), რომლებიც საქონლის გაყიდვას ახორციელებენ კომისიის საფუძველზე და ამ საქმიანობისათვის ანაზღაურებას იღებენ მყიდველებისა და გამყიდველებისაგან.

**აუქციონების ფასები** – შეესაბამებიან აუქციონებზე განხორციელებულ გარიგებათა ფასებს.

**აუქციონი** – საჯარო ვაჭრობა აუქციონერის ხელმძღვანელობით, რომლის დროსაც გასაყიდ საქონელს იძენს უმაღლესი ფასის გადამხდელი პირი.

**აუცილებელი რეზერვების ჩამოყალიბება** – სავალდებულოა და მას გაწეული საბანკო მომსახურების თვითღირებულებაში რთავენ. ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელი რეზერვის სახსრების ხარჯზე იქმნება.

**აქსელატორი** (ლათ. Accelero-ვაჩქარებ) ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს კავშირს ეროვნული შემოსავლის (ან საბოლოო პროდუქცია) და კაპიტალდაბანდების მოცულობას შორის. აქსელერატორი გამოიყენება ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკურ მოდულებში მულტიპლიკატორთან ერთად.

**აქტი** – იურიდიული ძალის მქონე ოფიციალური დოკუმენტი, ოქმი, რომელიც ადასტურებს გარკვეულ ფაქტს.

**აქტი ლოჯისტიკური** – შეტყობინება დგება გენერალურ აქტთან ერთად, დამატებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთების მიღების დროს გამოვლენილია დანაკლისი, ფუჭი, დანაკარგები, შეფუთვის დაზიანება და ა.შ. წარმოადგენს საფუძველს პრეტენზიის წასაყენებლად იმ მხარისათვის, რომელმაც დაუშვა ეს შემთხვევები.

**აქტივები** – (assets) საწარმოს რესურსები, რომლებმაც მას სარგებელი უნდა მოუტანონ. კორპორაციის აქტივები მის საკუთრებას უნდა წარმოადგენდეს და ადრე შეძენილი უნდა იყოს (შეძენის სტადიაში არ უნდა იმყოფებოდეს).

**აქტივები** – არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსები, რომლებიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგს წარმოადგენს, რის საფუძველზეც დაწესებულება მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას მოელის.

**აქტივები** – ესაა ნებისმიერი რამ რასაც ეკონომიკური ღირებულება გააჩნია.

**აქტივები მაღალი დივიდენდებით** – „ბლიუ ჩიპის“ ტიპის კომპანიების აქციები – ჩვეულებრივი აქციები მაღალი ფასით და შემოსავლის დაბალი დონით. ტერმინი „ბლიუ ჩიპი“, ან „ცისფერი ჩიპი“ წარმოიშვა პოკერის თამაშიდან, სადაც ცისფერი კენჭები ყველაზე ძვირფასია.

**აქტივების** – და აქციონერული კაპიტალის ბუღალტრული აღრიცხვის წესების მიხედვით განსაზღვრულ ღირებულებას მათ **საბალანსო ღირებულებას** უწოდებენ.

**აქტივების** – მისი ღირებულების დაცულობაზე (კლიენტთა გადაჭარბებული რისკის ან ბაზრის პირობების ცვლილებების გამო შესაძლო დანაკარგების ნეიტრალიზაცია).

**აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი** – (Assets turnover ratio) გვიჩვენებს თუ რა ინტენსივობით ხდება კომპანიის აქტივების გამოყენება რეალიზაციისათვის.

**აქტივების გადახდილი ნაწილი** – 1. ჩვეულებრივი და პრივილეგიური აქციების მფლობელების წილი საწარმოს კაპიტალში. 2. მარჟა ანუ სხვაობა ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულებასა და მათგან მიღებული სესხის სიდიდეს შორის.

**აქტივების გამოყენება** – არის ბანკის ერთობლივი საოპერაციო შემოსავლების მისი ერთობლივ აქტივებთან თანაფარდობა, რომელიც ყველა აქტივების მიმართ ბანკის საშუალო შემოსავალზე მიუთითებს.

**აქტივების განაწილების მეთოდი** – ლიკვიდობის მართვის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ბანკის აქტივებისა და პასივების შეპირისპირებას ვადებისა და თანხების მიხედვით. ამისათვის სახსრების განთავსების წყაროებსა

და ძირითად მიმართულებებს აჯგუფებენ და ისე უპირისპირებენ ერთმანეთს რომ პასივების გარკვეული ჯგუფების სახსრები აქტივების გარკვეულ ჯგუფებში განთავსდეს დაბანდებათა შემოსავლიანობისა და ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნების გათვალისწინებით.

**აქტივების კონკრეტული სახის შესაბამისად** – ფინანსური ბაზარი სამ სექტორად შეიძლება დავყოთ 1. საკრედიტო ბაზარი, 2. ფასიანი ქაღალდების ბაზარი, 3. სავალუტო ბაზარი.

**აქტივების ლიკვიდობა** – ფულის სახსრებად აქტივების გარდასახვის უნარი.

**აქტივების მართვა** – არსებითად ეს არის აქტივების კონკრეტული პროდუქტის, ჯგუფის ან პორტფელის ხარისხის მართვა.

**აქტივების მართვაც** – ხდება საბანკო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების, გარემოს მავნე გავლენის შემზღუდავი საბანკო პროდუქტის მომხმარებელთა ინტერესების ბალანსირების აუცილებლობის გათვალისწინებით. აქტივების მართვის სფეროში საბანკო მენეჯმენტის ამოცანებს მიეკუთვნება: შემოსავლიანობის უზრუნველყოფა.

**აქტივების მართვით დაკავებული ფირმები** – აქტივების მართვით დაკავებულ ფირმებს უწოდებენ ინვესტიციათა რწმუნებით მმართველ კომპანიებს, რომლებიც კონსულტაციებს უწევენ და ხშირად მიმართავენ კიდეც, საერთო ან საპენსიო ფონდებსა და აქტივთა სხვა გაერთიანებებს, ცალკეული პირების, ფირმების ან სახელმწიფო ორგანიზაციების სასარგებლოდ.

**აქტივების მართვის დროს** – ბანკი განსაზღვრავს საკუთარი და მოზიდული სახსრების იმგვარად განთავსების გზებს, რომ მინიმალური რისკით მიიღოს მაქსიმალურად შესაძლო შემოსავალი და ამ დროს ლიკვიდური დარჩეს.

**აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი** – საწარმოს მიერ მის აქტივებში ჩადებული თითოეული ლარიდან მიღებული მოგების სიდიდის მახასიათებელია.

**აქტივების საბალანსო ღირებულება** – ეს არის ის თანხა, რომელიც ფირმამ გაიღო აქტივების შესაძენად.

**აქტივების სტრუქტურა** – გვიჩვენებს რაც უფრო მეტია პირველი კლასის ლიკვიდური აქტივების ხვედრითი წილი აქტივების მთლიან თანხაში, მით უფრო მაღალია ბანკის ლიკვიდობა. თუმცა, აქ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი აქტივები (სალაროს ნაღდი ფული და სხვა) შემოსავალს არ იძლევა. ამიტომ აქტივების ისეთი სტრუქტურა, რომელიც მხოლოდ მოცემული კრიტერიუმს უპასუხებს, არ შეიძლება ოპტიმალურად ჩაითვალოს. ამის გათვალისწინებით ბანკი უნდა ეძებდეს და პოულობდეს გაწონასწორებულ გადაწყვეტილებას – თავისი ლიკვიდობის კარგ დონეზე შენარჩუნების აუცილებლობასა და მაქსიმალური შემოსავლიანობის უზრუნველყოფის მოთხოვნილებას (ეს კი მოითხოვს) რაც შეიძლება მეტი წილის მქონე რესურსების მოქცევას მოგების მომტან ოპერაციებში.

**აქტივების სტრუქტურა** – გვიჩვენებს რაც უფრო მეტია პირველი კლასის ლიკვიდური აქტივების ხვედრითი წილი აქტივების მთლიან თანხაში, მით უფრო მაღალია ბანკის ლიკვიდობა. თუმცა აქ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი აქტივების (სალაროს, ნაღდი ფული და სხვა) შემოსავალს არ იძლევა. ამიტომ აქტივების ისეთი სტრუქტურა, რომელიც მხოლოდ მოცემულ კრიტერიუმს უპასუხებს, არ შეიძლება ოპტიმალურად ჩაითვალოს. ამის გათვალისწინებით ბანკი უნდა ეძებდეს და პოულობდეს გაწონასწორებულ გადაწყვეტილებას – თავისი ლიკვიდობის კარგ დონეზე შენარჩუნების აუცილებლობასა და მაქსიმალური შემოსავლიანობის უზრუნველყოფის მოთხოვნილებას (ეს კი მოითხოვს, რაც შეიძლება მეტი წილის მქონე რესურსების მოქცევას მოგების მომტან ოპერაციებში) გათვალისწინებით.

**აქტივების ღირებულების მიხედვით** – შეწონილი მათი დაფარვის საშუალო ვადა (წლებით) ტოლია სესხებიდან და ფასიანი ქაღალდებიდან მოსალოდნელი შემოსულობათა

დროის მიხედვით შეწონილი განაწილების შეფასებისას სესხებისა და ფასიანი ქაღალდების დაყვანილ ღირებულებასთან.

**აქტივებისა და პასივების ბალანსი** – ბუღალტრული ანგარიშგების ფორმა, მაჩვენებელთა სისტემა დაჯგუფებული კრებსით ცხრილში, რომლებიც ახასიათებენ ფულად გამოხატულებაში საშუალებების შემადგენლობას, განლაგებას, წყაროს და დანიშნულებას საანგარიშგებო პერიოდისათვის. შედგება ორი ნაწილისაგან: მარცხენა – აქტივი, მარჯვენა – პასივი, მათი ჯამი ტოლი უნდა იყოს.

**აქტივებისა და პასივების მართვის** – (საპროცენტო განაკვეთების რისკის ჰეჯირების) ერთერთი ძირითადი მეთოდია გეპის მართვა, რომელიც ეყრდნობა აქტივებისა და პასივების დაფარვის ვადებს შორის არსებული განსხვავებების გამო წარმოქმნილი რისკის ცვლილებებს.

**აქტივებისა და პასივების მართვის** – დროს გამოყენებული მეორე მაჩვენებლის დაგროვილი გეპის სიდიდე, რომელიც წარმოადგენს მგრძნობიარე აქტივების მთლიან მოცულობასა და იმ ვალდებულებებს შორის სხვაობას, რომლებიც დროის გამოსაკვლევი შუალედის განმავლობაში შეიძლება გადაფასდეს.

**აქტივებისა და პასივების მართვის ბუღალტრული მოდელი** – გულისხმობს ბანკის მარჟის სიდიდეს (საპროცენტო შემოსულობებსა და საპროცენტო დანახარჯებს შორის სხვაობის) მაქსიმიზაციას ან სტაბილიზებას რისკის დასაშვები დონის პირობებში. ეს მაჩვენებელი უნდა განვასხვავოთ სპრედისაგან, რომელიც ფასისმიერი მაჩვენებელია და ახასიათებს განთავსებულ და მოზიდულ სახსრებზე განაკვეთებს შორის სხვაობას.

**აქტივებისა და პასივების მართვის კონცეფცია** – სპრედის მართვის სტრატეგიის განვითარების შედეგად გაჩნდა. ამასთან შეიმუშავეს პასივების მართვის სტრატეგია, რომლის მიზანია ერთიანი კონტროლის დაწესება, როგორც ბანკის სახსრების წყაროებზე, ასევე აქტივებზე.

**აქტივი** – რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს, წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და რომლის გამოყენების შედეგადაც საწარმო მოელის რაიმე ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

**აქტივის გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი** – შემოსავლის მომტან ანგარიშებზე არსებული საშუალო ნაშთების შეფარდება მთელი აქტივების ანგარიშების საშუალო ნაშთებთან. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ აქტივების რა ნაწილს მოაქვს მოგება.

**აქტიური ანგარიშები** – ბანკის მიერ თავისი ფინანსური რესურსების განლაგება ბრუნვაში გაშვებისა და მოგების მიღების მიზნით. მათზე აღირიცხება რესურსები შემადგენლობა და უჩვენებს მათ განთავსებას.

**აქტიური ბაზარი** – ბაზარი, სადაც არსებობს შემდეგი პირობები: ბაზარზე არსებული საქონელი ერთგვაროვანია (როგორც წესი, ყოველთვის არსებობენ დაინტერესებული მყიდველები და გადამყიდველები), ფასები ცნობილია საზოგადოებისთვის.

**აქტიური მართვის** – მთავარი ამოცანაა საინვენსტიციო სახსრებისგან მოსალოდნელი შემოსავლების ზუსტი პროგნოზი. მის საბაზისო მახასიათებლად გამოიყენება: 1. პორტფელის ფორმირებისათვის მისაღები ფასიანი ქაღალდების შერჩევა და 2. ფინანსური აქტივების ყიდვის ან გაყიდვის ვადების განსაზღვრა.

**აქტიური ოპერაციები** – ბანკის საკუთარი და მოზიდული სახსრების განთავსებით მოგების მიზნით – ბანკის აქტიური ოპერაციების ხარისხიანად განხორცილებაზეა დამოკიდებული ბანკის ლიკვიდობა, შემოსავლიანობა, აქედან გამომდინარე კი ფინანსური საიმედოობა და მთლიანად მისი მდგრადობა.

**აქტიური სუბანგარიშები ანგარიში,** რომელიც იხსნება ფულადი რესურსების (ამონაგების) აკუმულაციის მიზნით ბანკის დაწესებულებებში იმ სამეურნეო საწარმოებისთვის, რომლებსაც აქვს ქვედანაყოფები ან ფილიალები სხვა დასა-

ხულ პუნქტებში და რომლებიც არ შედიან ბანკის დაწესებულებების მოქმედებების რაიონებში, სადაც გახსნილია ძირითადი ანგარიშსწორების ანგარიში, დადგენილ ვადებში სახსრები სუბანგარიშებიდან გადაირიცხება ძირითადი ანგარიშსწორების ანგარიშზე.

**აქტიური ფასიანი ქაღალდი** – ფასიანი ქაღალდები, რომლებიც წარმოადგენენ მასობრივი ყიდვა-გაყიდვის ობიექტს, ასეთი ფასიანი ქაღალდების კოტირება ხშირად ქვეყნდება პრესაში.

**აქტიურობა –** ხასიათის მქონე ელემენტი. იგი შეიძლება იყოს მაღალი და დაბალი. ორგანიზაციის წევრთა მაღალი აქტიურობა სასარგებლოა რამდენადაც მას თან ახლავს შრომის ეფექტიანობის ამაღლება.

**აქტიურ-პასიური ანგარიშებით** – ძირითადად აღირიცხება სხვა ბანკებთან მოცემული ბანკის ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ოპერაციები (მათ შორის უცხოურ ბანკებთან) საანგარიშსწორებო ოპერაციები კლიენტებთან, მეანაბრეებთან და სხვა კრედიტორებთან.

**აქცეპტები** – 1. თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე 2. წარწერა გადასაპირებულ თამასუქზე, რომლითაც გადამხდელი ადასტურებს თავის ვალდებულებას გაანაღდოს თამასუქი მასზე მითითებულ ვადაში. აქცეპტს აფორმებს აქცეპტანტი წარწერით „აქცეპტირებული“ და ხელის მოწერით. 3. ბანკის თანხმობა გადასაპირებელ თამასუქზე აღნიშნული თანხის გადახდის გარანტის შესახებ.

**აქცეპტი** – ლათ (ACCEPTUS – მიღებული) - გადამხდელის ვალდებულება (თანხმობის დადასტურება) დადგენილ ვადაში გაანაღდოს გადასაგზავნი თამასუქები (ტრატა) გასანაღდებლად წარმოდგენილი ანგარიში, დააკმაყოფილოს განაღდების სხვა მოთხოვნები. აქცეპტი ფორმდება საგადამხდელო მოთხოვნაზე წარწერით „აქცეპტირებულია“ და ხელმოწერით. დოკუმენტის აქცეპტირება მის განაღდებაზე გადამხდელის (ბანკის) თანხმობაა. აქცეპტს უწოდებენ აგრეთვე ერთ-ერთი მომლაპარაკებელი მხარის

თანხმობას ხელშეკრულების დადებაზე მეორე მხარის წინადადებით (ოფერტათი).

**აქცეპტირება** – სესხის გარანტირება გადასაგზავნი თამასუქების ფორმით, რომელიც განაღდებული იქნება მაშინაც კი, თუ თავდაპირველი მსესხებელი გადახდისუნარიანი აღმოჩნდება. იგი ხორციელდება კომერციული დაწესებულების მიერ, თავისივე ხელმოწერით, რომ იგი „აქცეპტს უკეთებს“ თამასუქებს, რომელიც გამოწერილია მსესხებლის სახელზე, რისთვისაც იღებს საკომისიოს.

**აქცეპტირებული ჩეკი** – ჩეკი რომელსაც ბანკის მხრივ მასში აღნიშნული თანხის განაღდების გარანტია აქვს.

**აქცეპტურ რამბუსული კრედიტი** – აქცეპტური კრედიტის სახეობა, რომლის დროსაც ნაღდი გადამხდელებით ექსპორტიორები არიან დაინტერესებული. ფაქტობრივად იგი სავაჭრო ოპერაციების მოკლევადიანი საბანკო დაკრედიტებითაა, რომელიც ტარდება ტრატის დახმარებით, როდესაც გამყიდველი მყიდველის გადასახდელს აქცეპტამდე ტრატის გათვალისწინებით თავის ბანკში ნაღდი ფულით გაყიდული საქონლისათვის იღებს. ასეთი კრედიტის პირობები (ვადა ლიმიტი, სარგებლის განაკვეთი გარანტიები და სხვა წინასწარი ბანკთშორისი მოლაპარაკების მსვლელობის დროს დგინდენა. იმპორტიორი ბანკის მიერ საკუთარი დავალიანების დაფარვის წესიც მაშინვე განისაზღვრება.

**აქცეპტური ანგარიშები** – ბანკის მიერ თავისი ფინანსური რესურსების განლაგება ბრუნვაში გაშვებისა და მოგების მიღების მიზნით. მათზე აღირიცხება რესურსების შემადგენლობა და უჩვენებს მათ განლაგებას.

**აქცეპტური კრედიტი** – ბანკების მიერ გაცემული კრედიტი, კრედიტის წარდგენილი გადასაპირებული თამასუქის აქცეპტირების გზით, გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობაში, როგორც იმპორტის დაკრედიტების ერთ-ერთი ფორმა.

**აქცეპტური რამბუსული კრედიტი** – აქცეპტური კრედიტის გართულებული ფორმა, რომლის დროსაც თამასუქი წარედგინება არაიმპორტიორის ბანკს, არამედ ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე რომელიმე პირველხარისხოვან ბანკს საერთაშორისო ბაზარზე.

**აქცეპტური ჩეკი** – ჩეკი, რომელსაც ბანკის მხრივ მასში აღნიშნული თანხის განაღდების გარანტია აქვს.

**აქცია** – (share, stock) სახსრების მოპოვების მიზნით სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებული გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდი. აქციის მყიდველი გადახდილი ფულის სანაცვლოდ ხდება კომპანიის სრულუფლებიანი თანამესაკუთრე, ანუ მონაწილეობს მის მართვასა და მოგებაში. (შენიშვნა; ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად დიდ ბრიტანეთში სიტყვა stock განსხვავდება მნიშვნელობით სიტყვა Share-სგან და აღნიშნავს კომპანიის ან სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ გრძელვადიან სასესხო ვალდებულებას).

**აქცია** – ფასიანი ქაღალდი – მისი მფლობელისთვის მოაქვს შემოსავალი. დივიდენდის სახით შეიძლება გამოშვებულ იქნეს პრივილეგირებული ან ჩვეულებრივი აქცია.

**აქცია** – ფასიანი ქაღალდი, რომელიც მოწმობს სააქციო საზოგადოების კაპიტალში გარკვეული პაის შეტანას და იძლევა დივიდენდის სახით მოგების ნაწილის მიღებაზე უფლებას. აქციის საკონტროლო პაკეტი, აქციონერების ის რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს მათი მფლობელების ბატონობას სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოებაში საკონტროლო პაკეტს ფლობს ის, საერთო კრებაში გააჩნია 50% +1 ხმა.

**აქცია** – წარმოადგენს ფირმის საკუთრების ნაწილის ფლობის უფლებას. აქციის კურსი განსაზღვრავს ფულის თანხას, რომელსაც იხდის ინვესტორი საკუთრებაში მონაწილეობისათვის.

**აქცია კომპანიის საკუთარ კაპიტალში** – მისი მფლობელის მონაწილეობის დამადასტურებელი ფასიანი ქაღალდია. აქციის ყიდვის შემთხვევაში ყოველი ინვესტორი ხდება

კომპანიის წილობრივი მესაკუთრე და ვარაუდობს მოგების მიღებას დივიდენდის სახით.

**აქცია პაკეტი** – ფასიანი ქაღალდების დიდი პარტია, რომლის ჩვეულებრივი მინიმუმი 200 მლნ დოლარის ოდენობით ან 10000 აქციით განისაზღვრება.

**აქცია პლურალური** – აქცია რომელიც აქციონერს აქციონერთა საერთო კრებაზე რამდენიმე ხმის უფლებას აძლევს.

**აქციებზე მუშაობა** – გამოშვება, შეთავაზება, განთავსება, გამოსყიდვა, კოტირების შენარჩუნება, ობლიგაციებში აქციების კონვერტირების და პირიქით) ამ მიზნით ამ მეთოდს გააჩნია, როგორც უდაო უპირატესობანი – მაგ: კაპიტალის კონცენტრაციის მოკლე ვადები, ასევე არსებითი ნაკლოვანებები, მაგალითად ის ქმნის სერიოზულ პოტენციურ პრობლემებს.

**აქციები** – ფირმის მესაკუთრეთა მიერ მისი აქტივების ნაწილისადმი წარმოდგენილი მოთხოვნაა. ამასთან ფასიან ქაღალდებს, რომლებიც მოწმობენ კორპორაციის ნაწილის ფლობის უფლებას, აშშ-ში ჩვეულებრივ აქციებს უწოდებენ, დიდ ბრიტანეთში კი უბრალოდ აქციებს.

**აქციები პრივილეგირებული** – აქციები, რომლებიც იძლევიან უფლებას შემოსავლის პირველ რიგში მიღებაზე. იგი გადარიცხულია საწარმოს წმინდა მოგებიდან დაბანდებულ კაპიტალზე ფიქსირებული პროცენტის სახით.

**აქციების გაყიდვების ხარჯზე დაფარული ფასიანი ქაღალდები** – ეს ისეთი სავალო ვალდებულებებია, რომელთა დაფარვა მხოლოდ აქციების გაყიდვის მეშვეობით ხდება.

**აქციების გაყიდვის** – ხარჯზე დაფარული ფასიანი ქაღალდები – ეს ისეთი სავალო ვალდებულებებია, რომელთა დაფარვა მხოლოდ აქციების გაყიდვის მეშვეობით ხდება. არადეპოზიტური სახსრები ის სახსრებია, რომლებსაც ბანკი იღებს სესხის სახით ან ფულის ბაზარზე თავისი სავალო ვალდებულებების გაყიდვის გზით.

**აქციების ნომინალური ღირებულება** – ეს არის პირობითად გარკვეული ღირებულება რომელსაც ადგენენ აქციის

ემისიის დროს და ასახავენ აქციის სერთიფიკატში. ნომინალურ ღირებულებას პრაქტიკულად არ აქვს კავშირი მის რეალურ ღირებულებასთან.

**აქციების საბაზრო ღირებულება** – არის აქციის მიმდინარე ფასი (კურსი) ბირჟაზე ან არასაბირჟო ბაზარზე.

**აქციების საბალანსო ღირებულება განისაზღვრება** – კორპორაციის აქტივების წმინდა ღირებულების გაყოფით გამოშვებული და გავრცელებული აქციების რაოდენობაზე.

**აქციებში კონვერტირებადი ვალი** – სესხებით და/ან სავალო ფასიანი ქაღალდებით მიღებული ფულადი სახსრები, რომლებიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დადგომისას კონვერტირდება ბანკის ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში.

**აქციზი** – წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს, რომელიც შედის აქციზური საქონლის სარეალიზაციო ფასში.

**აქციზი** – წესდება ისეთ საქონელზე – რომელსაც ახასიათებს ორი ძირითადი თვისება: 1) ფასისაგან დამოუკიდებლად იყიდება განუსაზღვრელი რაოდენობით; 2) არის შეუცვლელი სამომხმარებლო საქონელი. იგი შედის შესაბამისი საქონლის (შაქრის, ჩაის, ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს, მარილის, ბენზინის და ა.შ.) ფასში. აგრეთვე, სატრანსპორტო, კომუნალური და სხვა მომსახურების ტარიფში. აქციზი ზღუდავს მოხმარებას. ზოგჯერ აქციზებით იბეგრება წარმოებრივი მოხმარების საგნები.

**აქციზით დაბეგვრის ობიექტია** – საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მოწოდება ან საწარმოს საწყობიდან საქონლის გატანა, მათ შორის დამკვეთის ნედლეულით საქართველოში დამზადებული აქციზური საქონლის გადაცემა და საქართველოში აქციზური საქონლის იმპორტი. მაგალითად, თუ საწარმომ მყიდველს მიაწოდა 10000 ლარის ღირებულების აქციზური საქონელი, ხოლო 3000 ლარის აქციზური საქონელი საწყობიდან გაიტანება თავისივე სავაჭრო ობიექტში ამ საქონლის საცალო წესით რეალიზაციის მიზნით, ასეთ შემთხვევაში აქციზით დაბეგვრის

ობიექტი იქნება, როგორც მყიდველზე მიწოდებული, ასევე თავისივე სავაჭრო ობიექტში საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანილი 13000 ღირებულების (10000+3000) საქონელი.

**აქციის საკონტროლო პაკეტი** – აქციების ის რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს მათი მფლობელების მმართველობას სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოებებში საკონტროლო პაკეტს ფლობს ის ვისაც საერთო კრებაზე გააჩნიათ 50 %-ის ხმა.

**აქციის შემოსავლიანობა** – აქციის წლიური დივიდენდი. გვიჩვენებს გადასახდელი დივიდენდის დამოკიდებულებას ფასიანი ქაღალდის (აქციის) ღირებულებისადმი პროცენტებში.

**აქციონერთა უფლებები** – კორპორაციული მართვის სტრუქტურა, რომელიც იცავს აქციონერების უფლებებს. ინვესტორებს, რომლებიც აბანდებენ სახსრებს სხვადასხვა კაპიტალში აქვთ გარკვეული ქონებრივი უფლებები მაგალითად, მათ შეუძლიათ ჩვეულებრივი აქციის შესყიდვა, გაყიდვა ან გადაცემა. ჩვეულებრივი აქცია ინვესტორს აძლევს უფლებას კორპორაციის მოგების ნაწილზე ამასთან მისი ვალდებულება იფარგლება განხორციელებული ინვესტიციის ოდენობით, გარდა ამისა ჩვეულებრივი აქცია უფლებას აძლევს აქციონერს მიიღოს ინფორმაცია კორპორაციის შესახებ და მოახდინოს ზემოქმედება მის საქმიანობაზე, ძირითადად, აქციონერთა საერთო კრებებში მონაწილეობისა და მათში ხმის მიცემის გზებით.

**აქციონერი** – აქციის მფლობელი, სააქციო წამოწყების მონაწილე, აქციონერს შეუძლია ხმის უფლება გადასცეს თავის წარმომადგენელს.

**აქციონერი მეპაიე** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს მოცემული სააქციო საზოგადოების აქციებს.

**აქციონერული კაპიტალი** – აქციონერული საზოგადოების ძირითადი კაპიტალი, რომლის სიდიდე განისაზღვრება საზოგადოების წესდებით. ა.კ. იქმნება აქციების გამოშვების ხარჯზე.

**აქციონერული კაპიტალი** – კაპიტალი, წარმოდგენილი აქციონერული სერთიფიკატებით, რომლებიც გამოშვებულია კომპანიების მეანაბრე-აქციონერებისათვის და აღირიცხება ნომინალური ღირებულებით.

**აქციონერული კომანდიტი** – საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში კომპანიის (ამხანაგობის) სახე, რომელიც აერთაინებს აქციონერული საზოგადოების და კომანდიტური ამხანაგობის ელემენტებს ა.კ.-ის მონაწილეების ნაწილი (აქციონერები. მხოლოდ თავიანთი შენატანის ფარგლებში.

**აღდგენითი რემონტი** – სარემონტო სამუშაოების სახე, რომლის მეშვეობით ხორციელდება შრომის საშუალებების პირველსაწყისი თვისებების სრული აღდგენა, რომლებიც აუქციონის მიმდინარეობის დროს გადაიხდის უმაღლეს ფასს.

**აღმასრულებელი დირექტორი** – არის ხელმძღვანელი, რომელიც მიმდინარე ფინანსურ საკითხებზეა პასუხისმგებელი. სტრუქტურულ საკითხებს საწარმოს მფლობელი წყვეტს.

**აღმოუჩენლობის რისკი** – ანუ რისკი იმისა, რომ არსებითი უზუსტობები (ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში) აღმოუჩენელი დარჩება ფინანსურ ანგარიშებში არსებითობათა აუდიტორული შემოწმების პროცესში (რომელიც მოიცავს როგორც დეტალურ შემოწმებას, ისე ანალიტიკურ პროცედურებს).

**აღმოუჩენლობის რისკი** – არის იმის შესაძლებლობა, რომ ერთობლიობაში დაგროვდება არაზუსტი ან არასწორი ცნობების მნიშვნელოვანი რაოდენობა და ისინი შეუმჩნევლად დარჩებიან როგორც ანალიტიკური პროცედურების, ისე არსებითობაზე დეტალური შემოწმების ჩატარებისას. რამდენადაც ისინი ერთმანეთს ავსებენ, ერთერთის შედეგად წარმოშობილი დარწმუნებულობა პროპორციულად ამცირებს აუდიტორის მიერ მეორე შემოწმებიდან მიღებული გარანტიის აუცილებლობას.

**აღმშენებლობითი ნგრევის თეორია** – ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმი როცა ახალ ეფექტიან წარმოებებს ქმნის, ანგრევს წინანდელ არაეფექტიან წარმოებებს.

**აღრიცხვა** – არის ადამიანთა ყოველგვარ საქმიანობაზე დაკვირვება, შესწავლა-გამოყენების მიზნით, მისი რაოდენობრივი და თვისობრივი ასახვა.

**აღრიცხვა** – ეს არის მონაცემები მიღებულ დავალებათა შესრულების შესახებ, იგი იძლევა სრულ ინფორმაციას საწარმოს ტექნიკური, ტექნოლოგიური და მმართველობითი პროცესების დაგეგმილი მიმართულებით წარმართვაზე.

**აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები** – ბუღალტრული აღრიცხვა განხილულ უნდა იქნას როგორც ფინანსური ანგარიშგების „ძირითადი წესების“ სისტემა. ისეთი ტერმინები, როგორიცაა „შეთანხმებები“ (conventions) „დოქტრინები“ (Doctrines), „პრინციპები“ (principles), „კონცეფციები“ (concepts) ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მიღებული სტანდარტების აღწერისთვის ხშირად გამოიყენებიან.

**აღსრულებითი (გასასამართლებელი) დოკუმენტები** – ადასტურებენ სამეურნეო ოპერაციის მოხდენის ფაქტს, მის შესრულებას. აღსრულებით დოკუმენტებს მიეკუთვნება: ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები, ხელფასის უწყისები და სხვ.

**აღქმა** – იგი ძლიერად მოქმედებს მოლოდინსა და ქცევის სხვა ასპექტზე. პრაქტიკული მიზნებისთვის აღქმას ჩვენ განვსაზღვრავთ როგორც შეგრძნებებისგან მიღებული სტიმულირების ინტელექტუალურ შენობას. აღქმა ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იგი მიუთითებს თუ რა არის რეალობა კონკრეტული ინდივიდისთვის. ადამიანები რეაგირებენ არა იმაზე რასაც ისინი მომხდარის სახით აღიქვამენ. არ არსებობს ორი ადამიანი რომლებმაც რაიმე ფაქტი ან მოვლენა ზუსტად ერთნაირად აღიქვან.

**აღქმა** – უშუალოდ დაკავშირებულია შეგრძნებასთან. შეგრძნებაში იგულისხმება მატერიალური სამყაროს შეგნებაში ასახვის უმარტივესი ფორმა. შეგრძნება არის საგნის მხოლოდ ცალკეული თვისების (მაგალითად, ფერის) ასახვა. საგნის და ირგვლივ მყოფი გარემოს მოვლენების

ასახვას (ადამიანის გრძნობის ორგანოებზე უშუალო ზემოქმედებისას) და მათ თვისებათა ერთობლიობის მთლიანობას ურთიერთკავშირში ეწოდება აღქმა.

**აღქმადობა** – გულისხმობს ინფორმაციის ისეთი ფორმით მიწოდებას, რომელიც ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი იქნება მომხმარებლისათვის. ამასთან იგულისხმება, რომ მომხმარებელს ბიზნესისა და ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში, მიღებული ცოდნის დონიდან გამომდინარე, გააჩნია ფინანსური ინფორმაციის აღქმის უნარი.

**აღწერილობითი სტატისტიკა** – ჰიპოთეზების შეფასება და შემოწმება ერთობლივი ინფორმაციის საფუძველზე, რომლის შედეგად გამოიტანება დასკვნები დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად განუსაზღვრელობის პირობებში.

**აღჭურვილობა** – ტექნიკური აღჭურვილობა არის ისეთი ქონება, როგორიცაა აპარატურა, მექანიზმები, მერხები, კომპიუტერები, ტელეფონები და ის სხვა ნივთები, რასაც ორგანიზაცია ყიდულობს საქმიანობის განსახორციელებლად. მაგალითად, თუ თქვენი კომპანია ყიდის კომპიუტერის კვების წყაროებს კერძო პირზე ან სხვა ორგანიზაციაზე, დაგჭირდებათ თაროები ინვენტარის განსათავსებლად, გადასაზიდი მანქანა და ტელეფონები – შეკვეთების მისაღებად. თქვენ ანგარიშობთ ამ ზარალის ამორტიზაციის მიხედვით

**აშკარა დანახარჯი** – (explicit expense) დანახარჯი, რომელიც აშკარა (ფულადი) გადასახდელის ფორმას იღებს და ხმარდება წარმოების ფაქტორებისა და შუალედური პროდუქტის მიმწოდებლებს. იგი საბუღალტრო წიგნში რეგისტრირებული ფულადი დანახარჯია. აშკარა დანახარჯს მიეკუთვნება გასამრჯელო, საკომისიო გადასახდელი სავაჭრო ფირმებისთვის, საბანკო და საფინანსო მომსახურების სხვა მიმწოდებელთა შრომის ანაზღაურება, ჰონორარი იურიდიული კონსულტაციებისათვის, სატრანსპორტო ხარჯების განაღდება და სხვ.

**აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა** – 12 ფედერალური სარეზერვო ბანკის გაერთიანებაა, რომელიც მთლიანობაში ასრულებს აშშ-ის ცენტრალური ბანკის ფუნქციებს, აგრეთვე კომერციული ბანკები, რომლებიც ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრები არიან. იგი დაარსებულია 1913 წელს. ფედერალური სარეზერვო ბანკები ახორციელებენ ბანკნოტების ემისიას. ფედერალური ბიუჯეტის სალაროს მომსახურებას, სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას, კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირებასა და ზედამხედველობას, ოპერაციებს ატარებენ მსოფლიო სავალუტო ბაზარზე.

**აშშ-ში ბანკის ლიკვიდობის შესაფასებლად** – კიდევ რამდენიმე მაჩვენებელს იყენებენ. ერთ-ერთი მათგანია გაცემული კრედიტების თანხისა და დეპოზიტების თანაფარდობა. მის შეფასებას დინამიკაში ახდენენ. ამასთან დაწესებულია შემდეგი დამოკიდებულება: რაც უფრო მეტად აჭარბებს ეს მაჩვენებელი ერთს, მით უფრო ნაკლებია ბანკის ლიკვიდობა.

**ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში** – (new industrial countries – NiCs) – ეკონომიკური განვითარების შედარებით მაღალი დონისა და დინამიკური მრეწველობის მქონე, მსოფლიო ვაჭრობაში, საფინანსო და საინვესტიციო სისტემაში აქტიურად ჩართული ქვეყნის მცირე ჯგუფი. მათ რიცხვს მიეკუთვნება არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, თურქეთი, ისრაელი, საბერძნეთი, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონკონგი (ჩინეთი).

**ახალი ზრდის თეორიით** (new growth theory) – აგრეთვე ცნობილია, როგორც ენდოგენური ზრდის თეორია. ტრადიციული ზრდის თეორიის მოდიფიცირებული ვარიანტი, რომელიც ხსნის სხვადასხვა ქვეყნისათვის გრძელვადიანი ბალანსირებული ზრდის განსხვავებული შესაძლებლობების, ამასთან, ღარიბიდან მდიდარ ქვეყნებში კაპიტალის მიზეზებს.

**ახალი ინდუსტრიული ქვეყანები** – სახელმწიფოები რომელთა ეკონომიკისა და საექსპორტო პოტენციალის საფუძველი 70-90-იან წლებში დინამიკური სამეურნეო განვითარების შედეგად შეადგინეს მრეწველობის შრომატევადმა დარგებმა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მათ განეკუთვნება მალაიზია, ტაილანდი, ინდონეზია და ფილიპინები.

**ახალი პოლიტიკური ეკონომია** – (new political economy) - შეისწავლის პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთქმედების კანონზომიერებებს, იკვლევს იმ პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

**ახალი პროდუქტის რეალიზაციის პროცესი** მოიცავს საქმიანობის ყველა სახეს, რომლებიც მიმართულია მაღალი ხარისხის საქონლის გამოკვლევაზე, კონსტრუირებაზე და გამოშვების დაწყებამდე უმოკლეს ვადაში დადგენილი ბიუჯეტის ფარგლებში.

**ახალი საქონლის შემუშავება** – ორიგინალური ნაკეთობის შექმნა, რომელიც არსებული საქონლის გაუმჯობესებული ვარიანტი ან მოდიფიკაციაა და რომელსაც მომხმარებელი როგორც „ახალს“ აღუქვამს.

**ახალი საქონლის შემქმნელები** – კონკურენტების ამ ჯგუფში ერთიანდებიან ის საწარმოები, რომლებიც მუდმივად ფიქრობენ და თან ქმნიან ახალ საქონელს.

**ახალი შეხედულება ინვესტიციებზე** – (new view on investment) - ინვესტორებისადმი ახალი მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს მოწყობილობათა ბოლო თაობის ეფექტიანობის ზრდას, ეყრდნობა მსჯელობას იმის შესახებ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესი აქვეითებს ძირითადი კაპიტალის საშუალო ასაკს და ზრდის იმ კაპიტალის წილს, რომელშიც განვითარებულია ახალი ტექნოლოგია.

## ბ

**ბადისებრი გარე ეფექტი –** (network externatity) გარე ეფექტის სახეობა, რომლის დროსაც ყოველი ინდივიდისათვის დოვლათის სარგებლიანობა დამოკიდებულია მოცემული დოვლათის მომხმარებელთა რაოდენობაზე.

**ბაზარზე** გამოტანის ეტაპი – საქონლის გავრცელება და მისი გაყიდვაში გაშვება.

**ბაზარზე გასვლის სტადია** – გვიჩვენებს ინვესტორ მყიდველების სამეურნეო ცხოვრებაში ახალი პროდუქტის დანერგვის პერიოდს. ამ რაღაცამ შესაძლებელია მოიცვას რომელიმე ცალკეულ რეგიონში ან საფინანსო დაწესებულებაში რეკლამის გავლენით პროდუქტის დანერგვის პერიოდი.

**ბაზარზე მტკიცედ დამკვიდრების სტრატეგია** – ახალ საქონელზე შედარებით დაბალი ფასების დაწესების პოლიტიკა მყიდველთა დიდი რაოდენობის მოზიდვისა და ბაზრის დიდი წილის დაუფლების მიზნით.

**ბაზარზე პოზიციის შერჩევა – სასურველი ად**გილის უზრუნველყოფა ბაზარზე მიზნობრივი მომხმარებლის შეგნებაში იმ საქონელზე, რომელიც ეჭვს არ იწვევს და სხვებისაგან მკაფიოდ განსხვავებულია.

**ბაზარზე რეალიზებული ახალი საბანკო პროდუქტები და** ტექნოლოგიურ ინოვაციას წარმოადგენს. ინოვაცია (ინგ. Inovation – სიახლე, ნოვატორობა, ახალ შემონაღები) ნიშნავს „ინოვაციაში ინვესტიცია“.

**ბაზარზე საქონლის პოზიცირება –** მოქმედება, მიმართული საქონლის ბაზარზე კონკურენტუნარიანი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად და ამისათვის სათანადო მარკეტინგის შემუშავება.

**ბაზარზე ღრმად შეჭრა –** ფირმის მიერ გასაღების ზრდის გზების გამოძებნა, არსებულ ბაზარში უფრო აგრესიული მარკეტინგის მეშვეობით.

**ბაზარზე შეღწევის სტრატეგია –** იმას გულიხმობს, რომ ბანკი

იმავე პროდუქციით (მომსახურებით) შედის უკვე არსებულ ბაზარზე, რაც მის კონკურენტებს აქვთ.

**ბაზარზე წინ წაწევის მეთოდის – მიზანია ინფორმაციის** გავრცელება საქონლის ღირსებებზე, აგრეთვე მომხმარებლის დარწმუნება იყიდოს მოცემული საქონელი.

**ბაზარი –** არის საქონლის მყიდველების არსებული და პოტენციური ერთობლიობა.

**ბაზარი –** ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც საბაზრო მექანიზმებით მოთხოვნისა და მიწოდების კანონის მოთხოვნათა საფუძველზე იმართება.

**ბაზარი -** ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა წარმოებასა და მოხმარებას შორის, რომლის მეშვეობითაც დაიყვანება საქონელი და მომსახურება წარმოებიდან მომხმარებლამდე.

**ბაზარი** – საბაზრო ეკონომიკაში აღწარმოების მთელი პროცესების მომცველი ფენომენი, ეკონომიკური სივრცე, სადაც თვითრეგულირების მექანიზმის საფუძველზე ყალიბდება ურთიერთობა საქონლისა და მომსახურების მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. ბაზარი გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. მისთვის დამახასიათებელია: 1. საკუთრების პლურალიზმი და მეურნეობის მრავალფეროვნება; 2. მწარმოებელთა დამოუკიდებლობა და მათი ეკონომიკური პასუხისმგებლობა; 3. მეწარმეობაში რეგლამენტაციის არქონა, რაციონალიზმი კონტრაჰენტის არჩევაში და სხვ. საბაზრო კონკურენციის მონაწილის მამოძრავებელი სუბიექტური მიზანი - მაქსიმალური მოგების მიღება ბაზრის „უხილავი ხელით'' საბოლოო ობიექტურ კანონზომიერებებს, რომელიც გამოხატულებას ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში პოვებს.

**ბაზარი –** საბაზრო ეკონომიკაში აღწარმოების მთელი პროცესის მომცველი ფენომენი, ეკონომიკური სივრცე, სადაც თვითრეგულირების მექანიზმის საფუძველზე ყალიბდება ურთიერთობა საქონლისა და მომსახურების მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. იგი ჰორიზონტალური

კავშირების განვითარების საფუძველზე გამორიცხავს ადმინისტრაციულ ჩარევას ფასწარმოქმნასა და რესურსების განაწილებაში, რითაც საგრძნობლად ამარტივებს მმართველობითი იერარქიულ ვერტიკალურ სტრუქტურას.

**ბაზარი** – საქონლის არსებულ და პოტენციურ მყიდველების ერთობლიობა.

**ბაზარი შუალედური** გამყიდველების – პიროვნებების და ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც შეისყიდიან საქონელს სხვა მომხმარებლებზე გაყიდვისათვის ან არენდით გადასაცემად სარგებლის მიღების მიზნით.

**ბაზელის კომიტეტი** – ორგანიზაცია, რომლითაც 1974 წელს შექმნეს განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკების მეთაურებმა. მის ფარგლებში იხილავენ საერთაშორისო საბანკო საქმიანობის რეგულირების პრობლემებს. 1975 წელს კომიტეტმა შეიმუშავა 1983 წელს კი განაახლა ე.წ. ბაზელის შეთანხმებანი, ანუ ბაზელის კონკორდატი. აქ განაწილებულია ტრანსეროვნული ბანკების კონტროლის ვალდებულებანი, რომლებიც იკისრეს მათი წარმომავლობის ქვეყნებმა, მიმღებმა ქვეყნებმა, აგრეთვე განსაზღვრულია მათ შორის ინფორმაციის გაცვლის წესი. შემდგომ ბაზელის კომიტეტმა დაიწყო საერთაშორისო რეკომენდაციების შემუშავება საბანკო საქმიანობის ნორმატივების შესახებ.

**ბაზელის შეთანხმება** – არის ბანკის კაპიტალის საკმარისობის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც 1987 წელს აშშ-ს, კანადის, იაპონიის და ცხრა დასავლეთ-ევროპული ქვეყნების ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, ნიდერლანდების, შვედეთის, შვეიცარიის, დიდი ბრიტანეთის და ლუქსემბურგის შეთანხმებით იქნა მიღებული.

**ბაზელის შეთანხმება** – აშშ-ს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის ცენტრალური ბანკების წარმომადგენლებს შორის მიღებული შეთანხმება კომერციული ბანკებისათვის სარისკო კაპიტალის საკმარისობის სტანდარტული კოეფიციენტის შესახებ. იგი საბოლოოდ 1988 წ. ივლისიში

იქნა ხელმოწერილი შვეიცარიის ქალაქ ბაზელის საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკში. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე შემდგომში შემუშავდა ფედერალური სარეზერვო სისტემის – სარისკო კაპიტალის საკმარისობის მარეგულირებელი წესები. აღნიშნული სისტემის საქმიანობის რეგულირების ნორმები მთლიანად გამომდინარეობს ბაზელის შეთანხმებიდან.

**ბაზელის ხელშეკრულება –** (კუკის კომიტეტის მიერ შემუშავებული შეთანხმება, რომელიც 1975 წ. დეკემბერში მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების მმართველებმა დაამტკიცეს; იგი შეიცავს ძირითადად დებულებებს ბანკების ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ფუნქციონირებს არამარტო ნაციონალური იურისდიქციის ფარგლებში, არამედ მოიცავს უცხოურ ბანკებს, განყოფილებებს და ფილიალებს.

**ბაზისური პუნქტი** – (ინგლ. Basis point) პროცენტის მეასედი ნაწილი მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება პროცენტულ განაკვეთში სხვაობის, ფასიანი ქაღალდები და შემოსავლის ცვლილებების და ა.შ. დასახასიათებლად.

**ბაზისური (ძირითადი, პირველადი) მოთხოვნილებები** – თანდაყოლილი მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისათვის.

**ბაზრიდან წასვლის (გასვლის) ეტაპი** – გაყიდვის მოცულობის შემცირებით ხასიათდება, რაც ბაზარზე უფრო თანამედროვე ფინანსური ინსტრუმენტებისა და ინსტრუმენტ შემცვლელების გამოჩენის შედეგად გახდება საჭირო.

**ბაზრის აღმავლობის სტადია –** წარმოადგენს შემცირების სტადიის გაგრძელებას, რადგან არსებობს პროდუქტზე მოთხოვნა, ამიტომ ეს მოთხოვნა უნდა გაიცვალოს საბანკო პროდუქტის მიწოდებაში. ამიტომ პროდუცენტი ან ინვესტორ-გამყიდველი იწყებს მოთხოვნის პირობების შესწავლას, თავისი კადრების და ფასების პოლიტიკის შეცვლას, ვაჭრობის ორგანიზაციის მთელი რიგი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას (მაგალითად, მყიდველთა უფა-

სოდ კონსულტირება, სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მათ მიერ საბანკო პროდუქტის შეძენის პირობით), მატერიალურად წაახალისებს როგორც პროდუქტის გამყიდველს (პრემია), ისე მყიდველს (პრიზები, მოგებები, შეღავათები), ატარებს დამატებით სარეკლამო ღონისძიებებს, აწყობს სარეკლამო ხმაურს და სარეკლამო ტრიუკებს.

**ბაზრის გამოკვლევა** – ბაზრების სისტემური საწარმოო (წარმოების, სრულყოფისათვის) გამოკვლევაა, მათი უნარიანობის დადგენა საქონლის ან მომსახურების აღწარმოების (კვლავწარმოების) უზრუნველსაყოფად არსებული და პოტენციური მომხმარებლების დაკმაყოფილებისათვის. გამოკვლევა მოიცავს გასაღების, სამუშაო ძალის, კაპიტალის, ნედლეულისა და მასალების ბაზრებს; 2) ერთი ან ბაზრების ერთობლიობის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი ინფორმაციის მისაღებად ბაზრის პოტენციალის, ტევადობის, კონკურენტული გარემოს მახასიათებლების, ფასების შესახებ.

**ბაზრის გამოკვლევა** – ერთ ბაზრის ან ბაზართა ერთობლიობის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი, რომელიც ხორციელდება მოგების მისაღებად. არსებობს მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი.

**ბაზრის გამოკვლევის პროცესი** – მოიცავს ყველა მოქმედებას, რომლებიც დაკავშირებულია ბაზრის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასთან ფირმის შიგნით. მის ანალიზთან და შესაბამისი ღონისძიებების დამუშავებასთან.

**ბაზრის განვითარების სტადია** – ბაზარზე საბანკო პროდუქტის გაყიდვის მოცულობის მატებას უკავშირდება. მისი ხანგრძლივობა გვიჩვენებს იმ დროს რომლის განმავლობაშიც ახალი საბანკო პროდუქტი აქტიურად იყიდება და ბაზარი ამ პროდუქტით გაჯერების გარკვეულ საზღვარს აღწევს.

**ბაზრის განვითარების სტრატეგია –** იმას ნიშნავს, რომ ბანკი ცდილობს გასაღების ბაზრის გაფართოების ახალი ბაზრების ან სეგმენტების შექმნის ზრდით. ამ სტრატეგიის

გამოყენებაში შეგვიძლია გამოვიყენოთ: ა) საბანკო პროდუქტების გამოყენების ახალი სფეროების გამოვლენა; ბ) არსებული პროდუქტებისათვის გზის გაკაფვა ბაზრის ახალ სეგმენტში; გ) გეოგრაფიული ექსპანსია – ამ სტრატეგიას იმ შემთხვევაში იყენებენ, როდესაც უკვე კარგად ცნობილი პროდუქტებისათვის (მომსახურებისათვის) გამოვლინდება გამოყენების ახალი სფეროები და მის შეძენას მომხმარებელთა ახალი ჯგუფები იწყებენ; ბაზრის განვითარების სტრატეგია შეიძლება განხორციელდეს არსებულ პროდუქტების შეტანით ბაზრის ახლად შემოტანილი პროდუქტი კარგად იყო მიღებული თავდაპირველად განზრახულ მიზნობრივ ბაზარზე.

**ბაზრის გეოგრაფიული საზღვარი** – ფინანსების მომსახურების სახეების მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება კლიენტების მიერ შესაბამის ტერიტორიებზე საბანკო და საფინანსო მომსახურების ეკონომიკური შესაძლებლობებით.

**ბაზრის დანაწილებას სეგმენტებად** – გარკვეული პარამეტრების შესაბამისად უწოდებენ სეგმენტებს.

**ბაზრის დაცემის სტადია** – საბანკო პროდუქტის გაყიდვის მოცულობის მკვეთრად დაქვეითებაა, ე.ი. მისი ვარდნაა ნულამდეა. ამ სტადიაზე ხდება ლიმიტირებული საბანკო პროდუქტის მთლიანად რეალიზება ან არალიმიტირებული საბანკო პროდუქტის გაყიდვის მთლიანად შეწყვეტა მყიდვლისათვის მისი უსარგებლობის გამო.

**ბაზრის თავისუფალი კონკურენციის** – გამყიდველებისა და მყიდველების ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ გარიგებებს მსგავსი სასაქონლო პროდუქტებით ისეთ სიტუაციებში, როდესაც არცერთი ცალკეული მყიდველი და გამყიდველი არ ახდენს დიდ გავლენას მიმდინარე ფასების დონეზე.

**ბაზრის კვლევასთან ერთად** – დიდი მნიშვნელობა აქვს საქონელმწარმოებელთა **საექსპორტო შესაძლებლობების** შეფასებას მათი სუსტი და ძლიერი მხარეების ანალიზისა

და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის დასკვნის საფუძველზე. გამოკვლევებისა და ანალიზის შედეგები გამოიყენება მარკეტინგის ალტერნატიული ვარიანტების შესამუშავებლად და მათგან ოპტიმალურის შესარჩევად.

**ბაზრის კონიუნქტურა –** (market opportunities, condition) – გარე ეფექტის სახეობა, რომლის დროსაც ყოველი ინდივიდისთვის დოვლათის სარგებლიანობა დამოკიდებულია მოცემული დოვლათის მომხმარებელთა რაოდენობაზე.

**ბაზრის კონიუნქტურა –** (market opportunities, condition) იმ პირობების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ყოველ მოცემულ მომენტში მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობას.

**ბაზრის კონიუნქტურა –** ეწოდება დროის გარკვეულ მომენტში დამყარებულ პირობათა ერთობლიობას.

**ბაზრის კონიუნქტურა –** პირობათა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ფაქტიურად ჩამოყალიბებულ თანაფარდობას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, ფასების დინამიკას, ფასიანი ქაღალდებისა და პროცენტული განაკვეთების კურსებს. კონიუნქტურის შესწავლის მიზანია ბაზრის განვითარების ტენდენციებისა და პროცესების გამოვლენა.

**ბაზრის კონიუნქტურა** – დროის გარკვეულ პერიოდში კონკრეტულ ადგილზე ჩამოყალიბებული საქონლის რეალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური, სავაჭრო-ორგანიზაციული და სხვა პირობები. დამოკიდებულია მრავალ ფაქტორებზე, რომელთაგან ძირითადია: მომხმარებელთა ფულადი შემოსავლები, საქონლის ფასები, სასაქონლო რესურსების, მათ შორის სასაქონლო მარაგის მოცულობა და სტრუქტურა.

**ბაზრის მართვა –** ბაზარზე სახელმწიფოს რეგულირებადი ზემოქმედება, რომელიც ძირითადად ხორციელდება გადასახადების, საღრიცხვო განაკვეთების რეზერვების ნორმირების საშუალებებით.

**ბაზრის მიზნობრივი სეგმენტის შერჩევა** – ბაზრის ერთი ან რამდენიმე სეგმენტის შეფასება და არჩევა თავისი საქონლის გასატანად.

**ბაზრის მიმზიდველობა** – ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ფირმის სტრატეგიულ წარმატებას, ბაზრის რაოდენობრივ-თვისობრივი მახასიათებლები, რომლებიც ასახავენ ბაზრის სიდიდეს, დინამიკასა და ხარისხს, მის ინფრასტრუქტურას, ენერგიით, ნედლეულით მომარაგების და გარემომცველი გარემოს მდგომარეობას.

**ბაზრის მოთხოვნის ადეკვატური საბანკო** – მოთხოვნების დასრულებული კომპლექსის ჩამოყალიბება;

**ბაზრის მონაწილენი** – პირები, რომლებიც საფინანსო ბაზარზე თავისი კლიენტების სახელით ყიდიან ან ყიდულობენ, ან უწევენ მომსახურებას თავიანთი ანგარიშით.

**ბაზრის მოხერხებელი მოღვაწენი** – ამ ეტაპის კონკურენტებს საწარმო აუცილებლად უნდა ფრთხილად მოეკიდოს, რადგან ისინი კარგად ერკვევიან ბაზრის არსსა და კანონზომიერებაში.

**ბაზრის ნაღების მოხდის სტრატეგია** – ახლად გამოგონებულ საქონელზე მაქსიმალურად მაღალი ფასის დაწესების პრაქტიკა, რითაც სიახლის აღქმა სარგებლიანია ბაზრის მხოლოდ ზოგიერთი სეგმენტისათვის, ხოლო ფირმას საშაუალებას აძლევს მიიღოს მაქსიმალურად შესაძლებელი შემოსავალი.

**ბაზრის პროგნოზირება** – ბაზრის პროგნოზირება გვეხმარება გამოვავლინოთ, თუ როგორია განვითარების მიმართულება, როგორ შეიცვლება ბაზარზე არსებული ვითარება. იგივე არსებითად ნიადაგს უმზადებს საბანკო სტრატეგიის ფორმულირებას. შეიძლება გამოვყოთ ამ ამოცანის გადაჭრისადმი ორი მიდგომა: პროგნოზის შედგენა და სცენარის შედგენა.

**ბაზრის საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის** – ქვეყნებს შორის ავიაციის დარგში ეკონომიკური ურთიერთობათა ერთობლიობაა. იერარქიული სტრუქტურის მიხედვით

საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ბაზარი ოთხ კატეგორიად იყოფა: 1) წყვილი ქალაქების ბაზარი, რომელიც აერთიანებს ორ ქალაქს (მაგალითად, ნიუ-იორკი-ლონდონი); 2. წყვილი ქვეყნების ბაზარი, რომელიც მოიცავს ორ სახელმწიფოს (მაგალითად, აშშ-გაერთიანებული სამეფო) დამაკავშირებელი ორ წყვილ ქალაქს შორის მარშრუტებს; 3) „რეგიონთშორისო'' ბაზარი მოიცავს ყველა მარშრუტს, რომელიც აკავშირებს ორ რეგიონს (მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკა-ევროპა ეს ცნობილია, როგორც ჩრდილო ანტლანტიკური ბაზარი); 4) მსოფლიო ბაზარი, რომელიც მოიცავს მსოფლიო ავიაციაში მომსახურე ყველა პუნქტს.

**ბაზრის საზღვრების გაფართოება** – ფირმის ცდა გაზარდოს გასაღება ამჟამად არსებული საქონლის ახალ ბაზარზე დანერგვის ხარჯზე.

**ბაზრის სამრეწველო დანიშნულების** – პიროვნების და ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც იძენენ საქონლისა და მომსახურებას და გამოიყენებიან სხვა საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის შემდგომ მათ გასაყიდად, არენდით გადასაცემად, ან სხვა მომხმარებლისათვის მისაწოდებლად.

**ბაზრის სეგმენტაცია** – ბაზრის დანაწილება უბნებად (სეგმენტებად) სხვადასხვა ნიშნების საფუძველზე. ასეთი ნიშნები შეიძლება იყოს მომხმარებელთა მახასიათებლები, საქონლის სამომხმარებლო თვისებები, შეძენის მოტივები, გავრცელების არხები და გაყიდვის ფორმები, ბაზრის გეოგრაფია, კონკურენტული უპირატესობები და სხვა ბაზრის სეგმენტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მომხმარებელთა მოთხოვნის ხასიათით და მათი რეაქციის მიხედვით ფირმის მარკეტინგულ ძალისხმევაზე.

**ბაზრის სეგმენტაცია** – მარკეტინგის სტრატეგიის ელემენტი, რომელიც დაკავშირებულია ბაზრის დაყოფასთან მომხმარებლის, მათი მახასიათებლების ან განსხვავებულობის მიხედვით. ბაზრის სეგმენტაცია ეს არის ბაზრის დაყოფა

საერთაშორისო და შიდა გადაზიდვებად, რომელიც თავის მხრივ იყოფა სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვებად, ბაზრის სეგმენტაცია საშუალებას იძლევა დადგინდეს პირდაპირი კონტაქტი მომხმარებელთან, რათა გათვალისწინებულ იქნას მათი მოთხოვნის ცვლილებები.

**ბაზრის სეგმენტი** – იგულისხმება მომხმარებელთა ჯგუფი, რომლის წევრებიც ერთნაირად რეაგირებენ მარკეტინგული სტიმულირების ერთი და იგივე ნაკრებზე.

**ბაზრის სეგმენტი** – მომხმარებელთა ერთობლიობა, რომლებიც მარკეტინგული ზემოქმედებაზე ერთნაირად რეაგირებენ.

**ბაზრის სეგმენტი** – მყიდველთა ჯგუფებია, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი მოთხოვნა და სურვილები. მაგალითად, ავტომობილების მყიდველთა (მომხმარებელთა) ერთი ჯუფი მიისწრაფვის შეიძინოს ტრანსპორტის იაფი საშუალება, სხვებს კი სურთ ფლობდნენ გადაადგილების ძვირფას (საუცხოო) საშუალებას, ხოლო მესამე ნაწილი ეძებს არაჩვეულებრივ შენაძენებს ავტომობილის ტარებით.

**ბაზრის სეგმენტაცია –** მომხმარებლების დაყოფა ჯგუფებად მათი საჭიროების, მახასიათებლების ან ქცევის განსხვავებულების მიხედვით.

**ბაზრის სტაბილიზაციის სტადია –** გვიჩვენებს ბაზრის გაჯერებას (მოცემული ოპერაციით და იგი ბაზრის ვარდნის სტადიაში გადადის. ამ დროს ოპერაციის გაყიდვის მოცულობა მკვეთრად იწყებს კლებას მის მთლიანად შეწყვეტამდეც კი.

**ბაზრის სტაბილიზაციის სტადია –** იმას ნიშნავს, რომ ბაზარი უკვე გაჯერებულია მოცემული საბანკო პროდექტით. მისი გაყიდვის მოცულობამ გარკვეულ ზღვარს მიაღწია და გაყიდვის მოცულობის შემდგომი ზრდა აღარ მოხდება. მთელი ამ სტადიის განმავლობაში საბანკო პროდუქტის მოცულობა შედარებით სტაბილურია.

**ბაზრის ტენდენცია –** მომსახურების მათზე ფასების განვითარებისა და მოძრაობის ძირითადი მიმართულებები.

**ბაზრის ფიასკო** – (market falture) სიტუაცია, რომლის დროსაც ბაზრს არ ძალუძს ეკონომიკურ არჩევნებთან დაკავშირებული პროცესების იმგვარად კოორდინირება, რომ უზრუნველყოს რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

**ბაზრის შემცირების სტადია** – ბაზრის შემცირების სტადიაზე ხდება საბანკო პროდუქტის გასაღების დაცემა. მისი გაყიდვის მოცულობა კლებას იწყებს. მაგრამ ამ სტადიაზე ჯერ კიდევ არსებობს მოცემულ საბანკო პროდუქტზე მოთხოვნა და აქიდან გამომდინარე, ყველა ობიექტური წინამძღვარი არსებობს პროდუქტის გაყიდვის მოცულობის გადიდებისათვის.

**ბაზრის შესწავლა –** ბაზრის მდგომარეობის მათი სტრუქტურის, მოცულობის და თავისებურებების შესახებ მიზანდასახული ინფორმაციის მიღება.

**ბაზრის წილის დღემოკლეობის მახე** – დაბალი დონის ფასით შეიძლება ბაზრის წილის „ყიდვა“, მაგრამ ასე მყიდველთა ლოიალურობის, თუ ბაზარზე გამოჩნდება სხვა კომპანია უფრო იაფი საქონლით, მყიდველები მასთან წავლენ.

**ბაზრის წონასწორობა –** (market balance) მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობის გამომხატველი საბაზრო სიტუაცია, როდესაც არ არსებობს არც ჭარბი მოთხოვნაა, არც ჭარბი მიწოდება და ბაზარს მიეწოდება იმდენი პროდუქცია, რამდენზეც არის მოთხოვნა.

**ბაზრობა – (Fair)** სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების, კომერსანტებისა და სხვათა მიერ პერიოდულად მოწყობილი ვაჭრობა საქონლის უპირატესად ბითუმად გაყიდვისა და შესყიდვისათვის გამოფენილი ნიმუშების მიხედვით.

**ბაზრობები საქონლის** – საბითუმო რელიზაციისა და გამოფენილი ნიმუშების დათვალიერების საფუძველზე ყიდვა-გაყიდვის გარიგებაა განხორციელებული ფორმით.

**ბაი-ბეკი –** (buy-baek) საქონელგაცვლის გრძელვადიანი ოპერაცია, რომლის დროსაც მანქანა-მოწყობილობების მისაწო-

დებლად გაცემული კრედიტი შემდგომში იფარება მათი მეშვეობით წარმოებული პროდუქციით.

**ბაკნოტი** – საბანკო ბილეთი, საკრედიტო ფულის უმაღლესი ფორმა, რომელსაც მიმოქცევაში უშვებენ საემისიო ბანკები. ბანკირის თამასუქი, რომლის წარმოდგენასაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ ფულის მიღება.

**ბალანსგარეშე ანგარიშები** – ბალანსგარეშე ეწოდება ისეთ ანგარიშებს, რომლებშიც აისახება ისეთი აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ საწარმოს კუთვნილებას და მხოლოდ დროებით, იმყოფებიან მის სარგებლობაში. ამიტომ მათი ჩვენება საწარმოს ბალანსში არ შეიძლება.

**ბალანსგარეშე ანგარიშები** – გამოიყენება ისეთი რესურსების აღსარიცხავად, რომლებიც საწარმოში დროებით ირიცხებიან, მაგრამ მის კუთვნილებას არ წარმოადგენს და არც საკუთარი საწარმოო საჭიროებისათვის გამოყენების უფლება აქვთ.

**ბალანსი** – ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, გამოხატული ფულადი ფორმით, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ მოვლენას მისი მხარეების შედარების ან დაპირისპირების გზით. ბანკის ბალანსი ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი ფორმაა, რომელშიც აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი, გრძელვადიანი ან ლიკვიდობის მიხედვით.

**ბალანსირება დანის პირზე –** (knife edge) ასე ეწოდება ეკონომიკური ზრდის თეორიაში სტაბილური ზრდის შეფერხებას, გამოხატულს ზრდის ტემპის მერყეობაში. არსებობს აგრეთვე მეორე პრობლემა, რაც ბუნებრივი ზრდის ტემპის მიღწევაში მდგომარეობს. დანის პირზე ბალანსირების“ წონასწორობის დაცვის ცენტრალური პრობლემაა წარმოების მოსალოდნელი დონის განსაზღვრა. თუ შემოსავლის მოსალოდნელი ზრდის ტემპი გარანტირებულ ზრდის ტემპზე დაბალია, მასში მეწარმეები მცირე დოზით მოახდენენ ინვესტირებას. ეს გამოიწვევს ერთობლივი ზრდის ტემპის დაცემას და ჭარბი სიმძლავრეების ზრდას,

რასაც თავის მხრივ, მიჰყვება შემოსავლის მოსალოდნელი ზრდის ტემპების შემდგომი დაცემა.

**ბალანსის აღრიცხვის ფურცელი –** (balance sheet), ბალანსი არის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ფირმის აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობას და სტრუქტურას.

**ბალანსის პასივი –** აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ცნობილია სახელწოდებით „ვალდებულებები და კაპიტალი“.

**ბალანსსგარეშე ანგარიშები** – შეიძლება იყოს: მოკლევადიანი იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების ანგარიში, საპასუხისმგებლო შესანახად მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ანგარიში, გადასამუშავებლად მიღებული მასალები, საკომისიოდ მიღებული საქონელი, სადემონსტრაციოდ მიღებული მოწყობილობა და სხვა.

**ბანკები –** ინახავენ ყიდულობენ და ყიდიან, ცვლიან ფულსა და ფასიან ქაღალდებს, აკონტროლებენ ფულადი სახსრების მოძრაობას, ფულისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევას, ეწევიან საანგარიშსწორებო და საგადამხდელო მომსახურებას.

**ბანკები** – კომერციული საწარმოებია, ამიტომ მათი საქმიანობის მიზანია ბანკები. ბანკის შემოსავალი წარმოიქმნება დებეტური და კრედიტული ოპერაციები სხვაობით (ეს სხვაობა ბანკის მოგებაა და მას მარჟას უწოდებენ), აგრეთვე საბანკო მომსახურებიდან მიღებული საკომისიოებით.

**ბანკები –** შეიძლება განვმარტოთ, როგორც ერთი საწარმო, ან ისეთი საფინანსო, საკრედიტო ინსტიტუტი, რომლის მთავარი ფუნქციებიც არის: დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაცია და მათი გაცემა კრედიტის სახით დროებით სარგებლობაში ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე; აწარმოებს ფულისა და ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა სახის ოპერაციებს, ფინანსურ მომსახურებას უწევს მთავრობას, საწარმოებს, მოქალაქეებსა და ერთმანეთს. ბანკები ინახავენ ყიდულობენ და ყიდიან, ცვლიან ფულსა და ფასიან ქაღალდებს, აკონ-

ტროლებენ ფულადი სახსრების მოძრაობას, ფულისა და ფასიანი ქაღალდების მომოქცევას, ეწევიან საგადამხდელო და საანგარიშსწორებო მომსახურებას.

**ბანკები გამოცდილების გათვალისწინებით** – შეიძლება გამოვყოთ საბანკო ზედამხედველობის შემდეგი პრინციპები: უნივერსალურობა და სავალდებულობა, ზედამხედველობის ორგანოების მოთხოვნათა ერთობლიობა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კონტროლის ერთობლიობა, პრევენციული და შემდგომი კონტროლის შერწყმით, კონტროლის პროფესიონალიზმი, კონტროლის ადექვატურობა, ზედამხედველობის კონსტრუქციული ხასიათი, მონაცემთა საიმედობა და სრული პასუხისმგებლობა მის ხარისხსა და კონფიდენციალურობაზე.

**ბანკები, როგორც საბაზრო სისტემის ელემენტები** – წარმატებით ვითარდებიან საბანკო ინფრასტრუქტურასთან ურთიერთობით. საბანკო ინფრასტრუქტურას უწოდებენ ელემენტების იმ ერთობლიობას, რომელიც ბანკების სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს.

**ბანკები, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს უცხოური ვალუტით** – თავისთავზე იღებენ სავალუტო ბაზარზე ფასების არასასურველი მოძრაობის რისკს, როგორც მიწოდების, ასე მოთხოვნის მხრიდან.

**ბანკების არასაპროცენტო ინტელექტუალტევადი შემოსავლები** – მომსახურებიდან (კონსულტაციები, შუამავლო, გარანტიები, თავდებობა და სხვა) მიღებული შემოსავლები, რომელთა დონე პერსონალის კვალიფიკაციისა და კომპეტენტურობაზეა დამოკიდებული, აგრეთვე ბანკის მიერ შემუშავებული ან შეძენილი არამატერიალური აქტივების (მეთოდიკები და მეთოდური დამუშავებები, ნოუ-ჰაუ, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა) რეალიზაციიდან მიღებული ნავაჭრი (ამონაგები) ან არენდის საზღაური.

**ბანკების ასოციაცია** – აქციონერული და არააქციონერული ბანკების სატრასტო კომპანიების ჯგუფში, რომელთა მიზანია, მათი საერთო კეთილდღეობის მხარდაჭერა, სა-

ბანკო პრაქტიკის შესახებ სასარგებლო ინფორმაცია მიღება და ტრადიციების გაზიარება, აგრეთვე ურთიერთუსაფრ-ხოების უზრუნველყოფა. წამყვანი როლი აკისრია ამერიკელ ბანკირთა ასოციაციას; მას ნაციონალური ბანკებისათვის, შტატების ბანკებისათვის, აქციონერული შემნახველი ბან-კებისა და სატრასტო კომპანიებისთვის აქვს ცალკე სექციები.

**ბანკების დაცვა რისკისგან –** ბანკები სხვადასხვა ხერხებს მიმარ-თავენ ამ მრავალფეროვანი რისკებისაგან თავის დასაცა-ვად. პრაქტიკაში არსებობს რამდენიმე „თავდასაცავი რგოლი", რომელთა იმედიც შეიძლება ჰქონდეთ ბანკის მფლობელებს თავიანთ დაწესებულებათა ფინანსური პოზიციების შესანარჩუნებლად. მათგან შეიძლება გამოვ-ყოთ ხარისხის მართვა, დივერსიფიკაცია, დეპოზიტების დაზღვევა და საკუთარი კაპიტალი.

**ბანკების კომუნიკაციური პოლიტიკა –** მოიცავს საბანკო მომ-სახურების პირად გაყიდვას, რეკლამას, გასაღების სტიმუ-ლირებას და საზოგადოებასთან მუშაობას („ფაბლიკ რილეიშენ"). საბანკო მარკეტინგის ორგანიზაცია არ დაიყვანება ბანკში მხოლოდ მარკეტინგის სამსახურის დაფუძნებით. იგი მოითხოვს ბანკის მთელი ორგანიზა-ციული სტრუქტურის გარდაქმნას მომხმარებელზე ორიენტირებით – ბანკის მარკეტინგ-ორიენტირებული სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

**ბანკების კონსორციუმები –** (სინდიკატი, პული) წარმოადგენს ერთერთ ყველაზე უფრო მსხვილი ბანკის (კონსოლიუმის მეთაურის) მიერ დროებით ორგანიზებულ ბანკთ ჯგუფს, რომლის მიზანია, საკრედიტო, საგარანტიო და სხვა საბანკო ოპერაციების ერთობლივად ჩატარება.

**ბანკების კონსორციუმები –** საბანკო ბაზრის მონაწილეთა კოოპერაციის მესამე ფორმაა საფინანსო საკრედიტო ინსტიტუტების კონსორციუმები. ბანკის კონსორციუმები (სინდიკატი, პული) წარმოადგენს ყველაზე უფრო მსხვილი ბანკის (კონსორციუმის მეთაურის) მიერ დროებით ორგა-ნიზებულ ბანკთა ჯგუფს, რომლის მიზანია საკრედიტო,

საგარანტიო და სხვა საბანკო ოპერაციების ერთობლივად ჩატარება.

**ბანკების მართვა** – ესაა თვითმმართველობა, ე.ი. მართვა რომელსაც ახორციელებენ არა გარედან და არა ბანკის მიმართ გარე სუბიექტები, არამედ თვით საბანკო სისტემის ელემენტები;

**ბანკების მარკეტინგული სტრატეგია ხორციელდება** – მისი სასაქონლო, ფასისმიერი, საგამსაღებლო და კომუნიკაციური პოლიტიკის ღონისძიებათა კომპლექსში. ბანკის სასაქონლო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია ასორტიმენტის ხარისხისა და მოცულობის პოლიტიკა.

**ბანკების მარკეტინგული სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი დონეებია** – კორპორაციული სტრატეგია და საქმიანი სფეროს სტრატეგიის ძირითადი კორპორაციული სტრატეგიებია – დანახარჯების შემცირებაში ლიდერობა, დიფერენციაციის სტრატეგია და ფოკუსირების სტრატეგია. საქმიანი სფეროების ძირითადი სტრატეგიებია – ზრდის სტრატეგია და შემცირების სტრატეგია, ალტერნატიული ვარიანტების შერჩევას ახორციელებენ პორტფელური ანალიზის ინსტიტუტების მეშვეობით.

**ბანკების მიერ მიწოდებული ახალი სახის მომსახურებას მიეკუთვნება:** სადაზღვევო პოლისებისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები, სადაზღვეო სააგენტოების მართვა, ფასიანი ქაღალდებისა და ურთიერთფონდების ინვესტიციების მართვა, საკონსულტაციო მომსახურება (დაბეგვრის, კერძო და კორპორაციული ფინანსური დაგეგმვის, საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით), ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისთვის კრედიტების გამოყოფა და ა.შ.

**ბანკების რისკების მართვა** – ყოველი ბანკი უნდა ფიქრობდეს თავისი რისკების (დანაკარგების მინიმიზაციას) ანუ მათ მართვაზე. ეს სამუშაო მოიცავს: ა) რისკების განჭვრეტას და იდენტიფიკაციას; ბ) მათი სავარაუდო სიდიდეებისა და შედეგების განსაზღვრას; გ) დანაკარების თავიდან

აცილებაა ან მათ მინიმუმამდე დაყვანისკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავებას და რეალიზაციას.

**ბანკების რისკების პოლიტიკის** – შედეგებს დიდად განსაზღვრავს რისკების მართვის დარგში კომერციული ბანკის მუშაობის ორგანიზაცია. ეს მნიშვნელოვან წილადაა დამოკიდებული კომერციული ბანკის სტრუქტურაზე.

**ბანკების საერთაშორისო ლიკვიდობა** – მდგომარეობს სხვადასხვა ქვეყნის კომერციული ბანკების ერთობის მონაწილეთა შესაძლებლობასა და უნარში, პასუხი აგონ თავიანთ ვალდებულებებზე.

**ბანკების საინვესტიციო პორტფელი** – ფასიანი ქაღალდების ერთობლიობა შეძენილი ბანკის მიერ აქტიური ოპერაციების განხორციელებისათვის, მოიცავს როგორც წესი, სამრეწველო და სხვა კომპანიების აქციებს, ობლიგაციებს, ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ხელისუფლების სახელმწიფო საწარმოების მეტწილად გრძელვადიანი სახის სასესხო ვალდებულებებს. მისი ფორმირება ხდება კაპიტალისტური ბანკების მიერ მომგებიანობის უზრუნველყოფის ამოცანების, ლიკვიდობის რეგულირების, აქტივების დივერსიფიკაციის აუცილებლობის გათვალისწინებით.

**ბანკებმა** – (არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებმა) საბანკო ოპერაციები უნდა ჩაატარონ ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი წესების, ფორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

**ბანკთან დაკავშირებული პირები** – ბანკის ადმინისტრაციული მუშაკები და პარტნიორები (აქციონერები) მათთან ცოლქმრული, ახლო ნათესაური კავშირის მქონე ან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირები.

**ბანკთშორისი ანგარიშსწორებები** – ბანკების მიერ განხორციელებული ანგარიშსწორებებია, ან მათ შორის დადგენილი ურთიერთობების საფუძველზე, ან საანგარიშსწორებო - სალაროს მომსახურებაზე კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

**ბანკთშორისი კრედიტების ბაზარი** – სასესხო კაპიტალების ბაზრის ნაწილი, სადაც საკრედიტო დაწესებულებების დროებით თავისუფალი ფულადი რესურსები მოიზიდება და განთავსდება უპირატესად ბანკთშორისი დეპოზიტების სახით მოკლე ვადებით.

**ბანკთშორისი კრედიტების ყიდვა-გაყიდვა** – შესაძლებელია თავისუფალ ბაზარზე დადებული გარიგების ფორმით, აგრეთვე „დახურულ“ ბაზარზე მომხდარი გარიგებების ფორმით, სადაც კრედიტებს ერთმანეთს აძლევენ ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობის მქონე ბანკები. ამ დროს კრედიტების გაცემის პირობებშიც ერთმანეთის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

**ბანკთშორისი კრედიტი** – არის ბანკების მიერ მოზიდული სახსრების ფორმების არადეპოზიტურ წყაროებს შორის განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ბანკთშორის კრედიტებს და ცენტრალური ბანკის მიერ მეორისთვის მოცემულ ბანკთშორის კრედიტებს.

**ბანკთშორისი კრედიტი** – ერთი კომერციული ბანკის მიერ მეორისთვის მოცემული კრედიტია. მისი ყიდვა-გაყიდვა ბანკთშორის (ბაზარზე) ხდება. ბანკთშორისი კრედიტი სასესხო კაპიტალების ბაზრის ნაწილია, სადაც საკრედიტო ორგანიზაციების დროებით თავისუფალი ფულად რესურსებს ბანკები იზიდავენ და გარკვეული ვადით განათავსებენ ბანკთშორისი დეპოზიტების ფორმით.

**ბანკთშორისი სესხები** – დღეისათვის ეს წყარო ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი და მობილურია, მისი უარყოფითი მომენტია სიძვირე.

**ბანკი** – (და ნებისმიერ საკრედიტო ორგანიზაცია) შეუძლია და ვალდებულია – კიდეც სისტემატურად ასრულებდეს კანონით და მისი პერსონალური ლიცენზიით (ლიცენზიებით) გათვალისწინებულ საბანკო ოპერაციებს.

**ბანკი** – (და ნებისმიერი საკრედიტო ორგანიზაცია) ასეთად იქნება აღიარებული და მოქმედებისთვის უფლებამოსილი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი იგი დარეგისტრი-

რებულია, როგორც იურიდიული პირი და გააჩნიათ ცენტრალური ბანკისაგან მიღებული ლიცენზია.

**ბანკი** – (და ნებისმიერი საკრედიტო ორგანიზაცია) კომერციული ორგანიზაცია. ე.ი. ისეთი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის მიზანია მოგების მიღება და მონაწილეებს შორის მისი განაწილება.

**ბანკი** – (ფრანგ, banque) – საკრედიტო-საფინანსო დაწესებულება, ორგანიზაცია, რომლის მთავარი ფუნქციაც არის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაცია და მათი გაცემა კრედიტის სახით დროებით სარგებლობაში ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე.

**ბანკი** – 1. უნივერსალური კომერციული ორგანიზაციაა, რომელიც ქვეყნის ეროვნული (ცენტრალური) ბანკის მიერ დადგენილი წესებითა და მოგების მიღების მიზნით ეწევა საბანკო საქმიანობას. 2. ბანკი დაწესებულებაა, სადაც შეიძლება ფული ისესხო, თუ შეძლებთ დასაბუთებას, რომ წარმატებული მეწარმე ხართ და ფინანსურად არ გიჭირთ.

**ბანკი** – არის კომერციული დაწესებულება, რომელიც იზიდავს იურიდიული და ფიზიკური პირების ფულად სახსრებს და თავისი სახელით განათავსებს მათი დაბრუნების, საზღაურისა და ვადიანობის პირობით, აგრეთვე ახორციელებს საანგარიშსწორებო, საკომისიო-საშუამავლო და სხვა ოპერაციებს.

**ბანკი** – არის სავაჭრო, საშუამავლო საწარმო, ვიდრე სამრეწველო.

**ბანკი** – დაწესებულებაა – მაშინ ბანკის თანამშრომელი ჩინოვნიკია, კლიენტი კი მთხოვნელი. ამ ურთიერთობას შეესაბამება ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობათა ადმინისტრაციული ტიპი.

**ბანკი** – დეპოზიტური შეიძლება იყოს, როგორც რეზიდენტი ისე, არარეზიდენტი პირი.

**ბანკი** – ვალდებულია თავისი კლიენტებისათვის ერთობლივად (ერთდროულად) ჩაატაროს, როგორც მინიმუმ, სამი ჯგუფის ოპერაციები: საბანკო ანგარიშების გახსნა და წარმოება; ფულადი სახსრების მოზიდვა ანაბრებში (დეპოზი-

ტებში); მოზიდული და საკუთარი სახსრების განთავსება საკუთარი სახელითა და საკუთარი რისკით დაბრუნებადობის ფასის გადახდის და ვადიანობის პირობით, ე.ი. ფულადი კრედიტების გაცემა.

**ბანკი** – თუ საწარმოა, მაშინ ბანკის თანამშრომელი მწარმოებელია, გამყიდველია, ხოლო კლიენტი – მყიდველი. ეს არის ურთიერთობათა სხვა პარტნიორული ტიპი, რომელიც საბაზრო მეურნეობას ახასიათებს.

**ბანკი** – როგორც სპეციფიკური საწარმო, ისეთ პროდუქტს აწარმოებს, რომელიც არსებითად განსხვავდება მატერიალური წარმოების სფეროს პროდუქტისგან. იგი აწარმოებს არა უბრალოდ საქონელს, არამედ განსაკუთრებული სახეობის საქონელს – ფულს, საგადამხდელო საშუალებების სახით. ბანკის, როგორც კვლავწარმოების სუბიექტების მთელ მასაში გამოყოფილი მონოპოლისტის, მიერ გამოშვებული ნაღდი ფული ემსახურება, როგორც წარმოების ისე განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროებს. ამ პროდუქტებთან ერთად ბანკები მრავალგვარ მომსახურებასაც ეწევიან, რომლებიც უპირატესად ფულადი ხასიათის მქონეა.

**ბანკი** – საკრედიტო-საფინანსო დაწესებულება, რომლის მთავარ ფუნქციასაც შეადგენს დროებითი თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაცია (პასიური ოპერაციები) და მათი გაცემა კრედიტის სახით დროებითი სარგებლობისათვის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე (აქტიური ოპერაციები). დეპონენტის დაინტერესების მიზნით ბანკი მას უხდის გარკვეულ პროცენტს (სარგებელს) შეტანილ ანაბარზე, კრედიტის გაცემისას კი დებიტორს გაცილებით მაღალ პროცენტს ახდევინებს. ამ პროცენტებს შორის სხვაობა შეადგენს საბანკო მოგებას.

**ბანკი** – ფასიანი ქაღალდების ღირებულება ან კურსი, რომლის მიხედვით ხდება მათი ყიდვა-გაყიდვა ბანკის მეშვეობით.

**ბანკი „საკუთარი სახსრების" და ბანკის „საკუთარი კაპიტალის"** – ცნებებს განასხვავებენ ერთმანეთისაგან, ბანკის „საკუ-

თარი სახსრები" **უფრო ზოგადია** და მოიცავს ბანკის საქმიანობის პროცესში ჩამოყალიბებულ მთელ პასივებს: ბანკის საწესდებო სარეზერვო და სხვა ფონდებს, ბანკის მიერ შექმნილი მთელ რეზერვებს, აგრეთვე, წინა წლების გაუნაწილებელ მოგებას და მიმდინარე წლის მოგებას.

**ბანკი აკრედიტივი** – მყიდველის ბანკის მიერ მიმწოდებლის ბანკისათვის მიცემული დავალებაა საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლის ფულის გადახდის თაობაზე იმ პირობით, რომლებიც მყიდველის სააკრედიტივო განცხადებაშია გათვალისწინებული. ამ განცხადებას საქონლისა და მომსახურების მყიდველი აკეთებს მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.

**ბანკი გარანტი** – ბანკი, რომელიც ვალდებულებას იღებს თავის კლიენტზე, გარანტიებს გასცემს კლიენტების დავალებით და მათ ხარჯზე, აგრეთვე ბანკი-კორესპოდენტების ხარჯზე. უფრო გავრცელებულია საგადასახადო გარანტიები. ბანკი-გარანტი ვალდებულებას იღებს კრედიტორების წინააღმდეგ პასუხი აგოს კონტრაქტებზე, მევალის საგადასახადო ვალდებულებების შესრულებაზე.

**ბანკი კლიენტი** – პროგრამა, თანამედროვე კომპიუტერული, პროგრამული სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საბანკო ოპერაციების წარმოება, საკუთარი ანგარიშების კონტროლი და მართვა ოფისიდან, სახლიდან გაუსვლელად.

**ბანკი კორესპოდენტი** – ბანკი, რომელიც ასრულებს კორესპოდენტული ხელშეკრულების საფუძველზე მეორე ბანკის დავალებებს გადასახადებსა და ანგარიშსწორებაზე.

**ბანკი ლიკვიდურია** – თუკი მისი ვალდებულებების თავის დროზე დასაფარავად საკმარისია მისი ლიკვიდური აქტივებისა და ლიკვიდური სახსრების ჯამი, რომელთა მობილიზება მას სწრაფად შეუძლია სხვა წყაროებიდან.

**ბანკი ლოგისტიკა** – კლიენტის ფულადი ნაკადის მოძრაობა ოპტიმიზაციის პროცესი, მათი ეფექტიანად გამოყენების მიზნით კლიენტის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.

**ბანკი** – ორტალი.

**ბანკი-კორესპოდენტი-ბანკი** – ბანკი, რომელიც საკორესპოდენ-ტო ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს გადასახ-დელებს, ანგარიშგებას, სხვა სახის ოპერაციებს სხვა ბანკის დავალებათა და მათ ანგარიშებზე. დავალებათა შესრუ-ლებისათვის კორესპოდენტ-ბანკები ხსნიან სპეციალურ საკორესპოდენტო ანგარიშებს.

**ბანკირი** – ფულადი კაპიტალის მენეჯერი და მესაკუთრე, რომელიც და სპეციალიზებულია საბანკო ოპერაციების წარმოებაში.

**ბანკის ადმინისტრატორი** – ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის (გამგეობის ან სარევიზიო კომისიის წევრი, აგრეთვე პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან ერთ ან მეტ პირთან ერთად უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები ბანკის სახელით.

**ბანკის ამოცანები** – პასივების მართვისას მდგომარეობს შემდეგ ბანკი ბანკისში:

1. არ იქნება დაშვებული არაშემოსავლიანი რესურსების მოზიდვა, კერძოდ: – სავალო ფასიანი ქაღალდების ჭარბი დეპოზიტები და რესურსები, რომელთა გავრცელება მიმდინარე და უახლოეს მომენტებში შეუძლებელია; – რესურსები, რომელთა თვისობრივი მახასიათებლები – მოზიდვის პირობები ბაზრის მოთხოვნების არაადეკვა-ტურია, აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მათ გავრცე-ლებას; – დეპოზიტების იმ ტიპების მინიმიზაცია, რო-მელთა გავრცელების პირობები ნავარაუდევია მზარდი სარეზერვო მოთხოვნებით;
2. მოძიება და უპირატესი მოძიება საკრედიტო რესურ-სებისა, რომლებიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად აუცილებელი და საკმარისია: ა) გატარების განვი-თარებისთვის (აქტიური ოპერაციების გაფართოება); ბ) ბანკის ვალდებულებების დაფარვის ალტერნატიული წყაროების შექმნა (ექსტრემალური ფულადი ნაკადი);
3. თვისობრივი მახასიათებლებით, მოზიდვისა და ამოღე-

ბის პირობების მიხედვით „იაფი'' საკრედიტო რესურსების მოძიება.

4. მაქსიმალურად „მდგრადი" საკრედიტო რესურსების, ანუ თვისობრივი მახასიათებლების ცვლილებების მინიმალური ალბათობის მქონე რესურსების ძიება და მოზიდვა, რათა შემცირდეს ლიკვიდურობის რისკი ან საპროცენტო რისკი (გამონაკლისი შემთხვევების გარდა.
5. თავისი თვისობრივი მახასიათებლებია ადვილად მისაწვდომი საკრედიტო რესურსების მოძიება და მოზიდვა (ან მოსაზიდად მომზადება) აღვნიშნავთ, რომ ნეიტრალიზაციის მიმართულებით ეს გახლავთ ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულება.
6. წარმოშობის თვალსაზრისით „საეჭვო'' რესურსების წინასწარი სერიოზული ანალიზი და ბანკში მათი მოზიდვის თავიდან აცილება, რადგან მას შეუძლია ბანკის იმიჯის შელახვა, მისი ჩათრევა კრიმინალურ სფეროებში, განსახორციელებელ ოპერაციათა რისკის ამაღლება და კლიენტის დაფრთხობა;
7. რესურსების მოზიდვის პროცესში საინფორმაციო და სტრატეგიული უზრუნველყოფის პრინციპების დაცვა, ანუ გამარტივებული მონიტორინგის მქონე ანგარიშებსა და დეპოზიტებზე ბანკის კრედიტებით ხანგრძლივად მოსარგებლე კლიენტთა სახსრების მოზიდვა (განსაკუთრებით მაღალი რისკის ზონაში მომუშავე მსხვილი კლიენტების);

**ბანკის ამოცანების ქვეშ იგულისხმება –** კონკრეტული პრობლემების ნაკრები, რომელთა გადაწყვეტა მთლიანობაში ნიშნავს მითითებული მიზნობრივი ფუნქციების შესრულებას.

**ბანკის არსი –** მოითხოვს მისი სტრუქტურის ახსნას. ბანკის სტრუქტურის სქემა მოიცავს ოთხ სავალდებულო ბლოკს. პირველ ბლოკში შედის საბანკო კაპიტალი, რომელიც არსებობს უმეტესწილად სასესხო ფორმით და მხოლოდ მოძრაობაში იმყოფება. მეორე ბლოკში საბანკო საქმიანობა

განსხვავდება სხვა საწარმოებისა და ინსტიტუტების საქმიანობისგან თავისი პროდუქტის ხასიათით; მესამე ბლოკი შედგება იმ ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფებისგან, რომელთაც აქვთ სპეციფიკური ცოდნა საბანკო საქმის და ბანკის მართვის სფეროში. მეოთხე ბლოკს შეიძლება ვუწოდოთ საწარმო ბლოკი, რადგანაც მასში შედის საბანკო ტექნიკა, შენობები, ნაგებობები, საბანკო ინფორმაცია და ა.შ.

**ბანკის აქტიური ოპერაციები** – ეს ის ოპერაციებია (თანამშრომელთა ის მოქმედებებია), რომელთა შედეგადაც ბანკის თავისუფალ ფულად სახსრებს (საკუთარს თუ მოზიდულს) ან მოგების მომტანი მიმართულებით აბანდებენ ან ბანკის საქმიანობის საერთო პირობების უზრუნველსაყოფად იყენებენ.

**ბანკის აქტიური ოპერაციები** – ოპერაციები, რომელთა მეშვეობითაც კომერციული ბანკები მოიზიდავენ ფულად სახსრებს – ანაბრის მიღმა, ბანკნოტების გამოშვება და სხვა. და აწარმოებენ მათ განკარგულებაში არსებული რესურსების განთავსებას მოგების მიღებასა და ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით. ბანკის აქტიურ ოპერაციებს მიეკუთვნება: ფირმების სამეწარმეო, სოციალური, საინვესტიციო და სამეცნიერო საქმიანობის მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაკრედიტება; ფირმის სამეურნეო საქმიანობაში ბანკების სახსრებით წილობრივი მონაწილეობა; სხვა ბანკებზე გაცემული სესხები.

**ბანკის აღმავლობის სტადია** – წინა სტადია წარმოადგენს შემცირების სტადიის გაგრძელებას, რადგან არსებობს პროდუქტზე მოთხოვნა, ამიტომ ეს მოთხოვნა უნდა შეიცვალოს საბანკო პროდუქტის მიწოდებაში. ამიტომ პროდუცენტი ან ინვესტორ-გამყიდველი იწყებს მოთხოვნის პირობების შესწავლას, თავისი კადრებისა და ფასების პოლიტიკის შეცვლას, თავისი კადრების და ფასების პოლიტიკის შეცვლას, ვაჭრობის ორგანიზაციის მთელი რიგი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას (მაგალი-

თად, მყიდველთა უფასოდ კონსულტირება სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მათ მიერ საბანკო პროდუქტის შეძენის პირობებით) მატერიალურად წაახალისებს, როგორც პროდუქტის გამყიდველს (პრემია), ისე მყიდველს (პირობები, მოგებები, შეღავათები), ატარებს დამატებით სარეკლამო ღონისძიებებს, აწყობს სარეკლამო ხმაურს და სარეკლამო ტრუკებს.

**ბანკის ბალანსი ფულადი გამოსახულებით** – ახასიათებს კომერციული ბანკების რესურსების მდგომარეობას, მათი ფორმირების წყაროებს და გამოყენების მიმართულებებს, აგრეთვე, ბანკების საქმიანობის ფინანსურ შედეგებს საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და ამ პერიოდის ბოლოს. ბანკის ბალანსი საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი დოკუმენტებია, რომელიც ანალიტიკური აღრიცხვის ყველა პირადი ანგარიშის ნაშთების ჯამს ასახავს მათი ნომრების ზრდის წესით. ბალანსის განყოფილებებში ისინი დაჯგუფებულია აღრიცხული ფულადი სახსრებისა და საბანკო ოპერაციების ეკონომიკური ერთგვაროვნების მიხედვით.

**ბანკის ბალანსის ლიკვიდობა** –თვით ბანკის ლიკვიდობის ძირითადი ფაქტორია, ამიტომ უსაფუძვლოა მათი როგორც შეუთავსებელი ცნებების დაპირისპირება ერთმანეთთან.

**ბანკის ბუღალტრული სამსახური** – ბანკი დამოუკიდებლად ადგენს (ბუღალტრული აპარატის ორგანიზაციულ სტრუქტურას, როგორც წესი ესაა ერთიანი ბუღალტრული ქვედანაყოფი, რომელიც განყოფილებებისა და სექტორებისაგან შედგება. ორგანიზაციული სტრუქტურის სპეციფიკის მიუხედავად, ბანკის ყველა საბუღალტრო მუშაკი მთავარ ბუღალტერს ექვემდებარება.

**ბანკის გადახდისუნარიანობა** – ანგარიშსწორებათა ჩატარებისა და კლიენტების ვალდებულებებზე დადგენილ ვადებში სრული მოცულობით პასუხისმგებლობის უნარი გარკვეული თარიღისათვის.

**ბანკის გადახდისუნარიანობა** – აღნიშნავს კონკრეტული მომენტისათვის, გარკვეული თარიღისათვის მის უნარიანობას, შეასრულოს ანგარიშსწორებები და პასუხი აგოს კლიენტის წინაშე არსებულ ვალდებულებებზე მთელი მოცულობითა და დადგენილ ვადებში.

**ბანკის განვითარების სტადია** – ბაზარზე საბანკო პროდუქტის გაყიდვის მოცულობის მატებას უკავშირდება. მისი ხანგრძლივობა გვიჩვენებს იმ დროს, რომლის განმავლობაშიც ახალი საბანკო პროდუქტი აქტიურად იყიდება და ბაზარი ამ პროდუქტის გაჯერების გარკვეულ საზღვარს აღწევს.

**ბანკის გარანტია** – თავდებობა, რომელიც თავის თავზე იღებს ბანკი გარანტი, კლიენტის ან სხვა პირის მიერ ფულადი ან სხვა ვალდებულებების შესრულებაზე; ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკი, რომელმაც გარანტია გასცა, პასუხისმგებელია მსესხებლის ვალზე იმ ოდენობით, რაც გარანტიითაა გათვალისწინებული.

**ბანკის გარდაქმნა ნიშნავს** – ა) სამართლებრივი თვალსაზრისით - მისი ყველა უფლებებისა და მოვალეობების გადაცემას სხვა ბანკზე (ან სხვა სახის იურიდიულ პირზე) ბანკის მიერ საკუთარი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის შეცვლის გამო; ბ) ორგანიზაციულ-ეკონომიკური თვალსაზრისით – 1) ადრინდელი ბანკის შენარჩუნებისათვის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (შპს - აქციონერულ ბანკად ან პირიქით), ხელახალ რეგისტრაციას და ადრე აღებული ლიცენზიის შეცვლას მისი ტოლფასი ლიცენზიით ან 2) ბანკის ნაცვლად არასაბანკო ორგანიზაციის წარმოქმნას (შპს-ის ფორმით მოქმედი ბანკის ნაცვლად – საწარმოო კოოპერატივი, სააქციო საზოგადოების ფორმის ბანკის ნაცვლად კი – საწარმოო კოოპერატივი ან არაკომერციული ორგანიზაცია); ეკონომიკური (ფინანსური) თვალსაზრისით ბანკის დაყოფა და გამოყოფა საბანკო კაპიტალის და წვრილ ერთეულებად (დეცენტრალიზაციად ან დეკონცენტრაციად გვევლინება) ბანკის გარდაქმნა ამ მხრივ ნეიტრალური პროცესია.

**ბანკის გარე აუდიტი –** ტარდება გარე აუდიტორული ფირმის მიერ და ხშირად არის ფინანსური მდგომარეობის წლიური შედეგების ანალიზი. ა) ბანკის შიდა აუდიტის მთავარი მიზანია ბანკის, მისი აუქციონერებისა და კლიენტების ინტერესების დაცვა. ამას აღწევენ ცალკეული სამსახურების და კონკრეტული თანამშრომლების მიერ კანონმდებლობის, სხვა ნორმატიული აქტებისა და პროფესიული საქმიანობის ნორმატივების დაცვის კონტროლით, ინტერესთა კონფლიქტის მოგვარებით, ბანკის საიმედობისა და მდგრადობის სათანადო უზრუნველყოფით. ბ) ბანკის შიდა აუდიტი ტარდება შიდა აუდიტორების მიერ, რომლებიც ახორციელებენ შიდა კონტროლისა და სააუდიტო პროგრამას; გ) ბანკის გარე აუდიტის მიზანია მესამე მხარის დამოუკიდებელი აზრი, რომელიც ადასტურებს ბანკის ფინანსური მდგომარეობის სიმართლესა და სიზუსტეს. დამოუკიდებელი სააუდიტო სამსახური ამოწმებს ბანკის შიდა კონტროლს, საბუღალტრო პროცედურებსა და პოლიტიკას.

**ბანკის გასავლების სტრუქტურულ ანალიზს ატარებენ -** გასავლების ძირითად სახეობათა, მათი ზრდის ტემპებისა და ფაქტორების გამოსავლენად.

**ბანკის გასაღების პოლიტიკა –** კომერციული ბანკის გასაღების პოლიტიკამ საქონელმოძრაობამ) უნდა განაპირობოს საქონლის დაყვანა პოტენციურ მყიდველამდე. მასში ორი ასპექტი შეგვიძლია გამოვყოთ: სივრცობრივი (გასაღების) ადგილისა და არხების შერჩევა) და დროითი (მუშაობის საათებისა და მომსახურების ვადების დაწესებით).

**ბანკის დაყოფა –** წარმოადგენს: ა) სამართლებრივი თვალსაზრისით მისი ყველა უფლებისა და ვალდებულებების გადასვლას მის ნაცვლად წარმოქმნილ ორ ან მეტ ბანკში; ბ) ორგანიზაციულ ეკონომიკური თვალსაზრისით ადრინდელი ბანკის საქმიანობის შეწყვეტას, მისი ლიცენზიის გაუქმებას და მისი რეგისტრაციის აქტის ლიკვიდაციას, ხოლო მის ნაცვლად ორი ან მეტი ბანკი წარმოქმნას,

რომელთაგან თოთოეულმა უნდა გაიაროს სახელმწიფოებრივი რეგისტრაცია და აიღოს ლიცენზია.

**ბანკის დეპოზიტური ოპერაციები** – მოიცავს საკუთრების უფლებათა აღრიცხვის, შენახვის, მინდობით მართვის განხორციელების ოპერაციებს, აგრეთვე საბროკერო და სხვა ოპერაციების ჩატარებას საკუთრებრივ ბანკების კუთვნილი საემისიო ქაღალდებზე და საკრედიტო ორგანიზაციის დეპონენტების მიერ გადაცემულ ფასიან ქაღალდებზე.

**ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოება** – ფინანსურ ბაზარზე მიმდინარე დესტრუქციული ცვლილებების მიმართ გაძლიერებისა და საბანკო ბიზნესის საკონკურენციო ბრძოლაში თავის გადარჩენის უნარი. გვევლინება ბანკში სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძველს.

**ბანკის თამასუქის ინდოსამენტი** – როგორც წესი, ითვალისწინებს თამასუქთან დაკავშირებული უფლებების თავისუფლად გადასვლას იურიდიულ და ფიზიკური პირებს შორის. ინდოსამეტს, რომელშიც ფიზიკური პირები მონაწილეობენ ამოწმებს ბანკი ან სახელმწიფო ნოტარიატის ორგანოები.

**ბანკის კაპიტალის დანიშნულებაა** – უზრუნველყოს მეანაბრეთა და კრედიტორთა ინტერესების მაქსიმალური დაცვა და საბანკო სისტემაში შესაძლო ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანა, რათა ბანკის გაკოტრების შედეგებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური პროცესები არ გავრცელდეს სხვა ბანკებზე, არ მიიღოს სისტემური ხასიათი და თავიდან იქნას აცილებული საბანკო სისტემის კრიზისი.

**ბანკის კაპიტალის საკმარისობა** – გამოხატავს ბანკის საიმედობის ზოგად შეფასებას, მასზე რისკის „დამუქრების“ დონეს. კაპიტალის, როგორც ზარალის საწინააღმდეგო ბუფერის მოაზრება განაპირობებს უკუდამოკიდებულებას კაპიტალის სიდიდესა და ბანკის რისკის დამუქრების ძალას შორის. აქედან გამომდინარეობს კაპიტალის საკმარისობის ძირითადი პრინციპები: საკუთარი კაპიტალის ზომა

უნდა შეესაბამებოდეს აქტივების სიდიდეს, მათი რისკის ხარისხის გათვალისწინებით.

**ბანკის კაპიტალის სიდიდის გაზომვა** – გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ რა ოდენობის კაპიტალი უნდა ქონდეს ბანკს, უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ იზომება იგი.

**ბანკის კაპიტალური მდგრადობა** – მას განსაზღვრავს ბანკის საკუთარი კაპიტალის სიდიდეები. მისი მნიშვნელოვანი ოდენობა საკმარისი რესურსებით უზრუნველყოფს ბანკის ანაბრების დაფარვის შესახებ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, გაუთვალისწინებელი დანაკარგებისა და ვალების დასაფარავი რეზერვების შესაქმნელად, ფორ-მაჟორული გარემოებათა დადგომის შემთხვევაში ადეკვატური ქმედებების განსახორციელებლად, მუდმივად ცვალებად გარე პირობებთან შესაგუებლად.

**ბანკის კლიენტებისგან მიღებული ინფორმაცია** – რომელთა წარმოდგენა ხდება ბანკის ინიციატივით. ეს გახლავთ სხვადასხვაგვარი დამატებითი მონაცემებით განსაკუთრებით რთულ, პრობლემურ სიტუაციებში საბანკო პროდუქტის რეალიზაციის მიმდინარეობის მართვისათვის ადეკვატური საინფორმაციო ბაზის უზრუნველმყოფი სხვადასხვა მიმართულების მიხედვით.

**ბანკის კლიენტთა კონტრაგენტებისაგან მიღებული ინფორმაცია** – წარმოადგენს ბანკის პოტენციურ და რეალურ კლიენტებს და მათთან საქმიან კონტრაქტებში შესულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორების რიგს. ეს კონტრაქტები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი, შესაბამისად მონაცემებს მათ შესახებ ბანკისათვის განსხვავებული მნიშვნელობა აქვს.

**ბანკის კომერციული მდგრადობა** – ამ სახის მდგომარეობის საფუძველია საბაზრო ურთიერთობაში ბანკის მონაწილეობის მასშტაბი: საბანკო სისტემასთან ბანკის კავშირების სიმტკიცე და სიღრმე, ბანკთშორისი ურთიერთობებში ბანკის მონაწილეობა და მთლიანად საბანკი სისტემაში

დაკავებული ადგილი, ქვეყნის (რეგიონის) ფინანსური ნაკადების მეტი თუ ნაკლები წილის კონტროლი, კრედიტორებთან, კლიენტებთან და მეანაბრეებთან ურთიერთობათა ხარისხი, ეკონომიკის რეალურ სექტორთან კავშირების სიმჭიდროვე, ბანკის სოციალური მნიშვნელობა (მასში აქტივებისა და კერძო ანაბრების ამა თუ იმ ნაწილის თავმოყრა.

**ბანკის კომუნიკატორული პოლიტიკა** – კომერციული ბანკის კომუნიკატორული პოლიტიკა (საქონლისთვის გზის გაკაფვა) არის პოტენციურ მომხმარებლებთან ბანკის ურთიერთობის საშუალებათა სისტემა, რომელმაც საბანკო მომსახურების შეძენის სურვილი უნდა აღძრას მათში. მისი ინსტრუმენტებია: პირდაპირი მარკეტინგი, რეკლამა, საზოგადოებასთან მუშაობა და გასაღების სტიმულირება. კომუნიკაციური პოლიტიკის წარმატების საწინდარია მომხმარებლის ქცევის თავისებურებათა ცოდნა ბანკის მუშაკების მიერ.

**ბანკის კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიების** – აქციათა არასაკონტროლო პაკეტი, რომლის ხარჯზეც ბანკს წილი აქვს სხვა დარგის საწარმოებში.

**ბანკის ლიკვიდობა** – არის ბანკის საქმიანობის ხარისხობრივი მახასიათებელი, რომელიც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული და იმყოფება მუდმივ ცვალებადობასა დ ურთიერთკავშირში. ამიტომ ბანკის ლიკვიდობა წარმოადგენს დინამიკურ მდგომარეობას, რომელიც გამუდმებით ყალიბდება და რომელსაც გამუდმებით ახასიათებს მრავალფეროვანი ფაქტორებისა და ტენდენციების გავლენა.

**ბანკის ლიკვიდობა** – იმის უნარი, რომ თავის დროულად, სრული მოცულობითა და დანაკარგების გარეშე უზრუნველყოს ყველა კონტრაგენტის წინაშე თავისი სავალი ვალდებულებათა შესრულება, აგრეთვე მიაწოდოს მათ სახსრები ნაკისრ ვალდებულებათა ფარგლებში, მათ შორის – მომავალში.

**ბანკის ლიკვიდობის ცნებას** – აქვს მაკრო და მიკროდონეები, სტატისტიკური და დინამიკური ასპექტები. სტატისტიკური ასპექტი ბანკის ლიკვიდობას ახასიათებს, როგორც მის უნარს, თავისი ვალდებულებები შეასრულოს დროის კონკრეტულ მომენტში, ხოლო დინამიური ასპექტი მოიცავს იმ უნარსაც, რომ ბანკმა შეინარჩუნოს თავისი, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა ობიექტის, საკუთარი ღირებულება, რისი წყალობითც ბანკი ინარჩუნებს თავის ვალდებულებათა თავისდროულად დაფარვის უნარს მომავალში.

**ბანკის ლოგისტიკა** – კლიენტის ფულადი ნაკადების მოძრაობის ოპტიმიზაციის პროცესი მათი ეფექტიანად გამოყენების მიზნით კლიენტის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე მისი ორგანიზება ხდება ბანკის ორგანიზაციულ-ფუნქციური ინფრასტრუქტურის შექმნის გზით.

**ბანკის მარკეტინგის ორგანიზაცია** – ბანკის საერთო სტრატეგიული მიზნების ფორმულირებას ახდენს მის უმაღლეს ხელმძღვანელობაზე, ხოლო მათი რეალიზაციის ღონისძიებების კოორდინაციას – ბანკის მარკეტინგის სამსახური. ეს შეიძლება იყოს დირექტორთან არსებული მარკეტინგული ჯგუფი, მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილება, რამდენიმე განყოფილებისგან შემდგარი მარკეტინგული სექტორი და ა. შ.

**ბანკის მარკეტინგ-ორიენტირებული ორგანიზაცია** – იქიდან იღებს სათავეს, რომ მომსახურების გასაღება მის წარმოებაზე უფრო პრიორიტეტულია. ეს იმას ნიშნავს, რომ მარკეტინის სამსახური ბანკში წინა პლანზეა წამოწეული და ყველა დანარჩენი ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაციას ახდენს. არსებობს მარკეტინგ-ორიენტირებული ოთხი ძირითადი ვარიანტი: ა) მომსახურების ჯგუფების მიხედვით; ბ) კლიენტების ჯგუფების მიხედვით; გ) მატრიცული ორგანიზაცია; დ) დივიზიონური ორგანიზაცია.

**ბანკის მდგრადობის მართვა** – მდგრადობის მართვა გულისხმობს შესაბამისი მექანიზმების შემუშავებას და პრაქტი-

კულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელებას მისი მეშვეობით.

**ბანკის მდგრადობის სტრუქტურა** – ბანკის მდგრადობის ეკონომიკური შინაარსი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც რთული მოვლენა, რომელიც რამდენიმე შემადგენელ ნაწილს (მდგრადობის სახეებს) მოიცავს.

**ბანკის მდგრადობის ფაქტორები** – ბანკების მდგრადობას განსაზღვრავს ეგზოგენური (გარე) და ენდოგენური (შიდა) ფაქტორები.

**ბანკის მენეჯმენტისათვის** – განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემოსავლების ხარისხობრივ პარამეტრებს, რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მმართველობითი გადაწყვეტილების პრიორიტეტის შემუშავებისას.

**ბანკის მიმდინარე საქმიანობისა და ფუნქციონირებისათვის** – საქართველოში შექმნილია მტკიცე საკანონმდებლო ბაზა. იგი ძირითადად ფიქსირებულია კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. კომერციული ბანკების მძლავრ საკრედიტო ინსტიტუტებად გადაქცევის და დადგენილი პარამეტრებიდან მათი შესაძლო გადაცდომების, დარღვევების თავიდან აცილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს აუდიტი, რომელიც ვალდებულია მოიწვიოს თითოეულმა ბანკმა, შემდე კი აუდიტორული შემოწმების შედეგები და წინა წლის ბალანსი გამოაქვეყნოს პრესაში.

**ბანკის მტკიცე კაპიტალური ბაზა** – იმას ნიშნავს, რომ ბანკს მნიშვნელოვანი ოდენობით უნდა ქონდეს საკუთარი კაპიტალის აბსოლუტური სიდიდე, როგორც აქტივების რისკის გადაფარვისა და მეანაბრეებისა და კრედიტორების სახსრების გარანტიების მთავარი დამცავი წყარო. საკუთარი კაპიტალის საფუძველს შეადგენს ბანკის საწესდებო ფონდი და სხვა ფონდები, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა მიზნებისათვის, მათ შორის ბანკის ფინანსური სიმტკიცის უზრუნველყოფისათვის, რაც მეტია ბანკის საკუთარი კაპიტალი, მით უფრო მაღალია მისი ლიკვიდობა.

**ბანკის ორგანიზაციულ-სტრუქტურული მდგრადობა** – ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი მართვა უნდა შეესაბამებოდეს როგორც ბანკის საქმიანობის მიზნებს, ისე, მისი მომსახურების კონკრეტული ასორტიმენტსა და შესასრულებელ ფუნქციებს, რომლის განხორციელებითაც თავის სტრატეგიულ მიზნებს აღწევს იგი. ბანკის ორგანიზაციულ-სტრუქტურული მდგრადობის უმნიშვნელოვანეს პარამეტრად გვევლინება მისი საქმიანობის ცალკეული სახეების ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური დიფერენციაცია საქმიანობის მარეგლამენტებელ შიდა დოკუმენტის საფუძველზე.

**ბანკის პასიური ოპერაციები** – ეს ის ოპერაციებია, რომელთა ჩატარებაც თავის რეალურ მფლობელებსა განკარულებაში არსებულ ფულად სახსრებს უზრდის ბანკს (სახელწოდება უკავშირდება საბუღალტრო აღრიცხვაში გამოყენებულ ტერმინოლოგიას – ბანკის ყველა ამგვარი სახსრები, ბალანსის პასიურ ანგარიშებში აღირიცხება) დასახელებული რესურსები ორი კომპლექსური ნაწილისაგან შედგება ბანკის საკუთარი სახსრებისგან და მოზიდული სახსრებისაგან.

**ბანკის პლასტიკური ბარათი** – ფინანსური ბარათის ერთ-ერთი სახესხვაობაა. იგი პერსონიფიცირებული საგადასახადო საშუალებაა, რომელიც გამიზნულია საქონლის, მომსახურების და ნაღდი ფულის მისაღებად ბანკებში და საბანკო ავტომატებში (ბანკომატებში);

**ბანკის პოტენციური, ანუ ბალანსგარეშე ვალდებულებები** – შეიძლება წარმოშვას გახსნილმა საკრედიტო სისტემამ, ბანკის მიერ გამოცემულმა გრანტებმა, მინდობით აგრეთვე ნაღდი და ვადიანი გარიგების მიხედვით არსებულმა ვალდებულებებმა.

**ბანკის რეპუტაციის დაკარგვის რისკი** – შეიძლება წარმოიშვას მის მუშაობაში ოპერციული ჩავარდნებით, აგრეთვე მათ შესაძლო ურთიერთობით კრიმინალურ სტრუქტურებთან რეპუტაციის დაკარგვის საშიშროება განსაკუთრებით დამ-

ღუპველია ბანკებისათვის, რეპუტაციის დაკარგვის საშიშროება განსაკუთრებით დამღუპველია ბანკებისათვის, რამდენადაც მათი ბიზნესის ბუნება მოითხოვა კრედიტორების, მეანაბრეების და მთლიანად ნდობის შენარჩუნებას.

**ბანკის რესურსული ბაზის ხარისხს** – აფასებენ, აგრეთვე ისეთი მაჩვენებლებით, რომელიც ასახავს კომერციული ბანკისათვის გარე წყაროების (ბანკთშორისი კრედიტის) ხელმისაწვდომობას.

**ბანკის რეალური ვალდებულებები** – ბანკის ბალანსიდან გამომდინარე ვალდებულებები. ისინი წარმოდგენილია მიღებული ბანკთშორისი კრედიტებითა და დეპოზიტებით, ანგარიშსწორების და მიმდინარე ანგარიშებზე არსებული სახსრებით, მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტებით, აგრეთვე სხვა მოზიდული სახსრებით.

**ბანკის რისკები** – ურთიერთდაკავშირებულია, მაგრამ რისკების მართვის მეთოდები სპეციფიური ხასიათისაა.

**ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკა** – სააღრიცხვო პოლიტიკა ფართო აზრით, არის ოპერატიული და ბუღალტრული აღრიცხვის წარმართვის მეთოდოლოგიური (წესი), რომლის მიზანია: 1) დაგეგმვა და მართვა მთლიანად (სხვადასხვა დონეზე მმართველური გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის სააღრიცხვო უზრუნველყოფა; 2) აქტივების ვალდებულებების, ხარჯების და ფინანსური შედეგების ადეკვატურად შეფასება, მათ შორის – კრებსითი ფინანსური ანგარიშების შედგენისას; 3) საგადასახადო დაგეგმვა (დაგეგმვის ოპტიმიზება).

**ბანკის სააღრიცხვო-ოპერაციული ქვედანაყოფების შტატს შეადგენენ** – შემდეგი სპეციალისტები: მთავარი ბუღალტერი, პასუხისმებელი შემსრულებლები; ოპერაციული ჯგუფის კონტროლიორი, ოპერაციონისტები; ოპერატორები.

**ბანკის სავალუტო ოპერაციები** – რწმუნებული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის განსაზღვრული ოდენობის მიღებასა და მიწოდებას შორის მოთხოვნათა თანაფარდობა.

**ბანკის სავალუტო ოპერაციების მართვის ძირითადი ამოცანაა –** კლიენტებისათვის იმის შესაძლებლობების მიცემა, რომ მოახდინონ თავიანთი აქტივების კონვერტირება ერთი ვალუტიდან მეორეში. ამიტომ ცალკე უნდა განვიხილოთ ის ოპერაცია, რომელიც უკავშირდება კონვერსიას, ე.ი. ერთი ვალუტის გაცვლას მეორეზე, ამას კონვერსიულ ოპერაციებს უწოდებენ. იგი ტარდება, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ფორმით ამ გარიგებათა შესაბამისად. სახსრების მიწოდება შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ გარიგების დადების თარიღიდან ორი სამუშაო საბანკო დღის განმავლობაში (ე.წ. სპოტური ოპერაციები) ან გარკვეული ვადის შემდეგ, რომელიც ორ საბანკო სამუშაო დღეს აღემატება (ვადიანი სავალუტო ოპერაციები).

**ბანკის საინვესტიციო ოპერაციები არის –** ფასიან ქაღალდებში ან არასაბანკო სტრუქტურების პაიში ბანკის საკუთარი სახსრების ინვესტირების ოპერაციები, რომლის მიზანია ერთობლივი სამეურნეო-საფინანსო და კომერციული საქმიანობა, აგრეთვე, სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში განთავსება ვადიანი ანაბრების სახით. ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები ისეთ ფასიან ქაღალდებზე წარმოებული ოპერაციებია, რომელთა კვოტირებაც საფინანსო ბირჟაზე ხდება. აქ შედის თამასუქებთან დაკავშირებული ოპერაციები (თამასუქების შენახვის და აუქციონზე მათი გაყიდვის).

**ბანკის საკრედიტო პოლიტიკა –** არის იმ ღონისძიებათ კომპლექსი, რომელთა მიზანია საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის ამაღლება და საკრედიტო რისკის შემცირება. საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისას, ბანკმა საჭიროა გაითვალისწინოს რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები.

**ბანკის საკრედიტო პოლიტიკა –** საბანკო განვითარებისა და სრულყოფის პრიორიტეტული მიმართულებათა გარკვევაში, საკრედიტო რესურსების ინვესტირების, საკრედიტო პროცესების განვითარებას, მისი ეფექტიანობის

ამაღლებასა და საკრედიტო რისკების მინიმიზებაში მდგომარეობს.

**ბანკის საკუთარი ბრუტო კაპიტალი** – ბანკის ყველა ფონდისა და ბალანსის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების ჯამია.

**ბანკის საკუთარი კაპიტალი** – გაანგარიშების გზით მიღებული სიდიდეა. იგი მოიცავს საკუთარი სახსრების (ზოგჯერ მოზიდულ სახსრებსაც) იმ მუხლებს, რომელსაც ეკონომიკური აზრით ბანკის კაპიტალის ფუნქციის შესრულება შეუძლიათ. ბანკის საკუთარ კაპიტალად უნდა ჩავთვალოთ სპეციალურად შექმნილი ის ფონდები და რეზერვები, რომელთა დანიშნულებაა ბანკის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და შესაძლო ზარალის დაფარვა და რომლებიც ბანკის განკარგულებაშია მისი ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში.

**ბანკის საკუთარი ნეტო კაპიტალი** – მიიღება ბრუტო კაპიტალისაგან, რომელსაც აკლდება საკუთარ წყაროებზე აწეული კაპიტალური ხასიათის ხარჯები, დაშვებული და პერსპექტიული ზარალი, ამოსყიდული საკუთარი აქციები და 30 დღეზე მეტი ხანგრძლივობის მქონე დებიტორული დავალიანება. ნეტო-კაპიტალი ახასიათებს ბანკის ფაქტობრივად არსებული საკუთარი სახსრების სიდიდეს.

**ბანკის საკუთარი სახსრები** –ზოგადი ცნებაა და მოიცავს ბანკის საქმიანობის პროცესში ჩამოყალიბებულ მთელ პასივებს: ბანკის საწესდებო, სარეზერვო და სხვა ფონდებს, ბანკის მიერ შექმნილი მთელ რეზერვებს, აგრეთვე, წინა წლების გაუნაწილებელ მოგებას და მიმდინარე წლის მოგებას.

**ბანკის საკუთარი სახსრების სტრუქტურა** – არაერთგვაროვანი თვისობრივი შედგენილობის მიხედვით და იგი იცვლება წლის განმავლობაში. საკუთარი სახსრების სიდიდეზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: აქტივების ხარისხი საკუთარი მოგების გამოყენების მიმართულებები, ბანკის კაპიტალური ბაზის მდგრადობის უზრუნველსაყოფად გატარებული პოლიტიკა.

**ბანკის საკუთარი სახსრების** – გამოყენება შეგვიძლია ბანკის ქონების შემქმნელ ოპერაციებში, ე.ი. მათი დაბანდება შენობებში, მოწყობილობებში, ტელეკომუნიკაციებში, ტრანსპორტში, რომელიც აუცილებელია ბანკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

**ბანკის სალაროს ბრუნვის პროგნოზი** – ბანკების სალაროებში შემოსული ნაღდი ფულის წყაროების, მოცულობისა და ბანკების სალაროებიდან ნაღდი ფულის გაცემის მიმართულების, აგრეთვე ფულის ემისია და მიმოქცევიდან ფულის ამოღების მოცულობის ამსახველი დოკუმენტი.

**ბანკის სამეთვალყურეო საბჭო** – ბანკის მართვის ორგანოა და ახორციელებს მისი საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას დამფუძნებელთა კრებებს შორის პერიოდში. თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ბანკის საბჭო ხელმძღვანელობს საბჭოს შესახებ სპეციალური დადგენილებით, რომელიც შემუშავებულია „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ'' კანონისა და წესდების შესაბამისად.

**ბანკის სამეურნეო საქმიანობის უზრუნველმყოფი ხარჯები** – მოიცავს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციას, არენდის, მოწყობილობების რემონტის, კანცელარიის, ავტოტრანსპორტის შენახვის, სპეცტანსაცმლის შეძენის, შენობის შენახვის, საექსპლუატაციო ხარჯებს და ა.შ. ხელფასის ხარჯებში შედის საკუთრივ ხელფასი, მასზე შესრულებული დანახარჯები და პრემიები.

**ბანკის საოპერაციო სამმართველო** – ახორციელებს კლიენტთა კომპლექსურ საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურებას, საკრედიტო, სალარო და სხვა ფულად ოპერაციებს. იგი ყოველდღიურად ადგენს საბუღალტრო ანგარიშგებას პირველადი დოკუმენტების მონაცემებისა და ელექტრონული ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და დადგენილი წესით გადასცემს მას ბანკის სათანადო ქვედანაყოფებს. საოპერაციო სამმართველო აფორმებს

კლიენტების ანგარიშსწორებას, მიმდინარე და სხვა ანგარიშების გახსნას. ანგარიშებზე დარიცხვას.

**ბანკის სარეზერვო მოთხოვნების რეგულირება** – მოწოდებულია, უზრუნველყოს კომერციული ბანკების ლიკვიდობის უცვლელი დონე და მეორე, ის წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს კომერციული ბანკების ფულადი მასისა და კრედიტუნარიანობის რეგულირებისათვის.

**ბანკის სარეზერვო ფონდი** – საქმიანობის პროცესში მიღებული დანაკარგების დასაფარავად ყველა ბანკი ქმნის საწესდებო ფონდში (გარდა ვიწრო, „დარგობრივი" ორიენტაციას მქონე ფონდებისა, რომელსაც აყალიბებენ მაგალითად, იურიდიული საქმიანობიდან მიღებული ზარალის დასაფარავად) ამ დროს იყენებენ მსოფლიოში საყოველთაოდ დადგენილ ნორმებს.

**ბანკის საქმიანობის სფეროების სტრატეგია** – რადგანაც ბანკის ბაზრის ძირითადი სუბიექტები – კომერციული ბანკები – დივერსიფიცირებული სამეწარმეო სტრუქტურებია, ამიტომ მათი საკონკურენციო ბრძოლის წარმატებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქმიანი სტრატეგიების კომპლექსის სწორად შერჩევას შედარებით განკერძოებული საქმიანი სფეროებისათვის (როგორიცაა დაკრედიტება, ანაბრები, საანგარიშსწორებო – საკასო მომსახურება და სხვ.). ბანკის მიერ თავისი საქმიანი სტრატეგიის განსაზღვრის დროს შეგვიძლია გამოვიყენოთ მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის მიერ უკვე შემუშავებული მიდგომები. მათი უმრავლესობა ეყრდნობა ორგანზომილებიან მატრიცების აგებას, რომელთა თითოეული სექტორს გარკვეული ტიპიური სტრატეგია შეესაბამება.

**ბანკის საქმიანობის სფეროებს შორის აქტიურ და პასიურ ოპერაციებს** – გააჩნიათ განსხვავებული ნიშნები. ეს არის კლიენტთა საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურება. მისთვის დამახასიათებელია პასიური ოპერაციების ნიშნები,

რადგან განსაზღვრულ წილში (უცვლელი ნაშთი) კლიენტთა საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე ბანკისათვის წარმოადგენს საკრედიტო რესურსს და მრავალ ბანკში ნაღდება. ასევე მას გააჩნია აქტიური ოპერაციების ნიშნებიც, რადგან ამგვარი ოპერაციების გატარება ბანკს აძლევს საკომისიო შემოსავლებს. აქედან გამომდინარე, ამ ოპერაციების მართვისას გათვალისწინებული ბანკის ინტერესებს გააჩნიათ კომპლექსური ხასიათი და ამდენად საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურება აქტივებისა და პასივების მართვის ამოცანებს ერთობლიობაში (ხელმისაწვდომობა, მდგრადობა, სიიაფე, ასევე შემოსავლიანობა და ა.შ.) კლიენტთა ინტერესები ასევე სპეციფიურია. ეს არის პირველ რიგში ანგარიშსწორების მონაწილეთა ინტერესები, რომელთაც უნდა მივაკუთვნოთ:

– ოპერაციების გატარების სისწრაფე, განსაკუთრებით ინფლაციის მაღალი ტემპების პირობებში; – გადახდის (მიმწოდებლებისათვის) მიწოდების ან მომსახურების გაწევის (გადამხდელისათვის, მყიდველისათვის) გარანტია;
– ანგარიშსწორების გატარების პირობების ცვლილებების შედარებითი თავისუფლება (მ.შ. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
– გამოსათხოვარი აკრედიტივები, აქცეპტები და ა.შ.);
– ანგარიშსწორების განხორციელების პროცესში ბანკისაგან ფინანსური (ოვერდრაფტები, კონტოკორენტული ანგარიშები), ასევე საორგანიზაციო დახმარების და კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა;

**ბანკის საწესდებო კაპიტალი** – ბანკის საკუთარი სახსრების წყაროების თანხა. საწესდებო კაპიტალის თანხა არ ექვემდებარება შეიძლება გამოყენებული იქნეს უზრუნველყოფის სახით. საქართველოს ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალი იქმნება გადაფასების რეზერვებში გადარიცხვების შემდეგ დარჩენილი წმინდა შემოსავლიდან 25 პროცენტიანი ანარიცხების ხარჯზე. ამასთან ანარიცხები

საწესდებო კაპიტალში წყდება მისი მოცულობის დადგენილ ოდენობამდე მიღწევისთანავე.

**ბანკის საწესდებო კაპიტალს** – აყალიბებენ მონაწილეთა საკუთარი სახსრების ხარჯზე და იგი ბანკის ლიკვიდობის უზრუნველყოფას ემსახურება. მინიმალური საწესდებო ფონდის სიდიდეს და მისი გაანგარიშების წესს ქვეყნის ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს.

**ბანკის სპეციალიზაცია** – (ხანდახან საბაზო ინფორმაციას მის შესახებ შეიცავს თავად სახელწოდება);

**ბანკის სხვა ხარჯებს მიეკუთვნება** – რეკლამის მივლინების და წარმომადგენლობის ხარჯები.

**ბანკის უშუალო აღმასრულებელი ორგანოა** – ბანკის გამგეობა, რომელსაც გამგეობის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები მეთაურობენ. გამგეობის შემადგენლობაში შედიან ბანკის ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები. გამგეობის მისი წევრების მუშაობის სპეციალურ დებულებებში უწევენ რეგლამენტაციას.

**ბანკის ფასების პოლიტიკა** – ბანკების ფასების პოლიტიკა გულისხმობს სხვადასხვა საბანკო პროექტებზე ფასების დაწესებას და მათ შეცვლას საბაზრო ვითარების შეცვლის შესაბამისად. მისი ოპერაციების: საპროცენტო განაკვეთები, ტარიფები, საკომისიოები, ბონიფიკაციები (პრემიები), შეღავათები, აგრეთვე ანაბრის მინიმალური ზომა. ტრადიციულად, მიაჩნიათ, რომ ფასი მომხმარებლის ქცევის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია.

**ბანკის ფასების პოლიტიკა** – გულისხმობს სხვადასხვა საბანკო პროდუქტებზე ფასების დაწესებას და მათ შეცვლას საბაზრო ვითარების შეცვლის შესაბამისად.

**ბანკის ფილიალად** – ითვლება ცალკე სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ბანკის მდებარეობის ადგილზე არაა მოთავსებული და ასრულებს ამ ბანკის ყველა ფუნქციას ან მათ ნაწილს. ფილიალი იურიდული პირი არ არის და ახორციელებს მეთაური ბანკის მიერ მისთვის დელეგი-

რებულ ოპერაციებს ცენტრალური ბანკის ლიცენზიით გათვალისწინებულ ფარგლებში. ფილიალი დებს ხელშეკრულებას და ეწევა სხვა სამეურნეო საქმიანობას მისი შექმნილი კომერციული ბანკის სახელით.

**ბანკის ფილიალები** – წარმომადგენლობა და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. ბანკის ფილიალად ითვლება ცალკე სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც სათაო ბანკის მდებარეობის ადგილზე არაა მოთავსებული და ასრულებს ამ ბანკის ყველა ფუნქციას ან მათ ნაწილს. ფილიალი იურიდიული პირი არაა და ასრულებს მეთაური ბანკის მიერ მისთვის დელეგირებულ ოპერაციებს ცენტრალური ბანკის ლიცენზიით გათვალისწინებულ ფარგლებში. ფილიალი დებს ხელშეკრულებებს და ეწევა სხვა სამეურნეო საქმიანობას მისი შექმნილი კომერციული ბანკის სახელით.

**ბანკის ფილიალი** – ბანკის ქვეგანყოფილება, სადაც უშუალოდ ხორციელდება საბანკო საქმიანობა ან მისი ნაწილი.

**ბანკის ფინანსური მდგრადობა** – შეგვიძლია დავახასიათოთ ბანკის საქმიანობის ისეთი ინტეგრალური ფინანსურ-ეკონომიკური პარამეტრებით და შედეგებით, როგორიცაა საკუთარი სახსრების მოცულობა და სტრუქტურა, შემოსავლებისა და მოგების დონე, საკუთარ კაპიტალზე მოგების ნორმა, ლიკვიდობის საკმარისობა, საკუთარი კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტიანობა და დამატებული ღირებულების შექმნა, აგრეთვე საქმიანობის ის პარამეტრები, რომლებიც ბანკის მართვის საინფორმაციო-ანალიტიკურ და ტექნოლოგიურ მხარდაჭერას უკავშირდება.

**ბანკის ფულად საკრედიტო პოლიტიკის** განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია სავალდებულო რეზერვები. საკრედიტო ორგანიზაცია პასუხისმგებელია სავალდებულო რეზერვების დეპონირების წესის დაცვაზე.

**ბანკის ფულის მიმოქცევის სამმართველო** – ახორციელებს: სალაროს ყოველდღიურად შეჯამებას ბანკის ყველა ქვე-

დანაყოფების მიხედვით და მის ყოველდღიურად შემოწმებას; ქვედანაყოფებიდან განაცხადების ყოველდღიურად მიღებას საოპერაციო სალაროების გასაძლიერებლად; ბრუნვის ფიქსაციას და აღრიცხვას ყოველდღიურად და ყოველი სალაროს მიხედვით; სალაროს დოკუმენტების გაფორმებას და შეტანას ფილიალების მიხედვით; ბანკების ფილიალების სალაროების ლიმიტს გადაშორებული ნაშთების მონაცემების აღრიცხვას, ბანკნოტებით შესრულებული გადახდების დოკუმენტების გაფორმებას და შეტანას, აგრეთვე, ბანკში ფულის მიმოქცევის რეალიზაციის და სხვა ოპერაციებს.

**ბანკის ფუნქციების ქვეშ უნდა გავიგოთ** – ობიექტურად განპირობებული ამოცანები, რაც ცენტრალურმა ბანკმა უნდა განახორციელოს.

**ბანკის ფუნქციური მდგრადობა** – მას ორი შესაძლო ვარიანტი აქვს: ბანკის სპეციალიზაცია, რაც მომსახურების შერჩეული ასორტიმენტს უფრო ეფექტურად გაწევის შესაძლებლობას აძლევს ბანკს; ბანკის ფართო უნივერსალიზაცია, რისი წინამძღვარიცაა ბანკის მდგრადობის შესახებ ჩამოყალიბებული წარმოდგენა იქიდან გამომდინარე, რომ კლიენტთა უმრავლესობა ამჯობინებს საბანკო პროდუქტებზე თავის მოთხოვნილებათა მთელი ნაკრების დაკმაყოფილებას ერთ ბანკში.

**ბანკის შემოსავლების სახეები** – ბანკის შემოსავლები შეიძლება დაიყოს შემდეგ ეკონომიკურ ერთგვაროვან ჯგუფებად: შემოსავლები – პასიური ოპერაციებიდან და შემოსავლები აქტიური ოპერაციებიდან.

**ბანკის შემოსავლების სტრუქტურული ანალიზის მიზანია** - მათი ძირითადი სახეობების გამოვლენა შემოსავლების წყაროების სტაბილურობის შესაფასებლად და მომავალში მათ შესანარჩუნებლად. ანალიზს ატარებენ წინა წლების ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე.

**ბანკის შიდა ფაქტორებს ეკუთვნის** – ბანკის მტკიცე კაპიტალური ბაზა, მისი აქტივების ხარისხი, დეპოზიტების ხარისხი,

არე წყაროებზე ზომიერად დამოკიდებულება, აქტივებისა და პასივების კავშირი ვადების მიხედვით, მოქნილი მენეჯმენტი, პირველი კლასის იმიჯი.

**ბანკისგან ბანკის გამოყოფა არის: –** ა) სამართლებრივი თვალსაზრისით – მოცემული ბანკის ბაზზე აღმოცენებული ერთ ან რამდენიმე ახალ ბანკზე იმ უფლებებისა და მოვალეობების გადასვლა, რომლებიც ქონდა და ახლაც აქვს ამ ბანკს; ბ) ორგანიზაციულ-ეკონომიკური თვალსაზრისით – ადრინდელი ბანკის გვერდით დამატებით ერთი ან რამდენიმე ბანკის გაჩენაა, რომელმაც რეგისტრაციისა და ლიცენზირების პროცედურა უნდა გაიარონ. საორგანიზაციო ბანკის სადამფუძნებლო დოკუმენტებში შეაქვთ შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მისი კაპიტალის სიდიდის შემცირებას უკავშირდება.

**ბანკნოტი –** (bank-note) [ინგ. bank-note] საბანკო ბილეთი, საკრედიტო ფულის უმაღლესი ფორმა, რომელსაც მიმოქცევაში უშვებენ საემისიო ბანკები. ბანკირის თამასუქი ნებისმიერ დროს შეუძლია ფულის მიღება.

**ბანკო ფასი ან კურსი –** რომლის მიხედვითაც ბანკი ფასიან ქაღალდებს ყიდულობს ან ყიდის.

**ბანკომატი –** (ATM – Automated Teller Macine) მრავალფუნქციური ავტომატია, ე.წ. ავტობანკი, რომელსაც მართავს მაგნიტური პლასტიკური ბარათების ახალი თაობა. პირველი ბანკომატი მე-20 საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ ნაღდი ფულის მცირე თანხებს გასცემდა. 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში მრავალი სიძნელე შეიმჩნეოდა სალაროს ავტომატების გამოყენებასთან დაკავშირებით: ავტომატების გატეხვა, პერსონალური ბარათების ხშირი დაზიანება ან მათი აპარატში ჩარჩენა ოპერაციის დასრულების შემდგომ. ამის შემდგომ კლიენტების უმრავლესობა ამჯობინებდნენ თავიანთი ოპერაციების შესრულებას ტრადიციული მეთოდით – უშუალოდ ბანკში.

**ბანკომატი – (ინ) საბანკო აპარატი, რომელიც ავტომატურად ახორციელებს** გარკვეული ანგარიშსწორებას. კერძოდ, სატელეფონო, კომუნალური და სხვა გადასახადს.

**ბანკროტი –** გაკოტრებული არასაიმედო მევალე, ვალის გადახდის უნარს მოკლებული პირი.

**ბანკს –** (და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციას, თუკი მისი ლიცენზია ამის გაკეთების უფლებას აძლევს მას) შეუძლია – თუ ეს საინტერესოა ბანკისთვის (საკრედიტო ორგანიზაციისათვის) და სჭირდება კლიენტს – ჩაატაროს კანონით „საკრედიტო ორგანიზაციების სხვა გარიგებად“ წოდებული ფინანსური ოპერაციები. ამ ოპერაციების (გარიგებების) განხორციელება შეიძლება საკრედიტო ორგანიზაციების განსაკუთრებულ უფლებად ჩაითვალოს (იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ოპერაციების განხორციელება ეპიზოდურად ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს შეუძლიათ).

**ბანკში ბუღალტრული აღრიცხვა –** თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს მისი მატერიალური ქონების, ფულადი სახსრების, კრედიტების, ფონდების, ფასიანი ქაღალდების, შექმნილი რეზერვების მდგომარეობისა და მოძრაობის, აგრეთვე შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური შედეგების შესახებ ფულადი გამოხატულებით არსებული ინფორმაციის შეგროვებას, რეგისტრაციისა და განზოგადების მკაცრად ორგანიზებულ, მოწესრიგებულ პროცესს.

**ბაჟი –** სახელმწიფოს მიერ დადგენილი გადასახადია, რომელსაც კრეფენ საქონლის მიერ ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას.

**ბაჟს –** რომელსაც საქონლის გამტანი ქვეყანა ახდევინებს, ასატანი ბაჟი ეწოდება.

**ბარგი –** ის საგნები და ნივთები, რაც მგზავრის ქონებას შეადგენს. ამ ცნებაში შედის, როგორც რეგისტრირებული ბარგი, ასევე მგზავრის მიერ აფრენის დროს თვითმფრინავის სალონში შეტანილი ნივთი.

**ბარგი** – საგნები და ნივთები, რაც მგზავრის ქონებას შეადგენს. ამ ცნებაში შედის როგორც რეგისტრირებული ბარგი, ასევე მგზავრის მიერ ფრენის დროს თავისთან დატოვებული ნივთები.

**ბარგი ზენორმატიული** – ბარგი, რომლის დროსაც მასაც აჭარბებს გადამზიდველის მიერ ბარგის უფასო გადაზიდვისათვის დადგენილ ნორმას.

**ბარგი რეგისტრირებული** – ბარგი, რომელიც გადამზიდველმა მიიღო გადასაზიდად საკუთარი პასუხისმგებლობით და რაზეც მან საბარგო ქვითარი გასცა.

**ბარგი ტრანზიტული** – ტრანზიტული რეგისტრირებული ბარგი, რომელიც გადაიტანება ერთი გადამზიდველის ხაზით, რეისის ორ ან რამდენიმე უბანზე, დაფრენის შუალედურ პუნქტებში მისი გადატვირთვის გარეშე.

**ბარგი ტრანზიტული** – რეგისტრირებული ბარგი, რომელიც გადაიზიდება ერთი ან რამდენიმე გადამზიდველის ავიახაზზე ერთი თვითფრინავიდან მეორეში გადასატვირთვით.

**ბარგი ტრანზიტული** – რეგისტრირებული ბარგი, რომელიც გადაიტანება ერთი გადამზიდველის ხაზით, რეისის ორ ან რამდენიმე უბანზე, შუალედურ პუნქტებში მისი გადატვირთვის გარეშე.

**ბარგი ტრანსფერული** – რეგისტრირებული ბარგი, რომელიც გადაიზიდება ერთი ან რამდენიმე გადამზიდველის საჰაერო ხაზზე ერთი სახეობის ტრანსპორტიდან მეორეში გადატვირთით.

**ბარელი** – (barrel - კასრი) – თხევადი და ფხვიერი ნივთიერების მოცულობისა და ტევადობის ერთეული აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, ბარელი ნავთობი უტოლდება 159 ლიტრს.

**ბარტერი** – მასში მოიაზრება ერთი საქონლის პირდაპირ გაცვლა მეორეზე, ფულის გამოყენებისა და მესამე მხარის მონაწილეობის გარეშე. მაგალითად, 1993 წელს ტანსაცმლის

ერთერთმა მსხვილმა მწარმოებელმა საფრანგეთში Eminence S. A. მიიღო ბარტერული გაცვლის ხუთწლიანი გეგმა აღმოსავლეთ ევროპის კომპანიებთან (835 მილიონის თეთრეულისა და სპორტული ტანსაცმლის სხვადასხვა საქონლისა და მომსახურებაზე გაცვლით, საერთაშორისო გადაზიდვებისა და აღმოსავლეთ ევროპის ჟურნალებში რეკლამის განთავსების ჩათვლით).

**ბაუმელის დაავადება** – (Bowmole's desease) უკავშირდება მომსახურების სფეროში ხელფასის ზრდის უზრუნველყოფის საკითხში წარმოქმნილი სიძნელეებს: ამ სფეროში ხელფასი გაცილებით დაბალია, ვიდრე მატერიალურ-ნივთობრივი წარმოებაში, რაც გამოწვეულია ეკონომიკის მესამეულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედარებით დაბალი ტემპებით. მაგალითად, აშშ-ის მომსახურების სფეროს კერძო სექტორის მუშაკები ხელფასის სახით იღებენ მრეწველობაში დასაქმებულთა გამომუშავების 67%-ს, იაპონიაში ეს მაჩვენებელი ნაკლებია 7-ით, ხოლო ფრ-ში 15%-ით. დასავლეთ ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნული მოვლენა პირველად გაანალიზა ცნობილმა ეკონომისტმა ბაუმოლმა. მან დაასაბუთა მატერიალურ-ნივთობრივ წარმოებასა და მომსახურებას შორის ხელფასის დონის სხვაობის მუდმივი დაცვის მექანიზმის შექმნის აუცილებლობა, მომსახურებასთან შედარებით საქონლის წარმოების სფეროში შრომის მწარმოებლურობის უპირატესის ზრდის საფუძველზე. აღნიშნული მოვლენა ცნობილია ,,ბაუმოლის დაავადების'' სახელწოდებით.

**ბემ-ბავერკი ოიგენ** – (1851-1914) (Bom-Bawerk) ნეოკლასიკური მიმდინარეობის ერთერთი განშტოების მარჟინალური მიმართულების (ავსტრიული სკოლა) თვალსაჩინო წარმომადგენელი, ავტორი ნაშრომებისა ,,კაპიტალი და სარგებელი (1884)'', ,,კაპიტალის პოზიტიური თეორია'' (1889) და სხვ.

**ბენეფისი –** (ფრანგ.benefice) მოგება სარგებლობა.

**ბენეფიციარი** – პირი ვის სასარგებლოდაც დაიდება სატრასტო ხელშეკრულება, მ.შ. სატრასტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლებიდან მიღებული თანხების მიხედვით.

**ბენეფიციარი** – პირი რომლის სასარგებლოდაც იხდიან ფულს და გასცემენ აკრედიტივს, სადაზღვევო პოლისის მიმღები.

**ბენეფიციარი** – პირი რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადასახდელი, გაიცემა აკრედიტივი სადაზღვევო პოლისის მიმღები.

**ბენეფიციარული მესაკუთრე** – ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას: ა) არის ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მესაკუთრე. ბ) ნებას რთავს ნომინალურ მფლობელს, წერილობითი შეთანხმების საუძველზე, იმოქმედოს მისი სახელით, გ) იღებს ფულად მოგებას როგორც ფასიანი ქაღალდების მესაკუთრე, დ) აქვს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ხმის განკარგვის უფლება; ე) აქვს უფლება გახდეს ამათუიმ ფასიანი ქაღალდის ბენეფიციარი მესაკუთრე.

**ბენჩმარკინგი** – 1) მარკეტიგული საქმიანობა, რომლის მეშვეობითაც ფირმა წარმატებულად ახორციელებს თავისი მახასიათებლების შედარებას ბიზნესის ლიდერებთან, მსოფლიო მასშტაბით საკუთარი ბიზნეს მახასიათებლების გასაუმჯობესებლად. 2) პარტნიორებისა და კონკურენტების საუკეთესო საწარმოებში, პროდუქტის წარმოება გასაღების პროცესებისა და მეთოდების გამოკვლევა საკუთარი ფირმის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. პრინციპი – საუკეთესოდან-საუკეთესოსაკენ.

**ბენჩმარკინგი** – ეს ერთი კომპანიის თვისებების სხვა კომპანიებთან შედარების ინსტრუმენტია.

**ბენჩმარკინ**გი – გულისხმობს კონკურენტი საწარმოების პროდუქტებისა და საქმიანობის შედარებას პროდუქტების ხარისხის და საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად ახალი გზებისა და საშუალებების გამოვლენის მიზნით.

**ბიზნესი** – 1) საქმიანობა, რომელიც წარიმართება მოგების მიღების მიზნით. 2) ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლიათ

იმოქმედოს როგორც დამოუკიდებელმა სამეურნეო სუ-ბიექტმა (ფირმამ).

**ბიზნესი ბიზნესზე** – სამრეწველო მარკეტინგი, ან კომპანია, რომელიც პროდუქციას (ან მომსახურებას) აწვდის საწარ-მოებს და არა მოსახლეობას.

**ბიზნესის ეთიკა** – ქცევის პრინციპები და წესები, რომელთაც მისდევენ ბიზნესმენი, ფირმა, ან მთლიანობაში, საქმიანი წრეები.

**ბიზნეს ერთეულის კონცეფცია** – (Business entity concept) ბიზნესის აღრიცხვა კომპანიის საკუთრებისგან ცალკე უნდა ხორციელდებოდეს. ფინანსურ ანგარიშებში საუბა-რი ბიზნესის კონკრეტული სახეობის შესახებ და მხოლოდ მის შესახებ უნდა მოდიოდეს. თუ კი კომპანიის მფლო-ბელი, მაგალითად, კომპანიის ანგარიშებს თავის პირად ანგარიშებთან ერთად განიხილავს (ერთმანეთში აურევს), მაშინ მოცემული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ობიექტურად შეფასება შეუძლებელი იქნება.

**ბიზნეს პორტფელში** იგულისხმება – საწარმოს პროფილის განმსაზღვრელი საქმიანობა და საქონლის სახეები.

**ბიზნეს პროცესები** – მოიცავს: ბაზრის შესწავლის პროცესს, ახალ მიწოდებათა რეალიზაციის პროცესს; მყიდველთა მოზიდვის პროცესს, მყიდველებთან ურთიერთობის მართვის პროცესს, მოვალეობათა შესრულების პროცესს;

**ბიზნეს პროცესების რეინჟენრიგი** – საწარმოს ლოგისტიკური ბიზნეს-პროცესების ფუნქციონალური გადასინჯვა და რადიკალური რეკონსტრუირება საწარმოს ლოგისტიკუ-რი საქმიანობის მაჩვენებელთა გაუმჯობესების მიზნით; ლოგისტიკური პროცესების პროექტირების კონცეფცია მომხმარებლისათვის ღირებულებათა შექმნის ჰორიზონ-ტალური, საწყისიდან მიმავალი პროცესებისკენ.

**ბიზნეს საქმიანობის ძირითადი სუბიექტია** – საწარმო, რომელშიც იგულისხმება საქონლის ან მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის ერთი ან რამდენიმე ფუნქციის შესრულებაზე გამიზნული დაწესებულება.

**ბიზნეს სტრატეგია** – წესები, რომლის მიხედვითაც ყალიბდება ფირმის დამოკიდებულება მის გარე გარემოსთან, რომელიც განსაზღვრავს თუ რა სახის პროდუქციას და ტექნოლოგიას დაამუშავებს, სად და ვისთან გაასაღებს თავის პროდუქტს, როგორ მიაღწევს უპირატესობას კონკურენტებზე.

**ბიზნეს-გეგმა –** ფირმის მოქმედების გეგმა, რომელიც მოიცავს მისი წარმოება-გასაღების, მარკეტინგის, მენეჯმენტის და ბიზნეს ეფექტიანობის შესახებ.

**ბიზნეს-გეგმა** – წარმოადგენს საწარმოს საქმიანობის განსაზღვრულ მოდელს და საბაზრო ეკონომიკაში მიღებული კატეგორიების (ბიზნესის, მარკეტინგის, კონკურენტული ბრძოლის, კომერციული რისკის, ფინანსური სტრატეგიისა და ა.შ.) განსაზღვრაში გამოიყენება ბიზნესის სფეროში ცნობილი და სამეწარმეო პრაქტიკაში აპრობირებული დაგეგმვის ტრადიციულ მეთოდებსა და ხერხებს.

**ბიზნესი** – ესაა განსაზღვრული პროდუქციისა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაცია საფუძველზე მოგების მიღების მიზნით წარმართული საქმიანობა.

**ბიზნესინგი** – ამ პროცესის შედეგად კომპანიის ყოველი წევრი გადაიქცევა საქმიან ადამიანად, რომელიც პასუხისმგებელია იმაზე, რომ შიგა თუ გარე კლიენტმა მიიღოს მაღალხარისხოვანი პროდუქცია ან მომსახურება.

**ბიზნესი ინტერნეტში** – ხორციელდება ძირითადად ოთხი მთვარი მიმართულებით: ფირმა-მომხმარებელს, ფირმა-ფირმას, მომხმარებელი-მომხმარებელს და მომხმარებელი ფირმას.

**ბიზნესი მატერიალური ფორმის –** პროდუქტის (სასარგებლო ნივთის) ან მომსახურების (უხილავი სიკეთის) წარმოებისა და მის რეალიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობაა, რომელიც უზრუნველყოფს მოგებას თავის მხრივ საერთაშორისო ბიზნესი გულისხმობს ამ საქმიანობის განხორციელებას სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთით ანუ სხვადასხვა ქვეყნების მონაწილეობით.

**ბიზნესის ლიკვიდობის საკვანძო მომენტი - ფულადი ნაკადის ციკლია –**იგი მოიცავს: 1. ფულადი სახსრების დაბანდებას ნედლეულსა და პროდუქტში; 2. პროდუქტის გაყიდვასა და 3. გაყიდვისაგან ამონაგები თანხების მიღებას. ეს სამი პროცესი, როგორც წესი, დროში ერთმანეთს არ ემთხვევა და ამის გამო შეიძლება დიდი მოთხოვნილება წარმოიშ-ვას ფულად სახსრებზე ან ლიკვიდობის უზრუნველსაყო-ფად საჭირო გახდეს დაფინანსების სხვა წყაროების (მაგალითად – სესხის) გამოყენება.

**ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა** – ბსპ (social responsibility of businesses) ბიზნესის ვალდებულება წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრად სოციალურ-ეკონო-მიკურ და ეკოლოგიურ განვითარებაში, დაიცვას ეთიკუ-რი პრინციპები, ხელი შეუწყოს საზოგადოებაზე პოზი-ტიური გავლენის მაქსიმიზაციას და ნეგატიური გავლე-ნის მინიმიზაციას ცხოვრების დონისა და ხარისხის გაუმჯობესების გზით.

**ბიზნესის სტრატეგია** – წესები, რომლის მიხედვითაც ყალიბდება ფირმის დამოკიდებულება მის გარე გარემოსათან, რომე-ლიც საზღვრავს: რა სახის პროდუქციას და ტექნოლოგიას დაამუშავებს, სად და ვისთან გაასაღებს თავის პროდუქ-ციას, როგორ მიაღწევს უპირატესობას კონკურენტებზე.

**ბიზნესმენი** – იგი არის მესაკუთრე, კაპიტალის მფლობელი, რომელიც ეწევა ბიზნესს, წარმოადგენს ფირმის მეპატრო-ნეს, რომელიც ქირაობს თავისი საკუთარი ფირმისათვის მუშა-მოსამსახურეებს. პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს საქმიან ადამიანს და არა საქმოსანს, მენეჯერი ბიზნესის მიერ დაქირავებული მართვის სპეციალისტია.

**ბილ-ბროკერი** – (bill-broker) მაკლერი, რომელიც საფონდო ბირჟაზე თამასუქების დისკონტის (განაღდების) და რედისკონტის (გადანაღდების) გარიგებაში შუამავლის როლს ასრულებს და იღებს საკომისიო გასამრჯელოს განსაზღვრული პროცენტის სახით თამასუქის თანხიდან.

**ბილიარდის ეფექტი** – შრომატევად წარმოებათა გადატანა ახალი განვითარებული და ახალი ინდუსტრიული ქვეყნებიდან ძალიან იაფი მუშახელის მქონე განვითარებად ქვეყნებში.

**ბიმეტალიზმი** – (bimetallism) XVI-XIX სს-ების ფულადი სისტემა, რომლის დროსაც ოქრო და ვერცხლი დაკანონებული იყო საყოველთაო ეკვივალენტად და წარმოადგენდა ფულადი მიმოქცევის საფუძველს.

**ბირჟა** – (ინგ exchange, ფრანულად bourse, გერ. Borse) ორგანიზებული საბითუმო ბაზარია, სადაც საბირჟო საქონელი იყიდება სტანდარტულ პარტიებად. ბირჟა შეიძლება იყოს საჯარო და კერძო. საჯაროა ისეთი ბირჟები, სადაც გარიგებებს ახორციელებენ, როგორც ბირჟის წევრები, ისე მეწარმეები, რომლებიც ბირჟის წევრები არ არიან, არ გააჩნიათ საკუთარი სახელით ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა განხორციელების უფლება.

**ბიუროკრატია** – ორგანიზაციის ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია შრომის სპეციალიზებული დანაწილება, მკაფიო მმართველობითი იერარქია, წესები და სტანდარტები. მუშაკის კომპეტენციაზე დამყარებული დაქირავების პრინციპი და მუშაობის შეფასების მაჩვენებლები.

**ბიუჯეტგარეშე ფონდები** – სახელმწიფოს მიერ გარკვეული საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაფინანსების მიზნით, მოზიდული და ოპერატიული დამოუკიდებლობის საფუძველზე გასახარჯი ფინანსური რესურსების გადანაწილებისა და მიზნობრივი გამოყენების ფორმას წარმოადენს. მისი შექმნისა და გამოყენების წესი ფინანსური სამართლით რეგულირდება.

**ბიუჯეტი –** რომელიც ასახავს ფირმის მოსალოდნელ შედეგებზე და გასანაწილებელ რესურსებზე რაოდენობრივი ფორმით.

**ბიუჯეტი –** სახელმწიფო, საწარმოს (ფირმის), საოჯახო მეურნეობისა და ა.შ. შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხა დროის გარკვეულ პერიოდში, ჩვეულებრივ ერთი წლის განმავ-

ლობაში. არსებობს აგრეთვე ბიუჯეტი, რომელიც გამოხატავს არსებული და დახარჯული დროით თანაფარდობას.

**ბიუჯეტი** – სახელმწიფოს შემოსავლებისა და ხარჯების კატეგორიათა სისტემა, რომელიც ახასიათებს განსაზღვრულ კრედიტორულ ურთიერთობებს.

**ბიუჯეტი** – წარმოადგენს რესურსების განაწილების მეთოდს, გამოსახულს რაოდენობრივი ფორმით, ასევე რაოდენობრივი სახით წარმოდგენილი მიზნების მისაღწევად.

**ბიუჯეტი** – გეგმა, რომელშიც რაოდენობრივი ფორმით აისახება მოსალოდნელი შედეგები და გასანაწილებელი რესურსები. ასრულებს საკონტროლო ეტალონის როლს.

**ბიუჯეტი ბრუტო** – ბიუჯეტის შედგენის მეთოდი, რომლის დროსაც მისი ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფო მეურნეობასთან მყარდება სალდოს მიხედვით (დადებითი და უარყოფითი) ბიუჯეტში აისახება მხოლოდ იმ საწარმოთა საქმიანობის საფინანსო შედეგები, რომლებიც იმყოფებიან დამოუკიდებელ ბიუჯეტზე.

**ბიუჯეტი ნეტო** – ბიუჯეტის შედგენის მეთოდი, რომლის დროსაც მასში შეაქვთ სახელმწიფოებრიობისა და საექსპლუატაციო ხარჯების სრული თანხა, ყველა საბრუნავი და სატრანზიტო მუხლები, რომლებიც გადიან თანაბარ თანხაში შემოსავლებისა და გასავლების მიხედვით.

**ბიუჯეტი ნეტო** – ბიუჯეტის შედგენის მეთოდი, რომლის დროსაც მისი ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფო მეურნეობასთან მყარდება სალდოს მიხედვით (დადებითი ან უარყოფითი): ბიუჯეტში აისახება მხოლოდ იმ საწარმოთა საქმიანობის ჯამური საფინანსო შედეგები, რომლებიც იმყოფებიან დამოუკიდებელ ბიუჯეტზე.

**ბიუჯეტი ნულოვანი საფუძველით** – (ინგ. Zero base budjet) დგება ყოველთვის ადრე გაწეული დანახარჯების გათვალისწინების გარეშე. ZBB სისტემის ამოცანაა ნაკლებ ეფექტიანი პროდუქციის წარმოებისა და პროგრამების გაგრძელების გამორიცხვა, სახელმწიფოს ხარჯების მართვის პროცესის

გაუმჯობესება და მიმდინარე კაპიტალურ დანახარჯებზე რესურსების უფრო მიზანშეწონილი განაწილება.

**ბიუჯეტის განხილვა** – ბიუჯეტი განიხილება პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, თვით პარლამენტისა და მოსახლეობის მიერ.

**ბიუჯეტის დამტკიცება** – მას ამტკიცებს ქვეყნის პარლამენტი, რის შედეგადაც იგი კანონის ძალას იღებს.

**ბიუჯეტის დეფიციტი** – არის სიტუაცია, რომლის დროსაც მოცემულ წელს მთავრობის დანახარჯები სჭარბობს მის შემოსავლებს.

**ბიუჯეტის დეფიციტი** – ბიუჯეტი წარმოადგენს ბალანსს, რომლის შემოსავლები ხარჯების ტოლი უნდა იყოს, როდესაც ბიუჯეტის შემოსავლები მთლიანად ვერ ფარავს მის ხარჯებს, მაშინ საქმე გვაქვს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტთან და პირიქით, როცა შემოსავლების მოცულობა მეტია ხარჯების დონეზე საქმე გვაქვს ბიუჯეტის სახსრების სიჭარბესათან, ანუ მის დადებით სალდოსთან და სახეზეა ბიუჯეტის პრეფიციტი.

**ბიუჯეტის დეფიციტი** – სიტუაცია, როცა სახელმწიფო ხარჯები სჭარბობს საშემოსავლო სტატიების მიხედვით ბიუჯეტის შემოსავლებს განსაზღვრული დროის (კვარტლის წლის) განმავლობაში, ანუ სახელმწიფოს მხრივ დამატებითი შინაგანი მოთხოვნა.

**ბიუჯეტის დეფიციტი** – ხარჯების მეტობა შემოსავლებზე;

**ბიუჯეტის ერთიანობა** – საბიუჯეტო მასალის ერთ დოკუმენტში თავმოყრა.

**ბიუჯეტის პროფიციტი** – შესავლების მეტობა ხარჯებზე;

**ბიუჯეტის რეალობა** – რაც იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტში შეტანილი შემოსავალ-გასავალი უნდა იყოს მართალი, ზუსტი და თვალსაჩინო.

**ბიუჯეტის საკასო შესრულება** – ბიუჯეტის შესრულების პროცესში საბიუჯეტო საშუალებების მიღების შენახვის და გადაცემის განხორციელება და ორგანიზაცია, აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოება. განასხვავებენ ბიუჯეტის

საკასო შესრულების სახაზინო, საბანკო და შერეულ სისტემებს.

**ბიუჯეტის სახსრების მის შემოსავლებთან მეტობას** – საბიუჯეტო დეფიციტი ეწოდება, რომლის დაფარვის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც შიდა, ასევე დაფინანსების გარე წყაროებიც და რომელთა თანაფარდობა სახელმწიფოს **საბიუჯეტო პოლიტიკაზეა** დამოკიდებული.

**ბიუჯეტის საჯაროობა მოითხოვს იმას, რომ** იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს; ბიუჯეტი უნდა ქვეყნდებოდეს პრესის საშუალებით.

**ბიუჯეტის სისრულე** – რაც იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტში შეტანილ უნდა იქნას ყველა ხარჯი და შემოსავალი სრულად.

**ბიუჯეტის შედგენა** – იგი ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობით, პრინციპით ქვემოდან ზემოთ, ე.ი. ყველა საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება და ა.შ. ადგენს თავის შემოსავალ-გასავლის ბალანსს და გადასცემს ზემდგომ ორგანიზაციებს. ისინი თავის მხრივ, ადგენენ ერთიან შემოსავალ-გასავლის ბალანს ცალკეული დარგებისათვის და გადასცემენ ფინანსთა სამინისტროს, რომელიც ადგენს სახელმწიფოს ერთიან ბიუჯეტს.

**ბიუჯეტის შედგენის პროცესი** – შეიძლება ოთხ ეტაპად წარმოვიდგინოთ: **პირველ ეტაპზე** – უმაღლესი ხელისუფლების მიერ ცხადდება ფირმის საერთო მიზნები; **მეორე ეტაპზე** – განყოფილებებისა და ქვეგანყოფილებების მიერ დგება ოპერატიული ხარჯთაღრიცხვა; **მესამე ეტაპზე** - უმაღლესი ხელისუფლება აანალიზებს წინადადებებს ბიუჯეტის შესახებ, შემდეგ კი განყოფილებები აზუსტებენ თავიანთ წინადადებებს უმაღლესი ხელისუფლების მითითების საფუძველზე; **მეოთხე ეტაპზე** დგება საშედეგო (შემაჯამებელი) ბიუჯეტი, რომელშიც მუხლობრივად აისახება რესურსების აღრიცხვისა და ფონდების გამოყენების მდგომარეობა. საბოლოოდ აღნიშნულ დეტალურ გათვლებს შეუდარებენ კონკრეტული მომუშავის ან

განყოფილების მწარმოებლურობას, რათა განისაზღვროს ხელმძღვანელობის მიერ საკონტროლო მაჩვენებლების შესრულების შესაძლებლობები.

**ბიუჯეტის შეზღუდვა** – (budjet constrant) ხარჯების შეზღუდვა გამოწვეული სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად შემოსავლების სიმცირით.

**ბიუჯეტის შემოსავლები** – ისეთი სახის ეკონომიკურ ურთიერთობებს გამოხატავს, რომლებშიც სახელმწიფოს მეურნე სუბიექტთა და მოქალაქეებთან საბიუჯეტო ფონდის ფორმირების პროცესში წარმოიშობა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში შემოსავლების შევსების სისტემა საგადასახადო სისტემაზეა დაფუძნებული.

**ბიუჯეტის შესრულება** – გულისხმობს ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა შემოსავლის აკრეფას, მათ თავმოყრას ერთიან სახელმწიფო სალაროში (ცენტრალური ბანკის საშუალებით) და სახსრების მიზნობრივ გამოყენებას.

**ბიუჯეტის ძირითადი ფუნქციებია** – მთლიანი შიდა პროდუქციისა და ეროვნული შემოსავლის გადანაწილება; ეკონომიკის სახელმწიფოებრივი **რეგულირება და სტიმულირება;** სოციალური პოლიტიკის ფინანსური უზრუნველყოფა; ფულადი სახსრების ცენტრალიზებული ფონდების შექმნაზე და გამოყენებაზე კონტროლი.

**ბიუჯეტის ხარჯები** – ისეთი სახის ეკონომიკურ ურთიერთობებს გამოხატავენ, რომლებიც საბიუჯეტო ფონდების განაწილებისას და ფულადი სახსრების სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციების შესაბამისობაში ყალიბდება.

**ბლანკ-თამასუქი** – თამასუქი რომელშიც არ არის ერთი ან რამდენიმე ჩვეულებრივი რეკვიზიტი (თამასუქის მფლობელის ხელის მოწერა, თანხა, წარმოდგენის თარიღი) შეიძლება გამოშვებულ იქნას მიმოქცევაში, როგორც თამასუქის მიცემის, ისე გადამხდელის მიერ ბლანკური აქცეპტის შედეგად. გამოიყენება საშინაო და საერთაშორისო ბრუნვაში იმ პირებს შორის, რომლებიც დაკავე-

ბულნი არიან ურთიერთნდობაზე დამყარებული საქმიანი ურთიერთობებით.

**ბონისტიკა** – (bonistics) [ფრან.bonistique] დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს ქაღალდის ფულად ნიშნებს და ბონებს, როგორც ისტორიულ დოკუმენტებს, მჭიდრო კავშირშია ნუმიზმატიკასთან.

**ბონიფიკაცია** – (bonification) [ლათ.bonus კეთილი, კარგი] 1.წანამატი იმ საქონლის ფასზე, რომლის ხარისხიც ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მაღალია (რეფაქცია); 2. ექსპორტირებულ საქონელზე გადახდევინებული გადასახადების უკან დაბრუნება ამ საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

**ბორდერო** – ავტოსაგზაო გადაზიდვებში გამოყენებული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია გადამზიდავის მიერ გადასაზიდი ტვირთის ჩამონათვალი. ხშირ შემთხვევაში იგი შეიცავს მითითებას თანდართული ავტოსაგზაო გადაზიდვის ზედნადების ასლების შესახებ.

**ბოროტად გამოყენების რისკი** – ბანკის მომსახურების ან მმართველის მიერ დაშვებული ცდომილებას ან გაფლანგვას შეუძლია არსებითად დაასუსტოს ბანკი, ზოჯერ კი გაკოტრებამდეც მიიყვანოს იგი. დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის დასკვნითი, ბანკის მომსახურებით კორუფცია ბოლო დროს ხშირად გამხდარა ბანკების დახურვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. გარდა ამისა, ბანკის სეიფებში დაცული უზარმაზარი ფულადი სახსრები ხშირად ხდება დამნაშავეთა საცდური. მსოფლიოში ბანკების ძარცვამ რეკორდულ ციფრებს მიაღწია 1970-80-იან წლებში.

**ბოროტმოქმედებისა და არაკეთილსინდისიერების რისკი** – რომელიც დამოკიდებულია პერსონალის შერჩევის და დაქირავების კუთხით მუშაობის დონეზე, უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობაზე, საკონტროლო – სარეზერვო აპარატის შედეგიანობაზე, ხელმძღვანელობის სტილზე, კორპორაციულ კულტურაზე;

**ბორტმარაგი** – მოხმარებისათვის მზა საგნები, რომლებიც განკუთვნილია მოსახმარად ან გასაყიდად საჰაერო ხომალდზე ფრენის დროს, მათ შორის საბირჟო კვება.

**ბრაკერაჟი** – (sorting) საქონლის შემოწმება ოფიციალური საქონელმცოდნეობის (ბრაკერების) მიერ, მისი ხარისხის, ვარგისიანობის განსაზღვრის, აგრეთვე დაწესებულ სტანდარტთან და დადებული ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის მიზნით.

**ბრეიქი** – მზა ნარევი მტვერი.

**ბრენდი** – (ინგლისურად დამღა, მარკა) მწარმოებლის საქონლის მომსახურების სახელწოდება ნიშანი სიმბოლო ან დიზაინი, ან მათი კომბინაცია, რომლებიც განკუთვნილია საქონლის იდენტიფიკაციისა და მისი განსასხვავებლად კონკურენტების საქონლისაგან.

**ბრენდინგი** – მარკეტინგული კომუნიკაციათა სფერო, სადაც ხდება საფირმო სტილის, მისი ელემენტების დამუშავება, კონკურენტებისგან განსხვავებული ფირმის უნიკალური იმიჯის (სასაქონლო მარკის) ფორმირება.

**ბრეტონ-ვუდსი** – (Breton-Woods) აშშ-ის კურორტი ნიუმჰემბერის შტატში, სადაც 1944 წელს ჩატარდა სავალუტო-ფინანსურ საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის, აგრეთვე რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის შექმნის შესახებ.

**ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია** – (Breton-Woods conference) აშშ-ის კურორტ ბრეტონ-ვუდსში გაეროს მიერ 1944 წელს სავალუტო-ფინანსურ საკითხებზე ჩატარებული კონფერენცია, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის, აგრეთვე რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის შექმნის შესახებ.

**ბროკერები** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს დაზღვევას თავისი სახელით დასაზღვევის დავალებით.

**ბროკერი საბირჟო წრეში (ორმოში)** – ბირჟის წევრი, რომელიც გარიგებას დებს უშუალოდ საბირჟო წრეში (ორმოში).

**ბროკერი წარმომადგენლობითი** – (მხოლოდ აშშ-ში), დამოუკიდებელი აგენტი, რომელიც კლიენტებისგან ღებულობს დაკვეთებს, საბირჟო გარიგების დადებაზე, მაგრამ თვით არ უძღვება მათ ანგარიშს და მათგან არ ღებულობს ფულს ან ფასეულობას დეპოზიტის ან მარჟის დასაფარავად.

**ბროკერის გასამრჯელო** – (brokerage) გასამრჯელო რომელსაც იღებს ბროკერი კლიენტისაგან ყიდვა-გაყიდვის განხორციელებისათვის. ეს შეიძლება იყოს ფიქსირებული თანხა ან ოპერაციის ღირებულებისაგან პროცენტი.

**ბროკერის მიღებული გასამრჯელოს** – (ინგლისურად ეწოდება ბროკერჯი brokere-e, ფრანგულად - კურტაჟი courta-e, გერმანულად – პროვიზიონი provision) მისი ზომა მერყეობს 0,25 -დან 1-3-%-მდე ზღვრებში;

**ბრტყელი სტრუქტურა** – ორგანიზაციის სტრუქტურა, რომელსაც ახასიათებს მართვის დონეების მცირე რაოდენობა და მართვის მოცულობის სიდიდე.

**ბრუნვადობა** – ფასიანი ქაღალდების უნარია, რომ ბაზარზე იყოს ყიდვა-გაყიდვის ობიექტი, შეასრულოს დამოუკიდებელი საგადასახადო ინსტრუმენტის როლი და გააადვილოს სხვა დანარჩენი საქონლის მიმოქცევა.

**ბრუტო წონა** – ტვირთის საერთო წონა შეფუთვის გარეშე.

**ბუკირება** – ტვირთის გადაზიდვის ქვეშ ხაზობრივი ტონაჟის დაფრახტვა. წარმოებს ბუკინგ ნოტის გაცემის გზით, რომელიც ამტკიცებს გადაზიდვაზე ტვირთის მიღებასა და ჩაბარებას.

**ბუნებრივი მონოპოლია** – (natural monopoly) სახელმწიფოს მონოპოლია, რომელიც ოფიციალურად აღიარებული გარდაუვალი მონოპოლიაა საქონლის (მომსახურების) წარმოებასა და გაყიდვაზე. ადგილი აქვს ენერგო-თბო, წყალ- და გაზმომარაგებაში, სარკინიგზო მიმოსვლაში, საფოსტო, სატელეფონო და სატელეფონო კავშირგაბმულობაში და

ა.შ. საქმიანობის ამ სფეროებში ბუნებრივი მონოპოლიების არსებობა გამოწვეულია დარგის ტექნიკური და ტექნოლოგიური სპეციფიკით, რომელიც მოითხოვს წარმოების, განაწილებისა და მოხმარების ერთიან სისტემას. წარმოებული პროდუქციის მოხმარების მასობრივი ხასიათი განაპირობებს ფართო მასშტაბური წარმოების აუცილებლობას. ამასთან ვინაიდან ეს პროდუქცია გამოირჩევა ერთგვაროვანი მაღალი დონით და მისი შეცვლა ალტერნატიული პროდუქციით შეუძლებელია, ამიტომ ამ დარგებში წარმოების მასშტაბების გაფართოებასთან დაკავშირებით ძლიერ მოქმედებს ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯების ეკონომიის კანონი. მათში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების შემთხვევაში კერძო მეწარმეები, რომელიც ბაზარზე დაიკავებენ მყარ პოზიციას, ადვილად შეძლებენ კონკურენციულ ბრძოლაში ახალი მეტოქეების დამარცხებას. მათი მდგომარეობა ბაზარზე, წარმოების ფართომასშტაბური ხასიათიდან გამომდინარე, ყოველთვის მონოპოლიური იქნებოდა და გამოიწვევდა რესურსების უკიდურესად არარაციონალურ ხარჯვას. ამიტომ ეკონომიკური საქმიანობის ამ სფეროებში არ არსებობს ეკონომიკური სივრცე ნორმალური კონკურენციისათვის, რაც განაპირობებს ბუნებრივი მონოპოლიების არსებობას. ბუნებრივი მონოპოლია უნდა განსხვავდებოდეს ხელოვნური მონოპოლიისაგან, რომელიც ფორმირდება ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების წარმოების, განაწილებისა და მოხმარების მონოპოლიზაციის საფუძველზე და ხელოვნურად ზღუდავს საბაზრო მექანიზმის მოქმედების სფეროს.

**ბუნებრივი რესურსები – (natural resources)** - ბუნებისაგან ნაბოძები, ადამიანისათვის გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი. ამჟამად ხელმისაწვდომობის საზღვარი შეადგენს დაახლოებით 4 მილს (6,5 კმ) დედამიწის ზედაპირზე და 12 მილს (20კმ) მის სიღრმეში. ბუნებრივ რესურსებს მიეკუთვნება ნაყოფიერი მიწები, ნავთობი, ქვანახშირი, ტყეები, მდინარეები, ქარი (თუ ხდება მისი გამოყენება

ენერგიის მისაღებად) და ა.შ. ზოგიერთი რესურსი არაკვლავწარმოებადია, ზოგი კი არსებობს მუდმივად, იმისგან დამოუკიდებლად თუ რა რაოდენობით ხდება მათი გამოყენება.

**ბუნებრივი ფასი –** (natural price) ტერმინი, გამოყენებული ადამ სმითის მიერ საქონლის ღირებულების (ფასეულობის) დახასიათებისათვის. საქონლის ბუნებრივი ფასისაგან ხდება საბაზრო ფასის გადახრა. ბუნებრივი ფასი გრძელვადიანი წონასწორობის ფასია და დამოკიდებულია წარმოების დანახარჯებზე.

**ბუნკერული ოპერაციები –** მიწოდების უზრუნველყოფის, წყლითა და საწვავით სატრანსპორტო საშუალებათა დატვირთვის ოპერაციები.

**ბუფერი – (ინგ. buffer)** ზამბარიანი რკინის დისკი დაჯახების შესასრულებლად (ვაგონის ლოკომოტივის თავსა და ბოლოში).

**ბუფერი – ზამბარიანი რკინის დისკი-დაჯახების შესარბილებლად** (ვაგონის ლოკომოტივის თავსა და ბოლოში).

**ბუღალტერი ბანკის –** დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფია და მას მთავარი ბუღალტერი ხელმძღვანელობს, ბანკის სიდიდიდან და სპეციალიზაციიდან, აგრეთვე, შესრულებული ოპერაციების მოცულობიდან გამომდინარე შესაძლებელია სააღრიცხვო-ოპერაციული განყოფილების ორგანიზაციისა და სტრუქტურის სხვადასხვა ვარიანტების შერჩევა. ბანკის ბუღალტრული ქვედანაყოფების სანიმუშო სტრუქტურა ასეთია: – **ბანკის სააღრიცხვო-ოპერაციული ქვედანაყოფი –** შედგება შემდეგი სპეციალისტებისაგან: მთავარი ბუღალტერი, პასუხისმგებელი შემსრულებელი, ოპერაციული ჯგუფის კონტროლიორი, ოპერაციონისტი, ოპერატორები.

**ბუღალტერია –** არის ერთადერთი მოდული, რომელიც იძლევა ინფორმაციას საწარმოს მთელი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ბუღალტრულ აღრიცხვას რიცხვების

ენაზე გადააქვს საწარმოს მთელი საწარმოო, კომერციული და ფინანსური ურთიერთობები და მათი შედეგები.

**ბუღალტერია ახორციელებს** – საბუღალტრო აღრიცხვას (აღრიცხავს დოკუმენტების საფუძველზე), რომელშიც განუწყვეტლივ ასახავს ბანკის ყველა ოპერაციას ფულადი ფორმით. იგი ამ დროს იყენებს ბუღალტრულ ბალანსს, დოკუმენტაციასა და ანგარიშებს. საბუღალტრო აღრიცხვის მიხედვით ბუღალტერია ადგენს საბუღალტრო ანგარიშგებას იმ მაჩვენებლების სისტემით, რომლებიც ახასიათებენ ბანკის სახსრების მდგომარეობას და საფინანსო საქმიანობას გარკვეული პერიოდისათვის.

**ბუღალტერია ის დეპოზიტური ოპერაციები** – რომლებიც იწვევენ პირად დეპო-ანგარიშებზე, ფასიანი ქაღალდების ნაშთების ტრანსფორმირებას.

**ბუღალტრული** – დოკუმენტების განსხვავებული ფორმა და შინაარსი დამოკიდებულია სამეურნეო ოპერაციის ში–ნაარსზე. დოკუმენტების კვალიფიკაცია სხვადასხვა ნიშ–ნის მიხედვით ხდება:

- შინაარსის მიხედვით – ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება მათში ასახული აღრიცხვის ობიექტები.
- დანიშნულების მიხედვით – შეიძლება იყოს განკარგულებითი, აღსრულებითი, კომბინირებული და ბუღალტრული დოკუმენტები.
- მოცულობის მიხედვით – დოკუმენტები არის პირველადი და ნაერთი ანუ კრებსითი.
- გამოყენების მიხედვით – ერთჯერადი და მაგროვებელი;
- შედგენის ადგილის მიხედვით – შიდა დოკუმენტი და გარე დოკუმენტი.

**ბუღალტრული ანგარიში** – ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების ერთობლიობა, რომლებშიც ფიქსირებულია იმ საწარმოს, ფირმის გარკვეული სახეობის ფულადი სახსრების მოძრაობა, რომელსაც აქვთ ერთნაირი ბუნება ან მიღების, გამოყენების ერთიანი მიმართულება.

**ბუღალტრული აღრიცხვა** – 1. არის საწარმოს სამეურნეო საქმიანობის და მისი ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, განზოგადებისა და წარდგენის საშუალება. ბუღალტრული აღრიცხვა სამეურნეო საქმიანობაში მომხდარ ცვლილებებს, მათ შედეგებს შეისწავლის და ასახავს ურთიერთკავშირში. 2. ბუღალტრული აღრიცხვა სამეურნეო სუბიექტი ფინანსური ინფორმაციის შეგროვების, გაზომვის, დამუშავებისა და გადაცემის სისტემას წარმოადგენს. 3. ბუღალტრული აღრიცხვა ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, შესაბამისი საინფორმაციო სისტემის შექმნას, ინფორმაციის ანალიზს, ინტერპრეტაციებისა და განზოგადებას გულისხმობს. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი ისეთი ცვლილებების ასახვა, რომელთა გამოსახვა ფულადი საზომი ერთეულით შეიძლება.

**ბუღალტრული აღრიცხვა** – არის ეკონომიკური ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გამოყენების პროცესი დასაბუთებული შეფასებისა და გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

**ბუღალტრული აღრიცხვა** – წარმოადგენს ცოდნის ისეთ დარგს, რომელსაც განსაკუთრებული როლი აქვს საზოგადოებაში. იგი აუცილებელია ყოველი ორგანიზაციისათვის, რომელსაც აქვს რესურსები, ხარჯები და მოგება.

**ბუღალტრული აღრიცხვის** – მიზანია არა მხოლოდ აღრიცხოს საწარმოს სამეურნეო ეკონომიკური ურთიერთობა, არამედ სათანადო ორგანიზაციული წესით მომზადებული ინფორმაცია მის მომხმარებლებს მიაწოდოს.

**ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს)** – არის ფინანსური ანგარიშების მომზადების შედარებით რაციონალური ნორმების „ჰიბრიდი", რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ნორმების დეტალური შესწავლისა და ანალიზის შედეგად იქნა არჩეული.

**ბუღალტრული აღრიცხვის ციკლი** – თანამედროვე ბუღალტრული აღრიცხვა ითვალისწინებს სააღრიცხვო ციკლს შვიდი ეტაპით. პირველი სამი ეტაპი ფინანსური გარიგების სისტემურ რეგისტრაციას ითვალისწინებს. ისინი ბუღალტრული ჩანაწერების სახით (bookkeeping steps) არის ცნობილი.

**ბუღალტრული ბალანსი** – ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ერთ-ერთი ელემენტია, რომელიც საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებს და კაპიტალს გამოსახავს დროის გარკვეული მომენტისათვის ფულადი საზომი ერთეულით.

**ბუღალტრული ბალანსი** – იგი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას წარმოადგენს. ბალანსში მიმდინარე აქტივებსა (ფული, დებიტორული დავალიანება და მარაგები) და საკრედიტო დავალიანებას შორის თანაფარდობას არსებითი მნიშვნელობა აქვს. პირველ და მეორე სიდიდეებს შორის სხვაობას მუშა კაპიტალს უწოდებენ.

**ბუღალტრული ბალანსი** – ორი ნაწილისაგან აქტივებისა და პასივებისაგან შედგება. აქტივი საწარმოს ეკონომიკურ რესურსებზე მიუთითებს, რომელმაც სამეურნეო საქმიანობის შედეგად მოგება უნდა მოიტანოს. ბალანსის პასივი – აღნიშნულ ეკონომიკურ რესურსებზე საკუთრების უფლებას ასახავს და იგი საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებებისაგან შედგება, რომლებიც კორპორაციას კრედიტორების წინაშე გააჩნიათ. ბალანსი შეიძლება ორი ნიშნით – აქტივების ლიკვიდურობის გადიდების, ან შემცირების ხარისხის მიხედვით აიგოს.

**ბუღალტრული ბალანსი** – წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებას საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ გარკვეული პერიოდისათვის. იგი ასახავს სრულ სტრუქტურულ და ურთიერთდაკავშირებულ მონაცემებს საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შესახებ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

**ბუღალტრული გაფორმების დოკუმენტები** – უშუალოდ არ ასახავენ რომელიმე სამეურნეო ოპერაციას ისინი დგება

აღრიცხვის მუშაკების მიერ აღსრულებითი ან კომბინი–
რებული დოკუმენტების მონაცემების საფუძველზე.

**ბუღალტრული მოგება** – (accounting profit) – ერთობლივი შემოსავალი აშკარა დანახარჯების გამოკლებით.

**ბუღალტრული ოპერაციები** – ბუღალტრულია ის დეპოზიტური ოპერაციები, რომლებიც იწვევენ პირად დეპო-ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების ნაშთების ტრანსფორმირებას.

**ბუღალტრულია ის დეპოზიტური ოპერაციები** – რომლებიც იწვევენ პირად დეპო ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების ნაშთების ტრანსფორმირებას.

**ბუშელი –** (bushel) ფხვიერი და თხევადი ნივთიერებების საწყაო საზომია ინგლისური სისტემის ქვეყნებში. დიდ ბრიტანეთში ბუშელი 36,37, ხოლო აშშ-ში 35,24 ლიტრს.

## გ

**გაანგარიშებითი სავალუტო ფორვარდი –** ფორვარდული კონტრაქტი, რომლითაც ფორმდება ორი გარიგების კომ-ბინაციის კონვერსიული ოპერაცია; სავალუტო კონტრაქტი და მიმდინარე სავალუტო კურსის მიხედვით შემხვედრი გარიგება მისი ვალუტირების ვალდებულება. პრაქტიკაში ეს ფორვარდული კონტრაქტის სახეს იღებს, რომლის მიხედვით საბაზრო ვალუტის მიწოდება ხდება. სხვა-გვარად რომ ვთქვათ, გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდ-ველი ყიდულობს ამ ვალუტას პირობითად.

**გაბრიელის სისტემა (GABRIEL)** – რეისებზე ადგილების და-ჯავშნის სისტემა.

**გაგება** – ეცადეთ გაუგოთ პარტნიორს, მისი თვალსაზრისი-სადმი უყურადღებობა ზღუდავს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

**გაგზავნის ინსტრუქცია** – შეიცავს დაწვრილებით მონაცემებს ტვირთის შესახებ და მის გადაზიდვასთან დაკავშირე-ბულ ექსპორტიორის მოთხოვნებს.

**გაგზავნის ორდერი** – მყიდველისათვის (ტვირთის მიმღებისათვის) ტვირთის გამგზავნის (მიმწოდებლის) მიერ გაცემული დოკუმენტია.

**გადაგზავნის რისკი** – ფირმისთვისაც და ბანკისთვისაც გადაგზავნის რისკი ეხება ბალანსს და ცვლის აქტივებისა და პასივების ღირებულებას. თუ ეცემა იმ უცხოური ვალუტის კურსი, რომელშიც ეს აქტივებია გამოხატული, მაშინ კლებულობს აქტივების ღირებულება; აქტივების სიდიდე მცირდება, ეცემა ფირმის ან ბანკის სააქციო კაპიტალის სიდიდე.

**გადავადებული საშემოსავლო გადასახადი** – გრძელვადიანი ვალდებულებების ერთ-ერთი მუხლი. განსაზღვრული ინვესტიციების წახალისების მიზნით მთავრობა აძლევს კომპანიებს საგადასახადო შეღავათებს.

**გადაზიდვაზე გადასახდელების** – სიდიდე კონოსამენტის ხელმოწერამდე დარეგულირებული უნდა იქნას ყველა საკითხი, რომელიც ეხება ტარიფისა და სხვა გადასახდელების გადახდას, დაკავშირებულს ტვირთის გადაზიდვასთან. კონოსამენტში მითითებულია გაგზავნის პორტში გადახდილი თანხა, აგრეთვე სხვა თანხები, რომელიც ექვემდებარება გადახდას მიმღების მიერ დანიშნულების პუნქტში.

**გადაზიდვების მოცულობა** – ავიასაწარმოს საქმიანობის მოცულობითი მაჩვენებელი. ეს მაჩვენებელი ნიშნავს მგზავრების, ტვირთისა და ფოსტის ტრანსპორტირებას.

**გადაზიდვების ტექნოლოგია** – ტექნოლოგიური პროცესების თანმიმდევრობა სატრანსპორტო პროცესის შესრულების დროს.

**გადაზიდვების ხელშეკრულება –** ხელშეკრულების ძირითადი სახე, რომელიც გამოყენებულია ლოგისტიკური ოპერაციების დროს. ამ დოკუმენტის მიხედვით, ერთი მხარე (ტვირთგამგზავნი) გადასცემს ტვირთს სხვა მხარეს (გადამზიდავს) თავის მხრივ, გადამზიდავი თავის თავზე იღებს ვალდებულებას მიიტანოს საქონელი განსაზღვრულ ადგილზე განსაზღვრული საფასურის ფასად.

**გადაზიდვის გამგრძელებელი გადამზიდველი** – გადამზიდველი, რომელსაც შემდგომი გადაზიდვისათვის გადაეცემა მგზავრი და ბარგი.

**გადაზიდვის მარშრუტი** – ბილეთი გარკვეული თანმიმდევრობით აღნიშნული გამგზავრების, ტრანსფერის, გაჩერებისა და დანიშნულების აეროპორტები.

**გადაზიდვის ოპერატორი/გადამზიდავი** – პირი, რომელიც უშუალოდ აგებს პასუხს ტვირთების გადაზიდვაზე ან იყენებს ამ გადაზიდვებისთვის მესამე მხარეს.

**გადაზიდვის საწყისი და საბოლოო პუნქტი** – მოცემული ფრენის მსვლელობაში შესრულებული კომერციული გადაზიდვა, განაწილებული წყვილ ქალაქზე ჩასხდომის პუნქტისა და გადმოსხმის პუნქტის შესაბამისად.

**გადაზიდვის საწყისი და საბოლოო პუნქტი** – მოცემული ფრენის მსვლელობაში შესრულებული რეისზე მდებარე წყვილი ქალაქი ჩასხდომის პუნქტისა და გადმოსხდომის პუნქტის შესაბამისად.

**გადაზიდული ტონა** – ტვირთი (ან ფოსტა), საავიაციო საწარმოს მოცულობითი მაჩვენებელია. გადაზიდული ტონების რაოდენობა მიიღება ყოველ რეისზე გადაზიდული ტვირთების დაჯამებით.

**გადამანაწილებელი ფუნქცია (distribution function)** – სახელმწიფოს საბიუჯეტო საგადასახადო პოლიტიკის ნაწილი, გამიზნული შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილებისათვის საზოგადოებაში. ეს ფუნქცია გამოიყენება მაშინ, როდესაც შემოსავლების ან სიმდიდრის განაწილება სახელმწიფოს მხრიდან ზემოქმედების არსებობისას არასასურველ ხასიათს იღებს.

**გადამამუშავებელი ქვესისტემა** – ორგანიზაციის ქვედანაყოფი, რომელიც ასრულებს შემოსული რესურსების პროდუქციად გარდაქმნასთან უშუალოდ დაკავშირებულ საწარმოო სამუშაოს.

**გადამამუშავებელი უწყვეტ პროცესიანი სისტემა** – პროცესი,

რომლის დროსაც ხდება დიდი რაოდენობის ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოება.

**გადამზიდავი** – პირი, რომელიც რეალურად ასრულებს ტვირთების გადაზიდვებს საკუთარი ტრანსპორტით (ფაქტიური გადამზიდავი), ან ნებისმიერი პირი, რომელიც იღებს თავის თავზე ისეთივე პასუხისმგებლობას, როგორსაც გადამზიდავი, ან კიდევ პირი, რომელიც მკაფიოდ გამოხატული ანდა ნაგულისხმევი ვალდებულებების საფუძველზე იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას (სახელშეკრულებლო გადამზიდავი).

**გადამზიდავი** – პირი, რომელსაც ტვირთის მფლობელთან დადებული აქვს კონტრაქტი საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო ტრანსპორტით ან ტრანსპორტის რამდენიმე სახის კომბინირებით ტვირთების გადაზიდვის შესახებ. გადამზიდავად შეიძლება ჩაითვალოს საექსპედიტორო ფირმა, რომელიც კისრულობს საქონლის ტრანსპორტირებას.

**გადამზიდავი** – ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელსაც უფლება აქვს განახორციელოს სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**გადამზიდავის ძირითადი მოვალეობაა** – სრულიად და დაცულად ტვირთის მიზიდვა და მიმღებზე მისი დროული გადაცემა.

**გადამზიდველი** – ავიასაწარმო, რომელიც გასცემს ბილეთს ან სხვა საგადასაზიდო საბუთს და ახორციელებს საჰაერო გადაზიდვას, და ვალდებულებას კისრულობს, გაუწიოს მგზავრებს ამ გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურება.

**გადამზიდველი** – საწარმო, რომელიც გასცემს ბილეთს ან სხვა საგადაზიდო საბუთს, ახორციელებს გადაყვანა გადაზიდვას და ვალდებულებას კისრულობს გაუწიოს მგზავრებს ამ გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურება.

**გადამზიდველი გადამცემი** – გადამზიდველი, რომელმაც ხელშეკრულების შესაბამისად ტრანსფერის აეროპორტში ჩაიყვანა მგზავრი და გადაიტანა ბარგი.

**გადამზიდველი მიმღები** – გადამზიდველი, რომელიც მოლაპარაკების შესაბამისად, ახორციელებს ტრანსფერის აეროპორტიდან მგზავრის შემდგომ გადაყვანასა და მისი ბარგის გადაზიდვას.

**გადამზიდველი პირველდაწყებითი** – გადამზიდველი, რომელიც იწყებს გადაზიდვას გამგზავრების პუნქტიდან ან იმ აეროპორტიდან, სადაც მგზავრისა და მისი ბარგის გაფორმება აუცილებელია შემდგომი გამგზავრებისათვის.

**გადამტვირთავი სასაწყობო კომპლექსი (ან სატვირთო ტერმინალი)** – ტექნიკური ობიექტი სატრანსპორტო ქსელში, მაგისტრალურ ტრანსპორტზე, რომელიც განკუთვნილია (დანიშნულება) ლოგისტიკის ოპერაციების შესასრულებლად და ტვირთნაკადების გარდასაქმნელად მათი წინსვლის პროცესში სატრანსპორტო ქსელში. ის შეიძლება იყოს მრეწველობის, სატრანსპორტო ან სავაჭრო ტრანსპორტის შემადგენლობაში ან შეიძლება განლაგებული იქნას ცალკე ამ საწარმოთა შემადგენლობაში.

**გადამტვირთი სასაწყობო კომპლექსი (ან სატვირთო ტერმინალი)** – ესაა ტექნიკური ობიექტი სატრანსპორტო ქსელში; მატერიალურ ტრანსპორტზე, რომელიც განკუთვნილია (დანიშნულება) ლოგისტიკური ოპერაციების შესასრულებლად და ტვირთნაკადების გარდასაქმნელად მათი წინსვლის პროცესში სატრანსპორტო ქსელში. ის შეიძლება იყოს მრეწველობის, სატრანსპორტო ან სავაჭრო ტრანსპორტის შემადგენლობაში ან შეიძლება განლაგებული იქნას ცალკე ამ საწარმოთა შემადგენლობაში.

**გადამცვლელი პუნქტი** – სპეციალური შენობა, როგორც წესი, განთავსებულია რწმუნებული ბანკის სალაროს კვანძში, ან ცალკე დაცულ შენობაში და რომელიც განკუთვნილია სავალუტო გაცვლითი ოპერაციებისათვის.

**გადამცლელი საწყობი** – შედგება ტექნოლოგიური უბნებისგან; განტვირთვის ფრონტის, ტვირთები მიღებისა და დროებითი შემნახველისგან შენახვის ზონა, გასაცემი ტვირთების დროებითი შენახვის უბნებისგან, ტვირთების უბნებისგან, საწყობის მართვის უბნის, შიდა-სასაწყობო ტრანსპორტის ტვირთების მოსვლის ტრანსპორტს, ტვირთების გაცემის ტრანსპორტისგან.

**გადასაგზავნი თამასუქი** – გამოყენებული კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ან ხელმოწერილი დოკუმენტია, რომელშიც ერთი პირის მიერ მეორის მიმართ გამოხატულია უპირობო მოთხოვნა ამ დოკუმენტის სანაცვლოდ მისი წარმოდგენის მომენტში ან ზუსტად დათქმულ ვადაში, ან დოკუმენტში მითითებული სხვა ვადაში მასში მითითებული პირისათვის ან მისი ბრძანების შესაბამისად, ან წარმომდგენისათვის გარკვეული თანხის გადახდის შესახებ.

**გადასაზიდი დოკუმენტები** – გადაზიდვის უფლებების დამადასტურებელი იურიდიული საბუთები. სამოქალაქო ავიაციაში გადასაზიდ დოკუმენტებს მიეკუთვნება: სამგზავრო, სატვირთო და სხვა დოკუმენტები.

**გადასაპირებელი თამასუქი აუცილებლად უნდა იყოს აქცეპტირებული გადამხდელის (ტრასანტის) მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ იძენს იგი შესასრულებელი დოკუმენტის ძალას.**

**გადასაპირისპირებელი თამასუქი (ტრატა; bill of exchange, draft)** – ბრძანება კონკრეტული პირის (მევალის) მიმართ მესამე პირისათვის (რემიტენტისათვის) გარკვეულ დროში განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ. იგი შეიძლება გადავიდეს ხელიდან ხელში გადაცემის წარწერის (თამასუქზე წარწერის) მეშვეობით. გადასაპირებელი თამასუქი მოიცავს: ა) ტექსტში ჩართულ სიტყვას „თამასუქი“ შეტანილს იმ ენაზე, რომელზეც თვით დოკუმენტია შედგენილი; ბ) დაპირებას, განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ, რაც არაფრით არის შეპირობებული; გ) გადამხ-

დელის ვინაობას; დ) გადახდის ვადის მითითებას; ე) იმ ადგილის აღნიშვნას, სადაც თანხა უნდა გადაიხადონ; ვ) იმ პირის დასახელებას, ვისთვის ან ვისი ბრძანებითაც უნდა გადაიხადონ ფული; ზ) თამასუქის შედგენის თარიღისა და ადგილის მითითებას; თ) თამასუქის გამცემი პირის ხელის მოწერას. მარტივი თამასუქისგან განსხვავებით, გადასაპირებელ თამასუქს გამოიწერს და ხელს აწერს კრედიტორი.

**გადასაყვანი თამასუქი** – (ანუ ტრატა) ისეთ თამასუქია, რომელსაც გამოწერს კრედიტორი (მევალე) და რომლითაც დებიტორს ავალდებულებს ფული, გადაუხადოს მესამე პირს, რომელმაც თამასუქი კრედიტორებისაგან იყიდა.

**გადასაყვანი თამასუქი (ტრატა)** – ისეთი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს თამასუქის გამცემის (კრედიტორის) უპირობო ბრძანებას გადამხდელის მიმართ, რომ მან თამასუქში ნაჩვენები თანხა გადაუხადოს მესამე პირს ანუ რემიტენტს.

**გადასახადები** – გადასახადებს საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან მიეკუთვნება მოგების გადასახადი, საწარმოთა ქონების გადასახადი და სხვა.

**გადასახადები** – გადასახადებს ფიზიკური პირებიდან მიეკუთვნება საშემოსავლო გადასახადი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი, საკურორტო გადასახადი და სხვა.

**გადასახადები** – განაწილება-გადანაწილების გზით მიღებული ეროვნული შემოსავლისა და სიმდიდრის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს გარკვეულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

**გადასახადები (taxes)** – ბეგარა დაწესებული სახელმწიფოს მიერ კერძო პირების ან საწარმოების შემოსავალზე ან მოგებაზე (პირდაპირი გადასახადი), საქონლის გამოყენებაზე ან მომსახურებით სარგებლობაზე (ირიბი გადასახადი) და ქონებაზე.

<u>**საქართველოში არსებული ძირითადი გადასახადებია:**</u>

საწარმოს მოგებაზე გადასახადი (profit tax);

კერძო პირების შემოსავალზე გადასახადი (personal income tax);

დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი) არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც წარმოადგენს მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატს და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას (იმპორტისას), თუმცა ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს (იმპორტიორს) ან/და მომსახურების გამწევს, რომელიც იწოდება დღგ-ის გადამხდელად.

**გადასახადები საწარმოთა ქონებაზე** – საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქონებაზე გადასახადის გადამხდელები არიან იურიდიული პირის უფლების მქონე სამეურნეო სუბიექტები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი დამოუკიდებელი ბალანსების მქონე ფილიალებში. დაბეგვრის ობიექტებს შეადგენს საწარმოს ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები, ძირითადი საშუალებები, დასადგმელი მოწყობილობა და დაუმთავრებელი კაპიტალური მშენებლობა. საგადასახადო ბაზიდან გამოირიცხება მარაგები (ნედლეული, ნახევარფაბრიკატები და მზა პროდუქცია), ფულადი საშუალებები და ფინანსური აქტივები (დებიტორული დავალება, ვექსილები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები).

**გადასახადებით და მოსაკრებლებით მიღებული შემოსავლები** – ამ მუხლით შემოსულობებს აღრიცხავენ საგადასახადო ინსპექციის მიერ იმ ყოველგვარი გადასახადისა და ჯარიმების შესახებ შედგენილი მონაცემების საფუძველზე, რომელსაც ნაღდი ფულით იხდიან.

**გადასახადების განხორციელებისა და კლიენტთა საანგარიშსწორებო** – საკასო მომსახურებისთვის ბანკებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის დაამყარონ სახელშეკრულებო ურთიერთობები.

**გადასახადების ელასტიურობა** – ეწოდება არსებული საგადასახადო სისტემის უცვლელობის პირობებში გადასახადის მობილიზაციის შედარებით ცვლილებას დასაბეგრი ბაზის მიმართ. ამ შემთხვევაში დასაბეგრი ბაზა ეს არის მოცემული გადასახადით დასაბეგრი ობიექტის დაბეგვრის რაოდენობრივი ზომა მაგალითად, დღეისათვის დაბეგვრის რაოდენობრივი ზომა არის დამატებული ღირებულების მოცულობა, იმპორტის სიდიდე, ან ორივე ერთად; მოგების გადასახადისათვის – დასაბეგრი მოგება და ა.შ.

**გადასახადების კომპენსაცია** – გადამხდელების, მეტწილად მსხვილი კაპიტალისტების მიერ გადახდილი გადასახადების ანაზღაურება. კომპენსაცია არის პირდაპირი  და ირიბი. გადასახადების პირდაპირი დაბრუნება აიხსნება იმით, რომ უფლება ზოგიერთ საგადასახადო ფასდაკლებაზე წარმოიშობა გადასახადების გადახდის შემდეგ. ირიბი – კორპორაციების მოგებაზე გადახდილი გადასახადების დაახლოებით 1/2 უბრუნდებათ საქონელზე და მომსახურებაზე ფასების მეშვეობით.

**გადასახადების სტრუქტურა (structure of taxex)** – ყოველ ქვეყანას აქვს მრავალი სახეობის გადასახადი, რომელიც წარმოადგენს საგადასახადო სისტემის სტრუქტურას. იგი გამოხატავს საშემოსავლო გადასახადის, ქონებაზე გადასახადისა და ხარჯებზე გადასახადის შეფარდებით მნიშვნელობას. მისი მეშვეობით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა საგადასახადო სისტემის პროგრესულობის არსებობის, თუ არ არსებობის შესახებ.

**გადასახადი** – საგადასახადო კოდექსის მიხედვით ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

**გადასახადი** – გადასახადი არის სავალდებულო უპირობო ფიქსირებული შენატანი ბიუჯეტში, კანონით დადგენილი

წესით, რომელსაც იხდის გადამხდელი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით.

**გადასახადი** – კომპლექსური კატეგორიაა, რომელსაც გააჩნია როგორც ეკონომიკური ასევე იურიდიული მნიშვნელობა.

**გადასახადი** – სავალდებულო მოსაკრებელი, განაწილებასა და გადანაწილების გზით იღებს გეპ-ის ნაწილი, რომელიც ფიქსირებულად გადაირიცხება სახელმწიფო (ადგილობრივ) ბიუჯეტში იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო განაკვეთის შესაბამისად.

**გადასახადი** – წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის საკუთრების ნაწილის გასხვისების ფორმას სახელმწიფოს სასარგებლოდ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადასახადის გადახდის შემთხვევაში წარმოებს მესაკუთრის შემოსავლების (ქონების) ნაწილის გადასვლა სახელმწიფოს საკუთრებაში.

**გადასახადი** – წარმოადგენს სავალდებულო შენატანს, ე.ი. გადახდის გადამხდელები კანონის ძალით, განსაზღვრული პირობების არსებობისას (დაბეგვრის ობიექტის არსებობა და ა.შ.), ვალდებულნი არიან გადაიხადონ გადასახადი.

**გადასახადი (tax)** – სავალდებულო მოსაკრებელი, რომელიც ფიქსირებულად გადაირიცხება სახელმწიფო (ადგილობრივ) ბიუჯეტში მოცემული ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო განაკვეთის შესაბამისად. გადასახადი არის პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი გადასახადით იბეგრება შემოსავალი და ქონება, ხოლო არაპირდაპირი შედის საქონლის ფასში. გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

**გადასახადი გაუნაწილებელ მოგებაზე** – იმ აქციონერული კომპანიებს, სადაზღვეო, საბანკო და სხვა მონოპოლიების გაუნაწილებელი მოგების ნაწილის დივიდენდის დაბეგვრა, რომელნიც აღიარებულნი არიან ცალკეული გადასახადის გადამხდელების სახით კორპორაციების მოგებაზე

გადასახადების გადახდევინების დროს. ხორციელდება ან დამატებითი გადასახადების სახით, ან ფასდაკლების სახით მოგების განაწილებული ნაწილის დაბეგვრის დროს.

**გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე** – ირიბი გადასახადი საქონელზე და მომსახურებაზე, რომელიც მიღებულია ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობასა და ზოგიერთ სხვა განვითარებულ სამრეწველო კაპიტალისტურ ქვეყნებში.

**გადასახადი ზენორმატიულ მოგებაზე** – იურიდიული (კორ-პორაციების) და ფიზიკური პირების მოგების ნაწილზე გადასახადი, რომელიც აღემატება საშუალო სიდიდეს განსაზღვრული წინა პერიოდის განმავლობაში.

**გადასახადი მიღებული უმაღლეს განათლებაზე** – საუნივერ-სიტეტო განათლების სქემა, როდესაც სტუდენტი სწავლის პროცესში იღებს ფულს თავისი საგანმანათლებლო და ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, ხოლო განათლების მიღების შემდეგ იხდის თავისი შემოსავლის ფიქსირებულ ნაწილს.

**გადასახადი პირად ქონებაზე** – საკუთრებაზე გადასახადის ნაირსახეობა, როგორც წესი ადგილობრივი გადასახადი, რომლითაც იბეგრება წმინდა შემოსავალი (დავალიანების გამოკლებით, რომლებიც წარმოქმნიან სხვადასხვა სახეო-ბის საკუთრების, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების და სხვა ქონების მფლობელობის დროს). ქონების შეფასება ხდება საბაზრო ღირებულებით. გადასახადით არ იბეგ-რება: ავტომობილები და სხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალებები, პაციენტები, საავტორო უფლებები, ავეჯი, საოჯახო ჭურჭელი, ხელოვნების ნაწარმი, ანუიტეტები, დაზღვევის პოლისები, წიგნების კერძო კოლექციები, მარკები.

**გადასახადით დაბეგვრის მეთოდი** – მაგალითად, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრა.

**გადასახადის გადამხდელები** – წარმოადგენენ საგადასახადო სამართლის სუბიექტებს, რომლებიც შეიძლება არ დაემთ-ხვეს სამართლის სხვა დარგების სუბიექტების ცნებას.

**გადასახადის გადამხდელები** – წარმოადგენენ საგადასახადო ურთიერთობების სუბიექტებს, რომელთაც საკუთარი საშუალებების ხარჯზე კანონის ძალით აკისრიათ გადასახადების გადახდის ვალდებულება.

**გადასახადის გადამხდელი** – იგი წარმოადგენს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელიც კანონითაა ვალდებული გადასახადის გადახდაზე, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში, იურიდიულადაა პასუხისმგებელი გადასახადის გადაუხდელობისთვის.

**გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი** – საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად მიკუთვნებული ნომერი.

**გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს მესაკუთრე და არა მოქალაქე** – გადასახადის გადახდა სოციალური ვალდებულებაა, რომელიც გამომდინარეობს კერძო საკუთრების უფლებიდან.

**გადასახადის გადახდის ვადები** – იგი დადგენილია კანონმდებლობით და მოიცავს იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც გადასახადის გადამხდელი ვალდებულია ფაქტორულად შეიტანოს გადასახადი ბიუჯეტში. ასევე კანონითაა განსაზღვრული გადასახადის გადახდის წესი ანუ გადასახადის შეტანის ნორმატიულად დადგენილი საშუალებები და პროცედურები.

**გადასახადის გამოანგარიშების წესი, გადახდის ხერხები და საშუალებები** – გადახდის თანხის გაანგარიშება წარმოებს კანონმდებლობით დადგენილი მეთოდის საფუძველზე. გაანგარიშების ფორმულა ასახულია საგადასახადო დეკლარაციის შესაბამის სტრიქონებსა და გრაფებში. გადასახადის თანხის გაანგარიშებისას გაითვალისწინება საგადასახადო შეღავათები.

**გადასახადის განაკვეთი** – გადასახადის ოდენობა დაბეგვრის ერთეულზე.

**გადასახადის მზიდველი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფაქტობრივად იხდის გადასახადს.

**გადასახადის მიმღები** – ბიუჯეტი ან სახელმწიფო ფონდი.

**გადასახადის ნარჩენი** – გადასახადის ან სხვა საგადასახდელო ვალდებულებების თანხა, რომელიც არ არის შეტანილი სახელმწიფოს მიერ დადგენილ ვადაში.

**გადასახადის ობიექტი** – ქონება, ან შემოსავალი, რასაც შეეწირება გადასახადი.

**გადასახადის სუბიექტი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფაქტობრივად იხდის გადასახადს.

**გადასახადის ქვოტა** – გადასახადის განაკვეთი გამოხატული პროცენტობით და არა აბსოლუტურ თანხებში.

**გადასახადის წყარო** – გადასახადის გადამხდელის მთლიანი შემოსავალი ან მისი ნაწილი, საიდანაც გადასახადი აიღება. გადასახადის წყაროა: აუცილებელი ღირებულება (მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი და გლეხებისა და ხელოსნების შემოსავალი) და ზედმეტი ღირებულება (მოგება სამრეწველო, სავაჭრო; სასარგებლო და რენტა).

**გადასახადის წყარო** – სუბიექტის შემოსავალი, საიდანაც გადასახადი ამოიღება. მაგალითად, ხელფასი, მოგება, სარგებელი და ა.შ.

**გადასახადის წყარო** – წარმოადგენს იმ რეზერვს, შესაბამის ეკონომიკურ მაჩვენებელს, რომლის ხარჯზეც წარმოებს გადასახადის გადახდა. მაგალითად: მოგება, ფინანსური შედეგი და ა.შ.

**გადასახადისუნარიანობის მოთხოვნილება (effective consumer demand)** – ანუ მოთხოვნა, ფულით უზრუნველყოფილი მოთხოვნილება საქონელსა და მომსახურებაზე; წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს წარმოებასა და მოხმარებას შორის, რაც განსაზღვრავს მისი შესწავლისა და პროგნოზირების დიდ მნიშვნელობას ფირმის მარკეტინგულ სტრატეგიაში.

**გადასახდელი ტექნოლოგიური ინფორმაციის ნაწილობრივ გახსნაზე დაკავშირებულია შეთანხმების ხელმოწერამდე გამოყენების შესახებ კომერციული და ტექნიკური ინფორმაციის მიღებასთან. (გ14).**

**გადატვირთვის დავალება** – დოკუმენტი, რომელიც მიწოდების პირობების შესაბამისად გამოიწერება ტვირთის გამგზავნის ან ტვირთის მიმღების მიერ, ჩვეულებრივ სატრანსპორტო-საექსპედიციო ფირმის ბლანკზე და შეიცავს ექსპედიტორისათვის დავალებული ოპერაციების ჩამონათვალსა და მათი შესრულების დაწვრილებით ინსტრუქციას.

**გადაფარვის, ანუ მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი** – საერთო სახით წარმოადგენს ყველა მიმდინარე აქტივების თანაფარდობას მოკლევადიან დავალებასთან. აღნიშნული მაჩვენებლის ოპტიმალური მნიშვნელობა 2-დან 3-მდე ჩარჩოებში იმყოფება. საწარმოს ლიკვიდურობის უფრო საფუძვლიანად შეფასების მიზნით საჭიროა მიმდინარე (საბრუნავი) აქტივების ლიკვიდურობის სხვადასხვა ხარისხი იქნეს გათვალისწინებული. სწორედ ამიტომ ხორციელდება ლიკვიდურობის სხვა მაჩვენებლების გაანგარიშება.

**გადაყვანის რისკი** – ვალის მომსახურების შეჩერების შესაძლებლობა ლიკვიდობის იმ პრობლემის გამო, რომელიც საგარეო ვაჭრობასა და ინვესტიციებს უკავშირდება.

**გადაცემის უწყისი** – დოკუმენტი, რომელიც დგება სასაზღვრო სადგურზე უცხოეთის რკინიგზაზე ტვირთის გადაცემისათვის, შეიცავს მონაცემებს გადასაცემ ვაგონებში არსებული ტვირთების შესახებ.

**გადაწყვეტილება** – რაიმე დავალების შესახებ ალტერნატივის შერჩევა.

**გადაწყვეტილება** – ალტერნატივის ამორჩევა.

**გადაწყვეტილებათა ხე** – რაიმე ამოცანის მიხედვით გადაწყვეტილების მიღების რთული პროცესის სქემური წარმოდგენა.

**გადაწყვეტილება დაფინანსების შესახებ** – აღნიშნული აქტივების დაფინანსების ხერხებთან მიმართებაში გადაწყვეტილებებს მოიცავს. იგი დაფინანსების სხვადასხვა წყაროების თვისებასა და ბუნებას ეხება. ამავე ტიპს მიეკუთვნება

დივიდენდების გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილებასაც.

**გადაწყვეტილების მიღება** – ოპტიმალური ალტერნატივის შერჩევა, მოცემული მიზნის დროს, თანმხლები პირობების გათვალისწინებით.

**გადაწყვეტილების მიღების კოლექტიური მეთოდი** – მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისას კოლექტიური მუშაობის პროცესის უმთავრეს მომენტს ამ პროცედურის მონაწილე პირთა განსაზღვრა წარმოადგენს. უმეტეს შემთხვევაში ასეთი ჯგუფი იქმნება დროებით, კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად და მასში ერთიანდება როგორც ხელმძღვანელი, ისე რიგითი თანამშრომელი. ასეთი ჯგუფის შექმნის უმთავრესი კრიტერიუმია: კომპეტენტურობა, საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი, აზროვნების კონსტრუქციულობა, კომუნიკაბელურობა. მუშაობის ფორმები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, მაგალითად სხდომები, თათბირები, კომისიები და ა.შ.

**გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმი** – ნორმები, რომელთაგან შეიძლება გადაწყვეტილების ალტერნატიული ვარიანტების შედარება.

**გადაწყვეტილების მიღების ლაგი (decision lag)** – დროის მონაკვეთი ეკონომიკური (განსაკუთრებით მაკროეკონომიკური) პრობლემის გადაწყვეტისთვის მოქმედების აუცილებლობის დადგენის მომენტისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მომენტს შორის. იგი შიგა (პოლიტიკური) ლაგის შემადგენელი ნაწილია.

**გადაწყვეტილების მიღების რაოდენობრივი მეთოდები** – რაოდენობრივი მეთოდების საფუძველს წარმოადგენს ის მეცნიერული, კერძოდ, სამეცნიერო-პრაქტიკული მიდგომა, რომელიც დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე გადაწყვეტილებების რამდენიმე ვარიანტად ოპტიმალურის შერჩევას გულისხმობს.

**გადახდაზე დარიცხული ხარჯები** – ბალანსის მუხლი, რომელშიც შეჯამებულია კომპანიის დავალიანებაზე თავისი მუშებისა და მომსახურეების მიმართ, ე.ი. დავალიანება ხელფასზე, აგრეთვე, პროცენტების გადახდაზე და ბანკების სესხების დაფარვაზე, ადვოკატებისადმი ჰონორარის გადახდაზე, სადაზღვეო პრემიების გაცემაზე, საპენსიო ფონდებში გადარიცხვებზე და სხვა მსგავს დანახარჯებზე.

**გადახდილი კაპიტალი** – თანხა, რომელიც გადახდილია აქციონერების მიერ აქციების ნომინალურ ღირებულებაზე ზევით.

**გადახდის დავალება –** ანგარიშის მფლობელის წერილობით განკარგულება ბანკისადმი მისი (საანგარიშსწორებო, მიმდინარე, საბიუჯეტო თუ სასესხო) ანგარიშიდან გარკვეული ფულადი თანხის გადარიცხვის შესახებ სხვა იურიდიული პირის ანგარიშზე, რომელიც იმავე ან სხვა ქალაქის საბანკო დაწესებულებაშია გახსნილი.

**გადახდის დავალება –** წარმოადგენს დავალებას ბანკისადმი, გადამხდელის ანგარიშიდან ჩამოწეროს გადახდის დავალებაში აღნიშნული თანხა და გადაურიცხოს შესაბამისად მიმღებს, რომელიც ასევე მითითებულ უნდა იქნეს გადახდის დავალებაში.

**გადახდის ვადის ცვლილება (“leads and legs” - გასწრება და ჩამორჩენა)** – წარმოადგენს ანგარიშსწორებათა ვადების მანიპულირებას ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების, დაბეგვრის მოსალოდნელი მკვეთრი ცვლილებების, აგრეთვე სავალუტო შეზღუდვების დაწესების ან გაძლიერების, მევალის მსყიდველობის – უნარიანობის გაუარესების შემთხვევაში. ამ ტაქტიკის ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

- საქონლისა და მომსახურების ფასის ვადაზე ადრე დაფარვა (თუ მოსალოდნელია ვალუტის კურსის გაზრდა) ან პირიქით, გადასახადის გადახდის დაყოვნება (თუ მოსალოდნელია) ვალუტის კურსის დაცემა);

- მოგების რეპატრიაციის დაჩქარება ან შეწყალება, კრედიტორების ძირითადი თანხის დაფარვა;
- სარგებლისა და დივიდენდების გადახდა.

**გადახდის ვალუტა** – ვალუტა, რომლითაც საგარეო-სავაჭრო გარიგებისას საქონლის ღირებულებას იხდიან; შეიძლება არ დაემთხვეს ფასის ვალუტას.

**გადახდის ვალუტა –** საქონლის ფასის გადახდის ან კრედიტის ჩაქრობის ვალუტა.

**გადახდის მოთხოვნა** – დავალება წარმოადგენს მიმწოდებლის მოთხოვნას მყიდველის მიმართ, თანდართული სატვირთო და სასაქონლო დოკუმენტების საფუძველზე გადაუხადოს ხელშეკრულებით მიწოდებული საქონლის, გაწეული მომსახურების ან შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

**გადახდისუნარიანი ბანკი** – ბანკი, რომლის აქტივები ვეღარ ფარავენ მისსავე ვალდებულებებს.

**გადახდისუნარიანობა** – **(solvency)** სახელმწიფოს, იურიდიული ან ფიზიკური პირის უნარი, დროულად და მთლიანად (სრულად) შეასრულოს სავაჭრო, საკრედიტო და ფულადი ხასიათის სხვა ოპერაციებიდან გამომდინარე საგადასახადო ვალდებულებები.

**გადახდისუნარიანობა** – ფულადი სახსრების არსებობა უფრო ხანგრძლივი პერიოდის ფინანსური ვალდებულებების დროულად შესასრულებლად. გადახდისუუნარო არასაბანკო-სადეპოზიტო დაწესებულება არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება გადახდისუუნაროა, როდესაც მას არ შეეძლება შეასრულოს ვადადამდგარი გადახდის ვალდებულებები.

**გადახდისუნარიანობის თეორია (theory to paying ability / theory to ability to pay)** – დაბეგვრისადმი მიდგომა, რომლის მიხედვითაც საგადასახადო ტვირთი უნდა განაწილდეს გადასახადების გადახდის უნარის შესაბამისად. ეს თეორია ეფუძნება თანაბარი დანაკარგების კონცეფციას. დანაკარგი არის გადასახადების გადახდის შედეგად ეკონომიკური კეთილდღეობის შემცირება. არსებობს დანაკარგების

ტოლობის სამი შესაძლო განსაზღვრა: ისინი შეიძლება იყოს აბსოლუტურად ტოლი და ზღვრულად ტოლი. ამათგან არც ერთს არა აქვს პრინციპული უპირატესობა. საგადასახადო სისტემა პროგრესულია, პროპორციული თუ რეგრესული, დამოკიდებულია განსაზღვრასა და შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობის გრაფიკის დახრის კუთხეზე. თუ ივარაუდება, რომ შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობა ეცემა, მაშინ ეს სამი განსაზღვრა ყოველთვის არ იძლევა ერთნაირი დასკვნის გაკეთების საშუალებას. აღნიშნული თეორია საშუალებას გვაძლევს შევადაროთ სხვადასხვა პირთა შემოსავლების სარგებლიანობა. ასეთი მიდგომა უარყოფილია კეთილ-დღეობის თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში.

**გადახდისუნარიანობის შემოწმება** – თანაფარდობა ლიკვიდობის სფეროში, რომელიც ტოლია სალიკვიდო საშუალებების და თამასუქებით გათვალისწინებული მოთხოვნების ჯამს მინუს გადაფასება გაყოფილი მიმდინარე ვალდებულე-ბებზე.

**გადახდისუუნარო არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება** – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება გადახდისუუნა-როა, როდესაც მას არ შეუძლია შეასრულოს ვადამოსული გადახდის ვალდებულებები.

**გადახდისუუნარო ბანკი** – ბანკი, რომლის აქტივები ვეღარ ფარავენ მისსავე ვალდებულებებს.

**გადახდისუუნარო ბანკი** – ბანკი, რომლის ვალდებულებები აღემატება მისივე აქტივებს.

**გადახდისუუნარობა** – სახელმწიფოს ან ფირმის ფინანსური ან სავალუტო-ფინანსური მდგომარეობა, რომლის დროსაც მათ არ შეუძლიათ დროულად დაფარონ თავიანთი საფინანსო ვალდებულებები.

**გადახდისუუნარობის რისკი** – არის იმის ალბათობა, რომ ბანკი შეიძლება გაკოტრდეს.

**გადახრა ხელსაყრელია** – თუ მის შედეგად მოგების ფაქტიური

სიდიდე იზრდება და პირიქით: გადახრა არახელსაყრელია, თუ მის შედეგად ფაქტიური მოგება მცირდება.

**გაერთიანებული ერების ორგანიზაცია** – შედგება გენერალური ასამბლეის, უშიშროების საბჭოს, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს, ოპეკის საბჭოს, საერთაშორისო სასამართლოს, სამდივნოს და გენერალური მდივნისგან.

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (юнидо)** – ცენტრალური საკოორდინაციო ორგანო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გლობალურ, რეგიონულ, ეროვნულ და დარგობრივ დონეებზე სამრეწველო განვითარებისა და თანამშრომლობის საკითხთა სისტემის ფარგლებში.

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემა** – რომელშიც შედის თავად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მისი მთავარი დამხმარე ორგანოებითურთ, 18 სპეციალიზებული დაწესებულება, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო და მთელი რიგი პროგრამები, საბჭოები და კომისიები.

**გაერთიანებული ერების სასურსათო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია (ФАО)** – გაეროს სისტემის სპეციალიზებული დაწესებულება, რომელიც ხელს უწყობს აგრარული წარმოების, მეტყველების, მეთევზეობის განვითარებას შიმშილის ლიკვიდაციის, კვებისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

**გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია** – შეიქმნა 1964 წელს განვითარებადი ქვეყნების ზეწოლით. მისი მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება და მისი ზემოქმედებით განვითარებისა და სავაჭრო მოლაპარაკებების დაჩქარება.

**გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისია** – ჩამოყალიბდა გაეროს მიერ 1966 წელს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. იგი ფუნქციონირებს 1968 წლის 1 იანვრიდან და ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭ-

რობის სამართლის უნიფიკაციასა და პროგრესულ ჰარმონიზაციას. მისი ადგილსამყოფელია ქ. ვენა (ავსტრია).

**გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება** – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურული ორგანო, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის გარკვეულ მიმართულებას (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ინტელექტუალური საკითხების მსოფლიო ორგანიზაცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვა).

**გაეროს სსდკ (საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია; international standard of branch classication)** – ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახის საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაცია, რომლის ამჟამად მოქმედი IV ვარიანტი განიხილა და დაამტკიცა გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ 2006 წელს. I ვარიანტი, რომლის პროექტიც გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სესიაზე მიიღეს 1948 წელს, ზემოთ აღნიშნულმა კომისიამ დაამტკიცა 1958 წელს, II ვარიანტი – 1968 წელს, ხოლო III ვარიანტი – 1989 წელს.

განვითარებული ქვეყნები სსდკ-ს განიხილავენ როგორც არსებითად საკუთარ ეროვნულ კლასიფიკაციაზე დაფუძნებულს და მისგან წარმოებულს, ხოლო განვითარებადი ქვეყნები, პირიქით, თავიანთ ეროვნულ კლასიფიკაციების გადასინჯვისას, ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით, ცდილობენ მაქსიმალურად მიუახლოონ ისინი გაეროს სსდკ-ს. განვითარებადი ქვეყნები, იმის გამო, რომ საკუთარი კლასიფიკაციის დამუშავებისათვის არა აქვთ აუცილებელი ინფრასტრუქტურა (ეს ძირითადად განპირობებულია სტატისტიკის განვითარების დაბალი დონით), გაეროს სსდკ-ს იყენებენ უმნიშვნელო ცვლილებებით ან საერთოდ უცვლელად, როგორც ეროვნულ კლასიფიკაციებს. სსდკ მჭიდრო კავშირმა გაეროს ეროვნული ანგარიშების სისტემასთან. იგი უზრუნველყოფს ეკონომიკური საქმიანობის სახეობებად დაყოფას და მნიშვნე-

ლოვან როლს ასრულებს საწარმოო პრინციპის მიხედვით ეროვნული ანგარიშების შედგენაში.

**გავლენა** – ეს არის ერთი ინდივიდის ნებისმიერი ქცევა, რომელიც ცვლილებებს შეიტანს მეორე ინდივიდის ქცევაში, ურთიერთობაში და ა.შ. ის კონკრეტული საშუალებები, რომლის დახმარებით ერთ პირს შეუძლია გავლენა მოახდინოს მეორეზე, შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს: დაწყებული ჩუმად გამოთქმული თხოვნით და დამთავრებული ყელთან დანის მიბჯენით (ორგანიზაციის პირობებში ასეთ „დანას“ წარმოადგენს სამსახურიდან დათხოვნის მუქარა).

**გავლენა** – რომელიმე ადამიანის ქცევა, რომლის შედეგად იცვლება ამ პიროვნებისადმი სხვა ადამიანების დამოკიდებულება და გრძნობები.

**გაზავებული აქციონერული კაპიტალი** – აქციების გამოშვება დაარსებული აქციონერული საზოგადოების მიერ იმაზე მეტი, რაოდენობით, რომელიც მნიშვნელოვნად აჭარბებს კომპანიის აქტივების რეალურ ღირებულებას.

**გაზომვადობა** – კომპანიამ აუცილებლად უნდა შეაფასოს სეგმენტის სიდიდეები, მყიდველობითი უნარიანობა და სხვა მახასიათებლები.

**გათავისუფლება** – შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ადმინისტრაციასა (დამქირავებელსა) და მომუშავეს შორის.

**გათავისუფლება ადმინისტრაციის ინიციატივით** – ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლება უმეტესად ხდება ან პერსონალის შემცირებისას ან ორგანიზაციის დახურვისას (ლიკვიდაციისას). იგი ნებისმიერი მუშაკისთვის არაორდინალური მოვლენაა. ადმინისტრაციის (დამქირავებლის) ინიციატივით გათავისუფლებას მძიმედ განიცდიან იმის გამო, რომ იგი ეხება შრომის ყველა მნიშვნელოვან მხარეს: პროფესიონალურ, სოციალურ, პირადულ-ფსიქოლოგიურ. აღნიშნული მოვლენა გავლენას ახდენს არა მარტო გათავისუფლებულ მუშაკებზე, არამედ მათზე, რომლებიც ორგანიზაციაში

განაგრძობენ მუშაობას. ისინი თვალყურს ადევნებენ პერსონალის გათავისუფლების პროცესში ურთიერთდამოკიდებულებას ადმინისტრაციასა (განსაკუთრებით უშუალო ხელმძღვანელებსა) და გასათავისუფლებელ მუშაკებს შორის და ყოველივე ამას (რეალურ მოქმედებებს) ადარებენ ოფიციალურად აღიარებულ საკადრო პოლიტიკას. **მომუშავეთა გამოთავისუფლების ღონისძიებები მოიცავს სამ ეტაპს:** მომზადება, მომუშავეთა გაფრთხილება სამუშაოდან გათავისუფლების გადაწყვეტილების შესახებ, კონსულტაცია.

– **მოსამზადებელ ეტაპზე** იქმნება წინამძღვრები ღონისძიებათა პროგრამის ჩასატარებლად.
– **მეორე ეტაპი – „მომუშავის გაფრთხილება** სამუშაოდან გათავისუფლების გადაწყვეტილების შესახებ“ – სამუშაოდან გათავისუფლების პროცესს აძლევს ოფიციალურ ხასიათს.
– **მესამე ეტაპი** – „კონსულტაცია“ - პერსონალის გამოთავისუფლების მართვის პროცესის მთავარი ეტაპია. იგი მოიცავს სამ ფაზას: **პირველ ფაზაზე,** პერსონალის მართვის სამსახურის თანამშროლის მხრიდან თვითშეფასების დახმარებით, ცდილობენ შეისწავლონ შეფერხებები ყველა წინა სამუშაოზე და დასახონ ახალი პროფესიული და პირადი მიზნები. **მეორე ფაზაზე** ყალიბდება ახალი სამუშაო ადგილის ძიების კონცეფცია (მაგალითად, ახალ თანამდებობაზე მოსაწყობად საჭირო დოკუმენტების დამუშავება, სამუშაოს საძებნელად მომავალი კონტრაქტების ქსელის აგება, გასაუბრების ჩასატარებლად ტრენინგი და ა.შ.). **მესამე ფაზაზე** ხდება სამუშაო ადგილების ძიება (მაგალითად, რამდენიმე შემოთავაზებული წინადადებებიდან ერთ-ერთის არჩევაში დახმარება და სხვა).
– **პენსიაზე გასვლა -** არის სამუშაოდან გათავისუფლების მესამე სახე. იგი ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: 1. პენსიაზე გასვლა შეიძლება წინასწარ იქნეს გათვალისწინებული და დაგეგმილი დროში საკმარისი სიზუსტით;

2. აღნიშნული მოვლენა დაკავშირებულია პირად სფეროში სპეციფიკურ ცვლილებებთან; 3. ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ცხადად შესამჩნევია მისი გარემოცვისთვის. **წინასაპენსიო და საპენსიო ასაკში მყოფ ადამიანებთან მუშაობა კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს შემდეგ ღონისძიებებში:**

ა) **პენსიაზე გასასვლელად მოსამზადებელი კურსები.** აქ ადამიანებს ეხმარებიან, უმტკივნეულოდ გადავიდნენ ახალ სოციალურ მდგომარეობაში. აქვე ეცნობიან ახალ ცხოვრებისეული ეტაპის დამახასიათებელ თვისებებს. კურსების თემატიკა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები და დებულებანი; მომავალი ცხოვრების ეკონომიკური ასპექტები; სამედიცინო პრობლემები; აქტიური დასკვნების შესაძლებლობანი და ა.შ.

ბ) **მოსრიალე პენსიონერობა.** იგი ფართოდაა გავრცელებული საზღვარგარეთის ორგანიზაციებში. მასში იგულისხმება ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სრულფასოვანი შრომითი საქმიანობიდან პენსიაზე თანდათანობით გადასვლას, აგრეთვე, ზოგიერთ ღონისძიებასაც, რომლებიც ხელს უწყობენ პენსიონერის მონაწილეობას შრომით საქმიანობაში.

**გაკოტრება** – ის საგნები, და ნივთები, რაც მგზავრობის ქონებას შეადგენს. ამ ცნებაში, შედის როგორც რეგისტრირებული ბარგი, ასევე მგზავრის მიერ ფრენის დროს თავისთან დატოვებული ნივთები.

**გაკოტრება** – მოვალე საწარმოს უწყება, ე.ი. სასამართლოს მიერ დადგენილი მოვალის უუნარობა თავისი ვალდებულებების გადახდის შესახებ. ბანკროტობის ოფიციალურად გამოცხადების დღიდან მოვალე კარგავს თავისი ქონების დამოუკიდებლად მართვისა და განკარგვის უფლებას. ეს უფლება გადადის ლიკვიდატორებზე, პირებზე, რომლებიც დანიშნული არიან მოვალის ქონების მართვისა და ორგანიზაცის იძულებითი ლიკვიდაციისათვის.

**გაკოტრება** – ფინანსური კრახი, რაც დადგენილია სასამართლოს მიერ. გაკოტრების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან ბანკი კარგავს თავისი ქონების განკარგვის უფლებას.

**გაკოტრების საფუძველი** – გაკოტრების საქმის გახსნის მომენტისათვის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გადახდის უუნარობა.

**გაკოტრების სუბიექტი** – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, რომლის მიმართაც გამოიყენება გაკოტრების საქმის წარმოება.

**გლობალურ მაკროლოგისტიკურ სისტემებს მიეკუთვნება** – სახელმწფო (ეროვნული) ლოგისტიკური სისტემები, რომლებიც ჩამოყალიბებულია მთლიანად სახელმწიფო დონეზე, სახელმწიფოთაშორისო (ტრანსნაციონალური, საერთაშორისო) ლოგისტიკური სისტემები, რომლებიც მოიცავენ რამოდენიმე ქვეყანას და ტრანსკონტინენტალური, რომელიც იქმნება რამოდენიმე კონტინენტის ფარგლებში.

**გალონი (gallon)** – მოცულობისა და ტევადობის ერთეული აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში, შეიცავს 8 პინტას. 1 გალონი თხევადი ნივთიერებისათვის დიდ ბრიტანეთში უტოლდება 4546 ლიტრს, ხოლო აშშ-ში 3785 ლიტრს, ფხვიერისათვის – 4405 ლიტრს. (აშშ-ში); ამერი-კული თხევადი გალონი გამოიყენება ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში.

**გალონი (ინგ. gallon** ) – მოცულობისა და ტევადობის ერთეული აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოში და სხვა ქვეყნებში. ერთი გალონი ინგლისში უდრის 4.546 ლიტრს, აშშ-ში 3.785 ლიტრს. ამერიკული გალონი თხევადი ნივთიერებ-ების რაოდენობის საზომად გამოიყენება ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყნებში.

**გამაჯანსაღებელი რეგულირება –** ბანკებისა და საკრედიტო ორგანიზაციების მდგომარეობის ანალიზისა და დიაგნოსტიკის უფლებად და მექანიზმი, აუცილებელი აღდგენითი ზომების გატარების მოთხოვნისა და გაკონტროლების

უფლება, ამ ზომების თავსმოხვევის, მათზე დაკვირვების, ნორმატიული პირობებისა და შეზღუდვების ჩარჩოებში გასაკონტროლებელი სტრუქტურების მოქცევის შეფასების უფლება.

**გამგზავნი** – კომუნიკაციაში მხარე, რომელიც მიმართვას უგზავნის მეორე მხარეს.

**გამგზავნის ძირითადი მოვალეობა** – ტვირთის დროული წარდგენა გადაზიდვაზე და გადამზიდავის მოქმედებათა ანაზღაურება.

**გამგზავნში (ექსპორტიორში)** – იგულისხმება პირი, რომელსაც დადებული აქვს ხელშეკრულება (კონტრაქტი) დეკლარირებული საქონლის ექსპორტზე.

**გამკეთებლები** – პრაქტიკულები, ტრადიციულები, ოჯახზე ორიენტირებულები. ყიდულობენ ეროვნულ საქონელს, რომელსაც გააჩნია პრაქტიკული ან ფუნქციური ფასეულობა.

**გამოვლენის ლაგი (recognition lag)** – შიგა ლაგის წარმოქმნის ერთ-ერთი კომპონენტი, განვლილი დრო პოტენციური დესტაბილიზაციური ფაქტორის წარმოშობის მომენტსა და ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების მიერ ამ მომენტის დადგენას შორის.

**გამოთავისუფლება** – როგორც წესი, ხდება ტექნიკურ ორგანიზაციული სიახლის შედეგად შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი ამაღლების გამო. გამოთავისუფლების, ანუ პერსონალის შემცირების დაგეგმვას არსებითი მნიშვნელობა აქვს საკადრო დაგეგმვის პროცესში. გათავისუფლების სამ სახეს გამოყოფენ: 1. გათავისუფლება მომუშავის ინიციატივით (საკუთარი სურვილით); 2. გათავისუფლება დამქირავებლის ინიციატივით (ადმინისტრაციის ინიციატივით); 3. პენსიაზე გასვლა. მომუშავის ინიციატივით გათავისუფლებას, ცხადია, სერიოზული პრობლემები არ ახლავს. მოცემულ შემთხვევაში, მომუშავის პროფესიული საქმიანობა და სოციალური გარემო ან არსები-

თად არ იცვლება, ან მომუშავე პრაქტიკულად მზადაა ასეთი ცვლილებისადმი. ამიტომ, ადმინისტრაციის მხრიდან გათავისუფლებულთა მხარდაჭერის აუცილებლობა ან საერთოდ არაა, ან მინიმუმამდეა შემცირებული.

**გამომავალი ლოჯისტიკური ნაკადი მიეწოდება ლოჯისტიკური სისტემიდან გარემომცველ გარემოს**. საბითუმო ვაჭრობის საწარმოსთვის მისი განსაზღვრა შეიძლება, თუ შევკრებთ მატერიალურ ნაკადებს, რომლებიც იყო სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების დატვირთვის ოპერაციათა შესრულების დროს.

**გამომუშავების ნორმა –** პროდუქციის (სამუშაოს) მოცულობა, რომელიც უნდა გამოუშვას (შეასრულოს) ერთმა მუშამ ან მუშათა ჯგუფმა დროის ერთეულში განსაზღვრულ ტექნიკურ-ორგანიზაციულ პირობებში.

**გამორიცხვის პრინციპი –** კონცეფცია, რომლის თანახმადაც კონტროლის სისტემის ამოქმედებას იწვევს მხოლოდ მნიშვნელოვანი გადახრები სტანდარტებიდან და წესებიდან.

**გამოსასვლელი ბარიერების სიმაღლე** – გამოსასვლელი ბარიერები ის დაბრკოლებებია, რომლებიც ბაზრიდან უკან გამოსვლაში ეღობებიან ფირმებს. მათ შეუძლიათ ჰქონდეთ არამარტო ეკონომიკური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური და ემოციური ხასიათიც კი. მაგრამ ასეთ დაბრკოლებათა ბუნების მიუხედავად, რაც უფრო ძნელია დარგიდან გამოსვლა, მით უფრო ინტენსიური იქნება მის შიგნით არსებული კონკურენცია, რადგან ბანკი მრავალფეროვანი საწარმოა, ამიტომ მიზანშეწონილი არაა გამოსასვლელი ბარიერების ანალიზის ჩატარება თითოეული საბანკო დარგისათვის.

**გამოსაწვევი აკრედიტივი** – ისეთი აკრედიტივია, რომლის გამოყენებისას იმპორტიორს შეუძლია მისი ანაზღაურება ან მასში შესწორების შეტანა ექსპორტიორთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, ამასთან, საქონლის გამგზავნის შემდეგაც. ამიტომ იგი ექსპორტიორისათვის ნაკლებად

სასურველი და არაგარანტირებულია. ამის გამო საერთაშორისო ვაჭრობაში იგი ნაკლებად გამოიყენება.

**გამოსყიდვა** – კომპანია ექსპორტზე აგზავნის მოწყობილობას, ტექნოლოგიებს ან მთელ წარმოებას და ნაწილობრივ საზღაურს ღებულობს ამ მოწყობილობაზე წარმოებული პროდუქციის სახით. ინდოეთში აშშ კომპანიის მიერ ქიმიური ქარხნის მშენებლობა ანაზღაურებული იქნა ნაწილობრივ ფულით და ნაწილობრივ ამ ქარხანაში წარმოებული საქონლით.

**გამოსყიდული აქციები (treasury stak)** – კომპანიის მიერ გაყიდული აქციები, რომლებიც შემდეგ აქციონერებიდან გამოსყიდული იქნა კომპანიის საფინანსო განყოფილებაში მათი შემდგომი შენახვის მიზნით. აღნიშნული აქციები შეიძლება კომპანიაში უსაზღვროდ ხანგრძლივი ვადის განმავლობაში დარჩეს, ხელმეორედ იქნას შეთავაზებული ინვესტორებზე ან საერთოდ ბიზნესიდან იქნას ამოღებული. ასეთი სახის აქცია ხმის მიცემის ან დივიდენდების მიღების უფლებას არ იძლევა.

**გამოუწვევი აკრედიტივი** – ვადაზე ადრე ანულირება ექსპორტიორთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია, ამიტომ იგი ექსპერტიორს აძლევს მეტ გარანტიებს და, შესაბამისად, ფართო გამოყენებას პოულობს. გამოუწვევ აკრედიტივზე უნდა იყოს სპეციალური აღნიშვნა, რომ იგი გამოუწვევია. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოსაწვევი იქნება.

**გამოფენა** – გამოფენების ძირითადი მიზანია წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის ერთი ან რამდენიმე სფეროს პროდუქციის დემონსტრაცია-ჩვენება და ახალი ინფორმაციის მიღება.

**გამოქვეყნებული ფასები შემდეგი სახისაა:** საცნობარო, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის, საბირჟო კოდირების, აუქციონების, ფაქტობრივი გარიგებებისა და კონტრაქტების ფასები.

**გამოყენებითი ხასიათი პრინციპი** – იგი გულისხმობს ხელმძღვანელობის განსაზღვრულ სტილს, რომელიც მისაღებია ორგანიზაციაში მომუშავე ყველა თანამშრომლისათვის.

**გამოყოფენ პერსონალის შეფასების შემდეგ ეტაპებს:**

წინასწარი ინფორმაციის შეგროვება;

წინა ეტაპზე მიღებული ინფორმაციის განზოგადება;

ხელმძღვანელის მომზადება დაქვემდებარებულ თანამშრომლებთან შესაფასებელი საუბრის ჩასატარებლად;

შესაფასებელი საუბრისა და სხვა სამუშაოების ჩატარება და მისი შედეგების შეფასება;

ხელმძღვანელის მიერ პერსონალის შეფასების საკითხებზე საექსპერტო დასკვის ფორმირება და მისი წარდგენა საექსპერტო კომისიაში;

საექსპორტო დასკვნებში მოცემული წინადადებების საფუძველზე საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებები მიღება.

**გამოშვების ტაქტი** – დროის მონაკვეთი მასობრივი წარმოების პროდუქციის ორ თანმიმდევრულად დამზადებულ ერთეულს შორის.

**გამოცდა საბაზრო პირობებში** – სიახლის შემუშავების ეტაპი, რომლის მსვლელობაში საქონელს და მარკეტინგის სტრატეგიას სინჯავენ რეალური გამოყენების ვითარებაში იმ მიზნით, რომ გამოავლინონ მომხმარებლების და დილერების შეხედულებანი საქონლის ექსპლუატაციისა და გამოყენების თავისებურებებზე, მისი ხელმეორედ გაყიდვის პრობლემებზე, აგრეთვე ბაზრის ზომის განსაზღვრის მიზნით.

**გამოცდილება** – რამდენიმე მომსახურებისა და საქონლის შეხამებით შეიძლება შეიქმნას გამოცდილება მოხდეს ბაზარზე მისი დემონსტრირება და რეალიზება.

**გამოცდის ოქმი** – (ზოგიერთ შემთხვევაში მას სერთიფიკატს უწოდებენ) ფორმდება გამყიდველის მიერ მყიდველის წარმომადგენელთან (იგი იწოდება ინსპექტორად ან მიმღებად) ერთად, გამყიდველის საწარმოში წინასწარ დადგენილ დღესა და საათში სრული გამოცდის ჩატარების შემდეგ. გამოცდის ოქმში დაწვრილებით აღწერენ გამოცდის შედეგებს და უთითებენ შეკვეთის პირობებთან დამზადებული საქონლის შესაბამისობას. გამოცდის ჩა-

ტარების შემდეგ ოქმი ეგზავნება შემკვეთს. მის საფუძ-ველზე მხარეები ჩვეულებრივ ხელს აწერენ მიღება-ჩაბარების აქტს.

**გამოწვევის რისკი** – ინვესტორის დანაკარგების რისკი იმ შემთხვევაში, თუკი ემიტენტი ობლიგაციებს უკან გაიწვევს მასზე დაკისრებული ფიქსირებული საპროცენტო გადასახდელების დონის მიმდინარე საბაზრო პროცენ-ტებზე გადამეტებასთან დაკავშირებით.

**გამყიდველთა კონკურენცია** – ბაზარზე საქონლის ფასებისა და მიწოდების მოცულობათა დაწესების სფეროში გამყიდვე-ლებს შორის იმ ურთიერთობათა ტიპია, რომელიც ვლინდება მათ მეტოქეობაში საქონლის (ამ შემთხვევაში – საბანკო მომსახურების) გასაღების ყველაზე უფრო მომგე-ბიანი პირობების მოსაპოვებლად და ამ ნიადაგზე მაქსი-მალური მოგების მისაღებად.

**გამყიდველის ბაზარი (sellers market)** – სიტუაცია ბაზარზე, როდესაც მოთხოვნა აღემატება მიწოდებას, მონოპოლიზ-მის მაღალი დონე მონოპოლიურ ფასებს წარმოქმნის და ბაზრის კონტრაჰენტებს თავს ახვევს სამეურნეო ხელ-შეკრულებათა დისკრიმინაციულ პირობებს.

**გამყიდველის კურსი** – კურსი, რომლის მიხედვითაც ბანკი ყიდის უცხოურ ვალუტას.

**გამყიდველისა და მყიდველის კურსებს შორის საშუალო არითმეტიკული ცნობილია საშუალო კურსის სახელ-წოდებით.**

**გამჭოლი კონოსამენტი** – გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთის გადაზიდვა წარმოებს სხვადასხვა სახის ტრანს-პორტით, გადატვირთვის გათვალისწინებით. ასეთი კონო-სამენტი გამოიწერება შერეული გადაზიდვების ოპერატო-რის მიერ.

**განადგურება (გადასახადის სუბიექტი)** – ის ზიანი, რომლის დროსაც, ფიზიკური ან ქიმიური ცვლილების შედეგად, ბარგი ან ტვირთი მთლიანად უფასურდება და მოუსადე-გარი ხდება.

**განათლება** – ადამიანის ცხოვრებისა და შრომისთვის მომზადების მიზნით, სისტემატიზებული ცოდნის, უნარის, ჩვევებისა და ქცევის ნორმების ათვისების პროცესი და შედეგი. განათლების დონე განპირობებულია წარმოების მოთხოვნებით, მეცნიერულ-კულტურული და ტექნიკური დონით, აგრეთვე, საზოგადოებრივი ურთიერთობებით.

**განასხვავებენ ბიზნესის შიდა და გარე გარემოს** - შიდა გარემოში იგულისხმება ფირმის სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც მოიცავს მის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფს მათი ადგილმდებარეობისა და საქმიანობის სფეროს მიუხედავად. თავის მხრივ, გარეა ფირმის ირგვლივ არსებულ გარემოში მოქმედი ყველა პირობა და ფაქტორი.

**განასხვავებენ მიზნობრივი ბაზრის მომცველობის სამ სტრატეგიას:** 1. არადიფერენცირებული მარკეტინგი; 2. დიფერენცირებული მარკეტინგი; 3. კონცენტრირებული მარკეტინგი.

**განასხვავებენ სამომხმარებლო საქონლის ბაზრის სეგმენტაციის შემდეგ სახეებს:** 1. გეოგრაფიული; 2. დემოგრაფიული; ფსიქოლოგიური; ქცევითი.

**განაღდებითი სათამასუქო კანტორები** – ეკონომიკაში განსაკუთრებით არგადახდათა კრიზისის პირობებში, დიდი მნიშვნელობა აქვს თამასუქების მიმოქცევის სწორად ორგანიზებას, კერძოდ თამასუქების განაღდების სისტემის ორგანიზებას. ბანკებთან ერთად ასეთ ორგანიზებას ეწევიან სპეციალიზებული ორგანიზაციებიც დისკონტის (სააქცეპტო) სახლები, განაღდებითი სათამასუქო კანტორები და სხვა.

**განაღდებული საწესდებო კაპიტალი** – გაცხადებული საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი.

**განაცხადი** – მოთხოვნილება, რომელიც განმტკიცებულია უნარით.

**განაცხადი ბანკის გარანტიაზე** – დოკუმენტია, რომლითაც კლიენტი თავის ბანკს სთხოვს მისცეს გარანტია სხვა ქვეყანაში მყოფი დასახელებული მხარის სასარგებლოდ

და რომელშიც უთითებს საგარანტიო თანხასა და გადახდის ვალუტას, აგრეთვე გარანტიის კონკრეტულ პირობებს.

**განაცხადი ინკასოთი ფულის გადახდის შესახებ** – დოკუმენტი, რომლითაც ბანკი იტყობინება ინკასოთი ფულის გადახდის შესახებ. მასში მოცემულია სახსრების რეალიზაციის დაწვრილებითი მონაცემები და მეთოდები.

**განაცხადი საბანკო ტრატაზე** – დოკუმენტი, რომელშიც კლიენტი თავის ბანკს სთხოვს საბანკო ტრატის გაცემას მასში მითითებული ტრატის თანხისა და ვალუტის, ფულის მიმღები პირის, გადახდის ადგილისა და ქვეყნის მითითებით.

**განაცხადი საექსპორტო ლიცენზიის გაცემაზე** – განაცხადი გარკვეული სახის და ღირებულების საქონლის დანიშნულების განსაზღვრულ პუნქტში ექსპორტირების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვის მისაღებად.

**განაცხადი სავალუტო ლიცენზიის გაცემაზე** – დოკუმენტი, რომელშიც იმპორტიორი (მყიდველი) კომპეტენტური ორგანოსაგან ითხოვს გარკვეული თანხის გამოყოფას უცხოურ ვალუტაში, რომელიც მას სჭირდება ექსპორტიორთან (გამყიდველთან) ანგარიშსწორებისათვის.

**განაცხადი საიმპორტო ლიცენზიის გაცემაზე** – დოკუმენტი, რომელშიც დაინტერესებული მხარე კომპეტენტური ორგანოსაგან ითხოვს ნებართვას იმ საქონლის იმპორტზე, რომელზედაც ვრცელდება იმპორტის შეზღუდვები.

**განაცხადი სასაქონლო აკრედიტივზე** – დოკუმენტი, რომლითაც ბანკს ეძლევა ამ დოკუმენტში მითითებული პირობებით სასაქონლო აკრედიტივის გახსნის დავალება.

**განაცხადი საქონლის ხარისხის კონტროლის მოწმობაზე** – დოკუმენტი, რომლითაც დაინტერესებული მხარე კომპეტენტური ორგანოებისგან ითხოვს მოწმობის გაცემას საქონლის ხარისხის კონტროლის შესახებ.

**განაცხადი ფიტოსანიტარულ მოწმობაზე** – დოკუმენტი, რომლითაც დაინტერესებული მხარე კომპეტენტური ორგანოებისგან ითხოვს ფიტოსანიტარიული მოწმობის გაცემას.

**განაწესი** – საწყობიდან საქონლის გატანაზე საწარმოში გაცემული დოკუმენტია, რომელშიც მოცემულია კლიენტის მიერ შეკვეთილი საქონლის (საწყობიდან) გაცემის ნებართვა.

**განაწესი შიდა ტრანსპორტირებაზე** – ინსტრუქცია, რომლის საფუძველზე ხდება საწარმოში საქონლის ტრანსპორტირება.

**განაწილება ერთობლივი** – ზოგადი ტერმინი, რომელიც შეეხება რამდენიმე შემთხვევით სიდიდეთა განაწილებას და რომლებიც მოცემული არიან ერთი და იმავე ალბათურ სივრცეში.

**განაწილება საგანგებო უფლებით** – დილერების შეზღუდულ რიცხვზე საგანგებო უფლების მიკუთვნებაზე თავიანთი გასაღების ზონის ფარგლებში საქონლის განაწილებაზე.

**განაწილების არხი** – ორგანიზაციების ან კონკრეტული პირების ერთობლიობა, რომლებიც ღებულობენ თავის თავზე ან ეხმარებიან სხვას გადასცემენ კუთვნილების უფლებას კონკრეტულ საქონელზე ან მომსახურებაზე მწარმოებლიდან მომხმარებლამდე.

**განაწილების არხი** – ფირმების ან ცალკეული პირების ერთობლიობა, რომლებიც თვითონ თავის თავზე იღებენ ან ვინმე სხვას ეხმარებიან საკუთრების უფლების განმტკიცებაში კონკრეტულ საქონელზე ან მომსახურებაზე მათი მწარმოებლიდან მომხმარებლამდე მიტანისას.

**განაწილების ლოგისტიკა** – წარმოადგენს მეცნიერებას, (საქმიანობას), სხვადასხვა მატერიალური და არამატერიალური ოპერაციების დაგეგმვის, კონტროლისა და მართვის შესახებ ტრანსპორტირებით დასაწყობების სფეროში, სრულდება მზა პროდუქციის დაყვანის პროცესში მომხმარებლამდე უკანასკნელის ინტერესებს და მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე შესაბამისი ინფორმაციის გადაცემას, შენახვისა და დამუშავების დროს.

**განაწილების პარამეტრები** – სიდიდეები, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტულ განაწილებას განსხვავებით იმავე სახის სხვა განაწილებებისგან. მაგალითად, ნორმალური

განაწილებისას, პარამეტრებით განაწილება: 1. შემთხვევითი სიდიდისა წარმოადგენენ საშუალო არითმეტიკულ განაწილებას და საშუალო კვადრატული გადახრას. პარამეტრების სიდიდის მიხედვით განაწილების წირი იღებს ამა თუ იმ სახეს.

**განვითარებად ქვეყნებში გადასახადების სტრუქტურა უპირატესად იხრება არაპირდაპირი განსაკუთრებით დღგ**-ის, საბაჟო გადასახადებისა და აქციზებისკენ. ეს აიხსნება იმით, რომ ასეთი გადასახადები შედარებით ადვილი ასაკრეფია. ქვეყნის განვითარების კვალობაზე იზრდება საშემოსავლო გადასახადის მნიშვნელობა. განვითარებულ ქვეყნებში არსებობს საშემოსავლო გადასახადის განვითარებული სისტემა.

**განვითარებადი ქვეყნების სასოფლო სამეურნეო საქონლის დამამზადებელი ფირმები** – ახორციელებენ სხვადასხვა სახის საქონლის (ბამბა, შალი, ჩაი, კაუჩუკი, ყავა და ა.შ.).

**განვითარების ექსპორტორიენტირებული მოდელი** – შექმნილი ახალი დარგების ორიენტაცია საგარეო ბაზარზე, როცა ზოგჯერ შეხამებულია საექსპორტო წარმოებაში უცხოური კაპიტალის აქტიურ მიზიდვასთან, ხოლო იშვიათად – დაბალ შემოსატან ბაჟთან.

**განვითარების იმპორტშემცვლელი მოდელი** – სამეურნეო საქმიანობის მოდელი, რომლის არსი ის არის, რომ ხორციელდება პროტექციონიზმი ეროვნული ეკონომიკის მეტი წილი დარიგებისადმი, რაც ხშირად გამაგრებულია საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიით და იმით, რომ კონვერტირებადი არ არის ეროვნული ვალუტა.

**განვითარების საერთაშორისო ასოციაცია** – მსოფლიო ბანკის ჯგუფის საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ორგანიზაცია, რომელიც იძლევა სესხებს (კრედიტებს) პრიორიტეტული ეკონომიკურად და ტექნიკურად დასაბუთებული პროექტებისათვის ეროვნული ეკონომიკის, უწინარეს ყოვლისა, განვითარებადი სახელმწიფოების ეკონომიკის ფარგლებში.

**განვითარების საერთაშორისო ასოციაცია** – რომელიც შეიქმნა 1960 წელს, იმ ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად, რომელთაც არ შეუძლიათ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკიდან სესხის აღება (მაღალი პროცენტის გამო).

**განვითარების სტრატეგია** – ითვალისწინებს როგორც მთლიანად ფირმის, ისე მისი ფილიალებისა და ქალიშვილ-კომპანიების განვითარების მყარი ტემპისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

**განვითარების სტრატეგია (development strategy)** – განვითარების პრობლემისადმი მიდგომა, რაც დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდის ამა თუ იმ მოდელის გამოყენებაზე. არსებობს უამრავი ერთმანეთისგან განსხვავებული სტრატეგია, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი მახასიათებლები: იმპორტის შენაცვლება შიგა წარმოებით, სამრეწველო განვითარება, ქალაქებისა და სასოფლო რაიონების ბალანსირებული განვითარება, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და გაფართოება, საექსპორტო სექტორის განვითარება უცხოური ვალუტის მიღების მიზნით და ა.შ. განვითარების სტრატეგია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის.

**განვითარებული ქვეყნები (developed countries)** – მსოფლიო მაღალშემოსავლიანი სახელმწიფოები, რომლებმაც (ისტორიულად ან განვითარების დღევანდელ ეტაპზე) მიაღწიეს ინდუსტრიული განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს, როგორც შესაძლებელია არსებული სიმდიდრისა და ტექნოლოგიების პირობებში. სხვადასხვა ორგანიზაცია სხვადასხვა ქვეყანას მიიჩნევს განვითარებულად, მაგრამ არსებობს 22 ქვეყანა, რომლებიც ნებისმიერ კლასიფიკაციაში ხვდებიან. ეს ქვეყნებია: აშშ, იაპონია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, შვედეთი, ავსტრია, ბელგია, დანია, ესპანეთი, შვეიცარია, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია. განვითარებული ქვეყნების უპირატესობა დანარჩენ მსოფლიოსთან ისაა,

რომ ამ ქვეყნებში გატარებული საბაზრო რეფორმების საფუძველზე წარმატებულად ფუნქციონირებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკური სისტემა, რომელმაც აშკარა უპირატესობა და მაღალი ეფექტიანობა დაამტკიცა, როგორც წმინდა კაპიტალისტურ, ისე კვაზი-სოციალისტურ ეკონომიკურ სისტემებთან შედარებით.

**განკარგვითი ეროვნული შემოსავალი (disposable national income)** – წმინდა ეროვნულ შემოსავალს პლუს მიმდინარე ტრანსფერები საზღვარგარეთიდან (ჰუმანიტარული დახმარება, შეწირულობა და სხვა), გამოკლებული საზღვარგარეთ გაცემული ანალოგიური ტარიფები ანუ მინუს მიმდინარე ტრანსფერების სალდო.

**განკარგვითი მთლიანი ეროვნული შემოსავალი (disposable gross national income)** – რეალური შემოსავალი, რომელიც გამოიყენება ერთობლივი საბოლოო მოხმარებისა და დანაზოგისათვის. საბაზრო ფასებით იგი არის მშპ-ს პლიუს/მინუს წმინდა სალდო ეროვნულ ეკონომიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის გადასახადებისა და სხვა მიმდინარე ტრანსფერების მიხედვით.

**განკარგვითი წმინდა ეროვნული შემოსავალი (disposable net national income)** – ტოლია განკარგულებაში დარჩენილ მთლიან ეროვნულ შემოსავალს გამოკლებული ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

**განკარგულებითი დოკუმენტები** – წერილობითი განკარგულებაა შესრულებულ პირზე, გარკვეული სამეურნეო ოპერაციის შესრულების შესახებ. განკარგულებითი დოკუმენტებია: მინდობილობა; სალაროს გასავლის ორდერი; სალაროს შემოსავლის ორდერი; ჩეკი და ა.შ. განკარგულებითი დოკუმენტები არ ამტკიცებენ, რომ სამეურნეო ოპერაცია მოხდა და არ წარმოადგენენ ამ ოპერაციის ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის საფუძველს.

**განმანაწილებელი ფუნქციის მეშვეობით** – საწარმოს საწესდებო კაპიტალის ფორმირება და გაზრდა ხორციელდება, განისაზღვრება პროპორციები მისაღები შემოსავლების განა-

წილებაში, სახელმწიფოს, მეურნე სუბიექტებისა და ცალკეული მუშაკების ინტერესების შეხამების უზრუნველყოფა ხორციელდება.

**განმასხვავებელი კომპეტენტურობა** – ამოცანა ან პროცესი, რომლის რეალიზებას ორგანიზაცია ახდენს გაცილებით უკეთესად, ვიდრე მისი კონკურენტები.

**განრიგის შედგენის მიზანი** – რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცის ისე, რომ მიღწეულ იქნას წარმოების საერთო მიზნები.

**განსაზღვრულ კლიენტზე ორიენტაცია** – მათი რიცხვის მაქსიმალური ზრდისაკენ სწრაფვა, ან, პირიქით, „ელიტის“ შექმნა, ხანდახან კი ცალკეული დარგების, ტერიტორიების, საზოგადოებრივი ან სოციალური ფენების (რელიგიურის ჩათვლით) მიხედვით სპეციალიზება.

**განსაკუთრებული მოთხოვნის საქონელი** – საქონელი უნიკალური მახასიათებლებით ან ცალკეული სამარკო საქონელი, რომლის შეძენისათვის მყიდველობის მნიშვნელოვანი ნაწილი მზად არის დახარჯოს დამატებითი ენერგია.

**განსაკუთრებული ხარჯები** – ისეთი ხარჯები, რომლებიც გამოწვეული იყო ჩვეულებრივი საქმიანობისგან განსხვავებული სამეურნეო მოვლენებისა და ოპერაციებისაგან, რომლებიც რეგულარულად არ ხდებიან და შემთხვევითი ხასიათისაა.

**განსტერი** – ავაზაკი, ბანდიტი.

**განუსაზღვრელობა** – გარემოში ინფორმაციის ადექვატურობის, საკმარისობის მიღწევის ალბათობა. თუ წარმოიშვება უფრო ფართო და მრავალფეროვანი საინფორმაციო ნაკრების შექმნის აუცილებლობა, ეს დამახასიათებელია გარემოს მაღალ განუსაზღვრელობისათვის და მიუთითებს ინფორმაციის დაბალ საიმედობაზე.

**განუსაზღვრელობა** – ინფორმაციის უკმარისობა იმ პირობების შესახებ, რომელშიც უნდა განვითარდეს ბიზნესი, ან პირობების წინასწარ განჭვრეტის ქმედების განხორციელება რისკთან.

**განცხადება-მოთხოვნა გაგზავნის შესახებ** – საქონლის გაგზავნის ან მიწოდების დავალება.

**განხორციელების ფორმის მიხედვით, დაზღვევა შეიძლება იყოს სავალდებულო და ნებაყოფლობითი.** სავალდებულო ხორციელდება კანონის შესაბამისად საზოგადოებრივი მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ნებაყოფლობითი კი – კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

**გარანტი** – წარმოადგენს ხელშეკრულებას საქონლის ან სხვა ფასეულობის მიღების მიზნით.

**გარანტია** – არის ვალდებულება გადაიხადოს ხარჯები სამეურნეო საქმიანობის სუბიექტის ნაცვლად, რომელიც ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებული იყო განეხორციელებინა აღნიშნული გადახდა, სამეურნეო და კომერციული საქმიანობიდან შეთანხმებული განსაზღვრული შემთხვევების წარმოქმნისას ზარალის კომპოზირება. აღნიშნული შეიძლება განხილული იქნეს როგორც დამოუკიდებელი ფინანსური ინსტრუმენტის სახითაც, და როგორც სახელმწიფო კრედიტის სახითაც.

**გარანტიები** – დადგენილი (საგარანტიო), ვადის განმავლობაში საქონლის ხარისხზე გამყიდველთა პასუხისმგებლობა.

**გარე (ეგზოგენური, „სისტემის გარეთ“)** – რომელიც მოიცავს სახელმწიფო ორგანოებს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამეწარმეო გარემოს, სოციალურ გარემოს, ნაწილობრივ საფონდო ბაზარს.

**გარე აუდიტის ძირითადი მიზანი** – მესამე მხარის დამოუკიდებელი აზრი, რომელიც ადასტურებს ბანკის ფინანსური მდგომარეობის სიმართლესა და სიზუსტეს. დამოუკიდებელი სააუდიტო სამსახურო, აგრეთვე, ამოწმებს ბანკის შიდა კონტროლს, საბუღალტრო პროცედურებსა და პოლიტიკას. ძირითადი მიზნების გარდა, აუდიტორებთან კონტრაქტებს დებენ სხვადასხვა სპეციალიზირებული ამოცანების ან საინფორმაციო სისტემები, პერსონალის მოთხოვნები.

**გარე ეფექტის ინტერნაციონალიზაცია (externality internationalization)** – გარე ეფექტის გადაქცევა კერძო ხარჯების ელემენტად.

**გარე ლაგი (outside lag)** – დროის შუალედი მაკროეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციასა და მისი სრული ეფექტის მიღებას შორის.

**გარე ლოგისტიკური ოპერაცია** – ორიენტირებულია მომარაგებისა და გასაღების ფუნქციის რეალიზაციაზე.

**გარე მარკეტინგული ინფორმაციის შეკრების სისტემა** – ხერხების, წყაროების და მეთოდების კრებული, რომლის მეშვეობითაც ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველდღიურ ინფორმაციას კომერციულ სამყაროში მომხდარი მოვლენების შესახებ.

**გარე მატერიალური ნაკადი გადის საწარმოსთვის გარე გარემოში**. ამ კატეგორიას შეადგენს არა ნებისმიერი ტვირთი, რომელიც მოძრაობს საწარმოს გარეთ, არამედ მხოლოდ ის, რომლის ორგანიზაციასთანაც საქმე აქვს საწარმოს.

**გარე რეკლამა მთელი კატეგორიაა, რომელიც მოიცავს სარეკლამო ფორმების ბევრ სხვადასხვა ვარიანტს.**

**გარე რისკები** – უშუალოდ არ უკავშირდება ბანკის საქმიანობას. მათ დონეზე გავლენას ახდენს ფაქტორთა ძალიან დიდი რაოდენობა – პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური, გეოგრაფიული და სხვა.

**გარე ფაქტორები** – გარე ფაქტორებს მიეკუთვნება: ეროვნული შრომითი კანონმდებლობა, დარგობრივ პროფკავშირებთან ურთიერთკავშირები, ეკონომიკური კონიუნქტურის მდგომარეობა, შრომის ბაზრის განვითარების პერსპექტივები.

**გარე ხარჯები** – მთლიანი ხარჯების ის ნაწილია, რომელსაც ფირმა გაიღებს გარეთ შეძენილი მატერიალური და შრომითი რესურსებისათვის (სამუშაო ძალისათვის).

**გარეგან გარემოზე დამოკიდებულება** – ვერცერთი სახის

ორგანიზაცია ვერ იარსებებს გარეგან გარემოსთან კავშირის გარეშე. (იხილე ტ ასოზე განმარტება)

**გარეგანი გარემოს განსაზღვრა** – ორგანიზაციაზე მეტ-ნაკლებად უამრავი გარეგანი ფაქტორი ზემოქმედებს. უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, რომლებზეც ბევრადაა დამოკიდებული ორგანიზაციის წარმატებები. ჯერალდ ბელდის სიტყვებით რომ ვთქვათ, ორგანიზაციის გარეგანი გარემო მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: მომხმარებლები, კონკურენტები, სამთავრობო დაწესებულებები, მიმწოდებლები, საფინანსო ორგანიზაციები და შრომითი რესურსების წყაროები.

**გარეგანი გარემოს განუსაზღვრელობა** – იგი დამოკიდებულია იმ ინფორმაციის რაოდენობაზე და სრულფასოვნებაზე, რომლებსაც ორგანიზაცია ფლობს. თუ ინფორმაცია მცირეა, ამასთან, ეჭვს იწვევს მისი სისწორე, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს გარეგანი გარემოს უფრო მეტ განუსაზღვრელობასთან, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ინფორმაცია უფრო სრული და ამავე დროს სარწმუნოა.

**გარეგანი გარემოს მნიშვნელობა** – მმართველობით აზროვნებაში გარეგანი გარემოსა და ორგანიზაციაზე მისი ზემოქმედების შესახებ წარმოდგენა გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა. ეს მართვის მეცნიერებაში სისტემური მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენი იყო. სწორედ სისტემური მიდგომა განიხილავს ორგანიზაციას, როგორც ერთიან მთლიან ორგანიზმს, რომელიც ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისაგან შედგება და რომელსაც გარეგან გარემოსთან მრავალმხრივი კავშირები აქვს.

**გარეგანი გარემოს სირთულე** – იგი განპირობებულია იმ ფაქტორთა სიმრავლით, რომელზეც ორგანიზაციამ რეაგირება უნდა მოახდინოს. გარეგანი გარემოს სირთულეზე მიუთითებს აგრეთვე თითოეული ფაქტორის ვარიანტულობა.

**გარეგანი გაურკვევლობა** – წარმოადგენს გარე სამყაროს ფაქტორის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოცულობისა და ამ ინფორმაციის სიზუსტეში შედარებითი დარწმუნებულობის ფუნქციას.

**გარეგანი საფუთავი** – ყუთები, კასრები, კონტეინერები და ა.შ.

**გარეგანი წახალისება** – მიეკუთვნება ყველაფერი, რასაც მოტივაციის ჩარჩოებში აქვს რაიმე ფასეულობა ორგანიზაციის თანამშრომლებისათვის და რაც შეიძლება შესთავაზონ მათ მუშაობის სტიმულის სახით (მაგალითად: ხელფასი, სოციალური სიკეთები, პრესტიჟული და კეთილმოწყობილი სამუშაო ადგილი და სხვ.).

**გარედან ბანკების მართვა და მათი თვითმმართველობა** – საბანკო სისტემის არცერთ დონეზე არ ხორციელდება ავტონომიურად და პარალელურად.

**გარე დოკუმენტი** – მოცემულ საწარმოში გარედან მიღებული დოკუმენტი, რომელიც შედგენილია სხვა რომელიმე საწარმოს ან ორგანიზაციის მიერ.

**გარემომცველი სამყაროც აყალიბებს თავის უპირატესობებს და შეზღუდვებს, ქმნის შემაფერხებელ ზემოქმედებას, რომელსაც თვალი უნდა მივადევნოთ და გავითვალისწინოთ აქტივების მართვის პროცესში**.

**გარემოს მდგომარეობა (ე.წ. გარე საწყისი მონაცემები)** – წარმოადგენს საქმის რეალურ ვითარებას, რომელმაც შეიძლება განიცადოს ზემოქმედება და კონტროლდებოდეს ლოგისტიკის სპეციალისტის მიერ, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დაგეგმვის ჰორიზონტის ჩარჩოებში.

**გარემოს მოძრაობა (ცვლილება)** – გარემოს მოძრაობა ესაა სიჩქარე, რომლითაც მიმდინარეობს ცვლილებები ორგანიზაციის გარშემო. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ზოგიერთი დარგის (ფარმაცევტული, ქიმიური და ელექტრონული) ორგანიზაციაში ტექნოლოგიის ცვლილებების სიჩქარე ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მანქანათმშენებლობისა და საკონდიტრო მრეწველობებში, კომპიუტერულ წარმოებაში და ა.შ.

**„გარესაბალანსო ვალდებულებები“** – არის ბანკის მიერ გაცემული გარანტიები, აქცეპტები, თამასუქები, სესხების დაფინანსებისათვის ნაკისრი ვალდებულებები, გასანაღდებელი კრედიტები, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვისთვის ნაკისრი ვალდებულებები და ბანკის მიერ დოკუმენტალურად აღიარებული და შესაძლო გადასახდელი ვალდებულებითი შინაარსის მქონე საბანკო ინსტრუმენტები ძირითადი თანხებით.

**გარესამყაროს არამდგრადობა (მერყეობა)** – ორგანიზაციის გარემოცვის ცვლილების შეფარდებითი სისწრაფე.

**გარესამყაროს არაპირდაპირი ფაქტორები** – გარესამყაროს ფაქტორები, რომლებიც დაუყონებლივ და უშუალოდ არ ზემოქმედებენ ორგანიზაციაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ახდენენ ზეგავლენას მის საქმიანობაზე.

**გარესამყაროს გაურკვევლობა** – წარმოადგენს გარესამყაროს კონკრეტული ფაქტორის შესახებ ინფორმაციის რაოდენობისა და ამ ინფორმაციის სიზუსტეზე შედარებითი დარწმუნებულობის შესახებ.

**გარესამყარო მენეჯმენტის სისტემაში** – მრავალფეროვან ფაქტორთა ერთობლიობა (მოვლენები, პროცესები, საორგანიზაციო სტრუქტურები, პარტიები, პრიორიტეტები და ა.შ.), რომელზედაც დამოკიდებულია ბანკის მენეჯმენტის მდგომარეობა და მიზანდასახულობათა რეალიზაცია.

**გარესამყაროს სირთულე** – განისაზღვრება იმ გარეგანი ფაქტორების რიცხვით, რომლებზეც ორგანიზაციას უხდება რეაგირება; განისაზღვრება აგრეთვე ყოველი ასეთი ფაქტორის ცვალებადობის ხარისხით.

**გარესამყაროს ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება** – ძალა, რომლითაც ერთი ფაქტორის ცვლილება ზემოქმედებს სხვა ფაქტორებზე.

**გარიგება** – მარკეტინგის ერთ-ერთი საკვანძო ცნება, რომელიც გულისხმობს ყიდვა-გაყიდვის სათანადო პირობების დაფიქსირებით.

**გარიგება –** ორ მხარეს შორის კომერციული ხასიათის გაცვლა.

**გარიგება „ოფციონი“** – წარმოადგენს გარიგების სახეობას, რომლის მიხედვითაც მყიდველს უფლება აქვს გარკვეული ვადის განმავლობაში ან იყიდოს უცხოური ვალუტის შეთანხმებული თანხა ფიქსირებული კურსით ( call ტიპის „ოფციონი“) ან გაყიდოს იგი (Put ტიპის „ოფციონი“). „ოფციონის“ მფლობელი იღებს გადაწყვეტილებას გამოიყენოს, თუ არა მისი უფლებები ვალუტის კურსების დინამიკის შესაბამისად. ყველა შემთხვევაში „ოფციონის“ მფლობელის რისკი წინასწარ არის შეზღუდული „ოფციონის“ ფასით, ხოლო მოგება თეორიულად შეუზღუდავია და პრაქტიკულად – საკმაოდ მნიშვნელოვანი. „ჰეჯირება“ „ოფციონ“ გარიგების მეთოდით „ფორვარდ“ ოპერაციებისაგან იმით განსხვავდება, რომ ბანკი ინარჩუნებს არჩევის უფლებას, რაც ოპერაციის ეფექტიანობას ამაღლებს.

**გარიგება „ფიუჩერსი“** – საფინანსო და საკრედიტო ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის ვადიანი გარიგებებია ბირჟაზე გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფასით, ოპერაციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულებით. ფიუჩერსული გარიგების მეთოდით „ჰეჯირება“ განსაკუთრებით პოპულარულია თანამედროვე საბანკო პრაქტიკაში.

**გარიგებები რეალურ საქონელზე (physical transactions, actual transactions, spot transactions)** – ითვალისწინებენ ბირჟის ერთ-ერთ საწყობში რეალურად არსებული ან ე.წ. „გზაში მყოფი“ საქონლის გამყიდველიდან მყიდველზე გადაცემას.

**გარიგების დადების პერიოდში** – ინფორმაციის შეგროვება, რომელიც აუცილებელია საქონლის არხში მოძრაობის უზრუნველსაყოფად, რისკების თავზე აღება, რომლებიც დაკავშირებულია არხის ფუნქციონირებასთან.

**გარიგების დასრულების პერიოდი** – საქონელმოძრაობის ორგანიზაცია (ტრანსპორტირება და დასაწყობება), ფინანსური საშუალებების გამოძებნა და გამოყენება არხში საქონლის მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, რისკების თავზე

აღება, რომლებიც დაკავშირებულია არხის ფუნქციონირებასთან.

**გარიგების თანხის შესაბამისად განასხვავებენ სამი სახის ლიზინგს –** მრავალმილიონიანს, საბაზროსა და შუალედურს (განმარტებები იხილე მ; ს; შ ასოებში).

**გარიგების რისკი** – ფირმის მომგებიანობაში მომხდარი ცვლილება მოასწავებს მისი კრედიტუნარიანობის შეცვლას. ამიტომ ბანკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კლიენტების სავალუტო გარიგებათა კურსში ყოფნა.

**გასამრჯელო (კომპენსაცია, ჯილდო)** – მოტივაციის თეორიაში გასამრჯელოდ ითვლება ყოველივე ის, რაც ადამიანის ფასეულად მიაჩნია.

**გასამრჯელო (ჯილდოზე) დამყარებული ძალაუფლება** – ეფუძნება შემსრულებლის რწმენას იმაში, რომ ზეგავლენის მომხრედ პირს შესაძლებლობა აქვს დააკმაყოფილოს მისი (შემსრულებლის) აქტიური მოთხოვნილება ან მიანიჭოს მას რაიმე სიამოვნება.

**გასანაღდებელი ანგარიში –** ბალანსის მუხლი, რომელიც წარმოადგენს კომპანიის დავალიანებას თავისი მუდმივი მომწოდებლებისაგან ნაყიდ პროდუქციაზე და მიღებულ მომსახურებაზე, რომლებთანაც ანგარიშსწორება წარმოებს ღია ანგარიშების მიხედვით.

**გასაღება** – ქვესისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური ნაკადების გამოყოფას ლოგისტიკური სისტემიდან.

**გასაღების კონცეფცია** – გავრცელებული კონცეფციაა, რომლის თანახმად მომხმარებლები ფირმის მხრიდან ზემოქმედების გარეშე არ შეიძენენ მის პროდუქციას. ამრიგად, ფირმამ უნდა მიმართოს გაყიდვების (გასაღების) აგრესიულ პოლიტიკას და ინტენსიურად წინ წაწიოს თავისი საქონელი ბაზარზე.

**გასაღების კონცეფცია** – ერთ-ერთი საბაზრო კონცეფცია, რომლის მიხედვით მომხმარებლები არ იყიდიან საქონელს (მომსახურებას) საჭირო რაოდენობით, თუ ფირმა არ განახორ-

ციელებს მისი გასაღების სტიმულირების სათანადო ღონისძიებებს.

**გასაღების მრუდი (curve of sale)** – გრაფიკული გამოსახულება მათემატიკური დამოკიდებულებისა ფასების დონესა და იმ საქონლის მოცულობას შორის, რომლის ყიდვაც შესაძლებელია ბაზარზე ფასების ამა თუ იმ დონის პირობებში. გასაღების მრუდის აგება გასაღების სამსახურის მნიშვნელოვანი ამოცანაა, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკაში ნებისმიერ კომერციულ გადაწყვეტილებას იმის გათვალისწინებით იღებენ, თუ როგორ გავლენას მოახდენს იგი პროდუქციის გასაღებაზე. გასაღების მრუდის გამოყენებით შესაძლებელია ზუსტად შეირჩეს ფასების ოპტიმალური დონე და ფირმის ყველაზე გონივრული კომერციული პოლიტიკა.

**გასაღების რეაქციის ფუნქცია** – გაყიდვების მოცულობის ალბათობის პროგნოზი დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში, მარკეტინგის ერთ ან რამდენიმე ელემენტზე დანახარჯების სხვადასხვა დონის პირობებში.

**გასაღების სტიმულირება** – მარკეტინგულ კომპანიათა საკვანძო ელემენტია და წარმოადგენს მასტიმულირებელი ხერხების კომპლექსს (უპირატესად მოკლევადიანი), რომლებიც მოწოდებულია დააჩქაროს ან გაზარდოს ცალკეული საქონლის ან მომსახურების შეძენა მომხმარებლების ან სავაჭრო შუამავლების მიერ.

**გასაღების სტიმულირება** – ხანმოკლე დროით საქონლის ან მომსახურების გაყიდვის ან ყიდვის წამაქეზებელი ღონისძიებები.

**გასაღების წმინდა მოცულობა** – გამოხატავს თანხას, რომელიც მიღებულია საქონლის გაყიდვისაგან და რეალიზებული მომსახურებისაგან, დაბრუნებული საქონლისა და გათვალისწინებული ფასდათმობების გამოკლებით. ზოგჯერ მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშის ამ მუხლს უწოდებენ გასაღების მოცულობას.

**გასაყოფი აკრედიტივი** – ითვალისწინებს მიწოდების ყოველ ნაწილზე ექსპორტიორისათვის კონტრაქტით დადგენილი თანხების გადახდას.

**გაუთვალისწინებელი დანახარჯები (unforeseen expense)** – ამა თუ იმ რესურსების გამოყენებაზე გაწეული დანახარჯი, რაც იზომება ამ რესურსების ყველაზე უკეთესი ალტერ-ნატიული გზის გამოუყენებლობით გამოწვეული დანა-კარგებით. ხელიდან გაშვებული, გამოუყენებელი შესაძ-ლებლობების დანახარჯი.

**გაუთვალისწინებელი ინფლაცია (unanticipated inflaction)** - ინფლაციის ფაქტობრივი ტემპის გადაჭარბება მოსალოდ-ნელზე. თუ ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი წელიწად-ში 5%-ია, ხოლო ფაქტობრივი ამავე პერიოდში უტოლდება 10%-ს, მაშინ ინფლაციის გაუთვალისწინებელი ტემპი შეადგენს 5%-ს.

**გაუნაწილებელი მოგება** – აქციონერული კომპანიის წმინდა მოგება, რომელიც გადადის რეზერვში და არ გაიცემა აქციონერებზე დივიდენდის სახით.

**გაუნაწილებელი მოგება** – ეს მოგება რეინვესტირდება ბიზნესის მიერ და არ არის დივიდენდების სახით აქციონერებისა-თვის გადახდილი ამ მოგების გარკვეული ნაწილი შეიძლება ფირმის საერთო მოგების ან მფლობელების დივიდენდების ზრდაზე დაიხარჯოს.

**გაუნაწილებელი მოგება** – იგი ის წმინდა მოგებაა, რომელიც ბანკმა დატოვა საინვესტიციო მიზნებით და არ გასცა დივიდენდებად.

**გაუნაწილებელი მოგება** – მოგების ის ნაწილი, რომელიც რჩება ბიუჯეტში თანხის გადახდის სარეზერვო კაპიტალში და სპეციალურ ფონდში ფულის გადარიცხვის და დივიდენ-დების გაცემის შემდეგ. ბანკის საკუთარ რესურსებს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს სიმტკიცისა და ლიკვი-დობის შესანარჩუნებლად.

**გაუნაწილებელი მოგება (retaied earnings)** – არის მოგება, რომელიც რეინვესტირდება ბიზნესში და იგი აქციონე-

რებზე დივიდენდების გადახდის შემდეგ არის დარჩენილი. იგი სააქციო კაპიტალის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მას სხვა სახელწოდებაც გააჩნია – მიღებული მეტობა.

**გაუფასურება –** იგივე ამორტიზაცია, არის შემცირება რომლის სიდიდე საკუთრების მიმდინარე ღირებულების შეფასების საფუძველზე განისაზღვრება, იგი მისი გამოყენების შედეგად მისი ხარისხის გაუარესების გამო და დროთა განმავლობაში დაძველების შედეგად არის შემცირებული. მიუხედავად იმისა, რომ გაუფასურება სახსრების გამოყოფას არ საჭიროებს, იგი ბიზნესის განხორციელების დანახარჯებად ითვლება.

**გაუფასურება (deprecition, devaluation)** – ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის დაცემა უცხოურ ვალუტასთან შედარებით.

**გაუყოფელი აკრედიტივი** – ექსპორტიორისათვის კუთვნილი მთლიანი თანხის გადახდას საქონლის მთლიანი მიწოდების ან უკანასკნელი ნაწილის მიწოდების შემდეგ. ასეთი აკრედიტივი ჩვეულებრივ გამოიყენება ტექნოლოგიურად მჭიდროდ დაკავშირებული მოწყობილობის ცალკეული პარტიების მიწოდებისას, როდესაც ერთი ან რამდენიმე პარტიის მიუწოდებლობის გამო, შეუძლებელია ამ მოწყობილობის გამოყენება.

**გაფართოებული კვლავ წარმოება** – ითვალისწინებს განახლებას ისეთი მოცულობით, რომელიც დარიცხული ცვეთის ჯამზე მეტი იქნება.

**„გაფრენილი ბატის“ მოდელი** – გულისხმობს ლიდერი ქვეყნის არსებობას, რომელიც აბანდებს ინვესტიციებს, გადასცემს ტექნოლოგიებსა და ორგანიზაციულ გამოცდილებას საექსპორტო წარმოებათა მოდერნიზაციისა და განვითარების მიზნით, ამავე დროს აფართოებს თავის გასაღების ბაზარს. 30-იან წლებში შეიმუშავა და ხორცი შეასხა იაპონიამ პირველი ტალღის მთელ რიგ ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებთან ეკონომიკურ ურთიერთობაში.

**გაყიდვაზე გადასახადი (sales tax)** – არაპირდაპირი გადასახადი, რომელსაც იხდიან მომხმარებლები საქონლისა და მომსახურების შეძენისას. იგი ბრუნვიდან გადასახდელის სესხსხვაობაა, ფართოდ გამოიყენება აშშ-ში, ხოლო დიდ ბრიტანეთში, გფრ-სა და მრავალ სხვა ქვეყანაში (მათ შორის, საქართველოში) მან მიიღო დამატებული ღირებულებაზე გადახდის სახელწოდება.

**გაყიდვების ბიუჯეტი** – მოცემულ პერიოდში გასაყიდი პროდუქტის ან მომსახურების ხარჯთაღრიცხვის ჯამი. მთლიანი შემოსავალი იქნება თითოეული ერთეულის ფასის ნამრავლი გასაყიდი ერთეულების საერთო რაოდენობაზე.

**გაყიდვების რენტაბელობის კოეფიციენტები** – მიუთითებს, რეალიზებული პროდუქციის თითოეული ლარიდან რა სიდიდის მოგებას ღებულობს საწარმო.

**გაყიდვის ოპერაციები** – გაყიდვის ოპერაციებს ახორციელებს სავაჭრო შუამავალი, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით და ხარჯით.

**გაყიდვის ოფციონი ანუ „ფუთ“ ოფციონი (put option)** – ინსტრუმენტი, რომელიც მის მფლობელს აძლევს გარკვეული რაოდენობის აქტივების მოცემულ ფასებში გაყიდვის უფლებას დროის ნებისმიერ მომენტში, ოფციონით განსაზღვრული დროის ჩათვლით (ისევე გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ცხადია).

**გაცვლა** – აქტი, რომელიც სუბიექტს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს მისთვის საჭირო ობიექტი სამაგიეროს შეთავაზების გზით.

**გაცვლა** – სასურველი ობიექტების გაღებას მის სანაცვლოდ რაიმეს (ფული, საქონელი, მომსახურება, იდეა) გაცემის გზით.

**გაცხადებული საწესდებო კაპიტალი** – დაწესებულებების დაფუძნებისათვის აუცილებელი და მისი წესდებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის შეტანასაც პარტნიორები წესდებით კისრულობენ და რომლის ოდენობაც

ყოველთვის შეადგენს პაის ნომინალური ღირებულების ჯამს.

**გაცხადებული საწესდებო კაპიტალი** – საზოგადოების აქციონერთა მიერ დათქმული და წესდებით გათვალისწინებული საწესდებო კაპიტალი.

**„გახანგრძლივებული საქმიანობის კონცეფცია“ (going concern)** – ითვალისწინებს, რომ კომპანია როგორც მოქმედი (ფუნქციონირებადი) საწარმო ისე იქნას განხილული, რომელიც თავის საქმიანობას გარკვეული მომავლის განმავლობაში გააგრძელებს.

**გეგმის ინტეგრაცია** – სხვადასხვა რანგის გეგმების შეთანხმება. საგეგმო წელში პროდუქციის გაყიდვის საერთო მოცულობა განისაზღვრება პროდუქციის მიწოდების ყველა სახისა და ვადების მიხედვით, რომლებიც შეთანხმებულია მომხმარებელთან.

**გეგმების შეფასების და გადასინჯვის მეთოდი (მეთოდი-პერტი)** – პროექტების მიხედვით სამუშაოთა მართვის სისტემა, რომლის მთავარი მიზანია საწარმოო ვადების და გრაფიკების დაცვა. სისტემა ითვალისწინებს მოვლენათა ხანგრძლივობის განუსაზღვრელობას.

**გეგმიური გადახდებით ანგარიშსწორება** – პროგრესული ფორმაა, რადგანაც მისი საფუძველი ფულისა და საქონლის შემხვედრი მოძრაობაა.

**გეგმიური ეკონომიკური მაჩვენებლები** – არის საწარმოს ბიზნეს გეგმით წინასწარ განსაზღვრული სამომავლო მაჩვენებლები.

**გეგმიური მოგება და ზარალი** – ღონისძიებათა გეგმა შესაძლებლობას აძლევს მენეჯერს ჩამოაყალიბოს საბაზო ბიუჯეტი. შემოსავლების გრაფაშია გაყიდვების საპროგნოზო მოცულობა ქვედანაყოფების მიხედვით და პროდუქციის ფასი. გასავლების გრაფაშია ხარჯები, მატერიალური გავრცელება (გასაღება) და მარკეტინგული ღონისძიებები. გეგმიური მოგება წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის მოცულობასა და საერთო დანახარჯებს შორის. დამტკიცე-

ბული ბიუჯეტი ხდება გასაღების, მიწოდების, პროდუქციის გამოშვების, თანამშრომელთა დაქირავების და მარკეტინგულ ღონისძიებათა გეგმებისა და გრაფიკის დამუშავების საფუძველი.

**გედონისტიკური ფასი (hedonistic price)** – საქონლის იმპლიცისტური ანუ ფარული ფასი. საქონლის მოცემული რაოდენობა შეიძლება განაწილდეს მისი ხარისხის განმსაზღვრელი მრავალი მახასიათებლის მიხედვით. საქონლის ფასი ნაწილობრივ შეიძლება დაკავშირებული იყოს მის კონკრეტულ მახასიათებელთან და ამის საფუძველზე შეფასდეს ხარისხის ცვლილებაც. გედონისტიკური ფასის თეორია ხარისხის ცვლილების შესაფასებლად პირველად შემოიღო ც. გრილჰესმა და გამოიყენა საცხოვრებელზე მოთხოვნის ანალიზისა და გარემოს ეკონომიკურ თეორიაში.

**გელბრეით ჯონ კენეტი (Gatbraith John Kenneth)** – ამერიკელი (წარმოშობით კანადელი) ეკონომისტი, სოციოლოგი და საზოგადო მოღვაწე. ნეოინსტიტუციონალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი (1948). ეწეოდა სამეცნიერო კვლევით საქმიანობას აშშ-სა და სხვა ქვეყნების მთავრობებთან და აკადემიურ ინსტიტუციებში. იყო აშშ-ის ელჩი ინდოეთში (1961-1963 წწ.). მისი ცნობილი ნაშრომებია: „ინდუსტრიული საზოგადოება“ (1967), „ეკონომიკური თეორია და საზოგადოების მიზნები“ (1973), „ეკონომიკური თეორიის ისტორია: წარსული როგორც თანამედროვეობა“ (1987) და ა.შ.

**გემების აგენტირება** – პორტში გემების მომსახურება საზღვაო აგენტის მიერ გემთმფლობელის დავალებით.

**გემების დაფრახტვის ოპერაცია (დაფრახტვა)** – ტვირთების საზღვაო გადაზიდვების ხელშეკრულების შეთანხმება და გაფორმება.

**გემის ანდა ტვირთის დაყოვნება** – გამოიყენება გემით ანდა ტვირთმფლობელისათვის ქონებრივი ხასიათის მოთხოვნების უზრუნველყოფის სახით. გემი ანდა ტვირთი

შეიძლება შეყოვნდეს გზაში ანდა პორტში იმ პირთა მოთხოვნით, რომლებიც აფუძნებენ თავიანთ მოთხოვნებს განსაზღვრულ მოთხოვნილებებზე. ეს გარემოებები წარმოიქმნებიან საერთო ავარიის, საშველ სამუშაოების, გემების დაჯახების დროს.

**გემის გაქირავება** – გემის დაქირავება ეკიპაჟის გარეშე, როდესაც დამფრახტველი იხდის ყველა ხარჯს მისი გამოყენებისათვის და იხდის დაქირავების საფასურს ტვირთმფლობელისათვის. გემების დაფრახტვის ეს სახე ფართოდ გამოიყენება დროებითი გემების შესაძენად. ამ შემთხვევაში გაქირავების ხელშეკრულება ბერბოუდი ჩარტერი წარმოადგენს აგრეთვე ყიდვის ხელშეკრულებას და დამფრახტველი ხდება გემის მფლობელი ანგარიშების დამთავრების შემდეგ.

**გემის დაფრახტვის ხელშეკრულება** – შეთანხმება გემთმფლობელსა და დამფრახტველს შორის მთელი გემით ანდა მისი სათავსის ნაწილი გამოსაყენებლად ტვირთების გადაზიდვისათვის. გადამზიდავი ვალდებულია მიიტანოს ტვირთი დანიშნულების პორტში და ჩააბაროს იგი კანონიერ მიმღებს, ხოლო გამგზავნი ვალდებულებას იღებს გადაიხადოს გადაზიდვისთვის დადგენილი საფასური (ფრახტი). ამ ხელშეკრულებას ეწოდება ჩარტერი.

**გემის დაყოვნება** – გემის კონტრსტადიური დროის ზევით, რომელიც განსაზღვრავს დამფრახტველის ვალდებულებას აუნაზღაუროს გემთმფლობელს ყველა დასაბუთებული ზარალი. ზარალი შეიძლება ანაზღაურებული იქნას მაგალითად, დაგვიანებით შემდგომ რეისზე და ა.შ.

**გემის დაჯდომა** – დაშორება ქვედა წიბოს უკიდურესი წერტილიდან წყლის ზედაპირამდე.

**გემის კლასი** – მოწმობა გემის ტექნიკური მახასიათებლების საკვალიფიკაციო საზოგადოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. გემს კლასი მიენიჭება განსაზღვრული პერიოდისათვის. ტვირთების გადაზიდვა გემზე, რომელსაც არა აქვს კლასი, არაა რეკომენდირებული.

**გემის მდგრადობა** – გემის უნარი, რომელიც გამოყვანილია გარეგანი ძალების მოქმედებით წონასწორობის მდგომარეობიდან, დაბრუნდეს წონასწორობის მდგომარეობიდან ამ ძალების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ.

**გემის მიწოდების ვადა (კანცელინგი)** – საბოლოო ვადა, რომელშიც გემი უნდა მივიდეს გაგზავნის პორტში და ყველა მიმართებაში მზად უნდა იყოს დატვირთვისათვის. დამფრახტველს უფლება აქვს უარი თქვას გემის მიღებაზე და შეწყვიტოს საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება, თუ გემი არ მოვიდა დროულად.

**გემის პოზიცია** – ცურვის პროცესში გემის ადგილმდებარეობა, აგრეთვე დროის შუალედი (10-20 დღემდე), რომლის განმავლობაში გემი მიწოდებული უნდა იქნას დატვირთვის ქვეშ.

**გემის სარეგისტრო ტონაჟის ბრუტო** – გემის სათავსოს მოცულობა, გამოსახული სარეგისტრო ტონებში. 1ტ. სარეგისტრო ტონა 10 მ. კუბ. გირვანქა = 2,83 $м^3$.

**გემის შეცვლა** – ხელშეკრულებით განპირობებული გემის შეცვლის შესახებ შეთანხმება.

**გემის ჩაუძირვადობა** – გემის უნარი სათავსოს ნაწილის წყლით დაფარვის შემთხვევაში დარჩეს ცურვაზე და შეინარჩუნოს მდგომარეობა.

**გემის ცურვის უნარიანობა** – გემის მდგომარეობა, რომლის დროსაც ის ყველა მიმართლებაში ვარგისია ცურვისათვის, უნარი აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს სავაჭრო ნაოსნობის ყველა წინააღმდეგობას და უზრუნველყოს ტვირთის დაცული გადაზიდვა.

**გემის წყალწყვა** – წყლის რაოდენობა, რომელიც შევიწროებულია მცურავი გემით. იზომება მოცულობის ანდა მასის ერთეულებში – შესაბამისად მოცულობა $м^3$, წონითი წონის წყალწყვა სრული ტვირთით ემატება ტვირთის, სათბობის, ზეთის, სურსათის, სასმელი და ტექნიკური წყლის, ეკიპაჟის და ბარგის წონა.

**გენერალური აქტი** – დოკუმენტი რომლითაც ფორმდება გემიდან პორტის მიერ იმპორტული ტვირთების მიღება ადგილების რაოდენობის, წონისა და ხარისხის მიხედვით. იმპორტირებულ ტვირთებზე, რომლებიც შესყიდულია SIF პირობებში გენერალური აქტი ადასტურებს შესყიდული საქონლის საქართველოს პორტში მიზიდვაზე უცხოელი მიმწოდებლის ვალდებულების შესრულებას.

**გენერალური ლიზინგი** – გენერალური ლიზინგის დროს არენდატორს აქვს ახალი კონტრაქტის დადების გარეშე საარენდო მოწყობილობის ჩამონათვალში დამატების უფლება.

**გენერალური ტვირთები** – ტარაში მოთავსებული და ცალობითი ტვირთები, რომლებიც მიიღება გადაზიდვაზე ადგილების რიცხვით; გადასაზიდი პროდუქციის თანმხლები დოკუმენტების განზოგადებული ჩამონათვალი:

სასაქონლო სატრანსპორტო შეზღუდვები;

სპეციფიკაცია;

პროდუქტზე ხარისხის სერთიფიკატი;

მიმწოდებლის ანგარიშ-ფაქტურა;

მინდობილობა გადაზიდვაზე;

ზედებულები;

ჯამური უწყისი (ადგილების ნუსხა, აგრეთვე პროდუქციის ცალობით ჩამონათვალ საქარხნო ნორმებით და ა.შ.).

**გენერალური ტვირთები** – ცალკეული ტვირთები, უმთავრესად მზა სამრეწველო პროდუქცია.

**გენერალური შეთანხმება ტარიფების და ვაჭრობის შესახებ (GATT)** – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წინამორბედი მრავალმხრივი შეთანხმებაა, რომელიც შეიცავს პრინციპებს, სამართლებრივ ნორმებს და წესებს, რითაც ხელმძღვანელობენ მისი მონაწილე ქვეყნები სავაჭრო ურთიერთობაში.

**გენიალურობა** – ნიჭიერების უმაღლესი ხარისხი. ასეთი ადამიანები ქმნიან ახალ იდეებს და მათი შემოქმედების შედეგებს

ზოგადისტორიული და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს.

**გერგილიანი, ფასიანი ხელმძღვანელი** – მენეჯერი, რომელიც თავის საწარმოში სრულყოფის და ცვლილებების განხორციელებისათვის ეძიებს შესაძლებლობებს და შეგნებულად ეწევა რისკს.

**გეოგრაფიული დივერსიფიკაცია** – კლიენტების მოზიდვა სხვადასხვა გეოგრაფიული რაიონებიდან ან განსხვავებული ეკონომიკის პირობების მქონე ქვეყნებიდან.

**გეოგრაფიული ოპციონი** – დამფრახტველის აღიარებული უფლება, აირჩიოს დატვირთვის ანდა განტვირთვის პორტი ჩარტერში მითითებულთა რიცხვიდან. ეს შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთხელ წინასწარი განცხადებით არა უგვიანეს ჩარტერში გათვალისწინებული დროისა. გეოგრაფიული ოპციონი ფართოდ გამოიყენება ტონაჟის დროულ, მასიური დაფრახტვის დროს, როდესაც დატვირთვა-განტვირთვის პროგრამა ჯერ კიდევ არაა ცნობილი.

**გეოგრაფიული როტაცია** – რამდენიმე პორტში მათი გეოგრაფიული განლაგების თანმიმდევრობით დატვირთვის ანდა განტვირთვის ქვეშ გემის მიმართულების პირობა. გეოგრაფიული როტაცია შეიძლება იყოს პირდაპირი, ტეხილი და უკუმიმართულებით. ეს აისახება ფრახტის განაკვეთზე.

**გეოგრაფიული სეგმენტაციის ერთეულები** – შეიძლება იყოს ქვეყნები, დიდი რეგიონები, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები და ა.შ. ასეთ სეგმენტაციას შეიძლება ვიყენებდეთ როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირების ბაზრის კვლევის დროს.

**გეპი** – სხვაობა საპროცენტო განაკვეთებისადმი მგრძნობიარე აქტივებსა და საპროცენტო განაკვეთებისადმი მგრძნობიარე პასივებს შორის დროის მოცემული შუალედისათვის. გეპის მართვის დაცვითი სტრატეგია მიმართულია

იქითკენ, რომ შეასუსტოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის გავლენა ბანკის მომგებიანობაზე.

**გეპი (GAP)** – თანაფარდობა, აქტივებსა და ვალდებულებებს შორის მათი ვადების მიხედვით. მის მისაღებად დროის ყოველი პერიოდისთვის საპროცენტო განაკვეთისადმი მგრძნობიარე აქტივებს (RSA) უნდა გამოაკლდეს საპროცენტო განაკვეთებისადმი მგრძნობიარე ვალდებულებები (RSL). ე.ი. GAP=RSA-RSL. გეპი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. იგი წარმოადგენს ბანკის საპროცენტო შემოსავალზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გავლენის სიდიდის დადგენის ძირითად საშუალებას.

**გეპის მოდელი** – გულისხმობს, რომ ბანკს, რომელიც ამჯობინებს, მომავალ საპროცენტო განაკვეთებზე არ მოახდინოს სპეკულირება, ნულოვანი გეპის მიღწევის გზით შეეძლო დაეწერა საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი.

**გერმანული სტილი** – გერმანელებს უყვართ ყველაფერში წესრიგი და პუნქტუალურობა, დიდ ყურადღებას უთმობენ მოსამზადებელ სამუშაოებს და არ დაიწყებენ მოლაპარაკებას, თუ შედეგი ნათლად არ ჩანს. ისინი ზედმიწევნით ამუშავებენ საკუთარ პოზიციას და მოლაპარაკებებზე ცდილობენ საკითხების თანმიმდევრობის დაცვას.

**გზა** – სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის მოწყობილი მიწის ზოლი ან ხელოვნური ნაგებობის ზედაპირი.

**გირავნობის სიგელი (mortgage)** – უძრავი ქონების დაგირავების საფუძველზე ბანკის მიერ გაცემული სავალო მოწმობა.

**გირაო (mortgage)** – სავალო ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფილია კონკრეტული უძრავი ქონებით (მიწა ან შენობა-ნაგებობა). სახელშეკრულებო ვალდებულებათა უზრუნველყოფის ერთ-ერთი ხერხი. იმ შემთხვევაში, თუ მოვალემ გირაოს გამცემთა აღებულ ვალდებულება არ შეასრულა გირაოს საფუძველზე კრედიტორს უფლება აქვს მიითვისოს საგირავნო ქონება.

გირაო შეიძლება იყოს პირველი გირავნობის სიგელი რომლის მიხედვითაც კრედიტორს ენიჭება უპირატესი

უფლება, პირველმა წარმოადგინოს პრეტენზია დაგირავებულ ქონებაზე, ან მეორე, მესამე, მეოთხე და ა.შ. გირავნობის სიგელი, როცა პრეტენზიის წარდგენის ვადა დგება წინა გირავნობის სიგელის მესაკუთრის უფლებების რეალიზაციის შემდეგ.

**გირაოთი უზრუნველყოფილი ობლიგაცია (security in the form of bonds)** – ობლიგაცია, რომელიც გამოშვებულია კორპორაციის გირაოთი. ასეთი ობლიგაციის მფლობელის, როგორც კრედიტორის, მოთხოვნა კმაყოფილდება პირველ რიგში.

**გირვანქა (pound; ლათ. pounds - წონა, საწონი)** – 1. მასის ერთეული მრავალ ქვეყანაში, რომელსაც აქვს განსხვავებული სიდიდე 317,62-დან 560 გრამამდე; 2. მასის ძირითადი ერთეული ინგლისურ საზომთა სისტემაში, უთანაბრდება 0,4536 კგ-ს. სააფთიაქო და სამონეტო გირვანქა 0,3732 კგ-ს; 3. მასის ერთეული რუსულ სისტემაში, რომელიც გაუქმდა 1918 წელს, 1 გირვანქა = 1/40 ფუთი = 32 ლიტრი = 0,4095 კგ.; 4. ზოგიერთი ქვეყნის ფულის ერთეული, მაგალითად, ეგვიპტური გირვანქა, გირვანქა სტერლინგი.

**გლობალიზაცია (globalization)** – მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ა.შ. პროცესების უნიფიკაცია აშშ-სა და ევროატლანტიკური ბლოკის უმსხვილესი ქვეყნების მიერ შემუშავებული მოთხოვნების (ნორმების, ფასეულობების, კრიტერიუმებისა და ა.შ.) შესაბამისად.

**გლობალიზაცია ფრაგმენტაციის** (დაყოფა, დანაწევრება) საწინააღმდეგო ტერმინად მოგვევლინა XX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც პირველად ამერიკელმა მეცნიერმა თ. ლევიტმა იგი ცალკეული ბაზრების შესწავლის პროცესის ასახსნელად გამოიყენა. თუ თავდაპირველად გლობალიზაცია წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინი იყო, სულ რამდენიმე წელიწადში ფართო მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა.

1990 წელს ლონდონში გამოცემულ კრებულში – „გლობალიზაცია: შემეცნება და საზოგადოება“ – ეს ტერმინი პირველმა გამოიყენა მ. ელბროემ მსოფლიოს ქვეყნებისა და ხალხების, სხვადასხვა ცივილიზაციისა და კულტურის ერთიანობის გამოსახატავად. ამავე წელს, ფართო გაგებით, იგი აგრეთვე გამოიყენა იაპონელმა კ. ომემ, ხოლო 1999 წელს დავოსში გამართული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მთავარი თემა სწორედ გლობალიზაცია იყო.

**გლობალიზაციის პროცესი** სათავეს იღებს XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, თუმცა ამ ყოვლისმომცველ პროცესს წინ უძღვოდა ამავე საუკუნის 40-იან წლებში დაწყებული „კეინზიანური რევოლუცია“, რომელმაც ბიძგი მისცა თვისებრივად ახალ ეკონომიკურ ზრდას და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გლობალიზაციის წარმოშობაში. აღნიშნული პროცესი გარკვეულწილად დააჩქარა 50-იან წლებში დეკოლონიზაციის ფართოდ გაშლამ, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე მსოფლიოში მიმდინარე სტრუქტურულმა ცვლილებებმა, რაც უპირველეს ყოვლისა, მომსახურების სფეროს პრიორიტეტულ განვითარებაში გამოიხატა. მსოფლიოს ეკონომიკურმა განვითარებამ ახალი თვისებრიობა შეიძინა. 70-იანი წლების დასაწყისში ინდუსტრიული საზოგადოების გაზრდამ პოსტინდუსტრიულში ახალი ბიძგი მისცა მსოფლიო განვითარებას. ამ თვისებრივ ნახტომში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა. საბაზრო ურთიერთობებმა საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებით, შეიძლება ითქვას „შტამპი მოხსნა“ ველურ კაპიტალიზმს და გზა გაუხსნა საკუთრების დემოკრატიზაციის პროცესს. ბაზარმა სრულიად სხვა შინაარსი შეიძინა. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან ერთად, კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ბაზარი პირველად მეურნეობის ეფექტიან მექანიზმად ჩამოყალიბდა. ამ გარემოებამ დასაბამი მისცა საზოგადოებრივ გარდაქმნებს

ახალ ამპლუაში და დადებითი გავლენა მოახდინა თანამედროვე საზოგადოების ფორმირებაზე, ახალ სოციუმზე, რამაც ხელი შეუწყო ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავებას. განვითარებულმა სამყარომ მიიღო ახალი დროის გამოწვევა. საფუძველი ჩაეყარა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი უფრო მაღალი სოციალური და ამავე დროს, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით.

**გლობალიზაციამ ახალი** იმპულსი შესძინა 90-იანი წლებში ელვისებურად განვითარებულმა სოციალურმა კატაკლიზმებმა, რაც სწრაფად დაგვირგვინდა მსოფლიო სოციალისტური სისტემის ნგრევითა და კომუნისტური სოციალიზმის ხანის დასრულებით. ეს დროის მოთხოვნა და გლობალიზაციის მსოფლიო პროცესის გამოძახილიც იყო. გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკის შინაარსს. იგი რადიკალურად ცვლის თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების შინაარსსაც.

გლობალიზაცია არა მხოლოდ აახლოებს ქვყნებს ერთმანეთთან, არამედ მათ ურთიერთდამოკიდებულებულსაც ხდის. იგი აჩქარებს ცალკეულ ქვეყნებში ღია საზოგადოების ჩამოყალიბებას და ანგრევს ჩაკეტილ, ტოტალიტარულ რეჟიმებსა და ეკონომიკებს. გლობალიზაცია ხელს უწყობს პარტნიორული ურთიერთობების წინა პლანზე წამოწევას, მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მეცნიერების მიღწევების მოკლე ვადაში დანერგვას, რესურსდამზოგველი და ნაკლებ ნარჩენიანი ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას, ინტელექტუალური ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, განსაკუთრებით, ფინანსური კაპიტალის მობილურობის ზრდას და ა.შ.. ბოლო ხანს საინფორმაციო ტექნოლოგიებში მომხდარმა რევოლუციამ და ტრანსპორტის სფეროში განხორ-

ციელებულმა კოლოსალურმა პროგრესმა შეამცირა წარმოების ხარჯები. ამიტომ ასეთი ტრანსფორმაციის პირობებში, შეიცვალა თავად **წარმოების მასშტაბის ეფექტიც.**

გლობალიზაცია თავისი არსით უნივერსალურია. ამიტომ მისი მასშტაბებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია **რამდენად მართული იქნება ეს მრავალწლოვანი და წინააღმდეგობებით სავსე ფენომენი. წინააღმდეგ შემთხვევაში გლობალიზაციას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია კაცობრიობისთვის.** გლობალიზაციის ძლიერი ტენდენციები დღეს გარდაუვალია. მას ბევრ პოზიტიურთან ერთად ახლავს გარკვეული ნეგატიური შედეგები. **იგი განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის მცირე რეგიონებს, ქვეყნებსა და ერებს, უარყოფით გავლენას ახდენს ლოკალურ კულტურებზე.**

საერთაშორისო შეზღუდვების პირობებში დღეს შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკების მართვის დამოუკიდებელი სტრატეგიების განხორციელება. სახელმწიფოები, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის გზაზე ახალდამდგარი ქვეყნები ნაკლებად ავტონომურია. მათ სულ უფრო ნაკლები ექსკლუზიური კონტროლი აქვთ საკუთარ ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, ამასთან ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების შენარჩუნების ნაკლები უნარი შესწევთ. მცირე ქვეყნების კულტურა სულ უფრო მეტად ექცევა წინააღმდეგობაში მსოფლიო პროცესებთან. ღრმავდება მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. საერთაშორისო დონეზე მართული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი კონტროლდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მსოფლიოს სააგენტოებს, სავაჭრო ბლოკებსა და მთავარ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებებით. დღეს ეროვნულ პოლიტიკას აღარ შეუძლია ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე განსაკუთრებული გავლენის მოხდენა. იგი სულ უფრო და უფრო „გრილდება“. ამიტომ

ეროვნული ეკონომიკების ეფექტიანი მართვის ფუნქციები ეცემა. მესამე ათასწლეულის დასაწყისში გლობალიზაციის პროცესი მკვეთრად დიფერენცირებულია, ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებით, რომლებიც უპირატესად თავს იჩენს განვითარებად ქვეყნებში.

**გლობალიზაცია ეკონომიკური** – რომელშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტრანსეროვნული კორპორაციები (ტეკ-ები), განისაზღვრება ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა საქონლის, მომსახურების, კაპიტალის საზღვარგარეთ გატანის მასშტაბები და საგარეო ვაჭრობაში ჩართულობის დონე, გახსნილობისა და ინტეგრირების ტენდენციების გაძლიერება, ინფორმაციების ნაკადების შორ მანძილზე გავრცელების ხარისხი, უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინების მოცულობა, საერთაშორისო ვაჭრობაში საბაჟო პოლიტიკის სიმკაცრის ხარისხი და საიმპორტო ბარიერები და ა.შ. ეკონომიკური გლობალიზაცია მრავალმხრივი პროცესია. იგი აძლიერებს ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირსა და სამეურნეო ინტერნაციონალიზაციას. ეკონომიკური გლობალიზაციის KOF ინდექსი, რომელიც გამოხატავს მოცემული ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხს, 96,67%-სა და 88,11%-ს შორის ფიქსირდება. ამ მაჩვენებლით პირველ ათეულში შედიან: სინგაპური, ლუქსემბურგი, ირლანდია, მალტა, ბელგია, ნიდერლანდები, ესტონეთი, უნგრეთი, ბაჰრეინი, შვედეთი, ხოლო საქართველო 69,43%-ით 51-ე ადგილზეა.

**გლობალიზაცია პოლიტიკური** – გამოითვლება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, ქვეყანაში საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, საერთაშორისო ხელშეკრულებების რაოდენობა, გაეროს უსაფრთხოების მისიის წევრობა. ამ მაჩვენებლით განისაზღვრება სამთავრობო პოლიტიკის გავრცელების ხარისხი. პოლიტიკურ გლობალიზაციაში, საერთაშორისო წესრიგის დამყარების თვალსაზ-

რისით, მნიშვნელოვანი როლი გაეროსა და სხვა სტრუქ-ტურებს აკისრია. პოლიტიკური გლობალიზაციის მაჩვე-ნებლის მიხედვით პირველ ათეულში შედიან საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ავსტრია, შვედეთი, შვეიცარია, კანადა, აშშ და პოლონეთი. ამ ქვეყნებში პოლიტიკური გლობა-ლიზაციის KOF ინდექსი 93,88%-სა და 89,03%-ს შორის ფიქსირდება. საქართველო 46,08%-ით 138-ე ადგილზეა.

**გლობალიზაცია სოციალური** – განისაზღვრება საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დონით, საერთაშორისო სატე-ლეფონო კავშირებითა და წერილებით, ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში უცხოელთა წილით, ყოველ 1000 კაცზე ინტერნეტით მომხმარებელთა რაოდენობით წიგნებისა და გაზეთების ვაჭრობით მიღებული შემოსავლების წილით მშპ-ში და ა.შ. იგი, კულტურის უნივერსალიზაციის საფუძველზე, ხელს უწყობს ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა ცხოვრების წესში თანამედროვე ცივილიზაციის ელემენტების დამკვიდრებას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნე-ლოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ქვეყანათა ცხოვრების წესის დაახლოებაში. სოციალური გლობალიზაციის მაჩვე-ნებლის მიხედვით პირველ ათეულშია: ლუქსემბურგი, შვეიცარია, ირლანდია, ანტიგუა და ბრაბუტა, კვიპროსი, პუერტო რიკო, სინგაპური, ავსტრია, გრენლანდია და ბელგია. ამ ქვეყნებში სოციალური გლობალიზაციის KOF ინდექსი 93,87%-სა და 88,12%-ს შორის ფარგლებშია. საქართველოს ამ მაჩვენებლით 58,94%-ით 83-ე ადგილი უჭირავს (2010 წლის მონაცემებით).

**გლობალიზაციის KOF ინდექსი (KOF globalization index)** – გლობალიზაციის კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც შეიქმნა 2002 წელს. მონაცემები ძირითადად ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გარე განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანი-ზაციის, ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციის წლიურ ანგარიშებს, საერთაშორისო საფოსტო სტატისტიკის საინფორმაციო მასალებს.

**გლობალიზაციის KOF ინდექსით** – (პროცენტული გამოსახულებით) ყოველწლიურად განისაზღვრება მსოფლიოს 158 ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გლობალიზაციის ხარისხი.

**გლობალიზაციის KOF ინდექსის ზოგადი მაჩვენებლების მიხედვით** – ლიდერობენ და პირველ ათეულში შედიან: ბელგია, ირლანდია, ნიდერლანდები, შვეიცარია, ავსტრია, შვედეთი, დანია, კანადა, ლუქსემბურგი და უნგრეთი. ამ მაჩვენებლით საქართველო 59,85-ით 90-ე ადგილზეა.

**გლობალისტიკა** – საერთაშორისო, უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური გამოკვლევის სპეციფიკური დამოუკიდებელი მიმართულება, რომელიც 60-იანი წლების დამლევს გაჩნდა და გლობალურ პრობლემებს სწავლობს.

**გლობალურ მაკროლოგისტიკურ სისტემებს მიეკუთვნება** – სახელმწიფო (ეროვნული) ლოგისტიკური სისტემები, რომლებიც ჩამოყალიბებულია მთლიანად სახელმწიფო დონეზე სახელმწიფოთაშორისო (ტრანსნაციონალური, საერთაშორისო) ლოგისტიკური სისტემები, რომლებიც მოიცავენ რამოდენიმე ქვეყანას და ტრანსკონტინენტალური, რომლებიც იქმნება რამოდენიმე კონტინენტის ფარგლებში.

**გლობალური (ფრანგული)** – საერთო, მთლიანი, ერთად აღებული იგულისხმება მსოფლიო მასშტაბის მნიშვნელოვანი მოვლენები. მაგალითად, ეკოლოგიური, სიღარიბის დაძლევა და სხვა.

**გლობალური კვოტა** – ეწოდება ცალკეული საქონლის იმპორტის რაოდენობრივ შეზღუდვას.

**გლობალური პრობლემები** – განვითარების მსოფლიო ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. გლობალურს მიაკუთვნებენ ერთმანეთთან დაკავშირებულ პრობლემათა წესს, რომელსაც კაცობრიობისთვის მუქარის ხასიათი აქვთ, ლამის ცივილიზაციის მოსპობითაც კი იმუქრება და მოითხოვენ მთელი მსოფლიო გაერთიანების ერთობლივ მოქმედებას მისი სასწრაფო გადაწყვეტისათვის.

**გონივრული რწმენა** – ეფუძნება შემსრულებლის დარწმუნებულობას იმაში, რომ ხელმძღვანელს აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება.

**გრადუალიზმი (gradualism)** – 1. მეცნიერული მიმდინარეობა, რომელიც სწავლობს ეკონომიკური სისტემის ერთი მდგომარეობიდან მეორეში ევოლუციური გადასვლის გზებს და კანონზომიერებებს; 2. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ევოლუციური მოდელი რომელიც ორთოდოქსული მოდელის ალტერნატივაა. მისთვის დამახასიათებელია ეკონომიკის თანაფარდობითი კონვერსია ძველი ელემენტების გამოყენების საფუძველზე, გამორიცხავს უკიდურეს რადიკალიზმს და უშუალოდ გათვლილია ქვეყნის წარმოებრივი პოტენციალის განვითარებაზე. გრადუალიზმისთვის ნიშანდობრივია: სახელმწიფო ინსტიტუციების ფუნქციონირების შეცვლა-განახლება ეკონომიკაში სახელმწიფოს ფუნქციების მნიშვნელოვანი შენარჩუნებით და სახელმწიფო მარეგულირებელი როლის განმტკიცებით, საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრება, წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა და სტიმულირება, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, საინვესტიციო საქმიანობის ფართოდ გაშლა და ა.შ.. ეს მოდელი წარმატებით გამოიყენება ჩინეთში და უკავშირდება „ჩინურ სასწაულს“.

**გრანტ-ელემენტი (grant elements)** – გაცემული საგარეო კრედიტების შეღავათიანობის განმსაზღვრელი მაჩვენებელი. სხვაობა ვალის მომსახურებაზე მომავალში გადასახდელ ღირებულებასა და კრედიტის ნომინალურ სიდიდეს შორის. რაც უფრო მცირეა ძირითადი თანხისა და პროცენტის დაფარვის მოცულობა და რაც უფრო ხანგრძლივია ძირითადი თანხის დაფარვის შეღავათიანი პერიოდი, მით უფრო შეღავათიანია კრედიტი.

**გრანტ-ელემენტი (grant elements)** – სხვადასხვა სესხების შეღავათიანობის დონის განსაზღვრისათვის გამოიყენებული მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს, თუ ვალის დაფარვის ხარჯზე გადასახდელის რა ნაწილს ვერ მიიღებს კრედიტორი იმის შედეგად, რომ სესხი (კრედიტი) მისცა უფრო შეღავათიან პირობებში, ვიდრე კომერციულია.

**გრანტი** – არის უფლება კომპანიის განსაზღვრული რაოდენობის ჩვეულებრივი აქტის შესყიდვაზე განსაზღვრულ ფასად, ჩვეულებრივ დროის გარკვეულ პერიოდში. გრანტი იმით განსხვავდება კონვერტირებადი ვალუტისაგან, რომ გარანტით სავალი ვალდებულება თვითონ არ არის კონვერტირებული აქციებში, არამედ მისი მფლობელი იხდის ნაღდ ფულს აქციების შესაძენად და ინარჩუნებს სავალო ვალდებულებას. ეს ნიშნავს, რომ სავალო ვალდებულება (ობლიგაციების სახით) იარსებებს მანამ, სანამ არ მოხდება მისი განაღდება.

**გრანტი (grant)** – ინოვაციური ხასიათის სამუშაოთა მიზნობრივი შეღავათიანი ან დაუბრუნებელი დაფინანსება. გრანტის მიღების პრეტენდენტი შეიძლება იყოს ერთი პირი ან გარკვეული ჯგუფი, რომელსაც დამუშავებული აქვს პროგრესული იდეა, მაგრამ არ გააჩნია დაფინანსების საკუთარი წყარო. გრანტი ჩვეულებრივ გაიცემა კონკურსის წესით. იგი ეძლევათ სახელმწიფო სტრუქტურებს, მეწარმეებს, კერძო ფირმებს გარკვეულ ვალდებულებათა დაკისრებით.

**გრანტი (ინგლ. საჩუქარი, ჯილდო)** – რომელიმე სფეროში (მეცნიერებაში, სასწავლო პროცესში და სხვა) ჩასატარებელ სამუშაოებზე ფინანსური მხარდაჭერა.

**გრძელვადიანი აქტივები და ვალდებულებები** – არის ბანკის მიერ დაბანდებები და სახსრების წყაროები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია.

**გრძელვადიანი დაბანდებები** – აქტივების ამ ჯგუფს ეკუთვნის სხვადასხვა სახის ისეთი დაბანდებები, როგორიცაა დაბანდებები ბანკის ქონებაში, არამატერიალური აქტივები,

კაპიტალური დაბანდებები, აგრეთვე ზოგიერთი სხვა სახის გრძელვადიანი დაკრედიტება (მაგალითად, ლიზინგი).

**გრძელვადიანი ვალდებულებები** – ბალანსის მუხლი, რომელიც გამოხატავს კომპანიის დავალიანებას და ექვემდებარება დაფარვას ერთ წელზე მეტ ვადებში ბალანსის თარიღის დღიდან.

**გრძელვადიანი კრედიტი** – მიეცემათ სესხის სახით ბანკებს და არაბანკების ტიპის ცალკეული საკრედიტო ინსტიტუტების მიერ ხანგრძლივი ვადით (5 წლიდან და მეტი).

**გრძელვადიანი კრედიტი (long term credit)** – ფულადი სახსრების სესხად გაცემა ხანგრძლივი პერიოდით 10-დან 45-60 წლამდე.

**გრძელვადიანი ლიკვიდობის მაჩვენებელი** – ასახავს ბანკის საქმიანობის კიდევ ერთ მხარეს ვადების მიხედვით ოპერაციების შესაბამისობის თვალსაზრისით ხანგრძლივი ვადით (ერთ წელზე მეტი ხნით) ბანკის დაბანდებისა და ამავე ვადის მქონე წყაროების თანაფარდობას. ამ დროს გრძელვადიან წყაროებს მიაკუთვნებენ ერთ წელზე მეტი ვადის მქონე ვალდებულებებს და ბანკის საკუთარ სახსრებს. მაღალი ინფლაციისა და ფინანსური რყევების პერიოდებში ეს კოეფიციენტი პრაქტიკულ ინტერესს არ იწვევს, მაგრამ ეკონომიკის სტაბილიზაციის, წარმოებაში ინვესტიციების გადიდებისა და გრძელვადიანი დაკრედიტების მოცულობათა ზრდის დროს იგი მეტ მნიშვნელობას იძენს და ბანკის საქმიანობის ერთ-ერთ არსებით მხარეს აშუქებს.

**გრძელვადიანი ლიკვიდობის ნორმატივი H4** – განისაზღვრება ბანკის მიმართ ერთ წელზე მეტი ვადის მქონე მთელი დავალიანების შეფარდებით ბანკის საკუთარ სახსრებთან და კაპიტალთან, აგრეთვე სადეპოზიტო ანგარიშებზე ბანკის ვალდებულებებთან, ერთ წელზე მეტი დაფარვის ვადის მქონე სავალო ვალდებულებებთან და მიღებულ კრედიტებთან.

**გრძელვადიანი ლიკვიდობის ნორმატივი იანგარიშება** – ბანკის მიმართ ერთ წელზე მეტი დაფარვის ვადით მქონე მთელი გრძელვადიანი დავალიანების (გაცემული გარანტიებისა და თავდებობის ჩათვლით) ბანკის საკუთარ სახსრებთან (კაპიტალთან), აგრეთვე, დეპოზიტური ანგარიშების მიხედვით ბანკის ვალდებულებებთან, მიღებულ კრედიტებთან და ერთ წელზე მეტი დაფარვის ვადის მქონე სხვა სავალო ვალდებულებებთან შეფარდებით. ამ ნორმატივის მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობაა 20%.

**გრძელვადიანი საბანკო სესხი და კრედიტი** – ბანკებისა და სხვადასხვა დაწესებულებებისგან, აგრეთვე ობლიგაციების ემისიისა და მათზე პროცენტის გაცემის შედეგად მიღებული ნასესხები კაპიტალია.

**გრძელვადიანი სასესხო დავალიანების განვადების სახით დაფარვის ვადის დადგომისას გადახდას ითვალისწინებს, ხოლო დარიცხული პროცენტების გადახდა კი** – პერიოდულად (წლების მიხედვით) ხორციელდება.

**გრძელვადიანი ფინანსური ინვესტიციები** – აქტივების სპეციფიკურ სახეობას წარმოადგენს, რომლებიც საწარმოსათვის ძირითად საწარმოო საქმიანობასთან დაუმთხვევადი მოგების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

**გრძელვადიანი ფულადი ვალდებულებები** – იფარება ერთ წელზე მეტ დროში. ფულადი ვალდებულებების ჩამონათვალში გრძელვადიან ფულად ვალდებულებად ითვლება: ობლიგაციების დავალიანება და იპოთეკური დავალიანება.

**გრძელი სავალუტო პოზიცია** – ბანკის ღია სავალუტო პოზიცია, რომლის დროსაც მისი აქტივები და მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში აღემატება მის პასივებსა და ვალდებულებებს იმავე უცხოურ ვალუტაში.

**გრძელი ტონა** – ინგლისური წონა - 1016 კგ. გამოიყენება ინგლისურენოვან ქვეყნებში ტვირთის წონის გაანგარიშებისთვის.

**გრძელი ღია სავალუტო პოზიცია** – აქტივები და ბალანსგარეშე მოთხოვნები, რომლებიც რაოდენობრივად აღემატებიან პასივებს და ბალანსგარეშე ვალდებულებებს.

**გრძნობები** – ადამიანში თავის თავისადმი, სხვა ადამიანებისადმი, გარე სამყაროს საგნებისა და მოვლენებისადმი წარმოშობილი მყარი და ხანგრძლივი ემოციები. გრძნობებზე ზემოქმედების საშუალებით შესაძლებელია პერსონალის ქცევის განსაზღვრული მიმართულებით მართვა.

**„გუდვილი“** – საზოგადოების პრესტიჟის, საქმიანი რეპუტაციის, მისი პარტნიორების, კლიენტურისა კადრების, როგორც აქტივის ღირებულება, რომელიც განისაზღვრება საზოგადოების საბაზრო ღირებულებასა და მისი აქტივების ღირებულებას შორის სხვაობის თანხით. გუდვილს საზოგადოების გარეშე არ გააჩნია საბაზრო ღირებულება, იგი იქმნება და ღირებულებას იძენს მხოლოდ საზოგადოების შერწყმისას ან ერთი საზოგადოების მიერ მეორე საზოგადოების შეძენისას.

**გუდვილი (goodwill)** – არამატერიალური აქტივები, რომელიც არ ექვემდებარება მატერიალურ განზომილებებს და გათვალისწინებულია კომპანიის მხოლოდ მთლიანად გაყიდვის (ყიდვის) შემთხვევაში. კომპანიის ერთობლივი აქტივების საბაზრო შეფასების გადამეტება ამ აქტივების ცალ-ცალკე აღებული ინდივიდუალურ საბაზრო ფასზე. შესყიდული კომპანიის რეპუტაციის, მისი კავშირურთიერთობების, ხელსაყრელი ადგილმდებარეობისათვის გადახდილი საფასური.

**გულდენი –** თავდაპირველი ოქროს, ხოლო მე-15-19 საუკუნეებიდან ვერცხლის მონეტა და ფულის ერთეული გერმანიაში, ავსტრიასა და სხვა მეზობელ ქვეყნებში, შემორჩა მხოლოდ ჰოლანდიაში, სადაც აგრეთვე ფლორინი ეწოდება.

**გუნდი** – შრომითი კოლექტივის განსაკუთრებული სახეობა. იგი ხასიათდება მაღალი ერთიანობით, განსაკუთრებით

მჭიდრო თანამშრომლობითა და კოორდინაციით. იქმნება კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად ან ცალკეული ფუნქციებისა და პროექტების შესასრულებლად. გუნდში გაერთიანებულის სხვადასხვა ცოდნისა და ჩვევების მქონე პირები, რაც საშუალებას იძლევა, ისწავლონ ერთმანეთისაგან და ჰქონდეთ რაციონალური ურთიერთკავშირი.

**გუნდების ჯაჭვი** – მართვის დონეების იერარქია, შექმნილი უფლებამოსილებათა დელეგირებით, რომლის მიზანია კოორდინირებული ძალისხმევის ვერტიკალური დაყოფით. ცნობილია, აგრეთვე, როგორც „სკალარული დაქვემდებარება“ ან „სკალარული ჯაჭვი“.

**გუნდური მოთამაშე** – მენეჯერი, რომელიც ზრუნავს უფრო მეტად მთლიანად ჯგუფის მუშაობის ეფექტიანობასა და კეთილდღეობაზე, ვიდრე მისი წევრების ინდივიდუალურ ინტერესებზე.

## დ

**დაბალანსებული ბიუჯეტი** – (balanced budget) ბიუჯეტი, რომელიც მთლიანად ხარჯები ზუსტად მთლიანი შემოსავლების ტოლია.

**დაბალი რგოლი (სახაზო) ხელმძღვანელები** – მენეჯერი, რომლებოც უშუალოდ ხელმძღვანელობენ არამმართველობით პერსონალს.

**დაბალი რისკი** – მაღალი ან ჩვეულებრივი მოგების მიღების შესაძლებლობას აძლევს ბანკს პრაქტიკულად დანაკარგების გარეშე.

**დაბალლიკვიდური სახსრები** – აქტივები, რომლებიც პრინციპში შეიძლება რეალიზებული იყოს, მაგრამ სავარაუდოდ არც ისე სწრაფად, როგორც ეს შესაძლოა ბანკს სჭირდებოდეს, და თანაც ფასში მნიშვნელოვანი წაგებით (მაგალითად, ბანკის კუთვნილი ძირითადი ფონდები).

**დაბანდებები ფასიან ქაღალდებში** – ამ ჯგუფს ეკუთვნის ბანკის მიერ არასახელმწიფო ემიტენტების ფასიან ქაღალდებში

განხორციელებული ინვესტიციები. ლიკვიდობის ანალიზისათვის აუცილებელია მოვახდინოთ ამ ჯგუფის შემდეგნაირად კლასიფიცირება:

1. საინვესტიციო მიზნებით შეძენილი ფასიანი ქაღალდები (შვილობილი და დამოკიდებული სააქციო საზოგადოების აქციები და პაიები). საინვესტიციო დაბანდების თავისებურებაა მათი გრძელვადიანი ხასიათი და დაბალი ლიკვიდობა. ამგვარად ეს ჯგუფი არსებითად შეგვიძლია გრძელვადიან დაბანდებებს მივაკუთვნოთ;
2. გაყიდვის მიზნით შეძენილი ფასიანი ქაღალდები, ამ ქვეჯგუფს ეკუთვნის მოკლევადიანი დაბანდებები იმ ლიკვიდურ ფასიან ქაღალდებში, რომელთა გაყიდვაც შესაძლებელია აუცილებლობის შემთხვევაში და ამიტომ ისინი ბანკის ვალდებულებაა დაფარვის დამატებით წყაროდ გვევლინება.

**დაბეგვრა** – დაბეგვრის მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტი იღებს სახსრებს (გადასახადების ფისკალური ფუნქცია) და ხდება საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის პირობების რეგულირება (გადასახადების მარეგულირებელი ფუნქცია).

**დაბეგვრის ერთეული** – ანუ დასაბეგვრი ობიექტის გაზომვის ერთეული. მაგალითად, საშემოსავლო გადასახადში დასაბეგრი ობიექტის გაზომვის ერთეულია ქვეყნის ფულადი ერთეული. მიწის გადასახადში – ჰექტარი.

**დაბეგვრის ერთეული** – შემოსავლის ან ქონების ნაწილი, რაზედაც დაწესებულია საგადასახადო განაკვეთი. მაგალითად, მიწის გადასახადის ერთეულია 1 ჰა მიწა, შენობის კვ.მ საცხოვრებელი ფართობი და ა.შ.

**დაბეგვრის ობიექტი** – მასში იგულისხმება ყველა ის საგანი, რომელიც დაბეგვრას ექვემდებარება. ეს შეიძლება იყოს: შემოსავალი. საქონელი, მომსახურება, დაგროვილი სიმდიდრე, ქონება და ა.შ.

**დაბრუნებადი აქცია** – არის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მფლობელს უფლებას ანიჭებს ემიტენტს (გამომ-

შვებს) უკან დაუბრუნოს ინსტრუმენტი ფულად სახსრებზე ან სხვა ფინანსურ აქტივებზე გაცვლის გზით. ან ავტომატურად უბრუნდება ემიტენტს ამა თუ იმ გაურკვეველი მოვლენის მოხდენისას მომავალში, ან ინსტრუმენტის მფლობელის სიკვდილის ან პენსიაში გასვლის დროს.

**დაბრუნებადობა** – ლიზინგს მაშინ აქვს, ადგილი, როდესაც გამყიდველი (პროდუქციის დამამზადებელი) ლიზინგურ კომპანიას მიყიდის მას და ერთდროულად მასთან დადებს აღნიშნული პროდუქციის (მოწყობილობის) ლიზინგის საფუძველზე მისთვის ჩაბარების შესახებ ხელშეკრულებას.

**დაგეგმარება სამუშაო პროცესების მიხედვით** – საწარმოო რესურსების დაჯგუფება შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით.

**დაგეგმვა** – მოქმედების წესის ფორმულირების პროცესია: იგი გულისხმობს მიზნის დასახვას, მისი მიღწევის გზების მოძიებას და საუკეთესო ალტერნატივის არჩევას. ამ ეტაპზე ბუღალტრულმა აღრიცხვამ უნდა წარმოადგინოს არსებული ფინანსური მდგომარეობის ნათელი სურათი, რადგან დაგეგმვისთვის აუცილებელია ინფორმაცია შესაძლო მოგებისა და ფულად საშუალებათა მოთხოვნის შესახებ.

**დაგეგმვა** – არის მიზნების ჩამოყალიბება და მათ მისაღწევად საჭირო საწარმოო პოლიტიკის, სტრატეგიის, ტაქტიკისა და მოქმედების ფორმირება, შეფასება და შერჩევა.

**დაგეგმვა** – განსაზღვრავს წარმოების განვითარების პერსპექტივებს, დასახული მიზნების მისაღწევად, რომლის დროსაც ისაზღვრება მისი შესრულებისათვის საჭირო საშუალებები და რესურსები, გეგმა გვიჩვენებს რა, როდის და როგორ უნდა შესრულდეს.

**დაგეგმვა** – ორი სახისაა სტრატეგიული და ტაქტიკური. სტრატეგიულ დაგეგმვაში იგულისხმება საწარმოს მიზნებსა და მათი მიღწევის პოტენციურ შესაძლებლობებს შორის შესაბამისობის შექმნისა და შენარჩუნების მმართველობითი პროცესი; ტაქტიკური დაგეგმვა გულისხმობს კონკ-

რეტული ქმედებების განხორციელებას მარკეტინგის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანების მიღწევად.

**დაგეგმვა** – ფორმალური პროცედურაა, რომელიც მიმართულია გასაღების გადიდებისა და ფირმის მოგების ზრდისაკენ და შედგება ორი ნაწილისაგან: სტრატეგიული დაგეგმვა და მარკეტინგის დაგეგმვა.

**დაგეგმვა** – მიზნების და მათი მიღწევებისათვის საჭირო გადაწყვეტილებების შერჩევის პროცესი.

**დაგეგმვა განსაზღვრავს** – თუ კონკრეტული მიზნის მიღწევისათვის რა უნდა გაკეთდეს აუცილებლად. იგი გრძელვადიანი (სტრატეგიების) და მოკლევადიანი გეგმების დამუშავებასთან არის დაკავშირებული სტრატეგიული მიზნების არჩევანი კომპანიის განვითარებისათვის საპასუხისმგებლო ეტაპს წარმოადგენს.

**დაგეგმვა და კონტროლი** – ამ მიზნით მენეჯერმა უნდა შეასრულოს შემდეგი სახის საქმიანობა: ჩამოაყალიბოს გეგმა, გაწეროს გეგმა, დანერგოს გეგმა, შეადაროს ფაქტობრივი მონაცემები დაგეგმილს და მოახდინოს შეფასება, რათა განისაზღვროს არის თუ არა საჭირო რაიმე ღონისძიების გატარება.

**დაგეგმვისა და კონტროლის ქვესისტემა** – ქვედანაყოფი, რომელიც ღებულობს ინფორმაციას საწარმოო ქვესისტემიდან სისტემისა და დაუმთავრებელი წარმოების შესახებ. გარესამყაროდან და შიგა გარემოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დაგეგმვისა და კონტროლის ქვესისტემა ღებულობს გადაწყვეტილებებს პერსპექტიულ მიზნებზე და ფუნქციებზე.

**დაგეგმვის ინფორმაცია** – არის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სამოქმედო ალტერნატიულ გზებს შორის არჩევანის გასაკეთებლად და გეგმის შესამუშავებლად. მაგალითად: მოთხოვნის პროგნოზი, ეკონომიკური პროგნოზი, დანახარჯების წინასწარი პროგნოზი (ხარჯთაღრიცხვა), კონკურენტთა ქცევის შეფასება.

**დაგეგმვის ინფორმაციული ბაზა** – მონაცემების ერთობლიობა, რომლებიც სისტემატიზირებულია განსაზღვრული ნიშნით და გამოიყენება საგეგმო-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად. ამასთან ერთად გამოიყენება აგრეთვე მეთოდები და საშუალებები ამ მონაცემების გადაცემასა და გარდაქმნისათვის.

**დაგეგმვის პრინციპი** – ეს პრინციპი ორგანიზაციის განვითარების იმ ძირითადი მიმართულებებისა და პროპორციულობის, სოციალური და ეკონომიკური ამოცანების კომპლექსის განსაზღვრას გულისხმობს, რომელთა რეალიზაციაც უნდა მოხდეს პერსპექტივაში. დაგეგმვა მოიცავს ყველა რგოლს.

**დაგეგმვის სისტემა** – დაგეგმვის ცალკეული ნაწილების მოწესრიგებული სტრუქტურა. ვადების მიხედვით ასხვავებენ დაგეგმვის შემდეგ საფეხურებს (სახეებს): სტრატეგიული ჩარჩოს დაგეგმვა; გრძელვადიანი დაგეგმვა; საშუალოვადიანი დაგეგმვა; მცოცავი მოკლევადიანი დაგეგმვა.

**დაგროვების ნორმა** – დაგროვების პროცესის ინტენსივობის მაჩვენებელი. ხასიათდება დაგროვებაზე გამოყენებული ეროვნული შემოსავლის წილით. ეკონომიკური ზრდის ტემპების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი. შეიძლება აგრეთვე გამოხატული იქნეს ფარდობითი დაგროვების ფონდსა და ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტთან ან საბოლოო პროდუქტის მთელი მასის ღირებულებასთან, ან დაგროვების ფონდის ფარდობით ადრე დაგროვებულ ეროვნულ სიმდიდრის მასასთან.

**დაგროვების ფონდი** – არის სახსრები, რომელიც საწარმოს სუფთა მოგებიდან გამოირიცხება და იგი წარმოების განვითარებაზე მიიმართება.

**დაგროვილი აქტივები** – აქტივები, რომლებიც არსებობენ საბუღალტრო პერიოდის ბოლოსათვის, მაგრამ ჯერ კიდევ არ არიან აღრიცხულნი. ესაა შემოსავლები, რომლებიც წარმოადგენენ მომავალში მოგების მიღებაზე უფლებას.

**დაგროვილი პასივები** – პასივები, რომლებიც არსებობენ საბუღალტრო პერიოდის ბოლოსათვის, მაგრამ ბალანსში ჯერ კიდევ არ არიან გათვალისწინებულნი.

**დადასტურება ტონაჟის დაფრახტვის შესახებ** – გაიცემა გადამზიდავის მიერ იმის დასადასტურებლად, რომ მოცემული პარტიისათვის რომელიმე სატრანსპორტო საშუალებაზე ადგილია რეზერვირებული.

**დადასტურებული ჩეკების ანგარიშები** – მოთხოვნამდე შენახული ისეთი დეპოზიტური ანგარიშებია, რომლებზეც მოთავსებული ფულადი სახსრები დადასტურებული ჩეკების გასანაღდებლადაა განკუთვნილი. დადასტურებულ ჩეკზე ბანკი საგანგებო აღნიშვნას აკეთებს მისი განაღდებისათვის სახსრების არსებობის შესახებ (ადრე მას ჩვენთან „ბანკის მიერ აქცეპტირებული საანგარიშსწორებო ჩეკს“ უწოდებენ.

**დადებითი აქცეპტი** – გადახდის ისეთი ფორმაა, რომლის გადამხდელი ვალდებულია გადახდის შესახებ მიმწოდებლის მოთხოვნის შემცველ თითოეული საანგარიშსწორებო დოკუმენტზე ან წერილობითი განცხადება გააკეთოს თავის თანხმობაზე, ან უარი თქვას აქცეპტზე.

**დადებითი აქცეპტის ის ფორმა** – რომლის დროსაც გადამხდელი ვალდებულია გადახდის შესახებ მიმწოდებლის მოთხოვნის შემცველ თითოეულ საანგარიშსწორებო დოკუმენტზე ან წერილობითი განცხადება გააკეთოს თავის თანხმობაზე, ან უარი თქვას აქცეპტზე.

**დადებითი გეპი (მგრძნობიარობა აქტივებით)** – მიუთითებს იმაზე, რომ მოცემულ პერიოდში საჭირო იქნება ვალდებულებებზე უფრო მეტი მოცულობის აქტივების სხვა ფასში გადაანგარიშება.

**დავალება** – დასრულებული სამუშაო, რომელიც უნდა შესრულდეს განსაზღვრული ფორმით მოცემულ დროში.

**დავალება** – საწარმოო იმპორტიორის დავალება პორტისადმი მიმღებისათვის იმპორტული ტვირთის გადატვირთვაზე.

შეიცავს ყველა საჭირო მონაცემს პორტიდან ტვირთის სწორი გადაგზავნისათვის.

**დავალებები** – დაწესებული სამუშაო, სამუშაო ფუნქციების სერია, რომელიც უნდა დამთავრდეს დადგენილ დროში და განსაზღვრული ფორმით.

**დავალება დატვირთვაზე** – (საჰაერო გადაზიდვები) ტვირთ-გამგზავნის მიერ გამოწერილი და საქონლის პარტიის შესახებ დაწვრილებითი მონაცემების შემცველი დოკუ-მენტაცია, რომლის საფუძველზე ავიახაზებს ან მის აგენტს შეუძლია ავიასატრანსპორტო ზედნადებების მომზადება.

**დავალება დატვირთვაზე, დატვირთვის ორდერი** – საწარმოო ექსპორტიორის დავალება პორტისადმი ზღვით საექს-პორტო ტვირთის გადატვირთვაზე. შეიცავს ყველა ძირი-თად მონაცემს ტვირთზე და მისი მიწოდების შესახებ, აგრეთვე მონაცემებს ტვირთთან მოქცევის შესახებ, მაგალითად, საშიშროების ხარისხი.

**დავალიანება ობლიგაციებზე** – ფირმის მიერ გამოშვებული ობლიგაციების გარკვეულ ვადაში ჩაქრობის ვალდებუ-ლებაა.

**დავიწყების სიჩქარე** – ნიშნავს იმ სიჩქარეს, რომლითაც მყიდ-ველები ივიწყებენ სავაჭრო მარკას, რაც უფრო მაღალია დავიწყების სიჩქარის დონე, მით უფრო მუდმივი უნდა იყოს რეკლამა.

**დაზღვევა** – (საავიაციო) რისკის დაზღვევის სპეციალიზირე-ბული სფერო, რომელიც დაკავშირებულია საავიაციო და კოსმოსური ტექნიკის გამოყენებასთან.

**დაზღვევა** – ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციფიური სახეა, რომელიც ითვალისწინებს მიზნობრივი ფონდების შექმნას ამ ურთიერთობებში მონაწილეთა შენატანების ხარჯზე, სტიქიური და ადამიანის ნებისმიერი შემთხვევითი მოქმე-დებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურების მიზნით.

**დაზღვევა** – ესაა მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც კლიენტი (დასაზღვევი) თავიდან იშორებს რისკის ფინანსურ

შედეგებს და გადააქვს იგი სადაზღვევო კომპანიაზე (დამზღვევზე) და იხდის ამისათვის სადაზღვევო პრემიას.

**დაზღვევა** – მგზავრთა უბედური შემთხვევებისგან დაზღვევა, რომელიც ითვალისწინებს მთლიანად ან ნაწილობრივ თანხის გადახდას გზაში მომხდარი უბედური შემთხვევების გამო.

**დაზღვევა** – ფულადი სახსრების მიზნობრივი ფონდების ფორმირებისა და გამოყენების მიზნით ჩამოყალიბებული გადანაწილებითი ურთიერთობების სფეროს განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების და მათი მატერიალური ზარალის ანაზღაურებას არასასურველი სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას.

**დაზღვევის** – ქვეშ გაიგება შეკრული გადამანაწილებელი ურთიერთობების ერთობლიობა ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით მიზნობრივი ფულადი ფონდების ფორმირებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით და მათ მიერ სადაზღვევო შემთხვევების შედეგებთან დაკავშირებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

**დაზღვევის ობიექტი** – ზოგადი სახით ფიზიკური ან იურიდიული პირის ანუ დამზღვევის მატერიალური ობიექტია.

**დაზღვევის ობიექტი** – პირის ქონებრივი ინტერესები, რომლის დაზღვევაზეც დადებულია ხელშეკრულება ანდა დაკავშირებული ტვირთების ფლობასთან, სარგებლობასთან, განკარგვასთან ტვირთების (საქონლის, ბარგისა ან სხვა ტვირთების) დაზიანების, განადგურების ან დაკარგვის შედეგად, მისი ტრანსპორტირების ხერხისაგან დამოუკიდებლად.

**დაზღვევის სუბიექტები** – დასაზღვევი და დამზღვევი.

**დაზღვეული კონოსამენტი** – გამოიყენება რიგ შემთხვევაში კონტეინერებში ტვირთების გადაზიდვის დროს. კონოსამენტი წარმოადგენს სატრანსპორტო დოკუმენტის შერწყმას დაზღვეულის პოლისთან, გადაზიდვაზე ტვირთის

მიღების დადასტურებას და ერთდროულად ადასტურებს მის დაზღვევას.

**დათვალიერების მოწმობა** – კომპეტენტური ორგანოების მიერ გამოწერილი დოკუმეტი, რომელიც ადასტურებს აღწერილი საქონლის დათვალიერების ფაქტს. დათვალიერება ხორციელდება ეროვნული ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ან იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომლებიც ითხოვენ ამგვარი დათვალიერების განხორციელებას, ან კონტრაქტის პირობების შესაბამისად.

**დათვები** – (ბირჟული ჟარგონი), საბირჟო სპეკულიანტები, რომლებიც თამაშობენ ფასიანი ქაღალდების, ვალუტების, საქონლის კურსის (ფასის) შემცირებაზე. „დათვები“ (დამკლებლები) ვადაზე ყიდიან აქციებს (ვალუტას, საქონელს), რომლებიც მათ სახეზე არა აქვთ, კურსის მიხედვით, და რომლებიც დაფიქსირებულია გარიგებით დადების დროს იმ ანგარიშით, რომ იყიდონ ისინი გარიგების შესრულების მომენტში უფრო დაბალი კურსით და ამით დახურონ პირველდაწყებითი გარიგება და მიიღონ მოგება საკურსო სხვაობიდან.

**დათმობა** – გარკვეულ პირობებში ტარიფის შემცირება.

**დათმობა ნაღდად გადახდისათვის** – ფასების შემცირება იმ მყიდველებისთვის, რომლებიც ოპერატიულად იხდიან ანგარიშს.

**დათმობა ნაყიდი საქონლის რაოდენობაზე** – ფასების შემცირება იმ მომხმარებლისათვის, რომლებიც შეიძენენ საქონლის დიდ რაოდენობას.

**დათმობები რაოდენობაზე ან სერიულობაზე** – გათვალისწინებულია იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველი ყიდულობს წინასწარ განსაზღვრული მომატებული რაოდენობის საქონელს.

**დათხოვნა** – შრომითი კონტრაქტის შეწყვეტა მუშაკთან ადმინისტრაციის ინიციატივით.

**დაკავშირებული პირები** – პირები რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობას შეუძლია ზეგავლე-

ნის მოხდენა, მათ შორის გარიგებები პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

**დაკარგული შესაძლებლობები** – რაც გამგზავნს ან მიმღებს უნდა გაეკეთებინა, მაგრამ არ განახორციელეს (მაგალითად ერთი სახის ტრანსპორტიდან სხვა გადატვირთვისათვის, ან ტვირთებისა და ვაგონების დახარისხების მითითების არ არსებობა, აგრეთვე ზედდებულებში და კონოსამენტებში ცნობების უკმარისობა).

**დაკვეთა** – (order) საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისა და რეგულირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური სახე. დაკვეთის მნიშვნელოვანი ფორმაა სახელმწიფო დაკვეთები პროდუქციის წარმოებასა და მიწოდებაზე, მათ შორის ექსპორტზე.

**დაკვეთების პორტფელი** – (backlog of orders) დაკვეთების ერთობლიობა, რომელსაც ფლობს ფირმა, მოცემულ დროის მონაკვეთში. დაკვეთების პორტფელი მას აძლევს საშუალებას, აწონ-დაწონოს წარმოებრივი სიმძლავრეების დატვირთვის შესაძლებლობები და დონე, თავისი ეკონომიკური პერსპექტივა და ადგილი ბაზარზე.

**დაკვირვებულობა** – აუცილებელია არა მარტო ირგვლივ მყოფთა, არამედ საკუთარი ქცევის შესაფასებლად, ადამიანს, რომელსაც შეუძლია ობიექტურად შეაფასოს საკუთარი სურვილები, განზრახვები და მოტივები, უადვილდება მართოს თავისი ქცევა, განსაკუთრებულ კრიტიკულ სიტუაციებში.

**დაკრედიტება** – (crediting) [ლათ.credere] ფულის ან საქონლის გაცემა დროებით სარგებლობაში უკან დააბრუნოს პირობით (ჩვეულებრივ, კრედიტით სარგებლობისათვის წინასწარ შეთანხმებული პროცენტის გადახდით).

**დაკრედიტებისადმი კონსერვატიული მიდგომა** – მსესხებლისადმი ინდივიდუალური მიდგომის სწორ შეფასებაში და კონტროლში, აგრეთვე საკრედიტო პორტფელის მართვისადმი ფრთხილ და წინდახედულ მიდგომაში გამოისახება.

**დამაკავშირებელი პროცესი** – პროცესი, რომელიც აუცილებელია დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციის და კონტროლის განხორციელებისათვის. ძირითადი დამაკავშირებელი პროცესებით გადაწყვეტილებების მიღება და ურთიერთობა (კომუნიკაცია). ხელმძღვანელობაც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დამაკავშირებელი პროცესი.

**დამამშვიდებელი ფასი** – (charmprice) ფსიქოლოგიური ფანდი, გამყიდველის მიერ ჩვეულებრივ „მრგვალ“ სიდიდეზე ცოტა დაბლა (მაგალითად, 10 დოლარის ნაცვლად – 9 დოლარი და 95 ცენტი) დადგენილი ფასია, რომელსაც ხშირად იყენებენ ვაჭრობაში მყიდველთა მიზიდვის მიზნით.

**დამანგრეველი ზრდა** – როცა განვითარებადი ქვეყნები ზრდიან სოფლის მეურნეობისა და მინერალური პროდუქციის წარმოებასა და ექსპორტს, რასაც მოსდევს სანედლეულო საქონლის მსოფლიო ფასების შემდგომი დაკლება და ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო სავალუტო შემოსულობათა შემცირება.

**დამატებით მოთხოვნილებაში იგულისხმება** – სხვაობა პერსონალის მომავალ პროგნოზულ ან პერიოდის დასაწყისში ფაქტობრივ რაოდენობასა და საერთო მოთხოვნილებას შორის. მისი მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ორგანიზაციის საქმიანობის მასშტაბების ზრდა (თანდათანობით ან ნახტომისებრივ), ისე ობიექტური მიზეზებით ან დენადობის შედეგად კადრის წასვლა. კადრებზე დამატებითი მოთხოვნილები დადგენის შემდეგ განისაზღვრება მთლიანი მოთხოვნილება.

**დამატებითი მომსახურება** – მომსახურება, რომელსაც უზრუნველყოფს არხი (კრედიტის მიცემა, საქონლის მიტანა, გამართვა, რემონტი). რაც უფრო მეტია დამატებითი მომსახურება, მით უფრო მაღალია არხის ეფექტიანობა.

**დამატებითი ღირებულება** – არის შრომითი ხარჯებისა და საოპერაციო მოგების ჯამი.

**დამატებითი ღირებულება** – (value added) ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს სხვაობას წარმოებული

საქონლისა და მომსახურების ღირებულებასა და შუალედური მოხმარების (მატერიალური დანახარჯების, საამორტიზაციო ანარიცხებისა და ზედნადები დანახარჯების) ღირებულებას შორის. გაიანგარიშება როგორც სხვაობა რეალიზებული პროდუქციის ღირებულებასა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებს (სამუშაო ძალის ღირებულების გამოკლებით) შორის.

**დამატებითი ღირებულება** – ღირებულება დამატებული საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის ყოველ სტადიაზე. დამატებით ღირებულებაში შედის ხელფასი დანარიცხებით, ამორტიზაცია, კრედიტზე პროცენტი, მოგება, დანახარჯები ელექტროენერგიაზე, რეკლამაზე, ტრანსპორტზე და სხვა. ფასში შედის გადასახადის საერთო თანხა, რომელიც შეაქვს მეწარმეს საქონლის მომხმარებლამდე წაწევის ყველა სტადიაზე.

**დამატებითი ღირებულება** – წარმოადგენს საქონლის (სამუშაოების და მომსახურების) ღირებულების იმ ნაწილს, რომელსაც მწარმოებელი ამატებს მესამე პირებისაგან შეძენილი იმ ნედლეულის, მასალების, სამუშაოსა და მომსახურების ღირებულებას, რომლებიც გამოიყენება წარმოების პროცესში.

**დამატებით ღირებულებაზე გადასახადი** – ძირითადია. დღგ ექვემდებარება გადასახადს წარმოების ყველა სტადიაზე. დღგ-ს თანხა განისაზღვრება სხვაობით საქონლის რეალიზაციიდან და მატერიალური ფასეულობათა ყიდვიდან გადაახადებს შორის.

**დამატებითი ღირებულების გადასახადი** – დღგ (value added tax -VAT) უნივერსალური არაპირდაპირი გადასახადების სახეობა, რომელიც მოიცავს  უმრავლესი სახის საქონელსა და მომსახურებას და იფარება წარმოებული დამატებულ ღირებულების მთლიანი თანხიდან. დღგ-ს საბოლოო გადამხდელი მომხმარებელია. ზოგიერთი საქონელი და მომსახურება თავისუფლდება დღგ-საგან.

**დამატებითი შეღავათები** – ხელფასს ზევით კომპენსაციის სახეები, რომლებიც მოიცავენ ავადმყოფობის პერიოდის საზღაურს, სამედიცინო დაზღვევას და სხვ. უწოდებენ, აგრეთვე, დამატებით გადახდას.

**დამატებითი ხელფასი** – რომელიც მომუშავეს ეძლევა იმ დროისათვის, როცა იგი სამუშაოზე არ იმყოფება, ასეთია შვებულების ხელფასი.

**დამზადების ინსტრუქცია** – დოკუმენტია, რომელიც გაიცემა შეკვეთილი ან გასაყიდად შეთავაზებული საქონლის დასამზადებლად.

**დამზადებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურების თვითღირებულებაში შემავალი ხარჯებია:**

- ძირითადი მასალის ხარჯი;
- ძირითადი შრომითი ხარჯი;
- საწარმოო ზედნადები ხარჯები;

**დამზღვევი** – სადაზღვევო კომპანია, რომელიც ახორციელებს დაზღვევას დადგენილი წესით მიღებული ლიცენზიის საფუძველზე.

**დამზღვევსა და მზღვეველს შორის** – დაზღვევის გარიგების აქტი ფორმდება სპეციალური დოკუმენტით, რომელსაც დაზღვევის მოწმობა ანუ პოლისი ეწოდება. ისინი ფაქტობრივად მზღვეველთა მიერ ზარალის ანაზღაურების ვალდებულებათა აღების საფასურია. სადაზღვევო პრემიების ზომა დამოკიდებულება სადაზღვევო გარიგების რისკის დონეზე. იგი სხვა პირობებთან ერთად ფიქსირდება პოლისში.

**დამოკიდებულება, თვალსაზრისი** – ადამიანებს შორის განსხვავების კიდევ ერთი ასპექტია, რაღაცისადმი ან ვიღაცისადმი მათი დამოკიდებულება, ან სოციალური განწყობა. დამოკიდებულება ყალიბდება ადამიანის მიერ გარემოს, განსაკუთრებით კი მის გარშემო მყოფი ადამიანების მიერ გარემოს, განსაკუთრებით კი მის გარშემო მყოფი ადამიანების ქცევის აღქმიდან გამომდინარე. ადამიანი როგორც

აღიქვამს გარემოს იმის შესაბამისად იქცევა. ცალკეულ საკითხებზე ამის მიხედვით ყალიბდება გარკვეული თვალსაზრისი.

**დამოკიდებული მოთხოვნა** – ტიპი მოთხოვნისა, რომელიც დამოკიდებულია ორგანიზაციის განზრახვაზე – გამოუშვას სხვა ნაწარმი. დამახასიათებელია, უწინარეს ყოვლისა, იმ კომპონენტების ბაზრისათვის, რომლებიც გამოიყენება უფრო რთული ნაწარმის შემადგენლობაში.

**დამოუკიდებელი მოთხოვნა** – ტიპი მოთხოვნისა, რომელიც არ არის დამოკიდებული ორგანიზაციის განზრახვაზე – გამოუშვას სხვა ნაწარმი.

**დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)** - ინტეგრაციული დაჯუფება პოსტსაბჭოურ სივრცეში, რომელშიც შედის ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ბალტიის ქვეყნების გარდა.

**დამტარებელი** – ვაჭრობის მუშაკი, რომლის ძირითადი მოვალეობაა საქონლის (სათბობი, ზეთი და სხვა) მიწოდება.

**დამფრახტველი** – დამქირავებელი, საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს ტვირთის გადაზიდვა დანიშნულების პორტში გადაზიდვაზე დადგენილი ფრახტის გადახდის საწინააღმდეგოდ.

**დამფუძნებლები** – ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც ქმნიან ახალ ორგანიზაციას საკუთარი ინიციატივით და მასში მონაწილეობისათვის იზიდავენ კაპიტალის მეანაბრეებს.

**დამქირავებელი** – ესაა ადამიანი, რომელიც მუშაობს დამოუკიდებლად და სამუშაოდ მუდმივად ქირაობს ერთ ან რამდენიმე პირს. დამქირავებელი, როგორც წესი, წარმოების საშუალებების მესაკუთრეა. ჩვენი ქვეყნის სამეურნეო პრაქტიკაში დამქირავებელი, აგრეთვე არის სახელმწიფო სექტორის საწარმოს ხელმძღვანელი, რომელიც ქირაობს მომუშავეებს შრომითი ხელშეკრულებით, მიუხედავად

იმისა, რომ იგი სახელმწიფოს მიერ დაქირავებული მუშაკია და არ ფლობს წარმოებას.

**დამწევი განვითარება** – ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს დაძლიოს განსხვავება ლიდერ და ჩამორჩენილ ქვეყნებს შორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეში.

**დამხმარე მასალები** – არის ის მასალები, რომლებიც უშუალოდ მზა პროდუქტში გარდაიქმნება, მაგრამ ნედლეულთან შედარებით მხოლოდ დამხმარე ფუნქციებს ასრულებს და რაოდენობრივად და ფასის მხრივ მისი წილი მცირეა.

**დამხმარე მასალები** – ის მასალებია რომლებიც წარმოების მომსახურებაზე და საწარმოო მოწყობილობების შეკეთებაზე გამოიყენება. ესენია საპოხი ზეთები და საშუალებები, ჭანჭიკები, ხრახნები და სხვა მასალები, რომლებიც უშუალოდ პროდუქციის დამზადებაზე არ გამოიყენება, არამედ დანადგარების ნაწილებია. ასეთია, საექსპლუატაციო – ტექნიკური მასალა, საწვავი ელექტროგენერატორისათვის, შესაფუთი მასალები, შაბლონები, ინსტრუმენტები, საკანცელერიო ნივთები, დამცავი ტანსაცმელი, საწვავი და ა.შ.

**დამხმარე მასალები** – შექმნილი პროდუქტის მთავარ სახეს არ წარმოადგენს, მაგრამ აუცილებელია მის შესაქმნელად, ისინი ან მოიხმარებიან შრომის საშუალებების მიერ (საცხები მასალები – მანქანების მიერ), ან უერთდებიან მასალებს და მონაწილეობენ ოპერაციებში.

**დამხმარე მასალები და მომსახურება** – ობიექტები, რომლებიც მზა ნაწარმის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენენ.

**დამხმარე საქმიანობა** – მიეკუთვნება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება (ლოგისტიკა) ტექნოლოგიის განვითარება, ადამიანისეული რესურსების მართვა და კომპანიის ინფრასტრუქტურა.

**დანაზოგი** – (savings) შემოსავლის ნაწილი, რომელიც არ გამოიყენება მიმდინარე მოხმარებისათვის და გამიზნულია ინვესტირებისათვის. სხვა სიტყვებით იგი წარმოადგენს

სხვაობას მიმდინარე შემოსავალსა და მიმდინარე მოხმარებას შორის. დანაზოგს ქმნიან როგორც ფირმები, ისე საოჯახო მეურნეობები (ჰაუს-ჰოლდინგ ბლოკი). ცნობილია, რომ როგორც ცალკეული პირების, ის ქვეყნის შემოსავლების ზრდა ხელს უწყობს დანაზოგის გადინებას.

**დანაზოგის ანაბრები** – სესხის გაცემა იმდენად მომგებიანი საქმე გამოდგა, რომ ბანკებმა დამატებითი სახსრების მობილიზების ხერხების ძიება დაიწყეს. ერთ-ერთი ასეთი ხერხი გახდა დანაზოგის ანაბრები, რომლებსაც ბანკებში დანაზოგით იღებენ. ამით ბანკი საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ფუნქციასაც ასრულებს – სტიმულს აძლევს კრედიტში შუამდგომლობას, რასაც იგი ახორციელებს იურიდიული პირების ფულადი ფონდებისა და ფიზიკური პირების შემოსავლების გადანაწილების გზით.

**დანაზოგისაკენ მიდრეკილება** – (propensity to savings) დანაზოგის წილის ზრდა შემოსავალში.

**დანაკარგები** – ბარგის ტვირთისა და ფოსტის დანიშნულების აეროპორტში ჩამოუსვლელობა, გადამზიდველის მიერ ძებნის დამთავრებისა და მის მიერ ამ ფაქტის ცნობის მერე.

**დანაკარგი** – უყაირათობის შედეგად გაჩენილი უსარგებლო ნარჩენები წარმოებაში, მოსავლის დაუდევრად აღებისას გაბნეული მარცვლეული. მაგალითად შემცირდა წარმოების დანაკარგები.

**დანახარჯები** – ფულად ფორმაში გამოხატული მოხმარების მოცულობის შეფასება, პროდუქციის დამზადების, გასაღების და საწარმოს მუშა უნარიანობის შენარჩუნების მიზნით.

**დანახარჯები** – ხარჯები, გასავალი (expenses) თავისთავად აქტივების შემცირებას და ვალდებულებების პასივების) გადიდებას, ან კორპორაციის საქმიანობის ჩარჩოებში წარმოების, საქონლისა და მომსახურების მიწოდების შედეგად ერთისა და მეორის შეხამებას წარმოადგენს.

**დანახარჯები შეკვეთაზე** – დანახარჯების პროდუქციის თითოეული პარტიის შესყიდვაზე, მოიცავს კონტროლს შეკვეთის არსებობაზე, მომზადებაზე, გადაცემაზე, პროდუქტის მიღებაზე, რაოდენობასა და ხარისხის შემოწმებაზე, შენახვის ადგილში დაწყობაზე, დოკუმენტების შემოწმებაზე, რეკლამის მომზადებაზე, აღრიცხვის აყვანაზე;

**დანახარჯების აღრიცხვის მეთოდები** – წარმოადგენს პროდუქციის (მომსახურების) ერთეულის თვითღირებულების გამოთვლის ხერხების ერთობლიობას წარმოების სხვადასხვა ტიპის დროს.

**დანახარჯების მეთოდი** – ითვალისწინებს ლიცენზიების გათვალისწინებას არსებული საწარმოო სიმძლავრეების, მუშათა რაოდენობის შესაბამისად. ეს მეთოდი ყველაზე ნაკლებეფექტიანია.

**დანახარჯების ქცევა** – ნიშნავს თუ როგორ რეაგირებენ დანახარჯები წარმოების მოცულობის ცვლილებაზე.

**დანახარჯებისა და დანაკარების მინიმიზების პრინციპი** – იგი გვეუბნება, რომ რესტრუქტურიზაციის განხორცილების დროს პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ ღონისძიებებს, რომლებიც კრიზისიდან გამოსვლის შესაძლებლობას იძლევა ბიუჯეტის ნაკლები დანახარჯებით (საზოგადოებისათვის ფინანსური დანაკარგები) და საბანკო სისტემისა და ბანკების კლიენტების მხრიდან ნაკლები დანაკარგებით.

**დანახარჯთა გადახრა** – წარმოადგენს სხვაობას ფაქტიურ დანახარჯებსა და დაგეგმილ, ანუ ნორმატიულ დანახარჯებს შორის. დანახარჯებში წარმოქმნილი გადახრა შეიძლება ხელსაყრელი ან არახელსაყრელი იყოს.

**დანახარჯთა ერთეული** – არის პროდუქციის და მომსახურების ისეთი უმცირესი რაოდენობრივი ერთეული, რომლის მიხედვით დანახარჯების აღრიცხვა და დადგენა შესაძლებელია მიზანშეწონილად.

**დანახარჯთა მიზანი** – ანუ ობიექტი არის ნებისმიერი საქმიანობა, რომლის მიხედვითაც დანახარჯები განცალკევე-

ბულად გამოიანგარიშება. მაგალითად პროდუქცია, კონკ-
რეტული საქმიანობა ან განყოფილება.

**დანახარჯთა ნორმა** – არის ნატურალურ ერთეულებში დადგე-
ნილი ცალკეული სახის მასალის ან დროითი დანახარჯის
დადგენილი სიდიდე პროდუქციის ერთეულზე.

**დანახარჯთა ნორმატიული კალკულაცია** – წარმოადგენს კონტ-
როლის მეთოდს, რომელშიც ნორმატიული დანახარჯები
და შემოსავლები შედარებულია ფაქტიურ შედეგებთან,
რათა დადგინდეს გადახრები, რომელთა ანალიზის მეშ-
ვეობით ხდება საქმიანობის შედეგების საქმიანობა.

**დანახარჯთა ცენტრი** – არის საწარმოს განყოფილება, ფუნქცია
და მოწყობილობა, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია
მხოლოდ ხარჯების გაწევასთან და მისი მენეჯერის
მუშაობა ფასდება დანახარჯების ბიუჯეტის დაცვით.

**დანახარჯი** – (expenses, costs of produstion) საწარმოს ორგანიზა-
ციისა და ა.შ. მიერ პროდუქციის წარმოებასა და რეალი-
ზაციაზე გაწეული ხარჯების ერთობლიობა, გამოხატული
ფულადი ფორმით.

**დაპროგრამებული გადაწყვეტილება** – არჩევანი, რომელიც
მიიღწევა ეტაპების ან მოქმედების კონკრეტული თანმიმ-
დევრობის მეშვეობით. შესაძლო ალტერნატივების რაო-
დენობა ამ შემთხვევაში, როგორც წესი, განსაზღვრულობა.

**დარაზმულობა** – შრომითი კოლექტივის ფსიქოლოგიური
ერთიანობა საქმიანობის მნიშვნელოვან საკითხებში. იგი
გამოიხატება კოლექტივის წევრთა მისწრაფებით, დაიცვას
და გაუფრთხილდეს თავიანთ (კოლექტივს) პრესტიჯსა და
ტრადიციებს. დარაზმულობა განპირობებულია ამა თუ იმ
ამოცანის მიღწევისას კოლექტივის წევრთა ურთი-
ერთდახმარებისა და მხარდაჭერის აუცილებლობით.

**დარგთშორისი ბალანსი** – (intersechoral balance) - ეკონომიკურ-
მათემატიკური მოდელი, დარგებს შორის სამეურნეო
კავშირების ამსახველი, პროდექტის წარმოებისა და განა-
წილების ბალანსი. დგება, როგორც ფულად, ნატურალუ-

რი ფორმით. ძირითადი მაჩვენებლებია – მთლიანი და პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტები. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში მას „დანახარჯები-გამოშვება“ ეწოდება.

**დარგთშორისი კონკურენცია** – სხვადასხვა საბანკო დარგების წარმომადგენლებს შორის გაჩაღებული კონკურენციაა. მისი ფორმები შეიძლება იყოს: 1. კონკურენცია კაპიტალის გადინების მეშვეობით ან 2. ფიზიკური კონკურენცია (კონკურენტთა სუბსტიტუტებით).

**დარგთშორისი კონკურენცია** – კაპიტალისტებს, სააქციო კომპანიებსა და მეურნეობის სხვადასხვა დარგის მონოპოლისტურ გაერთიანებებს შორის კონკურენციული ბრძოლის ერთ-ერთი სახეობა თავის კაპიტალზე უფრო მაღალი მოგების ნორმის მისაღებად. დარგთშორისი კონკურენციის მეშვეობით ხორციელდება კაპიტალის სტიქიური გადინება ერთი დარგიდან მეორეში და დგინდება საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოების პროპორციები.

**დარგთშორისი მართვის სტრატეგიაში** – იგულისხმება კორპორაციის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ საქმიანობის ყველა სახესა და პროდუქციის ნომენკლატურაზე მუდმივი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა ახალი დარგების ხარჯზე საქმიანობის და პროდუქციის სახეობათა დივერსიფიკაციისა და კომპანიისათვის მიუღებელ დარგებში საქმიანობის და პროდუქციის მიზნით.

**დარგის ზრდის ტემპები** – დარგის სწრაფად ზრდისას მოთხოვნა მუდმივად უსწრებს მიწოდებას, რაც შესაძლებლობას უქმნის ფირმებს, კონკურენტების ინტერესების შეულახავად მიიღონ მოგება. ზრდის შენელების ან წარმოების დაქვეითებისას (სხვა თანაბარ პირობებში) კონკურენცია ძლიერდება. ამჟამად მაღალი ტემპები აღინიშნება სამშენებლო საქმეში, საინვესტიციო შუამავლებში, სავალუტო და სააგენტო მომსახურებაში, რაც მნიშვნელოვანწილად ასახავს ეკონომიკის სპეკულაციურ ხასიათს. თუმცა მცირე, მაგრამ მაინც ზრდა მთელ რიგ სხვა დარგებშიც პლასტი-

კური ბარათების გამოშვება და მომსახურება, მინდობით მართვა, საკონსულტაციო მომსახურება და სხვა. ყოველივე ეს ფარავს რეცესიულ პროცესებს საკრედიტო სფეროში და მთლიანობაში საშუალებას გვაძლევს ეკონომიკის სწრაფად მზარდ სფეროდ წარმოვადგინოთ საბანკო საქმე.

**დარგის სტრატეგიული მნიშვნელობა** – რაც უფრო ძლიერია კონკურენტების სტრატეგიული ინტერესები ამა თუ იმ დარგში, მით მეტია კონკურენციის ინტენსივობა, თავის მხრივ ამა თუ იმ დარგის სტრატეგიული მნიშვნელობა მერყეობს სხვადასხვა მომსახურების სასიცოცხლო ციკლის ფაზების შესაბამისად. სადღეისოდ ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საშემნახველო საქმეს, საინვესტიციო შუამავლობას, საანგარიშსწორებო-საკასო, სავალუტო და სააგენტო მომსახურებას. პერსპექტივაში უნდა გაიზარდოს დაკრედიტების, ირიბი დაკრედიტების, პლასტიკური ბარათების ინდუსტრიის, ინფორმირებისა და კონსულტირების მნიშვნელობა. ამავე დროს, კომერციული ბანკის სპეციფიკა ისაა, რომ იგი მრავალდარგოვანი საწარმოა და ერთდროულად ფუნქციონირებს მეტწილი ან ყველა საბანკო დარგში. საბანკო საქმე მთლიანობაში გვევლინება ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან სტრატეგიულად ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სფეროდ, რაც სხვა თანაბარ პირობებში კონკურენციის უფრო პოტენციურ ინტენსივობას განაპირობებს.

**დარგობრივ რისკს განაპირობებს** – დარგის ეკონომიკურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებები და მათი დონე როგორც დარგის შიგნით, ისე სხვა დარგებთან შედარებით, დარგის რისკი უკავშირდება საკრედიტო რისკს და უშუალოდ მოქმედებს მასზე.

**დარგობრივი კონკურენცია** – ფირმა მიიჩნევს თავის კონკურენტებად ყველა ფირმას, რომლებიც აწარმოებენ იგივე საქონელის ან საქონლის კლასის (მოდელს). მაშასადამე, Volksvagen კონკურენციას უწევს ავტომობილების ყველა დანარჩენ მწარმოებელს.

**დარგობრივი რისკი** – დარგობრივ რისკს განაპიროებებს დარგის ეკონომიკური მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებები და მათი დონე, როგორც დარგის შიგნით, ისე სხვა დარგებთან შედარებით.

**დარგში ახლად შემომავალ ფირმებზე უკვე მოქმედი ფირმების მოსალოდნელი რეაქცია** – ფირმა მზად, რომ იყოს კიდევაც ზემოთ ჩამოთვლილი ბარიერების გადასალახავად, მან შეიძლება ყოყმანი დაიწყოს იმ რეაქციის მოლოდინში, რომლითაც მოქმედი კონკურენტები შეხვდებიან ბაზართან მისი მიერთების სურვილს. მისცემენ ისინი „ახალბედას"' ბაზარზე მისი წილის მიღების ნებას, თუ ბოლომდე შეებრძოლებიან მას? კონკურენციის რომელ მეთოდებს გამოიყენებენ საიმისოდ, რომ არ მისცენ მას ბაზარზე შესვლის უფლება? ჩვენს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებს ამ დრომდე არ გამოუმჟღავნებიათ დიდი აგრესიულობა „ახალბედებთან" საკონკურენციო ბრძოლაში. პირიქით დაბალი ფასების დაწესების პოლიტიკას სწორედ „ახალბედები" მიმართავენ. საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნის პოტენციალი საკმაოდ დიდია, გამოსავლელი ბარიერები კი შედარებით დაბალია. ამის გათვალისწინებით ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ საბანკო ბაზარზე დიდია ახალი კონკურენტების გამოჩენის საფრთხე და ახალი საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების შექმნის პროცესი უახლოეს მომავალშიც გაგრძელდება.

**დარგში ვერტიკალური ინტეგრაციის გზის შეღწევის უნარი** – თუ კი საბანკო მომსახურების მომხმარებლებს აქვთ „თვითუზრუნველყოფაზე გადასვლის" უნარი, მაშინ მათი გავლენა დიდია და პირიქით. ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბანკო მომსახურების მომხმარებლები კერძო პირებს პრაქტიკულად საერთოდ არ გააჩნიათ საბანკო დარგებში ვერტიკალური ინტეგრაციის უნარი. საწარმოებს შეუძლიათ შეაღწიონ ცალკეულ საბანკო დარგებში, მაგრამ

ნებისმიერ შემთხვევაში მოიცვან საბანკო მომსახურების მთელი კომპლექს-მომხმარებლებს ეს არ შეუძლიათ.

**დარეგულირებული სასინჯი ბალანსი** – (prepare trail valance) მომზადება, როგორც კი რეგულაციები განხორციელდება, სასინჯი ბალანსი მზადდება, რომელიც წინასწარ ბალანსს რეგულატორების შედეგებთან აერთიანებს.

**დარიცხვების მეთოდი** – იმაში მდგომარეობს, რომ მოცემულ თვეში დარიცხულ მთელ პროცენტებს ბანკის შემოსავლებს ან გასავლებს აკუთვნებენ იმის მიუხედავად, ჩამოწერილია (და ჩარიცხულია) თუ არა ისინი კლიენტის ანგარიშიდან (ანგარიშზე).

**დარიცხვის მეთოდი** – არის ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. ბუღალტრულ აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდი ნიშნავს საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებას მათი წარმოქმნის მომენტის მიხედვით.

**დარიცხული ხარჯები** – ის ვალებია, რომლებიც უკვე არსებობენ, მაგრამ ჯერ დაფარვას არ საჭიროებენ.

**დარწმუნებულები** – კონსერვატორები, ტრადიციების მიმდევრები, არაფრით გამორჩეულები, უპირატესობას ანიჭებენ ნაცნობ, ეროვნულ საქონელს და ცნობილ მარკებს.

**დარწმუნებულება** – ერთი პირობების მიერ საკუთარი თვალსაზრისით სხვა ადამიანებისათვის ეფექტიანი გადაცემის ხერხები.

**დაუპროგრამებული გადაწყვეტილება** – უნებური არჩევანი, რომელიც ხდება ახალ ან განუსაზღვრელ გარემოებაში, ან ზემოქმედების უცნობი ფაქტორების მქონე სიტუაციაში.

**დასავლეთის ქვეყნებში საბუღალტრო აღრიცხვა** – ანუ ეკაუნტინგი (ACCOUNTING) ფართო ცნებაა და მოიცავს ეკონომიკური მოვლენების იდენტიფიკაციას, რეგისტრაციისა და განმარტების პროცესს. მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსური ანგარიშგების შედგენასა და ანალიზში.

**დასაზღვევი ფიზიკური ან იურიდიული პირი** – (ქონების მეპატრონე, ან ქონებაზე პასუხისმგებელნი), რომელიც აზღვევს თავის ინტერესს ქონებაზე განსაზღვრული საფრთხისაგან და დაინტერესებულია მის დაცვაში.

**დასალდოვებად ანგარიშებს** – მიეკუთვნება სანაშთო ბალანსის 28 და 48 კლასის საბალანსო ანგარიშები, რომლებზეც რიცხული საერთო თანხა, როგორც წესი, ყოველდღიურად ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს. საქართველოს ეროვნულ ბანკში წარსადგენს სანაშთო ბალანსში 28 და 48 კლასის ანგარიშები ექვემდებარება დასალდოვებას, რომლის შედეგად მიღებული შესაძლო სადებეტო ნაშთი მონაწილეობას იღებს „რისკის მიხედვით შეწონილ აქტივების", „მთლიანი აქტივების" და „მიმდინარე აქტივების" გაანგარიშებაში, ხოლო შესაძლო საკრედიტო ნაშთი – „მთლიანი ვალდებულებების" და „მიმდინარე ვალდებულებების" გაანგარიშებაში.

**დასაქმება** – (emploument) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, დასაქმებულად ითვლება 15 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობა, რომელიც დაკავებულია საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობით. არსებობს დაქირავებით დასაქმება და თვითდასაქმება.

**დასაქმება** – როგორც ეკონომიკური მოვლენა, არის მოქალაქეთა სასარგებლო საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან და რომელსაც, როგორც წესი ახლავს შრომითი შემოსავალი.

**დასაქმება** – შეიძლება ჩაითვალოს ოპტიმალურად, თუ იგი სრულად შეესაბამება წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ინტერესებს და მათი ინტენსიფიკაციის შედეგებს, ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური შედეგების მიღწევათა დანერგვას, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას, აგრეთვე ქმნის ხელსაყრელ პირობებს ჯანმრთელი მომა-

ვალი თაობისა და მაღალკვალიფიციურ მუშაკთა კვლავ-წარმოებისათვის.

**დასაქმება** – შრომისუნარიანი პირების უზრუნველყოფა სამუშაო ადგილებით, მათი ჩაბმა სამეწარმეო ან არასამეწარმეო საქმიანობაში.

**დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა** – თანაფარდობა მატერიალურ წარმოებისა და არასაწარმოო სფეროში დასაქმებულთა რიცხვს შორის. სწორედ ეს თანაფარდობა განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის მიკუთვნებას ეკონომიკის აგრარული, ინდისტრიული ან პოსტინდუსტრიული ტიპისადმი.

**დასაქმების დონე** – (rate of employment) დასაქმებულთა მთლიანი რიცხოვნობის შეფარდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობასთან.

**დასაქმების ეფექტიანობა** – დასაქმება შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საფუძველზე, რომელიც უზრუნველმყოფ მოსახლეობის საკმარის შემოსავალს, ადამიანის ჯანმრთელობას, საზოადოების თითოეული წევრის საგანმანათლებლო და პროფესიული დონის ამაღლებას.

**დასაქმების კოეფიციენტი** – შეხედულებებისა და წარმოდგენების სისტემა, რომელიც ახასიათებს დასაქმების მდგომარეობას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე.

**დასაქმების სტატუსი** – დასაქმებული ესაა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც შემოსავლის მიღების მიზნით სთავაზობს სამუშაო ძალას საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად ან მოსახლეობის ის ჯგუფი, რომელიც მონაწილეობს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში და არ მოაქვს პირდაპირი ფულადი შემოსავალი, ან მოაქვს პირდაპირი ფულადი შემოსავალი, მაგრამ იგი უშუალოდ არაა დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან. პირველ ჯგუფში შედიან ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში, კოოპერატივში, საზოგადოებებში და ა.შ. დასაქმებული მოქალაქეები; მეორე ჯგუფში –

წარმოებიდან მოწყვეტით მოსწავლეები, სამხედრო მოსამსახურეები და სხვ.

**დასაქმებული მოსახლეობა** – (employment) შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, რომელიც დასაქმებულია სამოქალაქო სექტორში და აღრიცხულია ქვეყნის კანონმდებლობაში განსაზღვრული შესაბამისი ნორმებით.

**დასკვნითი ბრუნვები** – დასკვნითია ის ბრუნვები, ცალკეული ანგარიშებისა და ოპერაციების მიხედვით, რომელთა გატარება ახალ წელში ხდება, მაგრამ უნდა აღირიცხოს როგორც გასული წლის ბრუნვები. შესაბამისი ანგარიშების მიხედვით დასკვნითი ბრუნვების გატარებისას ხელმძღვანელობენ ბანკები – ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის გამოყენების მითითებით.

**დასკვნითი კონტროლი** – მიმდინარე კონტროლის დროს უკუკავშირი გამოიყენება სამუშაოების მიმდინარეობისას. მისი მიზანია დროულად დავძლიოთ წარმოების პროცესში წარმოშობილი პრობლემები და თავიდან ავიცილოთ გაუთვალისწინებელი ხარჯები. დასკვნითი კონტროლის დროს უკუკავშირი გამოიყენება სამუშაოების დამთავრების შემდეგ. ამ დროს მთელი საქმიანობის შედეგებს უდარებენ გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს და აკეთებს შესაბამის დასკვნებს.

**დასპაჩი** – (ინგ.dispsae) ანგარიში, რომელიც ითვალისწინებს ავარიის შედეგად გამოწვეული ხარჯების განაწილებას გემის, ტვირთის და ფრახტს შორის. დასპაშას ადგენს დისპაშერი. დისპაშერის ადგილი და შედგენის წესი მითითებულია კონოსამენტში.

**დაუბალანსირებელი ლიკვიდურობის რისკი** – არის იმის ალბათობა, რომ ცვალებადი დეპოზიტებისა და კრედიტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის გარკვეული სახსრები საჭირო მომენტში მიუღწევადი აღმოჩნდება, რაც ბანკისათვის მოულოდნელი ზარალის მიღების საწინდარი შეიძლება გახდეს.

**დაუბეგრავი მინიმუმი** – შემოსავლის გარკვეული ოდენობა, რომელსაც გადასახადი არ შეეწერება. იგი დაწესებულია როგორც წესი, საშემოსავლო გადასახადისათვის. გარდა ამისა, იგი გაითვალისწინება ქონების, მემკვიდრეობის, ჩუქების და სხვა გადასახადების გაანგარიშების დროს.

**დაუკვირვებადი ეკონომიკა** – (non-ohserved economy) - ეკონომიკაში წარმოებრივი საქმიანობის ის შედეგები, რომლებიც არ არის მოცემული რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევებით.

**დაუმთავრებელი წარმოება** – არის შრომის საგნები, რომლებიც უშუალოდ იმყოფებიან დამუშავების პროცესში და საანგარიშგებო თარიღისათვის მზა პროდუქტის სახე მიღებული არა აქვთ.

**დაუსრულებელ წარმოებაში** – შედის საწარმოო პროცესში მყოფ საქონელში დაბანდებული სახსრები ან ნაწილობრივ მზა პროდუქცია, რომელიც რეალიზაციის წინ დამატებით დამუშავებას მოითხოვს.

**დაუფარავი საანგარიშსწორებო ჩეკები –** ისეთი ჩეკებია, რომელთა მიხედვით სახსრების გაცემის გარანტიასაც იძლევა. ამ შემთხვევაში ბანკი გარანტიას აძლევს ჩეკის გამცემს, რომ თუ მის ანგარიშზე თანხები დროებით არაა, ჩეკების განაღდება ბანკის სახსრების ხარჯზე მოხდება.

**დაუფარავი საანგარიშსწორებო ჩეკები** – ისეთი ჩეკებია, რომელთა შესაბამისი თანხები ჩეკის გამცემი კლიენტის მიერ წინასწარაა დეპონირებული ცალკე საბანკო ანგარიშებზე, რაც ამ ჩეკების მიხედვით განაღდების გარანტიას უზრუნველყოფს.

**დაუფარავია ის აკრედიტივი** – რომელზეც გადახდის გარანტიას მიმწოდებელს ბანკი აძლევს. ამ შემთხვევაში ფულის გადამხდელი შუამდგომლობით მიმართავს თავის ბანკს, გარანტირებული აკრედიტივი გამოყოს მისთვის. ამ შუამდგომლობას ემიტენტი ბანკი აკმაყოფილებს, როგორც წესი გადახდისუნარიანი, პირველი კლასის კლიენტების მიმართ და ისიც იმ პირობით თუ მას და აკრედიტივის

შემსრულებელ ბანკს შორის საკორესპოდენტო ურთიერთობებია დამყარებული. გარანტირებული აკრედიტივის გახსნისას ემიტენტი ბანკი უფლებას აძლევს შემსრულებელ ბანკს, რომ მან აკრედიტივის მიხედვით გადახდები ჩამოწეროს თავისი საკორესპოდენტო ანგარიშიდან მიმწოდებლის (სახსრების მიღების) სასარგებლოდ.

**დაუფარავია ისეთი აკრედიტივი** – როდესაც მისი გამხსნელი ბანკი ექსპორტიორის ბანკს ვალუტას წინასწარ არ გადაუგზავნის. საერთაშორისო პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება დაუფარავი აკრედიტივები, რომლებიც ვალუტის წინასწარ გაგზავნას არ საჭიროებს.

**დაუყოვნებელი მიწოდების გარიგებებს** – უწოდებენ გარიგებას ნაღდ საქონელზე („კეში“, ან „სპოტი“ – „cash“, „spot?).

**დაფარვა** – საიდუმლოდ შენახვა, არ გაამჟღავნებს, დამალავს, სიძლიერით გადააჭარბა, ჩაახშო, ვალის გასტუმრება, გადახდა, ანაზღაურება, ვალის დაფარვა, ვალს დაუფარავს, გადაახდევინებს.

**დაფარვის კოეფიციენტი** – საბრუნავი კაპიტალის შეფასების ერთ-ერთი მეთოდი, მისი ოპტიმალური ზომის მოძებნა. იგი წარმოადგენს მიმდინარე აქტივების შეფარდებას მოკლევადიან ვალდებულებებთან.

**დაფარულად ითვლება აკრედიტივი** – რომლის დროსაც გადამხდელი წინასწარ ახდენს სახსრების დეპონირებას მიმწოდებლებთან ანგარიშსწორებისათვის. ამ შემთხვევაში ფულის გადამხდელი ბანკი (ემიტენტი ბანკი) გადამხდელს ანგარიშსწორების ანგარიშიდან ამოწერს სახსრებს და ისინი გადააქვს მიმწოდებლის ბანკში (შესრულებულ ბანკში) ცალკე საბალანსო ანგარიშებზე „აკრედიტივები“.

**დაფარული საანგარიშსწორებო ჩეკები** – ისეთი ჩეკებია, რომელთა შესაბამისი თანხები ჩეკის გამცემი კლიენტის მიერ წინასწარაა დეპონირებული ცალკე საბანკო ანგარიშებზე, რაც ამ ჩეკების მიხედვით განაღდების გარანტიას უზრუნველყოფს.

**დაფარულია ისეთი აკრედიტივი** – როდესაც ემიტენტი ბანკი შემსრულებელ ბანკს წინასწარ უგზავნის თავისი ვალდებულებების მოქმედების ვადაში საჭირო აკრედიტივის თანხის შესაბამის სავალუტო სახსრებს, რათა ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს აკრედიტივით გათვალისწინებული თანხების გაცემა. დაფარული აკრედიტივები ძირითადად გამოიყენება იმ ქვეყნებთან ვაჭრობისას, რომელთაც ექსპორტიორ ქვეყნებთან საკორესპოდენტო ურთიერთობები არ გააჩნიათ.

**დაფინანსების წყაროების მიხედვით** – გამოყოფენ საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ორგანიზაციებს. პირველს მიეკუთვნება ის ორგანიზაციები, რომელთა დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტი, ხოლო არასაბიუჯეტო ორგანიზაციებს აქვს დაფინანსების სხვა წყაროები. ამასთან მათ შეუძლიათ, გარკვეულ პირობებში, ბიუჯეტიდან მიიღონ გარკვეული სახსრები, ეს კი როგორც წესი ხდება სახელმწიფო პროგრამების, პროექტებისა და დაკვეთების დაფინანსებისას.

**დაფრახტვა** – საზღვაო გადაზიდვაზე ხელშეკრულების შეთანხმება და გაფორმება.

**დაფრახტვა** – (freight) გემის დაქირავება.

**დაფრახტვა გენერალური კონტრაქტის მიხედვით** – დაფრახტვა, რომლის მიხედვითაც გემთმფლობელი ვალდებულებას იღებს განსაზვრული დროის განმავლობაში გადაზიდო განსაზღვრული ტვირთის რაოდენობა, გამოყოფს რა გადაზიდვისათვის შეთანხმებული ტვირთამწეობის გემს. უმთავრესად გამოიყენება მასიური მშრალი ტვირთების დიდი რაოდენობით გადასაზიდად.

**დაფრახტვა თანმიმდევრულ რეისებზე** – დაფრახტვის ნაირსახეობა, რომელიც გამოიყენება მნიშვნელოვანი რაოდენობის ერთგვაროვანი ტვირთის ერთი და იგივე გემით ერთი და იმავე მიმართულებით გადაზიდვისათვის. დაფრახტვა ვრცელდება თანამდევრული რეისების განსაზღვრულ რიცხვზე, რომელიც ვრცელდება საზღვაო გადა-

ზიდვების ხელშეკრულებაზე ან რეისების ისეთ რიცხვზე, რომელიც შეიძლება შესრულდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ განსაზღვრულ ვადებში. დაფრახტვა შეიძლება შეზღუდული იქნას ნავიგაციის პერიოდით.

**დაფრახტვა წრიულ რეისზე** – დაფრახტვა რეისზე ორ ან მეტ პორტს შორის, რომლის დროსაც მთელი გემი ანდა მისი ნაწილ-ნაწილ გადადის დამფრახტველის განკარგულებაში ტვირთის გადასაზიდად არა მარტო პირდაპირ, არამედ უკუმიმართულებით გემის დაბრუნებით პირველადი გაგზავნის რაიონში.

**დაქირავებულ მუშაკი** – დაქირავებულ მუშაკად ითვლება პირი, რომელიც ასრულებს განსაზღვრულ სამუშაოს ანაზღაურების მიღების მიზნით, აგრეთვე პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს ავადმყოფობის, შვებულებაში ყოფნის, სამუშაოდან დროებით დათხოვნის ამ მსგავსი მიზეზების გამო.

თვითდასაქმებულად ითვლება ოჯახურ მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი, ან ის პირი, რომლის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ფულით ან ნატურით ოჯახური შემოსავლის მიღება.

**დაქირავებული** – ესაა მოქალაქე, რომელსაც დამქირავებელთან, საწარმოს ხელმძღვანელთან ან ცალკეულ პირთან დადებული აქვს შრომითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ-შრომით ურთიერთობებს ხელშეკრულების მონაწილეებს შორის.

**დაჩქარებული ინფლაცია** – (accelereting inflation) ინფლაციის მკვეთრად მზარდი ტემპი.

**დაცემა** – (ეკონომიკური recession) დაბალი საქმიანი აქტიურობისა და უმუშევრობის მაღალი დონის პერიოდი, რომელიც ხასიათდება საშუალოსთან შედარებით ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემით.

**დაცემის ეტაპი** – (decay) პერიოდი, რომელიც იწყება სიმწიფის ეტაპის გადალახვის შემდეგ, საქონლის გასაღების დაცემით.

**დაცულობა** – რადგან მომგებიანობა კონკურენტებს იზიდავს, საჭიროა იმის ცოდნა, შეძლებს ბანკი თავის სეგმენტის დაცვას შემოჭრისგან, თუ დაკარგავს ბაზარზე თავის წილს უფრო ძლიერის სასარგებლოდ. დაცულობა დამოკიდებულია სეგმენტის დამუშავებისათვის აუცილებელი რესურსების მოცულობაზე.

**დაძაბულობა** – სიტუაცია მართვაში, რომელიც ხასიათდება გადიდებული ფსიქოლოგიური ან ფიზიოლოგიური დაძაბულობით.

**დაწესებული მოგება** – მოგება, რომელსაც ისაკუთრებს აქციონერული საზოგადოების დამაარსებლები გამოშვებული აქციების რეალიზაციიდან საწარმოში რეალურად დაბანდებული კაპიტალის ღირებულებას შორის სხვაობის მიხედვით.

**დახურვის პროცესი** – შემოსავლებისა და გასავლების ანგარიშებიდან კრებსით ანგარიშზე „მოგების თანხა“ და შემდეგ საკუთარ კაპიტალზე სალდოს გადატანის პროცესი და ამოცანების ანგარიშიდან საკუთარი კაპიტალის ანგარიშზე სალდოს გადატანის პროცესი.

**დახურული (კონფიდენციალური) ფაქტორინგი** –კლიენტთა და ბანკის ფაქტორ-განყოფილებას (ფაქტორინგული კომპანია) შორის შეთანხმების ფორმა, რომლის დროსაც გადახდები ისევ ჩაირიცხება კლიენტის ანგარიშებზე, ხოლო დავალიანების დაფარვა სწარმოებს კლიენტის ანგარიშიდან სახსრების შემდგომი გადარიცხვების საშუალებით.

**დახურული ანუ კონფიდენციალური ფაქტორინგის** – დროს კლიენტის არცერთმა კონტრაგენტმა არაფერი იცის ფაქტორინგული კომპანიისათვის ანგარიშ-ფაქტორების დათმობაზე. ამ შემთხვევაში ფულის გადამხდელი ანგარიშსწორებას ეწევა თვითონ მიმწოდებლებთან, რომელიც საზღაურის მიღების შემდგომ ვალდებულია მისი შესაბამისი ნაწილი კრედიტის დასაფარავად გადაურიცხოს ფაქტორინგიც კომპანიას.

**დახურული სავალუტო პოზიცია** – სავალუტო პოზიცია, რომლის დროსაც ბანკის მოთხოვნებისა და ბანკის ვალდებულებების თანხა ცალკეულ უცხოურ ვალუტაში ერთმანეთის ტოლია.

**დახურული ტიპის საინვესტეციო ფონდი** – უშვებს აქციებს ერთჯერადი მნიშვნელოვანი ოდენობით. ახალი მყიდველი იძულებულია ეს აქციები შეიძინოს ძველი მფლობელისაგან საბაზრო ფასის მიხედვით.

**დაჯავშნა** – მგზავრის გადასაყვანად სამგზავრო ადგილის, აგრეთვე ბარგის ან ტვირთის გადასატანად სივრცისა და ტონაჟის წინასწარი გამოყოფა საჰაერო ხომალდზე.

**დაჯგუფების მეთოდი** – შესასწავლი ობიექტის ერთეულების განაწილება ერთგვაროვან ჯგუფებად მათთვის არსებითი ნიშნების მიხედვით. იგი იძლევა ამა თუ იმ ტიპის მოვლენათა დამახასიათებელი თავისებურებების, შესასწავლი პროცესების კანონზომიერებების გამოვლენის შესაძლებლობას.

**დგომის სტალიური სატვირთო დრო** – დღეების (საათების) რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც წარმოებული უნდა იქნას გემის დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოები.

**დდს** – დეპოზიტების დაზღვევის სისტემა.

**დდფკ** – დეპოზიტური დაზღვევის ფედერალური კორპორაცია.

**დებენტურა** – (debenture) [ლათ. Dobere – მევალედ ყოფნა] - საბაჟო მოწმობა ბაჟის დაბრუნების შესახებ.

**დებიტანტი** – (petty mercant) წერილი, ვაჭარი.

**დებიტორები** – დავალიანების მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი.

**დებიტორი** – (debitor) (ლათ.debitor) - დავალიანების მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი.

**დებიტორული ანგარიშები** – ეს აქტივი წარმოადგენს პროდუქტის ან მომსახურების საფასურს, რომელიც მომხმარებელმა იყიდა ნისიად და თქვენი კომპანიის ვალი აქვს. მაგალითად, თქვენი კომპანია ყიდის კომპიუტერის მეხსიერების ბარათებს და მეორე კომპანია ყიდულობს

საქონელს უნაღდო ანგარიშსწორებით, ანუ თქვენი კომპანია არ ითხოვს დაუყოვნებლივ ფულის გადახდას, ეს ვალდებულება დებიტორული ანგარიშია, სანამ მომხმარებელი ნაყიდი პროდუქტის საფასურს გადაიხდის.

**დებიტორული დავალიანება** – არის თქვენი ორგანიზაციის მიერ ფიზიკური პირის, საფინანსო დაწესებულების ან ორგანიზაციისაგან აღებული კრედიტი, რომელიც უნდა გადაიხადოთ ერთი წლის განმავლობაში. მაგალითად, თუ თქვენი ფირმა კომპიუტერის მეხსიერების ბარათზე გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აიღებს 90-დღიან კრედიტს, ეს აითვლება დებიტორულ დავალიანებად.

**დებიტორული დავალიანება** – ვალი, რომელიც ეკუთვნის ფირმას იურიდიული ან ფიზიკური პირებისაგან და წარმოიქმნება მათ შორის სამეურნეო ურთიერთობების საფუძველზე.

**დებიტორული დავალიანება** – იურიდიული და ფიზიკური პირების საწარმოსადმი დავალიანების ამსახველია.

**დებიტორული დავალიანებების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორებია:**

- კრედიტით გაყიდვების მოცულობა;
- დებიტორული დავალიანებების დაფარვის (უკან ამოღების) ხარისხი; – მყიდველების გადახდისუნარიანობა;
- მენეჯმენტის უნარი, სწორედ შეარჩიოს მყიდველები; საწარმოს, პროდუქციის მოთხოვნა ბაზარზე;
- მიწოდებული პროდუქციის სამომხმარებლო თვისებები;
- ეფექტური კონტროლი დებიტორული დავალიანების ამოღებაზე.

**დებიტორული დავალიანების ანალიზის საფეხურებია:**

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება;
- დებიტორული დავალიანების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი და დასკვნის გაკეთება;
- დებიტორული დავალიანების გვიანობის განხილვა;

- უიმედო დავალიანების არსებობის მიზეზის გამოკვლევა; - დებიტორული დავალიანების ინკასაციის (დაფარვის) პერიოდულობის მაჩვენებლების ანალიზი და ინტერ-პრეტაციები;
- დებიტორული დავალიანების ინკასაციის დაჩქარების და რისკების შემცირების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელებაზე მონიტორინგი;

**დებიტორული დავალიანების ანალიზის ამოცანებია:**

- მყიდველების გადახდისუნარიანობის შეფასება და სწორად შერჩევა;
- დებიტორული დავალიანებების დაფარვის მდგომარეობის გამოკვლევა;
- საეჭვო და უიმედო დავალიანებებით გამოწვეული რისკების შეფასება.

**დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა** – ხასიათდება დროის იმ შუალედით, რაც საჭიროა კრედიტში განხორციელებული რეალიზაციიდან ფულის ამოღებით. დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს წლის განმავლობაში რამდენად სწრაფად გროვდება ფული (ან ბრუნავს მოთხოვნები). რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით მაღალია საწარმოს კრედიტუნარიანობა.

**დებიტორული დავალიანების ინკასაციის (დაფარვის) ხარისხის დახასიათებისათვის გამოიყენება მაჩვენებლები:** დებიტორული დავალიანების ინკასაციის პერიოდი და დაფარვის რიცხვი წელიწადში. ამ მაჩვენებლებს დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის მაჩვენებელსაც უწოდებენ.

**დებიტორული დავალიანების ინკასაციის პერიოდი** – გამოითვლება ასე,

$$\text{დებ. დავალიანებისინკასაციის პერიოდი} = \frac{\text{დებიტორული დავალიანება საშუალო წლიური}}{\text{კრედიტით გაყიდვები წელიწადში.}}$$

მოცემულ ფორმულაში დებიტორული დავალიანებების ნაშთი შეიძლება აღებული იქნეს წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, ან გამოთვლილი იქნეს საშუალო ნაშთი, რომელიც უდრის წლის დასაწყისისა და წლის ბოლოს არსებული ნაშთების ჯამის ნახევარს. ყოველთვის რომელიმე ერთხელ არჩეული ხერხი უნდა იქნეს გამოყენებული.

**დებიტორული დავალიანების ინკასაციის პერიოდი** – გვიჩვენებს რამდენი დღე დასჭირდა დებიტორებს მისი დაფარვისათვის, დავალიანების წარმოშობის მომენტიდან. იგი შეიძლება გამოთვლილი იქნას სხვა გზით, კერძოდ დებიტორული დავალიანებების ნაშთის გაყოფით საშუალო დღიურ გაყიდვებზე. დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვი წელიწადში უდრის წლიური კრედიტით გაყიდვები გაყოფილი დებიტორული დავალიანების ნაშთზე; დაფარვის რიცხვი წელიწადში უდრის 365 დღე გაყოფილი ინკასაციის პერიოდზე.

**დებიტორული დავალიანების მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლებია:** – დებიტორული დავალიანებების ხვედრითი წილი მიმდინარე აქტივებში; დებიტორული დავალიანების სტრუქტურული და დინამიკური მაჩვენებლები; საეჭვო და უიმედო ვალების ხვედრითი წილი დებიტორული დავალიანების მიმართ; დებიტორული დავალიანებების დაფარვის (ინკასაციის) პერიოდი დღეებში და დაფარვის რიცხვი წელიწადში; დებიტორული დავალიანებების დევერიჯის (რისკის ხარისხის) კოეფიციენტები.

**დებულება დეპოზიტური საქმიანობის შესახებ** – ადგენს მოთხოვნას ამ საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციებისათვის და იმ ცალკეული ქვედანაყოფებისათვის, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ დეპოზიტურ საქმიანობას ეწევიან. სტრუქტურაზე დამოკიდებულებით, ბანკები შეიძლება იქმნებოდეს როგორც სამმართველო ან განყოფილება, ისე განყოფილების ფარგლებში სექტორიც. აშკარაა, რომ მომავალში უფრო მკვეთრი იქმნება ამ ქვედა-

ნაყოფების გამიჯნვის წესები, რომლებიც ამა თუ იმ საქმიანობას განახორციელებენ.

**დედა საზოგადოება** – ავიაკომპანია, რომელიც ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს სხვა ავიაკომპანიებში.

**დედუქცია** – ნიშნავს მსჯელობას კერძოდან ზოგადიდან კერძოსაკენ, ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნებისაკენ, ინდუქცია და დედუქცია ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ.

**დევალვაცია** – (devaluation) [ლათ.de - tvaleo]-ს ცენტრალური ბანკის აქცია, რომელიც ვლინდება ეროვნული ვალუტის ფიქსირებული კურსის შემცირებაში უცხოურ ვალუტებთან შედარებით. დევალვაცია გამოიყენება საგადასახადო ბალანსის დეფიციტის შემცირებისათვის, მაგრამ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ვინაიდან იგი უარყოფითად აისახება ეროვნულ ეკონომიკაზე. ასეთ შემთხვევაში უცხოური ვალუტის მფლობელები დაბალ ფასებში იძენენ ადგილობრივ საქონელს, ხოლო შიგა ბაზარზე ფასები იმპორტზე იზრდება. თუ საექსპორტო პროდუქციის წარმოება არ გაიზრდება. მაშინ ექსპორტისგან ნაკლები იქნება შემოსავალი, რაც კიდევ უფრო გაამწვავებს საგადასახადო ბალანსის პრობლემას; ოქროს პარიტეტის გაუქმებამდე (1978) დევალვაცია გამოხატავდა აგრეთვე ფულად ერთეულში (ეროვნულ ვალუტაში) ოქროს შემცველობის ოფიციალურ შემცირებას ან მისი კურსის დაცემას სხვა ქვეყნების ვალუტებთან შედარებით.

**დევალვაცია** – გულისხმობს ეროვნულ ფულად ერთეულში ოქროშემცველობის ან მისი კურსის ოფიციალურ შემცირებას სხვა ქვეყნების ვალუტასთან შედარებით. დევალვაცია საკანონმდებლო წესით განამტკიცებს ქაღალდის ფულის ფაქტობრივ გაუფასურებას. იგი ფულადი რეფორმის ერთ-ერთი მეთოდია. დევალვაციის მიზანია საგადასახდელო ბალანსის გრძელვადიანი დეფიციტის გაწონასწორება. დევალვაცია გულისხმობს მხოლოდ ფულის კურსის ოფიციალურ შემცირებას სხვა ქვეყნის ვალუტასთან შედარებით.

**დევიაცია** – გემის გადახრა  პირდაპირი მსვლელობის გზიდან, როდესაც დევიაცია არაა გამოწვეული მიზეზებით, რაც დაკავშრებულია კანონებთან ანდა მხარეთა შეთანხმებებთან, ის წარმოადგენს გემთმფლობელის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დარღვევას და ის პასუხს აგებს დამფრახტველის წინაშე, იმავე დროს დევიაცია შეიძლება შეთანხმებული იქნას გემთმფლობელის მიერ დამფრახტავთან.

**დევიზი** – (exchange) (ფრანგ.devises) უცხოურ ვალუტაში გამოხატული საგადასახადო საშუალება, რომლითაც ხორციელდება საერთაშორისო ანგარიშსწორება. დევიზად ითვლება თამასუქი, ჩეკი, ფულადი გზავნილი, უცხოური ფასიანი ქაღალდები, აკრედიტივი და სხვ.

**დეზინფლაცია** – (desinflation) ეკონომიკაში ფასის ზრის ტემპი დაცემის ტენდენცია.

**დეკლარანტი** – (ანუ ამ დოკუმენტის შემკრები) არის ტვირთის მფლობელი ან მისი რწმუნებით, საბაჟო ბროკერი.

**დეკლარაცია** – არის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას საქონლის გამომგზავნ-მიმღებზე, ღირებულებაზე, შეფუთვაზე, დაბეგვრის რეჟიმზე, ოდენობაზე და ა.შ. ის დგება ძირითდი სასაქონლო დოკუმენტის ბაზაზე: ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) ან კონოსამენტი, კომერციული ხელშეკრულება, წარმოშობისა და შეფუთვის სერთიფიკატი და ა.შ.

**დეკლარაცია დაუყოვნებელი საბაჟო განთავისუფლების შესახებ** – იმპორტიორის მიერ აუდიტის დასკვნა გაცემული დოკუმენტაცია, რომელშიც ორგანოები იუწყებიან, რომ საქონელი გადმოტვირთულია სატრანსპორტო საშუალებებიდან და განთავსებულია იმპორტიორის სათავსოებში საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის დაუყოვნებელი გამონთავისუფლების შესახებ მიღებული დებულების შესაბამისად, ან როგორც მოცემულია თხოვნა აღნიშნული მოქმედების განხორციელების შესახებ.

**დეკლარაცია საშიში ტვირთების შესახებ** – გამოყენებული კონვენტაციების ან დადგენილებების საფუძველზე ტვირთის მიმღების მიერ გამოწერილი დოკუმენტია, რომელშიც გადაზიდვის მიზნით აღწერილია საშიში ტვირთები ან მასალები და მოცემულია განცხადება გამოყენებული კონვენციების დებულებების და დადგენილებების შესაბამისი სათანადო სახის შეფუთვასა და იარლიყებით უზრუნველყოფის შესახებ.

**დეკლარაცია შიდა მოხმარების საქონლის შესახებ** – დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს საიმპორტო საბაჟო გაწმენდისათვის საჭირო მონაცემებს საქონლის შესახებ.

**დეკლარაციები საქონლის წარმოშობის შესახებ** – შესაბამისი განცხადებაა იმ საქონლის შესახებ, რომელიც შეტანილია კომერციულ ანგარიშში ან საქონელზე არსებულ სხვა დოკუმენტში დამამზადებლის. მწარმოებლის მიმწოდებლის, ექსპედიტორის ან სხვა კომპეტენტური პირის მიერ მისი ექსპორტირებისას.

**დეკუვერი** – (decouvert) ფრანგ. Decouvert - თავდაუხურავი) სხვაობა ქონების ფასსა და სადაზღვევო თანხას შორის, დატოვებული დამზღვევის რისკზე.

**დელეგირება** – ეს არის საშუალება, რომლის დახმარებითაც ხელმძღვანელობა ურთიერთობას ამყარებს უფლებამოსილებათა დონეებს შორის.

**დელეგირება** – როგორც ტერმინი, მართვის თეორიაში გულისხმობს ამოცანებისა და უფლებამოსილებების გადაცემას პირისათვის, რომელიც თავის თავზე იღებს მათი შესრულების პასუხისმგებლობას.

**დელეგირება** – უფლებებისა და ამოცანების გადაცემა ადამიანისათვის, რომელიც ხდება მათზე პასუხისმგებელი.

**დელივერი** – (delivery order) წერილობითი განკარგულება საქონლის გადაცემის შესახებ.

**დელივერი ორდერი** – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს განკარგულებას მასში მითითებულ პირზე. დელივერ-ორდერი გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთი, რომელიც

გადაიზიდება თითო კონოსამენტით, ექვემდებარება გადაცემას ნაწილების მიხედვით სხვადასხვა მომხმარებელზე.

**დელისტინგი** – (delisting) აქციების ამოღება საკოტირო სიიდან ბირჟის ან თვით კომპანიის გადაწყვეტილებით. დელისტინგი ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ აქციები კომპანიამ უკან დააბრუნა ან გადაცვალა; ბ) თუ კომპანიას ჩამოერთვა აქტივები ან გაკოტრდა; გ) თუ აქციების საჯარო გავრცელების მასშტაბი უმნიშვნელოა; დ) თუ კომპანია აძლევს ხელშეკრულებას ლისტინგის შესახებ და ა.შ.

**დემერეჯი** – (demurrage) ხელშეკრულება საზღვაო გადაზიდვების შესახებ, რომლის თანახმადაც გემის დამქირავებელი (დამფრახტველი) უხდის ჯარიმას გემის მფლობელს ხელშეკრულებით დადგენილი ზენორმატიული დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის.

**დემერეჯი** – გემთმფლობელის მიერ დაწესებული ჯარიმაა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამფრახტავმა სტალიური დროის გადაჭარბების შემთხვევაში, ხოლო დისპაჩი გემთმფლობელის მიერ დამფრახტავისათვის გათვალისწინებული გასამრჯელოა (პრემია), რომელიც გაიცემა გემის ვადაზე ადრე ჩატვირთვის (გადმოტვირთვის) შემთხვევაში.

**დემერეჯი** – ფულადი ანაზღაურება, შეთანხმებული განაკვეთის მიხედვით, რომელსაც გადაუხდის გემთმფლობელს დამფრახტველი გემის მოცდენისათვის, სატვირთო ოპერაციების ქვეშ დროის დაფრახტვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმაზე მეტის შემთხვევაში.

**დემოგრაფიული აფეთქება** – მიახლოების რიცხვის მკვეთრი დაჩქრებული ზრდა იმის შედეგად, რომ დამყარდა მოსახლეობის გამრავლების შუალედური ტიპი. როგორც წესი, ამ პერიოდში სიკვდილიანობის შემცირება მნიშვნელოვნად უსწრებს შობადობის შემცირებას, რაც იწვევს მოსახლეობის რიცხვის დაჩქარებულ გადიდებას.

**დემოგრაფიული გადასვლა** – კონცეფციაა, რომელსაც იყენებს თანამედროვე დემოგრაფიაში მოსახლეობის გამრავლების ტიპების ცვლის ახსნისათვის. დემოგრაფიული გადასვლის არსია მოძრაობა მოსახლეების გამრავლების ტრადიციული ტიპიდან (დიდი შობადობა და დიდი სიკვდილიანობა) მთელი რიგი გარდამავალი ეტაპების მეშვეობით თანამედროვე ტიპისაკენ, რომელიც ეფუძნება დაბალ შობადობასა და დაბალ სიკვდილიანობას.

**დემოგრაფიული კრიზისი** – მოსახლეობის გამრავლების მკვეთრი გაუარესების პროცესი, რაც  იმით გამოიხატება, რომ მკვეთრად მცირდება მოსახლეობის რიცხვის ზრდის ტემპი და მთელ რიგ შემთხვევებში იგი ბუნებრივად კლებულობს, აგრეთვე მოსახლეობა დემოგრაფიულად ბერდება.

**დემოკრატიულ სისტემაში** – უმაღლესი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის – ე.ი. მოქალაქენი მონაწილეობენ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

**დემოკრატიული პოლიტიკური სისტემისაგან განსხვავებით** - ტოტალიტარიზმი ემყარება სახელმწიფო დირექტივებს. ამ სისტემაში ყველა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო. ტოტალიზმის კლასიკურ მაგალითად, მიჩნეული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირი, რომლის იდეოლოგია კომუნიზმი იყო.

**დემოკრატიული ხელმძღვანელი** – ეყრდნობა მოსაზრებას, რომ ადამიანები მოტივირებული არიან უმაღლესი დონის მოთხოვნილებებით; აქედან გამომდინარე, იგი (ხელმძღვანელი) ცდილობს არ მოახვიოს თავს ხელქვეითებს მოტივირებისათვის ქმნის ისეთ კლიმატს, სადაც ადამიანები თვითონ ახდენენ საკუთარ მოტივაციას.

**დემონოპოლიზაცია** – (demonopolization) სახელმწიფო პოლიტიკა, მიმართული წარმოების მონოპოლიზებული სტრუქტურის წინააღმდეგ და კონკურენციის განვითარებისაკენ. ხორციელდება საკანონმდებლო ღონისძიებების საფუძველზე და თანაბარ პირობებს ქმნის საკუთრების სხვადასხვა ფირმისათვის. დემონოპოლიზაცია განაპირობებს

მეწარმეთა რაოდენობის ზრდას. კონკურენციის განვითარების ხელშემშლელი მიზეზების აღმოფხვრას.

**დემპინგი** – (dumping) {ინგლ. ჩამოგდება, ჩამოშვება] საქონლის ექსპორტი ხელოვნურად შემცირებული ფასით (საშუალო საბაზრო დონეზე ბევრად იაფად), პოტენციური კონკურენტების შევიწროებისა და ბაზრის დაპყრობის მიზნით. დემპინგის წინააღმდეგ იყენებენ სპეციალურ საბაჟო გადასახადს.

**დენომინაცია** – (denomination) ქვეყნის ფულადი ერთეულის გამსხვილება ძველი ფულის ნიშნების ახლით შეცვლით საფუძველზე, დადგენილი თანაფარდობით. ანალოგიური თანაფარდობით გადაანგარიშებენ ფასებს, ტარიფებს, ხელფასებს, ბანკების ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებს, საწარმოთა ბალანსებს და ა.შ.

**დეპოზიტარიუმი** – ბანკის სპეციალური სტრუქტურაა, რომელიც უზრუნველყოფს ფასეულობათა, მათ შორის კრედიტის უზრუნველმყოფ ფასეულობათა მიღებას და შენახვას.

**დეპოზიტები** – ბანკის კლიენტების კერძო და იურიდიული პირების (საწარმოების, სააქციო საზოგადოებების, ამხანაგობების) მიერ გარკვეულ ანგარიშებზე შეტანილი ფულადი სახსრები, რომლებსაც იყენებენ ანგარიშის რეჟიმისა და საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად.

**დეპოზიტები ბანკის კლიენტების** – კერძო და იურიდიული პირების (საწარმოების, სააქციო საზოგადოებების, ამხანაგობების) მიერ გარკვეულ ანგარიშებზე შეტანილი ფულადი სახსრები, რომლებსაც ისინი იყენებენ ანგარიშების რეჟიმისა და საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად.

**დეპოზიტების დაზღვევა** – რისკისაგან თავის დაცვის კიდევ ერთი მეთოდია დეპოზიტების დაზღვევა. 1934 წელს შეიქმნა დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია. იგი იმ მეანაბრეს იცავს, რომელსაც 100 ათას დოლარზე ნაკლები თანხა აქვს სახელმწიფოს მიერ დაზღვეულ ნებისმიერ ბანკში. ამ კორპორაციის შექმნის

მიზანი იყო საბანკო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნება.

**დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია** – არის ფედერალური სააგენტო, რომელიც ბანკებისათვის მიბა-რებული განსაზღვრული მოცულობის დეპოზიტების დაბრუნების გარანტიას უზრუნველყოფს და რომელიც სადაზღვევო პრემიების სიდიდეს განსაზღვრავს.

**დეპოზიტი** – (ლათ) ნიშნავს შესანახად განკუთვნილ ნივთს.

**დეპოზიტი** – მოკითხვამდე (demand deposit, deposit money) ანაბრის სახით მოკითხვამდე ბანკში შენახული ფულადი სახსრები.

**დეპოზიტი** – წარმოადგენს კომერციული ბანკების რესურსების უმნიშვნელოვანეს წყაროს. მათი სტრუქტურა ბანკში მოძ-რავია და ფულადი ბაზრის კონიუნქტურაზე დამოკი-დებული.

**დეპოზიტი** – 1. (ლათ. Depositum-შესანახად დატოვებული ნივთი) ფულადი ანაბრები ბანკში (საბანკო დეპოზიტები); ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრები, რომლებიც გადაცემულია შესანახად საკრედიტო დაწესებულებაში, რაც წარმოებულია გადასახდელების სახით, მოთხოვ-ნილი საზღაურის გასაცემად; ჩანაწერები საბანკო წიგ-ნებში, რომელიც მოიცავს ან ადასტურებს კლიენტის მოთ-ხოვნებს ბანკის მიმართ. 2. შესანახად შეტანილი ფულადი სახსრები ან ფასიანი ქაღალდები, საფინანსო-საკრედიტო, ადმინისტრაციულ და საბაჟო ორგანიზაციებში. 3. მოვალის მიერ სასამართლო დაწესებულებებში კრედიტისათვის გადასაცემად შეტანილი ფულადი თანხა ან ფასიანი ქაღალდები. 4. კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადე-პოზიტო დაწესებულებაში შესანახად შეტანილი ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები ან გადახდის სხვა საშუალებები.

**დეპოზიტი** – მოთხოვნამდე (sightdeposit ibill) საბანკო ანაბარი, რომლის გამოტანაც მოთხოვნისთანავე შეიძლება.

**დეპოზიტორი** – (depositor) 1. დეპოზიტის მფლობელი; სხვაგვარად დეპონენტი; 2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც ეკუთვნის ფულადი თანხა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ეს ფული განსაზღვრულ ვადაში არა აქვთ საწარმოებს, ორგანიზაციებს.

**დეპოზიტორი** – (შემტანი, წარმომადგენელი), ავსებს საბანკო სადეპოზიტო ხელშეკრულების სავალდებულო რეკვიზიტებს და ხელს აწერს მას.

**დეპოზიტორი** – დეპოზიტის მფლობელი; ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც ორგანიზაციამ უნდა გადაუხადოს ფულის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც მას რაიმე მიზეზის გამო ადრე არ ჰქონდა მიღებული.

**დეპოზიტური ბანკები** – ბანკები, რომლებიც ახორციელებენ საბანკო ოპერაციებს ძირითადად დეპოზიტების (ანაბრების) მოზიდვის ხარჯზე.

**დეპოზიტური მომსახურება** – სააგენტოს მომსახურების სახე, ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის. მას ეკუთვნის მომსახურების შემდგი სახეები: ფასიანი ქაღალდების ნაწილობრივი სერთიფიკატის ან გლობალური შენახვა, აქციონერების რეესტრის წარმოება, ემიტენტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოება, მისი აქციების განთავსება და ახალ აქციებზე ან ობლიგაციებზე გადაცვლა და ა.შ.

**დეპოზიტური სერთიფიკატი** – დოკუმენტი რომელიც მოწმობს ფულადი სახსრების ჩადებას, მათ მოთავსებას დეპოზიტზე ბანკში. ანაბარი დეპოზიტურ სერთიფიკატზე თავსდება ბანკის მიერ სარგებლის განაკვეთის გამოცხადებისას, მაგრამ არამყარი ფინანსური სიტუაციისა და ინფლაციის მაღალი დონის პირობებში სარგებლის სტაბილურობა გარანტირებული არ არის. ანსხვავებენ: ა) მოკითხვამდე დეპოზიტურ სერთიფიკატს, რომლის მეშვეობითაც ფულის მიღება ბანკიდან ნებისმიერ დროს შეიძლება; ბ) ვადიან დეპოზიტურ სერთიფიკატს, რომლის დროსაც ფულის მიღება შეიძლება განსაზღვრულ ვადაში.

**დეპოზიტურია ისეთი ოპერაციები** – რომლითაც ბანკები იურიდიული და ფიზიკური პირების ფულად სესხებს იზიდავენ ანაბრებზე გარკვეული ვადით ან მოთხოვნამდე. დეპოზიტური ოპერაციების ობიექტებია დეპოზიტები ანუ ფულადი სახსრების თანხები, რომლებიც დეპოზიტური ოპერაციების სუბიექტებს შეაქვთ ბანკში. ისინი გარკვეული დროის განმავლობაში ინახება ბანკის ანგარიშებზე საბანკო ოპერაციების განხორციელების მოქმედი წესის თანახმად.

**დეპონენტი** – (deposition) [ლათ.depones (deponentis) გადამწყობი] იგივეა რაც დეპოზიტორი.

**დეპონირება** – (deposition) ფულადი თანხის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფასეულობების შესანახად გაცემა საკრედიტო დაწესებულებისთვის.

**დეპორტი** – (deport) სპეციალური, საბირჟო გარიგება, რომელიც ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემას, კურსთაშორისი სხვაობით მოგების მიღების მიზნით.

**დეპრესიული რაიონი** – (depressed area) გეოგრაფიული ზონა, ან რაიონი, რომელიც გაცილებით მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია, ვიდრე ქვეყანა მთლიანად „დეპრესიულობის“ ინდექსად ყველაზე მეტად გამოიყენება უმუშევართა წილი შრომისუნარიანთა საერთო რიცხოვნებაში. ამასთან გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობის სხვა ინდექსშიც, მათ შორის, ეკონომიკური ზრდის ტემპები და შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე. მოსახლეობის გადინება რეგიონიდან აგრეთვე განიხილება როგორც დეპრესიული რაიონის მახასიათებელი. ბევრ ქვეყანაში მთავრობა ატარებს რეგიონალურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია დეპრესიული რაიონების ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**დერივატივები** – ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც საფუძვლად უდევს უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტები – აქციები, ობლიგაციები, ვალუტა. დერივატი-

ვების ძირითადი სახეობანია ოფციონერები (რომლებიც მის მფლობელს აძლევს უფლებას გაყიდოს ან იყიდოს გარკვეული აქციები), სვოპები (შეთანხმებები ფულადი გადასახდელების გაცვლის შესახებ გარკვეული დროის განმავლობაში), ფიუჩერსები (კონტრაქტები მომავალი მიწოდების, მათ შორის დაფიქსირებული ფასით ვალუტის მიწოდების შესახებ). დერივატივების ბაზარი მჭიდროდ არის დაკავშირებული სავალუტო ბაზართან, უწინარეს ყოვლისა, იმის გამო, რომ აქ ხშირად იცვლება ერთი ვალუტა მეორეზე, ან ერთი ვალუტის ფასიანი ქაღალდები მეორე ვალუტის ფასიან ქაღალდებზე.

**დერივატივი** – ფინანსური ოპერაცია (ოფციონი, ფორვარდი, სვოპი), რომლის დროსაც ერთ-ერთ მხარეს აქვს უფლება ან ვალდებულება, განახორციელოს საქონლის, ფასიანი ქაღალდების ან ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები დადგენილ ფასსა და დადგენილ დროში.

**დერივატივი** – ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის საფუძველზე წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, ხელშეკრულება (ოფციონი, ფიუჩერსი, სვოპი), რომელიც დაფუძნებულია ვალუტის, ან ფასიანი ქაღალდების კურსებზე და რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს დააფიქსიროს ყიდვა-გაყიდვის მისთვის სასურველი ფასები.

**დესანტური კარიერა** – მასში იგულისხმება, ხელმძღვანელი თანამდებობის სპონტანურად დაკავება, ხოლო კარიერა „ელვას“ ადგილი აქვს, როცა წარმატების მოპოვება ხდება საგანგებოდ მოკლე დროში.

**დესეტინა –** (destsitatina) [ლათ.decima - მეათედი] 1. მიწის საზომი ერთეული რუსეთში. ცნობილია XV საუკუნის ბოლოდან. თავდაპირველად წარმოადგენდა კვადრატს, რომლის ტვირთები 1/10 ვერსს (2500 კვ საჟენი) უდრიდა. სახაზინო დესეტინა 2400 კვ საჟენით ანუ 1,0925 ჰა განისაზღვრა.

XVIII საუკუნიდან XX საუკუნის 30-იანი წლებამდე რუსეთში გამოიყენებოდა აგრეთვე სამეურნეო ირიბი, სამეურნეო წრიული და საბახჩე ასობით დესეტინები და,

შესაბამისად შეადგენდა 3200, 3600, 10000 კვ საჟენს. ოქ-ტომბრის რევოლუციის შემდეგ, ზომის მეტრულ სისტე-მაზე გადასვლასთან დაკავშირებით დესეტინას გამოყენე-ბის სფერო შეიზღუდა, ხოლო 1927 წელს მთლიანად აიკრძალა; 2. მოსავლის ან სხვა შემოსავლის მეათედი ნა-წილი, რომელსაც გადაიხდის გადასახადის სახით – მოსახ-ლეობა, ეკლესია-მონასტრების შესანახად. თავდაპირვე-ლად, უძველეს დროში არსებობდა ებრაელებთან, შემდეგ კი დასავლეთ ქრისტიანულ ეკლესიებში გავრცელდა. შუა საუკუნეებში კათოლიკური ეკლესია კრეფდა დესეტინას პურისა და ყურძნის მოსავლისაგან (ე.წ. დიდი დესეტინა), საბოსტნე და ტექნიკური კულტურების მოსავლისაგან (ე.წ. მცირე დესეტინა), მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებით მიღებული შემოსავლისაგან (ე.წ. სისხლის დესეტინა). მისი გაუქმება დაიწყო XVIII საუკუნის უკანას-კნელი ათწლეულიდან. პირველად გაუქმდა საფრანგეთში 1789-1790 წლებში, სხვა ქვეყნებში XIX საუკუნის მანძილ-ზე სხვადასხვა პერიოდში. რუსეთში დესეტინა შემოღე-ბულ იქნა X საუკუნეში, ხოლო გაუქმდა XIX საუკუნის ბოლოს.

**დეტალების გაშვება** – გამოშვების ოპტიმალური პარტიის სიდიდე განისაზღვრება ძირითადში დამუშავებული ნამზადების შენახვაზე და ტექნოლოგიური მოწყობილო-ბის გაწყობაზე საწარმოო დანახარჯების თანაფარდობით.

**დეტალების პარტია** – ერთნაირი დეტალების რაოდენობა, დამუშავებული ურთიერთდაკავშირებული სამუშაო ადგილებზე მოსამზადებელ-დამამთავრებელი დროის ერთჯერადი დახარჯვით.

**დეფიციტი** – (deficit, soryae) [ლათ. deficit უკმარისობა] 1. ეკონო-მიკური სიტუაცია, რომლის დროსაც არსებული ფასების პირობებში მოთხოვნა ამა თუ იმ საქონელზე აღემატება მის მიწოდებას. დეფიციტის წარმოშობაზე, წმინდა ეკო-ნომიკური მიზეზების გარდა, გავლენას ახდენს ბუნებრი-ვი პოლიტიკური, ისტორიული და ა.შ. ფაქტორები. ამიტომ

იგი ამა თუ იმ ფორმით შეიძლება არსებობდეს ნებისმიერ სამეურნეო სისტემაში, მათ შორის განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაშიც. ფირმის საქმიანობის ლიმიტირება ხდება მოთხოვნით მის პროდუქციაზე. ამიტომ მოთხოვნას გაფართოებით წარმოშობილი სასაქონლო დეფიციტი ასტიმულირებს წარმოებას, რაც საბოლოო ანგარიშით, მიწოდების გაფართოებაში აისახება. დეფიციტი დაიძლევა მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსირებით, მაგრამ ვინაიდან მიკროდონეზე ასეთი წონასწორობის მიღწევა ძნელია, იქმნება დეფიციტის საპირისპირო ვითარება – შეფარდებითი ჭარბწარმოება. წარმოების პროცესი ციკლურ ხასიათს იძენს, ამა თუ იმ საქონლის გამოშვების მოცულობა კი მასზე მოთხოვნისა და მიწოდების ცვალებადობით ხორციელდება. ამრიგად მეურნეობის საბაზრო სისტემაში დეფიციტს დროებითი ხასიათი აქვს, მისი დაძლევის მექანიზმი კი თვით წარმოებაშია; 2. სიტუაცია, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები აღემატება შემოსავლებს დროის გარკვეულ მონაკვეთში. ჯონ მეინარდ კეინზი იყო პირველი, ვინც წამოაყენა წინადადება, მთავრობის დაგეგმვა დეფიციტი როგორც თავისი ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი.

**დეფიციტის დაფინანსება** – (defice, finasing) ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, რომელსაც იყენებს მთავრობა დეფიციტის დასაფარავად. ეს ტერმინი ასახავს როგორც მთავრობის შიგა საქმიანობას შედეგებით გამოწვეული, ისე საგადასახადო ბალანსის დეფიციტის დაფინანსებას.

**დეფიციტური ვალუტა** – (defice, hard currency) სხვაგვარად - მყარი ვალუტა.

**დეფლატორი** – (implicit price deffactor) ფასების ინდექსი, გამოიყენებული ეროვნული შემოსავლის ერთი და რამდენიმე კომპონენტის დეფლირებისათვის. დეფლატორი პააშეს ფასების ინდექსია. ამიტომ იგი უფრო ნელა იზრდება ვიდრე დესპრესის ფასების ინდექსი, ისეთი, როგორიც არის საცალო და საბითუმო ფასების ინდექსები.

**დეფლაცია** – (deflation) [ლათ. Deflation გამობერვა] ეკონომიკაში ფასების საშუალო დონის დაცემის ტენდენცია ერთობლივი მოთხოვნის დაქვეითების ან საქონლის ღირებულებების დაცემის საფუძველზე, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდის ან მიმოქცევის არხებიდან ჭარბი ფულის ამოღების ხარჯზე. დეფლაცია ინფლაციის საწინააღმდეგო პროცესია და მასთან ბრძოლის საშუალებაა. მას სახელმწიფო ახორციელებს როგორც ფულად საკრედიტო, ისე საგადასახადო მექანიზმით. საკრედიტო ფულად ღონისძიებებს იგი ატარებს საგადასახადო რესტრუქციით, რაც გამოიხატება სარგებლის ნორმის ამაღლებით, კრედიტების ლიმიტირებით, სამომხმარებლო კრედიტის პირობების გაუარესებით და ა. შ. სახელმწიფო ჭარბ ფულს მიმოქცევიდან იღებს, აგრეთვე გადასახადების გადიდებით, ხელფასის „გაყინვით“ სახელმწიფო ხარჯების ზოგიერთი სახის შემცირებით და სხვა ღონისძიებით. დეფლაციური პოლიტიკის განვითარების ტემპების შენელებას და უმუშევრობის ზრდას.

**დეფლაცია** – არის ფულადი მასის შემცირება მიმოქცევის არხებიდან ჭარბი ქაღალდის ფულის ნაწილის ამოღებით. მისი მიზანია დისპროპორციის დაძლევა ფულად და სასაქონლო მასას შორის. დეფლაცია ინფლაციის საწინააღმდეგო პროცესი და მასთან ბრძოლის საშუალებაა. მას ახასიათებს ფასებისა და დანახარჯების საშუალო დონის დაცემის ტენდენცია.

**დეფოლტი** – (default) კომპანიის გაკოტრებულად გამოცხადება ვალების გადაუხდელობის გამო და ფასიანი ქაღალდებზე პროცენტის გაცემის შეწყვეტა.

**დეცენტრალიზებული მოლის** დამახასიათებელი ნიშნებია – 1. ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების სამი მთავარი ფუნქციიდან – სტაბილიზაციური, დისტრიბუციული და ალოკაციური ფუნქციებიდან – პირველი ორის მიკუთვნება ხელისუფლების ცენტრალური ორგანოებისათვის, ხოლო მესამის – ხელისუფლების სამივე დონეს შორის განიხი-

ლება; 2. ხელისუფლების სხვადასხვა დონეთა შორის საგადასახადო უფლებამოსილების დაყოფა ზემოაღნიშნული ფუნქციების განაწილების შესაბამისად.

**დეცენტრალიზებული ორგანიზაცია** – ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის ჩარჩოებში გადაწყვეტილების მიღების უფლებები გავრცელებულია მმართველობის ყველა დონეზე, ქვემდგომი სტრუქტურების ჩათვლით.

**დიდი დეპრესია** – (great depression) - 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ყველაზე ღრმა ისტორიაში, რომელმაც სათავე ნიუ-იორკში აიღო.

**დიდი პრივატიზაცია** – სისტემური რეფორმის დროს ფასიან ან უფასო საფუძველზე სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში მსხვილ და საშუალო საწარმოთა გადაცემა.

**დიდი შვიდეული** – (group of 7) „პირველი სამყაროს“ შვიდი წამყვანი პოსტინდუსტრიული სახელმწიფო (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია და იტალია), რომლებსაც აქვთ ყოველწლიური შეხვედრები მაღალ დონეზე მსოფლიო მეურნეობის აქტუალური პრობლემების განსახილველად.

**დივერსიფიკაცია** – (diversification) [ლათ. diversus სხვადასხვა facere კეთება] მრავალმხრივი განვითარება, ნაკეთობათა ასორტიმენტის გაფართოება; ექსპორტის დივერსიფიკაცია ექსპორტისათვის გაფართოება; ექსპორტის დივერსიფიკაცია ექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების სახეების რაოდენობის გაზრდა.

**დივერსიფიკაცია** – ბანკის სახსრების მიღების წყაროებისა და გამოყენების მიმართულებების დივერსიფიკაციაც რისკის შემცირების ერთ-ერთი ხერხია. ბანკები ჩვეულებრივ ცდილობენ გამოიყენონ რისკის შემამცირებელი დივერსიფიკაციის ორი ტიპი – პორტფელური და გეოგრაფიული.

**დივერსიფიკაციის სტრატეგია** – იმას ნიშნავს, რომ ბანკს სურს მისთვის ახალ ბაზრებზე გასვლა და ამისათვის საკუთარ ასორტიმენტში შეაქვს ახალი სახის მომსახურება. ამით ბანკი თავს აღწევს ერთ პროდუქტზე ან ერთ ასორტიმენ-

ტულ ჯგუფზე მეტისმეტად დამოკიდებულებას. ამ სტრატეგიის გამოყენება განაპირობებს საქმიანობის უნივერსალიზაციას, განსხვავებულ საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებს შორის ზღვარის წაშლას და ფინანსური კონგლომერატების წარმოქმნას.

**დივერსიფიცირებული ორგანიზაცია** – იგი შედგება შეფარდებითად დამოუკიდებელი ნაწილებისაგან, რომელსაც როგორც წესი ქვედანაყოფს უწოდებენ.

**დივერსიფიცირებული პორტფელი** – (diversified portfolio) აქტივების ნაკრები, რომელსაც ფლობს ფირმა. ჩვეულებრივ, იგი მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მაგრამ პრინციპში არ გამორიცხავს რეალურ აქტივებსაც.

**დივიდენდების გაცემის პოლიტიკის თეორია –** ამ თეორიაში ორი სხვადასხვა მიდგომა არსებობს: პირველი მიდგომის მიხედვით, რომელსაც დივიდენდების სიდიდე აქციონერების ერთობლივი სიმდიდრის ცვლილებაზე გავლენას არ ახდენს. ამიტომ ამ მიდგომით, დივიდენდის პოლიტიკის ოპტიმალური სტრატეგია მასში მდგომარეობს, რომ დივიდენდები დარიცხულ იქნას იმის შემდეგ, რაც განხილულ იქნება მოგების ეფექტიანი რეინვესტირების ყველა შესაძლებლობები.

**დივიდენდი** – (dividend) [ლათ. Dividendus განაწილებისათვის დაქვემდებარებული] შემოსავალი, რომელსაც იღებს აქციის მფლობელი აქციონერული საზოგადოების მოგებიდან. ჩვეულებრივი აქციებიდან მიღებული დივიდენდის ოდენობა დამოკიდებულია აქციონერული საზოგადოების მოგებაზე, პრივილეგიური აქციებიდან მიღებული დივიდენდი კი მტკიცედ დადგენილი ფიქსირებული სიდიდეა.

**დივიდენდი** – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საერთო კრების მიერ დადგენილი ტიპის პროცენტის შესაბამისად მოგების განაწილება, დაწესებულებების პარტნიორებს (წევრებს) შორის კაპიტალში მათ მიერ სრულიად ინვესტირებული წილის პროპორციულად.

**დივიდენდი** – კომპანიის გასანაწილებელი მოგებიდან აქციაზე გადასაცემი თანხაა.

**დივიდენდი** – სააქციო საზოგადოების მოგების ნაწილი, რომელიც ყოველწლიურად ნაწილდება აქციონერებს შორის გადასახადების გადახდის, წარმოების გაფართოებაზე გადარიცხვების რეზერვების შევსების, ობლიგაციებზე პროცენტების გადახდისა და დირექტორთა დაჯილდოების შემდეგ.

**დივიზიონური ორგანიზაცია გულისხმობს** – ბანკის დაყოფას რამდენიმე მსხვილ დივიზიონად, ანუ მოგების ცენტრად (profit centers), ან მომსახურებისა და კლიენტების ჯგუფებად. ამ დროს მენეჯერები პასუხს აგებენ თავიანთი დივიზიონერებისა და კლიენტების მოგებაზე. ამით ბანკი პრაქტიკულად დანაწევრებულია შედარებით დამოუკიდებელ ცალკეულ ბანკებად. ამასთან, შენარჩუნებულია ზოგიერთი ფუნქციონალური განყოფილება, რომლებიც დირექციის კონსულტანტების როლს თამაშობენ.

**დიზაჟიო** – (disaggio) [იტალ. disaggio] ფასიანი ქაღალდების საბირჟო კურსის დაცემა მათ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით; ანგარიშობენ პროცენტობით. დიზაჟიო ქაღალდის ფულზე წარმოიშობა ინფლაციის პირობებში და მისი გამოვლენის ერთ-ერთი სახეა. საპირისპიროა – აჟიო.

**დილერები –** საბითუმო, იშვიათად საცალო, შუამავლები, რომლებიც ახორციელებენ ოპერაციებს თავისი სახელით და თავისი ხარჯებით. ისინი შეიძენენ საქონელს მიწოდების ხელშეკრულებით, ხდებიან საქონლის მესაკუთრეები მიწოდების გადახდის შემდეგ და ახორციელებენ მომხმარებელზე საქონლის რეალიზაციას.

**დილერი** – (dealer) [dealer საბირჟო მაკლერი, დალალი] ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საფონდო ბირჟის წევრია და პროფესიულ დონეზე ვაჭრობს ფასიანი ქაღალდებით. ბროკერებისაგან განსხვავებით, რომელიც შუამავალია, დილერი ოპერაციებს საკუთარი ხარჯებით

აწარმოებს. მას არა აქვს უფლება, უშუალოდ კლიენ-ტებთან დადოს შეთანხმება. იგი გარიგებას აწარმოებს ბროკერებთან. შეკვეთებს კლიენტებისაგან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შესახებ იღებენ მხოლოდ ბროკერები. დილერები სპეციალდებიან ფასიანი ქაღალ-დების სახეების მიხედვით. მათი მოგებაა სხვაობა ნაყიდ და გაყიდულ ფასიან ქაღალდებს შორის.

**დილინგური ცენტრები** – ახალი სახის საინვესტიციო მომსა-ხურება – სავალუტო დილინგი კლიენტებისათვის უშუალოდ ხელმისაწვდომს ხდის საერთაშორისო ფინან-სურ ბაზრებს და შესაძლებლობას აძლევს მას, თავისი ხარჯით ჩაატაროს ვალუტის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა აქტების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები.

**დიმაიზ-ჩარტერი** – ხელშეკრულება გემის დაქირავების შესახებ, როდესაც გემთმფლობელი გადასცემს მას დამფრახტველს დათქმულ ვადაში გუნდთან ერთად. გუნდის წევრები ხვდებიან დამქირავებლის მოსამსახურეები, რომელიც თავის თავზე იღებს გემის ყველა ხარჯს ეკიპაჟის ხელფასის ჩათვლით და ანგარიშს უსწორებს გემთ-მფლობელს ჩვეულებრივ ყოველთვიურად.

**დინების მიმართულებით მოცურავენი** – ესენია საწარმოები, რომლებსაც სწორი ორიენტაცია აქვთ დაკარგული და შინაგანი ძალების გავლენით ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას.

**დირექტ-მარკეტინგი** – ეს არის კლიენტებთან პირდაპირი მუ-შაობა, საწარმოს (გამყიდველების) შესაბამისი განყოფი-ლებების წარმომადგენლების თავიანთ კლიენტებთან რეგულარული მისვლა. ის ფართო გამოყენებას პოულობს დაზღვევაში.

**დირექტორატი** – რომელიმე მსხვილი დაწესებულების დირექ-ტორების კოლეგია, რომელსაც სათავეში უდგას გენერა-ლური დირექტორი.

**დირექტორი** – კომპანიის გამგეობის (დირექტოთა საბჭოს) წევრი, რომელიც იურიდიულად პასუხისმგებელია სა-

ხელმწიფოსა და აქციონერების წინაშე, იმაზე, რომ კომპანიამ პატიოსნად შეასრულოს თავისი ვალდებულებები, ხოლო მის მმართველობაში იყვნენ კომპეტენტური ხელმძღვანელები.

**დირექტორთა საბჭო (გამგეობა)** – კომპანიის მართვის ორგანო. მასში შედიან დირექტორები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფოსა და აქციონერების წინაშე კომპანიის საქმიანობაზე.

**დირჰამი** – ძველებური არსებული ვერცხლის მონეტა, ძვირფასი ლითონების წონის ერთეული ეგვიპტესა და სუდანში.

**დისბალანსი** – (disbalance) შემოსავლებისა და ხარჯების, აქტივებისა და პასივების დებეტისა და კრედიტის დაუბალანსებლობა, შეუსაბამობა.

**დისბურსმენის ანგარიში** – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს გემის მომსახურების აგენტის ხარჯების ამონათვალს. დისბურსმენის ანგარიში გასამართლებულ დოკუმენტებთან ერთად უნდა იქნას დამოწმებული გემის კაპიტნის მიერ და გადახდის წესი განისაზღვრება სააგენტო ხელშეკრულებით.

**დისკონტ ბიზნესი** – ეყრდნობა გაუნაღდებელი თამასუქების, ჩეკებისა და მოთხოვნების შეძენის (ბანკის მიერ) ოპერაციების გარკვეული ფასდაკლებით – დისკონტით. დისკონტ-ბიზნესის სახესხვაობაა ბანკის ფაქტორინგული ოპერაციები. ისინი შეიძლება ორგვარი იყოს: რეგრესული უფლებით (ბრუნვით) და რეგრესის უფლების გარეშე (ბრუნვის გარეშე). პირველ შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს სახსრების მიმღებისგან (მიმწოდებლისგან) ამოიღოს გადამხდელის მიერ დაუფარავი ვალდებულება. მეორე შემთხვევაში ბანკს ამის უფლება არა აქვს და ამიტომ იგი უფრო მეტ რისკს ეწევა და უფრო სოლიდურ ჯილდოსაც ითხოვს. ფაქტორინგული ოპერაციის გამო ბანკისთვის მიცემული ჯილდო ამცირებს გაყიდული პროდუქციიდან მიმწოდებლის მიერ მიღებულ შემოსავალს და ამ პროდუქციიდან ფასის ჩამოყალიბებას წარმოადგენს. ფაქტორინგული ოპერაციის ტექნოლოგია იმაში მდგომა-

რეობა, რომ ბანკი საკორესპოდენტო ანგარიშიდან იხდის შეძენილ გადაუხდელ მოთხოვნას და გადახდის თანხას აწერს ანგარიშს „ბანკის ანგარიშსწორება ფაქტორინგული და ფორფეიტინგული ოპერაციების მიხედვით“.

**დისკონტი** – (discount) [ლათ. computare] 1. სარგებლის განაკვეთი, რომლის საფუძველზეც ცენტრალური ბანკი აძლევს კომერციული ბანკს კრედიტს; 2. თამასუქის განაღდება მისი ვადის გასვლამდე ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით ნაკლებ ფასში; 3. საბირჟო და სავალუტო გარიგებისას – შესაბამისად საქონლისა და ვალუტის ფასდათმობა (ფასგამოკლება).

**დისკონტი** – არსებითად ის შემოსავალია, რომელიც გამოითვლება საბანკო პროცენტის მიმდინარე დეპოზიტური განაკვეთის საფუძველზე.

**დისკონტი** –1. საპროცენტო განაკვეთი, რომლის საფუძველზეც ცენტრალური ბანკი აძლევს კომერციულ ბანკებს კრედიტს; 2. საბირჟო და სავალუტო გარიგების შესაბამისად საქონლისა და ვალუტის ფასდათმობა.

**დისკონტირება** – (discounting) კაპიტალურ თანხაზე სარგებლის განაკვეთის დამატება. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება მომავალში გადასახდელი თანხის დღევანდელი ეკვივალენტის დასადგენად. მომავალი თანხის ამჟამინდელი ღირებულება განისაზღვრება დისკონტის კოეფიციენტის დახმარებით, რომელიც სარგებლის ნორმისა და დისკონტირების პერიოდზეა დამოკიდებული.

**დისკონტირება** – კაპიტალურ თანხაზე პროცენტის დღევანდელი ეკვივალენტის დასადგენად მომავალი თანხის ამჟამინდელი ღირებულებაა. განისაზღვრება დისკონტის კოეფიციენტის დახმარებით, რომელიც სარგებლის ნორმისა და დისკონტირების პერიოდზეა დამოკიდებული.

**დისკონტირებული ღირებულება** (discountid value) – მომავალში მოსალოდნელი შემოსავლის ან დანახარჯის (გადასახდელის) ჯამს მინუს კაპიტალზე სარგებელი, როგორც მოლოდინის კომპენსაცია.

**დისკონტის პროცენტი** – (discount rate) განაღდებული პროცენტი - სარგებელი, რომელსაც იხდიან თამასუქის ან სხვა ფასიანი ქაღალდების ყიდვისას მათი ვადის გასვლამდე. სხვაობა თამასუქის ნომინალურ ღირებულებასა და მასში გადახდილ თანხას შორის.

**დისკონტური თამასუქები** – დისკონტური თამასუქის გამოწერისას პროცენტები არ მიეთითება, არამედ მხოლოდ იმ თანხის მოცულობა მიეთითება, არამედ მხოლოდ იმ თანხის მოცულობა მიეთითება, რომელიც თამასუქის მიღებაზე იქნება გამოწერილი. შესაბამისად, საქონლის ან მომსახურების ღირებულება (ანუ თანხა, რომელსაც თამასუქის გამომწერი პირი მიიღებს) ამ თანხაზე ნაკლები იქნება, რომელიც თამასუქის მიღებაზე იქნება გაცემული.

**დისკონტური პოლიტიკა** – ცენტრალური ემისიური ბანკების მიერ განხორცილებული დისკონტური განაკვეთის ამაღლება ან დაქვეითება. დისკონტური პოლიტიკის მიზანია სასესხო კაპიტალზე მოთხოვნის და მიწოდების თანაფარდობაზე, საგადასახადო ბალანსზე და სავალუტო კურსზე სასურველი ზემოქმედება.

**დისკრეტიული ფისკალური პოლიტიკა** – გულისხმობს სახელმწიფოს მიერ გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების შეგნებული მანიპულირებას ეროვნული წარმოების რეალური მოცულობისა და დასაქმების დონისა და სტრუქტურის შეცვლის, ინფლაციაზე და ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაზე ზემოქმედების მიზნით. სახელმწიფო ასეთ პოლიტიკას ეკონომიკური კრიზისის დროს ატარებს.

**დისკრეცია** – (discretion) [ლათ.discretion] ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირების მიერ საკუთარი შეხედულებებისამებრ.

**დისკრეციული მოქმედება** – (discretionary) [ლათ. იხ. დისკრეცია] მოქმედება საკუთარი შეხედულებისამებრ.

**დისკრიმინაცია** – პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის უფლებების და შესაძლებლობების თვითნებური, დაუსაბუთე-

ბელი შეზღუდვა და ხელყოფა. გამოყოფენ დისკრიმინაციის შემდეგ სახეებს: 1. დისკრიმინაცია სამუშაოზე მიღებისას; 2. დისკრიმინაცია პროფესიის არჩევისას ან სამსახურში დაწინაურებისას; 3. დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურებისას; 4. დისკრიმინაცია განათლების მიღებისას ან პროფესიული მომზადებისას;

**დისკრიმინიცაული ფასები** – ს დაწესესება საქონლის გაყიდვა ორ ან მეტ ფასად, რომლებიც წესდება დანახარჯების დაწყებაში სხვაობის გაუთვალისწინებლად

**დისპაშა** – (claims adjustment) [ფრანგ. dispache] გემის ავარიის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ხდება გაანგარიშება რეისის მონაწილე მხარეებს შორის ზარალის გასანაწილებლად.

**დისპაჩი** – (ინგ. Dispatch), [ინგ სისწრაფე] გასამრჯელო, პრემია, რომელსაც გემის მფლობელი უხდის ტვირთის მფლობელს ამ გემის ვადამდე დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის.

**დისპაჩი** – (ინგ. Dispatch), პრემია გემის ვადამდე დატვირთვასა ან გადმოტვირთვაზე. დისპაჩს გემის მფლობელი უხდის ნავსადგურს.

**დისპაჩი** – ჯილდო, რომელსაც უხდის გემთმფლობელი დამფრახტველის დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა ვადაზე ადრე დამთავრებისათვის. არსებითი მნიშვნელობა აქვს დისპაჩის გაანგარიშების წესს. პრაქტიკაში გვხვდება გაანგარიშების ორი ძირითადი ხერხი „გადარჩენილი სამუშაო დროისა“ და „მთელი გადარჩენილი დროისათვის“.

**დისპეჩირება** – წარმოადგენს წარმოების სვლის მუდმივ ოპერატიულ კონტროლსა და უწყვეტ მიმდინარე რეგულირებას პროდუქციის გამოშვებისა და რელიზაციის გეგმის დროული და სრული შესრულების უზრუნველყოფის მიზნით შეკვეთების, ხელშეკრულებების და მყიდველთა მოთხოვნების შესაბამისად.

**დისტანციური საბანკო მომსახურება** – რომლის საშუალებითაც იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საშუალება ეძლევათ ბანკში მოუსვლელად, ისეთი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა ღილაკიანი ტელეფონის აპარატი, ფაქსი, კომპიუტერი ან მობილური ტელეფონი, მიიღონ სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურება.

**დისტანციური სწავლება** – (distance learning) განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემა, რომელიც ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე, ორ მხარეს შორის კონტაქტის გარეშე იძლევა დაშორებულ მანძილზე სწავლების განხორციელების საშუალებას, შესაძლებელს ხდის მინიმალურ დანახარჯებით მსმენელთა დიდი რაოდენობის მიერ მრავალმხრივი და მაქსიმალური მაღალკვალიფიციური ინფორმაციის მიღებას.

**დისტრიბუტორები** – (distributors) ისეთი ფირმებია, რომლებიც ძირითადად ახორციელებენ საიმპორტო ოპერაციებსა და ხელშეკრულებების საფუძველზე ასრულებენ ვაჭართა როლს.

**დისტრიბუტორი** {ინგ.distributor - გამანწილებელი} – ფირმის აგენტი, რომელსაც ევალება ამ ფირმის პროდუქციის რეალიზაცია განსაზღვრულ რეგიონში. იგი მუშაობს შესაბამისი საქონლის მწარმოებელ ფირმასთან დადებული სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე. ბროკერისაგან განსხვავებით დისტრიბუტორი არ არის შუამავალი, იგი ბირჟასთან არ არის დაკავშირებული და მუშაობს არა კლიენტის სახელით ან მისი ანგარიშით, არამედ თავისი სახელით და თავისი ანგარიშით. როგორც წესი მწარმოებელი ფირმა აძლევს თავის დისტრიბუტორს საქონელს გარკვეული ფასდაკლებით, რაც ამ უკანასკნელის შემოსავლის წყაროა. მაგრამ ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით დისტრიბუტორს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ დაადგინოს საბოლოო რეალიზაციის ფასი. ფირმის შეთანხმება ამ სახის აგენტთან გრძელ-

ვადიანია და ითვალისწინებს ორივე მხარის მიერ საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული შემდეგი ფუნქციების შესრულებას: მოცემულ რეგიონში რეკლამის ორგანიზაციას, მომხმარებელთათვის მომსახურების გაწევას, ბაზრის კონიუნქტურისა და მყიდველთა გამოხმაურების ანალიზსა და სხვა. ამ ფუნქციების შესრულებისათვის ფირმა უზრუნველყოფს დისტრიბუტორს საჭირო სარეკლამო პროსპექტებით, აწვდის სათადარიგო ნაწილებს და ა. შ. მსხვილ ფირმებს თავიანთი დისტრიბუტორები ყავთ არამარტო სხვადასხვა რეგიონში, არამედ სხვადასხვა ქვეყანაში. ამიტომ ფირმებში დისტრიბუტორებთან კავშირის დასამყარებლად შექმნილია სპეციალური განყოფილებები.

**დისტრიბუცია** – ნიშნავს „განაწილებას“, საწარმოო ეკონომიკური თვალსაზრისით დისტრიბუცია ნიშნავს წარმოებაში წარმოქმნილი საქონლის განაწილებას მწარმოებლიდან მომხმარებლამდე ბრუნვის პროცესის სახით გასაღების შუამავლების ჩართვით.

**დისტრიბუცია** – წარმოადგენს კომპლექსურ ლოჯისტიკურ საქმიანობას, რომელიც მდგომარეობა მზა პროდუქციის წინსვლაში მწარმოებლიდან საბოლოო (ან შუალედურ) მომხმარებლამდე, გაყიდვების ორგანიზაციამდე, წინასწარი გაყიდვის და გაყიდვის შემდგომი სერვისის ადგილამდე დისტრიბუცია აერთიანებს ელემენტარული და კომპლექსური ფუნქციების დიდ რიცხვს.

**დისტრიბუტორები** – ესაა საბითუმო და საცალო შუამავლები, რომლებიც ახორციელებენ ოპერაციებს წარმოების სახელით თავისი ანგარიშით. მწარმოებელი აძლევს უფლებას დისტრიბუტორებს ივაჭრონ მისი საქონლით გარკვეულ ტერიტორიაზე გარკვეული დროით. დისტრიბუტორები არ წარმოადგენენ საქონლის მესაკუთრეს. ხელშეკრულების საფუძველზე ის ღებულობს მისი გაყიდვის უფლებას.

**დისციპლინა** – რომელიც ფინანსური ანგარიშგების სისტემას შეასწავლის, ბუღალტრულ აღრიცხვას უწოდებენ. ბუ-

ღალტრული აღრიცხვის სისტემები წარმოადგენენ ფინანსური სისტემების საერთო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ნაწილს.

**დიუპონის სისტემა** – ფართოდ გამოყენებულია ფირმის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დროს. ამ სისტემის თანახმად ანალიტიკოსი გამოაცალკევებს ჯამობრივ შემოსავლებს და ჯამობრივ გასავლებს და გამოთვლის მოგების სიდიდეს ინვესტიციურ კაპიტალზე, აქტივების ბრუნვადობას და მარჟას მოგებაზე.

**დიურაცია** – 1. მიმდინარე ღირებულების მიხედვით შეწონილი დაფარვის ვადაა, რომელიც ითვალისწინებს აქტივებიდან მთელ შემოსულობათა (მაგალითად, სესხებსა და ფასიან ქაღალდებზე გადახდათა ნაკადების) და პასივებზე გაწეულ გადახდათა (მაგალითად, შენახულ დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტების ნაკადია) დროით გრაფიკს.

**დიურაცია** – დაფარვის ვადის საშუალო შეწონილი, ხანგრძლივობის ანალიზი გამოიყენება იმ ნაღდი თანხების ნაკადის საშუალო შეწონილი ხანგრძლივობის გამოსათვლელად, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების გამოყენების შედეგად. დიურაცია, აქტივ-პასივების სხვა ფასში გადაანგარიშების მონაცემებზე დაყრდნობით და შერეული საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით, იძლევა საპროცენტო განაკვეთის რისკის უფრო ზუსტი შეფასების შესაძლებლობას. დიურაციის მეშვეობით აღირიცხება ის, თუ როგორ იცვლება ბანკის სახსრების ღირებულება მომავალი ფულადი ნაკადის ახლანდელი ღირებულებით.

**დიურაცია** – ხანგრძლივობის ანალიზი გამოიყენება იმ ნაღდი თანხების ნაკადის საშუალო შეწონილი ხანგრძლივობის გამოსათვლელად, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. დიურაცია, აქტივ-პასივების სხვა ფასში გადაანგარიშების მონაცემებზე დაყრდნობით და შერჩეული საპროცენტო

განაკვეთის რისკის უფრო ზუსტი შეფასების შესაძლებლობას. დიურაციის მეშვეობით აღირიცხება ის, თუ როგორ იცვლება ბანკის სახსრების ღირებულება გარკვეული დროის მონაკვეთში. ამ დროს გამოითვლება მომავალი ფულადი ნაკადის ახლანდელი ღირებულება, რის საშუალებითც შესაძლებელია სწორედ შეჯამდეს შეუსაბამობა აქტივ-პასივების სხვა ფასში გადაანგარიშებისას, ანუ გეპი.

**დიფერენციაცია** – (ლათ) ერთმანეთისგან გამოყოფა (დანაწევრება, დანაწილება)

**დიფერენციაციის სტრატეგია** – იმას აღნიშნავს, რომ ფირმას გეზი დიდ ბაზარზე აქვს აღებული და ერთგვარად უნიკალური ისეთი საქონელი გამოაქვს, რომელიც გამოირჩევა დიზაინით, ხარისხით და ა.შ. ეს მომხმარებელში აყალიბებს ისეთ არჩევანს, რომელიც ძლიერად არაა დამოკიდებული ფასზე.

**დიფერენციაციის სტრატეგია** – იმას აღნიშნავს, რომ ფირმის მიერ თავისი ძალისხმევის კონცენტრაციაში რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელშიაც იგი ცდილობს სხვებზე უპირატესობის მიღწევას.

**დიფერენცირების სტრატეგია** – საწარმო მიისწრაფის კონკურენტებზე უპირატესობის მიღწევისაკენ მომხმარებლისათვის არსებითად მნიშვნელოვან სფეროებში, რომლებიც მოიცავენ ბაზრის ფართო ნაწილს. ფირმა ცდილობს მოიპოვოს ლიდერის პოზიციები სერვისის დონითაც, პროდუქციის ხარისხითაც, მისი გაფორმებით, ტექნოლოგიებით. ლიდერობა ყველა ამ სფეროში სწრაფად არ მიიღწევა.

**დიფერენცირებული მარკეტინგი** – ბაზრის რამდენიმე სეგმენტზე გასვლა, ყოველი მათგანისათვის ცალკეული (მიწოდების) მეშვეობით.

**დიფერენცირებული სვოპი** – ეს არის ერთი მხარის ნეტო-გადასახდელიანი სვოპი მეორის სასარგებლოდ კონტრაქტის დადების დროს.

**დიფერენცირებულობა** – სეგმენტი, როგორც წესი, უნდა შედგებოდეს მომხმარებელთა სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, რომელიც ხასიათდება ერთტიპიური რეაქციით მარკეტინგული პროგრამის სხვადასხვა ელემენტზე. თუ მარტოხელა და ქმრიანი ქალები ერთნაირად რეაგირებენ კონკრეტულ სუნამოზე, მაშინ ისინი შეადგენენ არა ორ სხვადასხვაგვარ, არამედ ერთიან სეგმენტს.

**დოკუმენტაცია** – (საბანკო პოლიტიკის რეალიზაციის და საბანკო საქმიანობის განხორციელების დამკანონებელი, როგორც ტიპიური, ასევე ოპერატიული დოკუმენტების ამონათვალი და შინაარსი).

**დოკუმენტაცია** – არის მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების მიღებასა და მათზე კონტროლის მიზნით აღრიცხვაში გამოსაყენებელი ინფორმაციის წყაროების ერთობლიობა, რომელიც სრულყოფილად ასახავს საწარმოს საქმიანობაში მომხდარ სამეურნეო მოვლენებსა და ოპერაციებს.

**დოკუმენტბრუნვა** – ეწოდება დოკუმენტების მოძრაობას შედგენიდან ან საწარმოში მიღებიდან არქივში გადაცემამდე.

**დოკუმენტების სტანდარტიზაცია** – ნიშნავს ერთგვაროვანი ოპერაციების გასაფორმებლად გამოსაყენებელი დოკუმენტებისათვის ერთი და იგივე სტანდარტული ზომების შემუშავებასა და დადგენას.

**დოკუმენტების უნიფიკაცია** – ნიშნავს ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში ერთგვაროვანი სამეურნეო ოპერაციების გასაფორმებლად ერთიანი ფორმის დოკუმენტების შემუშავებასა და გამოყენებას.

**დოკუმენტების წარდგენის ფორმა** – დოკუმენტაცია, რომლითაც ტრატა ან ანალოგიური ფინანსური დოკუმენტი და (ან) კომერციული დოკუმენტები წარედგინება ბანკს აქცეპტირებისათვის, გასანაღდებლად, დასამუშავებლად ან ინკასოთი ფულის გადასახდელად იმისდა მიუხედავად, ისინი სასაქონლო აკრედიტივითაა წარმოდგენილი თუ მის გარეშე.

**დოკუმენტი** – ადასტურებს ამა თუ იმ ტვირთის, ამა თუ იმ მიმართულებით დროში და სივრცეში მოძრაობას, ანდა დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს ფინანსურ ვალდებულებას ამ ტვირთის ირგვლივ.

**დოკუმენტი** – ანუ იმ პროცესის, იმ სიუხვის მოძრაობის ამსახველი უსტარი, სადაც მითითებულია სიუხვის წარმოშობის, ოდენობის, ღირებულების, მისი შესაბამისობის და ხარისხის მონაცემები.

**დოკუმენტი** – ლათინური სიტყვაა და რაიმე სამეურნეო ფაქტის მოხდენის წერილობითი დადასტურებაა. იგი განსხვავებული შინაარსის სპეციფიკური მოხაზულობის და ზომის ქაღალდია, რომელიც ასახავს თითოეული სამეურნეო ოპერაციას ან ოპერაციათა ჯგუფს. დოკუმენტი შედგება რეკვიზიტებისაგან, იგი დასმული კითხვაა რომლებზეც პასუხი უნდა იქნას გაცემული.

**დოკუმენტი** – ძირითადად, ეს არის საწყისი, ამოსავალი სუბსტანცია, საბაჟო ქმედების ჩატარებისა და ძირითადი მასალა იმისათვის, რომ ჩვენ საბაჟო პოლიტიკა განვახორციელოთ.

**დოკუმენტირება** – ანუ პირველადი აღრიცხვა ეწოდება სამეურნეო ოპერაციებისათვის დამახასიათებელი მონაცემების ასახვას და გაფორმებას სპეციალური მოხაზულობის ბლანკზე.

**დოკუმენტირება** – ფასიანი ქაღალდების დოკუმენტაცია. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა ექვემდებარება სახელმწიფო ხელისუფლების მხრივ კონტროლსა და რეგულირებას. ამასთან ფასიანი ქაღალდები უნდა იყოს ლიკვიდური და მათ ახასიათებდეს რისკის დაბალი ხარისხი.

**დოკუმენტური აკრედიტივი** – (ინგ. Dokumentary letter of credit) აკრედიტივის სახესხვაობა, რომლის პირობის თანახმად ბანკი ვალდებულებას იღებს, მყიდველის ინსტრუქციის თანახმად გადაუხადოს გამყიდველს განსაზღვრული თანხა სასაქონლო განმკარგულებელი დოკუმენტების წარმოდგენის დროს.

**დოკუმენტური ინფორმაცია** – ინფორმაცია, გაფორმებული სტანდარტების შესაბამისად და ჩაწერილი ინფორმაციის რომელიმე მატერიალური მატარებელზე. მაგალითად, შეიძლება გამოდგეს სამეცნიერო ინფორმაციის ნაწილი დაფიქსირებული სამეცნიერო დოკუმენტებში, აგრეთვე სხვადასხვა უწყისები, სტატისტიკური, საბანკო და სხვა დოკუმენტები.

**დოკუმენტური უზრუნველყოფა** – საგეგმო ანგარიშების შეთანხმებისათვის, აგრეთვე კონტროლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათი მნიშვნელოვანი (ძირითადი) ნაწილების დოკუმენტალურად გაფორმებას. დოკუმენტაციის კარგი სისტემა შეიძლება ძვირი ღირდეს, მაგრამ უნდა წავიდეთ ამ ხარჯზე.

**დოლარი (dollar)** – ამჟამად დოლარი მსოფლიოს 27 სახელმწიფოს (ავსტრალია, კანადა, სინგაპური, ახალი ზელანდია ზიმბაბე და ა.შ.) ვალუტას ჰქვია. თუმცა საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა აშშ-ს დოლარი აინტერესებს. იგი შემოღებულ იქნა 1978 წელს. ამერიკული დოლარი (რომელიც 100 ცენტს უდრის) იბეჭდება სპეციალურ ქაღალდზე მასაჩუსეტის შტატის ქალაქ დალტონში. ყოველდღიურად უშვებენ 22 მლნ 500 ათას ბანკნოტს მათ შორის ერთდოლარიანი 45%-ს შეადგენს. ერთდოლარიანის „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ წელიწადნახევრით, ხოლო 100 დოლარიანის 20 წელზე მეტი (2010 წლის მონაცემებით).

**დოლარიზაცია გლობალური მოვლენად** – დოლარიზაცია ფართო გაგებით, განიხილება როგორც უცხოური ვალუტის მიერ ეროვნული ვალუტის განდევნა მიმოქცევისა და დაგროვების სფეროდან. მაღალი და ცვალებადი ინფლაცია ასუსტებს ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული ვალუტის ეფექტური ფუნქციონირების შესაძლებლობას და ზღუდავს მისი მოქმედების არეალს.

**დოლარიზაციის დონე**-ს ამა თუ იმ ქვეყანაში მისი კოეფიციენტით აფასებენ. იგი შეიძლება გაანგარიშებული იქნეს,

როგორც ქვეყნის საბანკო სისტემაში უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების შეფარდება დეპოზიტების ისეთ რაოდენობასთან, ან ფართო ფულის (M3 აგრეგატის) მოცულობასთან.

**დომიცილებული** – თამასუქის ნიშნით გადამხდელის ხელმოწერის ქვეშ მოთავსებული სიტყვები „გადახდა ბანკში“.

**დომიცირებული თამასუქი** – თამასუქი, რომელსაც აქვს შესწორება იმის შესახებ, რომ ის ექვემდებარება განაღდებას მესამე პირის (დომიცილანტის) მიერ გადამხდელის საცხოვრებელ ადგილზე ან სხვა ადგილას. ასეთი შესწორება აღინიშნება თამასუქზე თამასუქის გამცემის მიერ. თუ მასში არ არის მითითებული დომიცილიანტი, ის შეიძლება დასახელებულ იქნას გადამხდელის მიერ აქცეპტის დროს.

**დონ ჯონსის ინდექსი** – საფონდო ბირჟის ინდექსია, იგი გამოიყენება 1884 წლიდან. ამ ინდექსის გამოთვლის ფორმულა შეიმუშავეს ფინანსისტებმა დოუმ და ჟურნალისტმა ჯონსიმ. ამჟამად დოუ-ჯონსის ინდექსი შედგება 3 სხვადასხვა დარგის – 30 ყველაზე ძვირადღირებული ინდუსტრიული კორპორაციის აქციების, 25 სატრანსპორტო კომპანიის აქციების და 15 საზოგადოებრივი მომსახურების კომპანიის აქციების ინდექსისაგან.

**დოტაცია ბიუჯეტიდან** – (budet subsidy) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულადი სახსრების გაცემა დაუბრუნებლობის პირობით. დოტაცია ეძლევათ სახელმწიფო საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს სამეურნეო საქმიანობის შედეგების ბალანსირების მიზნით. ბოლო ხანს ეს ფორმა შეავიწროვა ფინანსური დახმარების ახალმა სახემ სუბსიდიამ.

**დოუპოლია** – შედგება ორი სიტყვისაგან: ორი და ვყიდი. ვაჭრობის ისეთი საბაზრო სისტემა, როდესაც არის გარკვეული მხოლოდ ორი მომწოდებელი, რომელთა შორის არ არსებობს შეთანხმება გასაღების ბაზრის, გასაღების და სხვა შესახებ.

**დრო** – რომელსაც ხარჯავს ცალკეული მწარმოებელი მოცემული საქონლის დამზადებაზე, ინდივიდუალური სამუშაო დრო ეწოდება.

**დროებითი ადმინისტრატორი** – ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებაში დროებით ადმინისტრირებული რეჟიმის განსახორციელებლად დანიშნული პირი.

**დროებითი ადმინისტრაცია** – ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების დროებითი ადმინისტრაცია განსაკუთრებული მუშაობის რეჟიმი, რომელიც მიმართულია დაწესებულებების ფინანსური სიძნელეების, მათ შორის გადახდისუუნარობის აღმოსაფხვრელად.

**დროითი რიგების ანალიზი** – ანალიზი, დაფუძნებული მოსაზრებაზე, რომლის თანახმად წარსულში მომხდარი ფაქტი საკმაოდ საიმედოდ მიუთითებს იმაზე, თუ რა უნდა მოხდეს მომავალში. უწოდებენ, აგრეთვე, ტენდენციების დაპროექტებას.

**დროითი ხელფასი** – ეძლევა მუშაკს ნამუშევარი დროისათვის, მიუხედავად იმისა, რა შედეგია მიღებული. თავის მხრივ დროითი ხელფასი შეიძლება იყოს მარტივი სახის - როცა დადგენილია საათობრივი ანაზღაურების განაკვეთი და კუთვნილი ხელფასი ნამუშევარი საათების შესაბამისად გამოითვლება.

**დროის დისკონტი** – დისკონტირების კოეფიციენტი, დამყარებული რთული პროცენტების ფორმულაზე, რომელიც გამოიყენება სხვადსხვა წლების ეკონომიკური მაჩვენებლების დროში შესადარ სახესთან.

**დროის ელემენტები**

- დრო შეკვეთის ფორმულირებაზე და დადგენილი წესით მის გაფორმებაზე;
- დრო მიზიდვაზე, ანდა მიმწოდებლისათვის შეკვეთის გადაცემაზე;
- მიმწოდებლის მიერ შეკვეთის შესრულების დრო;

– შეკვეთისათვის დამზადებული პროდუქციის მიზიდვის დრო.

**დროის კატეგორია** – ნებისმიერი მოვლენის, მათ შორის ეკონომიკური მოვლენის სიცოცხლის კატეგორია. დრო ბაზრის განვითრების მნიშვნელოვანი სტიმული და საკონკურენტო ბრძოლაში გამარჯვების არსებითი ფაქტორია. გაუსწრო დროს – ნიშნავს, რომ გაუსწრო კონკურენტებსაც.

**დროის ნორმა** – განსაზღვრული საწარმოო პირობებში სამუშაოთა შესრულებაზე საჭირო სამუშაო დროის მეცნიერულად დასაბუთებული დანახარჯები.

**დროის ნორმა** – ერთეული პროდუქციის გამოშვებაზე ან ერთეული სამუშაოს შესრულებაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ერთი მუშის ან მუშათა ჯგუფის მიერ წარმოების განსაზღვრულ ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობებში დროის აუცილებელი დანახარჯები. ოპერაციაზე ან ნაკეთობის ერთეულზე დადგენილ დროის ნორმას უწოდებენ საცალო დროის ნორმას.

**დროის ნორმა** – ეწოდება დროის მაქსიმალურად დასაშვებ დანახარჯებს, რომელიც დადგენილია პროდუქციის დასამზადებლად. იგი გამოიხატება საათობით და წამობით პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით.

**დროის ნორმატივი** – ოპერაციების ცალკეული ელემენტების ან მთლიანად მთელი ოპერაციის შესრულებაზე რეგლამენტირებული დროის დანახარჯი.

**დროის პერიოდი ადგენს** – თუ რა დროში უნდა იქნას მიღწეული მიზანი. იგი განსაზღვრავს მიზნის შინაარსის მოქმედების დროის სფეროს. განასხვავებენ მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებს.

**დროის რეზერვი** – სხვაობა პროექტის დასრულების ყველაზე ხანმოკლე სხვაობა პროექტის დასრულების ყველაზე ხანგრძლივ დასაშვებ პერიოდს შორის. დროის რეზერვი იძლევა თავისუფლებას იმ მოვლენების დაგეგმვისას, რომლებიც არ იმყოფებიან კრიტიკულ გზაზე.

**დროის ხელსაყრელობა** – საქონლის ექსპონირება და მისი არსებობის უზრუნველყოფა იმ დროს როცა მომხმარებელს უნდა მისი ყიდვა.

**დუალიზმი** – (dualism) ურთიერთგამომრიცხავი პრინციპების, ვითრების (სასურველისა და არასასურველის) არსებობა საზოგადოებაში. ასეთი დუალიზმის მაგალითებია: საუნივერსიტეტო განათლება და მასობრივი წერა-კითხვის უცოდინარობა, ფუფუნება და უკიდურესი სიღარიბე, ეკონომიკის ტრადიციული და თანამედროვე სექტორები, ზრდა და უძრაობა და ა. შ.

**დუიმი** – (inch) [ჰოლანდ. dium დიდი თითი] 1. სიგრძის ერთეული საზომთა ინგლისურ სისტემაში; 2. სიგრძის ერთეული საზომთა ძველ რუსულ სისტემაში; გაუქმდა 1918 წელს. 1 დიუმი უდრის 1/12 ფუტს.

**დუოპსონია** – (duospong) საბაზრო სიტუაცია, როდესაც კონკრეტული საქონლის ან მომსახურების ბაზარზე მრავალი გამყიდველი და მხოლოდ ორი მსხვილი მყიდველია. მათ მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ გამყიდველებზე, მაგალითად, შეუძლიათ დასწიონ საბაზრო ფასები.

## ე

**ებიტ-ი EBIT** – პროცენტისა და მოგების გადასახადით დაბეგვრამდე დარჩენილი შემოსავალი.

**ეგზემპლარების რაოდენობა** – ჩვეულებრივ, კონოსამენტი გამოიწერება სამ ორიგინალურ ეგზემპლარად გადაზიდ–ვის ხელშეკრულების მხარეთა რაოდენობის შესაბამისად. კონოსამენტის ყველა ფორმის დაბეჭდილ ტექსტში მითითებულია, რომ ერთ-ერთი მათგანის შესრულებისას ყველა დანარჩენი კარგავს ძალას. კონოსამენტის ორი ეგზემპლარი გადაეგზავნება მიმღებს ანდა მის ნდობით აღჭურვილ (უფლებამოსილ) ბანკს. კონოსამენტის ორიგინალში ისმება შტამპი „ორიგინალი“ (original). კონოსამენტის ასლები სამსახურებრივი საჭიროებისათვის (პორტი-

სათვის, გემის აგენტის ექსპედიტორის, მებაჟეს, სტივიდორის და ა.შ.) მზადდება საჭირო რაოდენობით, ხოლო იმისათვის, რომ ხაზი გაესვას მათ დამხმარე ხასიათის, მასზე ისმება შტამპი „ასლი“(copy, copy not negotiable).

**ეგზოგენური მტპ(exogenous scientific technological progress; ბერძ. Exo - გარედან, genos - გვარი/მოდგმა)** – ეგზოგენური (გარეგანი გზებით წარმოქმნილი) ტექნოლოგიური პროგრესის წარმოებრივი ფუნქცია. გულისხმობს ტექნოლოგიური პროგრესის გარედან მართვას. წარმოების ადამიანური ფაქტორი. საპირისპირო – ენდოგენური მტპ.

**ეგთო** – ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომლის წევრ ქვეყნებში ითვლება შემდეგი ქვეყნები: ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, აშშ, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იაპონია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, შვეცია, შვეიცარია.

**ეგო მარკეტინგი** – ცალკეული პიროვნების (სპეციალისტის, საზოგადოებრივი მოღვაწის) მარკეტინგი.

**ევალვაცია** – შეფასება, გამოთვლა, გამოანგარიშება.

**ევენტუალური დაგეგმვა** – განსაკუთრებული შემთხვევის მიხედვით დაგეგმვა. სხვადასხვა ვითარების პირობებში დაგეგმვა.

**ევრო** – ევროკავშირის ერთიანი ვალუტა, რომელიც შემოვიდა 1999-2002 წლების პერიოდში და ასრულებს ფულის ყველა ფუნქციას, როგორც ეროვნული ვალუტა.

**ევრო** – ერთიანი ევროპული ვალუტა, ოფიციალური ფულის ერთეული შემოღებული ეკიუს ნაცვლად 1999 წლის იანვრიდან. ევროზონაში შევიდა 12 ქვეყანა: ავსტრია, ბელგია, საბერძნეთი, გერმანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი. 2007 წლიდან მას დაემატა სლოვენია, ხოლო 2008 წლის იანვრიდან კვიპროსი და მალტა. შემოღების მომენტიდან ევროს გაცვლითი კურსი ასეთი იყო: 1

ევრო - 1 ეკიუ. 2002 წლის 1 იანვრამდე არსებობდა უნაღდო სახით. ბანკნოტებისა და მონეტების სახით მიმოქცევაში შევიდა 2002 წლის 1 იანვრიდან. სახელწოდება „ევრო“ შეთანხმებულ იქნა ევროკავშირში 1995 წლის დეკემბერში. ევროზონაში სავალუტო პოლიტიკა წარიმართება დამოუკიდებელი ევროპული ცენტრალური ბანკის მიერ ფასთა სტაბილურობის ძირითადი მიზნის მისაღწევად. ევროს სიმბოლოა. იგი შექმნა ევროკომისიამ და საჯაროდ გამოაცხადა დუბლინში 1996 წლის დეკემბერში. ამჟამად საქართველოში სავალუტო რეზერვი ორ ვალუტაშია განთავსებული – ამერიკულ დოლარსა და ევროში. მათი თანაფარდობა გახდა 60% 40%-თან მსოფლიოში და, ბუნებრივია, საქართველოშიც, მიმდინარე პროცესების ცვლილებებიდან გამომდინარე, დოლარსა და ევროს რეზერვებს შორის თანაფარდობა შეიცვალა. 2010 წლის მონაცემებით, ეს თანაფარდობა 75% 22-23%-თან (დანარჩენი 2-3% სხვა სრულად კონვენტირებადი ვალუტებია.

**ევროაქციები** – აქციები, რომლებსაც ტრანსეროვნული კორპორაციები ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში ათავსებენ.

**ევროდოლარები** – ფინანსური რესურსები, რომლებიც ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყნების ბანაკებში შევიდა და ემსახურებიან მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობას და ამიტომ დაკარგეს თავიანთი ეროვნული კუთვნილება. ეს სახსრები ძირითადად დოლარებსა და ევროპულ ვალუტებშია, უპირატესად დეპოზიტებზეა ძირითადად ევროპაში, ამიტომ მათ ევროვალუტებს უწოდებენ, ანდა ასეთი ფინანსური აქტივების მთავარი ვალუტის სახელწოდების მიხედვით – ევროდოლარებს, თუმცა კოსმოპოლიტიზებული (ე.ი. ეროვნული კუთვნილება დაკარგულის) სავალუტო რესურსების მნიშვნელოვანი მასა მიმოქცევა არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს სხვა რეგიონების ფინანსურ ცენტრებში.

**ევროდოლარი (Eurodollar)** – ევროპული დოლარი. ამერიკული დოლარით გამოხატული ფულადი საშუალება, რომელსაც

მფლობელები ათავსებენ აშშ-ის ფარგლებს გარეთ, უმთავრესად ევროპულ ბანკებში და იყენებენ ოპერაციებისათვის. ევროდოლარის ბაზარი წარმოიშვა XX საუკუნის 50-იანი წლების დამლევს.

**ევროთამასუქები** – ხანმოკლე ობლიგაციები ევროდოლარებში (იხ. ევროდოლარები).

**ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭო (EUGBC)** – შეიქმნა 2006 წლის 3 თებერვალს ბრიუსელში ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებისა და ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. მის დაფუძნებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ (GGMW), STATOIL-მა და კანარგომ ამავე წელს საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია გახდა ამ საბჭოს წევრი.

**ევროკონტროლი (Eurocontrol – European Organization For The Safety Of Air Navigation)** – ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზაცია), მისი საქმიანობის მიმართულებებია: ფრენის მართვა და სანავიგაციო მომსახურება, საჰაერო მიმოსვლის მართვის პოლიტიკის წარმართვა, უცხო სახელმწიფოებს შორის საჰაერო მიმოსვლებზე გადასახადების განსაზღვრა და მისი წარდგენა ავიაკომპანიებზე. ევროკონტროლის სათაო ოფისი ბელგიაში იმყოფება.

**ევროკრედიტები** – უპირატესად ესენი სინდიცირებული ევროკრედიტებია, ე.ი. კრედიტები რომლებსაც მსესხებელი იღებს ევროდოლარებში ბანკების სინდიკატისგან, რომელიც ამ კრედიტით იქმნება.

**ევროობლიგაცია (Eurobond)** – ფასიანი ქაღალდი, რომლის ემისიას ახორციელებს სახელმწიფო ევროპის ბაზარზე (საფონდო ბირჟებზე გასაყიდად). ვალის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც სახელმწიფო იღებს სსესხად და ამისათვის იხდის საკმაოდ მაღალ პროცენტს. იგი შედარებით ძვირი სესხია, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ

გაცემული სესხები. ამასთან ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, არ ხდება მისი მიზნობრიობისა და ხარჯვის გაკონტროლება.

**ევროპის ეკონომიკური ასოციაცია –** (European Economy Community, EEC; Communaute Economique Europeenne, CEE; Europaishe Virtschaftsge mainshaft, EVG) – დასავლეთ სამყაროს უმსხვილესი ეკონომიკური დაჯგუფება, რომლის შემადგენლობაში შედის 12 ევროპული სახელმწიფო: საფრანგეთი, გფრ, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი (შექმნის მომენტიდან), დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია (1973 წლიდან), საბერძნეთი (1981 წლიდან), ესპანეთი, პორტუგალია (1986 წლიდან). ეეა-ს შექმნის ხელშეკრულებას (ე.წ. რომის ხელშეკრულებას) ხელი მოაწერეს 1957 წელს, რომელიც ძალაში შევიდა 1958 წელს. ეეე-ს გამოცხადებული მიზნები: მონაწილე ქვეყნებს შორის ვაჭრობაში ყველა შეზღუდვის თანდათანობით გადალახვა; მონაწილე ქვეყნებს შორის ვაჭრობაში საბაჟო ტარიფის შემოღება; „პიროვნების კაპიტალის მომსახურების“ თავისუფალი გადაადგილების ყველა შემაფერხებლის ლიკვიდაცია; საერთო პოლიტიკა ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის ყველა სფეროში; სავალუტო კავშირის შექმნა; საგადასახადო სისტემის უნიფიკაცია; მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობის დაახლოება; შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპების დამუშავება. ეეა-ის ძირითადი ორგანოებია: საბჭო, კომისია, ევროპული პარლამენტი, სასამართლო, ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი, ეეა-ის შტაბ-ბინა იმყოფება ბრიუსელში.

**ევროპის ეკონომიკური სივრცე –** საქონლის მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობის ზონა, რომელშიც შედიან ეკროკავშირისა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნები (ფუნქციონირება 1944 წლიდან).

**ევროპის კავშირი** – ყველაზე განვითარებული ინტეგრაციული დაჯგუფება მსოფლიოში; თავისი არსით არის წევრი სახელწიფოს ეკონომიკური, სავალუტო და ეკონომიკური კავშირი.

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი** – საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა სპეციალურად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნების დასახმარებლად საბაზრო გარდაქმნათა ხელშეწყობისათვის.

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (European Bank For Reconstruction And Development – EBRD)** – სახელმწიფოთაშორისო ბანკი, დაარსდა 1991 წელს ლონდონში. ახორციელებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე ცენტრალური აზიის ქვეყნების გრძელვადიან დაკრედიტებას, ამასთან ინვესტირების გზით მათ დახმარებას უწევს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში.

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ლიბერალიზაციის კუმულაციური ინდექსი** – ინდექსი, რომელსაც ევროპის რეკონსტუქციისა და განვითარების ბანკი ანგარიშობს როგორც საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს სხვადასხვა მაჩვენებლების ჯამიდან (მაგალითად, თავისუფალი ფასების წილი საქონლისა და მომსახურების ფასებში, კერძო კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერაციები).

**ევროპული გაერთიანება (European Community EC)** – ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების (EESC), ევროპული ეკონომიკური გაერთიანების (EEC) და ატომური ენერგიის სფეროში ევროპული გაერთიანების (EAEC) საერთო სახელწოდება. შეიქმნა 1967 წელს და აერთიანებდა დასავლეთ ევროპის 12 ქვეყანას (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია, ბელგია, გფრ, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, საბერძნეთი, პორტუგალია,

ესპანეთი). 1993 წლის 1 ნოემბრიდან მაახსტრიტის ხელშეკრულების საფუძველზე ევროპულმა გაერთიანებამ მიიღო ევროკავშირის ოფიციალური სახელწოდება.

**ევროპული ეკონომიკური გაერთიანება (European Economic Community EEC)** – დაარსდა 1957 წლის საერთო (ევროპული) ბაზრის სახელწოდებით საფრანგეთის, ბელგიის, გფრ-ის, იტალიის, ლუქსემბურგისა და ნიდერლანდების მთავრობების მიერ ხელმოწერილი რომის ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა საბაჟო კავშირის შექმნას, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობისთვის ყველა ბარიერის ლიკვიდაციას, აგრეთვე საერთო სასოფლო+სამეურნეო და სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებას. გარდა აღნიშნულისა, გაერთიანების დაფუძნებაში მონაწილეობა მიიღეს ევროპულმა საინვესტიციო ბანკმა და ევროპულმა სოციალურმა ფონდმა, რომელთა მიზანი ამ გაერთიანების ეკონომიკური განვითარების ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია იყო. 1968 წელს სრული საბაჟო კავშირის შექმნის შედეგად, ლიკვიდირებულ იქნა ყველა შიგა ტარიფი და შეიქმნა საერთო საგარეო ტარიფი. 1977 წელს გაერთიანებამ დადო ხელშეკრულება საბაჟო კავშირის შესახებ თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციაციასთან, რაც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი თანამშრომლობის დამფუძნებელ ეტაპს წარმოადგენდა. გაერთიანებამ 1962 წელს მიიღო საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საერთო სატრანსპორტო პოლიტიკის კოორდინირებასთან დაკავშირებით. 1972 წელს ბრიუსელის ხელშეკრულების რატიფიკაციის შედეგად, 1973 წლის გაერთიანების ექვს ქვეყანას დაემატა დანია, ირლანდია, და დიდი ბრიტანეთი, რომლებმაც თავიანთი საგარეო სავაჭრო პოლიტიკა გაერთიანების წესების შესაბამისად დაარეგულირეს. 1982 წელს გაერთიანებაში შევიდა საბერძნეთი, ხოლო 1986 წელს – პორტუგალია და ესპანეთი. 1967 წელს გაერთია-

ნების ორგანიზაციული სტრუქტურა შეერწყა ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების (ECSC) და ატომური ენერგიის სფეროში ევროპული გაერთიანების (EAEC) სტრუქტურებს, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ევროპული გაერთიანება, ხოლო 1993 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულებით, ევროგაერთიანებამ მიიღო ევროკავშირის სახელწოდება.

**ევროპული კავშირის ეკონომიკური საქმიანობის მთავარი სამრეწველო კლასიფიკაცია (General Industrial Clasification Of Economic Activities Within European Communities)** – ევროკავშირის საბაზო ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით როგორც ბაზა ეროვნული კლასიფიკაციების შესაქმნელად. კლასიფიკაციის ობიექტებს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის სახეები. NACE განკუთვნილია სამართლებრივი ერთეულების (იურიდიული და ფიზიკური პირების აღწერისათვის მათი ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშნის ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. აღნიშნული კლასიფიკაციაში დეტალიზებულია მისი კოდური პოზიციები ათნიშნა ციფრული კოდის მესამე და მეოთხე ნიშნის დონეზე.

**ევროპული შეთანხმებანი** – შეთანხმებანი, ევროპასა და ევროპის მთელ რიგ ყოფილი სოციალისტურ ქვეყნებს შორის, რომლებიც ითვალისწინებენ კავშირისა და ამ ქვეყნების მჭიდრო ასოციაციას ამ ქვეყნების ევროკავშირში შესვლის პერსპექტივით.

**ევრორეგულაციები (ერობონდები)** – სესხის ფასიანი ქაღალდებია, რომელსაც უშვებენ საერთაშორისო საბანკო კონსორციუმები (ბანკების გაერთიანებანი) საზღვარგარეთელ მსესხებელთა (ემინენტთა) თხოვნით.

**ეთიკა** – პრინციპები, რომლითაც სწორი საქციელი გამიჯნულია არასწორისაგან.

**ეთიკური ნორმები** – სისტემა ეთიკის საერთო ფასეულობებისა და წესებისა, რომელთა დაცვას ორგანიზაცია მოითხოვს თანამშრომლებისაგან.

**ეთიკური ნორმების სწავლება** – რიგით მუშაკებსა და ხელმძღვანელებში საქმის ეთიკური წარმართვის შესახებ წარმოდგენის ფორმირების პროცესი.

**ეკვივალენტი** – ერთმნიშვნელოვანი თანაბარძალიანი, თანაბარი ღირებულების დახმარება.

**ეკიპაჟი (ფრანგ. Equipage)** – საჰაერო ხომალდის პირადი შემადგენლობა.

**ეკიუ** – 1979 წელს შექმნილი ევროკავშირის საანგარიშო ერთეული რომლის ოდენობა განისაზღვრება წევრი ქვეყნების ვალუტათა „კალათის“ საფუძველზე; არ წარმოადგენს საგადასამხდელო საშუალებას, არ გამოდის ბანკნოტებისა და მონეტების სახით.

**ეკიუ (ECU)** – ევროპული ვალუტის ერთეული, შემოღებული იქნა 1979 წელს. 1999 წლის პირველი იანვრიდან იგი ევრომ შეცვალა.

**ეკოლოგია** – ადამიანთა ურთიერთობა გარემომცველ ბუნებასთან (გარე სამყაროსთან).

**ეკოლოგიური აუდიტი** – კომპანიის მიერ სისტემური თვალის დევნება იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს მისი საწარმოო საქმიანობა გარემოზე, რათა აღკვეთილ იქნას ან მაქსიმალურად შემცირდეს ასეთი გავლენის ნეგატიური შედეგები.

**ეკოლოგიური ბანკი** – ასეთი ბანკის დეპოზიტები არის არა ფინანსური რესურსები, არამედ დასაშვებ ზომაზე ზევით დაბინძურების მოცულობის შემცირების დოკუმენტურად დამტკიცებული ტექნიკური მაჩვენებლები, რაც კომერციული გაცვლის საგანია. ეკოლოგიურ რეგულირებაში საბაზრო ურთიერთობების გამოყენების ეს მეთოდი უკავშირდება გარემოს დაბინძურების უფლების ბაზრის შექმნას. ის ფირმები, რომლებიც შეძლებენ გარემოს დაბინძურების „ზენორმატიულ“ შემცირებას შეუძლიათ თავიანთი „ნამატი“ (ზენორმატიულ და ნორმატიულ დაბინძურებას შორის) ეკოლოგიური ბანკების მეშვეობით მიჰყიდონ სხვა ფირმებს. ამრიგად, ეს „ნამეტი“ იქცევა

საგნად, რომელიც სტიმულს მისცემს ფირმებს არა მხოლოდ დაიცვან კანონით გათვალისწინებული ბუნების დაცვის ნორმები, არამედ კიდევ უფრო შეამცირონ გარემოს დაბინძურების დონე, რათა ამით მიეცეთ შესაძლებლობა მათაც აწარმოონ ეს „ნამეტი“ და წარმოადგენდნენ მეანაბრეებს ეკოლოგიურ ბანაკებში.

**ეკოლოგიური ეკონომიკის კონცეფცია(Conception Of Ecological Economy)** – მხარს უჭერს ეკოლოგ-ეკონომიკური სისტემის შექმნის იდეას და მისი რეალიზაციისთვის ისახავს ორ გზას: პირველი მიმართულების წარმომადგენლები მთელი ეკოსისტემის ეკონომიკური საქმიანობის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ და მოითხოვენ ეკონომიკურ საქმიანობაში ბუნებრივი პროცესების ჩართვას. მეორე მიმართულების წარმომადგენლები ეკოლოგიური პრობლემის მოგვარებას მეურნეობრიობის ტრადიციული მეთოდების გამოყენებას უკავშირებენ. მეორე მიმართულებამ მიიღო დეტერმინიზმის (Enviromental Determinism) სახელწოდება. მის მიხედვით გარემო არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. ეს განსაკუთრებით ეხება სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, სადაც ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე აიძულებს ამ ქვეყნებს მოახდინონ მოძველებული ტექნოლოგიების იმპორტი, რომლებიც ხელს უწყობს ეკოლოგიური კატასტროფების წარმოქმნასა და გარემოს დაბინძურებას.

**ეკოლოგიური კრიზისი** – ურთიერთდამოკიდებულების დაძაბული მდგომარეობა კაცობრიობასა და ბუნებას შორის, რომელიც იმით ხასიათდება არა უბრალოდ და არა იმდენად ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედებით რამდენადაც იმით, რომ იზრდება ადამიანთა მიერ შეცვლილი ბუნების გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე.

**ეკოლოგიური უსაფრთხოება (Enviromental Safety)** – მთელი საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დაცვა იმ შიგა და გარე ეფექტებისგან, რომლებიც საფრთხეს უქმნის ეკოლოგიური სისტემის მყარ ფუნქციონირებასა და გარკვეული თვალსაზრისით, არევს ქვეყნის სახელმწიფოებრიობას.

**ეკონომეტრია, ეკონომეტრიკა (econometrics)** – ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკური მოვლენების ანალიზსა და პროგნოზირებაში მათემატიკური მოდელების გამოყენებაზე და დაკავშირებულია მათემატიკური წარმოდგენით რეალური მოვლენების ადეკვატურობის განსაზღვრა-შეფასებასთან.

**ეკონომეტრიკული მოდელი (econometrical modee)** – მთელი ეკონომიკის ან მისი ნაწილის მათემატიკური მოდელი, რომლის პარამეტრები შეფასებულია ეკონომეტრიკული მეთოდებით.

**ეკონომია (ბერძ. მეურნეობის მართვა)** – მომჭირნეობა, მომჭირნეობითი ხარჯვა, მომჭირნეობით ხარჯვით მიღებული სარგებელი.

**ეკონომიკა** – როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო ბიზნესში მონაწილე, ან მონაწილეობის სურვილის მქონე ორგანიზაცია ვალდებულია კარგად იცნობდეს იმ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელიც მის ინტერესებში შედის. კერძოდ ორგანიზაციამ უნდა იცოდეს მისთვის საჭირო ქვეყანაში როგორია ხელფასის დონე, სატრანსპორტო ხარჯები, ვალუტის გაცვლის კურსი, ინფლაციის დონე, საბანკო კრედიტის პროცენტი, დაბეგვრისა და ეკონომიკური განვითარების დონე. გარდა ამისა, სასარგებლოა ინფორმაციები ამ ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის, წიგნიერებისა და პროფესიული მომზადების, ბუნებრივი რესურსების რაოდენობისა და ხარისხის, ტექნოლოგიის განვითარების დონის, კონკურენციული ბრძოლის თავისებურებების შესახებ.

**ეკონომიკა** – სწავლობს თუ როგორ იყენებენ ადამიანები მათ განკარგულებაში არსებული შეზღუდული რესურსების მოთხოვნილებებისა და მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

**ეკონომიკა (economy, economics [ბერძ. Akonomia - მეურნეობის მართვა])** – 1. მეურნეობა (ქვეყნის, საწარმოს, ოჯახისა და ა.შ.), წარმოებასთან, განაწილებასა და მოხმარებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობის ერთობლიობა. იყოფა მიკრო-, მეზო-, მაკრო-, და მეგა- ეკონომიკებად. 2. მეცნიერება, რომელიც სწავლობს როგორც თეორიულ ეკონომიკურ კანონებს, ისე მეურნეობის კონკრეტულ მდგომარეობას. ინგლისურ ენაში პირველი მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარება სიტყვა economy, ხოლო მეორესათვის economics. სიტყვა economy მეორე მნიშვნელობით გამოიყენება მხოლოდ შემდეგ სიტყვათა წყობაში – political economy – პოლიტიკური ეკონომია. ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, იყოფა თეორიულ და კონკრეტულ ეკონომიკურ დისციპლინებად. კლასიკური განმარტებით, ეკონომიკა, როგორც თეორიული ცოდნის სფერო, სწავლობს ადამიანთა ქცევას შეზღუდული რესურსების სხვადასხვა წესით გამოყენებას. დასახული მიზნის მისაღწევად ამათგან ოპტიმალური წესის შერჩევა თეორიული ეკონომიკური მეცნიერების ლაიტმოტივია. ეკონომიკა, როგორც კონკრეტული ეკონომიკური დისციპლინა, შეისწავლის ეკონომიკის სექტორებსა (აგრარული, ინდუსტრიული, მომსახურეობის) დარგებს, როგორც მთელი ქვეყნის, ისე მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით, აგრეთვე, წარმოების პირობებსა და ელემენტებს. თავდაპირველად ეკონომიკის შესახებ პრიმიტიული წარმოდგენები არსებობდა. მათ ძველეგვიპტურ პაპირუსებში, ქვაზე ამოკვეთილ ლურსმნულ წარწერებში, ძველინდოურ და სხვა წყაროებში ვხვდებით. შემდეგ ეკონომიკის მეცნიერულად გააზრების მცდელობა გამოჩნდა ბაბილონის მეფის

ჰამურაის კანონებში (ძვ.წ. XVIII ს.), ჩინეთში – კონფუცისა და მენძის (ძვ.წ. VI-V სს.), (ძვ.წ. III ს.) შეხედულებებში და ა.შ. ეკონომიკური მეცნიერების საწყისების შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ანტიკური საბერძნეთის მოაზროვნეებს – ქსენეფონტს, პლატონსა და არისტოტელეს. ქსენეფონტმა დაუწერა წიგნი „ოიკონომია“ და ამით პირველმა სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა სიტყვა „ეკონომიკა“. ამრიგად, „ეკონომიკა“ ბერძნული წარმოშობისაა. იგი (oikonomia) სიტყვა-სიტყვით საოჯახო მეურნეობის მართვას („ოიკოს“ – სახლი, მეუნეობა და „ნომოს“ - წესი, კანონი) ნიშნავს. არისტოტელემ „ეკონომიკისგან“ განასხვავა „ქრემატისტიკა“, როგორც არა მეურნეობის მართვის, არამედ ფულის კეთების ხელოვნება. როგორც უნდა ყოფილიყო, ანტიკური ეპოქის ამ ან სხვა მოვლენების (მაგალითად, ანტიკური რომის ცნობილი წარმომადგენლების – კატონის (234-149), ძმები ტიბერიურ (169-132) და გაიუს (153-121) გრაკქუსების, ვარონის (116-27), კოლუ მელას (ახ.წ. I ს.) და სხვების, ან შემდგომი პერიოდის დიდი მოაზროვნეთა შეხედულებები ეკონომიკის შესახებ, მათ მაინც არ ჰქონდათ სისტემური ხასიათი. ეკონომიკა არ იყო მეცნიერების ცალკე, დამოუკიდებელი დარგი, ვინაიდან არ არსებობდა მეცნიერების კლასიფიკაცია. იგი მხოლოდ მეცნიერების ერთიან სისტემაში იყო ჩართული. ასე რთულად იკაფავდა გზას ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების სისტემატიურად შემსწავლელი მეცნიერება და ხაზგასმით აღსანიშნავი არაფერი ყოფილა XVI-XVII საუკუნემდე. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა პირველი ეკონომიკური მიმდინარეობა – მერკატილიზმი (ქვეყნის სიმდიდრის ზრდის გადამწყვეტ პირობად საგარეო ვაჭობის განვითარებას მიიჩნევდა), რომელმაც მნიშვნელოვანი წინამძღვრები შეიქმნა ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, ფორმირებისთვის.

**ეკონომიკის „რეგულირება“** – ანტიიფლაციური ადმინისტრაციული და ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემა, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებენ ჩინეთში ეკონომიკის „გადამეტხურებასთან“ ბრძოლისთვის.

**ეკონომიკის ლიბერალიზაცია (დელეგურაცია)** – პროცესი, როცა სახელმწიფო ამცირებს სამეურნეო საქმიანობის რეგულირებას.

**ეკონომიკის მეორეული სექტორი** – მრეწველობა და მშენებლობა. ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია – მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის მონაწილეობის გაძლიერება.

**ეკონომიკის მესამეული სექტორი** – მომსახურების სფერო.

**ეკონომიკის პირველადი სექტორი** – სოფლისა და სატყეო მეურნეობა, ნადირობა და თევზჭერა.

**ეკონომიკის სერვიზაცია (Servization Of Economy)** – საზოგადოებრივ წარმოებასა და პირადი მოხმარების სტრუქტურაში მომსახურების სფეროს ხვედრითი წონის არსებითი ზრდის პროცესი. დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისთვის, სადაც მომსახურების სფერომ ყველა ძირითადი მაჩვენებლით, მათ შორის დასაქმებულთა რიცხოვნობით, საგრძნობლად (ე24) მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს და ეკონომიკის უმსხვილეს სექტორად გადაიქცა. აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში ეს პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში, ხოლო იაპონიაში – მხოლოდ 70-იანი წლებიდან. ამჟამად აშშ-ში ყოველი 10 მომუშავიდან შვიდი დასაქმებულია მომსახურების სფეროში.

**ეკონომიკის წარმატებით განვითარებისთვის კომერციული ბანკების საშუამავლო ფუნქციის მნიშვნელობა** – მდგომარეობს იმაში, რომ თავიანთი საქმიანობის პროცესში ისინი ამცირებენ რისკისა და ეკონომიკურ სისტემაში არსებული გაურკვევლობის ხარისხს. მას ისინი აღწევენ თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირებით და მძლავრ საინვესტიციო რესურსად მათი გარდაქმნით.

**ეკონომიკის წმინდა მოგება (Net Profit Of Economy)** – ეროვნული ანგარიშების სისტემაში გაერო ეკონომიკური მოგების მაჩვენებელი, გაანგარიშებული როგორც სხვაობა ეკონომიკის მთლიან მოგებასა და ძირითადი კაპიტალის მოხმარებას შორის.

**ეკონომიკურ ადაპტაცია – მასში** იგულისხმება მომუშავის მიერ ისეთი ეკონომიკური მექანიზმების გაცნობა: როგორიცაა: ორგანიზაციის მართვის ეკონომიკური მექანიზმი, ეკონომიკური სტიმულირებისა და პრემირების არსებულ სისტემასთან შეგუება (ადაპტაცია).

**ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში „ლიკვიდობის" ცნება –** ამ ცნების გაგება ერთგვაროვანი არ იყო მთელი მისი გამოყენების მანძილზე. თანამედროვე პირობებში ამ ტერმინს ხშირად სხვადასხვა ობიექტების მახასიათებლად იყენებენ. ლიკვიდობის როგორც ეკონომიკური ცხოვრების ობიექტის, ხარისხობრივი მახასიათებლის არსი მდგომარეობს ამ ობიექტის ღირებულების თავისდროულად რეალიზების შესაძლებლობაში. ქვეყნის საბანკო სისტემის ლიკვიდობა, ვიწრო აზრით, გაიგივებულია მიმოქცევაში მყოფ ფულის მასასთან. ხოლო ფართო აზრით, ესაა საბანკო სისტემის უნარი, თავისდროულად და შეუფერხებლად გადაადგილოს ღირებულებანი ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში.

**ეკონომიკურ სტატისტიკური მეთოდები (economic-statistical methods)** – შემოღებულ იქნა XVII საუკუნეში ინგლისელი ეკონომისტის უილიამ პეტის მიერ ქვეყნის მეურნეობის ანალიზისთვის. იგი პირველი შეეცადა შეეფასებინა ინგლისის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის ეროვნული შემოსავალი და გამოეკვლიათ არაპირდაპირი გადასახადების გავლენა ეკონომიკაზე. ეროვნული ანგარიშიანობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ფრანგი ეკონომისტი ჟან ბატისტსეის „წარმოების ფაქტორთა თეორიამ" წარმოების სამი ფაქტორის (მიწა, შრომა, კაპიტალი) გარდა

სეი მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა სამეწარმეო უნარს. ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის სრული კურსი“ (1828) იგი აყალიბებდა თავის შეხედულებებს ამის შესახებ.

**ეკონომიკურად აქტიური დაუსაქმებელ მოსახლეობას, ანუ უმუშევრებს** – მიეკუთვნება - მოსახლეობა, რომელიც ეძებს სამუშაოს, დროებით არ მუშაობს სეზონური დასაქმებისა და სამუშაოს შეცვლასთნ დაკავშირებით, ან არ სწავლობს სამუშაოდან მოწყვეტით.

**ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა** – ეკონომიკაში დასაქმებული მოსახლეობა.

**ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა** – მოსახლეობა, რომელიც მონაწილეობს საზოგადოებრივ წარმოებაში ან სურს მასში მონაწილეობა (ე.ი. უმუშევრები, რომლებიც დახმარებას იღებენ უმუშევრობის გამო).

**ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა და სამუშაოს აქტიურად მაძიებელი რეგისტრირებული უმუშევრობა. იგივეა, რაც სამუშაო ძალა.**

**ეკონომიკურად აქტიური სამოქალაქო მოსახლეობა (Economically Active Civil Population) –** დასაქმებულ მოსახლეობას გამოკლებული სამხედრო მომსახურეები და დამატებითი სამუშაოს მაძიებელი უმუშევრები.

**ეკონომიკურად მიზანშეწონილი სამუშაო ადგილი** – გულისხმობს ისეთ სამუშაო ადგილს, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, მიაღწიოს შრომის მაღალ მწარმოებლურობას და ჰქონდეს ისეთი გამომუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მის და მისი ოჯახის ღირსეულ არსებობას, არ ვნებს ჯანმრთელობას და არ ამცირებს ადამიანურ ღირსებას.

**ეკონომიკური ადამიანი (homo economicus) –** ეკონომიკურ ურთიერთობაში ჩათრეული რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც თავის საქმიანობისას მაქსიმალური სარგებლობის მიღების პრინციპებით ხელმძღვანელობს. იგი მოცემული ისტორიული ეპოქის ძირითადი მოქმედი

სუბიექტია. მისი ხასიათი, მიდრეკილებები, მიზნები, მოქმედებაში და საქმიანობის საბოლოო შედეგები საზოგადოების ცხოვრების დეტერმინანტებად გვევლინება. ა. სმითის შეხედულებით, ეკონომიკური ადამიანის უმთავრესი ნიშან-თვისებებია: 1. საქმიანობის შედეგებით პირადი დაინტერესებები; 2. საქმიანობის პროცესში პარტნიორთა ინტერესების გათვალისწინება როგორც თანამშრომლობის აუცილებელი პირობა; 3. საქმიანობისას საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

**ეკონომიკური ანალიზი** – ეს არის ეკონომიკური ხასიათის მოვლენების შედეგების ანალიზი.

1) ეკონომიკური ანალიზის კვლევის საგანია საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ამსახველ მაჩვენებელთა ცვლილებები (ანუ გადახრები).

2) ეკონომიკური ანალიზის მიზანია საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური შედეგების ანუ ეფექტიანობის ზრდის ფარული შესაძლებლობების, ანუ რეზერვების გამოვლენა. საწარმოს ეფექტიანობის ზრდის რეზერვები ფარულია იმიტომ, რომ იგი აშკარად არ სჩანს და სათანადო გამოკვლევა სჭირდება, რაც ეკონომიკური ანალიზის გამოყენებით მიიღწევა.

**ეკონომიკური ანალიზი** – ლოგიკური აზროვნების ძალით ეკონომიკურ მოვლენებს განიხილავს და იკვლევს ურთიერთკავშირსა, ცვალებადობასა და ურთიერთმოქმედებაში.

**ეკონომიკური ანალიზი** – დანახარჯების, შემოსავლების და საქმიანობის შეფარდებითი მომგებიანობის შეფასების მეთოდები.

**ეკონომიკური განვითარება (economic development)** – საზოგადოებრივი დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესი მოიცავს სამ მნიშვნელოვან შემადგენელს: 1. შემოსავლების, მოხმარების, განათლების, ჯანდაცვის და ა.შ. დონის ზრდას; 2. პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციური სისტემების ფორმირების საფუძველზე ადამიანთა ურთიერთპატივისცემის

ზრდის ხელშემწყობი პირობების შექმნას; 3. ისეთი სიტუაციის შექმნას, როდესაც საზოგადოებას აქვს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზების არჩევის შესაძლებლობა.

ეკონომიკური განვითარება იწვევს პოზიტიურ ცვლილებებს სოციალურ სტრუქტურებში, საზოგადოებრივი ინსტიტუტების ქცევაში, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაში, უთანასწორობის შემცირებასა და უმუშევრობის აღმოფხვრაში. მისი მეშვეობით ვითარდება ეკონომიკური სისტემა და მზადდება ცხოვრების დონის ხარისხის შემდგომი ამაღლების მატერიალური და სულიერი პირობები.

**ეკონომიკური რენტა** – შეზღუდული რესურსების მფლობელის მკაცრად განსაზღვრული შემოსავალი. მიწის რენტა ეკონომიკური რენტის კერძო შემთხვევაა. უფრო კონკრეტულად, **მიწის რენტა** არის შემოსავალის სახე, რომელიც არ მოითხოვს მისი მიმღების სამეწარმეო საქმიანობას და გულისხმობს ამ მიწაზე წარმოებული წმინდა შემოსავლის ნაწილის მიწის მესაკუთრისთვის გადაცემას.

**ეკონომიკური (ფინანსური) თვალსაზრისით, ბანკების შერწყმისა და მიერთების არსი ერთი და იგივეა ბანკების გამსხვილება საბანკო კაპიტალების ცენტრალიზაციის ფორმით (ამ პროცესს ხშირად კაპიტალის კონცენტრაციას უწოდებენ, მაგრამ ეს ტერმინის არასწორად ხმარებაა).**

**ეკონომიკური და სავალუტო კავშირი** – საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმა, რომლის მიღწევის შემდეგ ხელშეკრულებებს თავისუფალი ვაჭრობის ზონის, საბაჟო კავშირისა და საერთო ბაზრის შესახებ ემატება შეთანხმებანი საერთო ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის განხორციელების თაობაზე. ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შედეგია ის, რომ წევრი სახელმწიფოები ქმნიან ინტეგრაციული გაერთიანებების მართვის ზეეროვნულ ინსტიტუტებს.

**ეკონომიკური და სოციალური საბჭო** – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის მთავარი ეკონომიკური ორგანო,

რომელიც კოორდინაციას უწევს გაეროს და შესაბამისი სპეციალიზებული დაწესებულებებისა და ინსტიტუტების ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობას.

**ეკონომიკური და სოციალური საბჭოს კომისია** – შეიქმნა 1947 წელს. ითვლის 34 წევრს. ევროპის ეკონომიკური კომისიის შტაბი იმყოფება ჟენევაში. სამუშაო ენებია ინგლისური, რუსული, და ფრანგული. ევროპის ეკონომიკური კომისიის დამხმარე ორგანოებია: სოფლის მეურნეობის, ქიმიური მრეწველობის, ნახშირის, ელექტროენერგიის, აირის, საცხოვრებელი სახლების და მშენებლობის, შიდა სატრანსპორტო, შავი მეტალურგიის, ტყის მასალების, წყლის პრობლემების და საგარეო ვაჭრობის კომიტეტებში; ევროპელ ენერგეტიკის პრობლემებზე ეეკ-ის ქვეყნების მთავრობების ეკონომიკურ მრჩეველთა ინსტიტუტი. დამხმარე ორგანოები სწავლობენ ეკონომიკის შესაბამის დარგებში მდგომარეობის და წარმოებითი გამოცდილების გაზიარებას.

**ეკონომიკური დემოკრატია** – შრომითი ურთიერთობების სისტემა, რომელიც დაფუძნებულია კომპანიის კაპიტალში, მის მოგებასა და მართვაში თითოეული მუშაკის თანამონაწილეობის იდეაზე.

**ეკონომიკური დივერგენცია** – განსხვავებათა გაძლიერება ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების დონისა და მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით (მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი, უმუშევრობისა და ინფლაციის დონე, ბიუჯეტის დეფიციტი, საგადასახადო ბალანსი და სხვ.).

**ეკონომიკური დირიჟიზმი** – ეკონომიკის სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების პრაქტიკა, რომელიც გამოირჩევა წარმოებაში ჩარევის „უკიდურესი“ ფორმირებისა და მეთოდების გამოყენებით: ნაციონალიზაცია და საწარმო საკრედიტო-საბანკო სფეროში მნიშვნელოვანი სახელმწიფო დაფინანსება და კაპიტალდაბანდების ორიენტაცია,

ეკონომიკის დაგეგმვა, ადმინისტრაციული კონტროლი კრედიტზე, ფასებზე, ხელფასზე.

**ეკონომიკური ეფექტიანობა** – წარმოების შედეგიანობა, სამეურნეო საქმიანობის შედეგების და შრომის დანახარჯების თანაფარდობა. წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კერძო მაჩვენებელია: შრომის ნაყოფიერება, ფონდუკუგება და პროდუქციის მასალატევადობა, საზოგადოების მასშტაბით ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელია, ეროვნული შემოსავლის წილი წარმოებულ მთლიან ეროვნულ პროდუქტში.

**ეკონომიკური ეფექტიანობა (economic efficiency)** – ეკონომიკური საქმიანობის შედეგიანობა, რომელიც გამოითვლება რესურსების გამოყენებით მიღებული ეკონომიკური შედეგის შეფარდებით წარმოების დანახარჯებთან.

**ეკონომიკური ზრდა (economic growth)** – განიხილება ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით - ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება, პოტენციური მეპ-ის მატება, გამოხატული შესადარი (მუდმივი) ფასებით; ქვეყნის მთლიანი წარმოებისა და მოხმარების ზრდა, რომელიც ხასიათდება ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, როგორიცაა: მშპ, მეპ, ეროვნული შემოსავალი და ა.შ. ფართო გაგებით - სოციალურ ინსტიტუციებში, საკუთრების სტრუქტურაში ცვლილებების პროცესი, რომელიც მოასწავებს, ზრდის ერთი სტადიიდან მეორეში გადასვლას. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება, მაგალითად, როსტოუს ცნობილი თეორია ეკონომიკური განვითარების სტადიების შესახებ, რომელიც საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციების ისტორიული ცვლის მარქსისტული თეორიის ანტიპოდია.

**ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია** – სარეგიონთაშორისო ხასიათის სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც უპირატესად განვითარებულ ქვეყნებს აერთიანებს.

**ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია** – ინტეგრაციული დაჯგუფება, რომელიც 1985 წელს შეიქმნა

პაკისტანის, თურქეთისა და ირანის შემადგენლობით. 1992 წელს მას შეუერთდნენ აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი. ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში ინტეგრაციის ეკონომიკური მოტივების გარდა გაბატონებულია რეგიონის ქვეყნების ისლამური ერთიანობის იდეა.

**ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organization Of Economic Cooperation and Development – OECD)** - საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც შეცვალა 1948 წელს შექმნილი ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია 1960 წელს პარიზში ხელმოწერილი კონვენციის შესაბამისად. დაარსდა 1961 წელს. მისი შტაბბინა პარიზშია, ამჟამად აერთიანებს მსოფლიოს 29 ქვეყანას. ესენია: ავსტრია, ბელგია, დანია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, ნორვეგია, პორტუგალია, შვედეთი, შვეიცარია, ფინეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, აშშ, იაპონია, ავსტრალია, გფრ, ახალი ზელანდია, ესპანეთი, მექსიკა, სამხრეთ კორეა, უნგრეთი, ჩეხეთი, პოლონეთი. ამასთან, ორგანიზაციას აქვს მჭიდრო კონტაქტები ერთობლივი პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით ლათინური ამერიკისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ბლოკში შემავალ ქვეყნებთან, აგრეთვე აზიის ზოგიერთ სახელმწიფოსთან. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია აერთიანებს 100-ზე მეტ სპეციალიზებულ კომიტეტს. ერთ-ერთ მათგანში, კერძოდ, ფოლადის სფეროში 1977 წელს უკრაინამ ოფიციალურად მიიღო ასოცირებული წევრის სტატუსი.

ორგანიზაციის მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია: წევრი ქვეყნების განვითარების ტენდენციების კვლევა, საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების დამკვიდრება, თანამშრომლობის განვითარების გზით ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედება და ფინანსური სტაბილურობის განმტკიცება, განვითარება-

დი ქვეყნებისადმი ფინანსური და ტექნიკური დახმარების სტიმულირება და ა.შ.

**ეკონომიკური თეორია** – ზოგადი მეცნიერება ეკონომიკის შესახებ, თეორიული წარმოდგენა ეკონომიკურ პროცესებსა და მოვლენებზე.

**ეკონომიკური თეორია** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზებსა და ოპტიმალური არჩევანის პრობლემას. სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში მატერიალური და არამატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარებისას ადამიანთა ეკონომიკურ ქცევას.

**ეკონომიკური თეორიები** – ისინი მოიცავენ ეკონომიკური მეცნიერების ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: შრომის ბაზრის თეორია, დაგეგმვისა და პროგნოზირების თეორის, ეკონომიკური ინფორმატიკა, შრომის ეკონომიკა და სხვა. მათი დასკვნები საფუძვლად ედება ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავებასა და ოპერატიული, ტაქტიკური გადაწყვეტილების მიღებას.

**ეკონომიკური ინტეგრაცია** – როგორც სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ახალი ფორმა, გამოიხატება ორი ფაქტორის 1. სხვადასხვა ქვეყნის მონოპოლიათა ურთიერთგადახლართვისა და 2. ურთიერთმიმართებაში და მესამე ქვეყნების მიმართ შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელების ორგანულ შეხამებაში.

**ეკონომიკური ინფორმაცია (economic information)** – ინფორმაცია საქონლისა და მომსახურების წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესების შესახებ.

**ეკონომიკური კანონები** – ეკონომიკური მოვლენების ობიექტური, არსებითი, მყარი კავშირები და ურთიერთდამოკიდებულება მატერიალური დოვლათის და მომსახურების წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროში.

**ეკონომიკური კიბერნეტიკა (Economic Cybernetics)** – კიბერნეტიკის მიმართულება რომელიც ამ მეცნიერების

მეთოდებსა და საშუალებებს იყენებს ეკონომიკურ სისტემებში პროცესების კვლევისა და ორგანიზაციისთვის.

**ეკონომიკური კომისია აფრიკისთვის (ინგლ. Economic Commission for Africa, ECA; ფრ. Commission Economique Pour Je Afrique, CEA)** – გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს კომისია. შეიქმნა 1958 წ. ეკა-ს შემადგენლობაში შედის 1984 წელს. 50 აფრიკული სახელმწიფო. ეკა-ს შტაბი იმყოფება ადის-აბებაში. კომისიის სამუშაო ენებია ინგლისური და ფრანგული. ეკა მოწოდებულია ხელი შეუწყოს წევრი ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას მათ შორის და მსოფლიო ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაფართოებას.

**ეკონომიკური კრიზისი** – ციკლის ფაზა, რომლის მსვლელობაში მიმდინარეობს ეკონომიკის დარღვეული პროპორციების ძალადობრივი აღდგენა. ეკონომიკური კრიზისი ვლინდება წარმოების აბსოლუტურ დაცემაში, წარმოებითი სიმძლავრეების დაუტვირთაობაში, უმუშევრობის ზრდაში, ფულად-საკრედიტო სისტემის მნიშვნელოვანი მოშლით.

**ეკონომიკური კრიზისი (economic crisis)** – ეკონომიკური ციკლის ერთ-ერთი ამოსავალი ფაზა, რომელიც ვლინდება მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობასთან შედარებით საქონლის ჭარბწარმოებაში, წარმოებრივი სიმძლავრეების დაუტვირთაობაში, წარმოების მოცულობის მკვეთრ დაცემასა და უმუშევრობის სწრაფ ზრდაში.

**ეკონომიკური მაჩვენებელი** – არის 1) ამა თუ იმ ეკონომიკური მოვლენის შედეგების რიცხვითი მახასიათებელი, რაოდენობრივ და თვისობრივ მხარეთ ურთიერთკავშირში. 2) ეკონომიკური მაჩვენებელი შეიძლება იყოს რაოდენობრივი და ღირებულებითი. 3) რაოდენობრივი მაჩვენებლები ეკონომიკურ მოვლენებს ზომავენ ნატურალურ ერთეულებში. მაგალითად ცალებში, კილოგრამებში, საათებში და ა.შ.

**ეკონომიკური მდგომარეობა** – ორგანიზაციის ხელმძღვანელობა უნდა დაინტერესდეს როგორც მსოფლიო, ისე თავისი

ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობით და მისი გათვალისწინებით შეიმუშაოს ორგანიზაციის მართვის ღონისძიებები. თუ მაგალითად, მოსალოდნელია ინფლაციის ზრდა, მაშინ მიზანშეწონილია ხელმძღვანელობამ გაზარდოს ნედლეულისა და მასალების მარაგების მოცულობა, დააწესოს ფიქსირებული ხელფასები და შეეცადოს არ გაადიდოს წარმოების ხარჯები.

**ეკონომიკური მენეჯმენტი** – ეკოლოგიური მენეჯმენტი არის ორგანიზაციის მიერ რესურსების შეხამება-მობილიზების პროცესი, რომელიც გამიზნულია გარემოსდაცვითი პრობლემის გადასაჭრელად. ფართო გაგებით, გარემოსდაცვითი მართვა არის სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი საქმიანობა პრობლემასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციისა და პიროვნებისა მდგრადი სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების მიზნის მისაღწევად.

**ეკონომიკური ოპტიუმი** – ეკონომიკური სისტემის მდგომარეობაზე, რომელიც საუკეთესოა მის მიზნებთან გამომდინარე მოცემული შიდა და გარე პირობების გათვალისწინებით.

**ეკონომიკური პოზიციებიდან ხარისხი განიხილება როგორც განსახილველი ობიექტის ან სამომხმარებლო ღირებულების შედეგი.**

**ეკონომიკური პოლიტიკა** – ეკონომიკური სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების სისტემა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

**ეკონომიკური პოლიტიკა (Economic Policy)** – ეკონომიკის მართვის ბერკეტებისა და მეთოდების ერთობლიობა, ეკონომიკის მართვის სფეროში ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებათა სისტემა. მოიცავს საბიუჯეტო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ, საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკასა და ა.შ. ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათს განსაზღვრავს ხელისუფლების ქცევა ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებაში. ეს შეიძლება იყოს აბსოლუტურად ჩაურევ-

ლობა ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებაში. ეს შეიძლება იყოს აბსოლუტურად ჩაურევლობა ქვეყნის ეკონომიკაში ან უხეში ჩარევა მასში და მისი მკაცრი მართვა (როგორც დამახასიათებელია ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკისთვის), ან კიდევ, ხელისუფლების მიერ შუალედური პოზიციის დაკავება და მაკროეკონომიკური რეგულირების მკაცრად განსაზღვრული ფუნქციების შესრულება.

ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება დაიყოს ორ ძირითად სახედ: მიკროეკონომიკურ პოლიტიკად, რომლის ამოცანაა რესურსების განაწილების ეფექტიანობის სრულყოფა, და მაკროეკონომიკურ პოლიტიკად, რომლის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, ისინი იყოფა უფრო მცირე ნაწილებად. მაგალითად, მიკროეკონომიკური პოლიტიკის საზღვრებში შეიძლება გამოიყოს რეგიონული პოლიტიკა, კონკურენციის დაცვის პოლიტიკა და ა.შ. მაკროეკონომიკური პოლიტიკის საზღვრებში კი ფისკალური პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ა.შ.

**ეკონომიკური პოტენციალი** – ეკონომიკის დარგების ერთობლივი უნარიანობა აწარმოოს სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო პროდუქცია, განახორციელოს კაპიტალდაბანდება, ტვირთის გადაზიდვა, მომსახურება გაუწიოს მოსახლეობას. ეკონომიკური პოტენციალი მჭიდროდ დაკავშირებულია ეროვნულ სიმდიდრესთან. იგი დამოკიდებულია შრომითი რესურსების რაოდენობასა და მისი პროფესიული მომზადების ხარისხზე, წარმოების მოცულობაზე, სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეებზე, სოფლის მეურნეობის წარმოებით შესაძლებლობებზე, სატრანსპორტო მაგისტრალების დაჭიმულობაზე და სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობაზე, არაწარმოებითი სფეროს დარგების განვითარების ხარისხზე, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე დაზვერვილი სასარგებლო წიაღისეულ მარაგებზე.

**ეკონომიკური პროგნოზირება –** აქ განიხილება ინფლაციის დონის პროცენტული მაჩვენებელი, ფინანსური უზრუნველყოფა გრძელვადიან და საშუალოვადიან პროგნოზირების გამოყენებით

**ეკონომიკური რენტა** – არის შეზღუდული რესურსის მფლობელის მკაცრად განსაზღვრული შემოსავალი.

**ეკონომიკური რისკი** – ბანკისთვის იმაში მდგომარეობს, რომ მისი აქტივებისა და პასივების ღირებულება გადიდებისკენ ან შემცირებისკენ იცვლებოდეს (ეროვნული ვალუტით) სავალუტო კურსის მომავალ ცვლილებათა გამო. ეს იმ ინვესტორებსაც ეხება, რომელთა უცხოური ინვესტიციები – აქციები ან სავალო ვალდებულებები – ვალუტით იძლევიან შემოსავალს.

**ეკონომიკური რისკი** – ეკონომიკური რისკი ფირმისათვის იმაში მდგომარეობს, რომ მისი აქტივების ღირებულებამ შესაძლოა მოიმატოს ან მოიკლოს (ეროვნული ვალუტით) მომავალში ვალუტის კურსის ცვლილებათა გამო. ეს ინვესტორებსაც ეხება, რომელთა საზღვარგარეთულ ინვესტორებს – აქციებსა და სავალო ვალდებულებებს - უცხოური ვალუტით მოაქვთ შემოსავალი.

**ეკონომიკური საზოგადოება –** ქვეყნების ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების საქმეში საერთო მიზნების მიღწევის მიზნით. მაგალითად, ევროპის ეკონომიკური საზოგადოება.

**ეკონომიკური სისტემა (economic system) –** საკუთრებითი და ორგანიზებული ინსტიტუტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების ერთმანეთთან დაკავშირებული და განსაზღვრული წესით მოწესრიგებული ეკონომიკური ელემენტების ერთობლიობა, მრავალფეროვანი სტრუქტურული ელემენტების შერწყმა მკაფიოდ გამოხატულ ერთ მთელად, რომლის თითოეულ ნაწილს ერთმანეთთან მიმართებაში თავისი შესაბამისი ადგილი უკავია. ქვეყანაში მოქმედი პრინციპების, წესების და კანონმდებლობით განმტკიცებული ნორმების ერთობლიობა, რომელიც

წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში წარმოქმნილი ძირითადი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმასა და შინაარსს განსაზღვრავს. ეკონომიკურ სისტემაში არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ქვესისტემებს ქმნიან, რომლებსაც მთელი სისტემის სტაბილურობას და მდგრად განვითარებაში განსაზღვრული როლი აკისრიათ. ეკონომიკური სისტემის რეალურ ბუნებასა და არსს ეს კავშირები განსაზღვრავენ.

**ეკონომიკური სისტემები** – პოლიტიკურის მსგავსად, მრავალფეროვანია. მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში მათი კლასიფიკაციის ძირითად ნიშნებად მიღებულია 1. საკუთრების ფორმა წარმოების საშუალებებზე და 2. ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციისა და მართვის ხერხი. ამ ნიშნით განასხვავებენ მბრძანებლურ ანუ ცენტრალიზებულ ეკონომიკას, საბაზრო ეკონომიკას ანუ თავისუფალი კონკურენციის ეპოქის კაპიტალიზმს და შერეულ ეკონომიკას.

**ეკონომიკური სტრუქტურის „დამძიმება“** – დამმუშავებელი წილის შემცირება და მომპოვებელი დარგების წილის გადიდება.

**ეკონომიკური სუბიექტების ავტონომიისა და თავისუფლების პრინციპი** – იგი გულისხმობს, რომ მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას, ყველა ინიციატივა მოდის თავისუფლად მოქმედი იმ ეკონომიკური სუბიექტებისგან, რომლებიც მმართველობით ფუნქციებს ახორციელებენ თავიანთი შეხედულებებისამებრ, მაგრამ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში. სამეურნეო საქმიანობის თავისუფლება წარმოდგენილია როგორც პროფესიული თავისუფლება, კონკურენციის თავისუფლება, თავისუფალი პარტნიორული ურთიერთობები და ა.შ.

**ეკონომიკური ტერიტორია (economic territory)** – მოცემული ქვეყნის ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციულად მართვადი ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება ამ ქვეყნის იურისდიქცია. მის საზღვრებში თავისუფლად გადაად-

გილდებიან მოცემული ქვეყნის მოქალაქეები, აგრეთვე თავისუფლად მოძრაობს საქონელი და ფული. ეკონომიკურ ტერიტორიაში შედის: საჰაერო სივრცე; ტერიტორიული ანკლავები – საზღვარგარეთ, ე.ი. ზონები, რომლებსაც იყენებენ მოცემული ქვეყნის სამთავრობო დაწესებულებები არენდის ან საკუთრების უფლებების საფუძველზე, საელჩოები, სამეცნიერო და სამხედრო ბაზები; ექსტერიტორიული ანკლავები ან ქვეყნის კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად გამოიყენება სხვა ქვეყნის კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად გამოიყენება სხვა ქვეყნის დაწესებულებების მიერ ანკლავში შემავალ მიწაზე ან ნაგებობებზე საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების ნაწილში; ნავთობის, ბუნებრივი აირის და ა.შ. მარაგები ქვეყნის გარეთ მდებარე ტერიტორიულ წყლებში, თუ მათი დამუშავება ხდება ქვეყნის რეზიდენტების მიერ.

ეკონომიკურ ტერიტორიაში არ შედის სხვა ქვეყნების ტერიტორიული ანკლავები – საკონსულოები, საელჩოები, სამეცნიერო და სამხედრო ბაზები და ა.შ. აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციები, განლაგებული მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე.

საქართველოს ეკონომიკური ტერიტორია დღეისათვის გაცილებით ნაკლებია მის საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიაზე, რამდენადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის ახალგორისა და კოდორის ხეობის ტერიტორიაზე.

**ეკონომიკური ტრენინგი (economic training)** – კომპიუტერიზებული თამაში, რომელიც იძლევა მმართველობითი ზემოქმედების შეფასებითი გაანგარიშების შესაძლებლობას.

**ეკონომიკური უსაფრთხოება (economic security)** – ეკონომიკის დაცვა იმ შიგა და გარე ნეგატიური ფაქტორებისგან, რომლებიც არღვევენ კვლავწარმოებითი პროცესების ნორმალურ ფუნქციონირებას, საფრთხეს უქმნის ქვეყნის რესურ-

სულ და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის შენარჩუნებას, ეკონომიკის მდგრად განვითარებასა და სოციალურ ორიენტირებულობას, აფერხებენ ეკონომიკურ ზრდასა და ხელს უშლიან სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

**ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები** – ეკონომიკური საფრთხის არდაშავება ზღვრული სიდიდეების ქვემოთ; ქვეყნის უზრუნველყოფა რესურსებით; ეკონომიკის დამანგრეველი პროცესების თავიდან აცილება, დანაკარგებისა და რისკის მინიმიზაცია; ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ამაღლება; ცხოვრების დონისა და ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება; კონკურენტუნარიანობის საქონლისა და მომსახურების წარმოება და ა.შ.

**ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია (economic security strategy)** – ქვეყნის სტრატეგია საკმაოდ მყარი და მუდმივად განვითარებადი ეკონომიკით, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის კულტურულ-ისტორიული თვითმყოფადობის, მისი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დაცვას, ეკონომიკური მთლიანობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისა და პიროვნების განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას მისი ძირითადი მიმართულებებია: ეკონომიკის განვითარებისადმი სტრუქტურული პოლიტიკის გატარება; ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების გამოყოფა და მათდამი სახელმწიფოს მხარდაჭერა; ეროვნული ვალუტის სამყაროს უზრუნველყოფა; საკუთრების დაცვა.

**ეკონომიკური ფაქტორების ერთობლიობა** – ასახავს ეკონომიკის მდგომარეობას, რომელიც გამოიხატება ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსივობით და მათი გატარების ხერხებით (ბანკების მონაწილეობით). ეკონომიკურ ფაქტორებს უნდა მივაკუთვნოთ ფედერალური ბიუჯეტის შესრულების პრინციპები, გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ხასიათი, დაბეგვრის ჩამოყალიბებუ-

ლი სისტემა, ეკონომიკური რეფორმის შედეგები, რომლე-ბიც საბანკო სისტემის ზოგად პირობებს აყალიბებენ.

**ეკონომიკური ციკლი** – ეს არის, როდესაც ეკონომიკური ზრდა და მაკროეკონომიკური არასტაბილურობა ერთმანეთს ენაცვლება დროის გარკვეულ მონაკვეთში. ნიშნავს ეკო-ნომიკური აქტიურობის დონეთა აღმავლობისა და დაცე-მის მონაცვლეობას, რაც რამდენიმე წლის განმავლობაში ვლინდება. ეკონომიკურ ციკლს აქვს ოთხი ფაზა: პიკი, დაცემა, დეპრესია და გამოცოცხლება.

**ეკონომიკური ციკლი (business cycle)** – საქმიანი აქტიურობის ციკლი, ერთი კრიზისის დაწყებიდან მეორე კრიზისის დაწყებამდე დროის პერიოდი, რომელიც იყოფა ოთხ ფაზად: კრიზისი, დეპრესია, გაცხოველება, აღმავლობა. ეკონომიკური ციკლის ცნობილი მკვლევარები არიან: მარქსი, კეინზი, ჰიკსი, შუმპეტერი, გუდვინი და ა.შ.

**ეკონომიკური ციკლის ფაზა** – ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის ეკონომიკაში იწყება სრული დასაქმება და წარმოება სრული ან თითქმის სრული სიმძლავრის მუშაობას. ციკლის ამ ფაზაში შეინიშნება ფასების ზრდის ტენდენცია.

**ეკონომიკური წარმოება (economic production)** – ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო საქმიანობა: 1. საქონლის წარმოება; 2. საბაზრო მომსახუ-რების წარმოება; 3. ფინანსური საშუამავლო საქმიანობა (ბანკების, საინვესტიციო ფონდების, სადაზღვევო კომპა-ნიების და ა.შ.); 4. არასაბაზრო მომსახურება არაკომერცი-ული ორგანიზაციებისა და შინამეურნეობისადმი; 5. და-ქირავებულ მოსამსახურეთა (მზარეულების, მძღოლების, მებაღეებისა და ა.შ.) მომსახურება; 6. გარემოს დაცვის მიზნით გაწეული მომსახურეობა.

**ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები (economic – mathematical metods)** – ეკონომიკის, მათემატიკისა და კიბერნეტიკის, მათემატიკისა და კიბერნეტიკის მიჯნაზე აღმოცენებული მეცნიერული დისციპლინების კომპლექს-ში მოქცეული მეთოდები.

**ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები (economic mathematical models)** – ეკონომიკური ობიექტების, კანონზომიერებების კავშირებისა და პროცესების აღწერილობა მათემატიკური ნიშნების მეშვეობით და მათი მაკავშირებელი მათემატიკური თანაფარდობის ერთობლიობა.

**ეკონომიქსი (economics)** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საბაზრო სისტემაში, საზოგადოების უსასრულო მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით, შეზღუდული რესურსებით რა საზოგადოებრივი ფორმით, რა გზებით, როგორ და ვისთვის იწარმოოს. იგი საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის სინთეზია, პრაქტიკით გაჯერებული, მასზე ორიენტირებული თეორიაა.

ეკონომიქსი ეკონომიკური თეორიის კვლევის ახალი სფეროა (ისევე, როგორც საერთაშორისო ეკონომიკა, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკაა). წარმოიშვა და განვითარდა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების კვალდაკვალ განსაკუთრებული ეკონომიკური დისციპლინის სახით კი ფართოდ გავრცელდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ეკონომიქსი შეზღუდული რესურსების მართვის მექანიზმის შემსწავლელი მეცნიერებაა.

ეკონომიქსი, მიუხედავად იმისა, რომ იმ კანონზომიერებებს ეყრდნობა, რომელსაც ეკონომიკური თეორია ადგენს, მისგან გარკვეულწილად განსხვავებულ ხედვასაც ემყარება, პარადიგმის შეცვლას გულისხმობს. ეკონომიქსი ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების ანალიზისას მხოლოდ შეზღუდული რესურსებით იფარგლება. მისი ლაიტმოტივია ამ რესურსების საბაზრო სისტემაში ეფექტიანად გამოყენების გზების ძიება და ალტერნატიული ვარიანტებიდან ოპტიმალური არჩევანის გაკეთება. ეკონომიკური თეორიის საგანი კი გაცილებით ფართოა. იგი ყველა ფუნქციონალური და დარგობრივი ეკონომიური მეცნიერების საფუძველთა საფუძველი და მეთოდოლოგიური ბაზაა. ეკონომიკური თეორია არ არის მოქცეული

ერთი ეკონომიკური სისტემის ჩარჩოებში. იგი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებებსა და თავისებურებებს სწავლობს, იკვლევს სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში არსებით მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის, ადგენს ზოგად კანონზომიერებებს, რის საფუძველზეც იძლევა საზოგადოების განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, ეკონომიკის ფუნქციონირების ობიექტურ მეცნიერულ დასაბუთებას. ეკონომიკური თეორია ყოველივე ამას ერთ სისტემაში აქცევს, ეკონომიქსის მიზანი არ არის მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კვლევა. იგი არ არის ერთიანი სისტემა, მხოლოდ ამ სისტემის ნაწილია, საბაზრო ეკონომიკაში ფუნქციონალური კავშირების შემსწავლელი მეცნიერებაა. ეკონომიკური თეორია კი ეკონომიკური ორგანიზმის გენეტიკურ კავშირებს სწავლობს. ეკონომიქსი კმაყოფილდება ეკონომიკური ცხოვრების ზოგადი ანალიზით. იგი არ იკვლევს ეკონომიკური მოვლენების სიღრმისეულ არსს და საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაციის მიზეზებს, ეკონომიკური თეორია კი იკვლევს ყოველივე ამას. ეკონომიქსში პრაგმატული მიზნები წინა პლანზეა წამოწეული, ეკონომიკურ თეორიაში კი თეორიულ-მეთოდოლოგიური. ეკონომიქსი მეტწილად რაოდენობრივი ანალიზია, ეკონომიკური თეორია კი თვისობრივი. ეკონომიქსი ფართოდ იყენებს ეკონომიკურ ანალიზს. მაგრამ ეკონომიკური მოვლენებისა პროცესების ახსნაში მათემატიკური მოდელების გამოყენება „წმინდა“ თეორიისაგან დამოუკიდებლად ნაკლებად ასახავს რეალობას. ეკონომიკური თეორია ორიენტირებულია შემეცნებაზე, ეკონომიკური მოვლენების სიღრმისეული არსის გამოვლენაზე, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენაზე, მაშინ, როდესაც ეკონომიქსი მთავარ მიზნად ეკონომიკის მართვისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას ისახავს. „ეკონომიკური თეორია არის უშუალოდ სამეურნეო პოლიტიკაში გამოსა-

ყენებელი გზა რეკომენდაციების კრებული, ის არის ინტელექტუალური ინსტრუმენტი, აზროვნების ტექნიკა. ვინც მას ფლობს, ყველას ეხმარება სწორი დასკვნების გამოტანაში“ - ჯონ მეინარდ კეინზი. ეკონომიქსი ეკონომიკური სინამდვილის ცალკეული ფრაგმენტებისა და მათი შესაბამისი თეორიების ერთობლიობაა. იგი ფრაგმენტებიდან ქმნის ეკონომიკის მთლიან სურათს, ეკონომიკურმა თეორიამ კი, პირიქით, მთლიანობის ადეკვატური სურათის მეშვეობით უნდა ასახოს ეკონომიკური სინამდვილის ესა თუ ის ფრაგმენტი.

ეკონომიქსი წარმოების განვითარების საკითხებს დანახარჯებისა და შედეგების ასპექტით, სარგებლიანობის კუთხით განიხილავს, ეკონომიკური თეორია კი საზოგადოებრივი წარმოების ისტორიული განვითარების ანალიზს მოიცავს. ეკონომიქსი გაურბის ეკონომიკური სისტემების შედარებით ანალიზს და შეისწავლის ერთი ეკონომიკური სისტემების შედარებით ანალიზს და შეისწავლის ერთი ეკონომიკური სისტემის სამეურნეო მექანიზმს. ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი მიმართულება, მეთოდი კი ეკონომიკური სისტემების შედარებითი ანალიზია (კომპარტივიზმი). ამ მიმართულების შედეგია ინტენსიური თეორიები (კონვერგენციის ინდუსტრიული პოსტინდუსტრიული საზოგადოების) თეორიები. ეკონომიკურ თეორიას არ აინტერესებს ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობების კანონებში გარკვევა, ამ კანონთა მოქმედების მექანიზმის შეცნობა.

ეკონომიქსი საკუთრებას განიხილავს როგორც ადამიანის დამოკიდებულებას ნივთისადმი. ეკონომიკური თეორია საკუთრებას განიხილავს როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობას, ჩამოყალიბებულს რესურსებისა და მისგან შექმნილი დოვლათის მითვისების გამო.

**ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიქსის კვლევის საგნები ერთმანეთს კვეთს და ემთხვევა კიდეც, ოღონდ შესწავლის კუთხე აქვთ სხვადასხვაგვარი.** „ეკონომიქსის“

პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო 1948 წელს აშშ-ში გამოსცა პოლ სამუელსონმა. ეს იყო პერიოდი, როდესაც უკვე მომწიფდა ნიადაგი ეკონომიკაში მომხდარი რევოლუციული ცვლილებების ასახვისათვის, ახალი ეკონომიკური მოვლენების ახსნისათვის. „ეკონომიქსის“, როგორც განსაკუთრებული ეკონომიკური დისციპლინის, ფართოდ გავრცელებასა და განვითარებას ხელი შეუწყო XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების დივერსიფიკაციამ, ინტენსივობამ და მასშტაბურობამ.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობამ სავსებით კანონზომურად „ეკონომიქსის“ სასწავლო კურსის შემოღება მოითხოვა უმაღლეს სასწავლებებში, რასაც მოჰყვა როგორც უცხოური სახელმძღვანელოების ქართულად თარგმნა, ისე ქართული შესაბამისი ლიტერატურის გამოცემა.

**ელასტიკური მოთხოვნა** – მოთხოვნა, რომელსაც აქვს ტენდენცია იცვლებოდეს ფასების უმნიშვნელო რხევისგან.

**ელასტიკურობა (elasticity)** – პროცენტებში გამოხატული ცვლილება ერთი ცვლადისა პროცენტებში გამოხატული მეორე ცვლადის ცვლილებების პასუხად. მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს მოთხოვნის ან მიწოდების ცვალებადობის ხარისხის ერთი რომელიმე ფაქტორის, მაგალითად, ფასის ზემოქმედებით. 1. **მოთხოვნის ფასისმიერი ელასტიკურობა** ახასიათებს შესასყიდი საქონლის ან მომსახურების რაოდენობის ცვალებადობის ხარისხს მისი ფასის შეცვლისას. 2. **მოთხოვნის ელასტიკურობა ნიშნავს** იმას, რომ ფასის მცირეოდენი შეცვლა იწვევს იმ პროდუქციის რაოდენობრივ მნიშვნელოვან ცვლილებას, რომელზეც არის მოთხოვნა. თუკი ფასის შეცვლა მხოლოდ ოდნავ ცვლის საქონლის ან მომსახურების რეალიზაციის რაოდენობას, მაშინ მოთხოვნა არაელასტიკურია. საბაზრო ეკონომიკის თეორიაში გამოყოფენ **„ერთეული ელასტიკურობის“ ცნებას.** იგი გამოხატავს სიტუაციას,

რომლის დროსაც ფასის პროცენტული ცვლილება საქონელზე (მომსახურებაზე) მოთხოვნის პროცენტული ცვლილების ტოლია. ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი **„სავსებით არაელასტიკური მოთხოვნა“,** რაც იმას ნიშნავს, რომ საქონლის ფასის ცვლილება გავლენას არ ახდენს მასზე მოთხოვნის მოცულობაზე.

**მოთხოვნის ელასტიკურობის კოეფიციენტი** გამოითვლება ფორმულით:

$$Э = \frac{\text{გარკვეულ საქონელზე მოთხოვნის პროცენტული ცვლილება}}{\text{გარკვეული საქონლის ფასის პროცენტულ ცვლილებასთან}}$$

მოთხოვნის ელასტიკურობის კოეფიციენტს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ხელფასის დონის განსაზღვრისას. მაგალითად, ვინაიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნა პრაქტიკულად არაელასტიკურია, მისი წარმოების გადიდება ერთდროულად ამცირებს ფასს ერთეულ პროდუქციაზე და აქედან გამომდინარე, ფერმერის შემოსავალსაც, რომლის კომპენსირებაც აუცილებელია. საკანონმდებლო გზით, წონასწორობის დონის გაუთვალისწინებლად ხელფასის მინიმუმის შემოღებამ შეიძლება გამოიწვიოს უმუშევრობის ზრდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. **მიწოდების ფასისმიერი ელასტიკურობა** იმგვარად იზომება, როგორც მოთხოვნის ელასტიკურობა, ოღონდ ელასტიკურობის კოეფიციენტის ფორმულაში გარკვეულ საქონელზე მოთხოვნის პროცენტული ცვლილებების სიდიდის ნაცვლად ჩაისმება გასაყიდი საქონლის მიწოდების მოცულობის პროცენტული ცვლილება. **მიწოდების ელასტიკურობის** ძირითადი ფაქტორია დრო, რომლის განმავლობაშიც მწარმოებელი სათანადო რეაგირებას ახდენს მისი პროდუქციის ფასების შემცირებასა თუ გადიდებაზე, გამოყოფენ უმოკლეს, მოკლე და გრძელვადიან საბაზრო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მწარმოებელს შეუძლია რეაგირება მოახდინოს კონიუნქტურის ცვლილებაზე.

**ელემენტებს შორის კავშირები სხვადასხვაგვარია** – მატერიალურ-ნივთობრივი (კონსტრუქციული) და არანივთობრივი (ინფორმაციულ-ტექნიკური), უწყვეტი და დისკრეტული, დეტერმინირებული და სტოქასტიური (შემთხვევითი). ჩვეულებრივ განიხილება ის კავშირები, რომლებიც არსებითად გავლენას ახდენენ სისტემის ფუნქციონირებაზე.

**ელექტრონული ფული** – ღირებულების გამოხატვის ელექტრონული ფორმა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს გადასახადის საშუალებად როგორც ემიტენტი, ასევე მესამე პირის მიმართ.

**ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი** – დამოკიდებულია პლასტიკური ბარათების გამოყენებაზე და მოიცავს ბანკომატების მეშვეობით განხორციელებულ ოპერაციებს, სავაჭრო ორგანიზაციებში მოსახლეობის ანგარიშსწორების ელექტრონულ სისტემებს, კლიენტების საბანკო მომსახურების სისტემებს ბინაზე და სამუშაო ადგილზე.

**ელექტრონული ბიზნესი E** – ნიშნავს ელექტრონული საშუალებებისა და პლატფორმების გამოყენებას ფირმის ბიზნესის წარმართვისათვის.

**ელექტრონული ვაჭრობა** – პირდაპირი მარკეტინგი ორმხრივი სისტემის მეშვეობით, რომელიც აკავშირებს მომხმარებლებს (მყიდველებს) გამყიდველის კომპიუტერიზებულ კატალოგებთან საკაბელო ან სატელეფონო ხაზებით.

**ელექტრონული კომერცია** – მარკეტინგის, რეკლამის, საქონლის და მომსახურების სისტემა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების (ინტერნეტის) გამოყენებით.

**ელექტრონული კომერცია** – საქონლის გაყიდვისა და მომსახურების გაწევა ინტერნეტის საშუალებით (საიტის შედგენა, პროვაიდერული მომსახურება, რეკლამა ინტერნეტში და ა.შ.).

**ელექტრონული საბანკო მომსახურება** – დაშორებული კლიენტების ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მომსახურებას ითვალისწინებს. ელექტრონულ საბანკო

მომსახურებას შეიძლება მივაკუთვნოთ: მომსახურება პლასტიკური ბარათებით, კლიენტების ადგილზე მომსახურეობა – სისტემა „ბანკი-კლიენტი“, ავტომატური მომსახურეობა ტელეფონის მეშვეობით, მომსახურეობა ინტერნეტის გამოყენებით და სხვა.

**ელექტრონული ფოსტა (e-mail) –** სპეციფიკური (გადადებული) კითხვის (off-line) სერვისი. ელექტრონული წერილი, რომელსაც ღებულობს ადრესატი თავის კომპიუტერზე. შედგება სათაურებისგან, რომელბიც შეიცავენ სამსახურებრივ ინფორმაციას (წერილის ავტორის, მიმღების, ქსელის გავლის გზების და ა.შ.) და წერილის შინაარსს.

**ელექტრონული ფული (electronic money) –** კომპიუტერების მეშვეობით მრავალი საგადასახადო და საანგარიშსწორებო ოპერაციის შესრულება, სხვადასხვა ინფორმაციის დამუშავება და გადაცემა საკრედიტო გარიგებების, ფულადი გადასახადებისა და ანგარიშსწორების შესახებ. ამის შედეგად სულ რაღაც რამდანიმე წამში შეიძლება ინფორმაციის მიღება იმ პირის საბანკო ანგარიშის შესახებ, რომელმაც წარმოადგინა ჩეკი ან ელექტრონული საკრედიტო ბარათი ამა თუ იმ საქონლის შესაძენად ან ამა თუ იმ სახის მომსახურების მისაღებად. ელექტრონული ფულის სისტემას ავსებს საბანკო ავტომატები, რომლებიც განლაგებულია ქალაქის სხვადასხვა ადგილას მიწისქვეშა გადასასვლელებში მეტროს სადგურებთან და ა.შ. მათი საშუალებით საბანკო ანგარიშის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ დროს დამოუკიდებლად, საბანკო პერსონალის მონაწილეობის გარეშე, ჩაერთოს საბანკო კომპიუტერში და შეასრულოს ისეთი ოპერაციები, როგორიცაა: ფულის შეტანა, გამოტანა და გაგზავნა ერთი ანგარიშიდან მეორეზე, კრედიტის მიღება და ა.შ. დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

**ელვისებური ლიკვიდობის ნორმატივი –** ამ ნორმატივს ანგარიშობენ ბანკის მაღალ ლიკვიდური აქტივების თანხის შეფარდებით მოთხოვნამდე ანგარიშებით არსებული

ვალდებულებათა ჯამებზე. მისი მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობაა 20%.

**ელიმინაცია** – არსებული პროდუქტების ამოღება ფირმის საწარმო პროგრამიდან. საქონლის წარმოების შეწყვეტა და მოხსნა ბაზრიდან კონკურენტუნარიანობისა და მოთხოვნის დაკარგვის გამოყენება გაყიდვების მოცულობის, ბაზრის წილის, სასიცოცხლო ციკლის ადგილის, რენტაბელობისა და ა.შ. კრიტერიუმები.

**ემბარგო (embargo; ესპ. Embargo - აკრძალვა)** – სახელმწიფო ხელისუფლების მიერ საქონლის, ოქროს, ფასიანი ქაღალდებისა და ა.შ. საზღვარგარეთ გატანის ან საზღვარგარეთიდან შემოტანის აკრძალვა ან სავაჭრო ურთიერთობის მთლიანად აღკვეთა ამა თუ იმ ქვეყანასთან ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებით.

**ემერჯენტულობა** – სისტემის თვისება შეასრულოს მოცემული მიზნის ფუნქცია, რომელიც რეალიზდება მხოლოდ ლოგისტიკური სისტემის მიერ მთლიანობაში, და არა მის ცალკეულ ელემენტებში.

**ემერჯენტულობის პრინციპი** – რაც დიდია ლოგისტიკური სისტემა და მეტია განსხვავება ნაწილსა და მთელს შორის, მით მეტია იმის ალბათობა, რომ მთელის თვისება შეიძლება ძლიერ განსხვავდებოდეს ნაწილების თვისებებისგან. შესაძლებელია ცალკეული ნაწილების მიზნების ლოკალური ოპტიმუმების დაუმთხვევლობა ლოგისტიკური სისტემის მიზნის გლობალურ ოპტიუმთან.

**ემინენტი (emitter; ლათ. emittere - გამოშვება)** – იურიდიული პირი ან სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახორციელებს ემისიას.

**ემისია** – 1. ფასიანი ქაღალდების, ყველა ფორმის ფულის ნიშნების მიმოქცევაში გაშვება. 2. ფულისა და ფასიანი ქაღალდების გამოშვება მიმოქცევაში. 3. მიმოქცევაში საბანკო და სახაზინო ბილეთების, ქაღალდის ფულისა და ფასიანი ქაღალდების გამოშვება. ემისიის შედეგად მიღებული სახელმწიფო შემოსავლები განისაზღვრება ამ

ფულის მსყიდველობითი უნარისა და მის გამოშვებაზე გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობით. ფასიანი ქაღალდების ემისია შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო სესხის ობლიგაციების, ისე კერძო კომპანიების მიერ აქციებისა და ობლიგაციებისა და ობლიგაციების გამოშვება. 4. **(emission; ლათ. Emission - გამოშვება)** – საბანკო და სახაზინო ბილეთების, ქაღალდის ფულისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გაშვება. ემისიის შედეგად მიღებული სახელმწიფო შემოსავლები განისაზღვრება ამ ფულის მსყიდველობით უნარსა და მის გამოშვებაზე გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობით. ვთქვათ, სახელმწიფომ განახორციელა 100 მლნ. დოლარის ემისია. ამ ფულის გამოშვებასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა შეადგნა 1 მლნ დოლარი, ე.ი. ერთ წელიწადს ასეთმა ოპერაციამ სახელმწიფოს მისცა 99 მლნ დოლარის შემოსავალი. შემდგომ წელიწადს ემისიის ხარჯები გაორკეცდა (ხელფასის და ა.შ. ზრდის საფუძველზე) და ფასები გაიზარდა 100%-ით, ე.ი. ორჯერ. ასეთ შემთხევაში 100 მლნ. დოლარის მსყიდველობითი უნარი გაუტოლდება წინა წლის 50 მლნ. დოლარის მსყიდველობით უნარს. შესაბამისად სახელმწიფოს შემოსავალი შემცირდება 48 მლნ. დოლარამდე. ფასიანი ქაღალდების ემისია იყოს როგორც სახელმწიფო სესხის ობლიგაციების, ისე კერძო კომპანიების მიერ აქციების და ობლიგაციების გამოშვება.

**ემისიური შემოსავალი (annulmission income)** – აქციონერული საზოგადოების შემოსავალი, რომელიც იქმნება აქციის ნომინალურ და საბაზრო კურსებს შორის სხვაობით. აქციის კურსი შეიძლება იყოს ნომინალზე მაღალი ან დაბალი. თუ კურსი მაღალია მაშინ აქციონერთა საზოგადოება იღებს ემისიურ შემოსავალს. ამ უკანასკნელის განსაზღვრისთვის ითვალისწინებენ აქციის დამზადებისა და რეალიზაციის ხარჯებს. მაგალითად 10 ათასი აქციის დამზადებაზე, როცა ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 1000 ფრანკია, დაიხარჯა 100 ათასი ფრანკი, ხოლო

საფონდო ბირჟაზე გაიყიდა 1360 ფრანკის კურსით. საბროკერო კანტორისათვის 70 ათასი ფრანკის ოდენობის კურტაჟის გადარიცხვის გათვალისწინებით, ემისიური შემოსავალი შეადგენს 3430000 ფრანკს (1360–1000= =360·10000=3600000–100000–70000). ემისიური შემოსავალი გადადის აქციონერთა საზოგადოების სარეზიზიო ფონდში.

**ემიტირება (issue of money (securities); emitere - გამოშვება ) –** ფულისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გაშვება, ემისიის განხორციელება.

**ემოციური კომპეტენტურობა** – ემოციური და პიროვნებათ-შორისი კრიზისიდან თავის დაღწევის უნარი.

**ემოციური სიმწიფე და სიმტკიცე** – მასში იგულისხმება ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაციაში ღირსეულად მოქმედების შესაძლებლობა და მზადყოფნა.

**ენგელის კანონი (Engel's low)** – მოხმარების ემპირული კანონი, დადგენილი ერნსტ ენგელის მიერ. კანონის იდეა მდგომა-რეობს იმაში, რომ ეროვნული შემოსავლის ნაწილი, დახარჯული კვების პროდუქტებზე, კეთილდღეობის კარგი ინდიკატორია. რაც უფრო მცირეა ეს ნაწილი, მით უფრო მაღალია კეთილდღეობა.

**ენგელის კოეფიციენტი (engel's coefficient)** – კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, რომ რაც უფრო იზრდება მოთ-ხოვნა დოვლათზე, შემოსავლის ზრდასთან შედარებით, მით უფრო ელასტიკურია ეს მოთხოვნა. ცნობილმა გერმა-ნულმა სტატისტიკოსმა, ე. ენგელმა პირველმა გამოიკვლია კავშირი მყიდველთა შემოსავლებსა და სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურას შორის. მან დაადგინა შემოსავლე-ბის დონის მიხედვით სხვადასხვა სახის დოვლათზე მოთხოვნის მოცულობის ფუნქციონალური დამოკიდებუ-ლების ცვალებადობა. ენგელის აზრით, მოთხოვნა პირვე-ლადი მოხმარების საგნებზე, მათ შორის, ტრადიციული სახის კვების პროდუქტებზე (პურზე, კარტოფილზე და ა.შ.), გარკვეული მომენტებიდან ჩამორჩება შემოსავლების ზრდას, ხოლო კვების ისეთ პროდუქტებზე, როგორიცაა

ხილი, ბოსტნეული, მცენარეული ზეთი და ა.შ., აგრეთვე, მომსახურების მრავალ სახეზე – შემოსავლების ზრდის პროპორციულად მატულობს შემოსავლის ცვლილების ერთეულზე მოთხოვნის შეფარდებით ცვლილებას მან მოთხოვნის ელასტიკურობა უწოდა. ე.ი. მოთხოვნის ელასტიკურობა უდრის მოთხოვნის მოცულობის ცვლილება შეფარდებული შემოსავლების ცვლილებასთან.

**ენდოგენური ზრდა (Endogenous growth)** – ეკონომიკური ზრდა წარმოების შიგა (მაგალითად, მასშტაბის ეფექტი, ტექნოლოგიის სრულყოფა და ა.შ.) და არა გარე, ეგზოგენური (მაგალითად, მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდება) ფაქტორების ზემოქმედებით.

**ენდოგენური მტპ (endogenous scientific technological progress; ბერძ. endon – შიგნით, genos - გვარი, მოდგმა)** – ენდოგენური (შინაგანი მიზეზებით წარმოქმნილი) ტექნოლოგიური პროგრესის წარმოებრივი ფუნქცია. იგი ვლინდება შრომასა და კაპიტალს შორის თანაფარდობის ცვლილებებით.

**ენთუზიასტი** – კოლექტივის ყველაზე აქტიური წევრი, იგი დასმული ამოცანების სარეალიზაციოდ თავისი მოქმედებით მაგალითს აძლევს კოლექტივის სხვა წევრებს.

**ერთ მგზავრზე გაანგარიშებით ნაფრენი კილომეტრი** – ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება მგზავრკილომეტრის გაყოფით შესაბამის გადაზიდულ მგზავრების რიცხობრიობაზე.

**ერთგვაროვნება** – რაც უფრო ერთგვაროვანია გამოყოფილი ჯგუფი, მით უფრო მსგავსი იქნება მისი წარმომადგენლების ფინანსური მოთხოვნილებები და მომსახურების წარმოებისა და გასაღების უფრო ეფექტიანად ორგანიზების საშუალებები ექნება ბანკს.

**ერთეული საბანკო პროდუქტი** – კონკრეტულ მომხმარებელზე გათვლილი კონკრეტული პროდუქტი, რომელსაც თავისი მყიდველის მკაფიოდ გარკვეული წრე ჰყავს.

**ერთი აქციის ღირებულება** – ეს არის აქციონერული კაპიტალის ფორმის (მიმოქცევაში გაშვებული) ჩვეულებრივი აქციების რაოდენობაზე გაყოფით.

**ერთი სახის ნედლეულის გადამუშავებიდან მიღებული ორ და მეტ ძირითად პროდუქტს, ერთობლივად წარმოებულ პროდუქტებს ანუ შეუღლებულ პროდუქტებს უწოდებენ.**

**ერთი სახის ტრანსპორტით განხორციელებული საერთაშორისო გადაზიდვები** – პირდაპირი საერთაშორისო მიმოსვლა ეწოდება. ხოლო ორი ან მეტი სახის ტრანსპორტის გამოყენებისას შერეული ანუ კომბინირებული მიმოსვლა. თუ შერეული გადაზიდვები გაფორმებულია ერთი (გამჭოლი) სატრანსპორტო დოკუმენტით, მას პირდაპირი შერეული მიმოსვლა ეწოდება.

**ერთი ქვეყნის ვაჭრობას მეორესთან, რომელიც მოიცავს საქონლის ექსპორტსა და იმპორტს, საგარეო ვაჭრობა ეწოდება, ხოლო სხვადასხვა ქვეყნის ურთიერთვაჭრობის ერთობლიობას საერთაშორისო ვაჭრობა.**

**ერთიანი სატრანსპორტო სისტემა** – წარმოადგენს ტრანსპორტის ელემენტთა ორგანიზაციულ ერთობლიობას და მათ შორის კავშირს.

**ერთიანი სახმელეთო ტარიფი** – შსსმ შემადგენელი ნაწილი. განკუთვნილია გადაზიდვების გადასახადების გამოთვ-ლისა და გადახდისთვის შსსმ-ის მონაწილე ქვეყნების რკინიგზებზე ტრანზიტით ტვირთების გადაზიდვისა-თვის და მესამე ქვეყანაში, რომელიც არ წარმოადგენენ შსსმ-მჩ მონაწილეს, გადაზიდვების გაფორმების წესის განსაზღვრისათვის. ამჟამად ერთიანი სატრანზიტო ტა-რიფის გამოყენება შეზღუდულია აზიაში განლაგებული ქვეყნების შსსმ-ის მონაწილე ქვეყნების ტერიტორიით: ჩინეთი, მონღოლეთი, ჩრდილოეთ კორეა. გამოიყენება აგრეთვე სატრანზიტო გადაზიდვები.

**ერთიანი ცივილიზაციის თეორია** – სოციალურ-კულტურული თეორია, რომელსაც საფუძვლად უდევს იდეა ერთიანი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური წყობის - ლიბერალური დემოკრატიისაკენ თანდათანობით წინსვლის შესახებ, ე.ი. ისეთი წყობისკენ, რომელიც უკვე მიღწეულია დასავლეთში. ამ თეორიისათვის საზოგადოების მოდერ-

ნიზაციის თეორია ყველგან მისი ვესტერნიზაციის ანალოგიურია.

**ერთმმართველობა** – ეფექტიანი მართვა ბევრადაა დამოკიდებული ხელმძღვანელისა და ხელქვეითს შორის დამყარებული უშუალო და გასაგებ ურთიერთობაზე, ერთმმართველობის პრინციპის მიხედვით, მომუშავემ უფლებამოსილება უნდა მიიღოს მხოლოდ მისი უშუალო უფროსისგან (მხოლოდ ერთი კაცისგან) და მხოლოდ მის მიმართ უნდა იყოს პასუხისმგებელი ამგვარი დამოკიდებულება ამცირებს კონფლიქტების წარმოშობის საშიშროებას და ამაღლებს პასუხისმგებლობას.

**ერთმმართველობა** – სამმართველო იერარქიაში ყოველ თანამშრომელს ყავს როგორც უფროსი, ისე ქვეშემრდომი. თანამშრომელი ემორჩილება მხოლოდ ერთ უფროსს და ბრძანებებს იღებს მხოლოდ მისგან. ყველა თანამშრომელმა უნდა იცოდეს თავისი ადგილი ორგანიზაციაშია.

**ერთმმართველობა** – ორგანიზაციის აგების პრინციპი, რომლის თანახმად ხელქვეითმა უფლებამოსილება უნდა მიიღოს მხოლოდ ერთი უფროსისაგან და მხოლოდ მისსავე წინაშე უნდა იყოს პასუხისმგებელი.

**ერთმმართველობის არსიდან გამომდინარე, მართვის ნებისმიერი დონის ხელმძღვანელს უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილება.**

**ერთმხრივი ხაზი** – მისი მომსახურება წარმოებს ერთი სანაოსნო კომპანიის გეგმებით.

**ერთნაბიჯიანი მეთოდის შემთხვევაში** – შემოსავლების შესახებ ანგარიშგების პოზიციები ორ კატეგორიად დაიყოფა: ამონაგები და შემოსავლები; ხარჯები და ზარალი. მოგების მაჩვენებლის მიღება ერთ ნაბიჯად შემოსავლების ხარჯების საერთო ჯამიდან ხარჯების საერთო ჯამის გამოკლების მეშვეობით ხორციელდება. ასეთ მეთოდს ერთნაბიჯიანს იმიტომ უწოდებენ, რომ კორპორაციის

საოპერაციო მოგების გაანგარიშებისათვის მხოლოდ ერთი ნაბიჯი არის საჭირო.

**ერთობა –** მომხმარებლებს შორის ურთიერთობის საიტი.

**ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი** – ახალნათესაურ კავშირში მყოფ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი ან პარტნიორები (აქციონერები), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, ბანკის გარდა, სხვა კომერციული ინტერესებით.

**ერთობლივად წარმოებულ პროდუქტებს** – გააჩნიათ დამოუკიდებელი სარეალიზაციო ფასი, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ კომპანიის საფინანსო-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისათვის.

**ერთობლივი (აგრეგატული) წარმოებრივი ფუნქცია** – ფუნქციონალური დამოკიდებულება მთელს ეკონომიკაში პროდუქციის ნაკადსა და წარმოებაში მთლიან ფაქტობრივ შრომის დანახარჯებსა და კაპიტალს შორის. ჩვეულებრივ ეს ფუნქცია გამოისახება ასე: v=F(K,L). ფორმულაში შეიძლება აისახოს მიწაც, დანახარჯებისა და ტექნოლოგიების სახით.

**ერთობლივი განაწილება** – ზოგადი ტერმინი, რომელიც მიეკუთვნება ერთი და იმავე ალბათურ სივრცეში მოცემული რამდენიმე შემთხვევითი სიდიდის განაწილებას.

**ერთობლივი დანახარჯები (gross expenses, expenditures)** – მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამი წარმოების ყოველ კონკრეტულ დონეზე.

**ერთობლივი დასაქმებული მოსახლეობა (total employees) –** დასაქმებული მოსახლეობა პლუს სამხედრო მომსახურეები.

**ერთობლივი მეწარმული საქმიანობა –** უცხოურის ბაზარში შეღწევის ხერხი, საწარმოო და მარკეტინგული სიმძლავრეების შექმნის მიზნით პარტნიორი ქვეყნის კომერციულ საწარმოებთან ძალების გაერთიანების საშუალებით.

**ერთობლივი მიწოდება** – გვიჩვენებს წარმოების რეალური მოცულობის ოდენობას ფასების ნებისმიერი დონის პირობებში.

**ერთობლივი მიწოდება (aggregate supply)** – ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ჯამური ღირებულება.

**ერთობლივი მიწოდების ელასტიკურობა (elasticity of aggregate supply)** – მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს ეკონომიკაში ერთობლივი მიწოდების მოცულობის შემთვისებლობას საქონლისა და მომსახურების ფასების დონის ცვალებადობასთან. თუ ერთობლივი მიწოდების მოცულობის პროცენტული მატება სჭარბობს პროცენტებში გამოხატული ფასების ზრდას, მაშინ ასეთი მიწოდება ელასტიკურია (Es>1); თუ ერთობლივი მიწოდების მოცულობის პროცენტული გადიდება ტოლია პროცენტებში გამოხატული ფასების ზრდისა, მაშინ მიწოდების ელასტიკურობა 1-ის ტოლად ითვლება (Es=1) მიწოდება არაელასტიკურია, როდესაც ფასების მატება სჭარბობს ერთობლივი მიწოდების მოცულობის ზრდას( Es<1).

**ერთობლივი მოთხოვნა** – გვიჩვენებს იმ საქონლისა მომსახურების რეალურ მოცულობას (ეროვნული) წარმოების რეალურ ოდენობას), რომელთა შესაძენათაც მზად არიან მომხმარებლები ფასების ნებისმიერი დონის პირობებში.

**ერთობლივი მოთხოვნა (aggregate demand)** – ქვეყნის რეალური მსყიდველობითი უნარის მაჩვენებელი; ერთობლივი დანახარჯები, რომელშიც შედის სახელმწიფო სამომხმარებლო ხარჯები, კერძო სექტორის მოხმარება, შეჯამებული ინვესტიციები და ექსპორტ-იმპორტის დანახარჯების სალდო.

**ერთობლივი მოთხოვნის ელასტიკურობა (elasticity of aggregate demand)** – მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნის მოცულობის შემთავსებლობას საქონლისა და მომსახურების ფასების დონის ცვალებადობასთან. ასახავს მოცემულ საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებას

მათი ფასის ერთი პროცენტით შეცვლისას. თუ ერთობ-ლივი მოთხოვნის მოცულობის პროცენტული ზრდა აღემატება ფასების შემცირების პროცენტულ დონეს, მაშინ მოთხოვნა ელასტიკურია (Ed>1). როცა ერთობლივი მოთხოვნისა და ფასების მაჩვენებლები თანაბარია (გამო-ხატული პროცენტულად), მოთხოვნის ელასტიკურობა ითვლება 1-ის ტოლად (Ed=1); თუ ფასების შემცირების პროცენტული დონე აღემატება ერთობლივი მოთხოვნის ზრდას (%-ში), ერთობლივი მოთხოვნა არაელასტიკურია (Ed<1). ერთობლივი მოთხოვნის ელასტიკურობა ფართოდ გამოიყენება ფასების დონის შეცვლის შესახებ გადაწყ-ვეტილების მიღებისას.

**ერთობლივი მოთხოვნის მრუდი (aggregate demand curve)** – მრუდი მაკროეკონომიკური მოდელის გრაფიკზე, რომე-ლიც გამოხატავს ურთიერთდამოკიდებულებას წმინდა ეროვნული პროდუქტის მოცულობასა და ფასების საერთო დონეს შორის. მისი ყოველი წერტილი გვიჩვენებს, რა რაოდენობის წმინდა ეროვნული პროდუქტი შეიძლება გაიყიდოს შესაბამისი ფასით. ინდივიდუალური მოთხოვ-ნის მრუდის განსხვავებით, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი არ გამოხატავს ჩანაცვლების ეფექტს, რომლის დროსაც მზარდი ფასი აქვეითებს მოთხოვნას. ამ შემთხვე-ვაში მზარდი ფასი ამცირებს პროდუქციაზე მოთხოვნის წონასწორობის დონეს რეალური ფულადი მასის კლების გზით, რაც იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდასა და ინვესტიციების შემცირებას.

**ერთობლივი მიწოდების მრუდი (aggregate supply curve)** - მრუდი მაკროეკონომიკური მოდელის გრაფიკზე, რომე-ლიც ასახავს ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების ერთობლივი მიწოდების დინამიკას და გამოხატავს დამოკიდებულებას ფასების ზრდასა და წარმოების მოცულობას შორის. მისი ყოველი წერტილი გვიჩვენებს, თუ შესაბამისი ფასით რა რაოდენობის წმინდა ეროვ-ნული პროდუქტი შეიძლება მიეწოდოს ბაზარს.

**ერთობლივი საწარმო** – საწარმო რომლის მუშაობაშიც მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის ფირმები, რომლებიც ორგანიზებულად გაფორმებულია როგორც ერთიანი, საერთო საწარმო.

**ერთობლივი საწარმოები** – სხვადასხვა ქვეყნის ორი ან მეტი კერძო ან სახელმწიფო კომპანია ერთობლივად ქმნის ორგანიზაციას. ყველა მონაწილე მოგებას იღებს აქციების პაკეტის შესაბამისად.

**ერთობლივი ფირმები** – შექმნილია ორი ან მეტი პირის საკუთრების გაერთიანებით.

**ერთობლივი შემოსავალი** – იხ. ეროვნული შემოსავალი.

**ერთობლივი შიდა პროდუქტი (ეშპ), რომელშიც, ეეპ**-ისგან განსხვავებით, შედის ქვეყანაში მოქმედი უცხოური კომპანიების მოგება და გამორიცხულია ეროვნული კომპანიის მიერ უცხოეთში წარმოებული ოპერაციებისგან მიღებული შემოსავალი.

**ერთობლივი ხაზი** – მომსახურება წარმოებს რამდენიმე სანაოსნო კომპანიის გეგმებით.

**ერთობლივი ხარჯები** – საერთო დანახარჯები პროდუქციის წარმოების ყველა შესაძლო დონეზე.

**ერთობლივი ხარჯები (aggregate expenses)** – ეკონომიკაში საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მთლიანი თანხა. ერთობლივ ხარჯებში (v) შედეგის მოხმარება (c), ინვესტიციები (I), სახელმწიფო ხარჯები (G), პლიუს ექსპორტს (X,) მინუს იმპორტი (M) ფორმულით გამოისახება ასე: V=C+I+G+(X-M).

ერთობლივი ხარჯების მოცულობა განსაზღვრავს წარმოებისა და დასაქმების მოცულობას. იგი შეიძლება სისტემატურად მერყეობდეს ფასების საერთო დონის ცვლილებების გამო.

**ერთჯერადი პრემია** – გაიცემა ცალკეული ინდივიდის, გუნდის ან მთელი ორგანიზაციის წარმატებული მუშაობისათვის.

**ერთჯერადია** – დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ ერთ რომელიმე სამეურნეო ოპერაციას. მაგალითად, ერთჯერადი

დოკუმენტებია: სალაროს შემოსავლის ორდერი, სალაროს გასავლის ორდერი, მოთხოვნა და ა.შ.

**ერიდეთ მენტორულ ტონს** – არ სცადოთ პარტნიორის ჭკუის სწავლება. იმოქმედეთ დარწმუნების მეთოდით.

**ეროვნულ ბაზრობებსა და გამოფენები** – ამ გამოფენებზე დაიშვებიან უცხოელი მყიდველები, მაგრამ გაყიდვის უფლება მხოლოდ ეროვნულ ფირმებს აქვთ მინიჭებული. მათგან განსხვავებით საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე მონაწილეობა შეუძლიათ ნებისმიერი ქვეყნის ფირმებს.

**ეროვნული (შიდა) საბანკო ბაზარი** – იგი ყალიბდება ცალკეული ქვეყნების ფარგლებში.

**ეროვნული ანგარიშები** – ანგარიშები, რომელიც მოიცავს ეროვნული შემოსავლის წყაროებს, მონაცემებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში წარმოების ფასების სხვადასხვა სახით საქონლის შესაძენი ხარჯების შესახებ. ამ მონაცემების საფუძველზე, გაიანგარიშება ქვეყნის ეროვნული შემოსავალი, გამოვლინდება ეკონომიკური საქმიანობისა და მისი შედეგების საერთო სურათი.

**ეროვნული ანგარიშები** – ანგარიშებისა და საბალანსო ცხრილების სისტემა, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების რაოდენობრივ აღწერას გარკვეულ მონაკვეთში. მაკროეკონომიკურ ანალიზში გამოიყენება კრებსითი ეროვნული ანგარიშები, რომლებიც გამოხატავენ მთლიანი ეროვნული პროდუქტის შექმნის, ეროვნული შემოსავლის კაპიტალწარმოქმნის განაწილებისა და გამოყენების პროცესს, მოცემული ქვეყნის ეკონომიკური აგენტის მიერ სხვა სახელმწიფოსთან განხორციელებულ ოპერაციებს.

**ეროვნული ანგარიშიანობა** – მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკურ სტატისტიკაში, ასახავს ეკონომიკური განვითარების (ეროვნული შემოსავლის, საბოლოო პროდუქტის წარმოების, განაწილების, გადანაწილებისა და მოხმარების, აგრეთვე, ეროვნული სიმდიდრის ფორმირების) მნიშვნელოვან ასპექ-

ტებს. ტერმინი შემოიღო ჰოლანდიელმა ეკონომისტმა ედ. ვან კლიფმა XX საუკუნის 40-50-იან წლებში. გაერომ ეროვნული ანგარიშიანობა საფუძვლად დაუდო ეროვნულ ანგარიშთა სტანდარტულ სისტემას.

**ეროვნული ბანკი** – ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა. მისი უმაღლესი ორგანოს 9 წევრისგან შემდგარი ეროვნული ბანკის საბჭო. პრეზიდენტი არის საბჭოს თავმჯდომარე. იგი ეროვნული ბანკის დირექტორ-განმკარგულებელია და პასუხისმგებელია ბანკის მიმდინარე საქმიანობაზე. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს და ანთავისუფლებს მას ეროვნული ბანკის საბჭოს წარმოდგენით. ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგენით. ეროვნული ბანკის საბჭო უმაღლეს ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას უწევს ბანკის მთელ საქმიანობას.

**ეროვნული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა** – საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრული მისი სტატუსი, ამოცანები, ფუნქციები, უფლებამოსილებიანი და სხვა საქმიანობის ორგანიზაციის პრინციპები.

**ეროვნული ბანკის სარეზერვო ფონდი** – იქმნება საწესდებო კაპიტალში ანარიცხების განხორციელების შემდეგ. სარეზერვო ფონდში ყოველ საფინანსო წლის ბოლოს უნდა გადაირიცხოს წლის წმინდა შემოსავლის დარჩენილი ნაწილის არაუმეტეს 50 პროცენტის ტოლი თანხა, ვიდრე სარეზერვო ფონდის თანხა გაუთანაბრდება განაღდებული კაპიტალის ოდენობას. სარეზერვო ფონდის საერთო თანხა მისი ნებართვით შეიძლება იყოს ეროვნული ბანკის განაღდებულ კაპიტალზე მეტი ოდენობის. სარეზერვო ფონდის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ეროვნული ბანკის ზარალის დასაფარად.

**ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანებია** – ფულის მიმოქცვის რეგულირება, ეროვნული ვალუტის სიმტკიცის უზრუნველყოფა, ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, ანგარიშსწორებისა და სალაროს მომსახურების

ორგანიზაცია, მეანაბრეთა და ბანკების ინტერესების დაცვა, კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობაზე მეთვალყურეობა, საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება.

**ეროვნული ბანკის წმინდა შემოსავალი** – გამოანგარიშება, როგორც წმინდა საოპერაციო მოგების ან ზარალისა და გადაფასების შედეგად მიღებული არარეალიზებული წმინდა მოგების ზარალის ჯამი.

**ეროვნული გადამზიდველი** – ავიაგადამზიდველი, რომლის უპირატესი ფლობის და ფაქტიური კონტროლის უფლება გააჩნია საქართველოს სახელმწიფოს ან მის მოქალაქეებს.

**ეროვნული ეკონომიკის ტრანსპორტტევადობა** – მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს თანაფარდობას ტვირთზიდვასა და წარმოებას შორის (ტონაკილომეტრი მთლიანი შიდა პროდუქტის დოლარზე).

**ეროვნული ვალუტა** – დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს ფულადი ერთეული, რომელიც გამოიყენება ამ ქვეყნის სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო ეკონომიკური, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ურთიერთობათა უზრუნველსაყოფად.

**ეროვნული ვალუტის ფონდი** – ერთეულის განსაზღვრულ რაოდენობაში გამოხატულ უცხოური ვალუტის ფულადი ერთეულის ფასს ვალუტის ანუ გასაცვლელი კურსი ეწოდება.

**ეროვნული მეურნეობის სიდიდე** – იზომება შექმნილი სიუხვის მოცულობათა ერთიანობით, რომელსაც ერთობლივი შიდა პროდუქტი ჰქვია, ანუ ჩვენი ოთხივე მეურნეობის მიერ შექმნილი სიუხვე ფულად გამოხატულებაშია. დროში ის არის წლიური და მთლიანად ქვეყნის დაარსებიდან.

**ეროვნული რეჟიმი** – სავაჭრო პოლიტიკური რეჟიმი, რომლის დროს (იმპორტის რეგულირებისათვის სპეციალურად გათვალისწინებულ ღონისძიებათა გარდა) უცხოური

საქონელი უნდა ბრუნავდეს ეროვნულ ბაზარზე იმავე პირობებით, როგორც სამამულო.

**„ეროვნული რომბი“** – პორტერის ეროვნული კონკურენციული უპირატესობათა თეორიაში დახასიათებულია ქვეყნის კონკრეტულ უპირატესობათა დეტერმინანტების სისტემა, რომლებიც, ურთიერთქმედებენ რა, აძლიერებენ ან ასუსტებენ მსოფლიო ბაზარზე მისი კონკრეტული უპირატესობის პოტენციურ დონეს.

**ეროვნული სიმდიდრე** – საზოგადოების განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე თაობების შრომით შექმნილი და დაგროვილი მატერიალური დოვლათისა და კვლავწარმოებაში ჩართული ბუნებრივი რესურსების ერთობლიობა, რომელსაც მოცემული პერიოდისათვის ფლობს საზოგადოება. იგი საზოგადოების განვითარების საფუძველი და მაკროეკონომიკური მაჩვენებელია. მისი ძირითადი სტრუქტურული ელემენტებია: ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი მატერიალური მარაგები და რეზერვები, საცხოვრებელი ფონდები, სოციალურ-კულტურული დანიშნულების შენობა-ნაგებობები, ხანგრძლივი გამოყენების საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები, ბუნებრივი რესურსები მოსახლეობის პირადი ქონება.

**ეროვნული სიმდიდრე (national wealth)** – განსაზღვრული პერიოდისთვის ფინანსური და არაფინანსური აქტივების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ წინა თაობების მიერ შექმნილ მატერიალურ და არამატერიალურ ქონებას, აგრეთვე გამოკვლეულ და ეკონომიკურ ბრუნვაში მოქცეულ რესურსებს.

ფართო გაგებით, ეროვნული სიმდიდრე არის თაობების მიერ შრომით შექმნილი და დაგროვილი მატერიალური სიმდიდრე, წარმოების პროცესში ჩართული და აღრიცხული ბუნებრივი რესურსები, აგრეთვე ადამიანისეული კაპიტალი (ინტელექტუალური კაპიტალი, დაგროვილი ცოდნა, გამოცდილება და ა.შ.). გამოითვლება მიმდინარე

და შესადარ ფასებში. ახასიათებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. თანამედროვე მსოფლიოს ეროვნული სიმდიდრე (მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით), 550 ტრილიონ დოლარს შეადგენს. აქედან, 365 ტრილიონი მოდის ადამიანისეულ კაპიტალზე, მატერიალურ კაპიტალზე – 95, ხოლო ბუნებრივ რესურსებზე – 90 ტრილიონი დოლარი.

ეროვნული სიმდიდრე არათანაბარია სხვადასხვა ქვეყანაში. მისი ნახევარი მოდის „დიდ შვიდეულზე" – აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, კანადა, იაპონია. დანარჩენი ნახევარი ნაწილდება შემდეგ–ნაირად: ოპეკის ქვეყნებზე მოდის 95 ტრილიონი დოლა–რი, დსთ-ის ქვეყნებზე 80, ხოლო დანარჩენ ქვეყნებზე 100 ტრილიონი დოლარი.

ბუნებრივი რესურსებით მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანა რუსეთია. მისი რესურსული პოტენციალი, მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით, 2-2,5–ჯერ აჭარბებს, აშშ-ის რესურსული პოტენციალის, 6-ჯერ გერმანიისას და 18-21 ჯერ იაპონიისას. აშშ-ის ეროვნული სიმდიდრე, მიმდინარე ფასებით, დაახლოებით 24 ტრილიონი დოლარის ტოლი.

**ეროვნული ფირმისგან არენდის საგნის ყიდვისა და უცხოელ არენდატორზე მისი გაქირავების საერთაშორისო ოპერაცია –** ამ ოპერაციებს მიეკუთვნება საექსპორტო საარენდო ოპერაციას, ხოლო უცხოური ფირმისაგან არენდის საგნის შეძენისა და ადგილობრივი არენდატორისაგან მისი მიქირავების ოპერაცია საიმპორტო საარენდო ოპერაციაა.

**ეროვნული შემოსავალი –** ყველა სახის შემოსავლის ჯამი, ეროვნული წარმოებიდან მიღებული შემოსავალი. იგი ასახავს ეკონომიკური რესურსების საბაზრო ფასს და მოიცავს შრომის ანაზღაურებას (ხელფასი და პრემია), რენტული შემოსავლის, კორპორაციების მოგებას (მოგების ის ნაწილი, რომელიც რჩება კორპორაციების განკარგულებაში შრომისა და კრედიტების ანაზღაურების

შედეგს), წმინდა სარგებლის (პროცენტი) და საკუთრებიდან შემოსავლების (პირადი შემოსავლები).

**ეროუ-პრატას კოეფიციენტი (Arrow-Pratt coefficient)** – რისკისგან გადახრის ინტენსივობის მაჩვენებელი, რომლის სიდიდე განისაზღვრება როგორც სარგებლიანობის მეორე წარმოებული ფუნქციის თანაფარდობა ზღვრული სარგებლიანობასთან.

**ესს** – ერთიანი სატრანსპორტო სისტემა.

**ეტაპიურობა** – საკადრო მუშაობაში სიახლის დანერგვის შესაძლებლობა ეტაპების მიხედვით და (ან) სიახლეთა დამუშავების შესაძლებლობა ექსპერიმენტული გზით.

**ეტატიზმი (etatism; ფრანგ. etat - სახელმწიფო )** – პოლიტიკური ცნება, რომელიც გამოხატავს აქტიურ ჩარევას საზოგადოების ეკონომიკურ საქმიანობაში.

**ეტიმოლოგიური ტერმინი „კონკურენცია“** – მომდინარეობს ლათინური „concurrentia”-დან, რაც შეჯახებასა და შეჯიბრებას ნიშნავს.

**ეფექტი (ღიათ მოქმედება)** – რისამე მოქმედების შედეგი. მაგალითად, ეკონომიკური საქმიანობის შედეგი, რომელიც გაიანგარიშება მიღებული შემოსავლების და წარმოების ხარჯების სხვაობით 2) ვისგანმე ან რისგანმე მიღებული შთაბეჭდილება.

**ეფექტის კანონი** – მოტივაციის თეორიის კონცეფცია, რომლის თანახმად ადამიანები ესწრაფვიან გაიმეორონ ქცევის ისეთი ტიპი, რომელიც, მათი შეფასებით, საშუალებას იძლევა დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილებები, ამასთანავე, გაურბიან ქცევის ისეთ სახეს, რომლის შედეგად მათი მოთხოვნილებები არ დაკმაყოფილდება.

**ეფექტიანი** – ეფექტის, შედეგების გადიდებით დანახარჯების გამომხატველი მცნება.

**ეფექტიანი** – ძირითადად ეკონომიკური ტერმინია და ნიშნავს ეფექტს, შედეგის მიღებას. მისი სინონიმებია: შედეგიანი რეზულტატიანი. მაგალითად, ეფექტიანი ბიზნესი, მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობა.

**ეფექტიანი დასაქმება** – როცა შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საფუძველზე, იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის სამარის შემოსავალს, ადამიანის ჯანმრთელობას, საზოგადოების თითოეული წევრის საგანმანათლებლო და პროფესიული დონის ამაღლებას.

**ეფექტიანი მოთხოვნა** – ერთობლივი მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე, უზრუნველყოფილი მათი შეძენისათვის საჭირო რესურსებით. იგი განსხვავდება პოტენციური მოთხოვნისგან, რომელიც უკავშირდება საქონლისა და მომსახურების შეძენის სურვილს, მაგრამ არ არის უზრუნველყოფილი მათი შეძენისთვის საჭირო რესურსებით და ამიტომ არ შეიძლება ფასების მექანიზმის მეშვეობით დაყვანილი იქნეს მომხმარებლამდე. ასეთი დაყოფა მნიშვნელოვანია იმით, რომ ვინაიდან ფასების მექანიზმი არ იძლევა სიგნალის პოტენციური მოთხოვნის შესახებ, ამიტომ საბაზრო ეკონომიკაში შეიძლება წარმოიქმნას უწონასწორობა.

**ეფექტიანობა** – ეკონომიკური ზრდის ხარისხს, შედეგებსა და დანახარჯებს ან რესურსებს შორის თანაფარდობის განზოგადოებული დახასიათება. წარმოების ეფექტიანობის ამაღლება გამოიხატება საბოლოო შედეგების გადიდებით დანახარჯების აბსოლუტური ან შეფარდებითი (შედეგების ერთეულზე გაანგარიშებით) შემცირების დროს.

**ეფექტიანობა** – რესურსთა გამოყენების შეფასების კრიტერიუმი. გამოითვლება რესურსების გამოყენებით მიღებული შედეგის შეფარდებით წარმოების დანახარჯებთან. ბაზრის ეფექტიანობა მიიღწევა მაშინ, როცა რესურსები იმგვარად ნაწილდება, რომ მათი გამოყენებით მიიღება მაქსიმალურად შესაძლებელი წმინდა ეკონომიკური მოგება.

**ეფექტური** – ეფექტის, შთაბეჭდილების მომხდენი და არა შედეგის მომცემი. მაგალითად, ეფექტური სპექტაკლი, სანახაობითი ღონისძიებების ეფექტურად ჩატარება, რაც დაკავშირებულია შთაბეჭდილების მოხდენასთან და შედეგიანობის თვალსაზრისით შეიძლება შეიქმნას საპი-

რისპირო ვითარება: რაიმე მოჩვენებითობის, ილუზიის შექმნა (პიარ-კამპანია).

**ექსპანსია** – სახელმწიფოს მისწრაფება ახალი ბაზრების დაპყრობისა და ეკონომიკური გავლენის სფეროს ეკონომიკისაკენ.

**ექსპანსიონისტური** – ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ხასიათდება დაკრედიტების მასშტაბების გაფართოებით, მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის ნამატზე კონტროლის შესუსტებით, საგადასახადო განაკვეთების შემცირებით, საპროცენტო განაკვეთების დონის დაქვეითებით.

**ექსპანსიონისტური ფულად საკრედიტო პოლიტიკა** – დაკრედიტების მასშტაბების გაფართოების, საპროცენტო განაკვეთების დონის შემცირებისა და მიმოქცევაში არსებული ფულის ნამეტზე კონტროლის შესუსტებისკენ მიმმართული წამახალისებელი პოლიტიკა.

**ექსპატრიანტი** – ფართო გაგებით, ამ ტერმინში იგულისხმება უცხოელები, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა ტენდენცია, მისი უფრო ვიწრო გაგებით გამოყენებისა, განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში ჩამოსულ პირთან მიმართებაში. მათი სამუშაო, ორ ქვეყანას შორის ხელფასის დონეებში სხვაობიდან გამომდინარე, შედარებით მაღალანაზღაურებადია.

**ექსპედიტორი** – შუამავალი, რომელიც აწარმოებს ტვირთების გადაზიდვის ორგანიზაციას ან აწარმოებს სხვა სახის დახმარების აღმოჩენას ტვირთგამგზავნის დავალებით.

**ექსპედიტორის ანგარიში** – გაიცემა ექსპედიტორის მიერ იმის დასტურად, რომ მან გამოუწვევი ინსტრუქციების არსებობისას იკისრა დოკუმენტებში მითითებული მიმღებისათვის ტვირთის კონკრეტული პარტიის გაგზავნა ან მისი შენახვა.

**ექსპედიტორის ინსტრუქცია** – ექსპედიტორზე გაცემული დოკუმენტია, იმ ღონისძიებათა ინსტრუქციით, რომელიც მან უნდა ჩაატაროს მითითებული საქონლის ექსპედირების დროს.

**ექსპედიტორის მოწმობა ტრანსპორტის შესახებ** – ექსპედიტორის მიერ გაცემული საბრუნავი დოკუმენტაცია, რომლითაც იგი კისრულობს ტვირთის გამგზავნის მიერ მოცემულ დოკუმენტში მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად კონკრეტული პარტიის ტრანსპორტირებასა და მოწოდებას და იღებს მოცემული დოკუმენტის მფლობელისათვის მის მიერ დანიშნული სატრანსპორტო აგენტის შუამავლობით ტვირთის მოწოდების ვალდებულებას.

**ექსპედიტორის სასაწყობო ხელწერილი** – ექსპედიტორის (იგი გამოდის მმართველის როლში) მიერ გამოწერილი დოკუმენტია, რომლითაც დასტურდება საწყობში შენახვისა და მისი გაცემის პირობებში, ან შეიცავს მითითებას ამ პირობების შესახებ, რომელთაც დოკუმენტი მიღებული აქვთ გადასაცემი ხელმოწერილის, საკუთრების უფლების გადაცემის და ა.შ.

**ექსპედიტორის უწყება** – იმპერატორის აგენტისათვის გაიცემა ექსპედიტორის მიერ ექსპორტიორის ქვეყანაში და განკუთვნილია მასში მითითებული ტვირთის ექსპედირების შესახებ იმპორტიორის ქვეყნის ექსპედიტორის შესატყობინებლად.

**ექსპედიტორის უწყება** – იმპორტიორისათვის გაიცემა ექსპედიტორის მიერ და ექსპორტიორს აუწყებს მიღებული ინსტრუქციის შესასრულებლად განხორციელებული ზომების შესახებ.

**ექსპერიმენტების ჩამტარებლები** – ახალგაზრდები, ენერგიითა და ენთუზიაზმით სავსე, იმპულსიურები, წყურიათ მრავალფეროვნება და სულიერი მღელვარება. შემოსავლების დიდ ნაწილს წარმართავენ ტანსაცმლის შეძენაზე, გართობასა და ურთიერთობაზე.

**ექსპერტების ზემოქმედება** – გავლენა, დაფუძნებული მიმდევართა რწმენაზე, რომ მათი ლიდერი ფლობს განსაკუთრებულ ცოდნას, რომელიც უზრუნველოფს წარმოშობილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

**ექსპერტების გამოკითხვა** – პროგნოზირების მეთოდი, რომლის დროსაც ხდება სხვადასხვა დარგის ექსპერტების აზრების ერთნაირად თავმოყრა და გასაშუალება.

**ექსპერტული შეფასებათა მეთოდი** – მასში შედის ექსპერტთა მოსაზრების შეგროვება და ანალიზი, განმაზოგადებელი რეიტინგული შეფასების (კოეფიციენტების) შედგენა და მათი „მიბმა“ გარკვეული რისკის ზონებზე.

**ექსპერტული შეფასების მეთოდი** – გულისხმობს საპროგნოზო ტენდენციებში გარკვეული კორექტივების შეტანას ექსპერტების მიერ განხორციელებული კონიუნქტურული ფაქტორების შესწავლისა და შეჯერების საფუძველზე.

**ექსპერტული შეფასების მეთოდი** – პროგნოზირების მეთოდი, რომელიც ეფუძნება ექსპერტთა ჯგუფის მიერ თანხმობის მიღწევას.

**ექსპერტული ცენტრები** – მსგავსია კომპანიის შიგნით მდებარე სპეციალიზებული ადამიანური რესურსების კონსულ-ტინგური ფირმებისა და უზრუნველყოფს სპეციალიზე-ბულ დახმარებას ისეთ სფეროში, როგორიცაა მაგალითად, ორგანიზაციული ცვლილებები.

**ექსპლუანტანტის სერთიფიკატი** – ექსპლუატანტის მოწმობა, რომელიც ექსპლუატანტს ანიჭებს უფლებას შეასრულოს გარკვეული კომერციული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა.

**ექსპორტ ფაქტორინგი (ინგ. export factoring)** – ფაქტორული ოპერაციები საგარეო ვაჭრობაში; მოიცავს საკრედიტო და რისკის გარანტიებს.

**ექსპორტი** – ერთ ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსა-ხურების გატანა საზღვარგარეთ საგარეო ბაზრებზე რეალიზაციის მიზნით. არსებობს ხილული და უხილავი ექსპორტი. ხილულია ფიზიკურად ხელშესახები საქონ-ლის ექსპორტი, ხოლო უხილავი – მომსახურებისაა.

**ექსპორტი** – რაიმეს გადატანა საზღვარგარეთ. მაგალითად, კაპიტალის ექსპორტი, ინფლაციის ექსპორტი და ა.შ.

**ექსპორტი** – უცხოეთის ბაზრებზე მოხვედრის უმარტივესი გზაა. ამ მიზნით ორგანიზაცია ქმნის დამოუკიდებელ

სავაჭრო კომპანიას ან საშუამავლო სამსახურს, რომელიც აადვილებს უცხოელ მყიდველებთან დაკავშირებას.

**ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები** – მატერიალურ საგნობრივი ფორმის საქონლის ყიდვა გაყიდვასთან დაკავშირებული კომერციული საქმიანობა. ამასთან საერთაშორისო ვაჭრობაში ექსპორტსა და იმპორტს მიეკუთვნება მხოლოდ კომერციულ საფუძველზე განხორციელებული ოპერაციები ანუ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების (ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტების) საფუძველზე განხორციელებული ოპერაციები.

**ექსპორტის აგენტი (export agent, manufactures export agent)** – ეწოდება თავისი ქვეყნის მცირე რაოდენობის სამრეწველო ფირმათა დავალებით მოქმედ სავაჭრო ფირმას.

**ექსპორტის კრედიტები (ინგ. Export credita**) – კრედიტი, რომელსაც საქონლის ექსპორტიორები აწოდებენ იმპორტიორებს. უმთავრესად გაიცემა აქცეპტის ფორმაში (იხ: აქცეპტური კრედიტები). თანამედროვე პირობებში საშუალოვადიანი და გრძელვადიანი კრედიტების მიწოდებას ახორციელებენ ექსპორტის ბანკებში, რომლებიც სპეციალიზებული არიან საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე, ეკონომიკური კრედიტები შეიძლება იყოს კომერციული და საბანკო.

**ექსპორტის ლიცენზია (ინგ. export license)** – შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ნებართვა განსაზღვრული საქონლის (მეტნაწილად ხელოვნების საგნების ან სტრატეგიული საქონლის) გატანაზე.

**ექსპორტორიენტირებული ინდუსტრიალიზაცია** – კურსი, რომლის მიზანია ადგილობრივი სამრეწველო საქონელი მოხვდეს საგარეო ბაზარზე საექსპორტო წარმოებათა სტიმულირების გზით, ამასთან უცხოური კაპიტალისა და გამოცდილების მოზიდვის მეშვეობით.

**ექსტენსიური მიწათმოქმედება** – სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემა, როცა პროდუქციის მოცულობის ზრდით

მიიღწევა დამუშავებული მიწის რაოდენობის ზრდის ხარჯზე.

**ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ორგანოები (exterritorial organizations and bodies)** – მოიცავს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი სპეციალიზებული ორგანიზაციები, რეგიონული ორგანოები და ა.შ., ევროპული გაერთიანება, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, არაბული სახელმწიფოების ლიგა, საბაჟო თანამშრომლობის საბჭო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია, და სხვა. რაც შეეხება დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საელჩოებს, ისინი გაეროს სსდკ-ის მიხედვით კლასიფიცირებულია ქვეჯგუფში – „უცხოური საქმეები". ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, სახელმწიფო მმართველობაში შედის.

ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ორგანოები გაეროს სსდკ-ში ცალკე განყოფილებად შედის.

**ექსტერიტორიულობა (exterritoriality)** – განსაკუთრებული უფლებამოსილებიანი (საცხოვრებლის ხელშეუხებლობა, ბეგარისა და გადასახადისგან განთავისუფლება და სხვ.), რომელსაც სახელმწიფო ანიჭებს უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

**ექსტერნალიზაცია (externality)** – ფირმის მიერ საკუთარი საჭიროებისათვის წარმოებული მომსახურების მისყიდვა სხვა კომპანიებისათვის. ჩვეულებრივ, ექსტერნალიზაცია ხორციელდება ფირმის შიგნით ქვეგანაყოფილებების ან ფილიალების შექმნის გზით. იმ შემთხვევაში, თუ სოლიდურ საბაზრო წარმატებას მიაღწევს, ასეთ ფილიალს შეუძლია თავად გახდეს დამოუკიდებელი ფირმა. მაგალითად, ინგლისის ექვსი წამყვანი ფირმა, რომლებიც ამჟამად კომპიუტერულ მომსახურებაშია სპეციალიზებული, ადრე ამ ქვეყნის ტრანსეროვნული კორპორაციების ფილიალებად ითვლებოდა.

**ექსტრანეტი** – ქსელი, რომელიც აერთიანებს ფირმას მის მიმწოდებელთან.

**ექსტრაპოლაცია (extra polation; ლათ. polatio)** – 1. არსებული მონაცემების საფუძველზე ეკონომიკურ მაჩვენებელთა მოსალოდნელი მნიშვნელობების განსაზღვრა წარსულში მათი ცვლილებების გათვალისწინებით; 2. სტატისტიკური კვლევისას მოვლენის ერთ ნაწილზე დაკვირვების საფუძველზე მიღებული დასკვნების გავრცელება მის მეორე ნაწილზე.

**ექსტრაპოლაციის მეთოდი** – ითვალისწინებს ბაზრის ანალიზს გასულ პერიოდში და მისი განვითარების ტენდენციების გადატანას მომავალზე.

**ეშელონირებული, ანდა მრავალდონიანი ლოგისტიკური სისტემა** – სისტემა, რომელიც გამართავს მატერიალურ ნაკადს მწარმოებლიდან მომხმარებლამდე, ისეთნაირად, რომ ის გადის როგორც მინიმუმ ერთი შუამავლის გავლით.

## 3

**ვაგნერის კანონი** – (wagner´s law) ჰიპოთეზა, რომელიც წამოაყენა XIX საუკუნის ბოლოს გერმანელმა ეკონომისტმა ადილ ვაგნერმა. მისი აზრით, სამრეწველო განვითარებას თან ახლავს სახელმწიფო ხარჯების წილის ზრდა მთლიან ეროვნულ პროდუქტში. ვაგნერმა ჩამოაყალიბა ამ მოვლენის სამი ძირითადი მიზეზი: 1. ხარჯების შეფარდების ზრდა სახელმწიფო მმართველობაზე, კანონიერების და წესრიგია დაცვაზე, აგრეთვე საზოგადოების განვითარების კვალობაზე ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებაზე. 2. მოთხოვნის ელასტიკურობა სახელმწიფოს კულტურული და საქველმოქმედო საქმიანობაზე. მოთხოვნა ასეთი სახის მომსახურებაზე იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე შემოსავლები; 3. ეკონომიკური განვითარების კვალობაზე სამრეწველო მონოპოლიების ზრდა, რომელიც სახელმწიფო კონტროლს მოითხოვს. ვაგნერის წინასწარმეტყველება

შემდგომმა მოვლენებმა განამტკიცეს, თუმცა იმ პერიოდში იგი გახდა მწვავე კრიტიკის ობიექტი.

**ვაგონით გზავნილება** – ტვირთის რაოდენობა, რომელიც გადაიზიდება ერთი სარკინიგზო ზედდებულით, რომლის გადასაზიდად საჭიროა ერთი ვაგონი.

**ვადაგადაცილებული სესხი** – სესხი, რომლის ძირითადი თანხის (მისი ნაწილის) ან პროცენტის განვადებით გათვალისწინებული თანხის გადახდა არ მოხდა მასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ვადაში.

**ვადიანი ანაბარი** – (time deposits) - ვადიანი დეპოზიტი, დანაზოგი, რომელიც შენახულია ბანკში განსაზღვრული ვადით და ამ ვადის გასვლამდე არ გაიცემა.

**ვადიანი დეპოზიტები** – ესაა ფულადი სახსრები, რომლებიც ჩაირიცხება სადეპოზიტო ანგარიშზე განსაზღვრული ვადით, პროცენტების გადახდის წესით.

**ვადიანი თამასუქი** – (time bill) - თამასუქი ფიქსირებული ვადით.

**ვადიანი სავალუტო გარიგებები** – უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გარიგება, მათზე სახსრების გარკვეული დროის შემდეგ მიწოდებით, შეთანხმების დადებიდან ორი საბანკო სამუშაო დღის შემდეგ.

**ვადიანი, ანუ ფიუჩერსული გარიგებები** – (terminal transacyion, future transaction, paper transactions, futures) ხორციელდება არარეალურ საქონელზე. ამ გარემოებით გამყიდველსა და მყიდველს შორის იდება კონტრაქტი, რომლის თანახმად ერთმა მხარემ გარკვეული ვადის შემდეგ თავის კონტრაჰენტს უნდა მიაწოდოს საქონლის გარკვეული რაოდენობა. ასეთ გარიგებაში ანგარიშსწორება ხდება ფიუჩერსული კონტრაქტის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ. „ფიუჩერსული გარიგებები“ ზოგჯერ იწერება „ფიუჩერსული გარიგებებად“ ამის მიზეზის სხვადასხვა ინგლისური ეკვივალენტი: თუ საფუძველია (fature transactions), მაშინ იხმარება ფიუჩერსული „futures“ შემთხვევაში – ფიუჩერსული.

**ვადორიზაცია** – სახელმწიფოს ღონისძიებად განხორციელების გზით საქონელზე ან ფასიან ქაღალდებზე ფასების ხელოვნური აწევა.

**ვაკუფი** – (Wakuf) [არაბ. wakf] უძრავი და მოძრავი ქონებას (აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყნებში), შეწირული რელიგიური ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სასარგებლოდ.

**ვალდებულება** – 1. დაწესებულების მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოიშობა წარსული სამეურნეო საქმიანობის შედეგად და რომლის შესრულებაც გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განვითარებული რესურსების გასვლას საწარმოდან. 2. არის საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარსულში სამეურნეო მოვლენების შედეგად წარმოიშვა და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განვითარებული რესურსების გასვლას საწარმოდან. 3. რაც ვისმე ევალება; ნებაყოფილებით ნაკისრი დავალება. მიცემული პირობის მიხედვით აუცილებლად შესასრულებლი რამ.

**ვალდებულებები** – არის ბანკის მთლიანი ვალდებულებებისა და გარესაბალანსო ვალდებულებების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ამ წესით დადგენილი ლიკვიდურობის კ8 და კ9 ეკონომიკური ნორმატივების გასაანგარიშებლად. ვალდებულებები გაიანგარიშება როგორც ბანკის მთლიანი ვალდებულებებისა“ და „გარესაბალანსო ვალდებულებების“ თანხობრივ მოცულობათა ჯამი, რომელშიც არ გაითვალისწინება: ბანკის მიერ მიღებული ის სესხები, სუბორდინირებული ვალები და გარესაბალანსო ვალდებულებები და ან მათი ნაწილი, რომელთა გადახდის შესრულებამდე დარჩენილია ექვს თვეზე მეტი ვადა; გაცემული გარანტიებისა და გასანაღდებელი აკრედიტივების ნაწილი მათ უზრუნველსაყოფად ამავე ბანკში დაჯავშნული ფულადი სახსრების ოდენობითა უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ნაკისრი ვალდებულებები.

**ვალდებულებები** – არის საწარმოს ვალები, მისი ფინანსური მოვალეობაა, იგი საწარმოების დავალიანებაა სხვადასხვა ორგანიზაციების, საწარმოების ან პირების მიმართ, ხოლო იმ ორგანიზაციებს, საწარმოების ან პირებს რომელთა დავალიანებაც გააჩნია საწარმოს, კრედიტორები ეწოდება.

**ვალდებულებები თამასუქებზე** – ბალანსის მუხლი, რომელშიც აღრიცხულია კომპანიების თამასუქებით გაფორმებული დავალიანება ბანკებისა ან სხვა კრედიტორების მხრიდან.

**ვალდებულებების ამსახველი ანგარიშები** – საწარმოს მოზიდული სახსრების წყაროებს წარმოადგენენ. ისინი თავიანთი ბუნებით პასიური ანგარიშებია, მათი დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ ამ ანგარიშებში, მსგავსად კაპიტალის ანგარიშებისა, ნორმალური (ძირითადი) ჩანაწერები კეთდება კრედიტის მხარეს, ზრდის ამსახველი ოპერაციები ჩაიწერება დებეტში. საანგარიშგებო პერიოდი ბოლოსათვის ამ ანგარიშებს შეიძლება ჰქონდეს (თუ ასეთს ადგილი ექნება) საკრედიტო სალდო (ნაშთი).

**ვალვაცია** – (valuation) [ფრანგ.evaluatiom - შეფასება] უცხოური ვალუტის ღირებულების განსაზღვრა ამა თუ იმ სახელმწიფოს ეროვნული ფულადი ერთეულით.

**ვალი** – (debt) ვალდებულება, წარმოქმნილი ფულადი სახსრების, სესხის ან საქონლის (მომსახურების) კრედიტით მიღების საფუძველზე, ანუ მოგვიანებით გადახდის შესახებ. ვალის ფორმა დამოკიდებულია გარიგების პირობებზე. მისი უმეტესობა ითვალისწინებს პროცენტის გადახდას გარკვეულ პერიოდში, ჩვეულებრივ, დადგენილ ვადაში. არსებობს ვალის სხვადასხვა სახე, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საბაზრო ფორმა, ანუ შეიძლება მისი ყიდვა-გაყიდვა განსაზღვრულ ბაზარზე, მაგალითად ისეთზე, როგორიცაა საფონდო ბირაჟა.

**ვალორიზაცია** – (valorization)[ფრანგ. valorisition] - საქონლის ფასის, ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა სახელმწიფო ღონისძიებების დახმარებით.

**ვალუტა** – (currency) [იტალ. Valuta – ფასი, ღირებულება] - ქვეყნის ფულადი ერთეული, რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო ეკონომიკურ გაცვლაში და დაკავშირებულია ყოველგვარ ფულად ანგარიშსწორებასთან საერთაშორისო ურთიერთობაში. ვალუტას მიეკუთვნება აგრეთვე საერთაშორისო საანგარიშსწორებო ფულად ერთეულში (მაგალითად, ევრო) რომლებიც ემიტირებულია სამთავრობათშორისო სავალუტო საფინანსო ორგანიზაციების მიერ. სხვადასხვა ქვეყნის ვალუტები საერთაშორისო ანგარიშსწორებებში არათანაბარი ზომით გამოიყენება, ვინაიდან ამ ქვეყნებს მსოფლიო საფინანსო გაერთიანების მიერ აღიარებული და დაკანონებული კონვერტირების სხვადასხვა რეჟიმი აქვთ. ამიტომ ქვეყნების ერთი ჯგუფი (აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია და სხვა) საერთაშორისო ანგარიშსწორებაში იყენებენ, როგორც საკუთარ ეროვნულ ვალუტას, ისე უცხოურსაც, მაშინ როდესაც სხვა სახელმწიფოები (მათ შორის საქართველო და ყოფილი საბჭოთა-კავშირის სხვა რესპუბლიკები) იძულებულნი არიან საერთაშორისო ანგარიშსწორებაში მხოლოდ უცხოური ვალუტები გამოიყენონ.

საერთაშორისო სავალუტო ბრუნვაში უპირატესად მონაწილეობს სულ რამდენიმე თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, რომელსაც ამჟამად საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიაკუთვნებს აშშ-ის დოლარს, ევროს, ინგლისურ გირვანქა სტერლინგს და იაპონურ იენს. სწორედ ეს ვალუტები შეადგენენ მსოფლიო სავალუტო რეზერვების ძირითად მასას. არსებობს აგრეთვე სხვა თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტები - ზოგიერთი ქვეყნის (შვეიცარიის, სინგაპურის და სხვა). ეროვნული ფულადი ერთეულები, მაგრამ ემისიის მასშტაბის გამო მსოფლიოში მათი რაოდენობა არ არის საკმარისი საერთაშორისო საგადასახადო ბრუნვის მომსახურებისათვის. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფულადი ერთეულები ან შეზღუდვები შექცევადობისა, ან მთლიანად შეუქცევადი

და მხოლოდ სავალუტო კოტირების მეშვეობით უკავშირ-
დება სავალუტო სფეროს. მსოფლიო ვაჭრობასა და
საერთაშორისო ინვესტირებაში ძირითადი (სარეზერვო)
ვალუტის როლს ასრულებს აშშ-ის დოლარი (აგრეთვე,
ევრო), რომლის წილადაც მოდის საერთაშორისო ანგა-
რიშსწორებისა და სავალუტო რეზერვების მნიშვნელოვანი
ნაწილი. ნედლეულის ენერგომატარებლების, უმეტესი
სახის მზა ნაწარმის მსოფლიო ფასები დოლარებშია
ფიქსირებული.

**ვალუტა** – (იტალიური valuta ნიშნავს ფასს, ღირებულებას)
ქვეყნის ფულადი ერთეულია. უფრო ვიწრო გაგებით მასში
იგულისხმება უცხო სახელმწიფოთა ფულის ნიშნები.
საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. ვალუტა
ანგარიშებზე არსებული ფულია.

**ვალუტაზე ჩატარებული ოპერაციები** – შემოსვლა: მოსახლეობის
ვალუტის მიყიდვიდან მიღებული ამონაგები; ხარჯვა:
ვალუტის შეძენაზე მოსახლეობის მიერ დახარჯული
სახსრები.

**ვალუტით ვაჭრობა** - ში განასხვავებენ მყიდველისა და გამყიდ-
ველის კურსებს. პირველი გამოიყენება ვალუტის გასაყი-
დად, მეორე კი შესასყიდად.

**ვალუტის ბაზარზე ზეწოლის ინდექსი** – მოკლევადიანი
საპროცენტო განაკვეთის, საერთაშორისო რეზერვებისა და
გადასაცვლელი კურსის ცვლილებების საშუალო შეწონი-
ლი სიდიდე. იგი მხოლოდ რამდენიმე მაკროეკონომიკურ
მაჩვენებლებს მოიცავს და ამის გამო, ქვეყანაში მიმდინარე
ყველა ეკონომიკურ პროცესს სრულად ვერ აღწერს. FMP
ინდექსი 1996 წელს შეიმუშავეს ეიჩერგრინმა, როუზმა და
უაიპლოზმა.

**ვალუტის ბაზარი** – არის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს
ვალუტებისა და უცხოურ ვალუტებში გამოხატული საგა-
დასახადო დოკუმენტების, ჩეკების, თამასუქების, აკრედი-
ტივების და ა.შ. ყიდვა-გაყიდვას. ვალუტის ბაზარზე
ანგარიშსწორება ხდება ნაღდი (დაუყოვნებელი), კომბინი-

რებული და ვადიანი გადახდის ფორმით, სავალუტო ოპერაციებში ნაღდი ფორმით ანგარიშსწორება ცნობილია „სპოტის“ ვადიანი გარიგება – „ფორვარდის“, ხოლო კომბინირებული – „სვოტის“ სახელწოდებით. ვალუტის ბაზარზე სრულდება საარბიტრაჟო ოპერაციები, რომლებიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ვალუტის ბაზარზე ხდება ეროვნული ვალუტის გაცვლა სხვა ქვეყნების ვალუტებზე ყიდვა-გაყიდვის გზით. უცხოური ვალუტის შესყიდვა აუცილებელია, როგორც ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განსახორციელებლად, ასევე კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციების განსახორციელებლად. ეს პროცესი ხორციელდება ვალუტების გაცვლის ფორმით და მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე დადგენილი კურსის შესაბამისად. ვალუტის ბაზარი, როგორც ინსტიტუციური მექანიზმი, ბანკების ვალუტის ბირჟების, სავალუტო განყოფილებების, მსხვილი, პირველ ყოვლისა ტრანსეროვნული კორპორაციების სპეციალიზებული საბროკერო ფირმების ერთობლიობას. სავალუტო ოპერაციების ძირითად ნაწილს, ცენტრალური ბანკის ლიცენზიის საფუძველზე, ახორციელებენ სავალუტო ბანკები. როგორც წესი ეს არის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი უმსხვილესი ბანკები, რომლებსაც მრავალ ქვეყანაში აქვთ საკუთარი განყოფილებები და ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ გარიგებებს ახორციელებენ მთელი დღე-ღამის განმავლობაში. ვალუტის ბაზრის დანიშნულებაა სხვადასხვა ვალუტაში საერთაშორისო ანგარიშსწორების პრაქტიკული რეალიზაცია, სახელმწიფო ბანკების, სხვადასხვა კორპორაციების, სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაცია, მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ვალუტის კურსის დადგენა, სავალუტო რისკის დაზღვევასთან დაკავშირებული ოპერაციების ჩატარება და სხვა.

**ვალუტის ბირჟა** – (currency stock market) [ლათ. Bursa - საფულე] – ბაზრის ინსტიტუტი, რომლის მეშვეობითაც ხდება უცხოური ვალუტების კუსის (ფასი) კოტირება, რაც შეე-

ხება უცხოური ვალუტით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ვალუტის ბირჟაზე მათი მხოლოდ ნაწილი სრულდება. ვალუტის ბირჟის განსაკუთრებული როლი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ბირჟაზე ფიქსირდება უცხოური ვალუტების ოფიციალური კურსი (ოფიციალური ფასი), როგორც საფინანსო და სტატისტიკური გაანგარიშების საყოველთაო მასშტაბი, რომელსაც ბაზად იყენებენ არასაბანო სექტორის კლიენტებთან სავალუტო ანგარიშსწორებისას. ვალუტის ბირჟის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცენტრალური ბანკი. თუ რომელიმე ვალუტის კურსის ზედა ზღვარის ამაღლების საშიშროება წარმოიქმნება, იგი ზრდის ამ ვალუტის მიწოდებას, მაგრამ თუ პირიქით, კურსის დაცემის ტენდენცია შეიმჩნევა, ცენტრალური ბანკი ყიდულობს ვალუტას მისი პარიტეტის შენარჩუნებისათვის. ცენტრალური ბანკის „ინტერვენცია“ შეიძლება განხორციელდეს ვალუტის ბირჟის ფარგლებს გარეთაც. ეს ნაკარნახევია, პირველ ყოვლისა, ოფიციალური კურსის დადგენის საჭიროებით. ბირჟაზე სავალუტო ვაჭრობა ნებადართულია მხოლოდ დევიზებით და არა მონეტებით ან სახაზინო ბილეთებით ვაჭრობის დამთავრებისას ბირჟაზე მყიდველის, გამყიდველისა და საშუალო კურსები. ოფიციალურ ბიულეტინში, როგორც წესი ქვეყნდება მხოლოდ მყიდველისა და გამყიდველის კურსები, რაც კლიენტებთან ანგარიშსწორების საფუძველია. თუ კლიენტი ვალუტას ყიდულობს, მაშინ ბანკი თანხას გაიანგარიშებს გამყიდველის კურსით, ხოლო თუ კლიენტი ვალუტას მიჰყიდის ბანკს, მაშინ თანხა გამოითვლება უფრო დაბალი მყიდველის კურსით, გამყიდველისა და მყიდველის კურსებს შორის სხვაობა დაახლოებით შეესაბამება სავალუტო ოპერაციებზე გაწეულ დანახარჯებს. მსოფლიოში ყველაზე ცნობილია გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, ნიდერლანდის ვალუტის ბირჟები. ზოგ ქვეყანაში ასეთი ბირჟა საერთოდ არ არსობობს, კურსების კოტირება კი სხვადასხვაგვარად

ხდება. მაგალითად, შვეიცარიაში უცხოური ვალუტების კურსებს მსხვილი ბანკები ადგენენ. ასევე ხდება დიდ ბრიტანეტშიც, სადაც პრესა აქვეყნებს ცნობებს მხოლოდ ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი კურსების შესახებ. სკანდინავიის ქვეყნებში ეროვნულ და კომერციულ ბანკებს შორის წინასწარ ხდება შეთანხმება აშშ-ის დოლარისა და ბრიტანული გირვანქა სტერლინგის კურსების თაობაზე. იტალიაში მოქმედებს ორი სხვადასხვა ვალუტის ბირჟა განსხვავებული კოტირებით. იტალიის ცენტრალური ბანკი მათი მონაწილეობის საფუძველზე ადგენს კურსის საშუალო სიდიდეს, რომლის მიხედვითაც ბანკები ანგარიშსწორებას ახდენენ თავიანთ კლიენტებთან.

**ვალუტის ბლოკირება** – (blocked currency) საბანკო ანგარიშებზე არსებული უცხოური ვალუტის გამოყენების აკრძალვა ან შეზღუდვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ.

**ვალუტის კალათა** – (currency basket) ეროვნული ვალუტების ნაკრები, რომელსაც იყენებენ ვალუტების კოტირებისას ეროვნული ან საერთაშორისო კოლექტიური ვალუტების კურსის განსაზღვრისათვის, რაც ვალუტების მსყიდველობითი უნარისა და გაცვლის საერთო ეკონომიკური პირობების გავლენის გათვალისწინების საშუალებას იძლევა.

**ვალუტის კონვერტირება** – ერთი გაცვლა სხვა ქვეყნის ვალუტაზე მოქმედი ვალუტის კურსის მიხედვით, ანუ კონვერსიის განხორციელება.

**ვალუტის კურსი** – სხვადასხვა სახელმწიფოების ვალუტების ღირებულებათა თანაფარდობა, რომელიც დგინდება ერთ შემთხვევაში საკანონმდებლო წესით, მეორე შემთხვევაში კი ვალუტის ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების მიხედვით.

**ვალუტის კურსი (გაცვლითი კურსი)** – (currency excange rate) ეროვნული ვალუტის ერთეულის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გაიცვალოს უცხოური ვალუტის ერთ ან რამდენიმე ერთეულზე და პირიქით, ერთი ფულადი ერთეულის ფასი, რომელიც გამოსახულია მეორე ერთეუ-

ლით. საბაზრო ეკონომიკაში განისაზღვრება მოთხოვნა-მიწოდების ზემოქმედებით და გამოხატავს ეკონომიკის მდგომარეობას (მათ შორის, ფასების დონეს).

არსებობს ალტერნატიული შეხედულება ვალუტის კურსზე, რომელიც გამომდინარეობს მონეტარული თეორიისგან. იგი ვალუტის კურსს განიხილავს როგორც არა ფასს, რომელიც გათანაბრება ვალუტაზე მოთხოვნისა და მიწოდების ნაკადებს, არამედ როგორც ორი ვალუტის შეფარდებით ფასს, გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ფულადი ერთეულის ღირებულებაზე, გავლენას მოახდენს გაცვლით კურსზე. როდესაც ვალუტის ბაზარზე არ ხორციელდება სამთავრობო ინვესტიციები, კურსი თავისუფლად ცურავს, მაღლდება ან ეცემა, მოცემულ ვალუტაზე აწონასწორებს მოთხოვნა-მიწოდებას. ინვესტიციები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის – დაწყებული სავალუტო კონტროლით, დამთავრებული ისეთი საქმიანობით, რომელიც უშუალოდ არ შედის საბაზრო ოპერაციებში, მაგრამ მიზნად ისახავს ვალუტის კურსის სტაბილიზაციას.

ბრეტონ-ვუდსის სისტემის შესაბამისად XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოდან 70-იანი წლების დასაწყისამდე ვალუტის კურსებს სტაბილური შეთანხმებული პარიტეტები ჰქონდა, თუმცა, შესაძლებელი იყო მათი ცვლილება რევალვაციისა და დევალვაციის მეშვეობით. ცენტრალური ბანკი ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის გზით მასტაბილიზებელ ზემოქმედებას ახდენდა მის კურსზე რყევის პირობებში, 1971 წელს ასეთ მარეგულირებელ სისტემაში ოქმის შემდეგ ვალუტის კურსები გახდა მოქნილი რეგულირების ობიექტი, რომლის დროსაც ცენტრალური ბანკების არევა უფრო აქტიურია არასასურველი რყევების დასაძლევად. ვალუტის კურსების მოქნილი რეგულირების სისტემას ზოჯერ „ბინძურ“ ცურვასაც კი უწოდებენ. ვინაიდან საკუთარი ვალუტის კურსზე სახელ-

მწიფოს ზემოქმედება ხშირად ნაკარნახევია ანგარებიანი მოტივებით.

**ვალუტის კურსი ზრდა –** (currency appreciation) ერთი ვალუტის ღირებულების მატება სხვა ვალუტასთან შედარებით, ანუ მისი გაცვლითი კურსის ზრდა მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში. ეს მოვლენა თავისი შედეგებით რევალვაციის ანალოგიურია.

**ვალუტის კურსის დაცემა** – (currency depreciation) ერთი ვალუტის ღირებულების შემცირება სხვა ვალუტასთან შედარებით, ანუ მისი გაცვლითი კურსის კლება მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში. ეს მოვლენა თავისი შედეგებით დევალვაციის ანალოგიურია.

**ვალუტის საგადამცვლელო საქმიანობის ლიცენზია** – ს გასცემს საქართველოს ეროვნული ბანკი. ამგვარი ლიცენზიის გაცემა შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ (როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო) ფიზიკურ პირს **სებ-ში** საჭირო დოკუმენ-ტაციის წარდგენისა და შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შემდგომ. საგადამცვლელო საქმიანობის პერიოდში იგი ვალდებულია დაიცვას ეროვნული ბანკის შესაბამისი ინსტრუქციით გათვალისწინებული ნორმატივები.

**ვალუტის შებრუნებადობა კონვერსირებადობა** – ერთი ქვეყნის ვალუტის მეორე ქვეყნის ვალუტაზე გაცვლის (კონვერ-სიის) შესაძლებლობა მოქმედი ვალუტის კურსით, ოქროს სტანდარტის დროს – საბანკო ბილეთების ოქროზე გადახურდავების სხვადასხვა ფორმები.

**ვალუტის ჰეჯირება** – ეწოდება უცხოურ ვალუტაში წმინდა აქტივების ან წმინდა პასივების დაუშვებლობის მიზნით განხორციელებულ ქმედებებს, რომლებიც ითვალისწინე-ბენ შემხვედრ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს.

**ვალუტისა და ძვირფასი ლითონების ბაზარი** – ამ ბაზარზე ბანკების როლი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მათი როლის ანალოგიურია.

**ვალუტისათვის სპოტი კურსის ფორვარდ კურსზე მეტობისას** – ამ დროს ადგილი აქვს მის კოტირებას პრემიის (premium)

სახით. თავის მხრივ, თუ ვალუტისათვის ფორვარდი კურსი ნაკლებია სპოტ კურსზე, იგი სპოტი კურსის მიმართ კოტირებული იქნება (discount) დისკონტით, ანუ ფორვარდი კურსის სპოტ კურსზე მეტია დისკონტის თანხით.

**ვარანტი** – (warrant – მინდობილობა) – 1. ნოტარიალურად დამტკიცებული წერილობითი დოკუმენტი, რომელსაც გასცემს ერთი პირი მეორე პირის სახელზე მესამე პირთან მისი სახელით სამოქმედოდ მინდობილობის წარდგენა შეიძლება ქონებრივი და სხვა საკითხების გადასაწყვეტად ბანკში, სასამართლოში, არბიტრაჟში, ბირჟასა და ა.შ. 2. საქონლის გამანაწილებელი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება გადავიდეს ხელიდან ხელში ინდოსამენტის მეშვეობით. მასში ფიქსირებულია წარმომადგენლის უფლებამოსილება, აწარმოოს გარიგება ან ეწეოდეს სხვა სამართლებრივ საქმიანობას მრწმუნებლის სახელით.

**ვარანტი ფასიანი ქაღალდების** – განსაკუთრებული სახეობაა. იგი ხელმოწერითი სერთიფიკატია, რომელიც მის მფლობელს უფლებას ანიჭებს რამდენიმე წლის განმავლობაში შეიძინოს რეალური ფასიანი ქაღალდები დათქმულ ფასში.

**ვარგისიანობის მოწმობა** – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საჰაერო ხომალდის საფრენად ვარგისიანობას. საჰაერო ხომალდი კი ვარგისიანდ ითვლება თუ მისი შენახვისა და ექსპლუატირების პირობები შეესაბამება განსაზღვრული საბუთებისა და დადგენილი საექსპლუატაციო შეზღუდვის მოთხოვნებს; საქართველოში ვარგისიანობის მოწმობა საჰაერო ხომალდზე გაიცემა საქართველოს საჰაერო კოდექსის და საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის 07.12.1944 წლის ჩიკაგოს კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად.

**ვარიაცია საქონლის** – საქონლის მოდიფიკაცია, რომელიც იწარმოება და არის ბაზარზე, მისი ცალკეული თვისებების ან ხარისხის მაჩვენებელთა შეცვლის გზით. შეიძლება შეიცვალოს საქონლის ფიზიკური (მასალა, ხარისხი), ესთე-

ტიკური (დიზაინი, ფერი, ფორმა), სიმბოლური (საქონლის მარკის სახელწოდება) თვისებები.

**ვარშავის კონვენცია** – საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც ეხება საერთაშორისო საჰაერო სამგზავრო გადაყვანებისა და სატვირთო გადაზიდვების იურიდიულ სამართლებრივ ასპექტებს. დაიდო 1929 წ. არეგულირებს საჰაერო ხომალდის მფლობელის პასუხისმგებლობის საკითხებს მგზავრების, მათ სამართავად მემკვიდრეების, ტვირთმფლობელების შედეგად.

**ვაუჩერი** – (vaucher) [ინგ. Voucher წერილობითი გარანტია] მიზნობრივი საგადასახადო საშუალება, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოქალაქის უფლებას სახელმწიფო საკუთრების პრივატიზებული წილის (ფულადი ფორმით), სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დადგენილი მოცულობის და ა.შ. მიღებაზე.

საპრივატიზაციო ვაუჩერი არის ჩეკი, რომელიც იძლევა პრივატიზებული სახელმწიფო საწარმოების აქციების შეძენის უფლებას. ასეთი ვაუჩერი მისი მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში შეიძლება გაიყიდოს ნებისმიერ კერძო პირზე, კომერციულ სტრუქტურასა თუ სხვა არასახელმწიფოებრივ მესაკუთრეზე. გასაყიდი ფასი შეიძლება ვაუჩერის საწყის, ნომინალურ ფასს დაემთხვეს, აღემატებოდეს ან მასზე ნაკლები იყოს.

**ვაშინტონური და პოსტვაშინგტონური კონსესუსი** – საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ეკონომიკური პროგრამები მათი კრედიტების მიმღები ქვეყნისათვის. ვაშინგტონური კონსესუსი (საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით) ამ ქვეყნების ნორმალური ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ შემადგენლებლად ითვალისწინებს ფასებისა და ბაზრების ლიბერალიზაციას, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას (უწინარეს ყოვლისა 40%-ზე ნაკლებ ინფლაციას წელიწადში), სახელმწიფო ხარჯების შეზ-

ღუდვას (განსაკუთრებით ეკონომიკის სახელმწიფო დაკ-
რედიტებისა და ექსპორტის სუბსიდირების), პრივატიზა-
ციას, ეკონომიკის კარგახსნილობას (უწინარეს ყოვლისა,
ვალუტის კონვერტირებადობის შემოღებას და სავაჭრო
ბარიერების შემცირებას საქონლის იმპორტსა და
ნედლეულის ექსპორტზე), ნებისმიერი მკაცრი ხერხებით
სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტისა და სავაჭრო და
საგადასახდელო ბალანსის შემცირებას.

**ვაჭრობა** – (trade, merchandise) 1. საქონლის გაცვლა ინდივიდებს
ან ჯგუფებს შორის, განხორციელებული ბარტერის ან
უშუალოდ ფულით. ვაჭრობის უპირატესობაა მოხმარე-
ბისათვის ხელმისაწვდომი დოვლათისა და წარმოებრივი
საქმიანობის სპეციალიზაციის დაფარვის ზონის გაფარ-
თოება. ვაჭრობის გარეშე ინდივიდებმა და ჯუფებმა მოთ-
ხოვნილებები უნდა დაიკმაყოფილონ საკუთარი რესურ-
სებით. თავისუფალი ვაჭრობა იწვევს შრომის დანაწილე-
ბას, რომელსაც მოაქვს სარგებელი მისი ყველა მონაწილი-
სათვის. **2.** პროდუქტების ყიდვა-გაყიდვის განხორციელე-
ბა იმისდა მიხედვით თუ ვისგან რა წესით ხორციელდება
გაყიდვა ან ყიდვა არსებობს სხვადასხვა ფორმები: საშინაო
და საგარეო, საბირჟო, აუქციონით და სხვა სახის.

**ვაჭრობა ავტომატების მეშვეობით** – ასეთი წესით იყიდება
საქონლის ფართო ასორტიმენტი სიგარეტების, გამაგრი-
ლებელი სასმელების, კანფეტების, გაზეთების ჩათვლით.

**ვახშამი** – ეწყობა 21 სთ-ზე ან უფრო გვიან. სადილისაგან
განსხვავდება სადილის დროით.

**ვებ-გვერდი** – (web-page) ვებ-საიტის შემადგენელი ნაწილი.
შეიძლება შეიცავდეს ტექსტს, გამოსახულებას java და სხვა
Web-ელემენტებს. გვერდი შეიძლება იყოს სტატიკურად
და დინამიკურად გენერირებული.

**ვებ-საიტი** – (web Site, Web-serveri) ვებ-გვერდების ერთობლიობა,
რომლებიც გაერთიანებულია აზრობრივად და ფიზი-
კურად ერთ სერვერზე არსებობით.

**ვენჩერული (კუპონური) პრივატიზაცია** – სისტემური რეფორმების დროს სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა ან მთელ მოსახლეობას შორის, ანდა მსურველ მოქალაქეთა შორის (მცირე ფასად) გავრცელებული წილის (ვაუჩერების, კუპონების, სერთიფიკატების) საფუძველზე.

**ვენჩერული (სარისკო) ფირმა** – (venture firm) მცირე ან საშუალო სიდიდის კომერციული ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ტექნიკურ სიახლეთა განხილვით, შერჩევითა და პრაქტიკული რეალიზაციით, მეცნიერული გამოკვლევების დამუშავებით, გარდა ამისა აფინანსებს და კონსულტაციებს უწევს ამ სიახლეთა მფლობელ კომპანიებს. ვენჩერული ფირმები ძირითადად მსხვილი კომპანიებისგან იღებენ შეკვეთებს.

**ვენჩერული კაპიტალი** – (venture capital; ინგ. სარისკო;) კაპიტალი, რომელიც გამოიყენება ინოვაციური პროექტების, მეცნიერულ-ტექნოლოგიური დამუშავებისა და გამოგონებების დასაფინანსებლად და დაკავშირებულია დიდ რისკთან.

ახალი ტექნოლოგიების დამუშავებისა და დანერგვისას, მოსალოდნელი შედეგების ნაკლებად სტაბილურობის გამო, მას ხშირად „სარისკო კაპიტალსაც“ უწოდებენ. ვენჩერული კაპიტალის დაბანდება ძირითადად ხდება მეცნიერებათტევად დარგებში.

**ვენჩერული ოპერაციები** – (venture operation) [ინგ. Vanture რისკის გაწევა] ძირითადად ინოვაციური ბანკების მიერ მეცნიერული-ტექნოლოგიური დამუშავებისა და გამოგონების დაფინანსებისა და დაკრედიტების მიზნით გატარებული ოპერაციები. ხასიათდება რისკის მაღალი დონით.

**ვერტიკალურ კარიერაში** – იგულისხმება სტრუქტურული იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა, რომელსაც თან ახლავს ხელფასის მომატება.

**ვერტიკალური (სტრუქტურული) ანალიზი** არის ჯამური ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურის განსაზღვრა

ანგარიშგების თითოეული პოზიციის მთლიანობაში შედეგზე ზემოქმედების გამოვლენით.

**ვერტიკალური მარკეტინგული სისტემა** – მწარმოებლის ერთი ან რამდენიმე საბითუმო მოვაჭრის და ერთი ან რამდენიმე საცალო მოვაჭრის ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებენ როგორც ერთიანი სისტემა, რომელშიც არხის ერთ-ერთი წევრი ან დანარჩენის მფლობელია, ან აძლევს მათ სავაჭრო პრივილეგიებს. ან შეუძლიათ უზრუნველყოს მათი სრული თანამშრომლობა.

**ვესტერნიზაცია** – სხვა ქვეყნების მიერ დასავლური კულტურის გადიდება.

**ვირემენტი** – [ფრანგ. Virement - moxveva] საბანკო ოპერაცია, რომლის დროსაც ხდება ერთი პირის მიმდინარე ანგარიშიდან მეორე პირის ანგარიშზე თანხის გატანა.

**ვირტუალური (ელექტრონული) მაღაზია** – საქონლის და მომსახურების შემთავაზებელი ვებ-სერვერი.

**ვიქსელის კრიტერიუმი** – (viksel's criterion) სახელმწიფოს მიერ გამოყენებული საშემოსავლო დაბეგვრის ისეთი სისტემა, რომელიც თანაბარ ზიანს აყენებს ყველა მოქალაქის მატერიალურ კეთილდღეობას; მსოფლიო პრაქტიკაში კერძოდ ცნობილია „საგადასახადო ტვირთის განაწილების კრიტერიუმი“, რომელიც შვედი ეკონომისტის კ. ვიქსელის სახელს ატარებს. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფო შეძლებულთა შემოსავლებს უფრო მაღალ საგადასახადო განაკვეთს უწესებს, ვიდრე ღარიბებს. პროგრესიული დაბეგვრის ასეთი სკალა ჯერ ერთი, ხელს უწყობს შემოსავლების სამართლიან განაწილებას, ხოლო მეორე ზრდის საბიუჯეტო შენატანებს. ამრიგად, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამოცანების გადაჭრაში ბაზრის შეზღუდული შესაძლებლობები წარმოშობს სახელმწიფო საგადასახადო რეგულირების აუცილებლობას შემოსავლების გადანაწილებაში სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

**ვუდვორდის ტექნოლოგიური კატეგორიები** – ტექნოლოგიების კლასიფიკაციის ტიპების საყოველთაოდ ცნობილი სისტემა.

## ზ

**ზარალი** – (loss, losses) სახელმწიფოს, მეწარმის, მომხმარებლის ან შუამავლის მატერიალური, ქონებრივი და ფინანსური დანაკარგი, გამოწვეული სამეურნეო-ფინანსური კავშირების მოშლით, სასაქონლო და ფულადი მასის ბალანსირების დარღვევით, სტიქიური უბედურებით, გაფიცვებით, უყაირათობით, მფლანგველობით, წუნდებული პროდუქციის გამოშვებით, კონფლიქტებით და სხვ. საზოგადოებისთვის დიდი ზარალი მოაქვს რეკეტს, ხელოვნური დეფიციტის შექმნას, მომხმარებელთა მოტყუებას, სპეკულაციას, ფარულ ეკონომიკას და ა.შ. საწარმოებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზარალს, როგორც წესი ანაზღაურებს ვალდებულების დამრღვევი მხარე.

**ზარალი** – 1. კრედიტორის მიერ გაწეული ხარჯი, მისი ქონების დაკარგვა ან გაფუჭება, რაც გამოწვეულია მოვალის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან იმ პირის მიერ ქონებრივი ზიანის მიყენებით, რომელსაც კრედიტორთან ხელშეკრულებითი ურთიერთობა არ ქონია (მაგალითად მიბარებული ქონების სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა შემნახველის დაუდევრობით. 2. ქონების ან შემოსავლის შემცირება არასწორი საქმიანობის სამართალდარღვევათა ან სტიქიური მოვლენების გამო. მაგ. ქონებრივი ზარალი – სტიქიური უბედურების გამო საწარმოს დანგრევა. ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის სახლის ჩამორთმევა და შემდეგ მორალური ზარალი – არაქონებრივი ხასიათის, მიყენებული უსამართლო მოქმედებებით, რაც გამოიხატება პიროვნების ღირსების შელახვაში, რეპუტაციის დაქვეითებაში, ფიზიკური და მორალური ზიანის მიყენებაში და სხვ.

**ზარალი –** ზიანი რაც მიაყენებს მგზავრს ან გამგზავნს. ზარალი სხვადასხვაგვარია. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი გარემოებებით: 1. მგზავრის სიკვდილით ან ჯანმრთელობის შერყევით; 2. ბარგის ან მისი ნაწილის დაკარგვა-განადგურებით; 3. დანაკლისი – ბარგის რაოდენობის, მოცულობის, მასის ან შემცველობის შემცირებით; 4. დაზიანებით - ბარგის ფიზიკური თვისებების შეცვლა, რის შედეგადაც იგი ნაწილობრივ უფასურდება; 5. დაგვიანებით – მგზავრის, ბარგის დანიშნულების პუნქტში ჩასვლის და ჩატანის შეფერხება.

**ზარალი მარკეტინგში** – პროდუქტის დამზადება, რომელიც ვერ პოულობს გასაღებას მისი ასორტიმენტისა და ხარისხის შეუსაბამობის გამო.

**ზარალის ღირებულება** – (damage cost), ფულადი ფორმით გამოხატული ზარალის ოდენობა. იგი ძირითადად გარემოს დაბინძურებით მიყენებული ზარალის გამომხატველია. ეკონომიკურ თეორიაში გარემოს დაბინძურება განიხილება, როგორც გარე ეფექტების (ექსტერნალიების) კერძო შემთხვევა.

**ზარაფხანა** – (mint) მონეტების, ოდენობისა და სხვა სახელმწიფო ნიშნების დამამზადებელი სახელმწიფო საწარმო.

**ზედა ანუ მმართველი** – რომელზედაც ხორციელდება ნორმატიული და სამართლებრივი რეგულირება. ზედა დონე წარმოდგენილია „სისტემაში“ ცენტრალური ბანკით და ფინანსთა სამინისტროს ცალკეული მიმართულებების მიხედვით, საგადასახადო ინსპექციითა და პოლიციით, ხოლო „სისტემის გარეთ“ – პარლამენტის კომიტეტების, პრეზიდენტის აპარატით, უშიშროების სამსახურით, სასამართლოებით, ინსპექციებით და ა.შ.

**ზედამხედველობა –** როდესაც ავლენს მნიშვნელოვან პრობლემებს მისი განვითარების ადრეულ სტადიაზე – როცა „ჯერაც არაფერი მომხდარა“, მაშინ შესაბამისი ბანკისადმი ზემოქმედების მარეგულირებელი ზომების მიღების საფუძვლად შეიძლება ვაღიაროთ თავად სარისკო საქმიანო-

ბა და არამხოლოდ ბალანსის სტრუქტურის ფორმალური თანაფარდობის ფაქტობრივად შემდგარი დარღვევა, რომელიც საბოლოოდ ასახვას ჰპოვებს საბანკო საქმიანობის სავალდებულო ნორმატივებში. ამისათვის მზად უნდა ვიყოთ, მ.შ. ფსიქოლოგიურადაც, როგორც საზედამხედველო ორგანოების, ასევე ბანკების მუშაკებიც.

**ზედამხედველობა** – უზრუნველყოფს საბანკო ოპერაციების ჯეროვნად შესრულებას და საიმედოობას, თვალს ადევნებს იმას, რომ ბანკების კაპიტალი და რეზერვები საკმარისი იყოს მათ მიერ დაკავებული სარისკო პოზიციების მხარდასაჭერად.

**ზედამხედველობა** – ხელს უნდა უწყობდეს ეფექტიანი კონკურენტული საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც შეესაბამება მისაღები ფასებით შემოთავაზებულ ფინანსურ მომსახურებაზე საზოგადოების მოთხოვნილებებს.

**ზედამხედველობის განხორციელება** – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საქმიანობისადმი საქართველოს ეროვნული ბანკის მეთვალყურეობა დოკუმენტური შემოწმებისა და ადგილზე ინსპექტირების გზით.

**ზედამხედველობის დისტანციური (დოკუმენტალური) და „საკონტაქტო“ (ადგილებზე შემოწმების) ხერხების შერწყმა** – ზედამხედველობა მხოლოდ დოკუმენტალური შემოწმების ფორმით (დოკუმენტების დისტანციური ანალიზი) სრულად არ ამართლებს.

**ზედამხედველობის კონსტრუქციული ხასიათი** – საზედამხედველო ორგანოების მთავარი ამოცანაა ბანკის შრომისუნარიანობის შენარჩუნების ხელშეწყობა, შესაძლო სიძნელეთა მიზეზების ადრეული გამოვლენა და მისი დაძლევისათვის დახმარების აღმოჩენა. ცენტრალური ბანკი არ უნდა გამოდიოდეს ზედამხედველის როლში. ამ გაგებით საზედამხედველო ორგანოებმა „საპროკურორო“ ფუნქციებთან ერთად (მცირეოდენი დარღვევა და მაშინათვე მკაცრი გაფრთხილება, ჯარიმა ან ჯარიმით დაშინება) თავის თავზე უნდა აიღონ მეთოდოლოგიური ან მეთო-

დური საბანკო სისტემის განვითარების საკონსულტაციო ცენტრების ფუნქციები. **ყოველი შემთხვევისათვის,** ბანკები ობიექტურად დაინტერესებული არიან ცენტრალური ბანკის სამუშაო დატვირთვის დონით, კონსულტირების პროცედურები და შესაძლოა ასეთი მომსახურების ანაზღაურება.

**ზედამხედველობის მთავარი მიზანია** – ფინანსურ სისტემაში სტაბილურობისა და ნდობის ატმოსფეროს შენარჩუნება, რაც მეანაბრეებისა და სხვა კრედიტორებისათვის დანაკარგების რისკის მინიმიზაციას უზრუნველყოფს.

**ზედამხედველობის ორგანოები** – უნდა ითხოვდნენ იმას, რომ ყველა ბანკს ჰქონდეს შიდა კონტროლის ღონისძიებათა ეფექტიანი სისტემა საბანკო საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების ხასიათის, სირთულისა და დონის შესაბამისად. აგრეთვე საბანკო გარემოში და ბანკების ფუნქციონირების პირობებში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით.

თუკი ზედამხედველობის ორგანოები გამოიტანენ დასკვნას, რომ ბანკის შიდა კონტროლის სისტემა საკმარისი ან ეფექტიანი არაა (ბანკის მიერ ნაკისრი რისკების კონკრეტული დიაპაზონიდან გამომდინარე), მაშინ მათ უნდა მიმართონ სათანადო ქმედებებს.

**ზედამხედველობის ორგანოები** – ხელს უნდა უწყობდნენ საბაზრო დისციპლინის დაცვას კვალიფიციური ხელმძღვანელობის, აგრეთვე საბაზრო კარგახსნილობისა და კონტროლის სტიმულირების გზით.

**ზედამხედველობის ორგანოების კანონიერი მოთხოვნილებების ვალდებულობა** – ყველა ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია კანონის ფარგლებში ასრულებდეს ყოველგვარ საქმიანობას, რომელიც მას ევალება.

**ზედამხედველობის ორგანოების მოთხოვნათა ერთობლიობა** – საქმიანობის ოპერაციების განმახორციელებელი ყველა საკრედიტო ორგანიზაციისადმი წაყენებული უნდა იქნას ერთნაირი მოთხოვნები. აქ კი სადაც მოთხოვნები შეიძ-

ლება და/ან დიფერენცირებულია, გამოყენებული უნდა იქნას დიფერენციაციის გამოკვლევითი და სტაბილური წესები.

**ზედდებული ხარჯები** – წარმოებისა და მართვის სამეურნეო მომსახურების დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს დამატებით ძირითად დანახარჯზე, იგეგმება და გაითვალისწინება საექსპლუატაციო დანახარჯების შემადგენლობაში. ავიასაწარმოთა მთელ საექსპლუატაციო დანახარჯებში ზედდებული დანახარჯების ხვედრითი წონა შეადენს 7 პროცენტს.

**ზედმეტი პროდუქციის ნორმა** – ზედმეტი პროდუქტის თანაფარდობა აუცილებელ პროდუქტთან. ზედმეტი პროდუქტის ნორმის სიდიდეზე ზეგავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომელიც ადიდებს ან ამცირებს მას. წარმოების ტექნიკური სრულყოფა, შრომის ნაყოფიერების ზრდას ადიდებს, ხოლო მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, რომლის შედეგადაც წარმოებს აუცილებელი პროდუქტის საზღვრების გაფართოება, ამცირებს ზედმეტი პროდუქტის ნორმას.

**ზედნადები დანახარჯები** – (overhead expense charge) საწარმოს მართვისა და სამეურნეო მომსახურების დანახარჯი (ადმინისტრაციული პერსონალის შენახვის, შენობა-ნაგებობებისა და ინვენტარის მოვლა-რემონტის, შრომის უსაფრთხოებისა და სხვ). ემატება საქონლის საწარმოებლად ან მომსახურების გასაწევად საჭირო ძირითად დანახარჯს და მასთან ერთად შედის თვითღირებულებაში.

**ზედნადები დანახარჯები** – ხარჯები წარმოებისა და მართვის სამეურნეო მომსახურებაზე. წარმოადგენენ წარმოებაზე დახარჯული ძირითადი ხელფასის დანამატს და გაითვალისწინება წარმოებისა და მიმოქცევის დანახარჯების შემადგენლობაში.

**ზედნადები ხარჯები** – წარმოების მართვისა და მომსახურების ხარჯებია, ისინი თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფიან: 1. სა-

წარმოო ზედნადები ხარჯები; 2. არასაწარმოო ზედნადები ხარჯები;

**ზეკონტრსტადია** – გემის დაყოვნების დრო კონტრსტადიის ზევით განპირობებულ დროში.

**ზემოქმედების ნორმატიული მეთოდები** – მას მიეკუთვნება ზემოქმედების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა გადარიცხვები საკრედიტო რესურსების რეგულირების ფონდში, საბანკო კაპიტალის ლიკვიდურობისა და საკმარისობის კოეფიციენტი, ასევე ანარიცხებისა და კოეფიციენტების სხვა სავალდებულო სახეები, რომელიც დგინდება ნორმატივის სახით; მაკორექტირებელს მიეკუთვნება – სააღრიცხვო პოლიტიკა (სააღრიცხვო ფანჯარა) და ღია ბაზარზე ოპერაციების გატარება.

**ზენორმალური მოგება** – (super-normal profit) „მოგების" სინონიმი თუ ფირმის მიერ მიღებული მოგება აღემატება ყველა ალტერნატიულ დანახარჯებს, მაშინ ამბობენ, რომ იგი იღებს ზენორმალურ მოგებას.

**ზენორმატიული დანაკარგი** – ზენორმატიულ დანაკარგად იწოდება სიდიდე, რომლითაც ფაქტობრივი დანაკარგი აღემატება ნორმატიულს. ზენორმატიული დანაკარგის არსებობისას, დანახარჯების ჩამოწერა ხდება მოგება/ზარალის ანგარიშზე, ნებისმიერი ნარჩენიდან შემოსავლების გამოკლებით.

**ზენორმატიული დრო** – ეს ის დროა, რომელიც გამომუშავებულია დადგენილი სამუშაო დროის ზემოთ და გაზრდილი განაკვეთით ანაზღაურდება, რომლის სიდიდეს თვით საწარმო ახდენს.

**ზენორმატიული შემოსავალი –** (ანუ ზენორმატიული გამოსავლიანობა) ეწოდება, სიდიდეს, რომლითაც ფაქტობრივი დანაკარგი ნაკლებია ნორმატივზე.

**ზეროუ-კორტ-ოფციონი** – გარკვეული სისტემა, რომელსაც იყენებენ ოფციონების ყიდვა-გაყიდვის პროცესში, როდესაც ბანკის კლიენტი რისკის შემცირების მიზნით თვითონ განსაზღვრავს საანგარიშსწორებო კურსს.

**ზვინული ტვირთი** – (მარილი, ნახშირი, მადნები, სილა და ა.შ.), როგორც წესი მინერალური წარმოშობისაა. გადააქვთ ტარის გარეშე, ზოგიერთი შეიძლება დაიტკეპნოს, მიეყინოს, შეცხვეს (მაგალითად, ნახშირი). ისევე, როგორც წინა ჯგუფი, ფხვიერია.

**ზიანი** – 1. საჰაერო გადაზიდვისას მიყენებული ზარალი. ზიანის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის ზიანის მიყენებაში. **2.** გადაზიდვებისას მიყენებული ზარალი. ზიანის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის ზიანის მიყენებაში.

**ზოგადად ლოგისტიკური სისტემა** – ეს არის შეთავსებული სისტემა, რომელიც ასრულებს ამა თუ იმ ლოგისტიკურ ფუნქციას. ის, როგორც წესი, შედგება რამდენიმე ქვესისტემისგან და აქვს კავშირი გარემოსთან.

**ზოგადი ანალიზი** – არის კვლევითი აზროვნების ერთ-ერთი მეთოდი.

**ზოგიერთი ლოგისტიკური ოპერაციის განხორციელებისას** - მატერიალური ნაკადი შეიძლება განიხილებოდეს დროის მოცემული მომენტისათვის. მაშინ იგი გადაიქცევა მატერიალურ მარაგად. მაგალითად, ტვირთის ტრანსპორტირების ოპერაციას სარკინიგზო ტრანსპორტით, იმ მომენტში, როცა ტვირთი არის გზაში, ის გვევლინება მატერიალურ მარაგად, ეგრეთ წოდებულ „მარაგად გზაში''.

**ზომბიეკონომიკა** – (zombieconomy) ეკონომიკის ის სფერო, რომელსაც ქმნიან გადახდისუუნარო, ფაქტობრივად გაკოტრებული ფირმები, თუმცა იმავდროულად განაგრძობენ ფუნქციონირებას. მათი ფუნქციონირების ძირითადი წყაროა დაკრედიტების სისტემა ამ ფორმების ზომბიბანკები აძლევენ შეღავათიან კრედიტებს (საშუალო საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით). ასეთი ბანკების უკან, როგორც წესი, დგას მთავრობა, რომელიც ახორციელებს მათ დაკრედიტებას, გასცემს სამთავრობო გრან-

ტებს, რაც საბოლოო ანგარიშით იწვევს გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე ზომბიბანკების არსებობას. ზომბი-ეკონომიკა პირველად XX საუკუნის 90-იან წლებში წარმოიშვა იაპონიაში.

**ზომიერი ზრდის სტრატეგია** – დამახასიათებელია ორგანიზა-ციებისთვის, რომლებიც მყარად დგანან ფეხზე და მოქმე-დებენ ტრადიციულ სფეროებში, მაგალითად მანქანათ-მშენებლობაში.

**ზომიერი რისკი** – შეესაბამება ბანკის მიერ ოპერაციის ჩატა-რებაზე დახარჯული თანხის მცირე ნაწილს (30 %-მდე) დანაკარგს.

**ზონალური ფასების დაწესება –** ფასების დაწესება გეოგრა-ფიული პრინციპით. როცა ზონის ფარგლებში ყველა დამკვეთი იხდის ერთი და იგივე ნაერთ ფასს, ხოლო თვით ფასი იზრდება ზონის სიშორის მიხედვით.

**ზრდის ინდექსი –** (growt index) მთელ ეკონომიკაში საქმიანობის სახეების მიხედვით გაანგარიშებული წინა წლის წონით შეწონილი (ლასპეირესის) ინდექსი.

**ზრდის სტრატეგია** – დამახასიათებელია ახალგაზრდა კომპა-ნიებისათვის, რომლებიც მიისწრაფვიან მოკლე ვადაში დაიკავონ ლიდერი პოზიცია. მათ ახასიათებს მასშტა-ბების ზრდის განუწყვეტელი და მაღალი ტემპები.

**ზრდის სტრატეგია** – სტრატეგია, რომლის დროსაც ყოველი წლის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების დონე მნიშვნელოვნად იზრდება წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით.

**ზრდის ტემპი** – (growt rate) ეკონომიკურ ანალიზში ფართოდ გამოყენებული მაჩვენებელი. გამოხატავს დროის ზრდის ტემპი გარკვეულ პერიოდში მოცემული სიდიდის რაო-დენობრივი პარამეტრების ცვლილებას პროცენტებით, გვიჩვენებს რამდენი იყო და რამდენი გახდა.

**ზღვრული (მარჟინალური) დანახარჯი** – (marginal cost, marginal expense – MC) [ლათ.margo კიდე, საზღვარი ნაპირი] წარ-მოების მოცულობის განსაზღვრის ერთ-ერთი ძირითადი

მატებითი (ზღვრული) ერთეულის წარმოებისათვის საჭირო დამატებითი დანახარჯები. ფორმულით ასე გამოიანგარიშება:

$$MC=\frac{\Delta c}{\Delta x}$$

სადაც Δ რაიმე მცირე ცვლილებაა,

C-მთლიანი დანახარჯი,

**ხოლო X - გამოშვებული პროდუქციის მოცულობა.**

მეწარმე ზრდის წარმოების მასშტაბს, სანამ საქონლისა და მომსახურების ერთეულზე ზღვრული დანახარჯი არ გაუთანაბრდება საბაზრო ფასს. თუ ზღვრული დანახარ-ჯი ამ ფასს გადაცდა მეწარმე ზარალდება და პირიქით, თუ იგი საბაზრო ფასზე ნაკლებია, მაშინ მეწარმე დამატებით მოგებას იღებს.

**ზღვრული ანტისარგებლიანობა** – (marginal disutility) დამატები-თი ანტისარგებლიანობა. მიღებული ამა თუ იმ ცვლადის მცირე ცვლილებიდან.

**ზღვრული ანუ დამატებითი დანახარჯები** – (ინგლ. maximum costs M.C.) ეწოდება პროდუქციის დამატებითი (კიდევ ერთი) ერთეულის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს. ზღვრუ-ლი ხარჯები ცვალებადი ხარჯების ნამატის ტოლია, თუკი იგულისხმება  რომ მუდმივი ხარჯები (FC) უცვლელია. ზღვრული დანახარჯები (MC) გამოითვლება მთლიანი დანახარჯების ცვლილების (ΔTC) შეფარდებით პროდუქ-ციის მოცულობის შესაბამის ცვლილებასთან (ΔQ).

**ზღვრული დანახარჯები** – აღნიშნავს იმ დამატებით შემოსა-ვალს, რომელიც მიღებულია საქონლის დამატებითი ერთეულის გაყიდვის შედეგად.

**ზღვრული მაქსიმალური ფასი** – (marginal maximum price) მოთხოვნილი ფასი, მაქსიმალური ფასი, რომლის ზევი-თაც შეუძლებელია საბაზრო ფასის აწევა.

**ზღვრული მინიმალური ფასი** – (marginal low price) მიწოდების ფასი, მინიმალური ფასი, რომელზე დაბლაც შეუძლებე-ლია საბაზრო ფასის დაცემა.

**ზღვრული მწარმოებლურობა** – (marginal prodactivit) წარმოების ფაქტორებით (კაპიტალი, შრომა, მიწა) შექმნილი ზღვრული პროდუქტის მოცულობა, რომლებიც წარმოების დანარჩენი ფაქტორების უცვლელობის პირობებში, გამოხატავს მოცემული ფაქტორის ერთი ერთეულით გაზრდის შედეგად მიღებული პროდუქციის მატებას.

**ზღვრული მწარმოებლურობის თეორია** თავდაპირველად წარმოიშვა როგორც ღირებულების შექმნისა და განაწილების თეორია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი მან ბიძგი მისცა ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური თეორიის განვითარებას. ამასთან ნეოკლასიკოსებმა ყურადღება გაამახვილეს მაკროეკონომიკური მეთოდების ანალიზზე. მათ მთავარ მიზნად იქცა ეკონომიკის ბალანსირებული ზრდის პირობების ანალიზი აგრეთვე ეკონომიკური ზრდის ცალკეული ფაქტორების როლის შეფასება, რამაც წარმოებრივი ფუნქციების კვლევის განვითარება განაპირობა.

**ზღვრული პროდუქტი** – (marginal product) დამატებითი პროდუქტი, მიღებული რესურსების დამატებითი ერთეულიდან.

**ზღვრული პროდუქტის ღირებულება** – (value of marginal) ზღვრული ფიზიკური პროდუქტი, გამრავლებული პროდუქტის ერთეულის ფასზე.

**ზღვრული სარგებლიანობა** – დოვლათის ყოველი დამატებითი ერთეულის სარგებლიანობა. ეს იმას ნიშნავს, რომ დოვლათის ყოველ დამატებით ერთეულს მომხმარებლისათვის მოაქვს დამატებითი სარგებელი.

**ზღვრული სარგებლიანობა** – (marginal utility) - დამატებითი სარგებლიანობა, მიღებული ნებისმიერი დოვლათის დამატებითი ერთეულიდან. მათემატიკურად გამოისახება ასე:

$$MU=\frac{\Delta v}{\Delta x};$$

**სადაც MU ზღვრული სარგებლიანობა,**

**x საქონლის რაოდენობა,**

**Δ - ცვლილება**

ზღვრული სარგებლიანობის კატეგორია წინა პლანზე წამოსწია და მეცნიერულ ბრუნვაში შემოიტანა ცნობილმა ეკონომიკურმა მიმდინარეობამ – მარჟინალიზმა.

**ზღვრული სარგებლიანობის ეფექტი** – საქონლის უკანასკნელი ერთეული (ცალი), რომელიც ნაკლებ სიამოვნებას ანიჭებს მყიდველს, ვიდრე წინმავალი.

**ზღვრული სარგებლიანობის თეორია** – (marginal revenue theory) შრომითი ღირებულებების თეორიისაგან განსხვავებით, ფასწარმოქმნის საფუძვლად აღიარებს არა ღირებულებას, არამედ ნივთის სუბიექტურ შეფასებას, სარგებლიანობა, სამეურნეო კონტრაჰენტების სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ შეფასებას. იგი ასახავს ეკონომიკური კავშირებს, რომლებიც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასე: მომხმარებელი-მოთხოვ-ნილება-დოვლათის სარგებლიანობა-ფასი. ზღვრული სარ-გებლიანობის თეორიამ ფართო პოპულარულობა ჰპოვა მთელ მსოფლიოში. ამ თეორიის წარმომადგენლები (გოსენი, ჯევონსი, კლარკი, ვალრასი, მენგერი, ვიზერი, ბემ-ბავერკი, სიჩელი, ედვარდსი და სხვ.). უარყოფენ შრომითი ღირებულების თეორიას და ფასწარმოქმნაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნივთისადმი ეკონომიკური სუბიექტის დამოკიდებულებას.

**ზღვრული შემოსავალი** – (marinal revenue, income) საქონლის დამატებითი ერთეულის გაყიდვის შედეგად მიღებული დამატებითი შემოსავალი, ე.ი. ზღვრული პროდუქტით მიღებული შემოსავალი.

**თ**

**თავდაპირველი ღირებულება** – (histotu cost) წარმოების ფაქ-ტორთა ღირებულება მათი შეძენის მომენტში, ავანსირე-ბული ღირებულება, რომელიც არ უტოლდება აღდგენით ღირებულებას, ანუ წარმოების ფაქტორების წარმოებით მიღებულ ღირებულებას.

**თავდებობა** – წერილობითი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც თავდები კრედიტორის წინაშე იღებს სრულ ან ნაწილობრივ პასუხისმგებლობას დებიტორის ვალდებულების შესრულებისათვის. თავდებს რომელმაც კრედიტორის წინაშე ვალდებულება შეასრულა, უფლება აქვს მოვალეს აზღვევინოს ის, რაც მან კრედიტორს გადაუხადა.

**თავისუფალი (სპეციალური) ეკონომიკური ზონა** – (თეზ) (free economical area) ქვეყნის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის საფუძველზე იქმნება ხელსაყრელი პირობები სხვადასხვაგვარი საგარეოეკონომიკური ოპერაციებისათვის. მისთვის დამახასიათებელი ნიშანია თავისუფალი ან შეღავათიანი მეწარმეობა, რომელიც იძლევა უახლოესი ტექნოლოგიის, ნოუ-ჰაუს შესაძენად საჭირო დროისა და დანახარჯების მნიშვნელოვნად შემცირების საშუალებას, ხელს უწყობს ვალუტის მოზიდვას საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ხარჯზე და ზრდის უცხოურ კაპიტალდაბანდებებს. არსებობს სამი ტიპის თეზ: 1. წარმოებრივი ზონები; 2. თავისუფალი პორტები და თავისუფალი ვაჭრობის ზონები; 3. საექსპორტო მრეწველობის ზონები. **წარმოებრივი ზონა** - შემოსაზღვრული ტერიტორია ქვეყნის შიგნით, სადაც წესდება განსაკუთრებული შეღავათები (დაბეგვრის, ამორტიზაციის ნორმის და ა.შ. ნაწილში) მეურნეობის წარმართვისათვის. **თავისუფალ პორტსა (აეროპორტშიც) და თავისუფალი ვაჭრობის ზონაში** – შეტანისას ბაჟს არ ახდევინებენ, სანამ საქონელი საწყობშია და რეალიზებული არ არის. **საექსპორტო მრეწველობაში (ზონაში)** – უბაჟოდ შეაქვთ საქონელი, საზღვარგარეთ გასატანად გამოსაშვები პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები, დასაკომპლექტებელი მასალები და ნაკეთობები.

**თავისუფალი ვაჭრობის ზონა** – (free trade zone) 1. ქვეყნების ჯგუფი, რომელშიც გაუქმებულია საბაჟო და სხვა სავაჭრო ბარიერები, თუმცა მასში შემავალი თითოეული ქვეყანა

ატარებს თავისთავის კომერციულ პოლიტიკას ამ ჯგუფში არშემავალ ქვეყნებთან. 2. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმა, რომლის შესაბამისად უქმდება სავაჭრო შეზღუდვები ინტეგრაციული გაერთიანების მონაწილე ქვეყნებს შორის და, უწინარეს ყოვლისა, მცირდება ან უქმდება საბაჟო გადასახადები.

**თავისუფალი (ერთობლივი) მეწარმეობის ზონა** – (join venture zone) სახელმწიფოს ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც იქმნება ხელსაყრელი პირობები ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობისათვის. ასეთ ზონებში შემოღებული აქვთ განსაკუთრებული შეღავათიანი რეჟიმი, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის უცხოური კაპიტალის ინვესტირებისათვის. განასხვავებენ მის სამ ტიპს: პირველი ტიპი გულისხმობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე სპეციალური კანონმდებლობის შემოღებას, რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობრიობის შეღავათიან რეჟიმს ადგილობრივი და უცხოელი ეკონომიკური სუბიექტებისათვის საგადასახადო საბაჟო, სავალუტო, საკრედიტო და სამართლებრივი რეჟიმები წესდება სუბრეგიონების განვითარების კონკრეტული პირობებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. ზონას მართავს ადილობრივი ხელისუფლება; მეორე ტიპი გულისხმობს მცირე ტერიტორიებზე ისეთი ინფრასტრუქტურის შექმნას, რომელიც საერთაშორისო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. სამართლებრივი ნორმები ამ ზონაში განაპირობებს არსებით შეღავათებს უცხოური ინვესტორებისათვის, მათთვის გრძელვადიანი არენდით კეთილმოწყობილი, ინფორმაციული და სატრანსპორტო კომუნიკაციებითა და აუცილებელი სერვისით აღჭურვილი ტერიტორიების გადაცემას, უცხოური კაპიტალის მონაწილეობით საწარმოთა განლაგებისათვის; მესამე ტიპი გულისხმობს ნაკლებად ათვისებული ტერიტორიების კონცესიის სახით ან გრძელვადიანი არენდით გადაცემას. ამ შემთხვევაში ზონას სამეურნეო მიზნით იყენებენ შერეული ტიპის სპეციალური ორგანიზაციები (კომპანიები) მეურნეობრიო-

ბის სამართლებრივი რეჟიმი მაქსიმალურად ლიბერალიზებულია. იგი უმთავრესად შემოიფარგლება ეკოლოგიური კანონმდებლობით და საერთაშორისო შეთნხმებით. სახელმწიფო იღებს მოგებას საარენდო გადასახადის სახით და კომპანიის ეროვნული ნაწილის შემოსავლებიდან, არსებით ხარჯებს კი არ გაიღებს, პრაქტიკაში ვხვდებით ერთსა და იმავე ტერიტორიაზე აღნიშნული ზონის სამივე ტიპის შეხამებას.

**თავისუფალი განტვირთვისათვის** – პირობა, რომელიც ნიშნავს, რომ ტვირთმფლობელი იხდის განტვირთის ხარჯებს.

**თავისუფალი ვაჭრობის ზონა** – ეკონომიკური ინტეგრაციის ყველაზე მარტივი ფორმაა, რომელიც გულისხმობს სავაჭრო შეზღუდვების და პირველ რიგში, ბაზების გაუქმებას.

**თავისუფალი ვაჭრობის ზონა –** საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმა, რომლის შესაბამისად უქმდება სავაჭრო შეზღუდვები ინტეგრაციული გაერთიანების მონაწილე ქვეყნებს შორის და უწინარეს ყოვლისა, მცირდება ან უქმდება საბაჟო გადასახადები.

**თავისუფალი ვაჭრობის იდეა** – დაფუძნებულია ქვეყანათა შორის საქონლის მოძრაობის გზაზე საბაჟო და სხვა ბარიერების ლიკვიდაციის აუცილებლობაზე.

**თავისუფალი ზონა** – (თავისუფალი ვაჭრობის ზონა, თავისუფალი ეკონომიკური ზონა), მოცემული ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის გარეთ მყოფი პორტის ტერიტორიაა. ამ ზონებში შეზიდულ საქონელზე ბაჟის გადახდა არ ხდება, აგრეთვე არაა გათვალისწინებული რეექსპორტისათვის შეზიდულ საქონელზე რაიმე ბაჟების, იმპორტის მოსაკრებლებისა და მიმოქცევის, მოხმარების ან წარმოების გადასახადების გადახდა.

**თავისუფალი მეწარმეობა** – ეკონომიკური სისტემა, რომელიც კერძო საკუთრებას, კონკურენციას და მოგების მიღების მოტივს ეყრდნობა.

**თავისუფალი პრაქტიკა** – ნებართვა, რომელიც გაცემულია პორტის სანიტარული საკარანტიო სამსახურის მიერ მას

შემდეგ, რაც გემის მიერ შესრულებული იქნება საერთა–შორისო სანიტარული წესების მიერ დადგენილი ფორმა-ლობები.

**თავისუფალი საბაჟო ზონა** – თავისუფალი საწყობი (free point) ზონა, რომლის საზღვრებში საქონელი შეიძლება დამზად-დეს ან ინახებოდეს ბაჟებისა და გადასახადების გადახდის გარეშე.

**თავისუფალი ფორმის ორგანიზაცია**,– რომელიც თანმიმდევ-რული, ლოგიკურად ჩამოყალიბებული სტრუქტურისაგან განსხვავებით, შედგება სხვადასხვაგვარი სტრუქტურები-საგან.

**თავისუფალია დატვირთვისაგან** – (F) პირობა, რომელიც ათავისუფლებს თვითმფლობელის დატვირთვის ხარჯე-ბისაგან, მათ შორის ტრიუმში სამუშაოებისაგან.

**თავისუფალია დატვირთვისაგან, განტვირთვისაგან** – (FJO) გემი თავისუფალია დატვირთვის და განტვირთვისაგან, ზოგჯერ FJO-ს ემატება მეოთხე ასო „T“ ანდა „C“ ნიშნავს, რომ სტრიუმი სამუშაოები, შესაბამისად გასწორდება ანდა დაწყობა, სრულდება გადატვირთვის დროს ტვირთ-მფლობელის ხარჯზე.

**თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა** – თავისუფლად კონ–ვერტირებადია ვალუტა, რომელიც შეუზღუდავად იცვლება ნებისმიერი (მფლობელს შეუძლია) ქვეყნის ვალუტაზე და ქვეყნის ნებისმიერ მფლობელს შეუძლია მისი ყველა ქვეყანაში გატანა ყოველგვარი სახის საერთაშორისო და რეგიონალური ოპერაციების სასარგებლოდ.

**თამასუქებით ანგარიშსწორება** – გულისხმობს საქონლის მიმ–წოდებლისა და ფულის გადამხდელს შორის ანგარიშსწო–რებას გადახდის გადავადებით (კომერციული კრედიტი) სპეციალურად დოკუმენტის – თამასუქის საფუძველზე.

**თამასუქით ანგარიშსწორება** – თამასუქების ანგარიშსწორების დროს გარდა თამასუქების მფლობელისა, რომელიც მის ინკასირებას ახდენს, დომიცილანტის როლში შესაძლოა მონაწილეობდეს ფულის გადამხდელის ბანკიც, ანუ მას

შეუძლია შეასრულოს თავისი კლიენტის (გადამხდელის) დავალება თამასუქის შესაბამისად გადასახდელის თავისდროულად განხორციელებაზე.

**თამასუქი** – (Bill of excane, draft, promissoru note) [გერმ. wechel] – 1. კანონით დადგენილი ფორმით წერილობითი საგადასახადო ვალდებულება, ფულადი დოკუმენტი, მსესხებლის მიერ გაცემული კრედიტორის სახელზე, რომლითაც ამ უკანასკნელს ენიჭება უფლება, მოსთხოვოს მსესხებელს თამასუქში მითითებული თანხის გადახდა განსაზღვრულ ვადაში. საერთაშორისო ვაჭრობაში თამასუქი ანგარიშსწორებისა და კომერციული დაკრედიტების ერთერთი ძირითადი საშუალებაა. 2. არის წერილობითი სასესხო ვალდებულება, რომელსაც გამოწერს მოვალე (დებიტორი) და რომლითაც მევალეს (კრედიტორს) ენიჭება უფლება, თამასუქში აღნიშნული თანხა განსაზღვრული ვადისთვის მოითხოვოს. თამასუქი შეიძლება იყოს მარტივი, გადაპირებული (ანუ ტრატა), კომერციული საბანკო და სახაზინო (ანუ სახელმწიფო). 3. კანონით მკაცრად დადგენილი ფორმის მქონე წერილობითი სავალო ვალდებულებაა, რომელიც მის მფლობელს (თამასუქის პატრონს) აძლევს უცილებელ უფლებას, ვადის დადგომისთანავე მოსთხოვოს მოვალეს თამასუქში აღნიშნული თანხის გადახდა. კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს თამასუქის ორ ძირითად ფორმას: მარტივს და გადასაპირებელს. 4. როგორც ანგარიშსწორების ფორმა, მიმწოდებელსა და მყიდველს შორის კომერციული კრედიტის პირობებით პროდუქციაზე და მომსახურებაზე გადახდის წესის შესახებ სტანდარტულ საბუთს წარმოადგენს. ანგარიშსწორების აღნიშნული ფორმის საიმედოობა შეიძლება გაზრდილი იქნას, თუ თამასუქი ბანკის მიერ **აქცეპტირებულია ან ავალირებულია,** რადგანაც ბანკი მის საფუძველზე გადახდის გარანტიას იძლევა.

**თამასუქი გადასაპირებელი** – (ტრატა) ბრძანება კონკრეტული პირის (მევალის) მიმართ მესამე პირისათვის (რემიტენ-

ტისათვის) გარკვეულ დროში განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ. იგი შეიძლება გადავიდეს ხელიდან ხელში გადაცემის წარწერის მეშვეობით.

**თამასუქი მარტივი** – ვალდებულება განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ გარკვეული დროის განმავლობაში. მარტივი თამასუქი მოიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: დასახელება – მარტივ დაპირებას განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ, რაც არაფრით არის შეპირობებული; გადახდის ვადა; თანხის გადასახდელი ადგილი; იმ პირის დასახელება, ვისთვის ან ვისი ბრძანებითაც ხდება გადახდა; თამასუქის შედგენის თარიღი და ადგილი; თამასუქის გამცემი პირის ხელმოწერა. გადასაპირებელი თამასუქისგან განსხვავებით. მარტივ თამასუქში არ არის მითითებული გადამხდელი. მარტივ თამასუქს გამოიწერს და ხელს აწერს მევალე.

**თამასუქით ანგარიშსწორება** – თამასუქით ანგარიშსწორების დროს გარდა თამასუქის მფლობელისა, რომელიც მის ინკასირებას ახდენს, დომიცილანტის როლში შესაძლოა მონაწილეობდეს ფულის გადამხდელის ბანკიც, ანუ მას შეუძლია შეასრულოს თავისი კლიენტის (გადამხდელის) დავალება თამასუქის შესაბამისად გადასახდელის თავისდროულად განხორციელებაზე. დომიცირებული თამასუქის ნიშანია გადამხდელის ხელმოწერის ქვეშ მოთავსებული სიტყვები „გადახდა ბანკში“.

**თამასუქის აუცილებელი რეკვიზიტებია** – თამასუქის ნიშანი - ე.ი. დოკუმენტზე დასმული აღნიშვნა „თამასუქი'', რომელიც იმავე ენაზეა დაწერილი, რომელზედაც დოკუმენტია გაფორმებული; თამასუქის შედგენის დრო და ადგილი – დაპირება გარკვეული ფულადი თანხის გადახდის თაობაზე; თანხის აღმნიშვნელი გრაფა – სადაც თანხა ჩაწერილია სიტყვებით და ციფრებით, რომელიც არ შეიძლება ჩასწორებული იყოს; გადახდის ვადა და ადგილი; ვინაობა – იმისა, ვისაც უნდა გადაუხადონ ან

ვისი ბრძანებითაც უნდა გადაიხადონ გადასახდელი; თამასუქის გამცემის ხელმოწერა;

**თამასუქის გამცემი** – ტრასანტი;

**თამასუქის დისკონტი** – (bill discountin) თამასუქის განაღდება ბანკებისა და კერძო პირების მიერ მისი ვადის გასვლამდე პროცენტის გამოქვითვით.

**თამასუქის კრედიტი** – საბანკო კრედიტის სახე, რომელსაც ფუნქციონური კაპიტალისტები აძლევენ. ბანკები თამასუქის მფლობელებსა და თავიანთი მყიდველების მიმწოდებლებს. წარმოიქმნება კომერციული კრედიტის განვითარების საფუძველზე, რომელსაც ფუნქციონერი კაპიტალისტები აძლევენ ერთმანეთს საქონლის რეალიზაციის პროცესში. ანგარიშსწორებისათვის ეს უკანასკნელი, ნაცვლად ნაღდი ფულისა იყენებენ სასესხო ვალდებულებებს – თამასუქებს, რომლებიც შეიძლება მისმა მფლობელებმა გადასცენ სხვა პირებს შესაძენი საქონლის გადასახდელად.

**თამასუქის პატრონი** – რემიტენტი;

**თამასუქის პროლონგირება** – თამასუქის მოქმედების ვადის გაგრძელება. თამასუქის გადახდის ვადის პროლონგაცია ხორციელდება ან კანონის მიხედვით, ან თამასუქის მფლობელებსა და გადამხდელებს შორის შეთანხმებით. კანონის მიხედვით წარმოიქმნება ასეთი ვითარება, რომელიც ობიექტურად აბრკოლებს თამასუქის წარდგენას გადასახდელად ან პროტესტის გამორიცხვისას (სახელმწიფოს კანონმდებლური განკარგულება ან გადაულახავი ძალების სხვა შემთხვევა).

**თამაში ნულოვანი თანხებით** – ტერმინი, რომელიც გამოხატავს კონკურენციას, სადაც ერთი იგებს, ხოლო მეორე კარგავს, ე.ი. თამაში ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე ორ პირს შორის: ორივე მოთამაშის მოგების თანხა ყოველთვის ნულის ტოლია.

**თამაშთა თეორია** – მოდელირების მეთოდი, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილების კონკურენტებზე ზემოქმედების შეფასებისათვის.

**თანაბარს** – უწოდებენ გადასახადის დაბეგვრის მეთოდს, როდესაც თითოეული გადასახადის გადამხდელისათვის დგინდება გადასახადის თანაბარი თანხა.

**თანამდებობა** – ორგანიზაციის საშტატო ერთეული მართვის სტრუქტურის პირველადი ელემენტი, რომლისთვისაც განსაზღვრულია მომუშავეთა უფლებები, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა კომპეტენციის საზღვრები და სამართლებრივი მდგომარეობა. თანამდებობას აქვს თავისი სახელწოდება. იგი ასახავს ამ თანამდებობაზე დასაქმებული პიროვნების მიერ შესასრულებელი სამუშაოს შინაარსსა და ხასიათს.

**თანამდებობის პირები და მოქალაქეები,** – რომლებსაც ბრალი მიუძღვით საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევაში, კანონით დადგენილი წესით, შეიძლება მიცემულ იქნენ ადმინისტრაციული, სისხლის სამართლებრივ და დისციპლინარულ პასუხისმგებლობაში.

**თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განაწილება** – ხორციელდება ორი მიდგომის საფუძველზე: პირველი ერთმმართველობისა და უფლებამოსილებათა დანაწილების საფუძველზე, ანუ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ხელმძღვანელი და შემსრულებელი ვალდებულია მის წინაშე; მეორე – ე.წ. მრავლობითი დაქვემდებარების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ხელმძღვანელი, უმეტესად მესაკუთრე, ხელქვეითს ერთდროულად გადასცემს უფლებამოსილებებს და თვითონაც მთლიანად იტოვებს მას.

**თანამდებობრივ უფლებათა და მოვალეობათა რეგლამენტაცია ორგანიზაციაში** – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ორგანიზაციის თანამშრომელთა ერთობლიობა გამოიხატება საშტატო განრიგით. ესაა დოკუმენტი, რომელიც მტკიცდება პირველი ხელმძღვანელის მიერ და მასში მონაცემები შესაბამისი კატეგორიის მომუშავეთა რიცხოვნების შესახებ თანამდებობათა მიხედვით, თანამდებობრივი სარგოები და მათზე დანამატი.

**თანამდებობრივი ინსტრუქციები** – ორგანიზაციაში სხვადასხვა თანამდებობის მიხედვით შესაბამისი ძირითადი ამოცანების, სავალდებულო ჩვევების და უფლებამოსილების მოკლე გადმოცემა.

**თანამდებობრივი რისკი** – თანამდებობის შეუფერხებლობა საქმიანობის სახეებთან, მიზნებთან და ტექნოლოგიებთან. მისი მიზეზი შესაძლოა იყოს არაადეკვატური საშტატო განაწესი ან თანამდებობის დამახინჯებული აღწერა;

**თანამდევი პროდუქტი** – ისეთი პროდუქტია, რომელიც ძირითადი პროდუქტების წარმოების პროცესში წარმოიშობა.

**თანამშრომლობის მიერ სიახლეთა მიუღებლობის რისკი** – სიახლეთა დანერგვის მართვა მოითხოვს ადამიანთა თავისდროულ ინფორმირებას, მკაფიო მიზნებისა და სტრატეგიის დასახვას, მოქნილ დაგეგმვასა და ორგანიზაციას, პერსონალის წახალისებას და მის ჩაბმას ყველა ეტაპის ცვლილებებში, პერსონალის სწავლებას და მის ქცევაზე მიზნობრივ ზემოქმედებას.

**თანასწორუფლებიანი დასაქმების კოორდინატორები** – ისინი იკვლევენ და განიხილავენ იმ ადამიანების საჩივრებს, რომლებიც განიცდიან  რასობრივი, ასაკობრივი და სხვა ნიშნით დისკრიმინაციას, აგრეთვე ახდენენ პოტენციური დარღვევების შემცირების ორგანიზაციას, აგროვებენ და ავრცელებენ თანასწორუფლებიანი დასაქმების შესახებ ინფორმაციას.

**თანაშემწე** – ადამიანი, რომელსაც საკუთარი მისწრაფებები არა აქვს და კმაყოფილდება მეორეხარისხოვანი როლით. ამასთან იგი მუდმივად მზადაა მხარში ამოუდგეს სხვებს, როგორც მუშაობაში, ისე ცხოვრებაში.

**თანდათანობითი სისტემური რეფორმები** – სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ხანგრძლივი, ნაკლებად ღრმა გარდაქმნები.

**თარიღს რომლის გასვლის შედეგაც** – ოფციონის გამოყენება არ შეიძლებაა **ოფციონის გასვლის თარიღს** (expiration date), ანუ **აღსრულების თარიღს** უწოდებენ.

**თაღლითობა** – **1.** წარმოადგენს საზოგადოებისათვის ყველაზე საშიშ მისმენეჯმენტის სახეს. 2. თაღლითობას ვხვდების საბანკო კრიზისის სხვადასხვა სტადიებზე, მაგრამ მეტწილად არა უკანასკნელ სტადიაზე. მთელი რიგი ხერხების მეშვეობით (ფიქტიური ფირმებისა და ყალბი პირებით დაკრედიტებით, კორპორაციის შიგნით „მონათესავე“ ფირმებში სახსრების „გადაქაჩვით“ და ა.შ) ხდება ბანკებიდან თანხების ამოღება და კლიენტთა და მეანაბრეთა პრეტენზიების დაკმაყოფილების ნაცვლად მიდიან თაღლითური გამდიდრების გზით.

**თეთრსაყელოიანები** – (white-collar worker) არაფიზიკური შრომით დასაქმებული მუშაკები, რომელთა ნახევარზე მეტი ჩაბმულია ინფორმაციულ მომსახურებაში. მათ მიაკუთვნებენ ძირითადად გონებრივი შრომით დასაქმებულ მუშაკებს. „თეთრსაყელოიანები“ როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით, ჭარბობენ მომსახურების სფეროში. ამასთან მათი წილი სწრაფი ტემპით იზრდება მაღალტექნოლოგიურ დარგებში – ელექტრონიკაში, ჩქაროსნულ ტრანსპორტში, ახალი მასალების, სამეცნიერო მოწყობილობების წარმოებაში და ა.შ.

**თეოლოგიური მართვა** – მართვა, რომელიც ხორციელდება ბიბლიური სამეურნეო მმართველობითი მოძღვრების, საღვთო გართულებების და ღვთივ დადგენილი ზნეობრივი ნორმების საფუძველზე.

**თეორია** – ეყრდნობა მხოლოდ „მათრახის“ პოლიტიკას. ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში რეპრესიული რეჟიმების, საპატიმროების, ტყვეთა ბანაკების, ტრეფინგული ორგანიზაციების მესვეურების მიერ.

**თეორია** – დ. მაკგრეგორის ტერმინი, რომელიც ეხება ავტოკრატიული ხელმძღვანელის მიერ შემსრულებლების შეფასებას. ასეთ ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ ადამიანებს არ უყვართ მუშაობა, არ გააჩნიათ პატივმოყვარეობა, ურჩევნიათ, რომ მათ ხელმძღვანელობდნენ, უნდათ, რომ მათ

იცავდნენ; აქედან დასკვნა – ადამიანები უნდა აიძულო. რომ იმუშაონ (მათრახით და თაფლაკვერის პრინციპი“).

**თვითდაფინანსება** – (sefttinance) წარმოების გაფართოების დაფინანსება მოგების ან ახალი აქციების გამოშვების ხარჯზე.

**თვითმმართველობა** – ორგანიზაციის აგების პრინციპი, რომ ხელქვეითმა მიიღოს უფლებამოსილება მხოლოდ ერთი უფროსისაგან (მენეჯერისაგან).

**თვითმმართველობა** – როგორც მართვის დემოკრატიზაციის ფორმა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუშაკების ფართო მონაწილეობასა და ორგანიზაციაში მათი გავლენის ზრდას უზრუნველყოფს. თვითმმართველობა საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრული სისტემაა. სრულ თვითმმართველად ითვლება ისეთი სისტემა, რომელსაც არცერთი ზემდგომი მმართველი ორგანო არ გააჩნია. თვითმმართველობა მართვის ფუნქციების რეალიზაციისთვის შესაბამის პირობებს ქმნის იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ორგანიზაციის ყველა დონის მუშაკის მმართველობით საქმიანობაში ჩაბმის რეალური საშუალება; თვითმმართველობის პირობებში კონტროლის ფუნქცია ხორციელდება თვითკონტროლის სახით. ფირმა ან მისი თვითმმართველი ქვედანაყოფის თითოეული წევრი დაინტერესებულია მონაწილეობა მიიღოს არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებისა და მისი რეალიზაციის პროცესში, არამედ აღრიცხვასა და კონტროლშიც, მასტიმულირებელი ბერკეტების შემუშავებასა და ორგანიზაციის სტრუქტურულ გარდაქმნაში.

**თვითმომსახურების მეთოდი** – აქ ყურადღება ექცევა კლიენტის როლის გაზრდას მომსახურების პროცესში (მაგ. სავაჭრო ავტომატებში, რომელიც გამოყენებულია სიგარეტის, გაზიანი სასმელების, ნაყინის მისაღებად და სხვ.)

**თვითმფრინავ-გამწყობი** – სპეციალური თვითმფრინავი, რომლის დანიშნულებაა თვითმფრინავის ჰაერში გაწყობა (მომარაგება საწვავით).

**თვითმფრინავი** – ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატი, რომელიც დაფრინავს ძრავებისა და უძრავი ფრთების მეშვეობით. ძრავის ტიპის მიხედვით თვითმფრინავი არის: ხრახნო მოტორული, ტურბოხრახრიანი და ტურბორეაქტიული. ფრენის სიჩქარის მიხედვით: ბგერამდელი, ზებგერითი და ჰიპერბგერითი.

**თვითღირებულება** – პროდუქციის (მომსახურების) ერთეულზე გაწეული ფულადი დანახარჯები. ავიაგადაზიდვების თვითღირებულება საფრენი აპარატების მიხედვით განისაზღვრება ერთი ფრენა – საათის თვითღირებულებისა და ფრენის საათობრივი მწარმოებლურობის საფუძველზე.

**თვითღირებულება** – პროდუქციის შექმნაზე გაწეული დანახარჯების ფულადი გამოხატულება.

**თვითღირებულების კალკულაციის მეთოდი** – არის პროდუქციის (ან მომსახურების) ერთეულის თვითღირებულებაზე ცალკეული სახის დანახარჯების თავმოყრის წესების ერთობლიობა, რომელიც წარმოების თავისებურებებითაა განსაზღვრული.

**თვითშეფასება** – გულისხმობს საკუთარი უნარის, ფსიქოლო–გიური თვისებების და ქცევის ცხოვრებისეული მიზნების და მისი მიღწევის შესაძლებლობის, აგრეთვე სხვა ადამიანებს შორის ადგილის პოვნის შეფასებას.

**თვიღირებულების პრინციპი** – გულისხმობს საშუალებების აღრიცხვას შემენის, ან დამზადების თვითღირებულებით და არა მისი საბაზრო ღირებულებით. ამიტომ ბუღალტრული აღრიცხვა არ ფლობს ინფორმაციას მოცემულ მომენტში საშუალებების რეალური ღირებულების შესახებ.

**თითოეული თანამშრომელი** – მარკეტინგი, როგორც მხოლოდ მარკეტინგის, გასაღების და მომხმარებელთა უზრუნველყოფის სამსახურის მუშაკთა ამოცანაა. წარსულს ბარდება ორგანიზაციის ყოველი მუშაკი აცნობიერებს ორიენტაციის აუცილებლობას მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

**თითქმის ფული** – (almost money) აქტივების ერთ-ერთი სახე, რომელშიც შედის ვადიანი ანაბრების მთლიანი თანხა, არასაჩეკო შემნახველი ანგარიშები და იმ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მთლიანი მოცულობა, რომელიც ღია ბაზარზე შეიძლება გაიცვალოს ნაღდ ფულზე. „თითქმის ფული" ლიკვიდური აქტივია, ვინაიდან ადვილია მისი გაცვლა ნაღდ ფულზე. თუმცა გაცვლამდე ვერ ასრულებდა მიმოქცევის საშუალების ფუნქციას და ამიტომ მას კვაზიფულსაც უწოდებენ.

**თილისმა** – არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს 1. რაიმე პატარა ნივთს, რომელსაც ცრუ რწმენით ადამიანისთვის ბედნიერების, წარმატების, გამარჯვების მოტანა შეუძლია. 2. იგივეა რაც ჯადო.

**თხევადი ტვირთები** – ტვირთები, რომელიც გდაიზიდება ჩამოსასხმელ მდგომარეობაში (ნავთობი, ნავთობპროდუქტები, ზეთი, სპირტი და ა.შ.).

**თუ ერთობლივ საწარმოთა მუშაობაში** – მონაწილეობს ორზე მეტი ორგანიზაცია, ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ საწარმოებს **კონსორციუმებს** უწოდებენ.

## ი

**იაპონიზაცია** – ორგანიზაციის და მართვის იაპონური მეთოდების გამოყენება იაპონიის ფარგლებს გარეთ.

**იაპონური სტილი** – იაპონელები ძალიან მგრძნობიარენი არიან პარტნიორთა ინდივიდუალობის მიმართ, ამიტომ ცდილობენ მათთან პირადი ურთიერთობების დამყარებას. აღნიშნულის გამო, არ უყვართ ფორმალური და მრავალმხრივი მოლაპარაკებები. თუ პარტნიორი მიდის აშკარა დათმობაზე, იაპონელები ამას აფასებენ და თვითონაც ანალოგიურად იქცევიან, მუქარა კი საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა.

**იარდი** – (yard) სიგრძის ერთეული საზომთა ინგლისურ სისტემაში, უდრის 3 ფუტს, ანუ 97,44 სმ-ს.

**იატა** – (iata - international air transport assosiation – საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია) რეგულარული ავიაკომპანიების მსოფლიო არასამთავრობო ორგანიზაციაა და შეიქმნა 1945 წელს. იატა შეიქმნა საჰაერო ტრანსპორტის უსაფრთხოების წახალისების, რეგულირებისა და ეკონომიკური განვითარების მიზნით, ავიასაწარმოებთნ შესაძლო თანამშრომლობისათვის, „იკაო"-თან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და რეგიონალურ კომპანიების ასოციაციებთან თანამშრომლობისათვის. 2020 წლის მდგომარეობით „იატა"'-ში „იატა" გაერთიანებულია 290 ავიაკომპანია და 120 სახელმწიფო. „იატა" ამუშავებს მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებსა და რეკომენდაციებს, კერძოდ მგზავრთა მომსახურების რეკომენდაციებს, საერთაშორისო ავიატარიფების აგების და გამოყენების, პრინციპებს, ერთი აეროპორტიდან მეორე აეროპორტამდე მანძილის გაანგარიშების მეთოდებს, ინფორმაციის გაცვლის შეტყობინების ფორმებს და სხვა. იატა წელიწადში ორჯერ ატარებს გადაყვანა-გადაზიდვების შესახებ რეგიონულ კონფერენციებს. იატას მიერ დედამიწა დაყოფილია სამ არედ: 1 – ამერიკის ქვეყნები; 2 – ევროპა და აფრიკა; 3 –აზია (ახლო აღმოსავლეთის გარდა), ავსტრალია და ოკეანეთი.

**იატა** – (iata) იატას კონფერენციები, ყოველწლიურად ატარებს კონფერენციებს, სადაც იკრიბება მსოფლიოს ავიაკომპანიების წარმომადგენლები და განიხილება სხვადასხვა პრობლემები მგზავრის მომსახურების – passinger services conference (PSC), ტვირთზე მომსახურების – cargo services conference შესახებ. კონფერენციის მასალები და რეკომენდაციები წარმოადგენს ამოსავალ ბაზას ისეთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების შესაქმნელად, როგორიცაა – RAM, PMP, MTA და სხვა.

**იაფი კრედიტის პოლიტიკა** – ხორციელდება სააღრიცხვო განაკვეთის ბანკების აუცილებელი რეზერვების ნორმის, ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის შემცირებით, რაც ადიდებს მათ

ფულად რესურსებს და კრედიტების გეგმისათვის უფრო შეღავათიან პირობებს ქმნის.

**იაფი ფული** – (ceap money) საკრედიტო სისტემის ისეთი მდგომარეობა, როცა ადვილია აიღო სესხად კაპიტალი. ეს შესაძლებელია დაბალი საპროცენტო განაკვეთის, საბანკო სისტემის ლიკვიდურობის ზრდის, დაკრედიტების სფეროში შეზღუდვების შესუსტებისა და ა.შ. პოლიტიკის განხორციელების პირობებში. „იაფი ფული“ მოსახლეობისათვის კრედიტის ხელმისაწვდომობის ამსახველი ტერმინია.

**იაფი ფული** – საბანკო კრედიტის გაიაფება ცენტრალური ბანკის მიერ შემდეგი ღონისძიებების გატარების შედეგად: განაღდების განაკვეთის შემცირებით (პროცენტისა, რომლის მიხედვითაც ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკს აძლევს სესხს), იმ სავალდებულო რეზერვების ნორმების შემცირებით, რომელსაც კომერციული ბანკები ცენტრალურ ბანკებში, ცენტრალური ბანკების მიერ კომერციული ბანკებისაგან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვით უნდა ინახავდნენ. ყოველივე ამის შედეგად ბანკების თავისუფალი ფულადი რესურსები იზრდება და მათ მიერ იაფი კრედიტების გაცემისათვის შეღავათიანი პირობები იქმნება.

**იდეალური ნორმატივი** – ეწოდება ნორმატივს, რომლის შესრულება შესაძლებელია ყველაზე საუკეთესო პირობებში, სადაც გათვალისწინებული არაა ნორმალური ზარალი, დანაკარგი და მანქანის მწყობრიდან გამოსვლა. ამას აგრეთვე პოტენციურ ნორმატივს უწოდებენ. დანახარჯების იდეალური ნორმატივი არის მინიმალური დანახარჯი. ასეთი ნორმატივები უფრო მიზანს წარმოადგენენ და არა შედეგს, რომლის მიღწევა ყოველდღიურ წარმოებაშია აუცილებელი. ამიტომ პრაქტიკაში ისინი არ გამოიყენება, რადგან უარყოფითად არ იმოქმედონ მუშახელის მოტივაციაზე.

**იდეები** – ძირითადი იდეა თითოეული საბაზრო მიწოდების ბირთვია და ფულია. საბაზრო მიწოდებაში იგულისხმება

საქონელი და მომსახურება, როგორც მომხმარებლამდე განსაზღვრული იდეის ანუ სარგებლობის დაყვანის წესი, რომელიც აკმაყოფილებს რაიმე საკვანძო მოთხოვნილებას.

**იდეების ამორჩევა** – ახალი საქონლის შემუშავების პროცესში უვარგისი იდეების განთავსება.

**იდეების გენერატორი** – ისინი ნოვატორთა მნიშვნელოვანი ტიპია. მათი მთავარი მახასიათებელია: უნარი – მოკლე დროის განმავლობაში დიდი რაოდენობით შემოიტანონ ორგანიზაციული წინადადებები, შეცვალონ საქმიანობის სფერო და კვლევის საგანი მიისწრაფოდნენ რთული პრობლემების გადაწყვეტისაკენ, იმსჯელონ დამოუკიდებლად ან ნეგატიურად იყვნენ განწყობილი მოსაზრებებისადმი. იდეების გენერატორები თავის მხრივ იყოფა „გამომგონებლებლად“, „სინთეზატორებად“, „ანალიტიკოსებად“.

**იდეების გენერატორი** – კოლექტივში ყველაზე უნარიანი და ნიჭიერი პიროვნება. იგი ამუშავებს კოლექტივის წინაშე მდგომი ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტებს. ამასთან, პასიურობის, არაორგანიზებულობის და სხვათა გამო, არ შეუძლიათ თავისი იდეების პრაქტიკაში რეალიზება.

**იდეების ფორმირება** – ახალი საქონლის იდეების სისტემური ძიება.

**იდენტი** – ეწოდება ერთი ქვეყნის იმპორტიორის მიერ მეორე ქვეყნის კომისიონერისათვის საქონლის გარკვეული პარტიის შესყიდვაზე მოცემულ ერთჯერად დავალებას.

იდენტი შეიძლება იყოს ღია და დახურული. **ღია ისეთი იდენტი,** რომელიც არ შეიცავს შეკვეთილი საქონლის ზუსტ მონაცემებს და კომისიონერს აძლევს მწარმოებლის შერჩევის უფლებას. **დახურულ იდენტში** უთითებენ შეკვეთილი საქონლის ზუსტ მონაცემებსა (სორტს, ფერს და ა.შ.) და იმ მწარმოებელს, რომლისგანაც უნდა იყოს შეძენილი ეს საქონელი.

**იდენტური** – (ფრანგ) სავსებით მსგავსი, სავსებით ერთნაირი.

**იდეოლოგია** – შეხედულებებისა და იდეების, თეორიებისა და მიზნების ერთობლიობაა, რომელიც აღიქმება და ფასდება ადამიანთა მიერ, განსაზღვრავს ქვეყნის მართვის ფორმასა და საბოლოოდ აყალიბებს სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ პროგრამას.

**იერარქია** – დაქვემდებარებულობა.

**იერარქია პრიორიტეტის მიხედვით** – უმაღლესი თანრიგის მიზნად ითვლება ის მიზანი, რომელთაც ეძლევათ უფრო მაღალი პრიორიტეტი მათი რეალიზაციის დროს.

**იერარქიის პრინციპი** – (იერარქია ბერძნულიდან, წმინდა ხელისუფლება) ქვემდგომი შემადგენელი ელემენტებისა და თვისებების დაქვემდებარების წესი ზემდგომზე მკაცრად განსაზღვრული საფეხურები (იერარქიული კიბე) და გადასვლა უმდაბლესი დონიდან უმაღლესზე. იგი არის რთული მრავალდონიან ლოგისტიკურ სისტემაში სტრუქტურული დამოკიდებულებათა ტიპი, ხასიათდება მოწესრიგებულობით, ვერტიკალზე ცალკეულ დონეთა შორის ურთიერთქმედების ორგანიზებულობით. იერარქიულ დამოკიდებულებას ადგილი აქვს მრავალ ლოგისტიკურ სისტემაში, რომელთათვისაც დამახასიათებელია როგორც სტრუქტურული, ისე ფუნქციონალური დიფერენციაცია, ე.ი. გარკვეული წრის ლოგისტიკური ფუნქციების რეალიზაციის უნარი.

**იერარქიული პრინციპი** – საბანკო სისტემაში გამოყოფს ცალკეულ სეგმენტებს – დონეებს არასტრუქტურული დაქვემდებარებების ურთიერთობათა საფუძველზე. ზედა (მმართველი) იერერქიული დონე მოიცავს ცენტრალურ ბანკს და შესაძლოა დემონოპოლიზებულ დონის, პარალელური სტრუქტურის წარმომადგენელს (მაგალითად, რუსეთში). ქვედა დონე კი ყველა ეტაპის საკრედიტო დაწესებულებას და გარკვეულად, კომერციულ საბანკო გაერთიანებებსა და საბანკო ინფრასტრუქტურას.

**იერარქიული სტრუქტურა** – ორგანიზაციული სტრუქტურა,

რომელსაც ახასიათებს მრავალდონიანი მართვა და მართვის უმნიშვნელო მოცულობა ყველა დონეზე.

**იერარქიულობისა და უკუკავშირების პრინციპები** – ითვალისწინებს მრავალსაფეხურიანი მმართველობითი სტრუქტურის შექმნას, რომლის დროსაც პირველადი (ქვედა) რგოლი იმართება თავისივე მმართველობითი ორგანოების მიერ, მაგრამ ზემდგომი როლის მმართველობითი ორგანოების კონტროლის საფუძველზე. მაშასადამე ქვედა მმართველობითი ორგანოსათვის მიზნები განისაზღვრება იერარქიულად უფრო მაღალი მმართველობითი ორგანოს მიერ.

**იმიტაცია** – რეალური მოდელის შემუშავებისა და ისეთი ექსპერიმენტების ჩატარების პროცესი, რომელთა მიზანია გავიგოთ, თუ როგორ შეიცვლება სიტუაცია.

**იმიჯი** – (image) საქონლის, მომსახურების, საწარმოს და ა.შ. რეპუტაცია. ის საქონელი, მომსახურება, საწარმო და ა.შ., რომლის „სახემაც“ მომხმარებელთა აღიარება მოიპოვა, შემდგომში უზრუნველყოფს მომხმარებელთა ერთგულების შესაბამისი საფირმო და სავაჭრო მარკეებისადმი და მათ მტკიცე, მყარ მდგომარეობას ბაზარზე.

**იმიჯი** – კომპანიის სახოვნება, რეპუტაცია, პრესტიჟი, რომელიც აღიქმება მისი თანამშრომლობის, კლიენტების და მთელი საზოგადოების მიერ.

**იმობილიზაცია** – მოძრავი ქონების უძრავ ქონებაში გადაყვანა. სააქციო საზოგადოების კაპიტალის კერძო კაპიტალად გადაყვანა.

**იმპერატიული კანონმდებლობა** – ნებისმიერი სტატუსის სამართალი, რომლის დებულებებში არ შეიძლება გამოყოფილ იქნას სახელშეკრულებო პირობებისაგან, კლიენტისათვის ზარალის მიყენების გარეშე.

**იმპორტზე გადასახადი** – საიმპორტო ბაჟი, საზღვარარეთიდან შემოტანილ საქონელზე დაწესებული არაპირდაპირი გადასახადის სახე; გამოიყენება იმპორტის მოცულობისა და სტრუქტურის რეგულირებისათვის.

**იმპორტი** – (import) სხვა ქვეყანაში წარმოებული საქონლის ან მომსახურების შემოტანა და მოხმარება მოცემულ ქვეყანაში. საქონელი ხილული იმპორტია, მომსახურება კი – უხილავი.

**იმპორტირებისადმი მიდრეკილება** – (propensity to import) იმპორტზე გაწეული ხარჯების წილის ზრდა შემოსავალში.

**იმპორტის აგენტი** – ანუ რეზიდენტ-აგენტი (retident agent) პრინციპალის ქვეყანაში მოქმედი და პრინციპალის ხარჯებით საიმპორტო ოპერაციების მწარმოებელი ფირმაა.

**იმპორტის გადასახადები** – იმპორტის გადასახადებს მიეკუთვნება ქვეყანაში საქონლის შეტანაზე დაწესებული სასაზღვრო გადასახადი, საბაჟო დოკუმენტების გაფორმებასთან, საქონლის საბაჟო და ხარისხის შემოწმებასთან დაკავშირებული, საპორტო, სტატისტიკური, ფიტოსანიტარული და სხვა სახის მოსაკრებლები. იმპორტის გადასახადის ნაირსახეობაა მცოცავი **საიმპორტო მოსაკრებლები,** რომლებიც ფართოდ გამოიყენება აგრარული პროტექციონიზმის ინსტრუმენტებად.

**იმპორტის დეპოზიტი** – (omport deposit) იმპორტის შეზღუდვის ინსტრუმენტი. იმპორტის დეპოზიტის დროს იმპორტიორს წაეყენება მოთხოვნა წინასწარ გაიღოს შემოსატანი საქონლის ღირებულების ნაწილი კონვერტირებულ ვალუტაში.

**იმპორტის დეპოზიტი** – იმპორტიორი ვალდებულია საქონლის ღირებულების ნაწილი წინასწარ შემოიტანოს კონვერტირებულ ვალუტაში. საერთოდ ეს პროცესი იმპორტირების შეზღუდვის საშუალებაა.

**იმპორტის კვოტა** – (import quata) საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში განსაზღვრული საქონლის, მაგალითად წლის განმავლობაში განსაზღვრული რაოდენობის ავტომობილის შემოყვანის რაოდენობრივ შეზღუდვას.

**იმპორტის ლიცენზია** – (ინგ.import licence) განსაზღვრული საქონლის შემოტანის უფლება, რომელსაც იძლევა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები.

**იმპორტის ჩანაცვლება შიგა წარმოებით** – (import subtition) ერთ-ერთი მთავარი განვითარების სტრატეგია განვითარებადი ქვეყნებისათვის. ომის შემდგომ პირველ წლებში მრავალი ეკონომისტი და განვითარებადი ქვეყნების მთავრობები ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას მიიჩნევდნენ ეკონომიკური პროგრესის საუკეთესო სტრატეგიად. ამ თვალსაზრისით ყველაზე მართებული გზა იყო იმპორტის ჩანაცვლება შიგა წარმოებით, რაც გულისხმობს საკუთარი მრეწველობის შექმნას იმპორტული კვოტებითა და ტარიფებით დაცვის საფუძველზე. ითვლებოდა, რომ ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო მრეწველობის იმ დარგების განვითარებით, რომლებიც აწარმოებენ სამომხმარებლო საქონელს. შემდეგ აქცენტი გადატანილ იქნა კაპიტალური საქონლის წარმოებაზე. იგულისხმებოდა, რომ ამ გზით შესაძლებელი იქნებოდა იმპორტის ჩანაცვლება შიგა წარმოებით, რაც ხელს შეუწყობდა ეკონომიკურ ზრდას. არ გამოირიცხებოდა ის ვარაუდიც, რომ ამ სტრატეგიის რეალიზაციის ძირითადი ხარჯები თავისთავზე განვითარებულ ქვეყნებს უნდა აეღოთ. ამ სტრატეგიის გამოყენებამ მრავალ განვითარებად ქვეყანას არასახარბიელო შედეგი მოუტანა. საგადასახადო ბალანსის მდგომარეობა აღნიშნულ ქვეყნებში ნაკლებად გაუმჯობესდა, ხოლო მათი დამოკიდებულება განვითარებულ სახელმწიფოებზე არ შემცირებულა. იმპორტის სტრუქტურაში მზა სამომხმარებლო საქონლის წილი შემცირდა, მანქანა მოწყობილობებისა და სათადარიგო ნაწილების კი გაიზარდა. წარმოიქმნა ბარიერები ექსპორტისათვის, ვინაიდან საექსპორტო საქონლის მწარმოებელი ფირმები იძულებულნი გახდნენ ადგილობრივი ფირმებისაგან, რომლებიც პროტექციონისტურ პირობებში მუშაობდნენ, შეეძინათ ნედლეული და მასალები მსოფლიო დონეზე მაღალ ფასებში. ამ პოლიტიკამ განაპირობა ვალუტის კურსის გაზრდა, რამაც შეამცირა მათი ექსპორტის ეფექტიანობა.

**იმპორტშემცვლელი ინდუსტრიალიზაცია** – მაღალი ტარიფებითა და არასატარიფო შეზღუდვებით საშინაო ბაზრის დაცვის კურსი ადგილობრივი სამრეწველო წარმოების სტიმულირების მიზნით, რომელიც ცვლის იმპორტულ პროდუქციას და უზრუნველყოფს საშინაო მოთხოვნებს.

**ინგლისურ-ამერიკული სკოლის თეორია** – (the theory of englis-american school) ღირებულების ალტერნატიული თეორია, რომელიც წამოაყენა ინგლისურ ამერიკულმა სკოლამ. ეს სკოლა ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. მისი ფუძემდებელია ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ალფრედ მარშალი. ამ თეორიას იზიარებს პოლ სამუელსონიც.

ინგლისურ-ამერიკულმა სკოლამ ღირებულების თეორია (იხილეთ), ზღვრული სარგებლიანობის თეორიით (იხილეთ), დანახარჯების თეორიით (იხილეთ), მოთხოვნა-მიწოდების თეორიით (იხილეთ) – შეერთებით შექმნა ღირებულების ახალი თეორია, რომელშიც ამოსავალია მოთხოვნა-მიწოდების კანონი. ამ „ახალი თეორიის“ მიხედვით საქონლის მიწოდებას განსაზღვრავს წარმოების დანახარჯები, ხოლო მოთხოვნას - საქონლის ზღვრული სარგებლიანობა.

ინგლისურ-ამერიკული სკოლის თეორია ყველაზე ოპტიმალურია, იგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით განსაზღვრის თავისებური სინთეზია.

**ინგლისური სტილი** – ინგლისელები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მოსამზადებელ სამუშაოებს და ცდილობენ საკითხების უშუალოდ მოლაპარაკებაზე გადაწყვეტას. შესაბამისად, მათთვის მთავარია პარტნიორთა პოზიციის დადგენა და მისი მეშვეობით სასურველი შედეგის მიღწევა. ინგლისელები საკმაოდ მოქნილად და ხალისიანად ხვდებიან პარტნიორთა ინიციატივას.

**ინდემნიტეტი** – (indemnity) ზარალის ანაზღაურება კომპენსაცია (როგორც წესი) საერთაშორისო სამართალში.

**ინდენტი** – სავაჭრო ხელშეკრულების სახეობა, რომლის მიხედვით კომისიონერს ევალება გარკვეული საქონლის შესყიდვა და დანიშნულების ადგილზე გადაგზავნა.

**ინდენსაქცია** – ინფლაციის პირობებში ფულის გაუფასურების გამო შემოსავლის დონის შენარჩუნების მიზნით განხორციელებული ღონისძიება.

**ინდექსაცია** – (index) [ლათ. Index მაჩვენებელი] ციფრობრივი მაჩვენებელი, რომელიც პროცენტობით გამოხატავს წარმოების მოცულობას ფასების, საგარეო ვაჭრობისა და ა.შ. ცვლილებებს.

**ინდექსაცია** – ინფლაციის პირობებში ფულზე მოთხოვნის და სხვადასხვა შემოსავლების რეალური სიდიდის შენარჩუნების წესი. დაფუძნებულია განსაკუთრებული საინდექსო განმარტებების ჩართვაზე საკრედიტო და საგადასახადო შეთანხმებებში, ხელშეკრულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ და დოკუმენტებში, რომლებიც აწესრიგებენ დივიდენდების, პროცენტების, პენსიების, დახმარების გაცემას და ა.შ.

**ინდექსირება** – ესაა პასიური საინვესტიციო სტრატეგია, რომელიც ეყრდნობა ფართო დივერსიფიკაციას და დაბალ სავაჭრო აქტივობას ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში.

**ინდექსირება** – ინდექსირებას უწოდებენ საინვესტიციო სტრატეგიას, რომლის მიზანია საინვესტიციო კაპიტალის შემოსავლიანობის დინამიკის „მიბმა“ გარკვეულ საბირჟო (საფონდო) ინდექსზე.

**ინდივიდუალიზაცია** – მიზნობრივი ბაზრებისთვის უნიფიცირებულ მიწოდებას ცვლის ინდივიდუალიზებული მიწოდებები, რომლებშიც გათვალისწინებულია კონკრეტულ მომხმარებელთა მოთხოვნები.

**ინდივიდუალური მარკეტინგის კონცეფცია** – ამ კონცეფციას მიმართავენ ფირმები, რომლებიც მუშაობენ მომხმარებელთა სეგმენტების დონეზე, რომლის თანახმად შეთავაზებები, მომსახურება და კომუნიკაცია ყალიბდება ცალ-

კეული მომხმარებლების მოთხოვნილებისა და მოთხოვ-
ნის გათვალისწინებით.

**ინდივიდუალური მეთოდი –** სხვადასხვა სერვისულ საწარ-
მოებში სხვადასხვაგვარად ხდება ინდივიდუალური მე-
თოდის გამოყენება.

**ინდივიდუალური მეწარმე** – როგორც ინდივიდუალური
საწარმოს მფლობელი, არის ფიზიკური პირი, რომლის
სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელია სამეწარმეო
წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო
და საბუღალტრო საქმე. სამართლებრივ ურთიერთობაში
იგი გამოდის თავისი სახელით.

**ინდივიდუალური მეწარმეობა** – (sole ownersip) სამეწარმეო
საქმიანობის ინდივიდუალური გაძღოლა, მეწარმეობის
უმარტივესი ფორმა, ინდივიდუალური მეწარმის ქონება
განუყოფელია მისი პირადი ქონებისგან, ხოლო ინდი-
ვიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი.

**ინდივიდუალური სამუშაო დრო** – დრო რომელიც იხარჯება
ცალკეული მწარმოებლების მიერ მოცემული საქონლის
ერთეულის დამზადებაზე. დამოკიდებულია გამოყენებუ-
ლი შრომის საშუალებების განვითარების დონეზე. მუშათა
კვალიფიკაციაზე, შრომის ინტენსივობასა და სხვა პირო-
ბებზე, რომლებიც გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერე-
ბაზე.

**ინდივიდუალური საწარმოები** – (solo propriqtorsip) უპირატე-
სად მცირე ბიზნესით არიან დასაქმებულები, რომელთა
უმეტესობას ყოველწლიური შემოსავალი 50000 აშშ დო-
ლარს აღემატება. ერთი პირის მესაკუთრის შემოსავლები
კორპორაციულ შემოსავლებზე გადასახადების დაბეგვრის
ობიექტს არ წარმოადგენს, ანუ მათი შემოსავლები
ისეთივე შემოსავლებით იბეგრება, რითაც ცალკეული
მოქალაქეების შემოსავლები.

**ინდივიდუალური შეკვეთების მასობრივი წარმოება** – ანუ
კასტომიზაცია გამოხატავს კომპანიის უნარს დიდი

რაოდენობით აწარმოოს და მიაწოდოს მსოფლიოს ყველა კლიენტს საქონელი და მომსახურება, რომელიც პასუხობს თითოეული კლიენტის ინდივიდუალურ მოთხოვნებს.

**ინდიკატური დაგეგმვა** – (indicative planning) – ეროვნული ეკონომიკის საორიენტაციო დაგეგმვა სახელმწიფო დონეზე, რომელიც არ ზღუდავს ეროვნული კაპიტალის უფლებებს მასში განსაზღვრულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების სისტემა და მათი რეალიზაციის გზები. ინდიკატური დაგეგმვა კოორდინაციას უწევს აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანოს შესაბამის კომპლექსურ და ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებებს.

ინდიკატური გეგმა მოითხოვს: 1. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს; 2. პროგნოზულ-ანალიტიკურ ნაწილს; 3. საგეგმო მარეგულირებელ ნაწილს.

ინდიკატურ გეგმაში ასახულია ის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებმაც, უნდა უზრუნველყონ დასახული პროგნოზული პარამეტრების მიღწევა.

**ინდოსამენტი** – (endorsement) [გერმ. endossement] ლათ. indorsum – ზუსტი) გადაცემის წარწერა, წარწერა თამასუქის, ჩეკის, კონოსამენტის და სხვა ფასიანი ქაღალდების მეორე მხარეზე, რომლითაც დასტურდება ამ დოკუმენტით განსაზღვრული უფლების გადაცემა სხვა პირისათვის (სხვაგვარად – ჟირო).

**ინდოსანტი** – პირი, რომელიც ფასიანი ქაღალდების უკანა მხარეზე აკეთებს გადაცემის აღმნიშვნელ წარწერას (სხვაგვარად - ჟირანტი).

**ინდოსატი** – (indorsec) [გერმ. indossant] პირი, რომლის სასარგებლოდაც ფასიან ქაღალდზე გაკეთებულია გადაცემის წარწერა.

**ინდუსტრია** – (industry) გაეროს საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციისა და ეროვნულ ანგარიშთა

სისტემის მიხედვით ეკონომიკის მეორეული სექტორი (აგრარული სექტორის შემდეგ), რომელშიც შედის მრეწველობა (თავისი მომპოვებელი და გადამამუშავებელი დარგებით) და მშენებლობა.

**ინდუსტრიული საზოგადოება** – (industrial society) საზოგადოების განვითარების სტადია, სამრეწველო საზოგადოება, რომელმაც შეცვალა აგრარული საზოგადოება, ხოლო XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გადაიზარდა პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში.

**ინდუქცია** – ნიშნავს მსჯელობას კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ.

**ინერცია** – (inertia) ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა მიმდინარე პერიოდში, დაფუძნებული წინა პერიოდის ტენდენციაზე.

**ინვენტარი** – (ლათ. innebtarium) 1. სამეურნეო დანიშნულების სხვადსხვა საგნების ერთობლიობა; 2. ამგვარი საგნების ზუსტი და დაწვრილებითი აღწერა.

**ინვენტარი** – არის იმ პროდუქტის ღირებულება, რომელსაც თქვენი კომპანია ყიდის (დამზადებული საქონელი, წარმოებული პროდუქტი), მაგრამ ჯერ არ გაგიყიდიათ: ნედლეული დამუშავების პროცესში საქონლის წარმოების შემადგენელი ნაწილია. ინვენტარი ჩვეულებრივ ხდება ფული ან დებიტორული ანგარიში, როდესაც გაიყიდება. ინვენტარი, რომელიც სამუდამოდ თაროზე დევს, არ არის კომპანიის საუკეთესო აქტივი. უმჯობესია, საქონლის მუდმივ ბრუნვაზე ზრუნვა.

**ინვენტარიზაცია** – ავიასაწარმოს ძირითადი საბრუნავი საშუალების ნატურაში არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება. ტარდება დოკუმენტურად გაუფორმებელი სამეურნეო ოპერაციების გამოვლენისა და საანგარიშო ჩანაწერების სისწორის დადგენის მიზნით.

**ინვენტარიზაცია** – არის ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ერთ-ერთი ელემენტი, რომლის მეშვეობითც ხდება აქტი-

ვებისა და ვალდებულებების ნაშთების ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენა.

**ინვენტარიზაცია** – გეგმიური ტარდება წინასწარ განსაზღვრულ ვადებში, ხოლო მოულოდნელი ინვენტარიზაცია ტარდება სტიქიური უბედურების და სხვა არაორდინალური მოვლენების შემდეგ, შემოწმების ჩატარების მიზნით, მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან საწარმოს ხელმძღვანელის შეცვლისას და სხვა შემთხვევაში.

**ინვენტარიზაცია** – ნაწილობრივ მოიცავს საწარმოს რესურსების ნაწილს, მის რომელიმე ერთ-ერთ ჯგუფს.

**ინვენტარიზაცია** – პერიოდული, ტარდება განსაზღვრული დროის განმავლობაში, მონაკვეთში. მაგალითად ყოველ-თვიურად ყოველკვარტალურად.

**ინვენტარიზაცია** – საწარმოების ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ნატურში არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება. ტარდება დოკუმენტურად გაუფორმებელი სამეურნეო ოპერაციების გამოვლენისა და საანგარიშო ჩანაწერების სისწორის დადგენის მიზნით.

**ინვენტარიზაცია** – საწარმოს, დაწესებულების ქონების (ინვენ-ტარის) აღწერის შედგენა.

**ინვენტარიზაცია** – სრული ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც, წლიური ფინანსური ანგარიშების მომზადების წინ.

**ინვენტარიზაცია** – უეცარი, ტარდება მატერიალურად პასუხის-მგებელი პირის შეცვლისას და ა.შ.

**ინვენტარიზაცია** – ყველა სახის პროდუქციის რაოდენობის სრული ან შერჩევითი ანგარიში. ნატურალურ გამოსახუ-ლებაში მიღებული მონაცემები ფასდება მოქმედ ფასებში და დაიყვანება საქონლის ჯგუფების მიხედვით საერთო თანხაზე.

**ინვენტარიზაცია** – ხასიათის მიხედვით შეიძლება იყოს: გეგ-მიური (პროგნოზირებული) და შემთხვევითი (მოულოდ-ნელი).

**ინვენტარული** – ანუ მატერიალურ ფასეულობათა ამსახველი ანგარიშები საწარმოს რესურსებს ასახავს და ამ ჯგუფის

ყველა ანგარიში აქტიურია. ან ანგარიშებს ნორმალური ჩანაწერი ექნებათ დებეტის მხარეს, დებეტში აიწერება ზრდის ამსახველი ოპერაციები, ხოლო კრედიტში – შემცირებისა; საბოლოო სალდო (ნაშთი) შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ სადებეტო, რადგან არ შეიძლება საწარმოში შემცირდეს რომელიმე ინვენტარული, მატერიალური ფასეულობა, იმაზე მეტად, ვიდრე საწარმოს ამ ფასეულობის მარაგი გააჩნია, ვიდრე ამ ფასეულობის ნაშთი არსებობს. ინვენტარულ ანგარიშებს მიეკუთვნება: ძირითადი საშუალებების, მასალების, ფულადი საშუალებების, მზა პროდუქციის და სხვა ანგარიშები.

**ინვესტირებისადმი მიდრეკილება** – (propensity to invest) ეროვნული შემოსავლის იმ წილის ზრდა, რომელიც ხმარდება კაპიტალდაბანდებებს.

**ინვესტიცია** – (investment) [ლათ.investire შემოსავალი] კერძო სექტორის ან სახელმწიფოს გრძელვადიანი კაპიტალდაბანდება ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ: 1. დაბანდება რეალურ ძირითად კაპიტალსა და მატერიალურ-სასაქონლო მარაგში წარმოების განვითარებისათვის; 2. დაბანდება ფინანსურ აქტივებში (დეპოზიტში, ფასიან ქაღალდებში) შემოსავლის მიღების მიზნით.

ინვესტიციები დოვლათის წარმოებისა და არა საბოლოო მოხმარებისათვის გამიზნული ხარჯების ნაკადია. იგი მატერიალური, ტექნიკური, ფასეულობების გრძელვადიანი დაბანდებაა ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მოგების ან სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. თანამედროვე ეკონომიკაში ინვესტიციების დიდი ნაწილი ფასიანი ქაღალდებითაა წარმოდგენილი.

**ინვესტიცია** – (გერმ. investition) გრძელვადიანი კაპიტალდაბანდება: 1. წარმოების განვითარების ძირითად კაპიტალში (ფონდში) და მატერიალურ-სასაქონლო მარაგში დაბანდება; 2. ფინანსურ აქტივებში (დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები) სახსრების დაბანდება შემოსავლის მიღების მიზნით.

**ინვესტიცია** – არის აქტივი, რომელსაც საწარმო ფლობს საკუთარი სიმდიდრის გასაზრდელად შესაბამისი შემოსავლის – პროცენტების, როიალტების, დივიდენდებისა და საჯარო ქირის მიღების გზით. საინვესტიციო ქონების შესაძენად საწარმო ბუნებრივად გარკვეულ ფულად თანხებს გაიღებს. ამდენად, ინვესტიცია არის თნხა, რომელიც აღებულია ან დაბანდებულია სხვადასხვა ფასიან ქაღალდებში, გაცემულია სესხით ან გაცემულია იჯარით.

**ინვესტიციათა გარანტიის მრავალმხრივი სააგენტო** – მსოფლიო ბანკის ჯგუფის საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც ახალისებს უცხოურ ინვესტიციებს საწარმოო მიზნებისათვის, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, აგრეთვე იძლევა გარანტიებს, მათ შორის აწარმოებს ინვესტიციათა გარანტიის მრავალმხრივი სააგენტოს წევრი ერთი სახელმწიფოს ინვესტიციებზე არაკომერციული რისკების დაზღვევას და ხელახლა დაზღვევას სხვა წევრ სახელმწიფოში.

**ინვესტიციები** – დანახარჯების ერთობლიობა, რომლებიც გრძელვადიანი კაპიტალური დაბანდებების ფორმით რეალიზებულია სამოქალაქო ავიაციაში (ასევე, სხვადასხვა დარგში) განასხვავებენ ფინანსურ და რეალურ ინვესტიციებს. 1. ფინანსური დაბანდების აქციებში, რომლებიც გამოშვებულია კერძო კომპანიებისა და სახელმწიფოების მიერ, რეალური – დაბანდებები ძირითად კაპიტალსა და მატერიალურ სასაქონლო მარაგებში.

**ინვესტიციების პორტფელი** – ფასიან ქაღალდებში გათვალისწინებულია, მხოლოდ შემოსავლის მისაღებად, **პირდაპირი** კომპანიის მმართველობაში მონაწილეობისათვის. ინვესტიციები ძვირფას ლითონებში, მიწაზე ან სხვა უძრავ ქონებაში ხორციელდება ინფლაციისა და ფულადი რეფორმისგან ფულადი სახსრების დაცვლის მიზნით.

**ინვესტიციების სიდიდე** – განისაზღვრება იმ პროექტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ დადებით წმინდა დისკონტირებულ ღირებულებას ან შემოსავლების შიგა განაკვეთს.

პირველ მაჩვენებელს ეწოდება წმინდა დისკონტირებული ღირებულების კრიტერიუმი, ხოლო მეორეს კაპიტალდაბანდების ზღვრული ეფექტიანობის კრიტერიუმი.

**ინვესტიციებისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებები** – ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ამიტომ ისინი ყოველთვის ერთობლიობაში უნდა იქნან განხილული.

**ინვესტიციის ბაზარი** – (investment market) 1. ემსახურება საინვესტიციო პოტენციალის მობილიზება-ორგანიზებას, საინვესტიციო საქონლის ფინანსურ, მატერიალურ და ინტელექტუალური უზრუნველყოფას. 2. არის საინვესტიციო რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდების ფორმირებისა და საინვესტიციო საქონლის ყიდვა-გაყიდვის სფერო. ინვესტიციების ბაზარი ემსახურება, საინვესტიციო საქონლის ფინანსური, მატერიალური და ინტელექტუალურ უზრუნველყოფას.

**ინვესტიციის ბაზარი** – დასავლურ ლიტერატურაში ინვესტიციის ბაზარს უწოდებენ, ერთის მხრივ ინვესტორებს, ხოლო მეორე მხრივ, ინვესტორებს და ინვესტიციების საბოლოო რეციპიენტებს შორის აქტივების (უპირატესად – ფინანსური აქტივებით) ვაჭრობის ორგანიზაციის სისტემას. ინვესტიციის ბაზარი აერთიანებს სასესხო კაპიტალის ბანკებს, საფინანსო ბაზრებს, აგრეთვე ზოგიერთი რეალური აქტივის (მაგალითად, ძვირფასი ლითონების და ქვების, ანტიკვარიატის, უძრავი ქონების) ბაზრებს, რომლებიც იყოფა დაბანდებათა ხანგრძლივობის პრინციპების ორგანიზაციის დონის მიხედვით. ინვესტიციის ბაზარს ხშირად განმარტავენ როგორც გრძელვადიანი კაპიტალის ბაზას. „capital market“-ს თავის მხრივ ამ ტერმინს ხშირად ხმარობენ საკუთარი ბაზრის „equilty market“-ის სინონიმად, რომელიც უპირველეს ყოვლისა აქციების ბაზარს მოიცავს.

**ინვესტიციური და კონვესიური ანგარიშები** – ისეთი ანგარიშებია, რომელთა მფლობელებიც ფედერალური ბიუჯეტის სახსრების აღმრიცხველი საწარმოებია. ამ სახსრების გაცე-

მა ხდება კონვერსიული და საინვესტიციო პროგრამების დასაფინანსებლად, დაბრუნებისა და საზღაურის გადახდის საფუძველზე.

**ინვესტორთა ინტერესების** – შესახებ შეიძლება აღინიშნოს:

- შედარებით დაბალი ანაზღაურება;
- ანგარიშებზე სახსრების არარსებობა და მინიმალური „ბლოკირება“ (უპირატესობა ენიჭება ჩეკებსა და აკრედიტივებს ბანკის გარანტიით);
- ანგარიშზე სახსრების უცვლელი ნაშთიდან სარგებლის მიღების შესაძლებლობა.

**ინვესტორი** – (investor) [ინგ.investor მეანაბრე] იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს, აბანდებს საკუთარ, ნასესხებ ან მოზიდულ სახსრებს ინვესტიციურ პროექტებში. ინვესტორი თავისი სახელით იძენს ფასიან ქაღალდებს. საინვესტიციო კაპიტალის ფორმირების მიხედვით ინვესტორი შეიძლება იყოს ორი სახის: *ინდივიდუალური ინვესტორი* – რომელიც ფასიან ქაღალდებს იძენს საკუთარი კაპიტალით. მას ბოლო კრედიტორს უწოდებენ. *ინსტიტუციური ინვესტორი* – რომელიც ფასიან ქაღალდებს ყიდულობს არა იმდენად საკუთარი, რამდენადაც მოზიდული ფულით, ანუ მის მიერ მობილიზებული ბოლო კრედიტორების კაპიტალით. იგი შუალედური რგოლია კაპიტალის მობილიზაციისა და ინვესტირებაში. სახსრების დაბანდება ფასიან ქაღალდებში შეიძლება იყოს ინსტიტუციური ინვესტორის მაგალითად, კომერციული ბანკის სადაზღვევო ორგანიზაციის, საპენსიო ფონდების და ა.შ. თავისუფალი სახსრების დროებითი მოთავსება, შეიძლება იყოს კაპიტალის მობილიზაციის ძირითადი მიზანი, მაგალითად, საინვესტიციო ფონდების შექმნა. ინვესტორის კატეგორიას არ მიეკუთვნება ბროკერები, რომლებიც ოპერაციებს აწარმოებენ კლიენტის ხარჯზე. დილერები, რომლებიც საკუთარი ხარჯით აწარმოებენ ოპერაციებს იყოფიან ორ კატეგორიად: პირველად და მეორად დილერებად. პირველადი

დილერები ბაზარზე ავრცელებენ ახალ ფასიან ქაღალდებს და ამით ემიტენტისათვის ქმნიან დამატებით კაპიტალს, ხოლო მეორადი დილერები ყიდულობენ და ხელახლა ყიდიან მიმოქცევაში არსებულ ფასიან ქაღალდებს და ემიტენტისათვის არ ახდენენ ახალი კაპიტალის მობილიზაციას. მათი მეშვეობით კაპიტალი ინვესტორებს შორის მოძრაობს.

**ინიციაცია** – (initiatio - საიდუმლოებათა აღსრულება) ისეთი საქმიანობა, რომელიც შედგება ინოვაციის მიზნის შერჩევის, ამოცანის დასმის, იდეის ძიების, ინოვაციის ტექნიკური-ეკონომიკური დასაბუთებისა და გადაქცევისაგან გასაყიდ ნივთად ანუ საქონლად.

**ინკასაცია** – (collection) [იტალ. Incassare ყუთში ჩაწყობა] ბანკში ნაღდი ფულის მიღება ფასიანი ქაღალდებით; ინკასოს ოპერაციების განხორციელება.

**ინკასო** – (incashment, collection of paymants) [იტალ. incasso] საბანკო ოპერაციის სახეობა, რომლითაც ბანკი საანგარიშსწორებო დოკუმენტების (თამასუქის, ჩეკის და ა.შ.) საფუძველზე კლიენტის დავალებით და მის ანგარიშზე იღებს კუთვნილ ფულად თანხას მესამე პირისაგან. საინკასო ოპერაციების ჩატარებისათვის ბანკს საკომისიო ეკუთვნის.

საერთაშორისო ვაჭრობაში სასაქონლო დოკუმენტების ინკასო მდგომარეობს იმაში, რომ ექსპორტიორი ავალებს თავის ბანკს, მიიღოს განსაზღვრული რაოდენობის ვალუტა იმპორტიორისაგან, ამ უკანასკნელისათვის სასაქონლო დოკუმენტების გადაგზავნის საფუძველზე. საინკასო ოპერაცია შედგება ოთხი ეტაპისგან. 1. ექსპორტიორი გადასცემს თავის ბანკს საინკასო დავალებას და სასაქონლო დოკუმენტების დანართს, რასაც საფუძვლად უდევს ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის დადებული ხელშეკრულება. 2. ექსპორტიორის ბანკი საინკასო დავალებას სასაქონლო დოკუმენტებთან ერთად გადაგზავნის იმპორტიორის ბანკში. 3. იმპორტიორის ბანკი მათ

გადასცემს იმპორტიორს; 4. იმპორტიორის ბანკი იმპორ-ტიორისაგან ვალუტის მიღების შემდეგ გადაგზავნის მას ექსპორტიორის ბანკის ანგარიშზე, ეს უკანასკნელი კი ამ თანხას ჩარიცხავს ექსპორტიორის ანგარიშზე, საინკასო ოპერაციების ჩატარებისათვის ბანკი იღებს საკომისიოს.

**ინკასო** – (ინგ.collection of paymant, ფრანგ. Encaissement, გერმ.icasso) ეწოდება მრწმუნებლის დავალებათა და დოკუმენტების (თამასუქის, ჩეკისა და ა.შ.) წარდგენით ფულის მიღებას.

**ინკასო** – ისეთი საბანკო ოპერაციაა, რომლის მეშვეობითაც ბანკი თავისი კლიენტის დავალებით იღებს მის კუთვნილ ფულად სახსრებს სხვა საწარმოებიდან და ორგანიზა-ციებიდან საანგარიშსწორებო, სასაქონლო და ფულადი დოკუმენტების საფუძველზე.

**ინკოტერმსი** – წარმოადგენს გარე ვაჭრობის საერთაშორისო წესებს, რომლის მიზანია შესაძლებელ მინიმუმამდე იქნას შემცირებული უთანხმოება ვაჭრობის მონაწილე მხარეებს შორის. სავაჭრო ტერმინების სხვადასხვაგვარი გაგების გამო. ამჟამად არსებობს „ინკოტერმს-2000'' - ის წესები.

**ინოვატორები** – წარმატებულები, განვითარებულები, აქტიუ-რები. არ ეშინიათ პასუხისმგებლობის, გააჩნიათ თვითშე-ფასების მაღალი დონე; ისინი მოითხოვენ მაღალი დონის ხარისხის და ძვირფას საქონელს კონკრეტული სამომხ-მარებლო ჯგუფებისათვის.

**ინოვაცია** – (inovation) ახალი ტექნოლოგიების, შრომის ორგანი-ზაციისა და მართვის პროგრესული ფორმების დანერგვა წარმოებაში; პროდუქციის ახალ სახეობათა ათვისება. ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება სიტყვა „გამოგონების" სინონიმად და დაკავშირებულია წარმოებრივი პროცესე-ბის ტექნოლოგიურ სრულყოფასთან, თუმცა ინოვაცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გამოგონება. იგი გამოგო-ნების კომერციულ გამოყენებას გულისხმობს.

ინოვაცია არ არის ერთჯერადი აქტი, არამედ იგი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში განვითარების უწყვეტი

პროცესია. ამით აიხსნება ეგმ-ების, რობოტების, კომპიუ-ტერების, მობილური ტელეფონებისა და ა.შ. რამდენიმე თაობის არსებობა. „ინოვაცია“ პირველად მეცნიერული ბრუნვაში შემოიტანა იოზეფ შუმპეტერმა, ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია“ (1911) პირველმა გააშუქა ინოვაციური პროცესები და მათი როლი მოგების გადიდებაში.

**ინოვაცია** – (სიახლე) შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი, რომელიც მიმართულია ახალი სახეობის ნაწარმის, მომსა-ხურების, ტექნოლოგიის შემუშავებაზე, შექმნასა და გავრ-ცელებაზე, ახალი ორგანიზაციული ფორმების დანერგ-ვაზე და ა.შ.

**ინოვაცია** – ბაზარზე რეალიზებული ახალი საბანკო პროდუქ-ტები და ტექნოლოგიები. ინოვაცია (ინგ. Inovation - სიახლე, ნოვატორობა, ახალი შემოღებული) ნიშნავს „ნოვაციაში ინვესტიციას“.

**ინოვაცია** – ლათ. განახლება. სიახლის დანერგვა წარმოების პროცესში.

**ინოვაცია** – შრომის ორგანიზაციისა და მართვის ახალი ფორმების დანერგვა, ბანკებში – ბაზარზე რეალიზებული ახალი საბანკო პროდუქტები და ტექნოლოგიები.

**ინოვაცია საქონლის** – პროდუქტის უწყვეტი სრულყოფის პროცესი, რომელიც დაკავშირებულია ორიგინალური, გაუმჯობესებული ან მოდიფიცირებული პროდუქტების შექმნასთან; საქონლის სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლი–ვობისა და საწარმოს რენტაბელობის უზრუნველყოფის ღონისძიებებში ასრულებს მთავარ როლს; მოიცავს პრო-დუქტის დივერსიფიკაციისა და დიფერენცირების საშუალებებს.

**ინოვაციის დიფუზია** – (ლათ.Diffusio - გავრცელება) უკვე ერთხელ ათვისებული ინოვაციის გავრცელებაა.

**ინოვაციის სტრატეგია** – გამიზნულია ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქციის ახალი სახეების დანერგვაზე და ითვალისწინებს ტექნიკური პოლიტიკისა და კაპიტალდა-

ბანდებათა პოლიტიკის გაერთიანებას. ამ სტრატეგიით ხდება კვლევის ობიექტების შერჩევა კომპანიის ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოვლენისა და ხელშეწყობის მიზნით.

**ინოვაციური ბანკი** – (innovation bank) კომერციული ბანკი სპეციალიზებულია ინოვაციური პროექტების ე.ი. სხვადასხვა მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლის (დაწყებული საცდელი ნიმუშების დაპროექტებიდან და შექმნიდან, დამთავრებული მათი მასობრივი დანერგვით) დაფინანსებასა და დაკრედიტებაზე, რომელთა ვადები, წესები და პირობები დგინდება დასაფინანსებელი სამუშაოების მასშტაბის, სტადიებისა და ხასიათის მიხედვით. გამოიყენება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი დაკრედიტება. შესაძლებელია ინვესტიციური დაფინანსებაც იმ კომპანიების აქციების შეძენის გზით, რომლებიც ამუშავებენ და ნერგავენ რაიმე მეცნიერულ-ტექნოლოგიურ იდეას, აგრეთვე დაკავებული არიან ობლიგაციების ხანგრძლივი ვადით გავრცელებით, დასაფინანსებელ პროექტის განხორციელებით დაინტერესებულ პირებს შორის.

ინოვაციური ბანკი სხვა ბანკებისაგან გამოირჩევა შემდეგი თვისებებით: საკრედიტო დაბანდების უკან დაბრუნების მაღალი რისკით; არსებითი განსხვავებით არა მხოლოდ ვადებში, არამედ სესხების მოცულობაში; მეანაბრის სახსრების დაცვის უზრუნველყოფისათვის დამატებითი გარანტიების აუცილებლობით. ეკონომიკის სტაბილიზაცია, კერძო სექტორში ინვესტიციური აქტიურობის ამაღლება, პრივატიზაციისა და მეწარმეობის განვითარება განაპირობებს ინოვაციური მიზნებისათვის კრედიტზე მოთხოვნის გაზრდას. თავის მხრივ, ეს პროცესი სტიმულს აძლევს ძირითადი კაპიტალის განახლებას და ხელს უწყობს მსოფლიო დონესთან შედარებით ტექნოლოგიებში არსებული ჩამორჩენის დაძლევას.

**ინოვაციური ბანკი** – კომერციული ბანკი სპეციალიზებულია ინოვაციური პროექტების ე.ი. სხვადასხვა მეცნიერულ-

ტექნოლოგიური სიახლის დაფინანსებასა და დაკრედიტებაზე, რომელთა ვადები, წესები და პირობები დგინდება დასაფინანსებელი სამუშაოების მასშტაბის, სტადიებისა და ხასიათის მიხედვით.

**ინოვაციური ეკონომიკა** – (inovation economy) ახალი ტიპის ცივილიზაცია, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა. ემყარება ეკონომიკური განვითარების ახალ პარადიგმას, სადაც ინტელექტუალური კაპიტალი და ინფორმაცია წარმოების განმსაზღვრელი ფაქტორებია. ინოვაციური ეკონომიკა გულისხმობს წარმოებაში თვისობრივად ახალი ტექნოლოგიების (საწარმოების კომპიუტერიზაცია, რობოტული და ლაზერული ტექნიკა, ბიოტექნოლოგია, ნანოტექნოლოგია, მიკრო პროცესული ტექნოლოგია და ა.შ.) დანერგვას უკიდეგანო ინფორმაციის ველში და უზრუნველყოფს მათ მუდმივ არსებობას.

**ინოვაციური ორგანიზაცია** – მისი ორგანიზაციული სტრუქტურა ხასიათდება ფორმალიზაციის დაბალი დონით და მაღალი პროფესიონალური საქმინობის ჰორიზონტალური სპეციალიზაციის მაღალი დონით.

**ინოვაციური საქმიანობა** – ახალი სახის პროდუქციის, ტექნოლოგიების ორგანიზაციული ფორმების შექმნის, წარმოების განვითარებისა და ხარისხობრივი უზრულყოფისკენ მიმართული პროცესი. მას ახასიათებს მეცნიერების, წარმოებისა და კაპიტალის ინტეგრაციის ახალი ფორმები.

**ინსაიდერი** – 1. ნებისმიერი პირი, რომელიც დაკავშრებულია, ფირმის საქმიანობის კონფიდენციალურ ინფორმაციაზე თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობისა და ნათესაური კავშირების წყალობით. 2. ბანკთან დაკავშირებული პირი – ბანკის ადმინისტრაციული მუშაკი და აქციონერი (პარტნიორი), მასთან ცოლქმრული, ახლონათესაური კავშირის მქონე ან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირი.

**ინსაიდერი** – ბანკის ადმინისტრატორი ან აქციონერი, მათთან ახლონათესაური კავშირის მქონე ან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირი.

**ინსპექტორები** – დაბალი რგოლის ხელმძღვანელები, რომლებიც უშუალოდ აკონტროლებენ რიგითი შემსრულებლების საქმიანობას.

**ინსპექტორ მენეჯერები** – ფირმის ძირეული რგოლის ხელმძღვანელები.

**ინსტიტუციონალიზმი** – (institutional) მიმდინარეობა ეკონომიკურ თეორიაში, რომლის წარმომადგენლები განსაკუთრებულ მნიშნელობას ანიჭებენ ინსტიტუტების როლს ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაში. ინსტიტუციონალიზმი წარმოიშვა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში და აისახა ამერიკელი ეკონომისტების თ. ვებლენის, ჯ. კომონსის, ე.მიტჩელისა და სხვათა ნაშრომებში.

ინსტიტუციონალისტები აკრიტიკებდნენ საბაზრო ეკონომიკის ავტომატურად რეგულირების კონცეფციას. მათ უკან პლანზე გადასწიეს ეკონომიკურ ურთიერთობათა სუბიექტების კერძო ინტერესების კვლევა და უპირატესობას ადამიანთა ქცევაში საზოგადოებრივ მოტივებს ანიჭებდნენ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ინსტიტუციონალიზმი გავრცელდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებამ შეასრულა.

**ინსტიტუციური ინვესტორები** – ისეთი ფინანსური ინსტიტუტებია, როგორიცაა საპენსიო ფონდები და სადაზღვევო კომპანიები (რაკი დროებით აქვთ მნიშვნელოვანი ოდენობის თავისუფალი სახსრები, ისინი მეტად აქტიურად ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს), აგრეთვე საინვესტიციო ფონდები, განსაკუთრებით ერთერთ საზიარო (ერთობლივი) ფონდები.

**ინსტიტუციური მიბმის კონცეფცია** – (institutional binding principle) ამ კონცეფციას თანამედროვე პირობებში ეყრდნობა ქვეყნის ინსტიტუციური განვითრება, როგორც დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების გამოხატულება. იგი აქცენტს სტაბილური და

ქმედითი ინსტიტუტების მოდელზე აკეთებს. ამ პროცესის ორიენტირად საქართველომ ევროკავშირის კანონმდებობა აირჩია, რაც 1996 წელს დაფიქსირდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებაში და საბოლოოდ დადასტურდა 2004 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან საქართველოს მიერთებით. 1997 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც „საქართველოს პალამენტის მიერ 1998 წლის პირველი სექტემბრიდან მიღებული ყველა კანონი და ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დაწესებულ სტანდარტებსა და წესებს“. ამ დადგენილების ამოქმედება შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს საკანონმდებლო სისტემის ევროკავშირის საკანონმდებლო სისტემასთან დაახლოების მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად.

დღეს საქართველოში ინსტიტუციური განვითარების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის პროცესი ახლოსაა შენკრონის კონვერგენციის თეორიასთან. ევროკავშირი ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ნაკრებია მსოფლიოში, რომელსაც მაღალი ეკონომიკური და სოციალური მწარმოებლურობა ახასიათებს.

ინსტიტუციური განვითარება, როგორც ეკონომიკური ქცევის წესებისა და ნორმების ერთობლიობა ურთულესი პროცესია, რომელსაც ისეთი სპეციალური საკომუნიკაციო არხების მობილიზება სჭირდება, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებია. ახალი ინსტიტუტები უზრუნველყოფენ საბაზრო ურთიერთობებისა და ბიზნესის განვითარებისათვის ჯანსაღი სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს შექმნას, გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციების აღმოფხვრას.

**ინსტრუქტაჟი** – გამოცდილი თანამშრომლის მიერ მუშაობის ილეთების განმარტება და დემონსტრირება.

**ინტეგრაცია** –სამეურნეო ცხოვრების უფრო მაღალი საფეხურია, რომლის შედეგადაც ადგილი აქვს წარმოების ინტერნა-

ციონალიზაციას, ღრმა სამეურნეო ურთიერთკავშირების დამყარებას რეგიონის მასშტაბით.

**ინტეგრაცია** – ორგანიზაციის მიზნების მიღწევისათვის სხვადასხვა ქვესისტემების (ქვედანაყოფების) ძალისხმების გაერთიანების პროცესი.

**ინტეგრაცია** – შევსებული ერთი მთლიანად გაერთიანებული, აღდგენილი. ჩვეულებრივ იხმარება, როდესაც რაიმე ნაწილებიდან ერთი მთელის შევსება ხდება. მაგალითად, ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაცია, ამ ქვეყნებში ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება, შეკავშირება.

**ინტეგრაციის პრინციპის მოთხოვნაა** – თანამშრომლობისათვის დამახასიათებელი იყოს ქცევითი ურთიერთობებისა და შეხედულებების ერთიანობა, რაც ორგანიზაციის გარეთ აუცილებელი არ არის.

**ინტეგრაციული გაერთიანება** – სამეურნეო დაჯგუფება, რომელიც შექმნილია მონაწილე ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესების რეგულირებისათვის.

**ინტეგრაციული ზრდა** – ხშირად ფირმაში მდგომარეობა იცვლება უკუინტეგრაციის (მიმწოდებელი ფირმების შეძენა), პროგრესული ინტეგრაციის (დისტრიბუტორების შთანთქმა) ან ჰორიზონტალური ინტეგრაციის (კონკურენტული შეძენა). თუ ეს რესურსები ვერ უზრუნველყოფენ გასაღების მოცულობის სასურველ გადიდებას, ფირმის ხელმძღვანელობას შეუძლია განიხილოს საქმიანობის დივერსიფიკაციის შესაძლებლობა.

**ინტეგრაციული ზრდის შესაძლებლობები** – ფირმის საქმიანობის ზრდის შესაძლებლობა დარგის მარკეტინგული სისტემის სხვა ელემენტებთან ინტეგრაციის ხარჯზე.

**ინტეგრაციული თვისება** – ლოგისტიკურ სისტემას ეძლევა შესაძლებლობა, შეისყიდოს საქონელი, აამოქმედოს თავისი საწარმოო სიმძლავრე გამოეყოს გარემომცველი გარემოს და ამით მიაღწიოს წინასწარ დასახულ მიზანს.

**ინტეგრაციულობა** – განსაზღვრული კავშირის მქონე ელემენტარული ერთიანობა. ხასიათდება განსაკუთრებული სის-

ტემური თვისებებით, რომლებიც არაა დამახასიათებელი არც ერთი ელემენტისათვის და საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას სინერგიული ეფექტი.

**ინტეგრირებული მარკეტინგის სისტემა** – ყალიბდება მაშინ, როდესაც ფირმის ყველა განყოფილება ემსახურება მომხმარებელთა ინტერესებს. ამასთან მნიშნელოვანია ის, რომ მარკეტინგის ფუნქციებში ურთიერთდაკავშირებულია, ხოლო მათი შესრულება კოორდინირებულია მომხმარებელთ ინტერესების თვალსაზრისით.

**ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები** – ერთადერთი კომუნიკაციური ინსტრუმენტიდან (მაგალითად რეკლამა) ხდება გადასვლა ერთდროულად რამდენიმე სავაჭრო მარკის მყარ იმიჯზე მომხმარებლამდე დასაყვანად თითოეული კონტრაქტის დროს.

**ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები** – ესაა მარკეტინგული კომუნიკაციების დაგეგმვის კონცეფცია, რომელიც აღიარებს კომპლექსური მიდგომის ფასეულობის მაღალ დონეს.

**ინტელექტუალური საკუთრება** – (intellectual property) სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო-სამართლებრივი ურთიერთობა ინტელექტუალური შრომის პროდუქტების მფლობელობას, განკარგვასა და გამოყენებაში. ინტელექტუალური საკუთრების საფუძველს შეადგენს ცოდნა, ინტელექტი, გამოცდილება და ა.შ. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებია: დაპატენტებული ცოდნა არატრივიალური იდეა, ტექნიკური სიახლე, მენეჯერის ნოვატორული გადაწყვეტილება და სხვ. ინტელექტუალური საკუთრების ეკონომიკური რეალიზაციის ფორმებია: კაპიტალი, მოგება, შემოსავალი, პროცენტი და რენტა.

**ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია** – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის სპეციალიზებული დაწესებულება, რომელიც იცავს უფლებებს გამოგონებებზე, სასაქონლო ნიშნებზე, სამრეწველო ნიმუშებზე, მოდელებზე და ა.შ.

**ინტელექტუალური ძალების გადინება** – („ტვინების გადინება“) სმეცნიერო-ტექნიკური და სხვა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მუდმივად (როგორც წესი, მოქალაქეობის შეცვლით) ან დროებით (ხანგრძლივი ვადით კონტრაქტით სამუშაოდ მიგრაცია.

**ინტელექტუალური-საინფორმაციო პროდუქტის ბაზარი** – მასზე ბანკები შეიძლება მოქმედებდნენ, როგორც საბანკო მომსახურების გამყიდველები (საბანკო კონსულტირება), ისე საწარმოო რესურსები მყიდველები (პროგრამული უზრუნველყოფა ეგმ-თვის).

**ინტელექტუალურობა** – ინტელექტი - ფსიქიკური პროცესის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უნარის რეალიზაციას შეაფასოს სიტუაცია, მიიღოს გადაწყვეტილება და ამის შესაბამისად მოახდინოს ქცევის რეგულირება. ინტელექტი განსაკუთრებით საჭიროა არასტანდარტულ სიტუაციებში, როგორც ადამიანზე ახლის სწავლების სიმბოლო.

**ინტენსიური განაწილება** – საქონლის მარაგების არსებობის უზრუნველყოფა შეძლებისამებრ უფრო მეტ საწარმოებში.

**ინტენსიური ზრდა** – ფირმის ინტენსიური ზრდის ახალი შესაძლებლობის განსაზღვრის ქმედითი სქემა: მატრიცა პროდუქტის ბაზრის გაფართოება. ფირმის ხელმძღვანელობა ღებულობს გადაწყვეტილებას, შესწევს თუ არა მას უნარი გააფართოვოს ბაზრის მიზნობრივი სეგმენტი (ბაზარზე შეღწევის სტრატეგია). შემდეგ განიხილება საკითხი გამოსაშვები პროდუქციის ახალი ბაზრების ფორმირების ან ძიების შესახებ (ბაზრის ფორმირების სტრატეგია) და ბოლოს მენეჯერები აფასებენ ახალი პოტენციალურად საინტერესო პროდუქციის დამუშავების შესაძლებლობას არსებული ბაზრებისათვის ახალი პროდუქციის დამუშავებისა და გამოშვების შესაძლებლობა (დივერსიფიკაციის სტრატეგია).

**ინტენსიური ზრდის შესაძლებლობები** – ზრდის შესაძლებ-

ლობები ფირმის საქმიანობის ამაჟამანდელი მასშტაბის ფარგლებში.

**ინტერვენცია** – ერთი სუბიექტის ეკონომიკური ზემოქმედება სხვა სუბიექტის საქმეებსა და მოქმედებაზე, რომელიც ტარდება ამ მოქმედების სფეროში შეღწევით, მასში საკუთარი ფულადი სახსრების დაბანდებითა და განლაგებით, ჩვეულებრივ ინტერვეციული ოპერაციები ტარდება ცენტრალური ბანკების, ხაზინების მიერ ვალუტის, ფასიანი ქაღალდების მასობრივი გაყიდვის ან ყიდვის, ფინანსური სისტემის მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით კრედიტის გაცემის გზით.

**ინტერმოდალური გადაზიდვები ზღვაზე** – გადაზიდვები გადატვირთების სხვადასხვა სახის ტრანსპორტს შორის ევროპული ტექნოლოგიის ანალოგიურია, ასეთი სახის გადაზიდვებს ცოტა ხნის წინათ უწოდებდნენ მულტიმოდალურ გადაზიდვებს ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტაციის თანახმად.

**ინტერმოდალური სატრანსპორტო ერთეული** – კონტეინერი, მოსახსნელი ძრავები და ნახევრად მისაბმელები, რომლებიც ვარგისია ინტერმოდალური გადაზიდვების განხორციელებისათვის.

**ინტერმოდალური სისტემები** – სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სისტემები, რომელთა საფუძველია ერთიან ტექნოლოგიურ და კომერციულ ორგანიზაციულ საფუძველზე გამსხვილებულ სატვირთო ერთეულებში (ადგილებში) სხვადასხვა სახის ტრანსპორტით ტვირთების ჩქაროსნული, ინტეგრირებული გადაზიდვები. ინტერმოდალურ სისტემებში გადაზიდვები გულისხმობს შერეული გადაზიდვების ოპერატორის, ერთიანი გამჭოლი ტარიფის, ერთიანი დოკუმენტის არსებობას, რომელიც ასრულებს გადაზიდვის ხელშეკრულების ფუნქციას.

**ინტერნაციონალიზაცია** – გულისხმობს სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ყველა სახელმწიფოსათვის თანაბარი უფლების მინიჭებას.

**ინტერნეტ ბანკინგი** – არის საბანკო მომსახურების გაწევა ინტერნეტის ქსელის მეშვეობით, როდესაც კვირის ნებისმიერ დღეს და დღე-ღამის ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია მასში ჩართვა იმ ნებისმიერი ადგილიდან, სადაც კი ინტერნეტი ხელმისაწვდომია. ინტერნეტ ბანკინგს მთელი რიგი უპირატესობა აქვს: 1. დროის ეკონომია; 2. ანგარიშების სადღეღამისო კონტროლი; 3. ნებისმიერი გადახდის გატარება შეუფერხებლად და მათი განხორციელება ანგარიშის მფლობელის პირადი მონაწილეობის გარეშე.

**ინტერნეტ ბანკინგის ძირითადი პრობლემებია:** 1. მომსახურების გაწევის არასაკმარისობა; 2. ბაზრის პერსონალური სეგმენტის ცუდად განვითარება. მაგალითად, რუსეთის ბანკი ამჯობინებს კორპორაციულ კლიენტებს, ე.ი. იმ იურიდიულ პირებს, რომელთაც ფულის მასის დიდი ბრუნვა აქვთ და მეტად უმნიშვნელო ყურადღებას უთმობენ ცალკეულ მოქალაქეებს. ამ გარემოებას ის განაპირობებს, რომ წვრილი კლიენტების უმნიშვნელო ფინანსურ ოპერაციებს მომეტებული ყურადღება და დიდი საოპერაციო ძალისხმევა სჭირდება; 3. უსაფრთხოება და ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერასთან დაკავშირებული პრობლემები.

**ინტერნეტ-ბანკინგი** – ანგარიშების მართვა ინტერნეტის ქსელის მეშვეობით. იგი ბანკს საშალებას აძლევს განახორციელოს, ხოლო კლიენტს მიიღოს საბანკო მომსახურების მაქსიმალური სპექტრი; შესაძლებელს ხდის ანგარიშის მდგომარეობასა და ოპერაციებზე თვალყურის დევნებას დროის ნებისმიერ მონაკვეთში. ოპერაციები ხორციელდება ფიჭური და პეიჯერული კავშირის ოპერატორების მეშვეობით.

**ინტერნეტ-ბანკინგი** – კლიენტებისათვის სხვადასხვა საბანკო მომსახურების გაწევაა ინტერნეტის ქსელის საშუალებით სპეციალური პროგრამული აპარატის სისტემის დახმარებით. ფართო გაგებით ინტერნეტ ბანკინგის ქვეშ იგულისხმება სხვადასხვა სისტემები დაწყებული ჩვეულებრივი

ბანკის გვერდით ინტერნეტში და დამთავრებული რთული ვირტუალური საგადასახადო სისტემებით.

**ინტერნეტი** – 1. საქმიანი ურთიერთობების საშუალება; 2. ბაზრის სუბიექტების კომუნიკაციური ურთიერთმოქმედების კომპიუტერული საინფორმაციო ჰიპერგარემო; 3. ინტერაქტიური ქსელური პროცედურების განხორციელების გლობალური კომპიუტერული ქსელი, მრავალდონიანი კომუნიკაციური მოდელი დიალოგური საინფორმაციო მულტისაშუალებების გამოყენებით; 4. საქონლის და მომსახურების ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის საბაზრო გარემო, ელექტრონული სფერო (მსოფლიო აბლაბუდა) გარემოში მულტი მედიის რესურსების (ვიდეო, აუდიო, გრაფა და ა.შ.) გამოყენებით.

**ინტერნეტი** – აერთიანებს მომხმარებლებს (ვინც ქსელით სარგებლობს) „მსოფლიო ინფორმაციის საცავთან“.

**ინტერნეტ-ტრეიდინგი** ელექტრონული ბიზნესის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელსაც ასრულებენ არამარტო ბანკები, არამედ ფინანსური კომპანიები, ბირჟები და ა.შ.

**ინტერნეტ-ტრენინგი** – ინტერნეტ ტრენინგი სწრაფად ანაცვლებს სხვა სახის ტრენინგებს. ინტერნეტ სწავლება მიიჩნევა უფრო ეფექტურად, რადგან მისი საშუალებით სწავლება ხდება უფრო სწრაფი, ვიდრე გაკვეთილების გამოყენების შემთხვევაში.

**ინტრანეტი** – არის ქსელი, რომელიც აერთიანებს ადამიანებს ერთი ფირმის შიგნით ერთმანეთთან და მთავარ კომპიუტერთან.

**ინტუიციური მეთოდი შეისწავლის** – შემოწმების და შეცდომის მეთოდს, რომელიც ახდენს საწარმოო დანახარჯების გათვლას ყველაზე ეკონომიკური მეთოდებით ესაა გრაფიკული და მათემატიკური მეთოდი.

**ინფლაცია** – (inflation) [ლათ. Inflation - გაბერვა] მიმოქცევის არხებში ჭარბი ქაღალდის ფულისა და დაუხურდავებელი ბანკნოტების დაგროვება, რაც იწვევს მათ გაუფასურებასა (მსყიდველობითი უნარის დაცემას) და ფასების საერთო

დონის ზრდას. ამ პროცესს თან ახლავს უცხოური ვალურტის კურსის ზრდა და იმ ქვეყნების ვალუტის კურსის დაცემა, სადაც ინფლაციაა.

ინფლაციის ძირითადი განმაპირობებული ფაქტორებია: 1. დისპროპორციის წარმოშობა ფულად და საქონლურ მასას შორის; 2. მოხმარების საგნების წარმოების ჩამორჩენა მოსახლეობის მოთხოვნასთან შედარებით. მოთხოვნა წინ უსწრებს მიწოდებას, მაშინ წარმოიქმნება ფულადი სახსრების სიჭარბე, საქონლის დეფიციტი, რაც ხელს უწყობს ფასების ზრდას; 3. ბაზარზე ისეთი საქონლის მიწოდება, რომელზეც მოთხოვნა არ არის. ეს გარემოება ფარულად განაპირობებს ფულის გაუფასურებას.

ინფლაციის დინამიკაზე დიდ გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოლოდინი, საინვესტიციო ნაკადები, შრომის მწარმოებლურობის ცვლილება, ეკონომიკის მონეტიზაციის დონე, გაცვლითი კურსის მოსალოდნელი დინამიკა, მშპ-ის ზრდის ტემპი და ა.შ. თავის მხრივ ამ ფაქტორებზე გარკვეულ ზემოქმედებას ახორციელებს ცენტრალური ბანკი თავისი მონეტარული ინსტრუმენტებით. ამ მიზნით იგი იყენებს ისეთ არაპირდაპირ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ბანკთშორისი კრედიტის განაკვეთი, სავალდებულო რეზერვების ნორმა, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებათა ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები და ისეთ პირდაპირ (ადმინისტრაციული) ინსტრუმენტებს, როგორიცაა მიზნობრივი დაკრედიტება, „საკრედიტო ჭერი“, სარგებლის განაკვეთის დონისადმი პირდაპირი კონტროლი და ა.შ.

ინფლაციური პროცესების დაჩქარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სავალუტო, ენერგეტიკული და სანედლეულო კრიზისები, სასურსათო პრობლემის მკვეთრად გამწვავება და ა.შ.

არსებობს **ზომიერად ჭენებადი (ჰალოპირებული) და ჰიპერინფლაცია. ზომიერია ინფლაცია,** როდესაც

გაუფასურება შედარებით შეუმჩნევლად მიმდინარეობს. ამ დროს ფასების ზრდის ტემპი დაბალია - წელიწადში 10%-ზე ნაკლები. **ჭენებითი ინფლაცია,** როცა ქაღალდის ფული სწრაფად უფასურდება. ამ დროს ფასები ქაოსურია და იზრდება წელიწადში 200%-მდე. წარმოება დეზორგანიზებულია. ყველა ცდილობს, მოიმარაგოს საქონელი და თავიდან მოიშოროს უვარგისი ქაღალდის ფული. ამის გამო იწყება ფულის დაჩქარებული მატერიალიზაცია საქონელში. **ჰიპერინფლაცია** – ინფლაციის ძალზე მაღალი დონეა. მისი ზრდის ტემპი 200%-ზე მეტია, ზოჯერ კი წელიწადში რამდენიმე ასეულ პროცენტსაც აღწევს. ჰიპერინფლაციის დროს მიმოქცევაში გაშვებული ფულის რაოდენობა და ფასები ასტრონომიული ტემპებით იზრდება, ფასები და ხელფასი კატასტროფულად სცილდება ერთმანეთს. ასეთ პირობებში ცხოვრების დონის დაცემას ყველაზე უზრუნველყოფილი ფენებიც კი გრძნობენ. ჰიპერინფლაცია ძალიან იშვიათია, რაც არ შეიძლება ითქვას ჭენებადი ინფლაციის შესახებ. ეს უკანასკნელი არსებობს განვითარებულ ქვეყნებშიც კი, თუმცა მათთვის მეტწილად დამახასიათებელია ზომიერი ინფლაცია.

ზომიერ ინფლაციას მძიმე ეკონომიკური შედეგები არ მოსდევს, მაშინ როდესაც ჭენებითი, განსაკუთრებით ჰიპერინფლაცია მთელი ეროვნული მეურნეობის ქაოსს იწვევს, უკიდურესად ამწვავებს საზოგადოებაში წინააღმდეგობებს, აფერხებს კვლავწარმოების პროცესს, უარყოფით გავლენას ახდენს როგორც წარმოების საერთო მოცულობაზე (მაკროეკონომიკური ეფექტი). განსაკუთრებით მძიმეა ინფლაციის სოციალური შედეგები. ამ დროს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების დონე მკვეთრად ეცემა, მატულობს შემოსავლების უსამართლო განაწილება, რაც აქტიურებს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას. საქართველოში ჰიპერინფლაცია იყო 1993-1994 წლებში, როცა თვიური ინფლაცია 50-70%-ს და მეტს შეადგენდა.

**ინფლაციის დონე** – (rate of inflation) ფასების დონის ზრდის პროცენტული ცვლილება საბაზისო პერიოდთან შედარებით.

**ინფლაციის ნორმა** – (inflation rate) გამოხატავს დროის განსაზღვრულ პერიოდში ფასების საერთო დონის მატების ტემპს. ინფლაციის ნორმა უდრის ნორმალური ფულადი მასის მატების ტემპს მინუს ფულზე რეალური მოთხოვნის მატების ტემპი (იხ. ინფლაციის დონე).

**ინფლაციური გადასახადი** – (inflation tax) მომხმარებლის მიერ ფარული ფორმით გადახდილი გადასახადი ისეთ ეკონომიკურ სიტუაციაში, როდესაც სახელმწიფო ინფლაციის გამომწვევ პოლიტიკას ატარებს. მიმოქცევაში უშვებს ფულის დამატებით ოდენობას, რის საფუძველზეც არაპირდაპირი გზით მოსახლეობაში კრეფს მათი შემოსავლის გარკვეულ ნაწილს. ასეთ ხერხს მთავრობა იმ მიზნით მიმართავს, რომ მოსახლეობის ნდობა არ დაკარგოს, ვინაიდან ინფლაციური გადასახადი ნაკლებად საგრძნობია, ვიდრე პირდაპირ გაზრდილი საგადასახადო განაკვეთი. ხარჯების გადიდებისა და მათი დაფარვისათვის სახელმწიფომ შეიძლება გაზარდოს საგადასახადო განაკვეთები ან დამატებითი ფულადი ემისია განახორციელოს. ემისიის შედეგად ფულის მსყიდველობითუნარიანობა ქვეითდება, რაც არსებითად საგადასახადო განაკვეთის გადიდების ტოლფასია.

**ინფლაციური ეკონომიკა** – (inflationary economy) ეკონომიკას ეწოდება ინფლაციური, თუკი ადგილი აქვს ფასების საერთო დონის პერმამენტულ ზრდას. ამასთან თუ ფასების ზრდა გამოწვეულია ძირითადი მაკროეკონომიკური თანაფარდობების (ერთობლივი მოთხოვნა - ერთობლივი მიწოდება, დაგროვება-მოხმარება და ა.შ.) დისპროპორციით, მაშინ ინფლაციას აქვს თვითგამაძლიერებელი ხასიათი.

**ინფლაციური მოლოდინი** – (inflationaty expectations) ეკონომიკური სუბიექტების მიერ ინფლაციის შესაძლო ტემპების შეფასება მომავალი დროისათვის. ინფლაციური მოლო-

დინი გარკვეულწილად ფირმების, წარმოების მუშაკების, მთლიანად მოსახლეობის ქცევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. მაღალი ინფლაციური მოლოდინი აჩქარებს ინფლაციურ პროცესს, დაბალი კი ანელებს ინფლაციურ ტემპებს. თუ მაგალითად, მუშები შემდეგი წლისათვის (ან თავისთვის) ფასების მომატებას ელიან, ისინი ზეწოლას ახდენენ მეწარმეებზე და მოითხოვენ ხელფასის მომატებას ისე, რომ იგი არ ჩამორჩებოდეს თუნდაც ინფლაციის ტემპებს. თუ მეწარმეები ფასების ზრდის ტენდენციის შენარჩუნებას ელიან, ისინი ცდილობენ მოუმატონ ფასები წარმოებულ პროდუქციას ისე, რომ უზრუნველყონ ინფლაციასთან შედარებით მოგების წინგამსწრები ტემპით ზრდა და არ ეწინააღმდეგებიან ხელფასის გადიდებას იმ იმედით, რომ მის კომპენსაციას ფასების მატებით მოახდენენ.

ეკონომიკურ თეორიაში განასხვავებენ ინფლაციური მოლოდინის სამ ეტაპს: **ექსტრაპოლაციურს, ადაპტურს და ნაციონალურს. ექსტრაპოლაციურ-ინფლაციურ მოლოდინთან** – საქმე გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სუბიექტები ვარაუდობენ, რომ ინფლაციის ტემპები მომავალში ადრინდელის ტოლი იქნება. **ადაპტაციური ინფლაციური მოლოდინი** - ნიშნავს, იმას, რომ ეკონომიკური სუბიექტები პერსპექტივაში ინფლაციის შეფასებისას ახდენენ წინა პერიოდის ინფლაციის ტემპების კორექტირებას და აანალიზებენ დაშვებულ შეცდომებს. მაგალითად, ეკონომიკური სუბიექტი, თუ მაისში ინფლაციის შეფასებისას შეცდა და ვერ შეაფასა იგი 5 პროცენტული პუნქტით, ივნისში ინფლაციის მასის ფაქტობრივ ტემპებს გამოიყენებს. თუ ინფლაცია ვთქვათ 25%-ს შეადგენს, ეკონომიკური სუბიექტი მის კორექტირებას მოახდენს დაშვებული შეცდომის საფუძველზე, ე.ი. 25%-ს დაუმატებს 5%-ს. ამრიგად, ინფლაციური მოლოდინი ივნისში 30% იქნება. **რეგიონალური ინფლაციურ მოლოდინს** ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც

ეკონომიკური სუბიექტები მათთვის ხელმისაწვდომი ინფლაციის საფუძველზე ზუსტად განსაზღვრავენ ინფლაციის ტემპებს მომავალი პერიოდისათვის და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებენ.

ინფლაციური მოლოდინის პირველი ორი ტიპი რეალური ხასიათისაა, მესამე კი გარკვეულწილად თეორიული აბსტრაქციაა.

**ინფორმატორი** – ასეთი პიროვნება პრობლემაზე ფლობს ფართო ინფორმაციას და შეუძლია იგი გამოიყენოს კოლექტივის ამოცანების გადასაწყვეტად.

**ინფორმაცია** – 1. ცნობა, შეტყობინება საქმის მდგომარეობის შესახებ, ცნობა რაიმეზე; 2. ყველა ცნობა, მონაცემი, ცოდნა, რომლებიც გამოიყენება ბიზნესის, მარკეტინგული ან სხვა საქმიანობის ამოცანების გადასაწყვეტად.

**ინფორმაცია** – ნებისმიერი შეტყობინება რაიმეს შესახებ, რომელიც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საბაზრო ეკონომიკის დროს.

**ინფორმაცია** – სულ უფრო იზრდება ინფორმაციის მნიშვნელობა ეკონომიკასა და ბიზნესში. ინფორმაციის მიმწოდებლები შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები (პირველ რიგში მარკეტინგის ინსტიტუტები), უნივერსიტეტები; ენციკლოპედიების, სამეცნიერო და სპეციალური ლიტერატურისა და ჟურნალების გამომცემლებები; კომპაქტ-დისკების ჩაწერის სტუდიები; „ვებ-საიტების“ ინიციატორები ინტერნეტში.

**ინფორმაცია** – ქვესისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს ლოგისტიკურ სისტემის ელემენტებს შორის, ხელს უწყობს ლოგისტიკური ოპერაციების ეფექტიან მუშაობას და მრავალი სხვა საკითხის გადაწყვეტას.

**ინფორმაცია** – ღიაობა, ან დახურულობა, ინფორმაციის ღიაობის დონე, ინფორმაციის გამოყენების არხები - სპეციალური, პროფესიული ან მასობრივი;

**ინფორმაცია კონკურენტებისაგან** – რიგ დარგებში მჭიდრო კავშირების არსებობის გამო კონკურენტი მომწოდებლები

ხშირად ერთმანეთს უცვლიან საკრედიტო ინფორმაციას სავარაუდო კლიენტების შესახებ.

**ინფორმაციის ალტერნატიული საშუალებები** – კომპანიებისთვის წარმოადენენ რიგ საინტერესო შესაძლებლობებს.

**ინფორმაციის ასიმეტრია** – (asymetrie information) პოტენციურ კონტრაჰენტებს შორის შეთანხმების დადებისათვის აუცილებელი ინფორმაციის უთანაბრო განაწილება.

**ინფორმაციის გადაცემა ზემოდან ქვემოთ** – ინფორმაციის მოძრაობა ორგანიზაციის ზედა დონეებიდან ქვედა დონეებისაკენ.

**ინფორმაციის გადაცემა ქვემოდან ზემოთ** – ინფორმაციის მოძრაობა ორგანიზაციის ქვედა დონეებიდან ზედა დონეებისაკენ.

**ინფორმაციის გაცვლის პროცესია** – ინფორმაციის გაცვლა ორ ან მეტ ადამიანებს შორის.

**ინფორმაციის ვერტიკალური გაცვლა** – ინფორმაციის მოძრაობა ორგანიზაციის ფარგლებში ერთი დონიდან მეორისაკენ.

**ინფორმაციის მართვა** – თანამედროვე, განსაკუთრებით მსხვილი ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირება, შეუძლებელია საინფორმაციო სისტემის მოწესრიგების გარეშე. ადამიანური რესურსების მართვის ფუნქცია, დროულად და ოპტიმალური მოცულობით მიიღოს და გაავრცელოს საჭირო ინფორმაცია, ხოლო არასაჭირო, მითუმეტეს საზიანო, ინფორმაცია ჩაახშოს.

**ინფორმაციის მეთოდი** – გულისხმობს თანამშრომელთათვის ყველა იმ მონაცემების (ცნობის) გადაცემას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ დამოუკიდებლად ააგონ თავიანთი ორგანიზაციული ქცევა.

**ინფორმაციის საშუალებათა კოორდინაცია** ხორციელდება ინფორმაცია საშუალებათა ტიპების დონეზე და კონკრეტული მატარებლების დონეზე.

**ინფორმაციის ჰორიზონტული გადაცემა** – ინფორმაციის მოძრაობა ორგანიზაციის ფარგლებში ერთი ქვედანაყოფთან მეორისაკენ.

**ინფორმაციული ბაზის გლობალიზაცია** – საშუალებას აძლევს ფირმებსა და ტრანსნაციონალაური კორპორაციებს მსოფლიოს მასშტაბებით აწარმოონ საქმეები, შეასრულონ მომგებიანი ოპერაციები, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ ბაზრის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციები.

**ინფორმაციული ლოგისტიკა** – წარმოადგენს ღონისძიებათ კომპლექსურ სისტემას, რომელიც მიმართულია ინფორმაციის ნაკადების მართვაზე, მისი მინიმალური შეფერხებით მოძრაობებზე. ამავდროულად ორგანიზებას უკეთებს მონაცემთა ნაკადი, მატერიალურ ნაკადთან ერთად და გვევლინება, სამეწარმეო რგოლის განმახორციელებლად, რომელიც აკავშირებს მომარაგებას, წარმოებას და გასაღებას.

**ინფორმაციული ნოვატორები** – ესაა საკომუნიკაციო ქსელის საკვანძო ადგილებში მომუშავე მუშაკები, რომელთც შეუძლიათ სპეციალიზებული ინფორმაციის აკუმულირება-გადაცემა და სამეცნიერო-ტექნიკური, კომერციული და სხვა ცნობების ნაკადთა გაკონტროლება.

**ინფორმაციული პროცესები** – ინფორმაციის შეკრების, დამუშავების, დაგროვების, შენახვის, მოძიების და გავრცელების პროცესები.

**ინფორმაციული სისტემა** – საავიაციო ცნობათა ერთობლიობა, რომელიც მიიღება კომპიუტერული სისტემის დაჯავშნის კომპიუტერული სისტემების დახმარებით.

**ინფორმაციული ტექნოლოგიების ლოგისტიკურ ელემენტებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება** – მდგომარეობს მხარეებს შორის ინფორმაციული პროდუქციის გაცვლაში.

**ინფრასტრუქტურა** – (infrastructure) [intra - ქვეშ, სტრუქტურა-შედგენილობა] ამა თუ იმ სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც დაქვემდებარებული, დამხმარე ხასიათი აქვს, მაგრამ მთელი სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას განაგებს. ინფრასტრუქტურა ფართო გაგებით, უზრუნველყოფს კვლავწარმოების პროცესის გარეგანი პირობების შექმნას. იგი მეურნეობის განსაკუთრებული სფეროა,

რომელიც მომსახურებას უწევს როგორც წარმოებას, ისე მიმოქცევას. განვითარებულ ქვეყნებში ინფრასტრუქტურა იყოფა ოთხ დარგობრივ ჯგუფად: 1. წარმოებრივი ინფრასტრუქტურა; 2. სოციალური ინფრასტრუქტურა; 3. ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა; 4. ეკოლოგიური ინფრასტრუქტურა;

საბაზრო ურთიერთობის რთული სისტემა მოითხოვს შესაბამის ინფრასტრუქტურას, რომლის გარეშეც ცივილიზებული ბაზრების ფარგლებში მოქმედი სპეციალიზებული ორგანიზაციები (საქონლისა და საფონდო ბირჟები, საკრედიტო დაწესებულებები, სადაზღვევო კომპანიები, ბროკერთა ინსტიტუტები, მარკეტინგული მომსახურებით დაკავებული ფირმები და სხვ.) რომლებიც მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. მათი მეშვეობით ბაზრები ეფექტიანად ართმევენ თავს საქონლისა და მომსახურების უკმარისობას და, რაც მთავარია, ხელს უწყობენ უდეფიციტო ეკონომიკის შექმნას.

**ინფრაციული** – ინფრაციულია იმ დანაკარგის რისკი, რომელიც ინვესტორს შეიძლება მოუვიდეს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების შეცვლის გამო. თუკი პროცენტის საბაზრო განაკვეთი იზრდება. ეს იწვევს ფასიანი ქაღალდების, განსაკუთრებით ფიქსირებული პროცენტიანი ობლიგა–ციების საკურსო ღირებულებების დაცემას. ამ შემთხვე–ვაში ზარალი იმ ინვესტორს მოსდის, რომელსაც თავისი სახსრები ფიქსირებულ პროცენტიან ფასიან ქაღალდებში აქვს დაბანდებული.

**იპოთეკა** – (mortgage) სესხი, გაცემული უძრავი ქონების გირაოთი. დაგირავებული ქონება, რომელიც უზრუნველყოფს ამ სესხს, არ გადაეცემა კრედიტორს და მევალის ხელში რჩება.

**იპოთეკა** – ხშირად როდესაც ორგანიზაცია ყიდულობს უძრავ ქონებას, ის იღებს გრძელვადიან სესხს, რასაც ეწოდება იპოთეკა. იპოთეკა განსხვავდება სტანდარტული სესხისგან იმით, რომ უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით.

მაგალითად, თუ თქვენი კომპანია ვერ იხდის იპოთეკის გადასახადს, რითაც შეიძინა საოფისე ფართი, ეს ფართი გადადის იმ ორგანიზაციის საკუთრებაში, რომელმაც იპოთეკური სესხი გასცა; ეს შეიძლება იყოს ბანკი ან საინვესტიციო ჯგუფი.

**იპოთეკური ბანკი** - (mortgage bank) საკრედიტო დაწესებულება, რომელიც გასცემს იპოთეკურ კრედიტსა და უშვებს უძრავი ქონების დაგირავებით უზრუნველყოფილ გირავნობის სიგელს.

**იპოთეკური ბანკი** – საკრედიტო დაწესებულება, რომელიც გასცემს იპოთეკურ კრედიტს და უშვებს უძრავი ქონების დაგირავებით უზრუნველყოფილ გირავნობის სიგელს. იმ საფუძვლების ერთობლიობას, რომელითაც მეურნეობრიობის სუბიექტები ხელმძღვანელობენ თავიანთი საქმიანობის პროცესში, პრინციპებს უწოდებენ.

**იპოთეკური დაკრედიტება** – იპოთეკური დაკრედიტების სრულფასოვანი სამართლებრივი რეგულირების უზრუნველსაყოფად საჭიროა კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შექმნა. ამ აქტებმა უნდა დაარეგულირონ ბანკებისა და იპოთეკური დაკრედიტების ბანკის სხვა სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა, იპოთეკური ფასიანი ქაღალდების ემისიისა და მიმოქცევის წესი და ა.შ. ამ კანონებისა და სამართლებრივი აქტების შინაარსი და მიმართულება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ იპოთეკური ბაზრის რომელი მოდელის კონსტრუირებას მოახდენენ ისინი.

**იპოთეკური კრედიტი** – (mortgage credit) არის ფულადი სახსრები, რომელსაც ბანკი უძრავი ქონების გირაოთი სესხად აძლევს კლიენტს. მიღებული კრედიტით სარგებლობისათვის კლიენტმა ბანკს უნდა გადაუხადოს პროცენტები და აგრეთვე ყოველთვიურად დააბრუნოს ნასესხები სახსრები საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

**იპოთეკური კრედიტი** – (mortgage credit) კრედიტის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ფორმა, სესხი, რომელსაც გასცემს

იპოთეკური ბანკი ხანგრძლივი ვადით (10 დან 15 წლამდე) უძრავი ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობები) გირაოდ დატოვების საფუძველზე.

**იპოთეკური კრედიტი** – ბანკის მიერ კლიენტებზე კრედიტის სახით, უძრავი ქონების გირაოს ქვეშ გაცემული ფულადი სახსრები. კრედიტის სახით გამოყენებულ სახსრებზე კლიენტმა ბანკს პროცენტებიც უნდა გადაუხადოს და ასევე საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ბანკის სესხის ძირითადი თანხის ნაწილიც უნდა დაუბრუნოს.

**იპოთეკური კრედიტი** – სამომხმარებლო კრედიტის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ამასთან მისთვის დამახასიათებელია მთელი რიგი სპეციფიური ნიშნები, რაც სამომხმარებლო კრედიტის სხვა ფორმებში არ გვხვდება. უპირველესად აღსანიშნავია მისი მკაცრად განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულება, რაც დაკავშირებულია ინდივიდუალური კერძო მეურნეობების კაპიტალურ დანახარჯებთან.

**ირაციონალური მოთხოვნა** – (irrational demand) პრობლემური ვითარება, როდესაც არსებობს მოთხოვნა ისეთ საქონელზე (თამბაქოს ნაწარმზე, ალკოჰოლურ სასმელზე, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე და ა.შ.), რომელიც მავნე გავლენას ახდენს როგორც უშუალოდ მომხმარებელზე, ისე მთელ საზოგადოებაზე.

**ირიბი ზემოქმედების გარემო** – წარმოადგენს იმ ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც მართალია ოპერაციებზე პირდაპირ გავლენას არ ახდენენ, მაგრამ მათ მიმდინარეობაზე ამა თუ იმ ფორმით მოქმედებენ. აქ იგულისხმება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ცვლილებები, უცხოეთის იმ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები, რომელთანაც კავშირი აქვს ორგანიზაციას.

**ირიბი კოტირება** – უცხოური ვალუტის კოტირების დროს ერთეულად აღებულია ეროვნული ფულადი ერთეული,

რომლის კურსიც გამოხატულია უცხოური ვალუტის განსაზღვრული ოდენობით, აღნიშნული მეთოდი ტრადიციულად გამოიყენება ფუნტი-სტერლინგთან მიმართ.

**ირიბი ლიზინგი** – ირიბი ლიზინგის დროს სესხის გამცემი აფინანსებს წარმოების საშუალებების ყიდვას, ხოლო შემდგომ შეაქვს კლიენტის საარენდო გადასახდელები. აღნიშნულის გამო იგი ემსგავსება საქონლის განვადებით გაყიდვას.

**ირიბი საექსპლუატაციო დანახარჯები** – დანახარჯები დაკავშირებული რამდენიმე სახის პროდუქციის წარმოებასთან ან მომსახურებასთან, რომელიც ჩართულია მის თვითღირებულებაში არა პირდაპირ, არამედ ირიბად - ეკონომიკურად დასაბუთებული კოეფიციენტების პროპორციულად, სპეციალური გაანგარიშების მეშვეობით. ახასიათებს დანახარჯების დაჯგუფებას მათი პროდუქციის თვითღირებულებაში ჩართვის წესის მიხედვით.

**ისეთი სინამდვილის აღქმა, როგორიცაა იგი და არა ისეთის, როგორიც სურს დაინახოს მოცემულმა კონკრეტულმა ადამიანმა** – ეს პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული წინა პრინციპთან, იგი ხელს უწყობს ფსიქიკური სიმტკიცის დაცვას.

**ისტორიული სკოლა** – (historical school) XIX საუკუნის გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი, რომელთა გამოკვლევებმა, განსაკუთრებით კი მეთოდოლოგიამ ძლიერი გავლენა მოახდინა, ეკონომიკურ მეცნიერებაზე გერმანულენოვან ქვეყნებში. ამ სკოლის ფუძემდებლები ვ. როშერი, ბ. ჰილდებრანდი, კ.კნისი და სხვები აქცენტს ისტორიულ ასპექტებზე აკეთებენ და თვლიდნენ, რომ ისტორიულ გამოკვლევებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ მოვლენის ეკონომიკურ ანალიზში. ისინი აკრიტიკებდნენ კლასიკურ სკოლას იმ თვალსაზრისით, რომ იგი ეკონომიკურ ანალიზში აქცენტს ეკონომიკურ კანონებზე აკეთებდა. ისტორიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის გ. შმოლერის აზრით, ა.სმითმა და დ. რიკარდომ ეკონომი-

კური საქმიანობის სფერო შემოფარგლეს მხოლოდ კერძო ინტერესებისა და პირადი სარგებლობის პოზიციით.

ისტორიული სკოლა საზოგადოების განვითარების ეკონომიკურ ისტორიას ეკონომიკური მოვლენების მრავალმხრივი ასპექტების კვლევის საფუძვლად მიიჩნევდა.

**ისტორიული ფასის კონცეფცია** – (historic cost concept) კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში ყველაფერი არაა საბაზრო ფასების მიხედვით, არამედ შეძენის ფასების მიხედვით უნდა იქნას აღიარებული.

**იურიდიული პასუხისმგებლობა** – ორგანიზაციის იურიდიული პასუხისმგებლობა გულისხმობს იმ კონკრეტული კანონებისა თუ სახელმწიფოებრივი რეგულირების ნორმების დაცვას, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რისი უფლება აქვს ორგანიზაციას, ან რა ეკრძალება მას. თითოეული საკითხის მიხედვით არსებობს ასობით და ათასობით კანონი და ნორმატივი. ორგანიზაცია ვალდებულია დაემორჩილოს მათ.

**იურიდიული პირების ბაზარზე ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით სეგმენტაციის დრო**ს – ითვალისწინებენ საწარმოების სიდიდეს, მათი საქმიანობის სფეროს, მომუშავეთა რაოდენობას და ა.შ. ფიზიკური პირების ბაზარზე – მათ ქონებრივ მდგომარეობას.

**იურიდიული პირებისაგან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი** – შეადენს 27-42%-ს, ფიზიკური პირისგან საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 10-50%-მდე.

**იურიდიული პირი** – ეწოდება ქონებრივად განცალკევებული და გარკვეული უფლება-მოვალეობების მქონე პირს.

**იურიდიული პირი** – (juridical, legal, person) ფირმა, ორგანიზაცია, გაერთიანება და ა.შ, რომელიც კანონით ითვლება სამო–ქალაქო სამართლის და ვალდებულებების სუბიექტად, ე.ი. შეუძლებელია დამოუკიდებლად მოიპოვოს ქონებრი–ვი უფლება, აიღოს ვალდებულებები და იყოს პასუხის–მგებელი სასამართლოსა და არბიტრაჟის წინაშე. ყოველ იურიდიულ პირს თავისი სახელწოდება აქვს. ეს სტატუსი შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა საქველმოქმედო, საზოგა–

დოებრივ და ა.შ. ორგანიზაციასაც, რომელთა მიზანიც მოგების მიღება არ არის.

**იურიდიული პირი** – შეიძლება გულისხმობდეს პიროვნებათა გაერთიანებასა და კაპიტალის გაერთიანებას. იურიდიული პირები ორი სახისაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირები (გადასახედია).

**იყავით ორგანიზებული** – ორგანიზებულობა და საკუთარი დროის მართვა განსაკუთრებით საჭიროა საქმის კეთების პროცესში. თუკი ორგანიზებული ხართ, ნაკლებ დროს დაკარგავთ იმაზე ფიქრში, თუ რა უნდა გააკეთოთ და უფრო მეტს - რეალურად საქმის კეთებაში.

**იძულება** – გულისხმობს მეორე მხარისათვის თავისი თვალსაზრისის თავსმოხვევას ნებისმიერი საშუალებით. ის ვინც ასე იქცევა, არ აინტერესებს სხვისი მოსაზრება. ასეთი პიროვნება, როგორც წესი, აგრესიულად მოქმედებს და სხვებზე ზემოქმედებისათვის (ძალდატანებისათვის) იყენებს თავის ძალაუფლებას.

**იძულებაზე დამყარებული ძალაუფლება** – გავლენა, დამყარებული შემსრულებლის რწმენაზე, რომ ხელმძღვანელს შეუძლია დასაჯოს ხელქვეითი, რაც გააძნელებს შემსრულებლის საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

**იძულებითი** (ადმინისტრაციული) მეთოდი – ამ მეთოდის საფუძველია შიში ან სანქციების გამოყენება.

**იძულებითი უმუშევრობა** – წარმოიქმნება შრომის მოუქნელი ფასისა და ფიქსირებული ხელფასის პირობებში. მაგალითად, თუ ხელფასი მაღალია საბაზრო წონასწორობის პირობებიდან და არ ეცემა, მაშინ შრომის მიწოდება ჭარბია და სამუშაო ადგილებს იღებს მხოლოდ მუშაკთა ნაწილი, დანარჩენი კი იძულებით უმუშევრები ხდებიან.

**იძულების ზომები** – ბანკებისა და საკრედიტო ორგანიზაციების პრობლემური ორგანიზაციების გამოვლენისა და შეფასების უფლება, სკმაოდ მკაცრი და ვითარების ადექვატური, როგორც ერთჯერადი, ისე კომპლექსური და თანმიმდევრული ზომების მიღება იმაზე დამოკიდებულებით, თუ

როგორია ამ ზომების ქმედითობა და ზედამხედველობა გასაწევი სტრუქტურების რეაგირება მათზე. გასატარებელი ზომების მთავარი მიზანია პოლიტიკის, სტრატეგიისა და ტაქტიკის მიზნების, ზოგჯერ ბანკების მენეჯმენტის ორგანიზაციული სტრუქტურის მკვეთრად შეცვლა პრობლემური, კრიზისული მდგომარეობიდან მათ გამოსაყვანად, რადგან ეს კიდევ შესაძლებელია, ხოლო „ინტენსიური თერაპო“ და „ოპერატიული არევა“ ჯერ კიდევ შეიძლება იყოს ქმედითი და ეფექტიანი.

**იჯარა** – (Lease) [იჯარათუნ - გასამრჯელო სამუშაოსათვის], ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ერთი მხარე (მეიჯარე) აძლევს თავის ქონებას დროებით უფასო სარგებლობისათვის. შესრულებული სამუშაოს შედეგად მიღებული შემოსავალი, არენდისაგან განსხვავებით გადადის მეიჯარის (ქონების მესაკუთრის) საკუთრებაში, ხოლო ეს უკანასკნელი სამუშაოს შესრულებისათვის მეიჯარეს უხდის საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის საფასურს, გასამრჯელოს.

**იჯარა** – ხელშეკრულების საფუძველზე დროებით სარგებლიანობაში საჰაერო ხომალდების გაქირავება გარკვეული საფასურით. (მხოლოდ საჰაერო ავიაციაზეა საუბარი) საჰაერო ავიაციაში საჰაერო ხომალდის იჯარით გაცემის შემდეგი ფორმები არსებობს: საჰაერო ხომალდის იჯარა ეკიპაჟით, რომელიც მოიცავს ეკიპაჟს; საჰაერო ხომალდის იჯარა ეკიპაჟის გარეშე, რომელიც არ მოიცავს ეკიპაჟს; იჯარა საჰაერო ხომალდის ე.წ. „მშრალი სახით“, რომელიც ბორტგამცილებლების გარეშე ითვალისწინებს საფრენოსნო პერსონალს.

**იპოთეკა** – როგორც დაკრედიტების მეთოდი ჯერ კიდევ XVII-ს შუახანებში გაჩნდა პრუსიაში. ამ დროს მიწა იყო ყველაზე უფრო საიმედო საწინდარი, რომელიც განადგურებას შეიძლებოდა გადარჩენოდა არაერთი დამანგრეველი ომის შედეგად. გადაცემული კაპიტალისათვის იძლეოდნენენ დოკუმენტებს, რომლებშიც მკაფიოდ იყო აღნიშნული

მიწის ნაკვეთი. გასესხებული ფულის დაგვიანების შემთხვევაში მიწის მფლობელობა გადადიოდა მიწის (სახელწიფო) საკრედიტო სალაროს საკუთრებაში, როგორც ვალის კომპენსაცია.

## კ

**CASS** – (Cargo Accounting Settlement System) ტვირთების გადაზიდვის ანგარიშგების რეგულირების სისტემა, საერთაშორისო საჰაერო ხაზზე ტვირთის გადაზიდვებში მონაწილე მხარეებსა და აგენტებს შორის ურთიერთობაში სწორების ორგანიზაცია.

**კაბოტაჟი** – (ფრანგ. Cabotage), მგზავრთა და ტვირთის გადაზიდვა მოცემული ერთი ქვეყნის შიგნით. ჩიკაგოს კონვენციით (ხელშეკრულებით) „იკაო“-ში შემავალი ყოველ სახელმწიფოს უფლება აქვს, უარი უთხრას ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოს საჰაერო ხომალდებს ნებართვაზე, მიიღოს საკუთარ მიწაწყალზე მგზავრები, ტვირთი ან ფოსტა, რაც გადაიზდება გასამრჯელოთი ან დაქირავებით, რომელთაც მისი ტერიტორიის ფარგლებში აქვთ სხვა დანიშნულების პუნქტი.

**კონკრეტული ბაზრი**ს კონიუნქტურის დახასიათება – ყურადღება, პირველ ყოვლისა, ექცევა მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსირების ხარისხს (დონეს). კონიუნქტურის შესწავლა გულისხმობს სისტემატურ დაკვირვებას ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების არსებულ და შესაძლო გადახრებზე. მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობიდან გამომდინარე, განასხვავებენ ხელსაყრელ და არახელსაყრელ კონიუნქტურას.

**კადასტრი** – (Cadostre) [ბერძ. Katastichon ფურცელი, რეესტრი, ნუსხა] 1. იმ პირთა სია, რომლებზეც ვრცელდება სულადობრივი დაბეგვრა. 2. ცნობების სისტემატირიზებული კრებული, რომელიც დგება შესაბამის ობიექტზე პერიოდული ანუ განუწყვეტელი დაკვირვების საფუძველზე (მაგალითად მიწის კადასტრი, წყლის კადასტრი და ა.შ.).

**კადრები** – ორგანიზაციის პერსონალი, რომელიც დაკავშირებულია ლოგისტიკური ოპერაციების შესრულებით.

**კადრების განლაგება ემყარება შემდეგ პრინციპებს:**

1. **შესაბამისობის პრინციპი**. მასში იგულისხმება პრეტენდენტების ზნეობრივი და საქმიანი თვისებების შესაბამისობა დასაკავებელ თანამდებობათა მოთხოვნებთან;
2. **პერსპექტიულობის პრინციპი**. იგი მოითხოვს შემდეგი პირობების გათვალისწინებას:

– თანამდებობათა სხვადასხვა კატეგორიისათვის ასაკობრივი ცენზის შემოღება;

– ერთ თანამდებობაზე და ერთსა და იმავე უბანზე მუშაობის პერიოდის ხანგრძლივობის განსაზღვრა;

– პროფესიისა და სპეციალობის შეცვლის შესაძლებლობა, კვალიფიკაციის სისტემური ამაღლების ორგანიზაცია;

3. **მონაცვლეობის პრინციპი**. იგი გამოიხატება პერსონალის მაღალ დონზე გამოყენებისათვის შიგაორგანიზაციული გადაადგილების არსებობით. ამ უკანასკნელში იგულისხმება შრომის დანაწილების სისტემაში მომუშავეთა როლის შეცვლის პროცესები, აგრეთვე ორგანიზაციის შიგნით სამუშაო ადგილის (საამქრო, უბანი და სხვა) შეცვლა. კადრების უმოძრაობას, რომელიც დაკავშირებულია ერთსა და იმავე თანამდებობაზე დიდხანს მუშაობით, აქტიური შედეგები მოაქვს ორგანიზაციის საქმიანობისთვის.

**კადრების მოზიდვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებათა საფუძველზე** – არის შემთხვევები, როცა ორგანიზაციას კონკრეტული ერთჯერადი სამუშაოს შესრულება არ შეუძლია საკუთარი ძალებით. მოცემულ შემთხვევაში არაა აუცილებელი, ასეთი სამუშაოს შემსრულებელი აყვანილი იქნეს ორგანიზაციის შტატში. მისი მოწვევა შეიძლება სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულების (საიჯარო ხელშეკრულებების) საფუძველზე. მის ფორმას ამუშავებს თვით ორგანიზაცია. ყველა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების საგანია

შრომის შედეგი ან გარკვეული დავალებების (დაკვეთის) შესასრულებლად გაწეული მუშაობა.

**კადრების შერჩევა –** ესაა მრავალეტაპური და განუწყვეტელი მუშაობა, რომელიც მოითხოვს სპეციალურ უნარს, ხასიათს, ცოდნასა და გამოცდილებას. კადრების დარგში კონსალტინგს უნდა ჰქონდეს მაღალი ცოდნა ეკონომიკის, სამართლის, სოციოლოგიისა ფსიქოლოგიის სფეროში. კონსულტინგს უნდა ჰქონდეს მაღალი ცოდნა ეკონომიკის, სამართლის, სოციოლოგიისა ფსიქოლოგიის სფეროში.

**კავშირი –** ე.ი. ლოგისტიკური სისტემის ელემენტებს შორის არის არსებითი კავშირები.

**კავშირგაბმულობა** – უზრუნველყოფს საავიაციო ინფორმაცია მიღება გაცემას. საავიაციო კავშირგაბმულობის სამსახური იყოფა სამ ძირითად კატეგორიად: 1) სტაციონალური კავშირი; 2) მოძრავი კავშირი; 3) საჰაერონავიგაციული საშუალებები.

**კავშირის არხი** – წერილობითი, ზეპირი, ფორმალური, არაფორმალური კავშირგაბმულობის ელექტრონული სისტემებისათვის გამოსადეგი ინფორმაციის გადაცემის საშუალება.

**კალენდარული დაგეგმვა** – წარმოადგენს სხვადასხვა სამუშაოთა შესრულების, რესურსების და სიმძლავრეების გამოყენების გრაფიკს. იგი არის შრომითი ნაკადის ეკვივალენტური. კალენდარული დაგეგმვის ნებისმიერი სისტემა სხვა მეთოდით დაგეგმვისგან განსხვავდება, რადგან იგი ეფუძნება სამუშაო ცენტრების შეზღუდული ან შეუზღუდავ დატვირთვას.

**კალკულაცია** – (calculation) [ლათ. calculation ანგარიში] პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების გაანგარიშება დანახარჯების სახეების (კალკულაციის სტატიების) მიხედვით.

**კალკულაცია** – პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს ერთეულების თვითღირებულების გამოთვლა.

**კამბიო** – (debtors bill) [იტალ. Cambio დახურდავება] სესხის ბარათი, თამასუქი.

**კანონიერი ძალაუფლება** – ტრადიციაზე დამყარებული გავლენა. შემსრულებელი დარწმუნებულია, რომ ხელმძღვანელს აქვს განკარგულებების გაცემის დასაბამიერი უფლება.

**კაპიტალდაბანდებათა სტრატეგია** – განსაზღვრავს კაპიტალ-დაბანდებათა შეფარდებით დონეს პროდუქციის ცალკეულ სახეობათა წარმოების და მლიანად ფირმის საქმიანობის მასშტაბების გაანგარიშების საფუძველზე, აგრეთვე ფირმის კონკურენტულ პოზიციებს მეტოქეთა მიმართ. ამასთან იგი გულისხმობს ფირმის შესაძლებლობების დადგენას დაგეგმვისა და გეგმების შესრულების შედგენის საფუძ-ველზე ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობის ორგანიზა-ციის გზით.

**კაპიტალი** – (capital) ფართო გაგებით – საქონლისა და მომსახუ-რების წარმოებისათვის გამოყენებული რესურსები, წარ-მოების ფაქტორები. ვიწრო გაგებით – წარმოების ფაქტო-რების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, წარმოების საშუა-ლების სახით. კაპიტალი შედეგებს როგორც ხანგრძლივი მოხმარების (ძირითადი კაპიტალი), ისე წარმოების ერთი ციკლის მანძილზე მოხმარებული (საბრუნავი კაპიტალი), წარმოებრივი საქონლისგან. ეს სიტყვა გამოიყენება აგრეთვე ფინანსური აქტივების გამოსახატავად.

**კაპიტალი** – ორგანიზაციის საქმიანობისა და გაფართოების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. მისი საჭირო რაოდენობის კაპიტალით უზრუნველყოფა. არსებობს რამდენიმე სახის ინვესტიციური ბანკები, ფედერალური დაწესებულებების პროგრამები, აუქციონები და კერძო პირები, რომლებიც კომპანიის ობლიგაციებს ყიდულობენ.

**კაპიტალიზაციის კოეფიციენტი** – გამოხატავს პროპორციებს კომპანიების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების სახეებს შორის.

**კაპიტალის აქტივები** – (capitals assets) აქტივები, რომლებიც ყოველდღიური საქმიანი ოპერაციებისას არ იყიდება და

არ ყიდულობენ, მაგალითად შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები, მიწა და ფასიანი ქაღალდები.

**კაპიტალის ბაზარი –** (capital market) ფინანსური რესურსებით (ფული, აქციები, ობლიგაციები), ვაჭრობის, კაპიტალზე მოთხოვნისა და მიწოდების ფორმირების სფერო, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების აკუმულაციისა და გადანაწილებას, ძირითადი კაპიტალის მოძრაობას ხელს უწყობს მოგების მაქსიმიზაციასა და ეკონომიკაში პროპორციების შენარჩუნებას.

კაპიტალის ბაზარზე თავს იყრის სახელმწიფო და კერძო ფირმების ფულადი დანაზოგები, რომლებიც საკრედიტო საშუალებების სახით წარიმართება კვლავწარმოების განვითარებისათვის. ერთდროულად კაპიტალი თავმოყრილია კრედიტორის ხელში ფასიანი ქაღალდების სახით.

კაპიტალის ბაზარი მოიცავს ფასიანი ქაღალდების ბაზარს, საშუალო და გრძელვადიანი კრედიტის ბაზარს, ვალუტის ბაზრის განსაზღვრულ ნაწილს და ინვესტიციის (მათ შორის, უცხოურის) ბაზარს. კაპიტალის ბაზარზე ოპერაციების ძირითადი სახეებია: ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, საბანკო სესხის, კომერციული და იპოთეკური კრედიტის მიღება-გაცემა. კაპიტალის ბაზარზე გარიგების ძირითადი ინსტრუმენტებია: დეპოზიტური სერთიფიკატები, საბანკო აქციები და ა.შ. ხოლო გარიგების კონტრაჰენტები – საფონდო ბირჟები, სადაზღვევო, საბროკერო და სადილერო კომპანიები, აუდიტორული ფირმები, კომერციული და საინვესტიციო ბანკები, საპენსიო და საინვესტიციო ფონდები და სხვა, რომლებიც საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების განშტოებულ ქსელს ქმნიან.

კაპიტალის ბაზარი სცილდება ცელკეული ქვეყნების საზღვრებს და მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. იგი დიდ როლს ასრულებს ახალი რეგიონული ეკონომიკური კომპლექსების შექმნაში, საგარეო ვაჭრობასა და საერთაშორისო ანგარიშსწორებაში. კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე კრედიტორისა

და სესხის ამღების როლში ძირითადად გამოდიან მსხვილი ტრანსეროვნული ფირმები და ბანკები, სამთავრობო და მუნიციპალური ორგანოები, საერთაშორისო სავალუტო და საფინანსო ორგანიზაციები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების ეროვნული ბანკი).

კაპიტალის ბაზარზე ძირითადი მაჩვენებელია პროცენტის განაკვეთი. ამ უკანასკნელის სტრუქტურა მოიცავს დისკონტს, კრედიტზე პროცენტულ განაკვეთს, ხაზინის თამასუქს და სხვა.

**კაპიტალის გადაცემაზე გადასახადი** – (capital transfer tex) სიმდიდრის გადაცემაზე გადასახადი, რომელიც შემოიღეს დიდ ბრიტანეთში 1974 წელს ქონებაზე გადასახადის ნაცვლად, ხოლო 1986 წელს შეიცვალა მემკვიდრეობაზე გადასახადით.

კაპიტალის გადაცემაზე გადასახადი შედგება ნაჩუქრობისა და მემკვიდრეობაზე გადასახადებისაგან.

**კაპიტალის დაგროვება** – (capital accumulation) ძირითადი კაპიტალის დაგროვება წმინდა ინვესტიციების ხარჯზე.

**კაპიტალის დოვლათი, კაპიტალური საქონელი** – ტერმინი აღნიშნავს საწარმოო კაპიტალის მატერიალურ-ნივთობრივი ელემენტების ერთობლიობას. მოიცავს: შრომის საშუალებებს, შრომის საგნებს – შენობებს, ნაგებობებს, დაზგებს, მოწყობილობებს, დამხმარე მასალებს. ზოჯერ მათ უწოდებენ მწარმოებლურ დოვლათს. განასხვავებენ გრძელვადიანი (დაზგები, მანქანები) და მოკლევადიანი (ნედლეული, ნახევარფაბრიკატები) გამოყენების კაპიტალურ დოვლათს.

**კაპიტალის მესაკუთრენი** – იგივე კორპორაციის მესაკუთრენი, დაინტერესებული არიან კორპორაციაში დაბადებული თავიანთი სახსრების დაცვითა და გამრავლებით და დივიდენდების მიღებით. ყოველივე ეს დამოკიდებულია მოგებაზე. ეს უკანასკნელი კი კორპორაციის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობაა. აქედან გამომდინარე,

კაპიტალის მესაკუთრენი დაინტერესებულნი არიან მაღალი შემოსავლებითა და დაბალი ხარჯებით.

**კაპიტალის ნაზარდზე გადასახადი** – მოქმედებს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, რითაც იბეგრება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიულ პირთა შემოსავლები, რომლებიც მიღებულის ქონების სხვადასხვა სახით გამოყენებით: გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება და სხვა.

**კაპიტალის საკმარისობა** – არის კაპიტალის ის რაოდენობა, რომელიც ბანკის ზარალის გადასაფარავად იქნება საკმარისი და იგი ბანკის უწყვეტ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისა და ეროვნული ბანკის მოთხოვნათა შესაბამისად მისი განსაზღვრა ნორმატივების მეშვეობით ხორციელდება.

**კაპიტალის საკმარისობა** – გამოხატავს ბანკის საიმედოობას ზოგად შეფასებას, მასზე რისკების დამუქრების დონეს.

**კაპიტალის წრებრუნვა** – თვითზრდადი ღირებულების მოძრაობა წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში, რომლის მიმდინარეობის დროს კაპიტალი ღებულობს სამ ფუნქციურ ფორმას (ფულადი, მწარმოებლური, საქონლური) და გადის სამ სტადიას.

**კაპიტალისტური ციკლი** – კაპიტალისტური წარმოების მუდმივად განმეორებადი მოძრაობა ერთი ეკონომიკური კრიზისიდან მეორისკენ. კაპიტალისტური ციკლი მოიცავს შემდეგ შეფასებებს: კრიზისი, დეპრესია, გამოცოცხლება და ამოღება. ყოველი ამ ფაზის განვითარების პროცესში იქმნება პირობები ციკლის შემდგომ ფაზაზე გადასვლისთანავე.

**კაპიტალტევადობა –** (capital coefficients) კაპიტალის მოცულობის შეფარდება ამ კაპიტალის გამოყენებით გამოშვებული პროდუქციის მოცულობასთან.

**კაპიტალტევადობა –** კაპიტალუკუგების შებრუნებული მაჩვენებელია, რომლის გაანგარიშება ხდება ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულებების შეფარდებით წლის განმავლობაში შექმნილ მთლიან ღირებულებასთან.

**კაპიტალუკუგება** – გაიანგარიშება მთლიანი პროდუქციის შეფარდებით კაპიტალის საშუალო წლიურ ღირებულებასთან.

**კაპიტალური დაბანდება** – მატერიალური შრომითი და ფულადი რესურსების დანახარჯების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის ძირითადი ფონდების კვლავწარმოებაზე: მის შემადგენლობაში შედის დანახარჯები თვითმფრინავების, შვეულმფრენების, ავიაძრავების, მოწყობილობების.

**კაპიტალური დაბანდების გამოსყიდვა** – კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება კაპიტალური დაბანდების თანაფარდობით მიღებული ეკონომიკურ ეფექტთან.

**კაპიტალური რემონტი** – რემონტის ურთულესი და მოცულობითი უდიდესი სახეობაა. ამ დროს ხდება აგრეგატების დაშლა მთლიანად და ყველა გაცვეთილი დეტალის შეცვლა. ე.ი. კაპიტალური რემონტი უზრუნველყოფს სიზუსტისა და სიმძლავრის აღდგენას.

**კაპიტალური ტიპის საზოგადოება** – ამ ტიპში ერთიანდება ისეთი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმები, როგორებიცაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი.

**კაპიტალშეიარაღების კოეფიციენტი** – (capital output ratio) ეკონომიკური ზრდის თეორიაში – საერთო კაპიტალური მარაგის შეფარდება წლიურ მშპ-თან.

**კაპიტანის ხელწერილი** – საერთაშორისო ვაჭრობაში ტვირთის გადაზიდვის დროს კონოსამენტში მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ჩართული იქნას სხვა პირობები და შენიშვნები, მაგრამ ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებებოდნენ ეროვნული კანონმდებლობის ნორმებს. კერძოდ, სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსის ნორმებსა და ამ სფეროში საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებს.

**კაპოტაჟი** – (ფრანგ.Cabotage) რომელიმე ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში განხორციელებული მგზავრებისა და ტვირთის

გადაყვანა-გადაზიდვა, რომელსაც ასრულებს უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული გადამზიდველი.

**კარგ-ბლანში** – (ფრ.carte blance) 1. სუფთა ბლანკი, ხელმოწერილი იმ პირის მიერ, რომელიც სხვა პირს უფლებას აძლევს შეავსოს ეს ბლანკი ტექსტით. 2. შეუზღუდავი უფლებამოსილება, მოქმედების სრული თავისუფლება.

**კარგო** – (cargo) საგარეო-სავაჭრო ოპერაციებში – ხომალდის ტვირთი; კარგო-გეგმა-ხომალდზე ტვირთის განლაგების გეგმა; ხომალდის ტვირთის დაზღვევა.

**კარიბის გაერთიანება და კარიბის საერთო ბაზარი** – (KAPUKOM) კარიბის აუზის ძირითადი ქვეყნების ორგანიზაცია, დაარსდა 1973 წელს მის ბაზაზე საერთო ბაზრის შექმნის მიზნით.

**კარიერა თანამდებობრივი** – ასახავს ადამიანის თანამდებობრივი სტრუქტურისა და ორგანიზაციაში მისი სოციალური როლის ცვლილებას. ესაა ორგანიზაციის თანამდებობრივ სტრუქტურაში პიროვნების როგორც ვერტიკალური ისე ჰორიზონტალური გადაადგილების თავისებური ტრაექტორია.

**კარიერის დაგეგმვა, მომუშავეთა პროფესიონალური თანამდებობრივი ზრდის უზრუნველყოფა** – აღნიშნული ფუნქცია საშუალებას იძლევა, მომუშავის პოტენციალი გამოყენებულ იქნეს სრულად და ეფექტიანად.

**კარტელი** – (cartel-kartell) [იტალ. cartello] მონოპოლიის ერთ-ერთი ძირიათადი ფორმა; მეწარმეთა გაერთიანება, რომლის მონაწილენიც ერთმანეთს უთანხმდებიან წარმოების მოცულობაზე, გასაღების ბაზრებზე, გაყიდვების პირობებზე, ფასებზე, გადახდის ვადებზე და ა.შ. (კომერციული (ფასების დაწესება, პროდუქციის გასაღება და ა.შ.) და წარმოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებით).

**კასკადის პრინციპი** – წარმოებების, უწინარეს ყოვლისა, რესურსტევადი წარმოებების თანდათანობით გადაადგილება განვითარებადი ქვეყნებიდან მათი მზარდი ფასით

გეოგრაფიულად ახლო განვითარებად ქვეყნებში, სადაც ეს შედარებითი უპირატესობანი შენარჩუნებულია.

**კასკო** – (transport insurance) [იტალ.casco] გადასაზიდი საშუალებების (გემების, თვითმფრინავების, ავტომობილების, ვაგონების, ცისტერნებისა და სხვა) დაზღვევა.

**კასომიზაცია** – ფორმის შესაძლებლობა თითოეული მომხმარებლისათვის უზრუნველყოს სპეციალურად ადაპტირებული პროდუქცია, მომსახურება, ფასები და მიწოდების არხები.

**კასრომერიზაცია** – ფუნქციური კასტრომიზაციისა და მარკეტინგის კასტრომიზაციის შეხამება.

**კასტომიზაცია** – (ინდივიდუალური შეკვეთების მასობრივი წარმოება) მოხატავს კომპანიის უნარს დიდი რაოდენობით აწარმოოს და მიაწოდოს მსოფლიოს ყველა კლიენტს საქონელი და მომსახურება, რომელიც პასუხობს თითოეული კლიენტის ინდივიდუალურ მოთხოვნებს.

**კატეგორია** – ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ახასიათებს მოვლენისა და საგნების არსებით, მნიშვნელოვან მხარეებს, თვისებებს, ურთიერთობებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან ჩავწვდეთ მის ძირითად არსს.

**კაფ**-ი – (cost and freight - CAF) ღირებულება და ფრახტი - საერთაშორისო ვაჭრობაში საზღვაო გადაზიდვისას გაყიდვის საბაზისო პირობა, რომელიც ითვალისწინებს ექსპორტიორის ვალდებულებას, გადაიტანოს საქონელი კონტრაქტით გათვალისწინებული ნავსადგურამდე, დაფრახტოს გემი და დაფაროს მასთან დაკავშირებული ხარჯები. იმპორტიორი ვალდებულია მიიღოს საქონელი შეთანხმებით გათვალისწინებულ პორტში და დაფაროს მის გადმოტვირთვასთან დაკავშირებული ხარჯები.

**კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია** – (welfare economics) იკვლევს ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის ზემოქმედებას საზოგადოების წევრთა კეთილდღეობაზე. ნორმატიული ასპექტის ზოგადი სახელწოდება კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია იძლევა პოლიტიკურ რეკომენდაციებს.

იგი ძირითადად ეყრდნობა პარეტოს თეორიას, რომელსაც ზოგჯერ კეთილდღეობის ახალ ეკონომიკურ თეორიასაც კი უწოდებენ. მისთვის პიგუს თეორიისაგან განსხვავებით, ნიშანდობლივია სარგებლიანობის რაოდენობრივი გაზომ–ვის იდეის უარყოფა. ზოგიერთმა ეკონომისტმა წამოაყენა წინადადება ბერგსონის საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის გამოყენების შესახებ. იგი ასაბუთებს სარგებლიანობის რაოდენობრივად გაზომვის შესაძლებლობას. ამ ფუნქციის ფორმულირება უკავშირდება საზოგადოების მიზნებს, რომელშიც საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონე წარმოდგენილია, როგორც რესურსების ალოკაციის ფუნქცია.

**კეთილდღეობის მაკონტროლებელი პროგრამები** – (welfare control progtams) ფართოდ გავრცელებულია განვითარებულ ქვეყნებში და შედგება **სიღარიბის დაძლევისაკენ მიმართული და სადაზღვევო ტიპის სახელმწიფო პროგრამისაგან.** სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამა ითვალისწინებს მიმდინარე საჭიროებებს. დახმარების მიღების უფლება დამოკიდებულია შემოსავლებისა და დანაზოგების სიდიდეზე. სადაზღვევო ტიპის პროგრამები გათვალისწინებულია იმისათვის, რომ ოჯახებმა და ცალკეულმა პირებმა განსაზღვრულ პირობებში შეინარჩუნონ გარკვეული ცხოვრების დონე. გარდა ამისა, არსებობს საკმაოდ ფართო მასშტაბის კერძო პროგრამები – კერძო საპენსიო სისტემები, რომლებიც ფინანსდება დაქირავებულთა სახსრების ხარჯზე, სიღარიბესთან ბრძოლისათვის გამოიყენება კვების ტალონები. ეს არის უნივერსალური პროგრამა, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვს ყველას მათ, რომელთა შემოსავალი დაბალია სიღარიბის ოფიციალურ მონაცემებზე, სიღარიბის ზღვარზე.

აშშ-ში 1960-იანი წლებიდან ცნობილია სამედიცინო დაზღვევის სახელლმწიფო სოციალური პროგრამა „მედიკერი“ (medicare) და მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების დაცვის სოციალური პროგრამა „მედი-

კეიდი“ (medicade). ამჟამად აშშ-ში სოციალურ პროგრამებზე იხარჯება მშ 11%.

**კეთილდღეობის სახელმწიფო თეორია** – (welfare state theory) მოიცავს როგორც ეკონომიკურ ისე პოლიტიკურ, სოციალურ და ასე შემდეგ ასპექტებს, ეყრდნობა სახელმწიფო სექტორის იმ ძირითად ამოცანებს, რომლებიც მან უნდა შეასრულოს თანამედროვე ეკონომიკაში. ეს არის საზოგადოებრივი საქონლის წარმოება, საზოგადოების დაცვა უარყოფითი გარე ეფექტებისაგან (ექსტერნალებისაგან), ბუნებრივი მონოპოლიების ჩართვა მაკროეკონომიკურ რეგულირებაში, საბაზრო ეკონომიკის თანმხლები უარყოფითი სოციალური შედეგების კორექტირება ანუ პარეტოს მიხედვით გაუმჯობესების მიღწევა რესურსების გადანაწილების გზით, როდესაც ერთი ინდივიდის (ან ინდივიდთა ჯგუფია) მდგომარეობა უმჯობესდება მეორე ინდივიდის (ან ინდივიდთა ჯგუფის) მდგომარეობის გაუარესების გარეშე.

„კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ცნება შემოღებული იქნა 1941 წელს, როგორც ფაშისტური გერმანიის მილიტარისტული პოლიტიკის ალტერნატივა. თანამედროვე „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ საკანონმდებლო აქტები ეყრდნობა ტ.ჰ. მარშალის „სოციალური მოქალაქეობის კონცეფციას“. ამ კონცეფციის მიხედვით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შემოსავლების მინიმალური დონე, ამასთან, სოციალური დოვლათი უნდა მიაწოდოს თითოეულ მოქალაქეს როგორც მისი პოლიტიკური უფლების განხორციელება და ქველმოქმედება.

„კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორიის კვლევის ცენტრში დგას საზოგადოებრივი ხარჯებისა და ტრანსფერების განაწილებისა და გადანაწილების მექანიზმი. საზოგადოებრივი ხარჯები იყოფა სამ ჯგუფად: პირველი - სოციალური დახმარების გაწევა მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად თავის რჩენა; მეორე – ავადმყოფობისა და უმუშევრობის

შემთხვევაში სავალდებულო დაზღვევა; მესამე – სოციალურად დაუცველი ფენების არსებობისათვის აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით დაკმაყოფილებაზე სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის აღება.

როდესაც ქვეყანას უდგას საუკეთესო პერიოდი, ზოგიერთი ადამიანი ვერ ახერხებს სამუშაოს შოვნას, ან საკმარისი ფულის გამომუშავებას აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და მოხუცებულობისათვის დასაზოგად. ნებისმიერ დროში არიან მოხუცები, ინვალიდები, ავადმყოფები და სხვა მიზეზებით შრომისუუნარონი. ზოგიერთს არ გაუმართლდა დაბადებიდან და ისინი ვერ ფლობენ ვერც ფიზიკურ და ვერც გონებრივ უნარს. ცუდ დროში ბევრ მუშაკს, რომელსაც ჩვეულებრივ შესწევს უნარი უზრუნველყოს თავისი თავი და ოჯახი, კარგავს სამუშაოს. უარეს დროში, ისეთში, როგორიც ეკონომიკური დაცემის პერიოდია, მილიონობით ადამიანი ღატაკდება ზემოთჩამოთვლილი ან სხვა მიზეზებით. განვითარებული ქვეყნები არ უშვებენ თავიანთი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაღატაკებას და მით უმეტეს მათ შიმშილით დახოცვას. სახელწიფოს აქტიური მონაწილეობა სოციალურ სფეროში აუცილებელია, როგორც პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობისთვის, ისე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვისაც. ამ მიზნით შემუშავებულია სხვადასხვა სახის სოციალური დაცვის პროგრამები, რომელთაც ძირითადად სახელმწიფო აფინანსებს, თუმცა ზოგიერთი პროგრამა შეიძლება დაფინანსდეს კერძო წყაროებიდანაც.

**კეინზეიანელობა –** (Keyesianism) ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ეკონომიკურ თეორიაში, რომელიც აღმოცენდა მაკროეკონომიკური წონასწორობის კეინზიანური თეორიიდან და დიდი როლი შეასრულა ეკონომიკური ზრდის თანამედროვე თეორიის ჩამოყალიბებაში. ამ მიმართულებას საფუძველი ჩაუყარა XX საუკუნის გამოჩენილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა. მისი

თეორია ძირითადად აისახა მის ცნობილ ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936). კეინზიანელობა წარმოიშვა, როგორც რეაქცია 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისსა და მისი შემდგომი პერიოდის დეპრესიაზე, როდესაც არ არსებობდა სტიმულები არა მარტო ახალი ინვესტიციებისათვის, არამედ კაპიტალის განახლებისათვისაც. კეინზმა თავისი არგუმენტები და დასკვნები დაუპირისპირა კლასიკური თეორიის არგუმენტებსა და დასკვნებს, რომლის პოსტულატების მისი აზრით გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში – როდესაც ეკონომიკური სიტუაცია გამოხატვა შესაძლო წონასწორობის საუკეთესო შემთხვევას, კეინზის თეორია, კი ძირითადად ეკონომიკის კრიზისული პროცესების ანალიზს ეძღვნება. იგი უმთავრესად იკვლევს საწარმოთა ქრონიკული დაუტვირთაობის, მასობრივი უმუშევრობისა და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების გამომწვევ მიზეზებს. ამიტომ მას ხშირად „დეპრესიული“ ან სტაგნაციური ეკონომიკის თეორიას უწოდებენ.

კეინზის თეორიის ცენტრალური იდეა კვლევის მაკროეკონომიკური მეთოდია, მაშინ როდესაც კეინზინამდელ ეკონომიკურ თეორიაში გაბატონებული იყო მაკროეკონომიკური მიდგომა. აქედან გამომდინარე, კვლევის ცენტრში იდგა ცალკეული ფირმა, მისი დანახარჯების მინიმიზაციისა და მოგების, როგორც კაპიტალის დაგროვების წყაროს, მაქსიმიზაციის პრობლემა. კეინზიანური მაკროეკონომიკური თვალთახედვით, ერთი რომელიმე ფირმის აყვავების პირობები შეიძლება არ ემთხვეოდეს მთელი ეკონომიკის განვითარების პირობებს. მათ შორის წარმოშობილი წინააღმდეგობების დაძლევა შესაძლებელია არა ცალკეული ფირმების მოგების მაქსიმიზაციით, არამედ ეროვნული ეკონომიკური პროცესების აღდგენითი და კვლავწარმოების საერთო პირობების სრულყოფით.

კეინზის აზრით, საზოგადოების ყველა სასიცოცხლო პრობლემის გადაჭრის გზა უნდა მოიძებნოს არა რესურსების მიწოდებაში, არამედ მოთხოვნის გაზრდაში, რაც უზრუნველყოფს ამ რესურსების რეალიზაციას. მან წინა პლანზე დააყენა „ეფექტიანი მოთხოვნა“ და აქედან გამომდინარე, რეალიზაციის პირობების რეგულირების პრობლემა. კეინზმა პირველმა განიხილა უმუშევრობა, როგორც „ეფექტიანი მოთხოვნის“ არასაკმარისი დონის შედეგი. ეკონომიკურ მეცნიერებაში მან პირველმა გამოთქვა აზრი, რომ „ეფექტიანი მოთხოვნის“ შექმნისათვის აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, რომ სახელმწიფომ უნდა იკისროს მაკროპროპორციების დაცვა, ბაზრის „შეცდომების გამოსწორებისათვის“ მან თავის თავზე უნდა აიღოს მთელი ეკონომიკის მასშტაბით დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის ბალანსირების უზრუნველყოფა. კეინზის ვარაუდით, სახელმწიფო დანახარჯების გაზრდით ან გადასახადების შემცირებით, ან ორივე ღონისძიებების შერწყმით, შეძლებდა გადახდისუნარიანი მოთხოვნილების ამაღლებას და ამით გააფართოებდა წარმოებას. რომელიც ეკონომიკას დაუბრუნებდა სრულ დასაქმებას. ეს იყო კეინზიანური რევოლუციის მთავარი იდეა. კეინზის მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიამ ხელი შეუწყო ეკონომიკური ზრდის ნეოკეინზიანური კონცეფციის წარმოშობას, რომელიც არ არის მისი იდენტური.

ომის შემდგომ წლებში, ვიდრე 70-იანი წლების შუა ხანებამდე, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში წარმატებით გამოიყენებოდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანური მოდელი. მისი რეალური განსახიერებაა შერეული, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სკანდინავიისა და დასავლეთის სხვა განვითარებულ ქვეყნებში.

**კეინზი ჯონ მეინარდ** – (1883-1946) (Keynes John Maynard) XX საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტი, თანა-

მედროვე მაკროეკონომიკური თეორიის ფუძემდებელი. პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო 1906 წელს, კემბრიჯის უნივერსიტეტის დამთავრების შემდე, როგორც სახელმწიფო მოხელემ. 1913-1914 წლებში იყო სამეფო კომისიის წევრი ინდოეთის ფულის მიმოქცევისა და ფინანსების სფეროში, მუშაობდა ხაზინაში, იყო მისი მთავარი წარმომადგენელი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. კეინზი აკრიტიკებდა ომის შემდგომი რეპარაციის (ზარალის ანაზღაურება) მაღალ დონეს გერმანიის მიმართ. ნაშრომში „ვერსალის ხელშეკრულების ეკონომიკური შედეგები“ (1919) იგი ამტკიცებდა, რომ რეპარაციის დადგენილმა დონემ შეიძლება დაანგრიოს გერმანიის ეკონომიკა. კეინზმა დატოვა ხაზინა და დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა კემბრიჯის უნივერსიტეტში, პარალელურად აგრძელებდა საბირჟო საქმიანობას ხიტში, თამაშობდა ლონდონის ბირჟაზე, რითაც დიდი სიმდიდრე დააგროვა. 1911 წლიდან კეინზი იყო ჟურნალ „Economic Jornal“-ის გამომცემელი. მის ადრეულ ნაშრომებს ძირითადად პრაქტიკული ხასიათი აქვთ. ისინი ეხება დიდი ბრიტანეთის ოქროს სტანდარტზე დაბრუნებას („მისტერ ჩერჩილის პოლიტიკის ეკონომიკური შედეგები“ 1975), ფულად რეფორმას დიდ ბრიტანეთში („ტრაქტადი ფულადი რეფორმის შესახებ“ 1923) და ა.შ.

კეინზი მაკმილანის კომისიის წევრი იყო და დიდ გავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის მუშაობაში (1944) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაარსებაში. 1942 წელს, „ინგლისის ბანკის“ ერთ-ერთმა დირექტორმა, ლორდ კეინზ ტილტონსკის ტიტული მიიღო.

კეინზის ფუნდამენტური ნაშრომი „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936 წ) ახალ ეტაპად არის აღიარებული ეკონომიკური აზრის ისტორიაში. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიის შექმნით

კეინზმა რევოლუციური გადატრიალება მოახდინა ეკონომიკურ აზროვნებაში, კეინზიანელების სახით ეკონომიკურ თეორიაში გაჩნდა ახალი მიმდინარეობა, რამაც უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში და საბაზრო რეგულირებადი ეკონომიკის ფორმირებაში. სავსებით სამართლიანად ადამ სმითი ითვლება XVIII საუკუნის უდიდეს ეკონომისტად, კარლ მაქსი XIX საუკუნისა, ხოლო ჯონ მეინარდ კენზს ეკუთვნის XX საუკუნის პალმა.

**კეინზიანური მოდელი** – (keynesion model) ჯონ მეინარდ კეინზის მიერ XX საუკუნის 30-იან წლებში შემუშავებული მოდელი, მიძღვნილი ამ პერიოდში ეკონომიკური დეპრესიისა და უმუშევრობის მიზეზს წარმოადგენს არასაკმაო ერთობლივი მოთხოვნა, რომლის დაძლევა შესაძლებელია სახელმწიფოს სოციალური ხარჯების გაზრდით, გამოუყენებელი და ნაკლებად დატვირთული სიმძლავრეების ამოქმედების საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნით.

**კეინზის ეფექტი** – (Keynes effect) საქონელზე მოთხოვნის ცვლილება ფასების საერთო დონის ცვლილების შედეგად. მაგალითად, ფასების საერთო დონის შემცირება ზრდის ფულადი ნაშთის რეალურ სიდიდეს, რაც მეტი ფულის გამოყენების შესაძლებლობას ქმნის სპეკულაციური ოპერაციებისათვის. ამის შედეგად ობლიგაციების ღირებულება გაიზრდება, ხოლო სარგებლის განაკვეთი შემცირდება, რაც თავის მხრივ, ინვესტიციების ზრდის სტიმულირებასა და საქონელზე მოთხოვნის გადიდებას გამოიწვევს.

**კეირეცუ** – იაპონიის საშუალო და მცირე კომპანიათა დაჯგუფებანი მსხვილ კორპორაციათა გარშემო საფინანსო დაწესებულებათა მონაწილეობის გარეშე. „კეირაცუს“ მეთაური კომპანიები ახამებენ საკუთარ საწარმოო საქმიანობას ჯგუფის ფინანსურ მართვასთან, ე.ი. ჰოლდინგისა და საწარმოო კოოპერაციის ფუნქციებს მის მონაწილეებთან.

**კემბრიჯის სკოლა** – (Cambridge scool of Economics) ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ა. მარშალის ნაშრომების არიალში მყოფი ეკონომისტთა ჯგუფი. თავდაპირველად ამ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ ა. პიგუ, დ. რობერტსონი და ჯ.მ. კეინზე. ამასთან კეინზის მეცნიერულმა მიღწევებმა საფუძველი ჩაუყარა კემბრიჯის თანამედროვე სკოლას, რომელიც კრიტიკულად არის განწყობილი ნეოკლასიკური თეორიის, კერძოს პ. სამუელსონისა და რ. სოლოუს ნაშრომების მიმართ (ეს სკოლა პ. სამუელსონსა და რ. სოლოუს დღეს მიიჩნევს ნეოკლასიკური მიმდინარეობის მთავარ წარმომადგენლებად). ამ წინააღმდეგობამ წარმოქმნა დისკუსია XX საუკუნის 30-იან წლებში და გრძელდება დღესაც.

თანამედროვე კემბრიჯის სკოლას მიაჩნია, რომ ეკონომიკურ მოდელში გასათვალისწინებელია არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკური, არამედ ისტორიული, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორები. ამ სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ჯ. რობინსონი, ნ. კალორი, ლ. კანი, პ. სრაფა და სხვები. ამასთან, მათ მიმდევრები ყავთ აშშ-ში, კანადაში, იტალიასა და ავსტრალიაში.

**კენე ფრანსუა** – (1694-1774) (Que Snay Francois) მთავარი ფიგურა XVIII საუკუნის ფრანგ ეკონომისტთა შორის, ცნობილი ფიზიოკრატი. კენე სპეციალობით ექიმი იყო. მისი ეკონომიკური შეხედულებები ძირითადად განზოგადებულია ნაშრომში „სამიწათმოქმედო სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ზოგადი პრინციპები“ (1753), სადაც კვლევის ობიექტად აღიარებულია მიწათმოქმედება, ხოლო ერთადერთ ნაყოფიერ სფეროდ – სოფლის მეურნეობა. ფ. კენეს განსაკუთრებით გაუთქვა სახელი მისმა „ეკონომიკურმა ტაბულამ“ (1758 წ), რომელიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელი ძირითადი ეკონომიკური პროპორციების გამოვლენის

პირველი მაკროეკონომიკური მოდელია. როგორც მერკანტელისტების ოპონენტმა, მან ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა სოფლის მეურნეობაში თავისუფალი კონკურენციის უპირატესობის შესახებ. მისი „ეკონომიკური ტაბულა'' წარმოადგენს გაცვლის სქემას მიწათმოქმედებას, სხვა სასოფლო სამეურნეო მუშაკებსა და ე.წ. „უნაყოფო" კლასებს შორის. კენეს აზრით, მხოლოდ სოფლის მეურნეობას შეუძლია აწარმოოს პროდუქცია მომხმარებლისთვის აუცილებელი დონის ზევით, ამიტომ მხოლოდ სოფლის მეურნეობაა ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა. „ეკონომიკურ ტაბულაში" ნაჩვენებია თუ როგორ ნაწილდება „წმინდა პროდუქტი" სამ კლასს შორის. კენეს „ტაბულა" არსებითად იყო კ. მარქსის კვლავწარმოების სქემისა და ვ. ლეოტიევის გაცილებით რთული მოდელის წინამორბედი. კენეს აზრით, ვინაიდან სოფლის მეურნეობა სიმდიდრის ერთადერთი წყაროა, შეიძლება სახელმწიფო ფინანსების გამარტივება ერთადერთი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოღებით. კენეს მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა ადამ სმითის შემოქმედებაზე.

**კერძო ბირჟა** – (private stock exchange) აქციონერთა კომპანია ან ჩაკეტილი კორპორაცია, რომელშიც გარიგებების დადება მხოლოდ მათ წევრ აქციონერებს შეუძლიათ. კერძო ბირჟის წევრები ჩვეულებრივ კაპიტალის დაბანდებით დივიდენდს არ იღებენ. მათი მოგება წარმოიქმნება იმ გასამრჯელოს ხარჯზე, რომელსაც იღებენ კლიენტებისგან გარიგებების დადებისათვის, ე.ი. ბირჟის წევრები ბროკერის როლში გამოდიან.

**კერძო ბირჟების ორგანიზება სააქციო კომპანიათა სახით** – სხვა სააქციო საზოგადოებისგან განსხვავებით, ისინი დივიდენდს არ გასცემენ.

**კერძო მესაკუთრე** – განსხვავდება ანგარიშზე მცირე ბრუნვებით, მუშაკთა მცირე რიცხოვნებით და ბაზარზე უმნიშვნელო წილით.

**კერძო საკუთრება** – არის წარმოების საშუალებებისა და მისი გამოყენებით მიღებული შემოსავლის (მოგების) მითვისების სპეციალურ-ეკონომიკური ფორმა.

**კერძო საქონელი** – (private property, commodity) ყველა საქონელი თუ მომსახურება, რომელიც მოექცევა საბაზრო მექანიზმის ორბიტაში. მოხმარების საქონლად. ინდივიდუალური მოხმარების „კერძო საქონელს“ მიეკუთვნება: კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო საქონელი და სხვა, ხოლო კოლექტიური მოხმარებისას – საზოგადოებრივი კვების კერძო ფირმების მომსახურება, კერძო საჰაერო და საავტომობილო გადაზიდვა, კერძო თეატრების, კინოთეატრების, აბანოების მომსახურება და სხვა.

**კერძო საწარმო –** 100%-ით კერძო კაპიტალის ხარჯზეა შექნილი.

**კერძო საწარმოთა და კორპორაციათა ფინანსები** – გამოიხატება ფულად ურთიერთობებში რომლებიც წარმოიშობიან მათი ეკონომიკური საქმიანობის პროცესში, უზრუნველყოფენ წარმოების პროცესს და მოგების მიღებას. ისინი მატერიალიზებულია ფულადი კაპიტალისა და საწარმოთა სხვადასხვა ფულადი ფონდების სახით.

**კერძო საჰაერო ხომალდი –** არასახელმწიფო, საჰაერო ხომალდი, რომელიც გამოიყენება კომერციული და არაკომერციული მიზნებისთვის.

**კვაზიფული** – (quasimoney; ლათ. quasi - თითქოს, ვითომ) - ფულადი სახსრები უნაღდო ფორმით, რომელიც ირიცხება კომერციულ ბანკებში ვადიან და შემნახველ ანაბარზე.

**კვალიფიკაცია** – (qualifitiation) 1. პროფესიული მომზადების ხარისხი და დონე; 2. პროფესია, სპეციალობა;

**კვალიფიკაცია** – პროფესიული მომზადების დონის მახასიათებელი. მასში ფოკუსირდება პროფესიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილებიდან მიღებული ჩვევები, რომლებიც აუცილებელია მოცემული შრომითი ფუნქციის შესასრულებლად. განასხვავებენ სამუშაოსა და მომუშავის კვალიფიკაციას. პირველში იგულისხმება სამუშაოს შეს-

რულების სირთულე და, შესაბამისად, იმ მომუშავისადმი მოთხოვნები, რომელმაც უნდა შეასრულოს აღნიშნული სამუშაო მომუშავის კვალიფიკაციაში კი იგულისხმება მომუშავის პროფესიული დამუშავების დონეზე.

**კვალიფიცირებული შრომა** – შრომა, რომლის შესრულება მოითხოვს სპეციალურ მომზადებას.

**კვალიფიკაციური დახასიათება** – ორგანიზაციაში სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით შესაბამისი ძირითადი ამოცანების, შრომითი უნარ-ჩვევების და უფლება-მოვალეობების მოკლე გადმოცემა.

**კვალიფიციური საგანმანათლებლო რისკი** – რომლის არსია მუშაკის შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან.

**კვების გაუწონასწორებლობა** – როცა სურსათის პირადი მოხმარების სტრუქტურა არ შეესაბამება სამედიცინო ნორმებს მეტწილ ქვეყანებში იმის გამო, რომ რაციონში ნაკლებად არის ცხოველური წარმოშობის ცილები.

**კვლავწარმოება** – ნიშნავს მშენებლობას და ძირითადი საწარმოო ფონდებისა და არამატერიალური აქტივების ისეთი სიდიდით (მოცულობით) შეძენას, რაც მოქმედ ძირითად საწარმოო ფონდებზე და არამატერიალურ აქტივებზე დარიცხული ცვეთის ჯამის შესაბამისი იქნება.

**კვლევითი ორიენტაცია** – რომლის დროსაც ადამიანებს მიდრეკილება აქვთ შემეცნებითი და ორგანიზაციული ხასიათის სამუშაოებთან დაკავშირებული კარიერისადმი. მაგალითად, სხვადასხვა დარგში მომუშავე მეცნიერ მუშაკები და სხვა.

**კვოტა** – (quota; ლათ. quotu - წილი) - 1. ნაწილი, წილი, ნორმა, პაი; საგადასახადო კვოტა დაბეგვრის განსაზღვრული ერთეულიდან აკრეფილი გადასახადის სიდიდე; 2. წარმოებასა და გასაღებაში წილი, დადგენილი საკარტელო შეთანხმების ფარგლებში მისი თითოეული მონაწილისათვის. იმპორტიული კვოტები გამოიყენება საქონლის საზღვარგარეთ შეძენის შესაზღუდად, ხოლო საექსპორტო

კვოტები ნედლეულის მწარმოებელი ქვეყნების საექსპორტო შემოსავლის სტაბილიზაციისა და მიწოდების შეზღუდვისათვის ფასების შენარჩუნების მიზნით.

**კვოტირება** – (quotation) წარმოების, ექსპორტისა და იმპორტის შეზღუდვა სახელმწიფო ორგანოების მიერ. საფუძვლად უდევს მოცემული ქვეყნის ვალდებულებები საერთაშორისო შეთანხმებებში, აგრეთვე, ეროვნული ინტერესების დაცვის აუცილებლობა. ქვეყნის შიგნით მაკროეკონომიკურ რეგულირებაში კვოტირება გამოიყენება მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსირებისათვის.

**კიზის პრინციპი** – უმარტივესი საქონლის წარმოებიდან ადგილობრივი მრეწველობის თანდათანობით გადასვლით უფრო მაღალი ტექნიკური და სამეცნიერო-ტექნიკური კომპონენტის მქონე ნაწარმის ათვისებაზე.

**კლანი** – (clan; კელტ. clan) ვიწრო გაგებით, შოტლანდიელთა და ირლანდიელთა გვაროვნული თემი; ფართო გაგებით ჯგუფი ან გვარი ნათესავებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან სამეურნეო ან საზოგადოებრივი ურთიერთობებით. აქედან წარმოდგება სიტყვა კლანიზმი, რომელიც გამოხატავს მიმართულებას საზოგადოებაში.

**კლასიკური დიჰოტომია** – (classical dichotomy) ეკონომიკური ცვლადობის თითოეული დაყოფა ნომინალურ და რეალურ სიდიდეებად. ეკონომიკური მახასიათებლები იყოფა ორ ჯგუფად (დ. იუმი). პირველ ჯგუფს შეადგენს ნომინალური ცვლადები, ანუ ის სიდიდეები, რომლებიც იზომება ფულადი ერთეულით, ხოლო მეორე ჯგუფს რეალური ცვლადები - სიდიდეები, რომლებიც იზომება ფიზიკური ერთეულებით. მაგალითად, ხორბლის ფასი ნომინალური ცვლადია, ვინაიდან ფულადი ერთეულით გამოიხატება, მაშინ, როდესაც ხორბლის მოსავალი - რეალური ცვლადია, ცენტრებითა და ტონებით იზომება. ანალოგიურად ნომინალური მშპ ნომინალური სიდიდეა, ვინაიდან ზომავს ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა

და მომსახურების ღირებულებას ფულადი ერთეულით, ხოლო რეალური მშპ რეალური სიდიდეა, ვინაიდან გამოხატავს წარმოებული საქონლის და მომსახურების მთლიან რაოდენობას.

დ. იუმის აზრით, კლასიკური დიჰოტომია სასარგებლოა ეკონომიკის ანალიზისათვის, ვინაიდან მასში მოქმედი ძალების ერთი ნაწილი ზეგავლენას ახდენს ნომინალურ, ხოლო მეორე ნაწილი – რეალურ ცვლადებზე. სახელდობრ, იგი ამტკიცებდა, რომ ნომინალური სიდიდეები ფულად-საკრედიტო სისტემის ცვლილებების უშუალო ზემოქმედების ქვეშაა, ხოლო რეალური სიდიდეები – არა. მაგალითად, ფულის მიწოდების ცვლილების უშუალო ზეგავლენას ახდენს ნომინალურ, მაგრამ არარეალურ ეკონომიკურ სიდიდეზე. თუ, ვთქვათ, ცენტრალური ბანკი გაორმაგებს ეკონომიკაში ფულის მიწოდებას, ამით გაორმაგდება ფასების დონე, ასევე ფულით გამოხატული ხელფასი (ნომინალური ხელფასი), აგრეთვე სხვა ნომინალური ცვლადები, რომელთაც აქვთ ღირებულებითი გამოხატულება, მაგრამ რეალური ცვლადები, ისეთები, როგორიცაა წარმოების, რეალური ხელფასის დონე და სარგებლის რეალური განაკვეთი – დარჩება უცვლელი.

**კლასიკური პოლიტიკური ეკონომია** – (classical political aconomy) ლიბერალური ეკონომიკური თეორია, რომელიც აღმოცენდა XVIII საუკუნის 70-იან წლებში და XX საუკუნის 30-იან წლებამდე საფუძვლად ედო წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას, მისი ფუძემდებლები იყვნენ ინგლისელი მეცნიერები ადამ სმითი და დევიდ რიკარდო, თუმცა კლასიკური ეკონომიკური თეორია სათავეს იღებს უილიამ პეტის შეხედულებებიდან. მის წარმოშობას დიდად შეუწყვეს ხელი ინგლისელმა ფილოსოფოსებმა ჯონ ლოკმა (1632-1704) და დევიდ იუმმა (1711-1776), აგრეთვე ეკონომისტმა დელეი ნორსმა (1641-1691), ხოლო განვითარებას ჟან პატისტ სეიმ (1767-1839).

ეკონომიკური თეორიის ამ ფუძემდებლური მიმართულების ლაიტმოტივია – ეკონომიკის ლიბერალიზაციის, მოთხოვნა მიწოდების შესაბამისად ჩამოყალიბებული თავისუფალი ფასების საფუძველზე საბაზრო თვითრეგულირების იდეა. ეს იდეა ეყრდნობა ა. სმითის „უხილავი ხელის“ თეორიას. ამ იდეის მიხედვით სახელმწიფო განიხილება როგორც „ღამის დარაჯი“, სახელმწიფო საქმიანობა კი – როგორც არამწარმოებლური შრომა. კლასიკურ ეკონომიკურ თეორიას წითელ ზოლად გასდევს კერძო ინტერესების პრიორიტეტი საზოგადოებრივთან შედარებით. მისი ყურადღების ცენტრშია ცალკეული ფირმა, მათი დანახარჯების მინიმიზაციისა და მოგების მაქსიმიზაციის პრობლემა.

კლასიკური ეკონომიკური თეორია ორ საუკუნეზე მეტ ხანს ედო საფუძვლად მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას. ეს იყო მიკროეკონომიკური პარადიგმებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინდივიდუალური კონცეფციის ბატონობის ეპოქა. მისი იდეოლოგია ადამიანს განიხილავს, როგორც წარმოების საშუალებას და არა როგორც საზოგადოებრივი წარმოების მიზანს. კლასიკური ეკონომიკური თეორია ძირითადად იკვლევს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების სიმდიდრის ბუნებასა და წყაროებს, ეროვნული პროდუქტის განაწილებას წარმოების ფაქტორების მესაკუთრეებს შორის შეზღუდული რესურსებისა და თავისუფალი კონკურენციის პირობებში. იგი აქცენტს აკეთებს კაპიტალის დაგროვებაზე, ბაზრების გაფართოებასა და შრომის დანაწილებაზე. კლასიკური ეკონომიკური თეორიის კვლევის საგანია მიკროეკონომიკური პრობლემებიც. დ. რიკარდომ საფუძველი ჩაუყარა შრომითი ღირებულების თეორიას. ღირებულებების (ფასეულობის) კლასიკური თეორია აქცენტს შრომით დანახარჯებზე აკეთებს და ეყრდნობა შრომითი ღირებულების თეორიას, მაშინ, როდესაც ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია ხაზს უსვამს ფასეულობის სუბიექტურ ასპექტებს.

მეთოდოლოგიის საკითხებში კლასიკურ-ლიბერალური სკოლა ორ ბანკად გაიყო. ერთ ბანკში გაერთიანდნენ ისინი, ვინც მხარს უჭერდა ინდუქციურ მეთოდს, მაგალითად, ა. სმიტი, რომელმაც ემპირული წინამძღვრების ფორმულირებით გამოავლინა ემპირული კანონები. მეორე ბანკის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო დ. რიკარდო, რომელიც მხარს უჭერდა დედუქციურ მეთოდს. მან ჰიპოთეზური წინამძღვრების საფუძველზე გააკეთა შესაბამისი დასკვნები.

**კლასიკური საწარმო** – არის საწარმო, რომელიც ფლობს საკუთრ სახსრებს, მუშაობენ დამოუკიდებლად და იგი არცერთ ჰოლდინგში, ჯგუფში და ა.შ. არ შედის.

**კლასიკური ხელმძღვანელი** – არის დირექტორი, რომელიც მთლიანობაში წესდების შესაბამისად მუშაობს, წყვეტს ფინანსური და საწარმოო საკითხების უმეტეს ნაწილს, გარდა სტრატეგიულობისა, რომელებიც აქციონერების კომპეტენციას განეკუთვნება.

**კლასიფიკაცია** – (ეკონომიკური საქმიანობის) (activity clasification classis facere) – წარმოებრივი ეკონომიკური საქმიანობის სახეების დაყოფა საერთო ნიშნების მქონე ჯგუფებად. მაგალითად, გაეროს ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაცია (ISIC), ევროპული კავშირის ეკონომიკური საქმიანობის მთავარი სამრეწველო კლასიფიკაცია (NACE) და ა.შ.

**კლასტერი** – (cluster) ურთიერთდამოკიდებული კომპანიების ჯგუფი (მწარმოებლები, მიმწოდებლები და სხვა) და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები (სახელმწიფო მართვის ორგანოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ინფრა–სტრუქტურის კომპანიები და ა.შ.), რომლებიც მართალია ფუნქციონირებენ სხვადასხვა სფეროში, მაგრამ სიმბიოზურ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. კლასტერები მაღალტექნოლოგიური პარკების (მათ ტექნოპარკებსაც უწოდებენ, რომლებიც უდიდეს როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და კონკურენტული უპირატესობების

მოპოვებაში. ამჟამად მსოფლიოში მაღალტექნოლოგიური წარმოებით პირველ ათეულში შედიან: ფინეთი, აშშ, შვედეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა, ნიდერლანდი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია და სინგაპური. მათ მოჰყვება ჩინეთი და ინდოეთი. რაც შეეხება რუსეთს, სამეცნიერო პოტენციალის საკმაოდ მაღალი დონის მიუხედავად, მას მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე მხოლოდ 1%-მდე უჭირავს.

ტექნიკურ მიღწევათა ინდექსის მიხედვით საქართველოში არსებული მდგომარეობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ მაჩვენებლის მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნები დაყოფილია ხუთ ჯგუფად: ლიდერები (სულ 18 ქვეყანა), პოტენციური ლიდერები (სულ 19 ქვეყანა), ტექნოლოგიების დინამიკურად დამნერგავი ქვეყნები (სულ 26 ქვეყანა), მარგინალური ანუ ზღვართან მისული ქვეყნები (სულ 9 ქვეყანა) და დანარჩენი ქვეყნები. ამ ყველაზე ჩამორჩენილ ჯგუფშია საქართველოც, ანგოლასთან, ბანგლადეშთან, გვინეასთან, უგანდასთან და ამ დონის სხვა ქვეყნებთან ერთად.

**კლებადი უკუგების კანონი** – (decreasing returns law of) კანონი, რომელიც გამოხატავს ურთიერთდამოკიდებულებას ცვალებად დანახარჯებსა და წარმოების მოცულობას შორის. წარმოების მოცულობის გარკვეული მიჯნის იქით ცვალებადი დანახარჯები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე პროდუქციის მოცულობა, ე.ი. პროდუქციის დამატებითი ერთეულის წარმოებაზე ცვალებადი დანახარჯების ყოველი დამატებითი ერთეულ ნაკლებ პროდუქციას იძლევა. წარმოების დანახარჯებსა და შედეგებს შორის ეს ურთიერთდამოკიდებულება გამოიხატება კლებადი უკუგების კანონით.

**კლეიტონის კანონი** – (claiton act) მიღებულ იქნა აშშ-ში 1914 წელს, მიზნად ისახავდა, შრომის კანონიდან გამომდინარე, ანტიტრესტულ კანონმდებლობაში არსებული დარღვევების კონკრეტულ განსაზღვრას და მათ აღმოფხვრას. კერძოდ

კანონი კრძალავდა: 1. ფასისმიერ დისკრიმინაციას, რომელიც აფერხებდა კონკურენციას და აძლიერებდა მონოპოლიებს; 2. ერთი კომპანიის მიერ მეორე კომპანიის აქციების შეძენას, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებდა კონკურენციას და ერთდროულად განაპირობებდა კონკურენტ-კომპანიებში ერთი და იგივე პირების მიერ ხელმძღვანელი პოსტების დაკავებას. იგი გამორიცხავდა შრომის ბაზარს ანტისტრესული კანონმდებლობის მოქმედების სფეროდან.

**კლერკი** – (clerk; ფრანგ. clerc; ლათ. Clericus - სასულიერო პირი) - საქმის მწარმოებელი პარლამენტში, სასამართლოებში, ნოტარიატში, სავაჭრო-სამრეწველო საწარმოში და ა.შ.

**კლიენტის (ფიზიკური პირის) კრედიტუნარიანობის შეფასების სკორინგული (scoring - ქულებიანი ბალური) მეთოდი** – აღნიშნული მეთოდის გამოყენება ბანკებისათვის სამომხმარებლო კრედიტზე მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირების მნიშვნელოვან, სწრაფ და ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს და იგი თავისი საკლიენტო ბაზის გაფართოების, სამომხმარებლო კრედიტის გაცემის ხელშეწყობის და საბოლოო ჯამში, საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მხრიდან მათზე მოთხოვნის სტიმულირების საკმაოდ ეფექტურ ინსტრუმენტად გვესახება.

**კლიომეტრია** – (cliometrics) „ახალი ეკონომიკის თეორიის“ სახელწოდება, გამოყენებული ეკონომეტრიკაში ეკონომიკური ისტორიის პრობლემების შესწავლისათვის.

**კოლეგიალურობა** – სხვადასხვა დონის ხელმძღვანელების, აგრეთვე კონკრეტული შემსრულებლების შეხედულებების გათვალისწინებული კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებას გულისხმობს. კოლეგიალურობა ამაღლებს მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობას, მათ საფუძვლიანობას და ხელს უწყობს მიღებული გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებას.

**კოლექტივი მეორადი** – ფუნქციურ-მიზნობრივი ნიშნით ფორმირებული ჯგუფი. მოცემულ შემთხვევაში ადამიანებს შორის კონტაქტები დასახული მიზნებითაა განპირობებუ-

ლი. ამიტომ, აქ ძირითადი ყურადღება ექცევა არა პირად თვისებებს, არამედ ამა თუ იმ ფუნქციის შესრულების უნარს. ასეთ კოლექტივში ადამიანთა შეცვლა უმტკივნეულოდ შეიძლება.

**კოლექტივი შრომითი** – სხვადასხვა ნიშნის (ტერიტორია, პროცესია, სოციალური პირობები, მიზნები და ა.შ.) მიხედვით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ჯგუფურად მუშაობენ და ქმნიან საზოგადოებრივ დოვლათს. ადამიანთა ჯგუფი კოლექტივად რომ ჩაითვალოს, მან უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები: 1. მისი ყველა წევრისათვის საერთო მიზნის არსებობა; 2. ჯგუფის წევრების მიერ ერთმანეთის ფსიქოლოგიური აღიარება, რომელსაც საფუძვლად ედება ერთობლივი ინტერესები, იდეალები, პრინციპები, ხასიათი და ტემპერამენტთა სიახლოვე და ა.შ.; 3. ადამიანთა მუდმივი პრაქტიკული ურთიერთქმედება; 4. განსაზღვრული კულტურის არსებობს, რომელიც შეიძლება გამოიხატოს საერთო ფასეულობებში, სიმბოლიკაში, ქცევის ნორმებსა და წესებში.

**კოლსანტინგ** – მსხვილი კომპანიები, რომელიც მომხმარებელს ეხმარება საწარმოო პროცესების განვითარებაში, გაუმჯობესებაში.

**კომანდიტი** – კომანდიტებს საზოგადოებაში შეაქვთ წესდებით წინდაწინ განსაზღვრული საგარანტიო ფულადი ან არაფულადი ქონება და პასუხს აგებენ საზოგადოების კრედიტორების წინაშე საზოგადოების ვალდებულებისათვის მხოლოდ ამ ქონების ფარგლებში. კომანდიტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

**კომანდიტური ამხანაგობა** – შერეული ამხანაგობის სახეობა, რომლის წევრებიდან ერთ ნაწილს აქვს შეუზღუდავი პასუხისმგებლობა მთელი თავისი ქონებით (კომპლიმენტარები), ხოლო მეორე ნაწილს - შეზღუდული პასუხისმგებლობა თავისი წვლილის ფარგლებში (კომანდიტები).

**კომანდიტური საზოგადოება** – იმგვარი საზოგადოებაა, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და ერთი ან რამოდენიმე პირის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება. ამ პირებს კომანდიტები ეწოდებათ, ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის და მათ კომპლიმენტარებს უწოდებენ. (კომპლიმენტარები მხოლოდ ფიზიკური პირები არიან). კომანდიტების საგარანტიო თანხა განისაზღვრება წესდებით.

**კომანდიტური საზოგადოება** – რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად ერთიანს საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება, თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმვებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – კომპლიმენტარები).

**კომბინირება** – ერთ კორპორაციაში სხვადასხვა დარგის ისეთ სამეურნეო ობიექტების გაერთიანებას, რომლებშიც ურთიერთდაკავშირებული საწარმოო პროცესებში ხორციელდება. ასეთ მონოპოლიაში ერთიანდებიან, მაგალითად, ნედლეულის მომპოვებელი ან მწარმოებელი და მისი გადამამუშავებელი საწარმოები.

**კომბინირებული გადაზიდვა** – ინტერმოდალური გადაზიდვა, რომლის ფარგლებშიც ევროპული მგზავრობის დიდი ნაწილი მოდის სარკინიგზო, შიდა საწყლოსნო ან საზღვაო ტრანსპორტზე და გზის ნებისმიერი საწყისი ან საბოლოო მონაკვეთი, რომელზედაც გამოიყენება საავტომობილო ტრანსპორტი, წარმოადგენს მაქსიმალურად მოკლეს.

**კომბინირებული გადასახდელი** – როიალიტისა და პაუშალურის შეხამებაა. ამ შემთხვევაში სალიცენზიო პროდუქციის ათვისების პირველ სტადიაზე ანაზღაურება წარმოებს პაუშალური ფორმით, ხოლო პროდუქციის წარმოების დაწყებიდან კი როიალტის ფორმით.

**კომბინირებული დოკუმენტები** – ამ დოკუმენტებს განეკუთვ–ნება, ისეთი დოკუმენტები, რომელთაც ახასიათებს გან–კარგულებითი და აღსრულებითი დოკუმენტების ნიშნები. ისინი მოიცავენ განკარგულებებს სამეურნეო ოპერაციის მოხდენის შესახებ და ადასტურებენ მისი შესრულების ფაქტს.

**კომერსანტი** – (ფრ. Commercant) პირი, რომელიც დაკავებულია კერძო ვაჭრობით, კომერციით.

**კომერცია** – მოგების მიღებაზე ორიენტირებული საქმიანობა, ხშირად ცნებებს „კომერციასა“ და „ვაჭრობას“ ერთმანეთ-თან აიგივებენ, რაც არამართალზომიერია. ვიწრო (ადრინ-დელი) გაგებით კომერცია და ვაჭრობა იხმარება როგორც სინონიმები (ასეა ჯერჯერობით ლექსიკონებშიც) ფართო (თანამედროვე) გაგებით კომერცია, კომერციული საქმია-ნობა განიხილებოდა ბიზნესის მნიშნელობით, როგორც მოგების მიღებაზე გამიზნული საქმიანობა მრეწველობაში, ვაჭრობაში და ა. შ. (კომერციული ბანკი), კომერციული სასწავლებელი და სხვა).

**კომერცია (commerce)** – საიტის შესაძლებლობები კომერციული გარიგების განსახორციელებლად.

**კომერცია** (commerce; ლათ. commercium) – 1. ვაჭრობა; 2. საქ-მიანობა, რომელიც მიმართულია მოგების მიღებისაკენ.

**კომერციალიზაცია** – (commercialization) მსხვილი სახელმწიფო მონოპოლიების გარდაქმნა სახელმწიფო აქციონერულ სა-ზოგადოებებად – ჰოლდინგებად. იგი, საკუთრების ფორმის შეუცვლელად, საწარმოთა განსახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი გზაა. კომერციალიზებული საწარმოების აქციების საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს ხელშია. ამ საწარ-მოებში დასაქმებულებს უფლება აქვთ შეღავათიან პირო-

ბებში შეიძინონ მათ მიერ გამოშვებული აქციების ნაწილი. კომერციალიზაციის პროცესს ამერიკელები კორპორატიზაციას უწოდებენ.

**კომერციალიზაცია** – ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგში, მათ შორის სატრანსპორტი სისტემაში ორგანიზაციების საწარმოო სუბიექტებად გადაქცევა და მისი თვითდაფინანსებაზე გადაყვანა.

**კომერციალიზაცია** – მოგების მიღების მიზნისადმი საქმიანობის დაქვემდებარება.

**კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობის სტანდარტებს შეიცავს** – საბანკო რეგულირების ბაზელის კომიტეტის მიერ 1997 წელს მიღებული შეთანხმება „საბანკო საქმიანობაზე ეფექტიანი ზედამხედველობის საბაზო პრინციპები“.

**კომერციული ანგარიში** – მეურნეობის გაძღოლის მეთოდი სამეურნეო საქმიანობის დანახარჯებისა და შედეგების თანაშეზომვის გზით ღირებულებით ფორმაში. გამოიყენება მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით კაპიტალის მოცემულ დანახარჯების დროს.

**კომერციული ბანკები** – როგორც საბაზრო მეურნეობის პროდუქტი, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საფინანსო ბაზარზე, როგორც მათი განუყოფელი მონაწილეები.

**კომერციული ბანკები ასრულებენ შემდეგ ძირითად ფუნქციებს**: დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია და მისი გადაქცევა კაპიტალად; საწარმოთა, სახელმწიფოსა და მოსახლეობის დაკრედიტება; მიმოქცევის საკრედიტო საშუალებების (საკრედიტო ფულის) გამოშვება; ანგარიშსწორებისა და გადახდების განხორციელება; საემისიო-სადამფუძნებლო საქმიანობა; კონსულტირება, ეკონომიკური და ფინანსური ინფორმაციის მიწოდება; საბროკერო ფუნქცია; სადაზღვევო ფუნქცია; საინვესტიციო დაგეგმვის ფუნქცია; საბანკო ინვესტორის ანუ ანდერაიტერის ფუნქცია; ნაღდი ფულადი ნაკადების მართვის ფუნქცია; სატრასტო ფუნქცია.

**კომერციული ბანკების ანგარიშგება კვარტალის შედეგების მიხედვით** – აღნიშნულის გარდა დამატებით მოიცავს ბრუნვის უწყისებს, ეროვნული ვალუტით შედგენილი ბალანსის მიხედვით და უცხოური ვალუტით შედგენილი ბალანსის მიხედვით, ფილიალების ბრუნვის უწყისებს კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით, ანგარიშს მოგებისა და ზარალის შესახებ, კომერციულ ბანკებში დეპოზიტების დაზღვევის ფონდის გაანგარიშებას და გაკოტრებისგან კომერციული ბანკების დაზღვევის ფონდის გაანგარიშებას.

**კომერციული ბანკების მოზიდული სახსრების ძირითად ნაწილს შეადგენს** – დეპოზიტები ე.ი. ბანკის კლიენტების - კერძო და იურიდიული პირების (საწარმოების, სააქციო საზოგადოებების, ამხანაგობების) მიერ გარკვეულ ანგარიშებზე შეტანილი, ფულადი სახსრები, რომლებსაც ისინი იყენებენ ანგარიშის რეჟიმისა და საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომერციული ბანკების ლიკვიდობა** – ნიშნავს ბანკის შესაძლებლობას, თავისდროულად, სრული მოცულობითა და დანაკარგების გარეშე უზრუნველყოს თავისი კონტრაგენტების წინაშე არსებული ფინანსური და სავალო ვალდებულებების შესრულება, აგრეთვე მიაწოდოს მათ სახსრები მის მიერ ნაკისრი ვალდებულებათა ფარგლებში, მათ შორის მომავალში.

**კომერციული ბანკების მოზიდული სახსრების ძირითად ნაწილს შეადგენს** – დეპოზიტები, ე.ი. ბანკის კლიენტების კერძო და იურიდიული პირების (საწარმოების, სააქციო საზოგადოებების, ამხანაგობების) მიერ გარკვეულ ანგარიშებზე შეტანილი ფულადი სახსრები რომლებსაც ისინი იყენებენ ანგარიშის რეჟიმისა და საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომერციული ბანკების პასივები** – გარკვეულწილად წარმოადგენს მისი ფუნქციონირების (არსებობა და საქმიანობა) უზრუნველმყოფ ფინანსურ რესურსებს.

**კომერციული ბანკების რესურსები** – ანუ „საბანკო რესურსები“ საკუთარი და მოზიდული სახსრების ერთობლიობაა, რომელსაც ბანკები ფლობენ და იყენებენ აქტიური ოპერაციების განსახორციელებლად.

**კომერციული ბანკების როლი ფულადი სახსრების ბაზარზე** – მდგომარეობს თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაციასა და მათ განთავსებაში სხვადასხვა საბანკო აქტივებში, ასევე კლიენტებისათვის მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევა. ფულადი სახსრების ბაზრები წარმოდგენილია სუბბაზრების მრავალფეროვნებით, რომელთაგან ძირითადს წარმოადგენენ: საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებზე ფულადი საშუალებების ბაზარი, საგადასახადო სისტემების ბაზარი.

კომერციული ბანკები ახორციელებენ ყველაზე აქტიურ საქმიანობას ფინანსური ბაზრის ყველა ჩამოთვლილ სეგმენტში: შუამავლებად გამოდიან კრედიტში (როგორც მოკლევადიანში, ისე სავალო ვალდებულებებსაც), ოპერაციებს ეწევიან სხვა ემიტენტების ფასიან ქაღალდებზე და უცხოურ ვალუტაზე.

**კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვები** – (commercial banks obligatory reserves) კომერციული ბანკების ფულადი თანხა, რომლის სესხად გაცემის უფლებაც მათ არ აქვთ და ვალდებულნი არიან იქონიონ თავიანთ ანგარიშზე ცენტრალურ ბანკში.

**კომერციული ბანკების საქმიანობის პრინციპები** – პირველი და ფუძემდებლური პრინციპია **რელურად არსებული რესურსების ფარგლებში მუშაობა.** ეს იმას ნიშნავს, რომ კომერციულმა ბანკმა თავის რესურსებს კი არ უნდა უზრუნველყოს, არამედ უნდა მიაღწიოს საბანკო აქტივების ხასიათის შესაბამისობას მის მიერ მობილიზებული რესურსების სპეციფიკასთან.

კომერციული ბანკების მეორე უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელსაც კომერციული ბანკების საქმიანობა ეყრდნობა, არის ეკონომიკური დამოუკიდებლობა,

რომელიც თავისი საქმიანობის შედეგებისთვის ბანკის ეკონომიკურ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს.

მესამე პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ კომერციული ბანკის ურთიერთდამოკიდებულება თავის კლიენტებთან ისე აიგება, როგორც ჩვეულებრივი საბაზრო ურთიერთობები.

კომერციული ბანკის მუშაობის მეოთხე პრინციპი ისაა, რომ მისი საქმიანობის რეგულირება სახელმწიფოს მხოლოდ ირიბი ეკონომიკური მეთოდებით შეუძლია, და არა პირდაპირი ბრძანებით, ე.ი. ოპერატიულ საქმიანობაში ჩაურევლად.

**კომერციული ბანკების საშუამავლო ფუნქცია** – ამ ფუნქციის მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის წარმატებით განვითარების საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თავიანთი საქმიანობით ამცირებენ ეკონომიკურ სისტემაში რისკისა და გაურკვევლობის ხარისხს.

**კომერციული ბანკების ხარჯები** – ექვს ჯგუფად იყოფა: საოპერაციო, ბანკის სამეურნეო საქმიანობის უზრუნველმყოფი, ბანკის პერსონალის ხელფასის გადასახადების გასტუმრების, სპეციალურ რეზერვებში გადარიცხვის და სხვა ხარჯები.

**კომერციული ბანკი** – ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია ფულადი სახსრების მოზიდვისათვის და საკუთარი სახელით მათი განთავსებისათვის დაბრუნების, საზღაურის გადახდისა და ვადიანობის პირობებით. მისი მთავარი დანიშნულებაა კრედიტორებთან მსესხებლისკენ და გამყიდველებიდან მყიდველებისაკენ ფულადი სახსრების გადაადგილებაში შუამავლობა. იგი სპეციალიზებულია დეპოზიტების მიღებაზე, მოკლევადიანი კრედიტებისა და კლიენტების საანგარიშგებო მომსახურებაზე.

**კომერციული ბანკი** – საბანკო დაწესებულება, რომელიც სპეციალიზებულია დეპოზიტების მიღებაზე, კრედიტების გაცემაზე, კლიენტების საანგარიშსწორებო მომსახურებაზე და ა.შ.

**კომერციული ბანკი** – ყველაზე უფრო მსხვილი საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ უნივერსალურ საბანკო ოპერაციებს ყველა დარგის საწარმოებისთვის მეტწილად ფულადი კაპიტალისა და დანაზოგის ხარჯზე, რომლებიც მოზიდულია ანაბრების სახით. წამყვან როლს ასრულებს ფინანსური კაპიტალის სისტემაში. შუამავლებს საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შერწყმას საანგარიშსწორებო და საგადახდელო ოპერაციების განხორციელების მეშვეობით, სესხებისა და გარანტიების მიცემით, ფასიანი ქაღალდების ემისიით, მონაწილეობის სისტემით.

**კომერციული ბანკი** (commercial bank) – უნივერსალური ხასიათის საკრედიტო დაწესებულება, ფინანსური შუამავალი, რომელსაც ლიცენზიით გაცემული აქვს საბანკო ოპერაციების განხორციელების უფლება. მისი ძირითადი ფუნქციებია დეპოზიტების მიღება, კრედიტების გაცემა და კლიენტების საანგარიშსწორებო მომსახურება. თუმცა კომერციული ბანკები დიდი ხანია აღარ იფარგლებიან ზემოაღნიშნული ფუნქციებით და სხვა ოპერაციებსაც ასრულებენ. ისინი დაკავშირებულნი არიან აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებით და ა.შ.

კომერციული ბანკების სისტემაში ფართოდ გავრცელდა მომსახურების ისეთი სახეები, როგორიცაა ლიზინგი და ფაქტორინგი.

**კომერციული ბანკის** – საქმიანობის საბოლოო შედეგებზე გავლენის ძალის მიხედვით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია საკრედიტო, საპროცენტო და სავალუტო რისკები, მაგრამ განსაკუთრებით ფასიან ქაღალდებზე ოპერაციათა რისკები.

**კომერციული ბანკის ასოციაცია** – არაკომერციული საზოგადოებრივი ნებაყოფლობითი გაერთიანება; მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ბანკების ინტერესების წარმოდგენა და დაცვა საკანონმდებლო ორგანოებში;

ცენტრალურ ბანკთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა; აქტიური მონაწილეობა სპეციალისტების პროფესიულ მომზადებაში და ა.შ.

**კომერციული ბანკის მთელი რესურსები** – ჩამოყალიბების ხერხის მიხედვით იყოფა საკუთარ და ნასესხებ (მოზიდულ) სახსრებად. კომერციული ბანკების ძირითადი წყაროა მოზიდული სახსრები, რომლებიც მთელი საბანკო რესურსების 70-80%-ს შეადგენს. ბანკების საკუთარი სახსრების წილად 22-დან 30%-მდე მოდის, რაც მთლიანობაში პასუხობს მსოფლიო საბანკო სისტემაში ჩამოყალიბებულ სტრუქტურას. ბანკების საკუთარი სახსრების შემადგენლობაში ძირითადი წილი მოდის სხვადასხვა ფონდებზე. საკუთარი სახსრების მეორე ნაწილია მიმდინარე წლის მოგება.

**კომერციული ბანკის ორგანიზაციულ-ფუნქციური სტრუქტურა მოიცავს:** ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, ბანკის დირექტორატს და მის სამდივნოს, ბანკის საქმეთა მმართველობას, სამართლებრივი საკითხების სტრუქტურულ ქვედანაყოფს, დაკრედიტება-დაფინანსების სამმართველოს, საკრედიტო ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განყოფილებას, საოპერაციო სამმართველოს, ანგარიშების ცენტრს, ფულს მიმოქცევის სამმართველოს, დეპოზიტარიუმს, კადრების განყოფილებას, უსაფრთხოების სამსახურს, სამეურნეო საქართველოს და ა.შ.

**კომერციული ბანკის რეზერვები** –

1. ოპერატიულად მისაწვდომი აქტივები მეანაბრეების მიერ საკმაოდ დიდი საგადასახადო მოთხოვნილებების მოულოდნელად წარდგენის შემთხვევაში.
2. სხვა საკრედიტო ინსტიტუტების და სავალდებულო სხვა კომერციული ბანკებისა სახსრები, რომლითაც ისინი ვალდებულნი არიან ინახავდნენ ცენტრალურ ბანკში ზოგიერთი თავიანთი ოპერაციის უზრუნველსაყოფად სავალდებულო რეზერვების ნორმების შესაბამისად. სავალდებულო საბანკო რეზერვების სდიდე და სტრუქტურა სხვადასხვა

ქვეყანაში ერთნაირი არ არის და პერიოდულად იცვლება კონიუნქტიურის გავლენითა და საბანკო პრაქტიკის გათვალისწინებით.

**კომერციული ბანკის საქმიანობის პრინციპები** – იმ საფუძვლების ერთობლიობაა, რომლებსაც მეურნეობის სუბიექტები ხელმძღვანელობენ თავიანთი საქმიანობის პროცესში. პრინციპები შემდეგია: რეალურად არსებული რესურსების ფარგლებში მუშაობა; ეკონომიკური დამოუკიდებლობა; საქმიანობის რეგულირება სახელმწიფოს მხოლოდ ირიბი ეკონომიკური მეთოდებით; კლიენტებთან ურთიერთობის აგება ჩვეულებრივი საბაზრო ურთიერთობებით. სესხების გაცემის დროს ბანკი გამოდის უპირველეს ყოვლისა, მომგებიანობის, რისკისა და ლიკვიდობის საბაზრო კრიტერიუმებიდან.

**კომერციული დატვირთვის კოეფიციენტი** – ავიასაწარმოს მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებელი, მიიღება შესრულებულ ტონა-კმ-ის გაყოფით განკარგულებაში არსებული ტონა კილომეტრაჟზე.

**კომერციული თამასუქი** – იმით განსხვავდება ჩვეულებრივი თამასუქებისგან, რომ ამ დროს საქონელი მოძრაობს მყიდველსა და გადამყიდველს შორის და დამატებით საპროცენტო შემოსავალს იღებს თამასუქის მიმღები. საბანკო თამასუქი კი ბანკიდან თამასუქით გაცემულ სესხებს შეეხება.

**კომერციული კრედიტი** – (commercial credit) კრედიტი, რომელსაც გამყიდველი აძლევს მყიდველს იმ პირობით, რომ იგი ნაყიდი საქონლის საფასურს განვადებით გადაიხდის. კომერციული კრედიტი გაიცემა მიმდინარე ხარჯებისთვის ერთ წლამდე ვადით სათამასუქო კრედიტის ან ღია ანგარიშის ფორმით სათამასუქო კრედიტის არსი მდგომარეობს შემდეგში: გამყიდველი, საქონლის გაყიდვის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე, აფორმებს გადასაპირებელ თამასუქს და წარმოადგენს მყიდველს, ეს უკანასკნელი კი ახდენს მის აქცეპტირებას,

ანუ იძლევა წერილობით თანხმობას, რომ ფულს გადაიხდის თამასუქში მითითებულ ვადებში. კრედიტი ღია ანგარიშით გულისხმობს შეთანხმების საფუძველზე გამყიდველის მიერ გაყიდული საქონლის ღირებულების, ვალის სახით, ჩაწერას მყიდველის ანგარიშზე, ეს უკანასკნელი კი კისრულობს ვალდებულებას, დადგენილ ვადაში დაფაროს კრედიტი. კრედიტის ეს ფორმა ფართოდ გამოიყენება საქონლის რეგულარულად მიწოდებისას.

**კომერციული კრედიტი** – ამ კრედიტს ფირმა-გამყიდველი აძლევს ფირმა მყიდველს იმ პირობით, რომ იგი ნაყიდი საქონლის საფასურს განვადებით გადაიხდის. კომერციული კრედიტი გაიცემა მიმდინარე ხარჯებისათვის ერთ წლამდე ვადით. მისი მიზანია საქონლის დაჩქარებით რეალიზება. მასზე პროცენტი ნაკლებია, ვიდრე საბანკო კრედიტზე. კომერციული კრედიტი გაიცემა ღია ანგარიშის ან ანგარიშსწორების ისეთი ფორმით, როგორიცაა სათამასუქო კრედიტი.

**კომერციული მგზავრი** – ის მგზავრები, რომელთაც გადაიხადეს გამოყენებული ნორმალური ტარიფის 25% და მასაზე ზევით.

**კომერციული რისკი** – რისკი, რომელიც დაკავშირებულია: ბაზარზე საქონლის რეალიზაციასთან; ტვირთების გადაზიდვასთან ან სატრანსპორტო რისკთან, მყიდველის მიერ საქონლის მიღებასთან; მყიდველის გადახდისუნარიანობასთან; მყიდველის სურვილთან არ განახორციელოს გადახდები; სავალუტო კურსის სხვაობასთან;

**კომერციული საიდუმლოება** – ინფორმაცია ფორმულის, შედგენილობის, კომბინაციის, პროგრამის, მოწყობილობის, მეთოდის ტექნიკის ან პროცესის ჩათვლით, რომელსაც: 1. აქვს დამოკიდებული ეკონომიკური ღირებულება (გამოყენებითი ან პოტენციური) იმის გამო, რომ არ წარმოადგენს საერთოდ ცნობილს და ხალხისადმი ხელმისაწვდომს, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა კომერციუ-

ლი მიზნებისათვის და 2. წარმოადგენს მოცემულ პირობებში გონივრული ძალისხმევის ობიექტს მის დასაცავად.

**კომერციული სატრანსპორტო საჰაერო ხომალდი** – სატრანსპორტო საჰაერო ხომალდი, რომელიც გამოიყენება გასამრჯელოთი ან დაქირავებით.

**კომერციული საქმიანობა (commercial activity)** – გაეროს სსდკ-ის ერთ-ერთი განყოფილების შემადგენელი ნაწილი; მოიცავს კომპიუტერებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის სამუშაოებს (კონსულტაციები, ტექნიკური მონაცემების დამუშავება და შენახვა, საკანცელარიო, საბუღალტრო და ეგმ-ის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება, კომპიუტერულ ტექნიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობა), გამოკვლევებსა და დამუშავებებს (ფუნდამენტალური და გამოყენებითი გამოკვლევები, ექსპერიმენტული დამუშავებები), სხვადასხვა კომერციულ საქმიანობას (სამუშაოები სამართლის, ანგარიშების შედგენის, საბუღალტრო აღრიცხვისა და რევიზიის სფეროში, კონსულტაციები დაბეგვრის საკითხებზე, ბაზრის კონიუნქტიურის გამოკვლევა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, კონსულტაციები კომერციისა და მართვის საკითხებზე), საქმიანობას არქიტექტურისა და სამოქალაქო მშენებლობის სფეროში და მასთან დაკავშირებული ტექნიკურ კონსულტაციებს (საპროექტო-საკონსტრუქტორო, მარკშაიდერული, გეოლოგიურ-საძიებო, საინჟინრო სამუშაოები და ა.შ.), ყველა სახის მასალისა და პროდუქტის ტექნიკურ შემოწმებასა და ანალიზს, იმ კომერციულ საქმიანობას, რომელიც არ შედის სხვა კატეგორიებში (სამუშაო ძალის დაქირავება და პერსონალით უზრუნველყოფა, გამოძიებასა და ცალკეული პიროვნების ან ქონების დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობა, შენობის დასუფთავება-დალაგებასთან დაკავშირებული მომსახურება, ფოტოგრაფიული სამუშაოები, საბროკერო-საკომისიო ოპერაციები, ინკასირება, გამოფენის ორგანიზაციასთან დაკავშირებული მომსახურება, აქციონერული საქმიანობა, სარედაქციო საქმიანობა და სხვა.

**კომერციული ფრენა (კომერციული გადაზიდვა)** – საჰაერო ხომალდის მიერ მგზავრების გადასაყვანად, ბარგის, ტვირთის ან/და ფოსტის გადასაზიდად საზღაურის საფუძველზე ან დაქირავებით განხორციელებული ფრენა;

**კომვოიაჟორი** – (commercial traveler; ფრანგ. commis voyageur) 1. მოხეტიალე ვაჭარი; 2. სავაჭრო ფირმის მოგზაური აგენტი, რომელიც მყიდველებს ადგილზე სთავაზობს საქონელს ნიმუშებისა და კატალოგების მიხედვით.

**კომივოიაჟორი** – საქონლის გასაღების შუამავალი, სავაჭრო ფირმის წარმომადგენელი, რომელიც ეძებს მისი საქონლის მყიდველებს ნიმუშების შეთავაზებით.

**კომისია** – საბანკო ოპერაციისათვის (მომსახურებისათვის) გადახდილი ჯილდოა, რომლის სახელწოდებაც ლათინური „comissio"-დან (დავალება) მოდის. მისი სიდიდის განსაზღვრას საფუძვლად უდევს მომსახურების თვითღირებულება და აუცილებელი მოგება.

**კომისიონერები** – დამოუკიდებელი კომერციული აგენტების სპეციალური კლასი. კომისიონერი ეწოდება პირს, რომელიც შინაგანად (პრინციპალთან ურთიერთობებში) ასრულების აგენტის როლს, მაგრამ გარეგნულად (მესამე პირებთან ურთიერთობებში) საკუთარი სახელით მოქმედი გამყიდველია.

**კომისიონერები** – ესაა საბითუმო და საცალო შუამავლები, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს საკუთარი სახელით წარმოების ხარჯზე. კომისიონერები არ წარმოადგენენ საქონლის მესაკუთრეებს. გაწეული სამსახურისათვის ის ღებულობს პროცენტს შესრულებულია ოპერაციის თანხიდან გამომდინარე.

**კომისიონერი** – (ფრ. commissionnair) შუამავალი გარიგებაში; ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც განსაზღვრული გასამრჯელოს მიღებისთანავე ახორციელებს გარიგებას კომიტენტის სასარგებლოდ და მის ხარჯზე საკუთარი სახელით.

**კომისიონერი** – პირი რომელსაც საკომისიო ხელშეკრულების შესაბამისად, კლიენტის სახსრებით შეუძლია აწარმოოს განსაზღვრული ქმედებანი თავისი სახელით; აღნიშნული საქმიანობისთვის იგი იღებს საკომისიო გასამრჯელოს.

**კომიტენტი** – კომისიის ხელშეკრულებაში მხარე, რომელიც ავალებს მეორე მხარეს (კომისიონერს) შეასრულოს კომისიის გასამრჯელოსთვის ერთი ან რამდენიმე გარიგება საქონელთან, თამასუქებთან, უცხოურ ვალუტასთან, აქციებსა და ობლიგაციებთან და სხვა. გარიგება ხდება კომისიონერის სახელზე, მაგრამ კომიტენტის ინტერესების ხარჯზეც.

**კომიტეტი** – ესაა ორგანიზაციაში არსებული ჯგუფი, რომელზეც დელეგირებულია უფლებამოსილებანი ამა თუ იმ სახის დავალებების ან დავალებათა კომპლექსის შესასრულებლად.

**კომპადორი** – მყიდველი, ჩვეულებრივ უწოდებენ იმ პირს, რომელიც ადგილობრივ ბაზარსა და უცხოურ კაპიტალს შორის შუამავლობს. აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში საერთოდ უცვლელ ვაჭარს უწოდებენ.

**კომპანია (ფრანგ.)**– გარკვეული სახის ამხანაგობა, ადამიანთა ჯგუფი. სამრეწველო, სავაჭრო, სატრანსპორტო, სადაზღვევო და სხვა მეწარმეთა გაერთიანებები. ამხანაგობები, საზოგადოებები. მაგალითად სადაზღვეო კომპანია, საინვესტიციო კომპანია და სხვა.

**კომპანია-ჰოლდინგი** – აქციონერული საზოგადოება, რომელიც ფლობს იურიდიულად დამოუკიდებელ ბანკებისა და ბანკების გარეშე ფირმების აქციების საკონტროლო პაკეტს, მათ ოპერაციებზე მბრძანებლობის და კონტროლის განხორციელების მიზნით.

**კომპანიის საქმიანობის კონტროლი** – გამოიხატება მასზე გადამწყვეტი ზემოქმედების შესაძლებლობაში. თვით კონტროლის დონე კი განისაზღვრება სხვადასხვა ნიშნით, მათ შორის ფინანსური და სხვა კავშირებით.

**კომპანიის საქმიანობის პირველადი სახეები** – მოიცავენ მასალების თანმიმდევრულ შემოსულობას (შემოსული ლოგისტიკა), მასალების გარდაქმნა საბოლოო პროდუქტებად (წარმოება), საბოლოო პროდუქციის მიწოდება (გასული ლოგისტიკა), მისი წინ წაწევა (მარკეტინგი და გაყიდვები) და გაყიდვების შემდგომი მომსახურება (სერვისი).

**კომპანიონი** – (partner; ფრანგ. compagnon) 1. ფირმის თანამფლობელი; 2. ფირმაში შეამხანაგებული პირი.

**კომპანიონი** – (ფრ. Companon) საწარმოს ან რაიმე საქმის თანამფლობელი.

**კომპარატივიზმი** – (comparativism; შედარებითი comparatives) ეკონომიკური სისტემების შედარებითი ანალიზი, ეკონომიკური თეორიის კვლევის ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ლ. რეინელდმა, დ. ჰოლდმა, პ. კნირშმა და ა.შ. ფართოდ დამკვიდრდა XX საუკუნის 30-იან წლებში აშშ-ში, გერმანიაში, ავსტრიაში, ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებში. ამ მიმართულების შედეგია ინსტიტუციური (კონვერგენციის, ინდუსტრიული, პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოებისა და ა.შ.) თეორიები.

**კომპარატისტული თეორია** – ეკონომიკური სისტემების შედარებითი ანალიზი, ეწინააღმდეგება ფორმაციათა მონაცვლეობას მარქსისტულ თეორიას. ამ თეორიის მიხედვით ახალი ეკონომიკური სისტემა წინამავლის წიაღში იბადება და შემდგომში ახალთან ერთად ვითარდება.

**კომპენსაცია** – ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურება, საწარმოს შემდგომი არსებობის პირობების შექმნა კრედიტორის მოთხოვნების (პრეზენტაციების) თანდათანობითი შემცირების გზით.

**კომპენსაცია** (compensation; ლათ. Compensation - ანაზღაურება) – ზარალის, დანაკარგების დამატებითი ხარჯების ანაზღაურება.

**კომპენსაცია „კაფეტერიის“ პრინციპით** – კომპენსაციის სისტემა, რომლის თანახმად მუშაკებს ნება ეძლევათ დასაშვებ

ფარგლებში ამოირჩიონ დამატებითი ანაზღაურების პაკეტი, რომელიც ყველაზე მეტად პასუხობს მათ მოთხოვნებს.

**კომპენსაციური აკრედიტივი** – (back to back credit) აკრედიტივი, რომელიც გახსნილია სხვა აკრედიტივის საფუძველზე.

**კომპენსაციური შეთანხმება** – (ინგ. Compensation agremants, deala) საგარეო-სავაჭრო შეთანხმების სახესხვაობა, რომლის დროს საქონლის ღირებულება გადაიხდება სხვა საქონლის მიწოდებით. არსებობს კომპენსაციური შეთანხმების მრავალი ფორმა. საბჭოთა კავშირში უმთავრესად ვრცელდებოდა მსხვილმასშტაბური სამრეწველო ობიექტების მშენებლობაზე, რომლის გადახდა გათვალისწინებული იყო ამ ობიექტის პროდუქტით. (იხ. შემხვედრი ვაჭრობა, ბაიბეკი);

**კომპეტენცია** – უფლებამოსილებათა (უფლებები და მოვალეობები) ერთობლიობა, რომელსაც კანონით ან ნორმატიული აქტებით ფლობს, ან უნდა ფლობდეს განსაზღვრული ორგანო ან თანამდებობრივი პირი.

**კომპეტენციათა სივრცე** – შეიძლება დახასიათდეს სიფართოვითა (საქმიანობის ფართო ან ვიწრო სფერო) და სიღრმით (ფიზიკური ან ინფორმაციული უნარი).

**კომპიუტერის დახმარებით ტრენინგი** – კომპიუტერის დახმარებით ტრენინგის დროს ტრენინგებში იყენებენ ინტერაქტიული კომპიუტერის ბაზას და/ან DVD სისტემებს რათა ამაღლდეს ცოდნა და გამოცდილება. ეს ტრენინგი ითვლება მზარდ და რეალისტურ მეთოდად. მაგალითად, ინტერაქტიული მულტიმედიური ტრენინგი მოიცავს ტექსტს, ვიდეოს, გრაფიკებს, სურათებს, ანიმაციებს, ხმას და ქმნის ისეთ სასწავლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს სწავლების პროცესს.

**კომპიუტერიზებული ინტეგრირებული წარმოება** – გამოიყენება მოქნილი საწარმოო სისტემის, რომლებიც იმართება მართვის ინტეგრირებული სისტემის მეშვეობით.

**კომპლექსური გაყიდვა** – საქონლის რეალიზაცია სათადარიგო ნაწილების კომპლექტის და მომსახურების მიწოდებით;

**კომპლექსური მიდგომის პრინციპი** – ნიშნავს იმას, რომ პროგრამით განსაზღვრულ ღონისძიებათა სისტემა მთლიანად უნდა შესრულდეს. დაუშვებელია, რომ რესტრუქტურიზაციის პროცესის მთელი შინაარსი მის ცალკეულ შემადგენელ ნაწილებზე იყოს დაყვანილი (მაგალითად, ყველაფერი არ შემოიფარგლოს მხოლოდ დროის რომელიმე მონაკვეთში გამოვლენილი ფინანსური სიძნელეების დაძლევით).

**კომპლექსურობა** – ურთიერთდაკავშირებულობა, ურთიერთგანპირობებულობა, მრავალმხრივობა, კვლევის პრობლემების მოცვის სივრცულობა.

**კომპლიმენტარები** – რომლებიც საზოგადოების ვალდებულებისათვის საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლები არის პერსონალურად და შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. კომპლიმენტარი მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს.

**კომპლიმენტარი** – (limited partner) ამხანაგობის სრული წევრი, რომელიც მის ვალდებულებებზე მთელი თავისი მდგომარეობით, პირადი ქონებით აგებს პასუხს და შეუზღუდავად პასუხისმგებლობას ატარებს.

**კომპრომისი** – (compromissum) შეთანხმება, რომელიც მიღწეულია ურთიერთდათმობის გზით.

**კომუნიკაცია** – ინფორმაციის გაცვლის პროცესია, რომლის შედეგად მენეჯერი იღებს სწორი გადაწყვეტილების შესამუშავებლად საჭირო ყველა აუცილებელ ინფორმაციას და მიღებული გადაწყვეტილება შემსრულებლამდე დაჰყავს. ორგანიზაციები გარემოსთან კომუნიკაციური კავშირის დამყარების მიზნით სხვადასხვა საშუალებებით ატყობინებენ ბაზარზე საქონლის მოძრაობისა და სხვა პროგრამების შესახებ. საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში დიდი ყურადღება ეთმობა ორგანიზაცია გარკვეული „იმიჯის“ შექმნას.

**კომუნიკაცია** – ხელმძღვანელი-ხელქვეითი, ორგანიზაციაში კომუნიკაცია ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ურთიერთობა ხელმძღვანელსა და ხელქვეითს შორის. მართალია ეს ურთიერთობა ინფორმაციის ვერტიკალური გაცვლის სახით გვევლინება, მაგრამ მაინც ძალზე საინტერესოა, რადგან იგი ხელმძღვანელის საკომუნიკაციო საქმიანობის 2/3 მაინც მოიცავს.

**კომუნიკაცია** – ინფორმაციის და მისი შინაარსობრივი დატვირთვის გაცვლა ორ და მეტ ადამიანს შორის.

**კომუნიკაცია 1** – ინფორმაციის გაცვლის პროცესი მართვის სუბიექტსა და ობიექტს შორის.

**კომუნიკაცია 2** – საიტის უნარი შენარჩუნებული იქნას კონტაქტები „საიტი-მომხმარებელი“ (გამომყენებელი), „მომხმარებელი-საიტი“ ანუ ორმხრივი კომუნიკაცია.

**კომუნიკაციები** – ინფორმაციის გავრცელება კომპანიის საქონელსა და მომსახურებაზე.

**კომუნიკაციები ხელმძღვანელსა და მუშა ჯგუფს შორის** – ხელმძღვანელსა და ხელქვეითს შორის ინფორმაციის გაცვლის გარდა, ინფორმაცია მოძრაობს ხელმძღვანელსა და მის მუშა ჯგუფს შორის. მუშა ჯგუფთან კომუნიკაცია ხელმძღვანელს საშუალებას აძლევს აამაღლოს ჯგუფის მუშაობის ეფექტიანობა. ვინაიდან ინფორმაციის გაცვლაში მონაწილეობს ჯგუფის ყველა წევრი, თითოეულ მათგანს საშუალება აქვს იმსჯელოს განყოფილების ახალი ამოცანებისა და პრიორიტეტების შესახებ, აგრეთვე იმაზე, მომავალში თუ როგორ უნდა იმუშაონ ერთად.

**კომუნიკაციური ეფექტის გამოკვლევა** – მიმართულია მომხმარებლზე რეკლამის ზემოქმედების ეფექტიანობის განსაზღვრაზე. ასეთი გამოკვლევა (მას უწოდებენ აგრეთვე **რეკლამის ტესტირებას**) შეიძლება ჩატარდეს როგორც სარეკლამო განცხადებების განთავსებამდე, ასევე მისი პუბლიკაციის ამ ტრანსლაციის შემდეგ.

**კომუნიკაციური პოლიტიკა** – 1. საწარმოს მოქმედებათა კურსი და კომუნიკაციური საშუალებების კომპლექსის (კომუნი-

კაციური მიქსის) გამოყენების და მარკეტინგული სისტემის ყველა სუბიექტთან ურთიერთმოქმედების ორგანიზაციის ისეთი დასაბუთებული სტრატეგიის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნის ფორმირებისა და საქონლის ბაზრებზე წინ წაწევის სტაბილურ და ეფექტიან საქმიანობას მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და მოგების მიღების მიზნით; 2. სტიმულირების კომპლექსის დამუშავება ე.ი. ბიზნესის პარტნიორების ეფექტიანი ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფის, რეკლამა ორგანიზაციის, გასაღების სტიმულირების მეთოდების, საზოგადოებასთან კავშირის და პერსონალის გაყიდვის ღონისძიებათა დამუშავება.

**კომუნიკაციური პროცესის ძირითადი მიზანია** – ინფორმაციის გაგების უზრუნველყოფა, რომელიც შეტყობინების სახით გვევლინება. მაგრამ თვით ინფორმაციის მიმღებს შორის ეფექტიანი ურთიერთობის გარანტიას იძლევა. უკეთესად, რომ გავიგოთ ინფორმაციის გაცვლის პროცესი და მისი ეფექტიანობის პირობები საჭირო გავეცნოთ კომუნიკაციური პროცესის ეტაპებსა და ელემენტებს.

**კონგლომერატული სასაქონლო პოლიტიკა** – გულისხმობს ისეთი საქონლის ექსპორტს, რომელიც საერთოდ არაა დაკავშირებული სხვა საქონელთან. ამის გამო იგი მოითხოვს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, აგრეთვე ახალი ბაზრების ათვისებას.

**კონგლომერაცია** – (conglomeration) ცალკეული საგნების შეკავშირება ერთ მთლიანობად, როდესაც ისინი ინარჩუნებენ თავიანთ თვისებებსა და ნიშნებს.

**კონგრემენიანტული დივერსიფიკაცია** – ასორტიმენტის შევსება ნაკეთობით, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ არც ფირმის მიერ გამოყენებულ ტექნოლოგიასთან, არც მის ამჟამინდელ საქონელთან და ბაზრებთან.

**კონდიცია** – (condition; ლათ. condition) ნორმა, სტანდარტი, რომელსაც სახელშეკრულებლო პირობების თანახმად, უნდა შეესაბამებოდეს ესა თუ ის საქონელი.

**კონერვატიზმის დოქტრინა (conservatison doctrine)** – ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთ ძირითად საერთო მიღებულ სტანდარტს წარმოადგენს, რომლის მიხედვით უფრო მისაღებს ფულადი შეფასების შემცირება და არა მათი გადიდება წარმოადგენს.

**კონვენცია** – (ლათ.) საერთაშორისო ხელშეკრულება რაიმე სპეციფიკურ საკითხზე.

**კონვენცია საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ (კიოტოს კონვენცია)** – 1973 წელს მიღებული შეთანხმება, რომლის მიზანი ის არის, რომ რაც შეიძლება მეტი ხელშემწყობი პირობები შეუქმნას საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეებს.

**კონვენცია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ** – საქონლის უნივერსალური კლასიფიკატორი საბაჟო ტარიფების განაკვეთებისა და საგარეო ეკონომიკური სტატისტიკის დადგენისათვის, რაც ამსუბუქებს მათ საერთაშორისო შეჯიბრებას მიღებულია 1983 წელს.

**კონვერსია** – არსებითი გარდაქმნა, პირობების შეცვლა, წარმოების ერთი ობიექტის მეორეთი ან ერთი ფასიანი ქაღალდის მეორეთი შეცვლა. კონვერსიის სახეებია: ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების კონვერსია - ერთი ვალუტის სხვაზე ან ერთი სახის აქციის მეორეზე გაცვლა, სესხის კონვერსია – სესხის თავდაპირველი პირობების შეცვლა ან ობლიგაციების გამოცვლა;

**კონვერსიის დაბალი ხარჯები** – იმის საშუალებას აძლევენ კომპანიებს, რომ გვერდი აუარონ კონკურენციას, სწრაფად გადააწყონ თავიანთი წარმოება და ამით შეასუსტონ საკონკურენციო ბრძოლის სიმწვავე. რაც მეტია ეს ხარჯები, მით მაღალია კონკურენციის ინტენსიურობა დარგებში.

**კონვერსიის ხარჯების დონე** – კონვერსიის ხარჯები მწარმოებელთა ის დანახარჯებია, რომლებიც გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტისა და მომხმარებელთა მიზნობრივი

ჯგუფების ცვლილებებს უკავშირდება. ეს ეხება თანამშრომელთა გადამზადებას, ახალი დანამატებით მოწყობილობას, პროდუქტის დიზაინს და ბოლოს, წინანდელ მიმწოდებლებთან ჩამოყალიბებული ურთიერთობების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ ფსიქიკურ დანაკარგებს.

**კონვერსიული (კონვერტირებული) არბიტაჟი** – სავალუტო ოპერაცია, რომლის მიზანია უცხოური ვალუტის შეძენა ყველაზე დაბალი კურსით.

**კონვერსიული ოპერაციები** – ბანკების ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია ვერსიასთან, ე.ი. ერთი ვალუტის მეორე ვალუტაზე გაცვლასთან.

**კონვერტადი ვალუტა** – კონვერტადია ვალუტა, თუ იგი შეზღუდვების გარეშე ასრულებს ყოველგვარ ოპერაციებს - გაიცვალოს სხვა ქვეყნის ვალუტაზე მისი ნომინალური ღირებულებით, ოფიციალური კურსით. მთავარი თვისებების შექცევადობა და სიმყარე.

**კონვერტაციის კოეფიციენტი** – ჩვეულებრივი აქციის რაოდენობა, რომელსაც ყოველი 100 ლარის სესხის (ობლიგაციის) კონვერტაციის შემდეგ მივიღებთ.

**კონვერტაციის ფასი** – უფლება მოვახდინოთ სესხის კონვერ–ტაცია ჩვეულებრივ აქციებში X ლარად.

**კონვერტილებადობა** – ეროვნული ვალუტის უნარი, თავისუფლად გაიცვალოს უცხოურ ვალუტაზე ყველა სახის ოპერაციის დროს და ნებისმიერი ფორმით. ვალუტის კონვერტირებადობის ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე, მისი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბებზე, შიდა ფულადი მიმოქცევის მდგომარეობაზე, ეროვნული ბაზრის განვითარების დონეზე და სხვ.

**კონვერტირებადი ვალუტა** – ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტა, რომელიც იცვლება ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე და ასრულებს საერთაშორისო საგადასახდელო საშუალებების ფუნქციას იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის, ყოველგვარი სახით ოპერაციათა შესრულებისას.

**კონვერტირებადი ობლიგაცია** – (convertible bond) ობლიგაცია, რომლის მფლობელსაც შეუძლია შეუფერხებლად გაცვალოს იგი სხვა აქციაზე.

**კონვერტირებადი პრივილეგირებული აქცია (convertible preferred stock)** – პრივილეგირებული აქცია, რომელიც მფლობელის თანხმობით შეიძლება ჩვეულებრივ აქციებში იქნას კონვერტირებული.

**კონვერტირებადი სავალო ვალდებულება** – სესხის სახეობა, რომელიც მფლობელს (სესხის გამცემს) აძლევს უფლებას მოახდინოს სესხის სხვა ფასიან ქაღალდებში, როგორც წესი, ჩვეულებრივ აქციებში კონვერტაცია წინასწარ განსაზღვრული ფასით და განსაზღვრულ დროს.

**კონვერტირებადობა** – (convertibility; ლათ. გადაქცევა - convertere) ეროვნული ვალუტის უნარი, თავისუფლად გაიცვალოს უცხოურ ვალუტაზე ყველა სახის ოპერაციის დროს და ნებისმიერი ფორმით. ვალუტის კონვერტირე–ბადობის ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე, მისი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბებზე, შიგა ფულადი მიმოქცევის მდგრადობაზე, ეროვნული ბაზრის განვითარების დონეზე და სხვა.

ვალუტა შეიძლება იყოს სრულად კონვერტირებადი (შექცევადი), როდესაც მოცემული ქვეყნის ვალუტა იცვ-ლება ნებისმიერ უცხოურზე, ნაწილობრივ კონვერტირე-ბადი (ნაწილობრივ შექცევადი) კი როდესაც მოცემული ქვეყნის ვალუტა იცვლება მხოლოდ ზოგიერთ უცხოურ ვალუტაზე და არაკონვერტირებადი (შეუქცევადი) - როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ფულად ერთეულს მთლიანად შენარჩუნებული აქვს სავალუტო შეზღუდვები და არ იცვლება სხვა უცხოურ ვალუტაზე. ქართული ფულადი ერთეული ლარი ნაწილობრივ კონვერტირებადი ვალუტაა.

**კონიუნქტიურის** გრძელი ტალღები – ფასების საშუალო დონის აგრეთვე ეკონომიკური ზრდის საშუალო ტემპის ხანგრძლივი (50 წლის და მეტი ხანგრძლივობის) რყევა.

**კონიუნქტურა** – (conjuncture; ლათ. შეკვრა, დაკავშირება, შეერთება - conjyngere) ნიშნების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია გარკვეულ პერიოდში ეკონომიკის მდგომარეობისთვის; ურთიერთდაკავშირებული პირობების ერთობლიობა, ჩამოყალიბებული ვითარება.

**კონიუნქტურა** – 1. ნიშნების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია გარკვეულ პერიოდში ეკონომიკის მდგრადობისათვის. 2. ურთიერთდაკავშირებული პირობების ერთობლიობა, ჩამოყალიბებული ვითარება.

**კონკრეტული საბანკო პროდუქტის ხარისხის მართვა** – მდგომარეობს მის თვისებრივ მახასიათებელთა შექმნაში, დაცვასა და როგორც აუცილებელ, ასევე იძულებით კორექტირებაში.

**კონკურენტ ფირმებს შორის თანამშრომლობა** – მყარდება სამი ფორმით: 1.თანასწორობა ან ძალაუფლების ბალანსი; 2. ჰეგემონია ანუ ლიდერობა; 3. იმპერია.

**კონკურენტები** – ისინი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარეგან ფაქტორს წარმოადგენს. კონკურენტულ ბრძოლაში დამარცხებულებს გაკოტრება ელით. ამიტომაა, რომ ვისაც წარმატების მოპოვება სურს, ცდილობს დანერგოს ახალი, ნოვატორული იდეები, შეამციროს საწარმოო დანახარჯები, უზრუნველყოს წარმოების ეფექტიანობა, აამაღლოს პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი. კონკურენტული ბრძოლის სფერო საკმაოდ ფართოა. იგი მოიცავს როგორც საქონლის წარმოების, ისე რეალიზაციის ყველა ეტაპს.

**კონკურენტები** – კონკურენტია ის საწარმოები, რომლებიც ბაზარზე უპირისპირდებიან მოცემული კონკრეტული საწარმოს საქონელს ან მომსახურებას ანალოგიური საქონლით ან მომსახურებით.

**კონკურენტების ანალიზში** – იგულისხმება ძირიათადი კონკურენტების გამოვლენის, მათი მიზნების, სტრატეგიების, ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასების, საწარმოს

მიერ გატარებულ ღონისძიებებზე კონკურენტების მოსალოდნელი რეაქციის დადგენის პროცესს.

**კონკურენტების რაოდენობა** – საბანკო კონკურენციის ყველაზე მცირე რაოდენობაა ისეთ დარგებში, როგორიცაა საშემნახველო საქმე, საინვესტიციო შუამდგომლობა, საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურება, სავალუტო მომსახურება, სააგენტო მომსახურება, კონკურენტების ყველაზე ნაკლები რაოდენობა დაკრედიტებაში, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებაში, ფასეულობათა შენახვაში, დაცვასა და ტრანსპორტირებაში. მთლიანად საბანკო დარგებში კონკურენტების რაოდენობა და სხვა.

**კონკურენტების ძალათა თანაფარდობა** – რაც უფრო თანაბარი ძალები აქვთ ცალკეულ დარგში მყოფ კონკურენტებს შორის ყველაზე ძლიერები კომერციული ბანკებია, მაშინ სხვა თანაბარ პირობებში კონკურენტების ყველაზე უფრო თანაბარი შემადგენლობა იმ დარგებში იქმნება, რომლებსაც ბანკების მინიმალური დომინირება ახასიათებს.

**კონკურენტი** – (competitor; ლათ. გაჯიბრება - concutteins, შეჯახება - concurrere) ზოგადი ცნება, რომელიც გამოიყენება ნებისმიერ დარგში: ეკონომიკაში, ხელოვნებაში და ა.შ. კონკურენტები შეიძლება იყვნენ როგორც ცალკეული პირები, ისე ჯგუფები, ფირმები, რომლებსაც აქვთ თავიანთი ინტერესები საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, მაგრამ ერთდროულად დაინტერესებულები არიან საერთო მიზნის მიღწევით. სიტყვა „კონკურენტი“ ხშირად იხმარება სამეურნეო საქმიანობაში მეტოქეების გამოსახატავად.

**კონკურენტულ უპირატესობათა თეორია** – აღნიშნავს, რომ ეროვნული დარგებისა და ქვედარგების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ მაკროგარემოში მოქმედებენ საკუთარ ქვეყანაში.

**კონკურენტული განსხვავება** – ორგანიზაციის მაღალი კომპეტენტურობა რომელიმე სფეროში, რაც ორგანიზაციას აძლევს საუკეთესო საშუალებას მიიზიდოს და შეინარჩუნოს კლიენტურა.

**კონკურენტული სტრატეგია** – იმ წესების ერთობლიობა, რომელსაც ფირმა უნდა იყენებდეს კონკურენტუნარიანობის მიღწევისა და ხანგრძლივად მისი შენარჩუნებისათვის.

**კონკურენტული უპირატესობა** – (competitive advantage) უპირატესობას ინოვაციების დანერგვის გზით აღწევენ. ზოგიერთ ქვეყანაში ყალიბდება ისეთ ბიზნეს-გარემო, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს სწრაფად დანერგონ სიახლეები და უფრო განვითარდნენ, ვიდრე სხვა ქვეყნის კომპანიები. დღეს ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში ყურადღების ცენტრშია კონკურენციის გლობალიზაციის კონკურენციისადმი გლობალური მიდგომის საკითხი. კონკურენციის გლობალიზაცია კომპანიისგან მოითხოვს ახლებურ აზროვნებას, ინფორმაციის ყველა დონეზე გაფილტვრას. მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური დარგები, მოწინავე ინფორმაციული და ტელეკომუნიკაბელური ტექნოლოგიები.

**კონკურენტული უპირატესობა** – ვლინდება კონკურენტებთან შედარებით მიზნობრივი მომხმარებლების მოთხოვნილების უკეთესად დაკმაყოფილებით, რაც თავის მხრივ გულისხმობს უფრო უკეთესი და მეტი რაოდენობის საქონლის და მომსახურების უფრო დაბალ ფასად შეთავაზებას.

**კონკურენტული უპირატესობის თეორია** – (theory of competitive advantage) თანამედროვე საგარეო ვაჭრობაში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი თეორია, რომელსაც თანდათან ადგილს უთმობს შეფარდებითი უპირატესობის თეორია. ეს ახალი თეორია გასცდა წარმოების ხარჯების ანალიზს და აქცენტს ისეთ ფასეულობებზე აკეთებს, როგორიცაა ხარისხი, ნოუ-ჰაუ, ბაზრისადმი ახლებური მიდგომა, ახალი დიზაინი, ახალი სახეობების პროდუქციის შექმნა და ა.შ. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პრაქტიკა აჩვენებს, რომ დღეს ყველაზე მომგებიანი ის დარგებია, რომლებიც აწარმოებენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, კავშირგაბმულობის საშუალებებისა და

ტელეკომუნიკაციების მთელ სისტემას. მათ წარმატებას მსოფლიო ბაზარზე, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ინოვაციების დანერგვა და არა წარმოებრივი შესაძლებლობების ზრდა, ინტენსიური და არაექსტენსიური წარმოება. განვითარებული ქვეყნების წარმოების მატების 75-დან 100%-მდე სწორედ ინოვაციების გამოყენებით მიიღწევა.

ქვეყნის კონკურენციული უპირატესობის მისაღწევად XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს. ეს მოდელი ეფუძნება ინოვაციურ ეკონომიკას, რომელშიც პირველი ვიოლინოს როლს ინტელექტუალური კაპიტალი ასრულებს. კონკურენციაში უპირატესობას დღეს აღწევს არა ის ვინც რეაგირებს ბაზრის მოთხოვნებზე, არამედ ის, ვინც ქმნის ბაზარს ე.ი. ვინც ბაზარს თავაზობს ინოვაციებს.

**კონკურენტუნარიანობა –** (competitiveness):

1. საბაზრო ურთიერთობების სუბიექტების, საქონლისა და მომსახურების თვისება კონკურენცია გაუწიოს ბაზარზე ანალოგიური თვისებების მქონე საბაზრო ურთიერთობების სუბიექტებს, საქონელსა და მომსახურებას. ამ თვისებების შეფასება მაღალი, საშუალო და დაბალი კონკურენტუნარიანობის განსხვავების საშუალებას იძლევა;
2. ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი, რომელიც განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში. მიუხედავად კონკურენტუნარიანობის ბევრი საერთო ნიშნისა, დიდი სხვაობაა ქვეყანათა კონკურენტუნარიანობის მოდელებს შორის. მაგალითად, აშშ-მა მსოფლიოში მიაღწია კონკურენტუნარიანობის ზრდის ყველაზე მაღალ ტემპებს ენერგეტიკაში, ტელეკომუნიკაციებში, თვითმფრინავების წარმოებაში და ა.შ. დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ ძლიერ კონკურენტუნარიან ქვეყნად წარმოდგენილია იაპონია ეკონომიკის ისეთი დარგებით, როგორიცაა ტექნიკა და მანქანათმშენებლობა. ის გარემოება, რომ XXI საუკუნე აღიარებულია ცოდნისა

და ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნედ მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძვლებს. იმისათვის, რომ ქვეყნები კონკურენტუნარიანები იყვნენ, მათ თავიანთი პროდუქცია უნდა გაყიდონ საერთაშორისო საბაზრო ქსელის მეშვეობით მსოფლიოს მასშტაბით. ეს არის დიდი სათამაშო ველი, რომელსაც კონკურენტუნარიანი ქვეყანა აყალიბებს თავისი ინდუსტრიისთვის. უახლოეს წარსულში ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავენ ისეთი პარამეტრებით, როგორიცაა ბიუჯეტის დეფიციტი, პროცენტის განაკვეთი, ვალუტის კურსის სიმყარე, ბუნებრივი სიმდიდრეები, იაფი სამუშაო ძალა, მენეჯმენტის განსხვავებული პრაქტიკა და ა.შ., მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკა არ ადასტურებს ამ მოსაზრებათა ჭეშმარიტებას. მაგალითად, რით შეიძლება აიხსნას ისეთი ქვეყნების (იაპონია, სამხრეთ კორეა,...) წარმატება, რომლებიც ბუნებრივი რესურსების მწვავე დეფიციტს განიცდიან, ან ბუნებრივი რესურსებით მდიდარი აფრიკის უმეტესი ქვეყნების წარუმატებლობა? კონკურენტუნარიანობა იქმნება არა გარე, არამედ შიდა ბაზარზე. დღეს კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად კომპანიები ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს, აფუძნებენ ახალ სტრატეგიებს, ინვესტიციებს დებენ ახალი უნარჩვევების ათვისებასა და ცოდნის განახლებაში. იმისათვის, რომ ქვეყანა კონკურენტუნარიანი პარტნიორი გახდეს, მან უნდა შექმნას ახალი ინოვაციური სისტემა. დღეს მსოფლიოში ძალზე პოპულარულია შემდეგი მოწოდება: „დღევანდელი ინოვაციებით მოაძველეთ თქვენი გუშინდელი პროდუქცია“.

**კონკურენტუნარიანობა** – ავიამომსახურების უნარი უზრუნველყოს თავის საქმიანობაში წარმატება განსაზღვრულ ბაზარზე კონკურენტების არსებობის (მეტოქეობის) პირობებში.

**კონკურენტუნარიანობა მომუშავის** – მომუშავის თვისებები, წარმატებით გაუძლოს კონკურენციას შრომის ბაზარზე

ანალოგიური პროფესიის, სპეციალობისა და კვალიფიკაციის დონის მომუშავეებთან.

**კონკურენცია** – (competition; შეჯახება, შეტაკება - concurrere) 1. მეტოქეობა საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის; 2. ბრძოლა კონტრაჰენტებს შორის საქონლის (მომსახურების) წარმოებისა და რეალიზაციის ხელსაყრელი პირობებისთვის; 3. საბაზრო სიტუაცია, როდესაც ბაზარზე არის მრავალი მწარმოებელი (გამყიდველი) და მრავალი მომხმარებელი (მყიდველი).

**კონკურენცია** – (ლათ.concurrentia) მეტოქეობა, ბრძოლა კონკურენტებს შორის უპირატესობის მოსაპოვებლად რაიმე ასპარეზზე.

**კონკურენცია** – 1. მეტოქეობა, რაიმე სარბიელზე (ასპარეზზე) ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, რომლებიც დაინტერესებული არიან მიაღწიონ ერთსა და იმავე მიზანს, მაგალითად, ფირმებს შორის – მოგების დიდი წილისათვის, გასაღების ბაზრებისათვის, ნედლეულის წყაროებისათვის; 2. საბაზრო სისტემის სუბიექტების ურთიერთმოქმედების, ურთიერთკავშირის და კომუნიკაციათა ბრძოლის ეკონომიკური პროცესის მატერიალური და სულიერი დოვლათის შექმნის, გასაღების და მოხმარების საქმეში; 3. საბაზრო ურთიერთობათა რეგულატორი, მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის დაჩქარების და საზოგადოებრივი წარმოების (ბიზნესის) ეფექტიანობის სტიმულატორი.

**კონკურენცია** – ავიაკომპანიებს შორის მეტოქეობა, საუკეთესო შედეგის მისაღწევად.

**კონკურენცია იმპორტულ საქონელთან** – ყოველი ქვეყნის შიდა ბაზარს ახასიათებს კარგახსნილობის ესა თუ ის დონე მასზე საზღვარგარეთული საქონლის გამოტანის შესაძლებლობის თვალსაზრისით. ცხადია, რომ თავისუფალი საგარეო ვაჭრობის პირობებში ის ფირმა, რომელსაც ერთი (ან თუნდაც რამდენიმე) ქვეყნის მასშტაბით აქვს წარმოება

მონოპოლიზებული, მაინც ვერ იქნება კონკურენციისგან დაცული და ვერ მიაღწევს ბაზრის აბსოლუტურად გაკონტროლებას.

**კონკურენცია კაპიტალის გადადინების მეშვეობით** – წარმოიქმნება საწარმოს მიერ თავისი საქმიანობის პროფილის შეცვლის ან მისი დივერსიფიკაციის დროს. მას განაპირობებს კონიუნქტურისა და მოგების ნორმის განსხვავებულება სხვადასხვა დარგებში. კაპიტალის გადადინების მეშვეობით კონკურენციისგან განსხვავებით ფუნქციური კონკურენცია არ ითვალისწინებს სხვა დარგებში გადასვლას. იგი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა დარგის საწარმოების მიერ წარმოებულ სრულიად განსხვავებულ საქონელს მომხმარებელი შესაძლოა ერთნაირი მიზნით იყენებდეს და ისინი ურთიერთშემცვლელი (სუბსტიტუტ-საქონელი) იყოს.

**კონკურენცია შემცვლელი საქონლის მხრიდან** – შემცვლელის როლში ის საქონელიც კი შეიძლება მოგვევლინოს, როგორც ერთი შეხედვით ძალიან შორს დგას შესაცვლელი საქონლისგან. მაგალითად ბრილიანტების გამყიდველ მონოპოლისტებს შესაძლოა არც თუ ისე მსხვილმა ტურისტულმა ფირმამ გაუწიოს კონკურენცია. ტურისტული ფირმის სარეკლამო კომპანიის შედეგად ბრილიანტების პოტენციური მყიდველების ნაწილმა შეიძლება ტურისტულ მოგზაურობაზე გადაწყვიტოს ფულის დახარჯვა.

**კონკურენცია**[1] – არის შეჯიბრი, რომლის მსვლელობაშიც მოპაექრე მხარეები დაინტერესებული არიან ერთი და იმავე მიზნის მიღწევით, ცდილობენ აჯობონ, გაუსწრონ თავიანთ მოწინააღმდეგეს. კონკურენციის (შეჯიბრების, დაპირისპირებების) ელემენტები გარემომცველი სამყაროს ყველა სფეროში შეგვიძლია ვიპოვოთ: ბუნებაში, სპორტში, პოლიტიკაში, სულიერ სფეროში. ეკონომიკაში საკონკურენციო ბრძოლა, ეკონომიკური ანუ საბაზრო კონკურენციის ფორმით გამოდის.

**კონკურენციის ანალიზის საფუძველზე გასაყიდი ფასის დადგენა** – ამ დროს აუცილებელია კონკურენტული უპირატესობის მიღწევა შეუძლიათ არა მარტო ფასების მეშვეობით, არამედ მიწოდების სხვა ფაქტორებითაც, კერძოდ: ხარისხი, სერვისი, რეკლამა და ა.შ. კონკურენციის ანალიზის დროს საჭიროა მომხმარებლისათვის ყოველი ამ ფაქტორის მნიშვნელობის დადგენა.

**კონკურენციის საბაზრო სტრატეგიები** – ამ სტრატეგიებს მიეკუთვნება: 1. თვითღირებულების შემცირების სტრატეგია; 2. პროდუქციის დიფერენცირების სტრატეგია; 3. ბაზრის სეგმენტაციის სტრატეგია; 4. ინოვაციის (სიახლეთა შექმნისა და დანერგვის) სტრატეგია; 5. ბაზრის მოთხოვნილებებზე დაუყოვნებლივი რეაგირების სტრატეგია.

**კონკურენციის სტრატეგია** – ითვალისწინებს პროდუქციის წარმოების, ინდივიდუალიზაციისა და ხარისხის ამაღლების ხარჯების შემცირებას, აგრეთვე კონკრეტულ ბაზრებზე საქმიანობის ახალი სექტორების განსაზღვრას.

**კონკურენციული ბაზარი** – (competitive market) ბაზარი, სადაც მრავალი წვრილი გამყიდველი და მყიდველია. ისინი ახორციელებენ თავიანთ ოპერაციებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და არ შეუძლიათ არსებითი გავლენა მოახდინონ ფასზე.

**კონოსამენტი** – (bill of lading; ფრანგ. საკონსულტაციო - connaissement) ხელწერილი, რომელსაც გასცემს გემის კაპიტანი (ან საზღვაო სატრანსპორტო საწარმოს აგენტი) ტვირთის ზღვით გაგზავნისა და მიღების დასადასტურებლად.

**კონოსამენტი** – გემის მფლობელის მიერ ტვირთის გაგზავნაზე გაცემული დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს საზღვაო გადაზიდვებისათვის ტვირთის მიღებას.

კონოსამენტი ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას: 1. ადასტურებს გემის მფლობელის გადამზიდავის მიერ გადაზიდვისათვის ტვირთის მიღების ფაქტს. იგი გემის მფლობელის ან მისი უფლებამოსილის ოფიციალური

ხელწერილია (ქვითარია), რომელიც ადასტურებს, რომ გარკვეული სახის, რაოდენობისა და მდგომარეობის საქონელი ჩატვირთულია გემში დანიშნულების დადგენილ ადგილში გადასაზიდად ან გემის მფლობელის მიერ საქონელი მიღებულია გადაზიდვისათვის. კონოსამენტზე აუცილებლად უნდა იყოს სანაოსნო კომპანიის მითითება „ტვირთი ბორტზეა“, ან „ტვირთი ჩატვირთულია“, ან „ტვირთი მიღებულია ჩასატვირთად“. 2. საქონელი განმკარგულებითი დოკუმენტია, რომელიც ორიგინალის მფლობელს აძლევს მისი განკარგვის უფლებას გადასაცემი წარწერის გზითა და კონოსამენტის წარდგენით. კონოსამენტი საქონლის სიმბოლოა ან მისი გასაღებია. სავაჭრო წეს-ჩვეულებებით მისი ფლობა საქონლის ფლობის ანალოგიურია, ამიტომ კონოსამენტის გადაცემა საქონლის გადაცემის შედეგის ანალოგიურია. 3. ადასტურებს ზღვით ტვირთის გადაზიდვაზე ხელშეკრულების დადების ფაქტს, რომლის თანახმად გადამზიდავი კისრულობს დოკუმენტების წარდგენის სანაცვლოდ ტვირთის მიწოდებას.

**კონოსამენტი** – კონოსამენტი გაცემულია გადამზიდავის მიერ, რომელიც ადასტურებს ტვირთის მიღებას გადაზიდვაზე ვალდებულებით მოიტანოს იგი დანიშნულების პორტში და გადასცეს კონოსამენტის კანონიერ მფლობელზე. კონოსამენტი ხაზობრივ ნაოსნობაში წარმოადგენს საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებას, გამოდის გადამზიდავის ხელმოწერის სახით ტვირთისა და საქონლის განმკარგულებელი დოკუმენტის მიღებაში. კონოსამენტები არის შემდეგი სახის: 1) სახელობითი, რომელშიც მითითებულია ტვირთის განსაზღვრული მიმღები; 2) ორდერული, რომელიც შეიცავს მითითებას - „გამგზავნის ბრძანებით“, ან და „მიმღების ბრძანებით’’. 3) წარმდგენზე.

**კონოსამენტი** – ფაქტობრივად, გემის მფლობელის მიერ საქონლის მიღების დამადასტურებელი ქვითარია, რომელშიც გამეორებულია ხელშეკრულების პირობები.

**კონოსამენტი** – ხელწერილი, რომელსაც გემის კაპიტანი (ან სანაოსნო სააგენტოს წარმომადგენელი) იძლევა გადასაზიდი ტვირთის შესახებ. კონოსამენტი ამ შემთხვევაში საქონლის განკარგულებით ფუნქციას ასრულებს. გავრცელებულია საგარეო ვაჭრობაში.

**კონოსამენტის გაცემის დრო და ადგილი** – ასეთი დრო განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით (რიცხვით, თვით, წლით). კონოსამენტი წარმოადგენს საქონლის განმკარგველ დოკუმენტს, მისი თარიღი ასრულებს მნიშვნელოვან როლს მთლიანობაში რიგ სხვა საგარეო ვაჭრობის დოკუმენტებთან – ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესრულება, დაზღვევა, მაგალითად, ჩვეულებრივ ტვირთგამგზავნის მიერ კონტრაქტის შესრულების ვადა განისაზღვრება გემზე საქონლის დატვირთვის თარიღით, კონოსამეტის თარიღი გათვალისწინებულია აკრედიტივის გახსნის დროს.

**კონსალტინგი** – (საკონსულტაციო - consulting) სამმართველო კონსულტირება, განხორციელებული სპეციალიზებული კომერციული ფირმების მიერ წარმოების მართვის ორგანიზაციისა და სრულყოფის სფეროში ახალშექმნილი საწარმოების საქმიანობის დაფუძნების, მარკეტინგული კვლევის მიზნით. საკონსალტინგო ფირმები მსხვილი კომპანიების დაკვეთით აანალიზებენ ამ კომპანიების წარმოების ორგანიზაციისა და მართვის შესაბამისობას, მათი საქმიანობის შედეგებს, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს მათი განვითარების გრძელვადიან კონფიდენციას და ბიზნესგეგმას, ამზადებენ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას შვილობილი კომპანიების შესაქმნელად და ა.შ. კონსულტანტები ჩვეულებრივ ისეთი სპეციალისტები არიან, რომლებსაც, თეორიულ ცოდნასთან ერთად, აქვთ დიდი პრაქტიკული გამოცდილება მენეჯმენტის, მარკეტინგის და ა.შ. სფეროში. საკონსალტინგო ფირმებთან ერთად სამმართველო კონსულტირების სფეროში მომსახურებას ეწევიან სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი

ორგანიზაციები, რომლებსაც ამ მიზნით ჩამოყალიბებული აქვთ სპეციალური განყოფილებები და სამსახურები. საკონსალტინგო ფირმები მომსახურებას ეწევიან ფასწარმოქმნის სფეროში, პროექტის შედგენით ისინი მონაწილეობენ რესურსების მიმწოდებლებსა და პროდუქციის დამამზადებლებს შორის, აგრეთვე, მათ შეკვეთებთან ხელშეკრულების დადებაში. საკონსალტინგო ფირმების მომსახურება მნიშვნელოვნად ამცირებს მაღალკვალიფიციური საკონსულტაციო დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. კონსალტინგი, ინჟინერინგთან და აუდიტთან ერთად, საბაზრო ინფრასტრუქტურის აუცილებელი ელემენტია.

**კონსალტინგი** – ბანკის კლიენტისათვის დამატებითი სერვისული მომსახურებაა, რაც გულისხმობს კლიენტებისათვის კონსულტაციების გაწევას, ხასიათის, სახეების, ხერხების და მოცულობის მიხედვით.

**კონსენსუსი** – სადავო საკითხებზე საერთო შეთანხმება, რომელზეც მიდიან სხვადასხვა ფორუმის (მოლაპარაკებების) მონაწილენი.

**კონსერვატიზმის პრინციპები** – ამ პრინციპების მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვა არ უნდა იძლეოდეს ფინანსური მდგომარეობის გაუმართლებელ ოპტიმისტურ შეფასებას. ეს პრინციპი მოიცავს ორ პირობას: 1. ქონების ზრდის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი წარმოადგენს სრულიად განსაზღვრულ მოვლენას და 2. ქონების შემცირების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი წარმოადგენს სრულიად შესაძლებელ მოვლენას.

**კონსიგნანტი** – (consignor; ლათ. დოკუმენტი - consignatio) საქონლის მფლობელი, რომელიც საზღვარგარეთ ყიდის საქონელს კონსიგნატორის (კომისიონერის) მეშვეობით.

**კონსიგნაცია** – ისეთი დოკუმენტი, რომლის მიხედვით კომისიონერი საქონლის მფლობელის დავალებით ახდენს ამ საქონლის რეალიზაციას. ძირითადად გავრცელებულია

საგარეო ვაჭრობაში. საქონლის მფლობელს კი კონსიგნატს უწოდებენ.

**კონსიუმერიზმი** – მოქალაქეთა და სახელმწიფო დაწესებულებათა ორგანიზებული მოძრაობა მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. ძირითადად იგი გულისხმობს ზემოქმედების გაძლიერებას საქონლის (მომსახურების) მწარმოებლებსა და გამყიდველებზე. ამ მიზნით ბევრ ქვეყანაში შექმნილია მომხმარებელთა საზოგადოებები (ასოციაციები) და 15 მარტი აღინიშნება როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის მსოფლიო დღე. 1985 წ. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა «სახელმძღვანელო პრინციპები მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის».

**კონსიუმერიზმი** – სამომხმარებლო ბაზარზე მომხმარებლების უფლებათა დაცვის მიზნით ორგანიზაციული ღონისძიებები, რომლებსაც მოქალაქეები, ნებაყოფლობითი ორგანიზაციები და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ.

**კონსოლიდირებული ვალი** – (consolidated duty) ტრადიციულად ეს ტერმინი გამოიყენება სახელმწიფო ვალის იმ ნაწილის გამოსახატავად, რომელსაც არა აქვს დაფარვის ვადები. ამასთან, უკანასკნელ პერიოდში მისი გამოყენება დაიწყო უფრო ფართო მნიშვნელობით, სახელდობრ, მოიცავს ვალს საშუალო და გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების ფორმით, ანუ მთელ ვალს მიმდინარე დავალიანების გარდა.

**კონსოლიდირებული ფინანსური ან**გარიშგება – არის ერთი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების სახით წარმოდგენილი საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება.

**კონსორციუმი** – (consortium; ლათ. თანამონაწილეობა - consortium) კომპანიების ან ბანკების დროებითი შეთანხმება, გაერთიანება სესხის ერთობლივი გავრცელებისთვის, ფართო მასშტაბის ფინანსური ან კომერციული ოპერაციების ჩატარებისათვის, მსხვილი სამრეწველო მშენებლობის განხორციელებისთვის და ა.შ.

**კონსორციუმი** – გარკვეული საფინანსო ოპერაციის შესასრულებლად რამდენიმე ბანკის ან მსხვილი სამეურნეო სისტემების შეთანხმება. მაგალითად ერთობლივი ფასიანი ქაღალდის გამოშვება, სხვადასხვა სახის მონოპოლური შეთანხმებანი და სხვ.

**კონსტრუქციის ხარისხი** – ხარისხის კონცეფცია, რომელიც ასახავს საკუთრივ კონსტრუქციის ხარისხის დონეს.

**კონტეინერი** – სატრანსპორტო მოწყობილობის ელემენტი. კონტეინერების სრული დასახელება მოცემულია უსაფრთხო კონტეინერების კონვენციაში (1972წ.). კონვენციამ განსაზღვრა საგარეო ვაჭრობაში გამოყენებული კონტეინერების აგებისა და ექსპლუატაციისადმი წაყენებული მოთხოვნები. კონტეინერიზაციის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ტვირთების გადაგზავნა წარმოებს გამსხვილებულ, სტანდარტულ სატვირთო ადგილებში – კონტეინერებში და არ ექვემდებარება გზაში გადატვირთვას. ამრიგად მიიღწევა განსაზღვრული ეკონომიკური ეფექტი. კონტეინერებზე სტანდარტებს ამუშავებს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ISO. ტექნიკურმა კომიტეტმა 104ISO დაამუშავა და რეკომენდირებულია გამოსაყენებლად საერთაშორისო ვაჭრობაში 7 ძირითადი სტანდარტი.

**კონტეინერის მანიფესტი** – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს კონკრეტული სატვირთო კონტეინერის ან სხვა სატრანსპორტო ერთეულის შემადგენლობის ჩამონათვალს. მანიფესტის მომზადება ეკისრება კონტეინერში ან სატრანსპორტო ერთეულში ტვირთის ჩატვირთვაზე პასუხისმგებელ მხარეს.

**კონტეინერული სატრანსპორტო სისტემა** – ესაა ორგანიზაციულ-ტექნიკური კომპლექსი, რომელიც მოქმედებს დაგეგმვის ერთიანი სისტემის საფუძველზე, გადაზიდვების ორგანიზაციის უნიფიცირებული ტექნოლოგიური და სამართლებრივი ნორმების საფუძველზე და ურთიერთშეთანხმებული სტანდარტული პარამეტრების საფუძველზე კონტეინერების დატვირთვა-განტვირთვისა და სატრანსპორ-

ტო საშუალებების საფუძველზე, რომლებიც უზრუნველ-ყოფენ ტვირთების გადაზიდვას მზიდავი ტრანსპორტის ყველა სახის მალფუჭებადი უწყვეტი სქემების საფუძ-ველზე წარმოების ადგილიდან მოხმარების ადგილამდე.

**კონტეინერული სატრანსპორტო სისტემა (კსს)** – წარმოადგენს ტექნიკურ საშუალებებს ობიექტების (ტვირთბრუნვის) ტვირთების გადაზიდვების ტექნოლოგიის ერთობლიობა გამსხვილებული სატრანსპორტო მოდელებში და ამ გადაზიდვების საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის და მართვის სისტემებში.

**კონტექსტი (content)** – 1. ტექსტი, ნახატები, ბგერა; 2. სტრუქ-ტურა და დიზაინი.

**კონტინგო** – საქონლის ღირებულებაზე ადრე შეთანხმებასა და შესყიდვის მომენტში არსებულ ფასებს შორის სხვაობა (უკანასკნელის გადიდების შემთხვევაში).

**კონტოკორენტული კრედიტი –** განკუთვნილია მსესხებლის საბრუნავი აქტივების ჩამოსაყალიბებლად.

**კონტრაბალანსი –** ცხრილი, რომელიც შედგენილია საბუღალ-ტრო აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე საბუღალტრო ბალანსის შემოწმებისა და ანალიზისათვის.

**კონტრალური ანგარიშები** – ისეთი მარეგულირებელი ანგარი-შებია, რომელთაც შესწორება შეაქვთ სხვა რომელიმე ანგარიშში მათი შეფასების შემცირების მიმართებით.

**კონტრაგენტი –** (counterpart; ლათ. მომრიგებელი - contrahens) 1. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარე მეორის მიმართ; 2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აღებული აქვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ესა თუ ის ვალ-დებულება.

**კონტრაქტი –** წერილობით ხელშეკრულება, რომელიც განსაზ-ღვრავს მისი დამდები მხარეების (ექსპორტიორთა და იმპორტიორთა ანუ გამყიდველთა და მყიდველთა) ვალ-დებულებებს. ე.ი. ესაა დოკუმენტი, რომელშიც აისახება საქონლის ან მომსახურების საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით ყველა მომენტი.

**კონტრაქტი (ლათ.)** – წერილობითი ან ზეპირი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდები მხარეების ვალდებულებებს.

**კონტრაქტის დებულებანი შედგება ძირითადი და დამატებითი ნაწილებისგან** – ძირითად ნაწილში მოთავსებულია: კონტრაქტის ხასიათი, სახე და ვადა, შრომის პირობები და ანაზღაურება, დამატებითი ნაწილი კი დაკავშირებულია შრომითი პროცესისა და სოციალური გარანტიების ორგანიზაციის სხვადასხვა მომენტებთან.

**კონტრაქტის შესრულება** – კონტრაქტის შესრულებისას შეიძლება წარმოიშვას მისი ნორმალური შესრულების შემაფერხებელი განსაკუთრებული გარემოებანი, რომელთა წინასწარ განჭვრეტა და თავიდან აცილება შეუძლებელია. ასეთ გარემოებებს ფორსმაჟორული ეწოდება. ფორსმაჟორულ მოვლენებს მიეკუთვნება: მიწისძვრები, წყალდიდობები, ხანძრები, ქარიშხლები, ეპიდემიები, საომარი მოქმედებები, გაფიცვები და სამთავრობო ღონისძიებები, რომლებიც ხელს უშლიან ვალდებულებათა შესრულებას.

**კონტრაქტული ერთობლივი საწარმოები** – ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში უცხოეთის ინვესტიციების მიზიდვის ფორმა, რომელიც გულისხმობს ქონებრივი კომპლექსების შექმნას იურიდიული პირის გარეშე. მათში შემოსავალი ნაწილდება არა საწესდებო კაპიტალში წილის შესაბამისად, არამედ მხარეთა მორიგების მიხედვით.

**კონტრაქტული საწყობი** – კონტრაქტული საწყობი თავის თავში აერთიანებს კერძო და საზოგადოებრივ საწყობების საუკეთესო ნიშნებს, ავტომატური იდენტიფიკაციის ფუნქცია WMS სისტემის დანერგვის მაგალითზე.

**კონტროკორენტი** - ერთიანი ანგარიში, რომელზეც აღირიცხება ბანკის ყველა ოპერაცია კლიენტებთან. კონტროკორენტზე აღნიშნულია, ერთი მხრივ, ბანკების სესხები და კლიენტის დავალებით ანგარიშიდან ყველა გადასახდელი, ხოლო მეორეს მხრივ – საშუალებები, რაც შემოდის ბანკში

კლიენტებიდან ანაბრების, სესხების დაბრუნების და სხვა სახით.

**კონტროკორენტი** – ერთიანი ანგარიშის ფორმა, რომელზეც აღირიცხება ბანკის კლიენტებთან ყველა სახის ოპერაციები, როგორც შემოსული ანაბრების და გადასახადების, ასევე ანგარიშიდან ყველა სახის გასავლები.

**კონტროლზე ორიენტირებული ქცევა** – მუშაკების მისწრაფება – მეტი ძალისხმევა მოახმარონ საქმიანობის იმ სფეროებს, რომლებსაც ხელმძღვანელობა მკაცრად აკონტროლებს და უყურადღებოდ დატოვონ ის სფეროები, რომლებიც ნაკლებად კონტროლდება.

**კონტროლი** – პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევას.

**კონტროლი** – 1. სხვის პოლიტიკაზე ან ბიზნესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ცალკე თუ სხვებთან ერთად, ხმის მქონე აქციების გამოყენებით თუ ნებისმიერი სხვა გზით ძლიერი ზეგავლენის მოხდენა. 2. გეგმის ფაქტიურად შესრულებაზე მეთვალყურეობის პროცესი, ამ ეტაპზე ბუღალტრულმა აღრიცხვამ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, რომელიც მოიცავს გეგმასთან ფაქტიური ხარჯებისა და შემოსავლების შედარებას. 3. კომერციული ბანკის, არასაბანკო, სადეპოზიტო დაწესებულებების საქმიანობაზე და ამ საქმიანობიდან გამომდინარე გადაწყვეტილებებზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უშუალოდ თუ სხვებთან ერთად, ხმის უფლების მქონე აქციების (წილის, პაის) გამოყენებით თუ სხვა გზით ზეგავლენით მოხდენა. 4. მარკეტინგის გეგმის საბოლოო განყოფილებაში გათვალისწინებულია გეგმის შესრულების კონტროლის ღონისძიებები. ფირმის ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აჯამებს გეგმის შესრულების შედეგებს. 5. მენეჯმენტში ერთ-ერთი ძირითადია კონტროლი, რომელიც უზრუნველყოფს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას შესაბამისი ინფორმაციის, რეზერვის

ამოქმედებას. საწარმოს კონტროლის ფუნქციას, როგორც წესი ასრულებს მენეჯერები, ხოლო პერიოდულად საჭიროების მიხედვით ცალკეული სპეციალისტები. 6. ორგანიზაციის მიზნების მიღწევაში დიდია კონტროლის როლი. მუშაობის პროცესში ბევრი რამ შეიცვალოს, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ. 7. სტანდარტების დადგენას, მიღწეული შედეგების გაზომვისა და დადგენილი სტანდარტების დაცვას გულისხმობს. განასხვავებენ კონტროლის სამ ძირითად სახეს: წინასწარ, მიმდინარე და დასკვნით კონტროლს.

**კონტროლი დოკუმენტური** – კონტროლი, რომელიც დოკუმენტის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ტარდება.

**კონტროლი პარამეტრული** – დადგენილი ნორმებისადმი ობიექტის, პროცესის პარამეტრების შესაბამისობის შემოწმება.

**კონტროლიდაციის პრინციპი** – გულისხმობს, რომ ანგარიშგებას ადგენენ მთლიანად ბანკის მიხედვით მისი შვილობილი და ერთობლივი ორგანიზაციების გათვალისწინებით, ურთიერთგადახდებისა და დაბანდებების გამოკლებით.

**კონტროლინგი** – 1. მენეჯმენტის კონცეფციაა, რომელიც ბანკის ყოველგვარი საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლისკენაა მიმართული. იგი წმინდად ისახავს სტრატეგიული მიზნების წარმატებით მიღწევას. 2. ყველა იმ ამოცანის ერთობლიობაა, რომელთა საგანს წარმოადგენს საწარმოში მართვის კოორდინაცია, აგრეთვე, სამმართველო პერსონალის მომარაგება ინფორმაციით საწარმოს მიზნების ოპტიმალური მიღწევის უზრუნველყოფისათვის.

**კონტროლიორი** – პირი, რომელსაც აქვს უფლებამოსილება, გააკონტროლოს, შეამოწმოს ორგანიზაციების, დაწესებულებების, სახელმწიფო ორგანოების მოქალაქეთა მოქმედების სისწორე, დასაბუთებულობა, კანონიერება.

**კონტროლის ადეკვატურობა** – ოპერაციათა მცირე რაოდენობის რაოდენობის პატარა ბანკები ობიექტურად მოითხოვენ მხოლოდ ტექნოლოგიურ ზედამხედველობას, მაშინ როცა

მსხვილ და საშუალო ბანკები მოითხოვენ სიღრმისეულ ანალიზს.

**კონტროლის ინფორმაცია** – ახდენს წარსულის ფაქტობრივი შედეგების შედარებას დასახულ მიზნებთან. ესენია:

- ცვლად დანახარჯებში წარმოშობილი გადახრების ანალიზი;
- რეალიზაციის გადახრის ანალიზი;
- წარმოების ეფექტიანობის ანალიზი;
- სამუშაო კაპიტალის ანალიზი.

**კონტროლის პროფესიონალიზმი** – ზედამხედველობის ეფექტური წარმოებისათვის კარგად უნდა გავიგოთ ბანკების ბიზნესის ხასიათი, თავისუფლად ვერკვეოდეთ მის ტენდენციებში და ამის საფუძველზე გააანალიზებდეს ბანკის მიერ გასატარებელი ორგანიზაციები.

**კონტროლის პროცესი** – პირველ ეტაპზე უნდა განისაზღვროს სტანდარტები და კრიტერიუმები; მეორე ეტაპზე – სტანდარტები და კრიტერიუმები შედარებულ უნდა იქნას ფაქტობრივ შედეგებთან; მესამე ეტაპზე – გატარებულ უნდა იქნას მაკორექტირებელი ზომები.

**კონტროლის რისკი –** არის რისკი იმისა, რომ კონტროლი სტრუქტურებში და პროცედურებში ვერ უზრუნველყოფენ არსებითი შეცდომების დროულად არიდებას ან მათ აღმოჩენას.

**კონტროლის სისტემა –** საქმიანობაზე კონტროლი, ძლიერია ის თუ სუსტი, მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურასთან. ის მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელმძღვანელობის დისტანციასა და კომპანიის საქმიანობის ხასიათზე.

**კონტროლის ფაზები –** მაჩვენებელთა გეგმიური სიდიდეების განსაზღვრა; მაჩვენებლების ფაქტიური სიდიდეების განსაზღვრა; მაჩვენებელთა ფაქტიურ და გეგმიურ სიდიდეთა შედარება (გადახრის გამოვლენა); გადახრის მონაცემების ანალიზი.

**კონტრსტადია** – გემის ყოფნის დრო, დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა ქვეშ განპირობებული დროზე ზევით.

**კონფერენციალური ხაზი** – მომსახურება წარმოებს იმ გემთმფლობელობის მიერ, რომლებიც წარმოადგენენ ხაზობრივი ხელშეკრულების (კონფერენციის) მონაწილეებს. ასევე იცავენ საზღვაო გადაზიდვების მოცემულ მიმართულებებზე კონფერენციის ტარიფებსა და წესებს.

**კონფიდენციალობა** – (ინფორმაციის შინაარსისა და სისრულის შეზღუდვა, ისევე, როგორც საინფორმაციო ნაკადების სახეებისა და დოკუმენტთა ტიპების იერარქიაში ადგილის, პერსონალის უფლებამოსილების, ასევე საბანკო მენეჯმენტის გარემოში სუბიექტის ადგილის შესაბამისად). ჩამოყალიბებული და რეალიზებული საბანკო პოლიტიკის მასშტაბებისა და სისრულის შესაბამისად, მისი სტრუქტურა შეიძლება შეიცავდეს შემდეგ შემადგენელ ნაწილებს: საკრედიტო პოლიტიკა; სადეპოზიტო პოლიტიკა; ფასების პოლიტიკა; რისკების პოლიტიკა; საინვესტიციო პოლიტიკა; გირავნობის პოლიტიკა; პრობლემურ კრედიტებთან მუშაობა სტრუქტურირება და დივერსიფიკაციის პოლიტიკა; ლიკვიდობის დაცვის პოლიტიკა; სანქციების პოლიტიკა.

**კონფისკაცია** – (confiscation; ლათ. confincation) ქონების, ფულისა და სხვა ფასეულობების იძულებითი, უსასყიდლოდ ჩამორთმევა და სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ადმინისტრაციული აქტით სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა.

**კონფლიქტები** – ცალკეული ადამიანის ფსიქიკაში, ადამიანებსა და ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებების ურთიერთდამოკიდებულებებში ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებების ტენდენციების შეჯახება ორგანიზაციაში კონფლიქტები გამოვლინდება ადამიანთა განსაზღვრული ქცევითი და მოქმედებებით, რომლებიც ხშირად გადაიზრდებიან სხვის საქმეში ჩარევაში. კონფლიქტების სახეებია: საერთო (ეხება მთელ ორგანიზაციას), ნაწილობრივი (ვრცელდება ორგანიზაციის გარკვეულ ნაწილზე), უვნე-

ბელი, საზიანო, რაციონალური, მშვიდობიანი, არამშვიდობიანი, მოკლევადიანი, გრძელვადიანი.

**კონფლიქტების გადაჭრის სტრუქტურული მეთოდები** – კონფლიქტების გადაჭრის ოთხი მეთოდი: თანამდებობრივ მოვალეობებთან დაკავშირებული პერსპექტივების დაზუსტება; კოორდინაციის და ინტეგრაციის მექანიზმების გამოყენება; ახალი, უფრო რთული მიზნების გამოყენება; ახალი, უფრო რთული მიზნების დასახვა; წახალისების მექანიზმის გამოყენება.

**კონფლიქტების მართვის მეთოდი** – კონფლიქტში მყოფი მხარეების ქცევის ნიშნის მიხედვით არსებობს კონფლიქტების მართვის შემდეგი მეთოდები: შიგა პიროვნული, სტრუქტურული, პიროვნებათაშორისი, მოლაპარაკებები, საპასუხო აგრესიული მოქმედებები.

**კონფლიქტების პოზიციურ შედეგებად** – ითვლება ყველა მხარისათვის მისაღები საშუალებებით პრობლემების ისეთგვარი გადაწყვეტა, რომელიც ამტკიცებს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას, ხელს უწყობს კოლექტივის დარაზმულობას და მათ წევრთა ნორმალურ ურთიერთთანამშრომლობას, ამცირებს ანტაგონიზმს და ა.შ.

**კონფლიქტებისა და სტრესების მართვა –** მასში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ორგანიზაციაში ისეთი სიტუაციის შექმნა, რომელიც თავიდან აგვაცილებს კონფლიქტებს, აგრეთვე, წარმოშობილი კონფლიქტების კონსტრუქციული გადაწყვეტა.

**კონფლიქტი** – სუბიექტების შეჯახება, რომელიც გამოწვეულია მიზნებისა და ინტერესების, პოზიციების ან შეხედულებების ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით. კონფლიქტი (კონფლიქტური სიტუაცია) როგორც სოციალურ-შრომითი ურთიერთობების ტიპი, შრომითი ურთიერთობებში წინააღმდეგობათა გამწვავების უკიდურესი ფორმაა.

**კონფლიქტი** – უთანხმოება ორ, ან მეტ მხარეს (პიროვნებას, ჯგუფს) შორის, როდესაც ყოველი მხარე ცდილობს მოახ-

დინოს ისე, რომ მიღებულ იქნეს სწორედ მისი შეხედულებები ან მიზნები და ხელი შეუშალოს მეორე მხარეს იგივეს გაკეთებაში.

**კონფლიქტი დისფუნქციური** – კონფლიქტის სახესხვაობა, რომელიც უმეტესად ნეგატიურ ფუნქციას ასრულებს. დისფუნქციურ კონფლიქტს მისი მონაწილეებისათვის მოაქვს მნიშვნელოვანი ემოციური, მატერიალური და სხვა დანაკარგები. მას არ ახლავს არავითარი დადებითი შედეგი.

**კონფლიქტი შრომითი** – სოციალური კონფლიქტის სახესხვაობა, რომლის მიზეზი შეიძლება იყოს წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ პარამეტრებთან დაკავშირებული გარემოებანი, აგრეთვე, ორგანიზაციის საქმიანობის ადმინისტრაციულ-მმართველობითი და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები. შრომით კონფლიქტს აქვს გამოვლენის სხვადასხვა ფორმა: დუმილი, უკმაყოფილება, ღია უკმაყოფილება, ჩხუბი, გაფიცვა, შრომითი დავა და სხვა.

**კონფლიქტოლოგია** – კონფლიქტების წარმოშობის, განვითარებისა და გადაწყვეტის (დარეგულირების) კონცეფცია.

**კონფორმიზმი** – ლათინური სიტყვა. მისი პირდაპირი თარგმანია – მსგავსი, მიმსგავსებული. კონფორმიზმში იგულისხმება კოლექტივის წევრების მიერ ჯგუფში გაბატონებული წესებისა და შეხედულებების უყოყმანოდ გაზიარება, დამოუკიდებელ აზრსა და მოქმედებებზე უარის თქმა და კოლექტივის საერთო ინტერესებზე მთლიანად მორგება.

**კონფორმისტები** – ადამიანები, რომლებიც იზიარებენ ჯგუფის პოზიციებს ან ეთანხმებიან მას, რადგან ერიდებიან კონფლიქტს კოლექტივთან.

**კონფრომიზმი** – კოლექტივის წევრების მიერ ჯგუფში გაბატონებული წესისა და შეხედულებათა უყოყმანოდ მიღება და დამოუკიდებელ აზრსა და მოქმედებაზე უარის თქმა და კოლექტივის საერთო ინტერესების მთლიანად მორგება.

**კონფრონტაცია –** (confrontation; ლათ. წინააღმდეგ - con + ჯიქურ, ფრონტი – frons (frontis) 1. წინააღმდეგობა, დაპირისპირება,

შეჯახება (სოციალური სისტემების, კლასთა ინტერესების, იდეურ-პოლიტიკური პრინციპების და ა.შ.). 2. წინააღმდეგობრიობა, შეჯახება, აგრესიულობა, რომლებიც იწვევენ აქტიურ წინააღმდეგობრივ მოქმედებებს.

**კონცენტრაცია** – (concentration; ლათ. concentration cone + ცენტრი, შუაგული - centrum) 1. თავმოყრა; წარმოების კონცენტრაცია - მოცემული წარმოების მოცულობის ზრდა მასში წარმოების ფაქტორების ზრდის კვალობაზე. 2. თავმოყრა, გამსხვილება.

**კონცენტრაციის აგრეგატული მაჩვენებელი** – (aggregate concentration) ეკონომიკის მოცემულ სექტორში ან მთელ ეკონომიკაში წარმოების რამდენიმე უმსხვილეს კორპორაციად კონცენტრირების ხარისხი.

**კონცენტრაციის სტრატეგია** – ფირმის მენეჯმენტის ყურადღების ცენტრშია ბაზრის ერთი ან რამდენიმე ვიწრო სეგმენტი. ფირმის ხელმძღვანელობა კარგად ფორმირებულია მომხმარებელთა საჭიროების შესახებ და თავის საქმიანობაში იყენებს ლიდერის პოზიციების ან დიფერენცირების სტრატეგიას. ცნობილია, რომ ფირმა Airwalk-shoes ფრიად პოპულარული გახდა აშშ-ში იმის გამო, რომ დაიკავა ძალიან ვიწრო სეგმენტი – ფეხსაცმლისა, სპორტის ექსტრემალური სახეების მოყვარულთათვის.

**კონცენტრირებული დივერსიფიკაცია** – ასორტიმენტის შევსება ახალი ნაკეთობით, რომლებიც ტექნიკური ან მარკეტინგული თვალსაზრისით ჰგვანან ფირმაში არსებულ საქონელს.

**კონცენტრირებული მარკეტინგი** – მარკეტინგული ძალების კონცენტრაცია ერთ ან რამდენიმე სუბბაზრის დიდ ნაწილზე, დიდი ბაზრის უმნიშვნელო ნაწილში მათი თავმოყრის საპირისპიროდ.

**კონცენტრული სასაქონლო პოლიტიკა** – ითვალისწინებს საექსპორტო ასორტიმენტში ისეთი ახალი საქონლის ჩართვას, რომელიც ტექნოლოგიური და (ან) საბაზრო

თვალსაზრისით შეხამებული იქნება უკვე არსებულ საქონელთან და მიიზიდავს ახალ მომხმარებლებს.

**კონცერნი** - **(concern)** იმ სამრეწველო, საფინანსო და სავაჭრო საწარმოების გაერთიანება, რომლებიც სამეცნიერო-ტექნოლოგიური, საინვესტიციო, საფინანსო, საგარეო-ეკონომიკური და სხვა ფუნქციების ნებაყოფლობითი ცენტრალიზაციის საფუძველზე, ერთობლივ საქმიანობას ეწევიან. კონცერნის საქმიანობის ორგანიზაციისათვის იქმნება მმართველობის სისტემა, რომელსაც კონცერნის წევრები ნებაყოფლობით გადასცემენ თავიანთი უფლებამოსილებისა და ფუნქციების ნაწილს. კონცერნის წევრები არ შეიძლება ერთდროულად შედიოდნენ სხვა კონცერნების შემადგენლობაში.

**კონცერნი** – კომბინირებული მონოპოლიის უმაღლესი ფორმა, რომელიც აერთიანებს როგორც მოცემულ ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ ფუნქციონირებად მრეწველობის სხვადასხვა დარგის ტექნიკურ-ტექნოლოგიურად ურთიერთდაკავშირებულ საწარმოებს, სატრანსპორტო, სავაჭრო და სხვა სამეურნეო ერთეულებს. კონცერნი არის სამრეწველო მონოპოლიის პოზიტიური და ხელსაყრელი ფორმა, რომელიც ქმნის 1. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების; 2. რესურსების რაციონალურად განაწილების; 3. ბაზარზე მართებული რეაგირებისა და მთელი სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის დიდ შესაძლებლობებს.

კონგლომერატი კონცერნის განსაკუთრებული ნაირსახეობაა. იგი აერთიანებს ათეულობით წვრილ და საშუალო საწარმოს, აგრეთვე ეკონომიკის სხვა სფეროებში მოქმედ კომპანიებსა და სხვა სამეურნეო ობიექტებს, რომელთაც ერთმანეთს შორის საწარმოო და სხვა ფუნქციონალური კავშირი არა აქვთ. ისინი არსებითად დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ და კონგლომერატის შტაბ-ბინა აკონტროლებს მხოლოდ მათი ფინანსური მაჩვენებლების მცირე ნაწილს.

**კონცესია** – (concession; ლათ. ნებართვა, დათმობა - concessio) 1. ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო საექსპლუატაციოდ გადასცემს კერძო მეწარმეებს, უცხოურ ფირმებს განსაზღვრული ვადით სამრეწველო საწარმოებს ან მიწის ნაკვეთებს სხვადასხვა ნაკეთობათა მშენებლობის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ა.შ. უფლებით; 2. საზღაური, რომელსაც ბანკები ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ორგანიზაციისათვის იღებენ.

**კონცესიონერი** – (concessionaire) კონცესის მფლობელი, იურიდიული პირი, რომელმაც მიიღო კონცესია.

**კონცეფცია** – არის შეხედულებების სისტემა, პროცესების მოვლენის შესახებ ესა თუ ის გაგება.

**კოოპერატივი** – (cooperatives) არის ერთობლივი საწარმოს მართვის პირთა ასოციაცია, რომლებიც მათი უფლებებისა და ვალდებულებების საფუძველზე თავისი შიშისა და რისკის ქვეშ მას თვითონ ხელმძღვანელობენ. კოოპერატივის თითოეული წვრი, როგორც კორპორაციაშიც, საწარმოს საქმიანობაზე შეზღუდული პასუხისმგებლობა გააჩნია. მაგრამ კორპორაციისაგან განსხვავებით, კოოპერატივის თითოეულ წევრს ერთი ხმა აქვს, ხოლო შემოსავალი გაყიდვების ან მიწოდების იმ ნაწილის შესაბამისად ნაწილდება, რომლებიც კოოპერატივის თითოეულმა წევრმა გარკვეულ პერიოდში (ჩვეულებრივად წლის განმავლობაში) შეეძლო გამოემუშავებინა.

**კოოპერატივი** – არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

კოოპერატივს გააჩნია საწესდებო კაპიტალი, თუმცა მისი მინიმალური ოდენობა კანონით განსაზღვრული არ არის, მისი წევრები (მეპაიები) საკუთარი შრომის საფუძველზე უზრუნველყოფენ ერთმანეთის ინტერესების დაკმაყოფი-

ლებასა და კოოპერატივის მიზნების შესრულებას. თუმცა კოოპერატივიდან ცალკეული მეპაიეს გასვლა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს კოოპერატივის ლიკვიდაციის საფუძველი, თუ უმისოდ შეუძლებელი ხდება მიზნის მიმღწევი შრომითი ციკლის შენარჩუნება.

**კოოპერატივი** – არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული საზოგადოება, რომელიც შემოსავლის მიღებისა და წევრთა მეურნეობის განვითარების მიზნით არის შექმნილი. კოოპერატივის მიზანია მისი წევრების ინტერესთა დაკმაყოფილება და არა უპირატესად მოგების მიღება.

**კოოპერატივი** – კანონის „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“ 60,1 მუხლის თანახმად: კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე. კოოპერატივებს მიეკუთვნება: ა) ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოპოვებენ საკუთარი წევრებისათვის; ბ) სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები; გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივები); დ) მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები; ე) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები; ვ) სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები; ზ) სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკუ-

რი და სოციალური საფუძვლები რეგულირდება „სამომ-ხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ საქართველოს კანონით; თ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები; ი) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება – კანონით „საქარველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“, ან „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონით

კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

**კოოპერატიული მოდელის** ძირითადი ნიშნებია: – 1. რეგიონული ხელისუფლების შედარებით ფართო მონაწილეობა ეროვნული შემოსავლის გადანაწილებასა და მიკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში; 2. რეგიონული ხელისუფლების როლის ამაღლება საგადასახადო შემოსავლების განაწილების სისტემაში; 3. ჰორიზონტალური საბიუჯეტო გამოთანაბრების აქტიური პოლიტიკის გატარება, ცენტრის პასუხისმგებლობის ამაღლება რეგიონების სახელმწიფო დაფინანსების, ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, რაც განაპირობებს ცენტრის მხრიდან კონტროლის გაძლიერებასა და რეგიონული ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარკვეულ შეზღუდვას.

**კოოპერაცია –** (cooperation; ლათ. თანამშრომლობა - cooperatio) შრომის ორგანიზაციის ფორმა, რომლის დროსაც ადამიანთა დიდი ჯგუფი ერთობლივად მონაწილეობს ერთსა და იმავე ან განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ შრომის პროცესებში.

**კოოპერირება –** გარკვეული სახის პროდუქტის (პროდუქტების) ერთობლივად მწარმოებელ საწარმოთა შორის დამყარებულ ხანგრძლივ კავშირს.

**კოორდინატორი** – ადამიანი, რომელსაც აქვს ორგანიზატორული ნიჭი და ამის საფუძველზე მისი ცოდნისა და გამოცდილების მიუხედავად გვევლინება კოლექტივის ხელმძღვანელად. მისი მთავარი მოვალეობაა, შეძლოს მცოდნე და

გამოცდილ ადამიანებთან მუშაობა და მათი აქტივობა მიმართოს დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

**კოორდინატორის ფუნქცია** – ადამიანური რესურსების მენეჯერი კოორდინირებას უწევს პერსონალის ქმედებებს. ამ ვალდებულებას (ან ფუნქციურ კონტროლს). იგი ახდენს ფირმის ადამიანური რესურსების წესების და კანონების რეალიზაციას.

**კოორდინაცია** – სისტემის მუშაობის დაგეგმვისადმი ინტეგრირებული მიდგომა.

მატერიალური ნაკადების მართვის ურთიერთდაკავშირებული გეგმების დამუშავება;

ლოგისტიკური პროცედურის შესრულებაზე სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დამუშავება; ლოგისტიკური სისტემის ორგანიზაციის პრინციპების უფლებამოსილებათა განაწილება;

ლოგისტიკური სპეციალისტი თავისი თანამდებობით ოფიციალური უფლებამოსილებანი მას უფლებას აძლევს მიიღოს სამმართველო გადაწყვეტილებები, ლოგისტიკის სამსახურის თანამშრომლების აყვანისა და გათავისუფლების ჩათვლით.

ლოგისტიკის სპეციალისტს უნდა გააჩნდეს პიროვნული უფლებამოსილებანი, დაკავშირებული მის ინტელექტთან, გამოცდილებასა და უნართან დაამყაროს პიროვნებათშორისი ურთიერთობანი.

**კოორდინაცია** – ფირმის ყველა განყოფილების ჰარმონიული მუშაობის ორგანიზება.

**კორელაციის კოეფიციენტი** – ორის შემთხვევითი სიდიდის ერთობლივი განაწილების რიცხობრივი მახასიათებელი, რომელიც გამოხატავს მათი ურთიერთკავშირის სიმჭიდროვეს.

**კორპორატიული ვერტიკალური მარკეტინგული სისტემა** - (კვმს) სისტემა რომელშიც წარმოებისა და განაწილების თანმიმდევრული ეტაპები გაერთიანებულია ერთპიროვნულ ლიდერობაში.

**კორპორატიული საცალო ვალდებულებები** – იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციები, კომერციული ვექსილები და სხვ.

**კორპორაცია** – (Corporation გაერთიანება) სააქციო საზოგადოების ფორმა.

**კორპორაცია** – (corporation, public company; ლათ. გაერთიანება, საზოგადოება - corporatio) თანამედროვე მეწარმეობის, ბიზნესის ერთ-ერთი ორგანიზაციული ფორმა. მისი თანამესაკუთრეა აქციის მფლობელთა მრავალრიცხოვანი არმია, რომელსაც აკისრია შეზღუდული პასუხისმგებლობა. კორპორაციის აქციონერულ კაპიტალში თავისი წილის ოდენობის მიხედვით. კორპორაციის მთელი მოგება, რომელიც მის აქციონერებს ეკუთვნით, იყოფა ორ ნაწილად. ერთი ნაწილდება აქციის მფლობელებს შორის დივიდენდის სახით, მეორე კი ხმარდება რეინვესტირებას. ამ ფორმის ძირითადი უპირატესობაა ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით დამატებითი კაპიტალის მობილიზაციის შესაძლებლობა. საქმიანობას კორპორაცია წარმართავს მართვის მეცნიერულ მეთოდებსა და პროფესიულ მენეჯმენტებზე დაყრდნობით. მას აქვს შესაძლებლობა, სწრაფად გადავიდეს საქმიანობის ერთ-ერთი სახიდან მეორეზე. კორპორაცია ინარჩუნებს მემკვიდრეობას და მისი არსებობა არ არის დამოკიდებული აქციების გაყიდვის გამო თანამფლობელთა შეცვლაზე. ნაკლოვანებებიდან შეიძლება აღინიშნოს ის, რომ იგი ერთეულ მოგებაზე იხდის უფრო მაღალ გადასახადებს, ვიდრე ფირმის სხვა ორგანიზაციული ფორმები. იბეგრება როგორც კორპორაციის მოგება, ისე აქციონერთა დივიდენდი. კორპორაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში აქციის მფლობელი იღებს წილს, რომელიც მან შეიტანა ფირმის აქციონერულ კაპიტალში.

**კორპორაცია** – 1. გაერთიანება, კავშირი, საზოგადოება; 2. პირთა ერთობლიობა ერთობლივი განაწილების რიცხობრივი

მახასიათებელი, რომელიც გამოხატავს მათი ურთიერთ-კავშირის სიმჭიდროვეს.

**კორპორაციების შემოსავალი** – კორპორაციული შემოსავალი იბეგრება ორი მეთოდით: კლასიკური და ინტეგრალური მიდგომის საფუძველზე. კლასიკური მიდგომა გულისხ-მობს ყოველი კონკრეტული იურიდიული პირის შემოსავლის დაბეგვრას შემოსავლის მიღებისთანავე, ხოლო ინტეგრალური მიდგომა გამიზნულია ორმაგი და-ბეგვრის თავიდან აცილებაზე და ხორციელდება საგადა-სახადო კრედიტების ან გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთების საფუძველზე.

**კორპორაციის დაგროვილი შემოსავლები** – (retained earnings) არის დროის განმავლობაში მოცემული პერიოდისათვის მის შემოსავლებსა და ამ შემოსავლების მიღების გამომ-წვევი ხარჯებს შორის სხვაობა.

**კორპორაციის ეკონომიკური პოლიტიკა** გულისხმობს მისი საქმიანობის მიზნებისა და განვითარების სტრატეგიების განსაზღვრას.

**კორპორაციის ვალდებულებები** – (liabilities) განიხილება, როგორც აქტივების შესაძენი, სხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან დროებით ნასესხები წყაროები.

**კორპორაციის მენეჯერები** – დაინტერესებულნი არიან წარმოე-ბის საქმიანი ინტერესების დაკმაყოფილებით. ამასთან, მენეჯერებს შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი ინტერესებიც. ასეთებია: სხვებისგან დამოუკიდებლობა, ძალაუფლება, კარიერა და ა.შ.

**კორპორაციის კულტურა** – სოციალური კლიმატი ან ატმოს-ფერო ორგანიზაციაში.

**კორპორაციის ფიქსირებული აქტივები –** (fixed Assets) აღნიშნულ განყოფილებას კორპორაციის ბუღალტრულ ბალანსში უფრო ხშირად „საკუთრებას“ (Property), ფაბრიკას (plant) და მოწყობილობას (Equipment). კოოპერატივის ფიქსირე-ბული აქტივი მოიცავს: მიწას (land), შენობას და ნაგებობას (Building), მანქანა და მოწყობილობებს (Machinery and

equpment), სამეურნეო ინვენტარს (furniture), საავტომობილო და სატვირთო ტრანსპორტს (Automobiles and trucks), საოფისე მოწყობილობას (office equipmant) და ა.შ.

**კორპორაციული გადასახადი –** გადაიხდევინება საწარმოების მოგებიდან.

**კორპორაციული მართვის პრინციპები** – წარმოადგენს სახელმწიფოთშორისო ორგანიზაციის ინიციატივას კორპორაციული მართვის ძირითადი ელემენტების შემუშავების მიზნით.

**კორპორაციული ობლიგაციები** – გრძელვადიანი ობლიგაციებია, რომლებიც მაღალი სანდოობის რეიტინგის მქონე კორპორაციების მიერაა გამოშვებული.

**კორპორაციული სავალო ვალდებულებები** – იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციები, კომერციული ვექსილები და სხვ.

**კორპორაციული სავალო ფასიანი ქაღალდები** – არის ისეთი არასახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდით გათვალისწინებული ძირითადი თანხის და მასზე დარიცხული პროცენტების გადახდისათვის.

**კორპორაციული სტრატეგია (corporate strategy)** – კომპანიის როგორც ერთიანი მთელის, სტრატეგია. იგი უშუალოდ „ებჯინება“ კორპორაციის მისიას და განსაზღვრავს, თუ რომელ სამეწარმეო სფეროებში (რომელ ბაზრებზე) ფუნქციონირებს კომპანია, დივერსიფიცირებულია იგი თუ ერთპროდუქტიანი, მომხმარებელთა ფართო წრეზეა ორიენტირებული თუ ვიწროზე.

**კორუფცია** – დანაშაული, რომელიც იმით გამოიხატება, რომ თანამდებობის პირი პირისპირ იყენებს თანამდებობით მინიჭებულ უფლებებს პირადი გამდიდრების მიზნით; კორუფციას უწოდებენ აგრეთვე თანამდებობის პირთა მოსყიდვას.

**კორუფცია** (comuption; ლათ. corruptio) – მექრთამეობა; თანამდებობის პირების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური

მოღვაწეობის მოსყიდვა. თანამდებობის პირების მიერ თავიანთი უფლებების ბოროტად გამოყენება პირადი გამდიდრების მიზნით.

**კოსმეტიკური მენეჯმენტისას** – ბანკი ფარავს წინა და ამჟამინდელი დანაკარგებს იმისთვის, რომ შეინარჩუნოს მისადმი ნდობა, მოიგოს დრო და იპოვოს გამოსავალი არაკეთილსაიმედო სიტუაციიდან. კოსმეტიკური მენეჯმენტის მიზანია, შექმნას ბანკში ნომინალური ვითარების არსებობის შთაბეჭდილება საანგარიშგებო სიტუაციაში მთელი რიგი საკვანძო მაჩვენებლების, მაგალითად, ბანკის აქციონერებისათვის დივიდენდების გაცემის, უცვლელად, ანგარიშის სხვა მაჩვენებლებთან მანიპულაციის ხარჯზე, რასაც არაფერი აქვს საერთო რეალურ მონაცემებთან. კოსმეტიკური მენეჯმენტი თავისთავად არ წარმოადგენს შიდა კონტროლის სამსახურს, მაგრამ აქვეითებს მათგან დაცვის უნარს.

**კოსმეტიკური მისმენეჯმენტი** – ამ დროს ბანკი ფარავს წინა და ამჟამინდელ დანაკარგებს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მისდამი ნდობა, მოიგოს დრო და იპოვოს გამოსავალი არაკეთილსინდისიერი სიტუაციიდან,

**კოსტომერიზაცია** – აერთიანებს საქონლის ეკონომიკურად ეფექტიან მასობრივ ადაპტაციას და პერსონალურ მარკეტინგს, ისე რომ მომხმარებლები ღებულობენ შესაძლებლობას დაამუშაონ საქონელი და მომსახურება თავიანთი შეხედულებისამებრ.

კომპანიის მიერ არსებული სავაჭრო მარკის გამოყენებას ახალი საქონლის შესათავაზებლად უწოდებენ **სავაჭრო მარკის გაფართოებას.** როდესაც ხდება მარკის კომბინირება არსებულ მარკასთან, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს გაფართოებას, რომელსაც უწოდებენ **სუბმარკას.**

**კოტირება –** (quotation; ფრანგ. secotur) უცხოური ვალუტების, ფასიანი ქაღალდების კურსის ან საქონლის ფასების დადგენა ბირჟაზე მოქმედი საკანონმდებლო ნორმებისა და ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად.

**კოტირება –** უცხოური ვალუტის კურსის დადგენის ან პუბლიკაციის მეთოდი.

**კოტირებული აქციები** – აქციები, რომლებიც რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდების და ბირჟების კომისიის მიერ, აგრეთვე თვით ბირჟაზე.

**კოქტეილი** – იწყება 17 და 18 საათებს შორის და გრძელდება 2 სთ. კოქტეილის მონაწილენი ფეხზე დგომით მიირთმევენ.

**კრებსითი ბალანსი –** განმაზოგადებელი ბალანსი, საბალანსო ანგარიშგება, რომელიც ცალკეული სახეობის დანახარჯების, რესურსების, შემოსავლებისა და დანახარჯების წყაროების მიხედვით აერთიანებს კერძო ბალანსებს.

**კრედიტების სადეპოზიტო ბაზის გამოყენების კოეფიციენტი** – ანგარიშობენ კრედიტებზე საშუალო დავალიანების შეფარდებით სადეპოზიტო ანგარიშების საშუალო ნაშთებთან.

**კრედიტი ღია ანგარიშით** – გულისხმობს, რომ შეთანხმების საფუძველზე გამყიდველი გაყიდული საქონლის ღირებულებას ვალის სახით ჩაწერს მყიდველის ანგარიშზე, ეს უკანასკნელი კი კისრულობს ვალდებულებას, დადგენილ ვადაში დაფაროს კრედიტი.

**კრედიტი ღია ანგარიშით** – კომერციული კრედიტი, რომლის მიხედვით დავალება არ ფორმდება თამასუქებით, რომლებიც აქცეპტირებულია ტრატებით ან მსესხებლის სხვა სავალო ვალდებულებებით, არამედ ჩაირიცხება ღია ანგარიშზე დავალიანების დაფარვის წესი ეთანხმდება კონტრაგენტებს და, როგორც წესი ითვალისწინებს მსესხებლის პერიოდულ გადახდებს კრედიტორზე.

**კრედიტი[1]** – დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ან საქონლის გაცემა ვალად, განსაზღვრული ვადით ფიქსირებული პროცენტის საფასურად. კრედიტის ფორმებია: საბანკო, კომერციული, სახელმწიფო, საერთაშორისო.

**კრედიტი[2]** – ფულის ან საქონლის გაცემა ვალად, განსაზღვრული ვადითა და მატერიალური უზრუნველყოფით ფიქსირებული სარგებლის (პროცენტის) საფასურად. იგი

გამოხატავს კაპიტალის წარმოების პროცესის მონაწილეთა შორის განსაზღვრულ ეკონომიკურ ურთიერთობებს. საკრედიტო ურთიერთობათა აუცილებლობა განაპირობა ერთი მხრივ, დროებით თავისუფალი სახსრების სოლიდური ოდენობით თავმოყრამ, მეორე მხრივ, მათზე მოთხოვნილებების არსებობამ.

**კრედიტის გამოყენების პერიოდი** – კრედიტის გამოყენების პერიოდად ითვლება მსესხებლების მიერ ამ კრედიტით სარგებლობის პერიოდი. საექსპორტო კრედიტი, როგორც წესი, გამოიყენება ნაწილ-ნაწილ, იმპორტიორისათვის საქონლის მოწოდების გრაფიკისა და ზომების შესაბამისად.

კრედიტის დაფარვის ვადა ის პერიოდია, რომლის განმავლობაშიც ხდება მისი ჩაქრობა. კრედიტი უმეტესწილად იფარება ნაწილ-ნაწილ, როგორც თანაბარი, ისე არათანაბარი მოცულობის თანხების დროის გარკვეულ შუალედებში (მაგალითად, კვარტალში, ნახევარ წელიწადში, წელიწადში ერთხელ) გადახდით. ზოგიერთ შემთხვევაში ვალის დაფარვის გრაფიკს უთითებენ საკრედიტო შეთანხმებაში. კრედიტის დაფრვა ჩვეულებრივ იწყება გარკვეული პერიოდის შემდეგ. ამ პერიოდს **შეღავათიანი პერიოდი** ეწოდება.

**კრედიტის დაფარვის პირობები –** 1) პერიოდულად: თვის, კვარტლის, ნახევარი ან ერთი წლის განმავლბაში. 2) თანაბარ ნაწილებად გადახდა: ძირითადი თანხის და დარიცხული პროცენტების გადახდა თანაბარი ოდენობით დათქმული ვადის განმავლობაში. 3) მზარდი ჯამით გადახდა: ვალის დაფარვისათვის დათქმულ პერიოდში ყოველი მომდევნო წლის გადასახადი თანხის წილის გაზრდა. 4) ნაშთის ერთჯერადი დაფარვა ფულის საბოლოო გადახდა ვადის დადგომისას. ჩვეულებრივ გადასახდელი თანხა ვალის საერთო რაოდენობის 15-25 %-ს არ აღემატება.

**კრედიტის ვადა** – კრედიტის ვადა მოიცავს მსესხებლის მიერ კრედიტის გამოყენების პერიოდს, შეღავათიან პერიოდსა და მის დაფარვის ვადას, მაგრამ ხშირად კრედიტის ვადის ცნებაში გულისხმობენ იმპორტიორისათვის მიცემული გადასახდელის განვადების ხანგრძლივობას ანუ შეღავათიანი დაფარვის პერიოდის ჯამს.

**კრედიტის ლიკვიდურობა** – არის ფულადი სახსრების მოდინების ხარისხი საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში. რაც საპროცენტო განაკვეთის და პროცენტების გადახდის გრაფიკისა და დავალიანების ძირითადი თანხის დაფარვის სიდიდით განისაზღვრება.

**კრედიტის რაციონირება** – (credit rationing) ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს საბანკო კრედიტის ნორმირებულ განაწილებას.

**კრედიტის საშეღავათო (გრაციული) პერიოდი** – კრედიტის დაფარვის დაწყების გადავადება მისი სრული გამოყენების შემდეგ. გამოიყენება საერთაშორისო საშუალო და გრძელვადიანი საბანკო კრედიტების მიცემის დროს, რომლებიც გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ.

**კრედიტის საშუალო ვადა** – მსესხებლის მიერ კრედიტის მთლიანი თანხის გამოყენება საანგარიშგებო პერიოდია. კრედიტის თანაბარი გამოყენებისა და დაფარვის შემთხვევაში იგი ტოლია კრედიტის გამოყენების ნახევარი პერიოდის, შეღავათიანი პერიოდისა და დაფარვის პერიოდის ნახევრის ჯამისა.

**კრედიტის სიდიდის შეზღუდვა** – (credit ceiling) ფულადი პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებს ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებზე გასაცემი ბანკების გასაცემი კრედიტის სიდიდის შეზღუდვის ოფიციალურად დაწესების საფუძველზე.

**კრედიტის უზრუნველყოფა** – (collateral security) იხ. გირაო.

**კრედიტის ხარისხი** – უნდა გავიგოთ როგორც მოცემული სესხისთვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკის დონე.

**კრედიტისათვის გადასახდელი** – მოიცავს კრედიტის ღირებულებას და პროცენტს (სარგებელს) კრედიტით სარგებლობისათვის.

**კრედიტორები** – კრედიტის მომცემი ბანკები. ისინი დაინტერესებულნი არიან მოცემული კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთით და სესხად გაცემული თავიანთი ფულადი კაპიტალის დაცვის აუცილებელი გარანტიებით.

**კრედიტორი** – საკრედიტო ურთიერთობათა ერთ-ერთი მონაწილე, გამოდის როგორც სუბიექტი, რომელიც იძლევა სესხს, ამა თუ იმ ვალდებულებათა მხარე, რომლის სასარგებლოდ მოვალე ვალდებულია შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება: გადასცეს ქონებაზე, გადაიხადოს ფული და ა.შ.

**კრედიტორი** – სესხის გამცემი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ვალად იძლევა რაიმე თანხას.

**კრედიტორი ბანკი** – კომერციული ბანკი რომელიც გამოუყოფს უძრავი ქონების მყიდველს იპოთეკურ კრედიტს.

**კრედიტორული დავალიანება** – კრედიტორული დავალიანება არის თქვენი კომპანიის ვალდებულებები ფიზიკური პირების ან ორგანიზაციების მიმართ, ვისგანაც იღებთ პროდუქციას ან მომსახურებას. მაგალითად, როდესაც ყიდულობთ რამდენიმე ფანქარს და ანგარიშს გამოგიწერენ თქვენი კომპანიის სახელზე, ეს ვალდებულება ხდება კრედიტორული დავალიანება. შეგიძლიათ დროებით დაზოგოთ თქვენი კომპანიის თანხები და ეს დავალიანება მოგვიანებით ან ეტაპობრივად გადაიხადოთ. თუმცა, შეცადეთ, საფრთხე არ შეუქმნათ თქვენს საკრედიტო ხაზს.

**კრედიტული რისკი** – (kredit rick, de creder risk) მსესხებლის მიერ აღებული ვალდებულებები შეუსრულობლობის რისკი; გარიგებაში მონაწილე ნებისმიერი კლიენტის ან პარტნიორის გადახდისუნარიანობის დაკარგვის ან გაკოტრების რისკი; კრედიტორული რისკის განეიტრალება შეიძლება მსესხებლის ან კონტრაგენტის ფინანსური მდგომარეობის გულდასმით შესწავლით, გარანტიის მოთხოვნით, ოპერაციის დივერსიფიკაციით და ა.შ.

**კრედიტუნარიანობა** – (გერმ. Creditworthiness) გადახდისუნარიანობა, ავიაკომპანიის უნარი დროულად და სრული მოცულობით შეასრულოს არსებული ვალდებულება; კრედიტუნარიანობით დონე ფასდება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, მისი რეპუტაციით და ფულადი სახსრების მობილიზაციის უნარით. კრედიტუნარიანობის დონე განსაზღვრავს კრედიტის მიღების შესაძლებლობას და მის ღირებულებას.

**კრედიტუნარიანობა** – მსესხებლის ისეთ რეალურად ჩამოყალიბებულ სამართლებრივ და სამეურნეო-ფინანსურ მდგომარეობას გამოხატავს, რომლის შეფასებიდან გამომდინარე ბანკი კლიენტთან საკრედიტო ურთიერთობების დაწყების, გაგრძელებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს.

**კრედიტუნარიანობა** – წინამძღვრების არსებობა კრედიტის მისაღებად, მისი დაბრუნების უნარი, განისაზღვრება მაჩვენებლებით, რომლებიც ახასიათებს მის აკურატულობას ადრე მიღებული კრედიტების გაანგარიშების დროს, მის მიმდინარე ფინანსურ მდგომარეობას და პერსპექტივების ცვლილებებს, აუცილებლობის შემთხვევაში წარმოადგენს უნარს მობილიზაცია გაუკეთოს ფულად საშუალებებს სხვადასხვა წყაროდან.

**კრედიტუნარიანობა, გადახდისუნარიანობა** – (გერმ. creditmorthiness) კომპანიის უნარი დროულად და სრული მოცულობით შეასრულოს აღებული ვალდებულება; კრედიტუნარიანობით ის დონე ფასდება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, მისი რეპუტაციით და ფულადი სახსრების მობილიზაციის უნარით. კრედიტუნარიანობის დონე განსაზღვრავს კრედიტის მიღების შესაძლებლობას და მის ღირებულებას.

**კრედიტუნარიანობის შეფასება ქულების მიხედვით**: შეფასება შეიძლება მოხდეს ალთმანის კრედიტუნარიანობის ფორმულის საფუძველზე, როცა ზემოთ ჩამოთვლილი

კონტროლისა და შეფასების გზები დიდ დანახარჯებს მოითხოვს.

**კრეფსითი** – შეერთებული, შენაჯამები ნაკრები.

**კრიზისული მმართველობა („ავანტიურული“ მისმენეჯმენტი) –** წარმოადგენს ოპერაციათა კომპლექსს, რომელსაც ბანკის მენეჯმენტი მიმართავს მაშინ, როცა კოსმეტიკურ მისმენეჯმენტს უკვე აღარ ძალუძს კაპიტალის დაკარგვის და დივიდენდების შემცირების დამალვა. ამ ოპერაციის მიზანია – შესაძლებლობა მისცეს ბანკს, თუნდაც მოკლე დროით კონცენტრაცია გაუკეთოს რესურსებს, მოიგოს დრო და ხელსაყრელ გარემოებათა წყალობით გამოასწოროს მდგომარეობა.

**კრილინგი –** საქონლის, მომსახურებისა და ფასიანი ქაღალდებისთვის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც ორმხრივი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ჩათვლაზეა დაფუძნებული. ბანკთაშორისი კრილინგი თავის მხრივ ბანკებს შორის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემაა, რომელიც იურიდიული პირების ფულადი მოთხოვნების ორმხრივი ჩათვლის საფუძველზე ხორციელდება.

**კრილინგი** – (clearing; ინგლ. გაწმენდა) უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა საშინაო და საერთაშორისო სავაჭრო და სხვა ოპერაციებისთვის, დაფუძნებული მოთხოვნისა და ვალდებულებების ურთიერთჩართვაზე. განასხვავებენ საბანკო და სავალუტო კლირინგს. საბანკო კრილინგი გამოიყენება ქვეყნის შიგნით (ამ ფორმას პირველად ინგლისმა მიმართა საუკუნეში) და წარმოადგენს ბანკებს შორის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემას. ხორციელდება საანგარიშსწორებო პალატების მეშვეობით. საბანკო კრილინგი დიდად უწყობს ხელს საჩეკო ბრუნვის ზრდას. სავალუტო კრილინგი ხორციელდება სახელმწიფოებს შორის საკრილინგო შეთანხმების ფორმით და ითვალისწინებს ურთიერთდავალიანების დაფარვას.

**კრილინგული ბანკი** – ბანკი, რომელიც საანგარიშსწორებო პალატის წევრია. მომსახურეებს უწევს მასში გახსნილ

ანგარიშებს (მატერიალური ფასეულობის მდგომარეობის უწყისების წარმოება, ფასიანი ქაღალდების მიღება-მიწოდება, ანგარიშსწორებისა და გაცემათა განხორციელება).

**კრილინგური ბანკები** – კონცენტრირებულია მეურნეობაში ანგარიშსწორების ორგანიზაციაზე.

**კრილინგური პალატები** – საანგარიშსწორებო-სალარო მომსახურების ბაზარზე ბოლო დროს აქტიურად დაიწყეს გაჩენა კრილინგულმა პალატებმა. ისინი ძირითადად იქმნება ბანკთაშორისი კოოპერაციის საფუძველზე და მისი მონაწილე ბანკებისთვის წარმოადგენს თავისებურ მიმწოდებლებს, რადგანაც ასეთი პალატები უზრუნველყოფენ უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზაციის სფეროში ბანკების შესაძლებლობათა გაფართოებას და ავსებენ ცენტრალური ბანკის საანგარიშსწორებო ცენტრების სისტემას. ამავე დროს, იურიდიული დამოუკიდებელი კრილინგული ცენტრები შეგვიძლია განვიხილოთ როგორც საკუთარი საანგარიშსწორებო – კრილინგული სისტემის მქონე კომერციული ბანკების და იმ ბანკების კონკურენტები, რომლებიც პირდაპირ საკორესპოდენტო ურთიერთობებზე ამახვილებენ ყურადღებას.

**კრილოგენური ბანკი** – ბანკი, რომელიც საანგარიშსწორებო პალატის წევრია. მომსახურებას უწევს მასში გახსნილ ანგარიშებს (მატერიალური ფასეულობის მდგომარეობა უწყისების წარმოება, ფასიანი ქაღალდების მიღება-მიწოდება, ანგარიშსწორებისა და გაცემათა განხორციელება).

**კრიტიკის წესები** – კრიტიკაში იგულისხმება ადამიანის მუშაობასა და ქცევაში ნაკლოვან მხარეთა მითითება. პროფესიული საქმიანობის პროცესში ხშირად აუცილებელი ხდება ამა თუ იმ პიროვნების მიმართ გამოითქვას კრიტიკული შენიშვნები. ნებისმიერი დონის ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულება პრაქტიკულად დაკავშირებულია თავის ხელქვეითთა მუშაობისა და ქცევის კრიტიკულ შეფასებასთან.

**კრიტიკული გზა** – მოვლენათა ყველაზე ხანგრძლივი თანმიმდევრობა პროექტის შესრულების დროს. მოვლენათა თანმიმდევრობა, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის დასრულებას შესაძლებლად ხანმოკლე დროში.

**კრიტიკული გზის მეთოდი** – პროექტის ხელმძღვანელობის განხორციელების მეთოდი, რომლის ძირითად მიზანს წარმოების გრაფიკების  და სამუშაოთა საბოლოო ვადების დაცვის უზრუნველყოფით წარმოადგენს. მისი საფუძველია იმის დაშავება, რომ მოვლენათა ხანგრძლივობს ექვემდებარება საკმაოდ ზუსტ შეფასებას.

**კრიტიკული შეფასების კოეფიციენტი** – მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის, გაინგარიშება როგორც კომპანიის ლიკვიდობის შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან.

**კროს-დოკინგის სასაწყობო მოწყობილების გამოყენება  მათი დანიშნულებიდან გამომდინარე** – კროს-დოკინგის ტექნოლოგია არსებითად განსხვავდება სტანდარტული ტექნოლოგიური პროცესებისგან და გულისხმობს სატრანსპორტო და სატვირთო ნაკადების გადაფორმირების შესაძლებლობას საწყობში საქონლის შენახვის გარეშე. ამ ფუნქციას ტრადიციულად ასრულებენ გამანაწილებელი ცენტრები და ლოგისტიკური ოპერატორის საწყობები.

**კროს**-კურსი – კურსი, რომლის მიხედვითაც წარმოებს ერთი უცხოური ვალუტის გაცვლა (ყიდვა-გაყიდვა) მეორეზე.

**კს** – კომანდიტური საზოგადოება, კანონის – „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“ 34-ე მუხლის თანახმად: კომანდიტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა

შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლე-მენტარები).

სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოე-ბის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. კომანდიტური საზოგადოების მიმართ ზოგადი ნაწილის წესებთან ერთად გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესა-ბამისი წესები, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვა-ლისწინებული.

**კუკის კოეფიციენტი** – საკრედიტო დაწესებულებებისა და კომერციული ბანკების გადახდისუნარიანობის კოეფი-ციენტი, რომელიც მოითხოვს 8%-იანი დონის თანაფარ-დობას საკუთარ ფონდებსა და აქტივებს შორის, შეფარ-დებულს მათ რისკის ხარისხთან.

**კულტურა** – 1. ნებისმიერი ჯგუფის ადამიანების არის რწმენა, ჩვეულებები, გამოცდილება და აზროვნების წესი, იმ ადამიანების მიერ შეძენილი და გაზიარებული, რომ-ლებიც ერთად მუშაობენ და ერთად ატარებენ უმეტეს დროს. 2. ეს არის იმ დაშვების კომპლექსი, რომელსაც ადამიანები ღებულობენ უსიტყვო ურთიერთობების პროცესში. 3. კომპანიის კულტურა შეიძლება აღიწეროს, როგორც მისი „გრძნობა და ხასიათი“.

**კულტურა** – ინდივიდის სურვილებისა და ქცევის განმსაზ-ღვრელი ფაქტორია, რომლის ათვისება ხდება ბავშვობი-დან ოჯახში და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების (ფასეულობათა ნაკრები, აღქმისა და უპირატესობათა სტერეოტიპები) მეშვეობით.

**კულტურა** – კულტურაში იგულისხმება საზოგადოებაში აღიარებული ფასეულობების, რწმენის, ჩვეულებებისა და განწყობილობების სისტემა. ყველა საზოგადოებას თავისი კულტურა აქვს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ყოველ-დღიურ ცხოვრებაზე.

**კულტურული ქსელი** – ეს ორგანიზაციული კულტურის ელემენტების სქემატური წარმოდგენაა, რომელშიც შეინიშნება მთელ პარადიგმაზე თითოეული ელემენტის ზემოქმედება.

**კუმულაცია –** (cumulation; ლათ. გადიდება, დაგროვება, თავმოყრა – cumulatio) დასაზღვევი ან დაზღვეული ობიექტების თავმოყრა, განსაზღვრულ შემოსაზღვრულ სივრცეში, ტერიტორიაზე, ერთ საწარმოში, სადაზღვეო კომპანიაში, პორტში, გემზე, საწყობში და ა.შ..

**კუმულაციური ზრდის ინდექსი –** (cumulative index of growth) ეკონომიკური საქმიანობის რეალური ზრდის მაჩვენებელი საანგარიშო წლის დასაწყისიდან კვარტალების მიხედვით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

**კუმულაციური კენჭისყრა –** (cumulative voting) კენჭისყრა აქციონერთა საერთო კრებაზე, რომელიც ნებას რთავს აქციონერს, ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტას მხარი დაუჭიროს არა ერთი, არამედ რამდენიმე ხმით, იმ პირობით, რომ სხვა საკითხებზე კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

**კუმულაციური პრივილეგიური აქციები** – პრივილეგიური აქციები, რომლებიც უზრუნველყოფენ უფლებას დივიდენდის მიღებაზე: შემოსავალი, რომელიც მთლიანად არ მიუღიათ აქციების მფლობელებს კომპანიისათვის არა მომგებიან წელს, მათ კომპენსაცია მიეცემათ შემდგომ წლებში.

**კუპიურა** –(denomination) ნომინალური ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ქაღალდის ფულზე, ბანკნოტზე, ობლიგაციაზე და სხვა ფასიან ქაღალდებზე, აგრეთვე თვით ეს ქაღალდის ფული, ბანკნოტი, ობლიგაცია და სხვა.

**კუპონი –** (cupon) 1. ფულის შემცვლელი სუროგატი; 2. ფასიანი ქაღალდის ნაწილი, ტალონი, რომელიც ხელწერილის ნაცვლად ბანკს წარედგინება სარგებლის ან დივიდენდის მისაღებად.

**კუპონი** – ფასიანი ქაღალდის ნაწილი, რომელიც იჭრება და ხელწერილის ნაცვლად ეძლევა პროცენტის ან დივიდენდის მიმღებს.

**კუპონური ობლიგაცია** – კუპონური ობლიგაციით მის მფლობელს უხდიან ფიქსირებულ პროცენტს (კუპონურ გადასახდელს) ყოველწლიურად დაფარვის ვადის დადგომამდე, ვიდრე გადაიხდება განსაზღვრული საბოლოო თანხა (ნომინალური ან პარიტეტი), ადრე ობლიგაციათა მფლობელები მათთვის განკუთვნილ თანხას ღებულობდნენ ობლიგაციიდან მოჭრილი კუპონის გაგზავნით ობლიგაციის ემიტენტისადმი, რომელიც შემდეგ გადასახდელს ობლიგაციის მფლობელს უგზავნიდა. ამ პროცესს კუპონის გადახდას უწოდებენ.

**კურსი** – ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის ფასი, გამოხატული მეორე ქვეყნის ფულადი ერთეულით. განასხვავებენ სპოტურ (TOD, TOM, SPOT) და ვადიან (ფორვარდულ) სავალუტო კურსებს.

**კურტაჟი** – (courtage; ფრანგ. კომერციული - courtage) კომერციული გასამრჯელო, რომელსაც იღებს მაკლერი ბირჟის წევრებისაგან – ბროკერებისაგან, დილერებისაგან, მათ შორის, გარიგებების დაფიქსირებისათვის. კურტაჟი გაიცემა ოპერაციის განხორციელების შემდეგ, როგორც წესი, ორივე მხრიდან თანაბარი ოდენობით. მაგალითად, თუ კურტაჟი 0,4%-ს შეადგენს, მაშინ თითოეული მხარე იხდის 0,2%-ს.

## ლ

**“Laissez-FaiRE” („დაე წავიდეს თავისი გზით“)** – თავისუფალი ბაზრის იდეოლოგია, ეკონომიკა სახელმწიფოს ჩაურევლობის გარეშე; ეკონომისტ-კლასიკოსთა შეხედულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ერეოდეს ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში და გადაწყვეტილების მიღება ბაზარს ეკისრებოდეს. ადამ

სმითის აზრით, სახელმწიფოს როლი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კანონიერებისა და წესრიგის დაცვით (1), ეროვნული თავდაცვის უზრუნველყოფით (2) და საზოგადოებრივი საქონლის წარმოებით (3), რითაც ნაკლებად არის დაინტერესებული კერძო ბიზნესი. იგი სახელმწიფოს პრეროგატივაა.

**„ლიზ-ბეკი“–** ლიზინგის დროს მოწყობილობის მფლობელი სალიზინგო კომპანიას ასყიდებს მოწყობილებას და ერთდროულად მისგან იღებს არენდით.

**„ლიკვიდური აქტივები“ –** ფულადი სახსრები და ისეთი სახის აქტივები, რომლებსაც აქვს ფულად სახსრებად მყისიერად (სწრაფად) გადაქცევის უნარი და შესაძლებლობა. ლიკვიდური აქტივების გაანგარიშებაში მონაწილეობას იღებს №№ 1003, 1004, 1005, 1006, 1013, 1014, 1015, 1016, 1018, 1051, 1052, 1062, 1401 მინუს 1402, 1411 მინუს 1412, 1706, 1703, 1712, 1713, 1722, 1723, 1732, 1733 საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხები. ლიკვიდური ნორმატივების გაანგარიშებაში სახაზინო ვალდებულებები ჩაითვლება ლიკვიდურობის ნორმატივების გაანგარიშებისთვის დადგენილი „ვალდებულებების“ თანხის არაუმეტეს 5%-ისა. ლიკვიდური აქტივების გაანგარიშებაში არ ჩაითვლება: ყადაღადადებულ საკორესპოდენტო ანგარიშებზე რიცხული თანხები, ნეგატიურად კლასიფიცირებული ბანკთაშორისი დეპოზიტები, საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავისუფლებული მინიმალური რეზერვების თანხა ან მისი ნაწილი, რომლის უზრუნველყოფითაც კომერციულ ბანკს აღებული აქვს კრედიტი.

**„ლოგისტიკა“** - ბერძნული წარმოშობისაა და ყველა ევროპულ ენაში იხმარება. ძველ საბერძნეთში ის აღნიშნავდა გამოანგარიშების, მსჯელობის ხელოვნებას. საერთოდ, ლოგისტიკა მრავალმხრივ განისაზღვრება, კერძოდ, როგორც: „მათემატიკური ლოგისტიკის განვითარების ერთ-ერთი ეტაპი“: „მათემატიკური ლოგიკა“.

„ლოროს“ ტიპის ანგარიშებს რომელიმე ბანკი ხსნის მისი კორესპოდენტი ბანკების სახელზე.

**ლაგი (lag)** – დროის გარკვეული მონაკვეთი მიზეზ-შედეგობრივ კავშირში მყოფ მოვლენებსა და პროცესებს შორის. გამოხატავს პრობლემის არსებობის აღიარებასა და ამა თუ იმ მარეგულირებელი მექანიზმის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას შორის დროის შუალედს.

**ლანჩი (საუზმე)** – მას ჩვეულებრივ აწყობენ 12-13 საათებს შორის.

**ლაჟი (agio; იტალ. laggio)** – 1. ქაღალდის ფულში გამოხატული ოქროს საბაზრო ფასის ზრდა ქაღალდის ფულის რაოდენობასთან შედარებით; 2. ფასიანი ქაღალდებისა და ფულის ნიშნების საბირჟო (საბაზრო) კურსის ამაღლება მათ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით. ანგარიშობენ პროცენტობით (იგივეა, რაც აჟიო).

**ლატარეა (lottery)** – მოსახლეობის ფულადი სახსრების ნებაყოფლობითი მოზიდვა სახელმწიფოს, შესაბამისი ორგანიზაციების, ან საქველმოქმედო საზოგადოებების მიერ ლატარიის ბილეთების გაყიდვის გზით, რის შედეგადაც შემოსული სახსრების ნაწილის გათამაშება ხდება ფულადი ან ნივთობრივი მოგების სახით და ეძლევა „ბედნიერი ბილეთის“ მფლობელებს.

**ლაფერის ეფექტი (laffer curve effects)** – გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ საგადასახადო განაკვეთის შემცირება, საბოლოო ანგარიშით, იწვევს საერთო საგადასახადო შენატანების ასე შეკვეცას, არამედ გადიდებას. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: საგადასახადო ტვირთის რადიკალური შემსუბუქება ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასთან ერთად სახელმწიფო შემოსავლების პრობლემებსაც წყვეტს. ეს პრინციპი საფუძვლად დაედო მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. იგი წარმატებით გამოიყენება დღესაც. პორტ-ინდუსტრიულ ქვეყნებში საგადასახადო პოლიტიკა ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტიმულირების მთავარი ინსტრუმენტი გახდა. მისი დამახასიათებელი თვისებაა დაბეგვრის განაკვეთის დიფერენ-

ცირებული შემცირება (პირველ ყოვლისა, მოგებიდან). სახელმწიფოები ცდილობდნენ ისე ააგონ საგადასახადო პოლიტიკა, რომ წაახალისონ კორპორაციები დანაზოგების წარმოებაში დაბანდებისთვის, რაც, თავის მხრივ, ერთობლივი ინვესტიციების ზრდას განაპირობებს. მართალია, დაბეგვრის ლიბერალიზაცია თავდაპირველად ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, მაგრამ გრძელვადიანი შედეგები სრულიად განსხვავებულია – იგი ზრდის ბიუჯეტში შენატანებს, და მაშასადამე, ამუხრუჭებს ინფორმაციას, ამცირებს დეფიციტს. II მოვლენა აღმოაჩინა ამერიკელმა ეკონომისტმა ა. ლაფერმა და ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია ლაფერის ეფექტის სახელწოდებით.

**ლაფერის მრუდი (laffer curve)** – მრუდი, რომელიც გამოხატავს კავშირს საგადასახადო განაკვეთებსა და საგადასახადო შენატანების მოცულობას შორის, ასახავს ისეთ საგადასახადო განაკვეთს (ნულიდან 100%-მდე), რომლის დროსაც საგადასახადო შენატანები მაქსიმუმს აღწევს. ატარებს ცნობილი ეკონომისტის, მიწოდების თეორიის მიმდევრის ა.ლაფერის სახელს. ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ საგადასახადო განაკვეთის ნულიდან 100 %-მდე ზრდის კვალობაზე საგადასახადო შენატანები გაიზრდება ნულიდან რაღაც მაქსიმალურ (M) დონემდე, შემდეგ კი იწყებს დაცემას ნულამდე, ვინაიდან გადასახადების უფრო მაღალი განაკვეთი აფერხებს ეკონომიკურ აქტივობას და მაშასადამე, იწვევს საგადასახადო ბაზის შეკვეცას.

**ლეგენდები** – ისტორიები, რომლებსაც ერთი კომპანიის თანამშრომლები უყვებიან ერთი-მეორეს, ახლობლებს ან სხვა ადამიანებს.

**ლევერიჯი (leverage)** – მიკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს თანაფარდობას ნასესხებ და საკუთარ სახსრებს შორის და ადგენს ფირმის მთელ საინვესტიციო კაპიტალში (ფასიანი ქაღალდების ჩათვლით ფიქსირებული პროცენტით) გრძელვადიანი დავალიანე-

ბის წილს. ამ მაჩვენებლით აქცენტი კეთდება საინვესტიციო კაპიტალის სტრუქტურაში გრძელვადიანი დავალიანების წილზე, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრზე. რაც უფრო მაღალია მისი წილი, მით უფრო მაღალია ფირმის ლევერეჯი და, აქედან გამომდინარე, მასთან დაკავშირებული საინვესტიციო რისკი; 2. კრედიტის გამოყენება პირადი სპეკულაციური შესაძლებლობების გასაფართოებლად.

**ლევერჯი** – „ბერკეტის პრინციპი“ თანაფარდობა საკუთარ (აქციონერულ) და ნასესხებ კაპიტალს შორის. თუ, მაგალითად, კომპანია მისთვის საჭირო სახსრების დიდ ნაწილს აქციების გამოშვებით ღებულობს, ხოლო სესხს ფიქსირებული პროცენტით მცირე მოცულობით იყენებს, მაშინ მას მცირე თანხას იღებს, მაშინ მას დიდი ლევერჯი აქვს.

**ლექციები** – ცოდნის გადაცემის სწრაფი და მარტივი გზა, რომელიც პრაქტიკასთან ერთად საკმაოდ ეფექტურია.

**ლიბერალიზაცია (liberalization)** – ეკონომიკის გათავისუფლება მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მმართველებისგან და მისი მართვა „უხილავი ხელით“, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ეკონომიკაში სახელმწიფოს უხეში ჩარევის აღკვეთას და ეკონომიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნას, თავისუფალი ფასწარმოქმნის დამკვიდრებას, მეწარმეობისათვის ფართო დამოუკიდებლობის მინიჭებას და ა.შ.

ფასების ლიბერალიზაციას უწოდებენ ფასების განთავისუფლებას სახელმწიფოს „მარწუხებისგან“ და მათ თავისუფალ საბაზრო ფასებზე გადასვლას.

**ლიბერალური მენეჯერი** – რომელიც თავის ხელქვეითებს აძლევს სრულ თავისუფლებას ამოცანების შერჩევასა და თავისი საქმიანობის კონტროლში.

**ლიბერალური ხელმძღვანელი** – ხელმძღვანელი, რომელიც თითქმის სრულ თავისუფლებას ანიჭებს თავის ხელქვეითებს მათივე სამუშაო ამოცანების შერჩევასა და მუშაობის გაკონტროლებაში.

**ლიბორი –** პროცენტის ყოველდღიური საპროცენტო განაკვეთი, რომელთანაც ლონდონის ბანკები განასხვავებენ თავიანთ დეპოზიტებს პირველი კლასის სხვა ბანკებში. ეს განაკვეთი ყველა სხვა ბანკისთვის ორიენტირია სესხებზე პროცენტების დაწესების დროს. განსაკუთრებით – საერთაშორისო გარიგებების შემთხვევაში.

**ლიდერი –** წამყვან როლს ასრულებს ინოვაციური პროექტების დამუშავებისა და რეალიზაციის პროცესში და არის ორგანიზაციაში ავტორიტეტული პირი, რომელსაც უფლება აქვს ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე მიიღოს გადაწყვეტილება. „ლიდერს“ უნარი აქვს გამოიცნოს თითოეული მომუშავის ინოვაციური შესაძლებლობა და დააინტერესოს იგი სრულიად გამოიყენოს ეს შესაძლებლობა.

**ლიდერი მონოპოლიები** – კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს აბანდებენ საკრედიტო-საფინანსო საქმესა და მომსახურების სფეროში, ხოლო მთავარი ბანკები სამრეწველო და სავაჭრო ბიზნესში.

**ლიდერის მიმდევრები** – ასეთი ტიპის კონკურენტები ჩვეულებრივ არ წარმოადგენენ საშიშროებას, თუმცა ზოგჯერ საკმაოდ კარგ შედეგებს აღწევენ.

**ლიდერის პოზიციების სტრატეგია ხარჯების მიხედვით.** საწარმო მიისწრაფვის პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე (გასაღებაზე) ხარჯების მინიმიზაციისაკენ, რომ დააწესოს უფრო მცირე ფასები (კონკურენტებთან შედარებით) და გააფართოოს ბაზრის თავისი წილი. ფირმები, რომლებიც მისდევენ ამ სტრატეგიას ძირითად ყურადღებას უნდა უთმობდნენ ახალი პროდუქციის დამუშავებას, წარმოებასა და გასაღებას.

**ლიდერობა –** 1. რომ იყო ეფექტიანი მენეჯერი უნდა იყო ლიდერი. ლიდერობა ეს საშუალებაა, რომლის დახმარებითაც ხელმძღვანელი ზემოქმედებს ადამიანების ქცევაზე. ლიდერობასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე თვალსაზრისი. ერთ-ერთია ლიდერის სტილი. იგი ასახავს

მენეჯერის ფასეულობასა და შეხედულებებს. მის დამოკიდებულებას ხელქვეითისადმი, საერთოდ მის პიროვნებას. ხელმძღვანელობის ის სტილია ეფექტიანი, რომელიც ორგანიზაციის მიზნების რეალიზაციას ემსახურება. 2. ლიდერობა – ეს არის ცალკეულ პირებზე და ჯგუფებზე გავლენის მოხდენის უნარი, რომლის მიზანია მათი ძალისხმევა ორგანიზაციის მიზნების რეალიზაციისკენ მიმართოს. 3. ლოგისტიკა ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და პირდაპირი მნიშვნელობით „თვლის ხელოვნება“, „განსჯის“, „გამოთვლის ხელოვნებას“ აღნიშნავს. ლოგისტიკა არის კომპლექსური მთელი რიგი საწარმოო პროცესების უწყვეტი ციკლის: დაგეგმვის, კონტროლისა და მართვის ტრანსპორტირებისა და დასაწყობების, ნედლეულისა და მასალების მოძრაობის და მზა პროდუქციის რეალიზაციისა.

**ლიდს ენდ ლეგსი** – საგარეო სავაჭრო ანგარიშსწორების დაჩქარება ან შენელება, რათა მიიღონ სარგებელი სავალუტო კურსის ცვლილების ხარჯზე.

**ლივენდის ლეგზი** – ანგარიშსწორების ვალების ხელსაყრელი მანევრირება ძირითადად საგარეო ვაჭრობაში გამოიყენება.

**ლიზინგგამცემი** – იურიდიული პირი, ან ფიზიკური პირი, რომელიც დარეგისტრირებულია როგორც მეწარმე იურიდიული პირის შექმნის გარეშე და იგი ლიზინგურ საქმიანობას ახორციელებს. იგი გამოისყიდის სალიზინგო ქონებას საკუთარი, ან ნასესხების სახსრების ხარჯზე და ლიზინგის მიმღებს გადასცემს მას.

**ლიზინგი** – იჯარა გარკვეული ნივთის თუ ქონების იჯარით აღება ისეთი ვადით, რომელიც შეადგენს მისი გამოსადეგობის პერიოდის მნიშვნელოვან ნაწილს, ანალოგიურია მისი კრედიტის მეშვეობით შესყიდვისა, რომლის უზრუნველყოფისთვისაც მოცემული ნივთი გამოიყენება.

**ლიზინგი (lease) –** კომერციული საქმიანობის ფორმა, საარენდო ოპერაციების ნაირსახეობა, რომელიც გულისხმობს, მოწ-

ყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, წარმოებითი დანიშნულების ნაგებობების გრძელვადიან არენდას 3-დან 9 წლამდე ან ზოგჯერ უფრო ხანგრძლივი ვადით (10-დან 15-წლამდე). ფირმა - არენდატორი თანდათანობით ფარავს დავალიანებას ამ მოწყობილობათა გამოყენების მიხედვით. სალიზინგო კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ არენდატორს შეუძლია შეიძინოს მოწყობილობები ნარჩენი ღირებულების გადახდის კვალობაზე, დადოს ახალი შეთანხმება ან მატერიალური ფასეულობები დაუბრუნოს სალიზინგო კომპანიას.

**ლიზინგი** – მანქანების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების გრძელვადიანი არენდა მათზე საკუთრების უფლების შენარჩუნების პირობებში; იგი კაპიტალური დაბანდების დაფინანსების ალტერნატიული საბანკო კრედიტის ახალი სპეციფიკური ფორმაა. საზღვარგარეთის ქვეყნებში ძირითად ლიზინგურ კომპანიებს მიეკუთვნება: GPA, JKFG, GATX, POLARIS, ANSETT.

**ლიზინგი** – სარეკლამო სახე (ან ბანკისადმი დადებითი, მიმნდობელი დამოკიდებულებისაკენ მიმართული ფრაზები, ისეთები, როგორიცაა, მაგალითად; „მხოლოდ სოლიდური კლიენტებისათვის“, „ეს ჩემი ბანკია“, „არ ჩქარობს, იმიტომ, რომ ასწრებს“, „ყველაზე მოსაწონი ბანკი – მუშაობენ ადამიანები, მუშაობს ფული“, „გადაუჭარბებელი ფასეულობანი“ და ა.შ.).

**ლიზინგი** – ხანგრძლივი იჯარა (6 თვიდან რამდენიმე წლამდე) მანქანების, ტექნოლოგიების, ნოუ-ჰაუს, სატრანსპორტო საშუალებების, საწარმოო დანიშნულების შენობების, რომლითაც მოიჯარეს (ლიზინგის მიმღებს) წინასწარ შეთანხმებული ფასით უფლება აქვს ოფიციალური საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ შეისყიდოს იჯარის ობიექტი. სრული ლიზინგისას ლიზინგის გამცემი კომპანია ასრულებს ყველა საიჯარო დანადგარების მომსახურებას. იგი კაპიტალური დაბანდების დაფინანსების ალტერნატიული საბანკო კრედიტის ახალი სპეციფიკური ფორმაა.

**ლიზინგი „მიმწოდებელს“** – გამყიდველის მიერ არენდატორის როლის შესრულება („ლიზ-ბეკი“ ლიზინგის ანალოგიურად), მაგრამ მოწყობილობას მის ნაცვლად იყენებენ სხვა არენდატორები, რომელთაც იგი მოწყობილობას სუბარენდები აძლევს.

**ლიზინგი მომსახურებით** – არენდაგამცემს აკისრებს დამატებითი მომსახურების განხორციელებას. მან უნდა უზრუნველყოს მოწყობილობის შენახვა, მისი რემონტი და დაზღვევა.

**ლიზინგი შეიძლება იყოს სრული და ნაწილობრივი ანაზღაურებით**. პირველი ითვალისწინებს სალიზინგო ხელშეკრულების ვადაში სალიზინგო კომპანიის მიერ მოწყობილობის მთლიანი ღირებულების მიღებას. ლიცენზია ჩვეულებრივ გაიცემა გამოგონებაზე, რომელზედაც გაცემულია ან შეტანილი განაცხადი მის მისაღებად. მიუხედავად ამისა, არსებობს ე.წ. უპაციენტო ლიცენზიები.

**ლიზინგის მიმღები** – იურიდიული პირი ან ფიზიკური, რომელიც იურიდიული პირის შექმნის გარეშე დარეგისტრირებულია როგორც მეწარმე და რომელიც ამ ქონებას ლიზინგური ხელშეკრულების საფუძველზე ღებულობს და იგი ამას სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის იყენებს. პროდუქცია და შემოსავლები, რომელიც ლიზინგის ობიექტის (სალიზინგო ქონების) გამოყენების შედეგად მიიღება, ლიზინგის მიმღების საკუთრებას წარმოადგენს.

**ლიზინგის საერთაშორისო ოპერაცია** – საერთაშორისო ოპერაციად ჩაითვლება, როდესაც ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები ავიაკომპანიები მიეკუთვნებიან სხვადასხვა სახელმწიფოს და შესაბამისად ექვემდებარებიან სხვადასხვა იურისდიქციას.

**ლითონის ფული (coinage)** – ფულის ლითონურ-ჭედური ფორმა, ლითონის მომენტებისგან შემდგარი ნაღდი ფულის ნაწილი, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა სრულფასოვან ოქროსა და ვერცხლის მონეტებად და არასრულფასოვან

(ბილონურ) ხურდა ლითონის მონეტებად. ეს უკანასკნელი ქაღალდის ფულის ნაირსახეობაა, რომლის ნომინალური ღირებულება აღემატება მის შინაგან ღირებულებას (თვით ლითონის ღირებულებასა და მისი მოჭრის ხარჯებს). ნომინალურ ღირებულებასთან ერთად მასზე აღბეჭდილია უფლებრივი სტატუსის დამადასტურებელი წარწერები სტაბილური პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნებში, როგორც წესი, ლითონის ფულის გამოშვებას არეგულირებს სახელმწიფო.

**ლიკვიდატორი** – ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების გაკოტრების საქმის საწარმოებლად დანიშნული პირი.

**ლიკვიდაცია** – არასაბანკო საკრედიტო დაწესებულების ლიკვიდაცია გაკოტრების საქმის წარმოების შედეგად.

**ლიკვიდაცია (ფრანგ. liguidation)** – საქმიანობის შეწყვეტა საავიაციო საწარმოს, ავიაკომპანიის და სხვათა მიერ.

**ლიკვიდაცია (ფრანგ. liquidation)** – საქმიანობის შეწყვეტა, საწარმოს, კორპორაციების და ფირმების მიერ.

**ლიკვიდობა** – 1. ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა აქტივის ფულად გარდაქმნის შესაძლებლობას; აქტივების გადახდის საშუალებად გამოყენების უნარი მათი ნომინალური ღირებულების შეუცვლელად; 2. ფირმის (კომპანიის, ბანკის) უნარი, დროულად შეასრულოს თავისი ვალდებულებები, ლიკვიდურობის დონეს განსაზღვრავს ადვილად რეალიზებადი აქტივების ხვედრითი წონა, კრედიტების ოპერაციული მობილიზების შესაძლებლობები, დავალიანობის ოდენობისა და კონკრეტულ მომენტში ფირმის განკარგულებაში არსებული ლიკვიდური სახსრების თანაფარდობა და სხვა.

**ლიკვიდობა** – ავიასაწარმოთა აქტივობის მობილურობა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მათი ვალდებულებებისა და მათდამი კანონიერად წარდგენილი ფულადი მოთხოვნილებების შეუფერხებელი გადახდის ფაქტობრივ შესაძლებლობას განსაზღვრულ ვადაში. ლიკვიდობის ხარისხი

განისაზღვრება ავიასაწარმოების ფულად საშუალებებსა და სწრაფად რეალიზებად აქტივებსა და მათი მოკლევადიანი ოპერაციების თანხებს შორის თანაფარდობით.

**ლიკვიდობა** – ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი განზოგადებული მაჩვენებელია, რომელიც მის საიმედოობას განაპირობებს. ბანკის ლიკვიდობა არის მისი უნარი თავისწინაშე აღებული ვალდებულებები.

**ლიკვიდობა** – საკმარისი სახსრების არსებობა ანგარიშებიდან თანხების მოსახსნელად და სხვა ფინანსური ვალდებულებების თავის დროზე დასაფარავად.

**ლიკვიდობა** – საწარმოთა, ფორმირებისა და ბანკების აქტივების მობილურობა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მათი ვალდებულებებისა და მათდამი კანონიერად წარდგენილი ფულადი მოთხოვნების შეუფერხებელი გადახდის საწარმოების, ფირმების ან ბანკების ფულად საშუალებებსა სწრაფადრეალიზებად აქტივებსა და მათ მოკლევადიან ოპერაციების თანხებს შორის თანაფარდობით.

**ლიკვიდობა** – წარმოადგენს ბანკის უნარს, შეძლოს ვალდებულებების შემცირება და უზრუნველყოს აქტივების ზრდა.

**ლიკვიდობა კომერციული ბანკისთვის** – მისი ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის აუცილებელი პირობა აქტიური და პასიური ოპერაციების რისკიანობასთან, პორტფოლიების დაბალანსებულობასთან და ოპერაციების შემოსავლიანობასთან ერთად.

**ლიკვიდობა ჭარბი** – საგადახდელო შესაძლებლობათა გადამეტება ფულად ვალდებულებებზე.

**ლიკვიდობა-მარაგის** ცნება გულისხმობს ბანკის ბალანსში აქტივების იმ გარკვეული რაოდენობის (მარაგის) არსებობას, რომელთა წარმართვაც შეიძლება კლიენტების წინაშე ბანკის ვალდებულებების დაფარვის მიზნით.

**ლიკვიდობა-ნაკადი** გვიჩვენებს მარაგ-ლიკვიდობის მდგომარეობას მომავალში, ე.ი. საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მისი საპროგნოზო მნიშვნელობები და დინამიკური ცვლილებები იმ შემომავალი და გამავალი ფულადი

ნაკადების გავლენის გათვალისწინებით, რომლებიც ბანკის მიერ ახალი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეძენის დროს იქმნება, აგრეთვე, ბანკის მიერ აქტივებისა და პასივების სტრუქტურის შეცვლის უნარის გათვალისწინებით.

**ლიკვიდობა-პროგნოზი** – იმით განსხვავდება ლიკვიდობა-ნაკადისაგან, რომ ლიკვიდობის პირველი ფორმა დამატებით უკავშირდება ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების მიმდინარე და მომავალი რისკის შეფასებას.

**ლიკვიდობის ასამაღლებელი კრედიტები** – ეს კრედიტები უფრო გრძელვადიანი (1 წლამდე) კრედიტებია, რომლებიც ხელს უწყობს ბანკების გრძელვადიანი ლიკვიდობის შენარჩუნებას.

**ლიკვიდობის დაკარგვის რისკი** – დაკავშირებულია ბანკების ვალდებულებების შესაძლო შემსრულებლობით. ეს რისკი წარმოიშობა ბანკის მიერ „ბანკების ოქროს წესის“ დარღვევის დროს, როდესაც ბანკის მოთხოვნები და ვალდებულებები არ შეესაბამება ერთმანეთს თანხებისა და ვადების მიხედვით.

**ლიკვიდობის კოეფიციენტები მიუთითებენ** – შეუძლია თუ არა მსესხებელს პრინციპში თავისი მოკლევადიანი ვალდებულებების, ასევე დაბრუნების ქვემდებარე, ორგანიზაციის დავალიანების რა ნაწილი შეიძლება ვადაში იქნეს დაფარული.

**ლიკვიდობის კოეფიციენტი** – მიეკუთვნება აქტივების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან. ლიცენზიის მაძიებელი, მოცემული ქვეყნის საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი, რომელმაც გამოხატა სურვილი საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ლიცენზიის მიღების შესახებ.

**ლიკვიდობის კოეფიციენტი (coefficient of liquidity)** – თანაფარდობა კომპანიების ფულადი სახსრებისა და სწრაფად რეალიზებადი აქტივების (აქციების, ობლიგაციების და ა.შ.) ოდენობასა და მათი მოკლევადიანი ვალდებულებების თანხას შორის. გვიჩვენებს ფირმების ფაქტობრივ

შესაძლებლობას, დათქმულ ვადებში შეუფერხებლად შეასრულონ (გადაიხადონ) ყველა ვალდებულება.

**ლიკვიდობის მხარდაჭერა** – დაბანდებული თანხების შექცევადობის ღირებულების დაუკარგავად უზრუნველყოფა ან ახალი რესურსების მოზიდვა ბანკის ვალდებულებათა დასაფარავად. შესაძლებელია შექცევადობის მართვა როგორც გარკვეული ვადით (საკრედიტოს შემცირებისას), ასევე თავისუფალი (სპეციალურად გაფორმებული დოკუმენტალური აქტივები, სეკიუტერაციას მესამე პირზე ფასდაკლებით გაყიდვას დაქვემდებარებული აქტივები).

**ლიკვიდობის ნორმა** – 1. ბაზრის ტევადობა და უნარი ამორტიზება გაუკეთოს უეცარ ცვლილებებს მოთხოვნასა და მიწოდებაში ფასების შესაბამისი მნიშვნელოვანი რხევის გარეშე. 2. შეფარდებითი სიადვილე, რომლითაც ინვესტორს შეუძლია მიიღოს ნაღდი ფული ფასიანი ქაღალდების ნაცვლად.

**ლიკვიდობის ნორმა** – ნაღდი ფულის, დებიტორული დავალიანებისა და ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების დაჯამებული სიდიდე, გაყოფილი მოკლევადიან ვალდებულებებზე.

**ლიკვიდობის რისკები მოიცავს:** პროლინგაციის რისკი, როდესაც ანაბრებს მათ ვადამდე იწვევენ უკან (დეპოზიტური რისკი); ახალი, დაუგეგმავი კრედიტების რისკი; საქმიანობის ახალ სახეობათა რისკები; ფაქტორინგული; ლიზინგური; საბაზრო და სხვა რისკები.

**ლიკვიდობის რისკი** – 1. იხილე მეოთხე აბზაცი; 2. ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებების დასაფარავად ფულადი სახსრების მიღებასთან დაკავშირებით დაწესებულებაში წარმოშობილი რისკი.

**ლიკვიდობის რისკი** – ბანკის რისკი გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში.

**ლიკვიდობის რისკი** – ისეთი სიტუაციის წარმოქმნა, როდესაც შეუძლებელია ფინანსური აქტივების სწრაფი კონვერსია საგადასახადო საშუალებებად დანაკარგების გარეშე, ან

დამატებითი ვალდებულებების მოზიდვის გარეშე მისაღები ფასებით.

**ლიკვიდობის რისკი** – უკავშირდება ბანკებში ფინანსური რესურსების არსებული ან პოტენციურ დეფიციტის იმ რესურსების რაოდენობითაც და ხარისხითაც, რომლებიც საჭიროა ბანკის მიერ თავის ვალდებულებათა შესასრულებლად (დეპოზიტებისა და ანაბრების დაბრუნება).

**ლიკვიდობის რისკი** – უკავშირდება შესაძლო დანაკარგებს ფასიანი ქაღალდის რეალიზაციისას, მისი ხარისხის შეფასების ცვლილებების გამო.

**ლიკვიდობის რისკი** – ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებების დასაფარავად ფულადი სახსრების მიღებასთან დაკავშირებით დაწესებულებაში წარმოშობილი რისკი.

**ლიკვიდურ აქტივებს მიეკუთვნება მიმდინარე აქტივები:** ფულადი თანხები და მათი ეკვივალენტები, მატერიალური მარაგები, მოკლევადიანი მოთხოვნები და ფასიანი ქაღალდები. ლიკვიდურ აქტივებს საბრუნავი საშუალებებიც ეწოდება, რადგან მათში ავანსირებული ღირებულება წელიწადში რამდენჯერმე შემობრუნდება. მაგალითად, წლის დასაწყისში 14 000 ლარად შეძენილი მასალის მარაგი მზა პროდუქციის თვითღირებულებაში რამდენიმე დღეში გადავა, მასალა გადაიქცევა მზა პროდუქტად და მისი გაყიდვის შედეგად დაბრუნებული ფულით კვლავ მოხდება მასალის ახალი პარტიის შესყიდვა და ასე შემდეგ, პროცესი უწყვეტად მეორდება წლის განმავლობაში. მაშასადამე, ფიზიკურად ერთი და იგივე მასალა კი არ მოძრაობს წელიწადში რამდენჯერმე, არამედ მათში ავანსირებული ღირებულება ანუ მასალის მარაგში გადახდილი ფული.

**ლიკვიდური „ხაფანგი“** – ეკონომიკის მდგომარეობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მეტისმეტად დაბალი საინვესტიციო აქტიურობა. ამგვარი მდგომარეობა იქმნება მაშინ, როდესაც მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებს ლიკვი-

დური სახსრების დაგროვებას, რაც კრედიტზე პროცენტის განაკვეთის შემცირების საშუალებას იძლევა.

**ლიკვიდური აქტივები** – იგულისხმება სალარო ნაღდი ფული და ზოგიერთი სხვა აქტივი, რომლებიც დაუყონებლივ გადაიქცა ნაღდ ფულად, კერძოდ, სახსრები ცენტრალური ბანკის ანგარიშებზე, სახსრები ანგარიშსწორების ანგარიშზე პირველი კლასის ბანკებში, ასევე ყველაზე ცნობილი საიმედო კომპანიების ფინანსურ ბაზარზე კოტირებადი ფასიანი ქაღალდები. „ლიკვიდური აქტივების“ ცნება უკავშირდება სტაბილურად პროგნოზირებადი ფასით სწრაფად რეალიზაციის შესაძლებლობას, რომელიც გულისხმობს არსებითი დანაკარგების გარეშე მათი სწრაფად შეძენის ფართო ბაზარს. აქტივების ლიკვიდობა გვევლინება, როგორც შეფარდებითი სიდიდე, ვინაიდან მათი გაყიდვა შესაძლებელია. აქტივების ფულად გადაქცევის ფასში ვლინდება აქტივსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა.

**ლიკვიდური აქტივები (liquid assets)** – ადვილად რეალიზებადი სახსრები - მოკლევადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, მიმდინარე ანგარიშები, ნაღდი ფული, რომელსაც არ მოაქვს შემოსავალი სარგებლის სახით.

**ლიკვიდური გადაფარვის ანალიზი** – მოგების დაგეგმვის მეთოდი მოცემული მიდგომით საწარმოს წარმოებაზე დანახარჯები იყოფა ფულად ხარჯებად და ისეთ ხარჯებად, რომლებიც მათთან არ არიან დაკავშირებული. მაგალითად, ამორტიზაცია ღირებულების ნაწილის წირის გადაკვეთის წერტილი, რომელიც შეესაბამება ფულად დანახარჯებს ბრუნვის წირთან, გვიჩვენებს მინიმალური ბრუნვის სიდიდეს, აუცილებელს ლიკვიდობის შენარჩუნებისათვის.

**ლიკვიდური და არალიკვიდური აქტივები** – მაღალლიკვიდური აქტივების გარდა, საკრედიტო ორგანიზაციების სალაროში ნაღდი ფულისა და მოთხოვნამდე ანგარიშებზე სახსრების ნაშთებისა, ასევე კონვერტირებადი ფასიანი

ქაღალდებიც. ლიკვიდური აქტივები მაღალლიკვიდურ აქტივებთან ერთად საკრედიტო დაბანდებებსაც მოიცავენ, რომელთა დაფარვა უახლოესი 30 დღის განმავლობაში არის გათვალისწინებული. ლიკვიდური აქტივების სახით გამოიყენება ასევე ძვირფასი მეტალებიც. ნაკლებლიკვიდურ აქტივებს ისეთი სახის აქტივები მიეკუთვნება, როგორებიცაა გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებები (გრძელვადიანი კრედიტები, წილები, აქციები) და მათ შემდეგ შენობები და ნაგებობები. ბანკის აქტივების ლიკვიდურობის ამაღლება ისეთი მეთოდის მეშვეობით არის შესაძლებელი, როგორიცაა საკრედიტო პორტფელის სეკიურიტიზაცია.

**ლიკვიდური მართვა** – კომპლექსური პროცესია და ეხება, როგორც ბანკის აქტივებს, ისე მის პასივებს.

**ლიკვიდური ნორმატივები** – ნორმატივები, რომლებიც ლიკვიდობის კოეფიციენტებზეა დაფუძნებული და იგი მოკლევადიანი ვალდებულებების მიხედვით ბანკის პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს. მათ შორის თანაფარდობებს: აქტივებსა და პასივებს შორის დაფარვის ვადებისა და ძირითადი თანხის დაბრუნების წესის გათვალისწინებით; ლიკვიდურ აქტივებსა და ჯამურ აქტივებს შორის.

**ლიკვიდური სახსრები** – ნაღდი ფულადი სახსრები, ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ნაშთი, ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები, საბრუნავი კაპიტალის ელემენტები და სხვა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება სესხის აღების ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

**ლიკვიდური სახსრები –** სახსრები, რომლებსაც უახლოეს დროში შეუძლიათ ფულად გადაქცევა. ეს შეიძლება იყოს დასაბრუნებელი კრედიტები და ბანკის სასარგებლოდ სხვა გადასახდელები, რომელთაც უახლოეს 30 დღეში აქვთ შესრულების რეალური ვადა, ბანკის განკარგულებაში არსებული ფასიანი ქაღალდების ნაწილი და სხვა აქტივები.

**ლიკვიდური ქონება** – ქონება, რომელიც ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელია გადაიქცეს გაცვლის საშუალებად. ამდენად ფულადი თანხა აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივს წარმოადგენს, რადგან, მისი გამოყენება გაცვლის საშუალებად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება.

**ლიკვიდურობა** – პირდაპირი გაგებით გაყიდვის სიადვილეს, მატერიალური სახსრების ფულად გადაქცევას ნიშნავს.

**ლიკვიდურობა (liquidity)** – 1. ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა აქტივის ფულად გარდაქმნის შესაძლებლობას. აქტივების გადახდის საშუალებად გამოყენების უნარი მათი ნომინალური ღირებულების შეუცვლელად; 2. ფირმის (კომპანიის, ბანკის და ა.შ.) უნარი, დროულად შეასრულოს თავისი ვალდებულებები. ლიკვიდურობის დონეს განსაზღვრავს ადვილად რეალიზებადი აქტივების ხვედრითი წონა, კრედიტების ოპერატიული მობილიზების შესაძლებლობები, დავალიანების ოდენობისა და კრედიტულ მომენტში ფირმის განკარგულებაში არსებული ლიკვიდური სახსრების თანაფარდობა და სხვა. ფირმის უუნარობა გადასახადების დროულად გადახდისა და სავალო ვალდებულებების დაფარვაში წარმოებრივი ციკლის დარღვევაზე მეტყველებს. გასაღების სიძნელეები და წარმოების დაუტვირთაობა ფირმას აიძულებს აიღოს მეტისმეტად დიდი კრედიტები, რაც აუარესებს მის ლიკვიდურობას.

**ლიკვიდურობის კოეფიციენტი** – მოკლევადიანი აქტივების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან.

**ლიკვიდურობის ნორმა (liquidity rate)** – ნაღდი ფულის, დებიტორული დავალიანებისა და ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების დაჯამებული სიდიდე, გაყოფილი მოკლევადიან ვალდებულებებზე.

**ლიმიტედი** – ტერმინი, რომელიც არნიშნავს კომპანიების, ამხანაგობების, ბანკების შეზრუდული პასუხისმგებლობას ვალდებულებებზე (სააქციო ან საპაიო კაპიტალის ფარგლებში). მისი მოპირდაპირე აღნიშვნა ანლიმიტედ (სრული

ამხანაგობა) მიუთითებს, რომ სააქციო საზოგადოების წევრები პასუხს აგებენ მის ვალდებულებებზე მთელი თავიანთი ქონებით.

**ლიმიტირებული საბანკო პროდუქტი** – ისეთი პროდუქტი, რომლის გამოშვების მოცულობა ან რაოდენობა მკაცრადაა კვოტირებული. მის მოცულობას პროდუქტის გამოშვების წინ ადგენენ.

**ლიუპუმ (საერთო გადასახადი)** – გემის საერთო ტვირთტევადობის ტვირთამწეობის გადახდა, დამოკიდებულად გადაზიდვისთვის ბორტზე მიღებული ტვირთების რაოდენობის მიუხედავად.

**ლიცენზია** – 1. გარკვეული შინაარსის მქონე ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დადგენილი ფორმის რეკვიზიტების დაცვით ადასტურებს ლიცენზიატის უფლებას გარკვეული სახის საქმიანობის წარმართვაზე. 2. ლიცენზია არის ლიცენზირებაზე უფლებამოსილი ორგანოების ნებართვა გარკვეული შინაარსის ოფიციალური დოკუმენტის სახით, რომელიც დადგენილი ფორმის (რეკვიზიტების) დაცვით ადასტურებს ლიცენზიატის უფლებას, განახორციელოს მათში მითითებული სახის საქმიანობა გარკვეული ვადის განმავლობაში ან ვადის შეუზღუდავად, აგრეთვე, განსაზღვრავს ამ საგნის საქმიანობის განხორციელების პირობებს.

**ლიცენზია** – განსაკუთრებული სახის დოკუმენტი. მას გასცემენ და არ იღებენ. ამავე დროს ლიცენზია არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც აფორმებენ ტიპოგრაფიული კლიშეს შემცველ, საგანგებო ხარისხისა და ნიშნების მქონე სპეციალურ ქაღალდზე - ბლანკზე. ლიცენზია იმიტომაცაა ოფიციალური დოკუმენტი, რომ მას გასცემენ მხოლოდ და მხოლოდ ის ორიგინალები, რომლებსაც სალიცენზიო საქმიანობის უფლებამოსილება სახელმწიფოსგან აქვთ მინიჭებული. გათვალისწინებულია მისი გაცემის, გადაფორმების, მოქმედების შეჩერებისა და გაწვევის განსაკუთრებული წესი; შემოღებულია ლიცენზიით გათვალის-

წინებული პირობების დაცვის განსაკუთრებული კონტროლი, უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან; გათვალისწინებულია სალიცენზიო საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოების ხელმძღვანელობისა და თანამდებლობის პირთა პასუხისმგებლობა ამ საქმიანობის წარმართვის წესის დარღვევისათვის ან არასათანადო აღსრულებისთვის.

**ლიცენზია** – გარკვეული შინაარსის მქონე ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც დადგენილი ფორმის რეკვიზიტების დაცვით ადასტურებს ლიცენზიატის უფლებას გარკვეული სახის საქმიანობის წარმართვაზე.

**ლიცენზია** – დოკუმენტი. მას გასცემენ არ იღებენ. იგი არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც აფორმებენ ტიპოგრაფიული კლიშეს შემცველი, საგანგებო ხარისხისა და მნიშვნელობის მქონე სპეციალურ ქაღალდზე - ბლანკზე.

**ლიცენზია** – ლიცენზირებაზე უფლებამოსილი ორგანოების ნებართვა გარკვეული შინაარსის ოფიციალური დოკუმენტის სახით, რომელიც დადგენილი ფირმის (რეკვიზიტების) დაცვით ადასტურებს ლიცენზიატის უფლებას, განახორციელოს მათში მითითებული სახის საქმიანობა გარკვეული ვადის განმავლობაში ან ვადის შეუზღუდავად, აგრეთვე, განსაზღვრავს ამ სახის საქმიანობის განხორციელების პირობებს.

**ლიცენზია –** მკაცრი აღრიცხვის საბუთი, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს უფლებას დადგენილი დროის განმავლობაში, გარკვეული სვლაგეზის მიმართულებით, განსაზღვრული პირობების დაცვით, განახორციელოს მგზავრთა გადაყვანა და ტვირთების (ბარგი, ფოსტა) გადაზიდვა.

**ლიცენზია (license; ლათ. უფლება, ნებართვა - licentia) –** 1. ოფიციალური ნებართვა, გაცემული სახელმწიფოს მიერ ზოგიერთი სახის სამეურნეო საქმიანობის წარმოებისათვის, საგარეო-სავაჭრო ოპერაციების ჩათვლით. ლიცენზია საქონლის ამა თუ იმ ჯგუფის განსაზღვრული რაოდე-

ნობის ექსპორტზე ან იმპორტზე სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა; 2. პატენტით დაცული გამოგონების ტექნოლოგიის გამოყენების, უფლებების გაცემა განსაზღვრული ვადით – საპატენტო ლიცენზია. სალიცენზიო შეთანხმების მოქმედების ვადები და ამ პაციენტების რაოდენობა, ლიცენზიის ასათვისებლად საჭირო დრო, სალიცენზიო ობიექტის მორალურად ცვეთის ვადები, საგადასახადო პირობები, ანალოგიურ ან მსგავს პროდუქციაზე სხვა შეთანხმებათა პირობები და ა.შ. საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება სალიცენზიო შეთანხმების სამი ძირითადი სახე: მარტივი, განსაკუთრებული და სრული. მარტივი სახის სალიცენზიო შეთანხმებისას ლიცენზიარი გასცემს და, ამავე დროს, თვითონაც იტოვებს გამოგონებების ან „ნოუ-ჰაუს“ გამოყენების უფლებას. ამასთან მას შეუძლია ეს უფლება სხვა დაინტერესებულ პირსაც გადასცეს ანალოგიური პირობებით. სრული სახის სალიცენზიო შეთანხმებისას ლიცენზიარი მთლიანად ლიცენზიატს უთმობს გამომგონებლის ყველა უფლებას ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში სალიცენზიო ობიექტი შეიძლება იყოს ტექნოლოგიური ხასიათის ნებისმიერი დამუშავება, მასალა თუ შენადნობი, ნივთიერება, მკურნალობის მეთოდი, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების წესი, ორგანიზაციული, ფინანსური, მმართველობითი ხასიათის ცნობები და ა.შ. ლიცენზიის გაყიდვის ნებართვის მისაღებად აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტების მომზადება, რომელთაგან ძირითადია სალიცენზიო პასპორტი, გაყიდვის მიზანშეწონილობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და სარეკლამო ტექნიკური აღწერის პროექტი.

**ლიცენზიარი (licensor) –** გამოგონების, ტექნოლოგიური ცოდნის და ა.შ. მესაკუთრე იურიდიული პირი, რომელიც ლიცენზიატზე გასცემს ლიცენზიას განსაზღვრულ ფარგლებში თავისი უფლებების გამოყენებისთვის.

**ლიცენზიატი (licensee)** – იურიდიული პირი, რომელიც ლიცენ-ზიატისგან შეიძენს ლიცენზიას მის განსაზღვრულ ფარგლებში გამოყენების უფლებისათვის.

**ლიცენზიის მაძიებელი** – მოცემული ქვეყნის საჰაერო ხომალდის ექსპლოატანტი, რომელმაც გამოხატა სურვილი საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ლიცენზიის მიღების შესახებ.

**ლიცენზიის მფლობელი** – მოცემული ქვეყნის საჰაერო ხო-მალდის ექსპლუატანტი, რომელმაც დადგენილი წესით მიიღო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ლიცენზია.

**ლიცენზირება** – საერთაშორისო მარკეტინგის საქმიანობის დაწყების ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც გამოიხატება საგარეო ბაზარზე შეთანხმების დადებაში, რათა უცხოელ პარტნიორს მიეცეს უფლება გამოიყენოს საწარმოო პროცესი, სასაქონლო ნიშანი ან რაიმე დანიშნულების ფასეულობანი ჰონორარის ან სალიცენზიო გადასახდელის ფასად.

**ლიცენზიური სისტემა/ლიცენზირების სისტემა** – დაინტერესე-ბული კომპანიების შუამდგომლობით შესაბამისად გაფორ-მებული ნებართვის (ლიცენზიის) გაცემა საქონლის შემოტანასა და გატანაზე. შემოღებული იქნა 1989 წელს.

**ლოგიკა** – 1. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ, მათემატიკური მეთოდების გამოყენებით; 2. მსჯე-ლობის და დასკვნების თანმიმდევრობა; 3. შინაგანი კანონზომიერება. ძველმა ბერძნებმა იცოდნენ ლოგისტი-კის გამოყენების ფასი.

**ლოგისტიკა** - მის ქვეშ მოისაზრება მატერიალური და მასთან დაკავშირებული ინფორმაციული ნაკადების დაგეგმვის, ორგანიზაციის, მართვის, კონტროლისა და რეგულირების მეცნიერული და პრაქტიკული გადაწყვეტა როგორც სივრცეში, ისე დროში მისი წარმოშობის პირველი წყაროებიდან ბოლო მომხმარებლამდე.

**ლოგისტიკა** – 1. მეცნიერების დარგი - ყველა სახის (ფიზიკური, ინფორმაციული, ენერგეტიკული და ა.შ.) ნაკადის ოპტი-მიზაციის დამოუკიდებელი თეორიის, მეთოდოლოგიის,

მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომლებსაც თან ახლავს ეკონომიკური, სოციალური და მომსახურების შექმნის, აღწარმოების და მოხმარების სფეროსი საბაზრო ურთიერთობათა პირობებში; 2. მატერიალური, შრომითი, ენერგეტიკული და ინფორმაციული ნაკადების დაგეგმვის, კონტროლისა და მართვის თეორია სისტემებში „ადამიანი-მანქანა"; 3. პროდუქტისა და ნაკადების გადაადგილების (მოძრაობის) ანალიზისა და ოპტიმიზაციის თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობა საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში.

**ლოგისტიკა** – დისციპლინათაშორისო სამეცნიერო მიმართულება, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული მატერიალური ნაკადების ეფექტიანობის ამაღლების ახალი შესაძლებლობების ძიებასთან.

**ლოგისტიკა** – მენეჯმენტის ინტეგრალური ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს ბიზნესის ორგანიზაციის სტრატეგიული, ტაქტიკური ან ოპერატიული მიზნების მიღწევას საერთო დანახარჯების შემცირებისა და საქონლის ხარისხის მიმართ მომხმარებლის მოთხოვნების სრული დაკმაყოფილების პირობის დაცვით.

**ლოგისტიკა** – მეცნიერება დაგეგმვის, კონტროლის და მართვის შესახებ, ასევე ტრანსპორტირება, დასაწყობება და სხვა მატერიალური და არამატერიალური ოპერაციების შესრულება, რომლებიც უზრუნველყოფს ნედლეულის და მასალის მიტანას წარმოებიდან მომხმარებლამდე.

**ლოგისტიკა** – მეცნიერება დაგეგმვის, კონტროლის და ტრანსპორტირების, სასაწყობო და სხვა მატერიალური თუ არამატერიალური ოპერაციების მართვის შესახებ, რომლებიც სრულდება ნედლეულის, მასალისა და შესყიდული ნაწარმის საწარმოსა და მის ქვედანაყოფებში მიწოდებით, მატერიალური ნაკადებისა და ნედლეულის შიდასაწარმო პირობებში გადამუშავების (დამუშავების), ნახევარფაბრიკატებისა და მასალების, ასევე მზა პროდუქციის მომხმარებლამდე მიწოდებით მისივე ინტერესების გათვა-

ლისწინებით, შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფით.

**ლოგისტიკა** – მეცნიერება დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის შესახებ საწარმოში შემოსულ იქ გადამუშავებული და იქიდან გამოსული მატერიალური და მისი შესაბამისი ინფორმაციული ნაკადებისა.

**ლოგისტიკა** – მეცნიერება მომარაგების გასაღებისა და ტრანსპორტის ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედებების შესახებ.

**ლოგისტიკა** – მეცნიერება პროდუქციის ფიზიკური განაწილების პროცესების შესახებ სივრცისა და დროის მიხედვით.

**ლოგისტიკა** – მეცნიერება საქმიანობის სხვადასხვა სახეების ერთობლიობის შესახებ, რომელიც მიმართულია საჭირო რაოდენობის პროდუქციის მისაღებად დადგენილ დროს და წინასწარ დადგენილ ადგილზე, რომელშიც ამ პროდუქციაზე მოთხოვნა ჩამოყალიბდა.

**ლოგისტიკა** – მეცნიერება საწარმოო-სატრანსპორტო სისტემების ყველა ელემენტის ურთიერთობის შესახებ: წარმოებიდან მწარმოებლურ მომხმარებლამდე.

**ლოგისტიკა –** მეცნიერება წარმოების და განაწილების რაციონალური ორგანიზაციის შესახებ, რომელიც კომპლექსურად შეისწავლის წარმოების საშუალებების მომარაგებას, გასაღებას და განაწილებას.

**ლოგისტიკა** – მეცნიერება წარმოების, ტრანსპორტისა და გადანაწილების რაციონალური ორგანიზაციის შესახებ, რომელიც კომპლექსურად მოიცავს საწარმოს მომარაგების, სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის, მზა პროდუქციის გასაღებისა და განაწილების საკითხებს. ცნება „ლოგისტიკას“ აქვს განსაზღვრებათა საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელიც გამოიყენება სამამულო ლიტერატურაში.

**ლოგისტიკა** – მეცნიერება წარმოებისა და განაწილების რაციონალური ორგანიზაციის შესახებ, რომელიც საშუალებას იძლევა კომპლექსურად სისტემური პოზიციებიდან მოიცვას მომარაგების საკითხები, ორგანიზაცია გაუკეთოს

მზა პროდუქციის გადაადგილებისა და შენახვის, აგრეთვე, მასთან დაკავშირებული წარმოების ადგილებიდან მომხმარებლის ადგილამდე კლიენტების მოთხოვნების შესაბამისად საქონლის მიწოდების, ინფორმაციის მართვის პროცესის შესახებ.

**ლოგისტიკა** – მეცნიერება ჯაჭვის „ნედლეულის შესყიდვები - პროდუქციის წარმოება-გასაღება-განაწილების“ მიხედვით, პროდუქციის საწარმოს ეფექტური წინსვლისთვის ანდა საწარმოთა სხვადასხვა ქვედანაყოფების მენეჯერთა ერთობლივი საქმიანობის ორგანიზაციის შესახებ, მოცემული პროცესის ფარგლებში შესრულებული ოპერაციების, პროცედურებისა და ფუნქციების ინტეგრაციისა და კოორდინაციის საფუძველზე რესურსებზე საერთო დანახარჯების მინიმიზაციის მიზნით.

**ლოგისტიკა** – მეცნიერება, დანახარჯების ეფექტიანი და ეკონომიკური თვალსაზრისით დაგეგმვა, რეალიზაცია და კონტროლი, მასალების გადატანის და შენახვის ოპერაციების, ნახევარფაბრიკატების და მზა პროდუქციის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული ინფორმაციისა, საქონლის მიწოდების შესახებ წარმოების ადგილიდან მოხმარების ადგილამდე კლიენტურის მოთხოვნათა შესაბამისად.

**ლოგისტიკა** – მეცნიერული დისციპლინა სისტემებში ნაკადების მართვის შესახებ.

**ლოგისტიკა** – მიმართულება ეკონომიკის სფეროში, რომლის ფარგლებში წყდება წარმოებაში, ტრანსპორტზე და განაწილებაში მატერიალური და ინფორმაციული ნაკადების მართვის კომპლექსური სისტემების დამუშავებისა და დანერგვის პრობლემა, მოთხოვნის სრული და თავისდროული დაკმაყოფილებისთვის.

**ლოგისტიკა** – პროდუქციის წარმოებამდე, წარმოებისას და წარმოების შემდეგ მასთან დაკავშირებული სხვადასხვა მასალების და/ან საქონლის გადაადგილების დაგეგმვა, მართვა და კონტროლი, ანუ სატრანსპორტო სისტემების, დატვირთვა-განტვირთვის მექანიზმებისა და სასაწყობო

მეურნეობის ერთობლივი, შეთანწყობილი მუშაობა სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფით. მისი ძირითადი ამოცანაა მიმწოდებლიდან მომხმარებლამდე მასალებისა და პროდუქციის გადაადგილების პროცესების ერთიანი მენეჯმენტი.

**ლოგისტიკა** – როგორც მეცნიერების კვლევის და მართვის ობიექტს წარმოადგენს მატერიალური, საინფორმაციო, საფინანსო ნაკადების სისტემა.

**ლოგისტიკა** – საერთო თვალსაზრისი: სტრატეგიული, ტაქტიკური, ოპერაციული, კომპანიისა და მისი პარტნიორების შესახებ ბიზნესის მიხედვით მატერიალურ ნაკადებზე ინტეგრატორის სახით.

**ლოგისტიკა** – სამეურნეო საქმიანობის მიმართულება, რომელიც მდგომარეობს წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში მატერიალური ნაკადების მართვაში. სხვა განმარტება ლოგისტიკას განიხილავს, როგორც დისციპლინათაშორისო სამეცნიერო მიმართულებას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მატერიალური ნაკადების ეფექტიანობის გაზრდის, კერძოდ, ახალი ინფორმაციული შესაძლებლობების მოძიებასთან. ზოგიერთ განმარტებაში, მაგალითად, ლ.შ. მიროტინის ნაშრომში, ყურადღება გამახვილებულია მართვის ტექნიკურ საშუალებებზე და მეთოდებზე: ლოგისტიკა – მართვის ტექნიკური საშუალებებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო ტვირთების მიწოდებას დანიშნულების პუნქტში მოცემულ დროში საჭირო რაოდენობით და მინიმალური დანახარჯებით.

**ლოგისტიკა** – საქმიანობის ყველა სახის დაგეგმვა ორგანიზაცია და კონტროლი გადაზიდვისა დასაწყობების მიზნით, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალურ და მასთან დაკავშირებული ინფორმაციული ნაკადების გადაადგილებას ნედლეულის შესყიდვის პუნქტიდან საბოლოო მოხმარების პუნქტამდე.

**ლოგისტიკა** – სფერო, რომელიც წარმოების ორგანიზაციის მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა.

**ლოგისტიკა (ბერძ.)** – 1. განჯის ხელოვნება (აზროვნება, გაანგარიშება, მიზანშეწონილება). ლოგისტიკაში ტერმინი „ცნება“ ნიშნავს აზრს, რომელშიც განზოგადებული და გამოყოფილია ზოგიერთი კლასის საგნები განსაზღვრული საერთო და ერთობლიობაში მათთვის სპეციფიკური ნიშნებით.

**ლოგისტიკაში სისტემური ანალიზის ძირითადი პრინციპები:**

– ოპტიმალურობის პრინციპი;
– ემერჯენტულობის პრინციპი;
– სისტემატურობის პრინციპი;
– იერარქიის პრინციპი;
– ინტეგრაციის პრინციპი;
– ფორმალიზაციის პრინციპი.

ლოგისტიკური გადაწყვეტილების მიღების ამოცანა – ამოცანას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოს განსაზღვრული მდგომარეობის (განსაზღვრული მონაცემების) დროს მოქმედებათა რამდენიმე ალტერნატივიდან შერჩეულ უნდა იქნას ის ალტერნატივა, რომელიც ყველაზე უკეთ უწყობს ხელს საწარმოს ლოგისტიკური გადაწყვეტილებათა მიღების ამოცანა შედგება შემდეგი სამი ელემენტისგან: გარემოს (მონაცემების) მდგომარეობა; მიზნები; ალტერნატივები.

**ლოგისტიკის არხი** – ესაა სხვადასხვა შუამავლების მოწესრიგებული საქმიანობა, რომლებიც ახორციელებენ კონკრეტული მწარმოებლიდან კონკრეტულ მომხმარებლამდე მატერიალური ნაკადების მიწოდებას.

**ლოგისტიკის დაგეგმვა** – მწარმოებლიდან მომხმარებლამდე პროდუქციის ფიზიკური გადაადგილებისა და საკუთრებაში გადაცემის პროცესებზე საგეგმო-მმართველობით გადაწყვეტილებათა სისტემატური მიღება, ტრანსპორტირების, შენახვისა და გარიგებათა დადების ჩათვლით. საწარმოს სტრატეგიული დაგეგმვა შორეული პერსპექ-

ტივის გათვალისწინებით, ეხება ცვალებად გარემოში ბიზნესის არსებული დონის შენარჩუნებას, გეგმის შემუშავებასა და განვითარების ფორმებსა და ხერხებს.

**ლოგისტიკის დაგეგმვის ამოცანა** – პროექტის დამუშავება, რომლებიც პერსპექტივაში შეადგენს ლოგისტიკური საქმიანობის განსაზღვრულ პარამეტრებს, რის შედეგადაც მიიღწევა საწარმოს ლოგისტიკური სისტემის მიზანი.

**ლოგისტიკის კონცეფცია** – მატერიალური ნაკადების ოპტიმიზაციის საფუძველზე საწარმოთა ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლების შეხედულებების სისტემა. ლოგისტიკის კონცეფციის რეალიზაცია წარმოებს სისტემური მიდგომის საფუძველზე.

**ლოგისტიკის პროვაიდერები** – სატრანსპორტო, სატრანსპორტო-საექსპედიციო, სტივიდორული, სასაწყობო და სხვა კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლოგისტიკური სისტემის ფუნქციონირებას.

**ლოგისტიკურ სისტემას აქვს ინტეგრაციული ხარისხი, რაც ცალკე არ ახასიათებს არც ერთ ელემენტს.**

**ლოგისტიკურ სისტემაში შეიძლება განვიხილოთ საწარმოო დაწესებულება, ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსი, სავაჭრო ფირმა და ა.შ.**

**ლოგისტიკურ ფუნქციას სამრეწველო საწარმოებისთვის** – წარმოადგენს მისი ნედლეულით მაკომპლექტებელი ნაწილებით მომარაგება, პროდუქციის წარმოება, გასაღება, ტრანსპორტისათვის-გადაზიდვები, სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურების გაწევა და სხვა.

**ლოგისტიკური სისტემის ელემენტებს შორის არსებობს არსებითი კავშირი, რომელიც კანონზომიერულად განსაზღვრავს სისტემის ინტეგრაციულ ხარისხს.**

**ლოგისტიკური ალტერნატივა** – წარმოადგენს ერთ-ერთ შესაძლებლობათაგანს, სხვებისგან დამოუკიდებელი მოქმედების ხერხს დასმული ამოცანის მისაღწევად. ლოგისტიკური ალტერნატივები წარმოადგენენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოქმედებების ვარიანტებს (ლოგისტი-

კური პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტები), რომელიც ლოგისტიკის სპეციალისტს შეუძლია ამოირჩიოს დასმული მიზნის რეალიზაციის დროს.

**ლოგისტიკური არხი** – საწარმოების ან ორგანიზაციების ნაწილობრივად მოწესრიგებული სისტემა, რომელიც აწარმოებს ნაკადის დაყვანას მწარმოებლიდან მის მომხმარებლამდე.

**ლოგისტიკური დანახარჯები** – ლოგისტიკური ოპერაციების შესრულებასთან დაკავშირებული დანახარჯები: მასალებზე შეკვეთების განთავსება, შესყიდვა, შემოსული მასალების დასაწყობება, შიგასაწარმოო ტრანსპორტირება, გარე ტრანსპორტირება და ა.შ. მათ მიეკუთვნება აგრეთვე დანახარჯების ყველა სახე: პერსონალზე, მოწყობილობაზე, სათავსოზე, სასაწყობო მარაგებზე, შეკვეთების, მარაგების, მიწოდებების შესახებ ინფორმაციის შეკრებაზე, შენახვასა და გადაცემაზე და ა.შ.

**ლოგისტიკური ინფორმაცია** – მიზანმიმართული ცოდნა, რომელიც საჭიროა ორგანიზაციის ლოგისტიკური სისტემის მართვის პროცესის უზრუნველყოფისთვის.

**ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ტექნიკურ შესაძლებლობებს მიეკუთვნება** – მიმოსვლის საშუალებები, კავშირის საშუალებები, სატრანსპორტო კვანძები (სადგურები, პორტები, ტერმინალები).

**ლოგისტიკური კონტროლი** – ესაა ლოგისტიკის საგეგმო და ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის განსხვავებათა უწყვეტი შემოწმების პროცესი, აგრეთვე ამ განსხვავებათა ანალიზი. გადახრების მიზეზების გამოვლენისთვის.

**ლოგისტიკური მომსახურების ხანგრძლივობა** – პროდუქციის მიწოდებაზე შეკვეთის მიღებას, დამუშავებასა და მომხმარებლის მიერ შეკვეთილი პროდუქციის მიღებას შორის დროის ინტერვალი.

**ლოგისტიკური მომსახურების ხარისხის სისტემა** – ორგანიზაციული სტრუქტურების ლოგისტიკური პროცედურების, პროცესებისა და რესურსების ერთობლიობა, რომე-

ლიც აუცილებელია ლოგისტიკური მომსახურების ხარის-ხის მართვისათვის.

**ლოგისტიკური ობიექტი** – ესაა ყოველივე ის, რაც შეიძლება ინდივიდუალურად აღიწეროს და იქნას განხილული; მაგალითად, მატერიალური ნაკადები, ლოგისტიკური საქმიანობა ანდა მომხმარებლის შეკვეთის შესრულების პროცესი, პროდუქცია, ორგანიზაცია, სისტემა ან/და მათი ნებისმიერი კომბინაცია.

**ლოგისტიკური ოპერაცია** – ტვირთებზე ან მათთან დაკავშირე-ბული ინფორმაციებზე განსაზღვრული ერთობლივი მოქ-მედება, როგორიცაა შეფუთვა, დატვირთვა-განტვირთვა, ტრანსპორტირება, ტვირთებზე დოკუმენტების გაფორმე-ბა, აგრეთვე სატვირთო ნაკადებზე ინფორმაციების მოგროვება, შენახვა და დამუშავება.

**ლოგისტიკური ორგანიზაციის თავისებურებანი** – ლოგისტი-კური სამსახურის თანამშრომლების სპეციალიზაციის მაღალი დონე; გათავისუფლება ფორმალიზმისგან; დაუკავშირებელი საინფორმაციო სისტემის არსებობა; დეცენტრალიზაცია; კონტროლის დაბალი ინტენსივობა.

**ლოგისტიკური პრობლემა** – შეუსაბამობა საქმის საჭირო (სა-სურველი) და ფაქტიურ მდგომარეობას შორის საწარმოს ლოგისტიკის სფეროში.

**ლოგისტიკური პრობლემების დიაგნოსტიკა** – დაგეგმვის რომელიღაც პერიოდში, მიზნების შესახებ წარმოდგენასა და ობიექტის პროგნოზირებულ წარდგენას შორის განსხვავებათა გამოვლენა.

**ლოგისტიკური პროცესები** – და განსაკუთრებით მარკეტინგული მენეჯმენტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ე.წ. საქონლის სასირცხვილო ციკლისგან, რომელშიც გამოყო-ფენ დამახასიათებელ ეტაპებს, დამოკიდებულს ბაზარზე მისი გაყიდვების მოცულობისგან და საწარმოების მოგე-ბისგან.

**ლოგისტიკური სერვისი (მომსახურება)** – არამატერიალური ლოგისტიკური ოპერაციების ერთობლიობა, რომელიც

მასალების, ფინანსების და საინფორმაციო ნაკადების მართვის პროცესში მოთხოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. ლოგისტიკური სერვისების ობიექტებია მასალათა ნაკადების სხვადასხვა მომხმარებელი.

**ლოგისტიკური სისტემა** – ელემენტების ერთობლიობა (სიმრავლე), რომლებიც იმყოფებიან გარკვეულ ფუნქციონალურ კავშირში და ურთიერთობებში ერთმანეთთან, ქმნიან განსაზღვრულ ერთიანობას, მთლიანობას.

**ლოგისტიკური სისტემა** – იმ ელემენტების ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებენ ერთმანეთზე.

**ლოგისტიკური სისტემა** – ლოგისტიკური ოპერაციების მართვის ინტეგრირებული სისტემა. ლოგისტიკური სისტემის მიზანია – საქონლის და ნაკეთობის მიზიდვა მოცემულ ადგილზე საჭირო რაოდენობითი და ასორტიმენტით, დანახარჯების მინიმალურ (შესაძლო, მოცემულ) დონეზე.

**ლოგისტიკური სისტემა** – წარმოადგენს ორგანიზაციულად გაფორმებული ურთიერთდაკავშირებული სისტემა წარმოქმნილი ელემენტების ერთობლიობას (ლოგისტიკური ქსელის რგოლებს და უზრუნველყოფს ქვესისტემებს, რომლებიც ინტეგრირებულია მატერიალური ნაკადით და ბიზნესის გაძღოლის ერთიან სისტემაში, რომელთა ფუნქციონირება მიმართულია დროში და სივრცეში სასაქონლო მატერიალური და თანმხლები ნაკადების განთავსების რაციონალიზაციაზე მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით საქონლისა და მომსახურების ხარისხში და მთლიანობაში სისტემის ფუნქციონირებისგან მაქსიმალური სინერგიული ეფექტის მიღებისათვის.

**ლოგისტიკური სისტემა პირდაპირი კავშირებით** – სისტემა, რომელშიც მატერიალური ნაკადი დაიყვანება მომხმარებლამდე პირდაპირი კავშირების საფუძველზე, შუამავლების მონაწილეობის გარეშე.

**ლოგისტიკური სისტემა, რომელსაც უნარი აქვს, უპასუხოს წარმოშობილ მოთხოვნას საჭირო საქონლის სწრაფ**

**მიწოდებაზე, შეიძლება შევადაროთ ცოცხალ ორგანიზმს. ამ ორგანიზმის კუნთები ამწე-სატრანსპორტო ტექნიკაა, ცენტრალური ნერვული სისტემა ლოგისტიკური პროცესის მონაწილეობის სამუშაო ადგილზე კომპიუტერების ქსელი, რომელიც ორგანიზებულია ერთიანი საინფორმაციო სისტემაში.**

**ლოგისტიკური სისტემების თვისებები** – მთლიანობა და დაყოფა, ე.ი. ლოგისტიკური სისტემა არის ელემენტების ერთიანი სიმრავლე, რომლებიც ურთიერთქმედებაშია ერთმანეთს შორის.

**ლოგისტიკური სისტემის ელემენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია განსაზღვრული წესით, ე.ი. ლოგისტიკურ სისტემას ახასიათებს ორგანიზებულობა.**

**ლოგისტიკური სისტემის ელემენტი** – ფუნქციონალურად განცალკევებული ობიექტი, რომელიც არ ექვემდებარება შემდგომ დეკომპოზიციას ლოგისტიკური სისტემის ანალიზისა და სინთეზის დასმული ამოცანის ფარგლებში, ასრულებს თავის ლოკალური მიზნის ფუნქციას, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული ლოგისტიკური პროცედურების შესრულებასთან.

**ლოგისტიკური სისტემის ეფექტურობა** – მაჩვენებელი (ანდა მაჩვენებლის სისტემა), რომელიც ახასიათებს ლოგისტიკური სისტემის ფუნქციონირების ხარისხის დონეს საერთო ლოგისტიკური დანახარჯების მოცემულ დონეზე. მომხმარებლის თვალსაზრისით, რომელიც წარმოადგენს ლოგისტიკური ჯაჭვის საბოლოო რგოლს, ლოგისტიკური სისტემის ეფექტურობა განისაზღვრება მისი შეკვეთის მომსახურების დონით.

**ლოგისტიკური სისტემის მიზანი** – მიწოდებული იქნეს მასალები (ტვირთი) საქონელი აუცილებელი რაოდენობით და ასორტიმენტით, წარმოებისათვის ან პირადი მოხმარებისათვის მაქსიმალურად მომზადებული, მომხმარებლის მიერ მოთხოვნილ ადგილას, დადგენილ ვადებში, მინიმალური ხარჯებით, ანუ აღიარებული პოპულარული

პრინციპით – ზუსტი საქონელი, ზუსტი მომხმარებლისთვის.

**ლოგისტიკური სისტემის მიზანი** – საქონლის და ნაკეთობის მიწოდება დანიშნულების ადგილზე საჭირო რაოდენობითა და ასორტიმენტით. საქონელი დამზადებულია მაქსიმალურად შესაძლებელი ხარისხით და გათვალისწინებულია დანაკარგების დონე; აგრეთვე გათვალისწინებულია პირადი და საწარმოო მოთხოვნა.

**ლოგისტიკური სისტემის საზღვრები** – განისაზღვრება საწარმოო საშუალებების ბრუნვის ციკლით. უპირველესად შეისყიდიან საწარმოო საშუალებებს. ისინი მატერიალური ნაკადის სახით შედის ლოგისტიკურ სისტემაში, თავსდება საწყობში, გადამუშავდება, ინახება და შემდეგ გამოდის ლოგისტიკური სისტემიდან მოთხოვნაში, როგორც ლოგისტიკური სისტემის ფინანსური რესურსები.

**ლოგისტიკური სისტემის ფორმირების ეტაპები:** სისტემის ფუნქციონირების მიზნების განსაზღვრა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს სისტემა (სისტემის ფუნქციონირების მიზნებისა და გარემოს შეზღუდვების ანალიზის საფუძველზე); ამ მოთხოვნილების საფუძველზე სისტემის ელემენტების ფორმირება; ელემენტების ორგანიზაცია ერთიან ლოგისტიკურ სისტემაში სხვადასხვა ვარიანტებისა და ელემენტების შერჩევის ანალიზის საფუძველზე.

**ლოგისტიკური ცენტრი (logistice centre) – დამოკიდებული კომპანიების და ორგანიზაციების ტერიტორიული გაერთიანება, რომლებიც აწარმოებენ სატვირთო გადაზიდვებს (მაგალითად, სატრანსპორტო შუამავლები, ტვირთგამგზავნები, გადაზიდვის ოპერატორები, საბაჟო ორგანოები) და თანმხლებ მომსახურებას (მაგალითად, შენახვის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის) მოიცავს უკიდურეს შემთხვევაში ერთ ტერმინალს მაინც.**

**ლოგისტიკური ჯაჭვი** – ლოგისტიკური სისტემის წრფივად მოწესრიგებული ელემენტების ერთობლიობა (საწარმოე-

ბისა და ორგანიზაციების სიმრავლე, რომლებიც ახორციელებენ ოპერაციებს ნაკადის ერთი სისტემიდან მეორემდე დასაყვანად), მოწესრიგებული მატერიალური (საინფორმაციო ანდა ფინანსური) ნაკადის მიხედვით ლოგისტიკური პროცედურების განსაზღვრული ერთობლიობის ანალიზის ანდა სინთეზის მიზნით.

**ლოგისტიკური ჯაჭვი** - წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა, აგრეთვე, მოწყობილობების (პროდუქციის მწარმოებელი, საერთო სარგებლობის საწყობი, სატრანსპორტო ობიექტი და სხვა) მოწესრიგებულ ერთობლიობას, რომლებიც ასრულებენ წარმოშობის პუნქტიდან შუალედურ სისტემებამდე (ბაზრები, საწყობები, ტერმინალები) ან საბოლოო მომხმარებლამდე მატერიალური (სატვირთო) ნაკადების მიწოდებას, სხვადასხვა ლოგისტიკურ ოპერაციებს.

**ლოგიტიპი** – საფირმო სტილის ელემენტი, სასაქონლო ნიშნის ფორმა.

**ლოდინის თეორია** – კონცეფცია, რომლის თანახმად აქტიური მოთხოვნილებების ქონა არ წარმოადგენს რაიმე მიზნის მიღწევისას ადამიანის ქცევის მოტივაციის ერთადერთ და საკმარის პირობას. ადამიანი, ამავე დროს უნდა მოელოდეს, რომ მისი მოქმედების შედეგად დასახული მიზანი აუცილებლად იქნება მიღწეული.

**ლოკალური (ადგილობრივი) საბანკო ბაზარი** – ასეთი ბაზარი შესაძლოა ჩამოყალიბდეს ქალაქის, სოფლის და რეგიონის ფარგლებში.

**ლოკალური მარკეტინგი** – ასახავს მზარდ ტენდენციას, რომელსაც უწოდებენ სიტყვიერ მარკეტინგს ჩვეულებრივი მომხმარებლების დონეზე (gresseots marketing).

**ლოკალური მარკეტინგის საფუძველი** – სპეციალური მარკეტინგული პროგრამები, რომლებიც მიმართულია ამა თუ იმ რეგიონის მყიდველთა ჯგუფის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე (მაგალითად, სავაჭრო ცენტრის ამ მცირე მაღაზიის მომსახურების ზონა).

**ლოკალური სახსრები** – ნაღდი ფულადი სახსრები, ბანკში მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი, ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები, საბრუნავი კაპიტალის ელემენტები და სხვა რომელთა გამოყენებაც შეიძლება სესხის აღებისას ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.

**ლოკაუტი** – წარმოების გაჩერება და ხელფასების გაცემის შეწყვეტა, რათა პროფკავშირი იძულებული გახდეს მიიღოს ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული პირობები.

**ლოკო** – გარიგების პირობები, როდესაც საქონლის ფასში არ შედის მყიდველამდე ტრანსპორტირების ხარჯები.

**ლომბარდები** – ლომბარდები ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი სახის საკრედიტო დაწესებულებებია. მიჩნეულია, რომ პირველი ლომბარდი XV საუკუნეში საფრანგეთში დააარსეს ლომბარდიდან ჩამოსულმა მევახშეებმა. ტრადიციულად ლომბარდები ახდენდნენ ფიზიკური პირების დაკრედიტებას პირადი ქონების (ძვირფასი ლითონების ნაკეთობები, ხელოვნების ნიმუშები და ანტიკვარიატი, ავტომობილები და ა.შ.) დაგირავებით. საქართველოში ლომბარდების შექმნის ერთ-ერთი მიზანი, საწინდარით სესხის გაცემის გარდა, იყო პირადი მოხმარებისა და საოჯახო საგნების შენახვის შესაძლებლობის მიცემა მოსახლეობისათვის.

**ლომბარდი (pawnshop)** – საკრედიტო დაწესებულება, რომელიც გასცემს სესხს მოძრავი ქონების დაგროვების საფუძველზე. ეს ქონება ინახება ლომბარდში. პირველად დაარსდა XV საუკუნეში სფარანგეთში.

**ლომბარდული კრედიტები** – მათ კომერციულ ბანკებს 30 დღემდე აძლევენ ლიკვიდობის შესანარჩუნებლად იმ ფასიანი ქაღალდების საწინდარით, რომლებიც ე.წ. სალომბარდო ნუსხაშია მოქცეული. მათ ხარჯზე ბანკები იღებენ მოკლევადიან რესურსებს და მათ იყენებენ კლიენტების წინაშე არსებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. ამგვარად ბანკების მიმდინარე ლიკვიდობა მატულობს.

**ლონდონის საერთაშორისო ფინანსური ბირჟა** – მოქმედებს 1982 წლიდან. იგი სპეციალიზებულია ფიუჩერულ კონტაქტებზე, რომლებშიც გამოიყენება ბრიტანული ფუნტი სტერლინგი, გერმანული მარკები, შვეიცარიული ფრანკები, იაპონური იენები და ევროდოლარები.

**ლორენცის მრუდი (lorents curve)** – გრაფიკი, რომელიც გვიჩვენებს შემოსავლების მრუდის გადახრის სიდიდეს აბსოლუტური თანასწორობის მრუდისგან. იხ. ჯინის კოეფიციენტი.

**ლოტი** – საქონლის პარტია, საქონლის რაოდენობის ნაწილი, რომლის მოწოდება ხდება ხელშეკრულების მიხედვით. ეს სახელწოდება ფართოდ გავრცელებულია საუქციონო ვაჭრობაში, სადაც გასაყიდად წარმოდგენილი საქონელი ნაწილდება ლოტებად, რომლებიც შედგება ან ერთი საგ-ნისგან, ან რამდენიმე ხარისხის მიხედვით ერთგვაროვანი საგნებისგან. თითოეულ საუქციონო ლოტზე, რომელსაც აქვს რიგირთი ნომერი, დგინდება ფასი.

**ლოტი (lot; პარტია, სერია - lood)** – 1. საზომი ერთეული საბირჟო გარიგებისას. როგორც წესი, გამოიყენება მასშტაბურ გარიგებებში. საფონდო ბირჟებზე განასხვავებენ სრულ და არასრულ ლოტს. სრული ლოტი ფასიანი ქაღალდების ის პარტიაა, რომელიც არ ფიქსირდება და ჩვეულებრივ მცირე გარიგებებში გამოიყენება; 1. საქონლის პარტია, მისი მთლიანი რაოდენობის ნაწილი, რომელიც იყიდება ხელშეკრულებით.

**ლუის-ფეის-რეინისის მოდელი (levis–fei–ranis model)** - უმუშევრობის ეკონომიკური მოდელი განვითარებად ქვეყნებში, რომელიც შექმნა ლუისმა 1954-1958 წლებში და განავითარეს ფეიმ და რეინისმა 1964 წელს. მოდელში დასაბუთებულია ეკონომიკის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სექტორებად დაყოფის აუცილებლობა და განხილულია მათ შორის სამუშაო ძალის მოძრაობის პრობლემები. სასოფლო-სამეურნეო სექტორებად დაყოფის აუცილებლობა და განხილულია მათ შორის სამუშაო

ძალის მოძრაობის პრობლემები. სასოფლო-სამეურნეო სექტორში, რომელიც თანდათანობით გადაადგილდება სამრეწველო სექტორში. ამ უკანასკნელის მიერ სამუშაო ძალის შთანთქმა დამოკიდებულია კაპიტალის დაგროვების ტემპზე და შესაბამისად, მოგების დონეზე. ლუისი განიხილავდა ხელფასის დონეს მრეწველობაში მუდმივ სიდიდედ, რომელიც დაკავშირებულია საარსებო მინიმუმთან სასოფლო-სამეურნეო სექტორში, სრული დასაქმება კი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჭარბი სამუშაო ძალა გადავა სასოფლო სამეურნეოდან სამრეწველო რაიონებში და მას მთლიანად შთანთქავს მრეწველობა. ამ მოდელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის პრობლემების გარკვევაში, ამასთან, ემპირულმა გამოთვლებმა უარყო მისი ორი ძირითადი დებულება: პირველი, როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო რაიონებში ან არის მაღალი უმუშევრობა სამრეწველო რაიონებთან შედარებით; მეორე მრეწველობაში ხელფასი არ არის მუდმივი სიდიდე და განუწყვეტლივ იზრდება, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ხელფასის დონისგან სოფლის მეურნეობაში.

## მ

**მაგროვებელს** – მიეკუთვნება დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ასახავენ ერთგვაროვან სამეურნეო ოპერაციებს.

**მათემატიკური მოდელირების მეთოდი** – გამოიყენება ბაზრის ცალკეული კონიუნქტურულ მაჩვენებელს შორის ფუნქციური კავშირის დასამყარებლად და მისი განტოლების სახით გამოსახვისათვის.

**მათემატიკური სტატისტიკა** – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ერთგვაროვანი ობიექტების დიდი ერთობლიობისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებების გამომჟღავნების მეთოდებს მათი ამორჩევითი გამოკვლევის საფუძველზე.

**მაკიდადორასი** – ამერიკის შეერთებული შტატებიდან მექსიკაში შეტანილი მაკომპლექტებელი მასალების დასამუშავებელი და ასაწყობი საწარმოები. ეს საწარმოები განლაგებულია ამერიკის შეერთებული შტატების მოსაზღვრე მექსიკის სამეურნეო ზონებში. აქ ვრცელდება სასაზღვრო ვაჭრობის ნორმები.

**მაკლერი** (broker, jobler) [<გერ.makler] – შუამავალი, რწმუნებული გარიგებების დადებისას საფონდო, საქონლის და ვალუტის ბირჟაზე. საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების მაკლერი ვაჭრობის მონაწილეა, რომელიც აფიქსირებს გარიგებებს საფონდო ბირჟის წევრებს – ბროკერებს, დილერებს შორის. ვაჭრობაზე მაკლერის დაშვება განისაზღვრება შესაბამის ბირჟაზე მიღებული კონკრეტული მექანიზმით. ამიტომ მაკლერები ყველა საფონდო ბირჟაზე არ არიან. მაკლერის შემოსავალს – კურტაჟს შეადგენს ბირჟის იმ წევრების მიერ გადახდილი თანხა, რომელთა გარიგებებსაც იგი აფიქსირებს. ბირჟაზე მაკლერი მოქმედებს როგორც რწმუნებული და არ შეიძლება უშუალოდ მონაწილეობდეს გარიგებაში თავის სახელით და თავისი ხარჯით. საბირჟო მაკლერად მუშაობისათვის საჭიროა სპეციალური კურსების გავლა, პრაქტიკული გამოცდილება და სახელმწიფო ლიცენზია.

**მაკლელანდის მოთხოვნილებათა თეორია** – მოტივაციის მოდელი, რომელიც აღწერს ადამიანთა ქცევას მოთხოვნილებათა შემდეგი სამი კატეგორიის მიხედვით; ძალაუფლების, მიღწევებს და კუთვნილების.

**მაკორექტირებელი გატარება** – გატარებები, რომლებიც კეთდება საბუღალტრო პერიოდის ბოლოს შემოსავლებისა და გასავლების შესაბამისობაში მოყვანისათვის. მაკლერები უნდა ფლობდნენ ინვესტიციური ინსტრუმენტების ღრმა და ყოველმხრივ ცოდნას.

**მაკორექტირებელი ზემოქმედება** – ხორციელდება ცენტრალური ბანკის მიერ საკრედიტო ოპერაციების ან ფასიანი ქაღალ-

დების ოპერაციების გატარების გზით, რომელთაც ახორციელებს ცენტრალური ბანკი აუცილებელი მასშტაბებით და საჭირო პერიოდულობით, რის გამოც ეფექტი შედარებით მალე მიიღწევა.

**მაკროანალიზი** – შეისწავლის ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს სახელმწიფოს და მსოფლიოს მასშტაბით.

**მაკროეკონომიკა** (macroeconomics) [<ბერძ. macros გრძელი, დიდი] – 1. ქვეყნის მთლიანი მეურნეობა; გამოხატავს ეკონომიკის ზოგად მდგომარეობას, განიცდის საბიუჯეტო-საფინანსო, საკრედიტო-ფულადი და სხვა სამთავრობო პოლიტიკის გავლენას; 2. ეკონომიკური თეორიის განყოფილება ეკონომიკის, როგორც ერთიანი მთლიანის, წარმართვის შესახებ, სწავლობს ეკონომიკის ციკლური მერყეობის მიზეზებს, ურთიერთდამოკიდებულებას საწარმოებისა და დასაქმების დინამიკას შორის, ინფლაციას, უმუშევრობას, ეკონომიკურ ზრდასა და სხვა მაკროეკონომიკურ პრობლემებს. საპირისპიროა – მიკროეკონომიკა.

**მაკროეკონომიკა** (ბერძ. Makros - გრძელი, დიდი) – გლობალური, მთლიანი ეროვნული მეურნეობის ეკონომიკა. მაკროეკონომიკის შემადგენელი ნაწილია მიკროეკონომიკა. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება მეურნეობის ნებისმიერი დარგის ეკონომიკა.

**მაკროეკონომიკური იგივეობა** (income identity) – მაკროეკონომიკური დამოკიდებულება, რომელიც ახასიათებს წარმოებრივი ერთობლივი შემოსავლების იგივეობას მოხმარებულთან.

**მაკროეკონომიკური მაჩვენებლები** (macroeconomic indicators) – მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) სისტემა, რომელიც გამოიყენება ქვეყნის მთელი ეკონომიკის, მსხვილმასშტაბური ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესასწავლად. მასში შედის: 1. ეკონომიკური ზრდის ინდიკატორები (მთლიანი შიგა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი, ეკონომიკის წმინდა მო-

გება, მთლიანი ეროვნული დანაზოგი, წმინდა ეროვნული დანაზოგი და ა.შ.); 2. ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის ინდიკატორებში (რესურსებით ქვეყნის უზრუნველყოფის დონე და ხარისხი, არაკვლავწარმოებადი ბუნებრივი რესურსების უპირატეს გამოყენებაზე გადასვლის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის დონე და ხარისხი და ა.შ.); 3. ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების დონეზე დამოკიდებული ინდიკატორები (ინფლაციის დონე და ტემპი, უმუშევრობის ნორმა, ეროვნული ვალუტის სტაბილურობის დონე, სავალუტო რეზერვის ოდენობა, ჯინის კოეფიციენტი (ანუ შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის ხარისხი), საკუთრების პლურალიზმის ხარისხი, ფარული ეკონომიკის მასშტაბები, სახელმწიფო ვალის ოდენობა და ა.შ.).

**მაკროეკონომიკური პოლიტიკა** (macroeconomic poficy) – ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებათა ერთობლიობა, მიმართული ქვეყნის მდგრადი განვითარების მიღწევისა და შენარჩუნებისაკენ ეკონომიკის ციკლური მერყეობის შენელების, ინფლაციური და დეფლაციური პროცესების აღმოფხვრის, შემოსავლების განაწილებაში მკვეთრი უთანაბრობის დაძლევის, საზოგადოებრივი საქონლის წარმოების, უარყოფითი გარე ეფექტების ნიველირების, უმუშევრობის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის საფუძველზე. ამ მიზნით სახელმწიფოს ეკისრება ალოკაციური, გამანაწილებელი და სტაბილიზაციის ფუნქციების შესრულება.

**მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია** (macroeconomic stabilition) – ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების შემადგენელი ნაწილი, რომლის გარეშე ინსტიტუციური, მიკრო-, მაკრო-, და მეგაეკონომიკური პროცესები დეფორმირებულ ხასიათს იღებს. განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს ეკონომიკის სისტემური გარდაქმნის სტრუქტურაში. ეკონომიკის კონვერსის პროცესში მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდე-

ბული ქვეყნის ინსტიტუციური გარდაქმნები (საკუთრების განსახელმწიფოებრივობა, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, რესურსების საქონლისა და მომსახურების ბაზრების ფორმირება, ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და სხვა). მიკროეკონომიკური გარდაქმნები (ფასების ლიბერალიზაცია, ეკონომიკის დემონოპოლიზაცია, ანტიმონოპოლიური რეგულირება და სხვ.) და მეგაეკონომიკური გარდაქმნები (საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია, ჩაკეტილი ეკონომიკიდან ღია ეკონომიკაზე გადასვლა და სხვ.). მაგალითად მაკროეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტები აშკარა, დაუფარავ სპეკულაციურ ორიენტაციას იღებს, ფასების ლიბერალიზაცია შეიძლება ჰიპერინფლაციაში გადაიზარდოს და ა.შ. თავის მხრივ, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია შეუძლებელია ინსტიტუციური მიკრო და მეგაეკონომიკური გარდაქმნების გარეშე განხორციელდეს. ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში, საბაზრო ურთიერთობებისა და შესაბამისი ინსტიტუტების გარეშე, იგი დირექტიულ-ცენტრალიზებულ ფორმას იღებს. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია დიდად არის დამოკიდებული იმ მოდელის პრიორიტეტზე, რომელიც ქვეყანამ აირჩია გარდამავალ ეკონომიკაში, სისტემური გარდაქმნების საწყის ეტაპზე. მსოფლიო ეკონომიკამ ამ თვალსაზრისით თანამედროვე პირობებში წინა პლანზე ე.წ. „შოკური თერაპიისა“ და გრადუალისტური მოდელები წამოწია.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის შემდეგი ტიპებია ცნობილი: **ორთოდოქსული, ჰეტეროდოქსული და სტრუქტურული-წარმოებრივი**:

**ორთოდოქსულ მიდგომაში** აქცენტი კეთდება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე როგორც სახელმწიფო ხარჯების (სახელმწიფო მმართველობის, თავდაცვის, სოციალური დაცვის ხარჯების, სახელმწიფო ტრანსფერების, სუბსიდიების, კაპიტალდაბანდებებისა და

ა.შ.) შემცირების გზით, ისე საშემოსავლო ბაზის გადიდებით. ეს უკანასკნელი მიიღწევა საგადასახადო პოლიტიკის გამკაცრებით, საგადასახადო შეღავათების შემცირებითა და გადასახადების გადიდების გზით, პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების გაზრდით და ა.შ.

მკაცრ საბიუჯეტო პოლიტიკას თან ახლავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებაც, რაც „ძვირი ფულის“ პოლიტიკაში აისახება. იგი გამოიხატება ფულის მიწოდების შეზღუდვით ან შეწყვეტით (რისი ერთადერთი გზაც ფულის ემისიასთან ერთად, კომერციული ბანკების რეზერვების შემცირებაა), ცენტრალური ბანკის კრედიტების შემცირებით, საპროცენტო განაკვეთის ამაღლებით (რაც ამცირებს კომერციული ბანკების დაინტერესებას, გაზარდონ თავიანთ რეზერვში ცენტრალური ბანკისგან სესხის აღების მეშვეობით), ბანკთაშორისი სარეზერვო ნორმის გადიდებით (რაც ავტომატურად ამცირებს კომერციული ბანკის რეზერვებს), საფონდო ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვით და ა.შ.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული ტიპისათვის დამახასიათებელია ეკონომიკური სტაბილიზატორების (ე.წ. „ღუზის“) არჩევის ორი გზა. პირველ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მიმოქცევაში ეროვნული ფულის შეზღუდვაზე, ე. ი. „ფულად ღუზაზე“, რომელსაც საფუძვლად მონეტარული მეთოდები უდევს. იგი ემყარება მკაცრ საბიუჯეტო, საგადასახადო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკას „მცურავი“ გაცვლითი სავალუტო კურსის პირობებში, როდესაც ანტიინფლაციური ღონისძიებები დაყვანილია ერთობლივი მოთხოვნის შემცირებასა და ფულადი მასის შეზღუდვაზე. მეორე შემთხვევაში აქცენტი კეთდება სავალუტო კურსის სტაბილიზაციაზე ფიქსირებული კურსის და სავალუტო „დერეფნის“ დადგენის გზით, ე.ი. „სავალუტო ღუზაზე“. ეს ღონისძიებები ხელს უწყობს ინფლაციური მოლოდინის შემცირებას,

ბაზრის სუბიექტების ეკონომიკური ქცევის წინასწარ განჭვრეტასა და ა.შ. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება უცხოურ ვალუტაზე, პირველ ყოვლისა, აშშ-ის დოლარზე და გაცვლითი ვალუტის კურსის სტაბილურ შენარჩუ-ნებაზე. ამრიგად, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული ტიპი, ერთი მხრივ, მონეტარული („ფუ-ლადი ღუზა“) პოლიტიკის, ხოლო მეორე მხრივ, ფიქსირე-ბული სავალუტო კურსის („სავალუტო ღუზა“) გამომხატ-ველია. იგი წარმოშობს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა: დაბალი საინვესტიციო და საქმიანი აქტიუ-რობა, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის შესუს-ტება საშინაო ბაზარზე სამამულო წარმოების პროდუქ-ციის წილის დაცემა, საგადასახადო ბაზრის შეკვეცა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირება და ა.შ.

**გეტეროდოქსული მიდგომა** აქცენტს აკეთებს შემოსავლებისა და ფასების „გაყინვაზე“, რაც ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ფინანსური სტაბილიზაციის „მესამე ღუზის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს მიდგომა, განსაკუთრებით „შოკის“ ფორმით, იძლევა ანტიინფლა-ციურ ეფექტს, მაგრამ წარმოქმნის ანტიინფლაციურ ეფექტს, მაგრამ წარმოქმნის ნეგატიურ შედეგებსაც: ქრება წარმოების (განვითარების სტიმულები, ჩნდება სასაქონ-ლო დეფიციტის წარმოქმნის საშიშროება, ხდება ფასის-მიერი იმპულსების დეფორმაცია და ა.შ.).

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მესამე ვარიანტი - სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია არის გრადუალიზმის ვარიანტი რომელიც „შოკისაგან“ განსხ-ვავებით ხორციელდება. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: სახელმწიფოს მხარდაჭერა არამხოლოდ რეგულირების აპრობირებული მეთოდების გამოყენებით, არამედ საინ-ვესტიციო და პროგრესული სტრუქტურული პოლიტიკის გატარებით, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის საკვანძო სფეროების მართვის შენარჩუნებით, წარმოების მოდერნი-

ზაციით, ადგილობრივ მწარმოებელთა დაცვით, მეცნიერული გამოკვლევების წახალისებით და ა.შ.

სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია ფინანსური სტაბილიზაციის მიზნით ითვალისწინებს არა ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვას, არამედ მის სტიმულირებას, როგორც შინამეურნეობების, ისე ფორმების მიმართ. ეს ვარიანტი ეკონომიკის კონვერსიის თვალსაზრისით „შოკური“ თერაპიის ანტიპოდია, ხოლო მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის თვალსაზრისით, ორთოდოქსული და გეტეროდოქსული სტაბილიზაციის ანტიპოდია. მაკროსტაბილიზაციის ამ მოდელში გარკვეულწილად გაერთიანებულია როგორც კეინზიანური, ისე ნეოკლასიკური თეორიების ძირითადი პოსტულატები და იგი ამითაც იმსახურებს ყურადრებას.

სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის ნიმუშია იაპონია, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში, აქტიური მიზანმიმართული პოლიტიკა გაატარა ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების თვალსაზრისით. ამის მაგალითად, თანამედროვე ჩინეთიც გამოდგება, რომელიც საბაზრო საწყისებზე ახორციელებს წარმოებრივ-ეკონომიკური პოტენციალის მძლავრ მოდერნიზაციას.

აქტიური სტრუქტურული, წარმოებრივი და საინვესტიციო პოლიტიკა განაპირობებს ეკონომიკური პოტენციალის განახლებისა და დატვირთვის მიზნით, წარმოების ხარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საფუძველზე სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ერთობლივი მიწოდების ზრდას, რაც იწვევს ანტიინფლაციურ ეფექტს. პარალელურად ხორციელდება ერთობლივი მოთხოვნის ზრდა, რაც ერთდროულად სოციალური პრობლემების გადაჭრის საწინდარია. აღნიშნული ეფექტის შედეგად სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის პროგრამები იწვევს საკრედიტო შეზღუდვების შერბილებას, დამატებითი ფულადი ემისიის შესაძლებლობას. ეს ინფლაციის

ზრდის საშიშროებას წარმოქმნის, თუმცა მისი შეკავება შესაძლებელია ინფლაციის კონტროლის გაძლიერებით, რაც გამოიხატება ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქციაზე ფასების კონტროლით, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმების განვითარებით და საერთოდ მაკროეკნომიკური დინამიკისადმი მუდმივი ყურადღებით. ამასთან ასეთი გზით წარმოშობილი ინფლაცია მოკლევადიანია. იგი მხოლოდ საწყის ეტაპზე ვლინდება, ხოლო შემდეგ, წარმოების გამოცოცხლებისა და აღმავლობის საფუძველზე, თანდათან ქრება.

ამრიგად ამგვარი გზით მიღებული ფინანსური სტაბილიზაცია არსებითად განსხვავდება ლიბერალურ-მონეტარისტული პოლიტიკისაგან. რაც მთავარია იგი იძლევა სამამულო პროდუქციით ბაზრის გაჯერების შესაძლებლობას, ამასთან, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეროვნული ეკონომიკის „სანედლეულო დანამატად“ გარდაქმნის არდაშვების გარანტიას.

საქართველოში ეკონომიკის მაკროეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსულ ტიპზე. ეს არის ლიბერალურ-მონეტარისტული პოლიტიკა, რომელიც „ძვირი ფულის“ პოლიტიკაში აისახა. მას წინ უძღოდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „შოკური“ გზა, რომელიც შემდგომ თვით პოსტვაშინგტონის კონგრესმაც კი უარყოფითად შეაფასა. გრადიალისტური გზით მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის გრადიალისტური გზით განხორციელების შესაძლებლობები საქართველომ ხელიდან გაუშვა.

**მაკროეკონომიკური ფაქტორების** კვლევამ აჩვენა, რომ წამყვანი ფაქტორია ეკონომიკის საერთო მდგომარეობა, აგრეთვე, იმ რეგიონის ვითარება, რომელშიც თავის საქმიანობას ავითარებს ბანკი. გარდა ამისა, მათგან გამოყოფენ იმ ფაქტორებს რომელსაც ინფლაციის დონე და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები განაპირობებს.

**მაკროეკონომიკური ფინანსური სტაბილიზაცია** – მაკროეკონომიკური ღონისძიებანი მიზნად ისახავენ, უწინარეს ყოვლისა, ინფლაციის დაძლევას, ფულის ერთეულის ვრცელ განმტკიცებასა და მყარი კურსის მიღწევას.

**მაკროლოგისტიკა** – ლოგისტიკური სისტემის (ზოგჯერ სახელმწიფოს დონეზე) ფუნქციონირების გლობალური (სტრატეგიული) საკითხების გადაწყვეტა

**მაკროლოგისტიკური სისტემა** – 1. ეს არის მატერიალური ნაკადების მართვის გაფართოებული სისტემა, რომელიც მოიცავს სამრეწველო წარმოებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც განლაგებულია ერთი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში ან სხვადასხვა ქვეყნებში. 2. ეს არის მატერიალური ნაკადის მართვის მსხვილი სისტემა, რომელიც მოიცავს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ან სხვადასხვა ქვეყანაში განლაგებულ სამრეწველო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, შუამავლებს, სავაჭრო და სატრანსპორტო ორგანიზაციების სხვადასხვა უწყებას.

მაკროლოგისტიკური სისტემა წარმოადგენს შიდა საწარმოო ლოგისტიკური სისტემის კლასს.

**მაკროლოგისტიკური სისტემა** (მდს) – 3. ესაა მატერიალური და მისი თანმხლები საინფორმაციო, ფინანსური და სერვისული ნაკადების ორგანიზაციული მართვის რთული დარგთაშორის სისტემა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებებსა და საკუთრების მქონე საწარმოებებსა და ორგანიზაციებს, მოიცავს მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის საშუამავლო კომერციული სტრუქტურების საწარმოებს, განლაგებულს ქვეყნის ერთი ან რამოდენიმე რეგიონის, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. მაკროლოგისტიკური სისტემა წარმოადგენს რეგიონის, ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის განსაზღვრულ ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურას.

**მაკროლოგისტიკური სისტემების ამოცანებია:** მასალათა ნაკადების განაწილების სქემების არჩევა და ფორმირება,

მასალათა ნაკადების გამანაწილებელი ცენტრების (ლოგისტიკური ცენტრები) რაციონალური განლაგება და სხვა. მაკროლოგისტიკური სისტემა ფუნქციონირებს ჯაჭვის ცალკეული რგოლების ჩარჩოში, მაგ. საწარმოს საზღვრებში. ამ შემთხვევაში საწარმოს შიგნით წყდება მასალათა გადაადგილების დაგეგმვის, მომზადების, რეალიზაციის და კონტროლის საკითხები.

**მანდელ-ფლემინგის მოდელი** (Munlel-Fleming model) – ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ორი ეკონომისტის მიერ შემუშავებული მოდელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ როგორც ფისკალური, ისე ფულად-საკრედიტო პოლიტიკისაგან მიღებული ეფექტი დამოკიდებულია სავალუტო კურსების რეჟიმზე. კაპიტალის აბსოლუტური მობილურობის დაშვებისას, მოდელი გვიჩვენებს ფულად საკრედიტო პოლიტიკის არაეფექტიანობას ვალუტის ფიქსირებული კურსის პირობებში და ფისკალური პოლიტიკისა - ვალუტის გაცვლითი კურსის პირობებში.

**„მანკიერი წრე”** (vicious cireles“) – ტერმინი, რომელიც ჩვეულებრივ ახასიათებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას. ითვლება, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, სადაც იწარმოება მხოლოდ არსებობისთვის აუცილებელი საშუალებები, არ ექვემდებარება გარდაქმნას, ვინაიდან დაბალია წარმოების მთლიანი მოცულობა და სარეზერვო მარაგები უმნიშვნელოა ან საერთოდ, არ იქმნება. აქედან გამომდინარე, მოხმარების შემდეგ არ არსებობს ნამეტი კაპიტალის დაგროვებისათვის, რომლის გარეშეც ნაკლებად შესაძლებელია წარმოების გადიდება. ამ „მანკიერი წრის“ გასაღები კაპიტალის დაგროვებაა. თუ ქვეყანა შეძლებს თავი დააღწიოს ამ წრეს, მაშინ წარმოიქმნება საწინააღმდეგო პროცესი. როგორც კი დაიწყება კაპიტალის დაგროვება, წარმოების მოცულობა იზრდება, ხოლო შემდეგ იწყებს ზრდას შემოსავლებიც, რომელიც ქმნის ნამეტს ინვესტირებისა და დაგროვებისათვის.

**მანკო** – დანაკლისი. ეკონომიკაში გავრცელებულია საქონლის ან სალაროს დანაკლისის აღსანიშნავად.

**მანუფაქტურა** – ლათინურად ორი სიტყვის ნაერთი: მანუს-ხელი, ხოლო ფაკერე-კეთდება; მანუფაქტურული წარმოება გაბატონებული იყო მანქანური წარმოების წინა პერიოდში. მანუფაქტურაში იგულისხმება ქსოვილის ნაწარმი.

**მანქანათმშენებლობა** (mechanical enjeneering) – გადამამუშავებელი მრეწველობის დარგია. კომპლექსი მოიცავს: ზოგად მანქანათმშენებლობას, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობას, რადიოელექტრონულ, ელექტროტექნიკურ, ხელსაწყოთმშენებლობას, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას, დაზგათმშენებლობას, ენერგეტიკულ მანქანათმშენებლობასა და ა.შ.

**მანქანური ორგანიზაცია.** იგი ხასიათდება წარმოებრივი საქმიანობის რაციონალიზაციისა და სტანდარტიზაციის მაღალი დონით, რომელიც არ მოითხოვს მაღალ პროფესიულ მომზადებას და მართვის იერარქიასა და ცენტრალიზაციას.

**მანქანური წარმოება** (mechaniteal prduction) **–** ინდუსტრიული წარმოების მატერიალური საფუძვლის შექმნის მნიშვნელოვანი სტადია, რის საფუძველზეც მანუფაქტურა (ხელით შრომაზე დაფუძნებული წარმოება) შეიცვალა ფაბრიკით. წარმოიშვა სამრეწველო გადატრიალების შედეგად XVII საუკუნის II ნახევარში. მანქანური წარმოების შემდგომი საფეხური უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას, რომელიც სათავეს იღებს XIX საუკუნის II ნახევრიდან.

**მარაგები** არის წარმოებისა და პროდუქციის მიმოქცევის სხვადასხვა სტადიაზე მყოფი საწარმოო-ტექნიური დანიშნულების პროდუქცია, სახალხო მოხმარების ნაწარმი, რომელიც მოსახლეობის პირადი ან საწარმოო მოხმარების პროცესში გარდაიქმნება.

**მარაგების ბრუნვადობა** არის ის რიცხვი, რამდენჯერაც წლის განმავლობაში ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენა და გაყიდვა. რაც უფრო მაღალია მარაგების ბრუნ–

ვადობის კოეფიციენტი მით უფრო ეფექტურად (ინტენ–სიურად) მუშაობს საწარმო.

**მარაგებში ინვესტიცია** (inventory investment) – მარაგების დაგროვება იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება აღემატება გაყიდვათა ფაქტობრივ მოცულობას. თუ წარმოების მოცულობა გაყიდვის მოცულობაზე დაბალია მარაგები მცირდება. ხშირად ასეთი ინვესტიციები გაუთვალისწი–ნებელია და ბუფერის როლს ასრულებს გამოშვების მოცულობასა და გაყიდვის განუსაზღვრელ მოცულობას შორის.

**მარაგების მართვის მოდელი** – მოდელი, რომელიც გამოიყენება რესურსების განლაგების გრაფიკების, რესურსებზე შეკვე-თების მოცულობის და აუცილებელი მარაგების რაო-დენობის ოპტიმიზაციისათვის.

**მარაგი** – მატერიალური მარაგი, რომელიც ჩქარი რეაგირების საშუალებას იძლევა ცვალებად მოთხოვნაზე, უზრუნველ-ყოფს თანაბარზომიერ მუშაობას, აგრეთვე იძლევა მრავალი სხვა ამოცანის გადაჭრის საშუალებას.

**მარაგის სააღრიცხვო წიგნი** – მასში თითოეული სახის მასალა აღირიცხება ცალკე ბარათებზე, რომელშიც ასახულია მასალების მიღება, გაცემა და ნაშთები თანხობრივად და რაოდენობრივად თარიღების მითითებით.

**მარეგულირებელი სახელმწიფო კომისია** (regulatory state commission) – იქნება იმ დარგებსა და სფეროებში, სადაც არსებობს მონოპოლიის განსაკუთრებული სახეობა - ბუნებრივი მონოპოლია. სადღეისოდ იგი ბუნებრივი მონოპოლიების სახელწიფო რეგულირების ნაცადი ინსტიტუტია. მარეგულირებელი კომისიების სამშობლო აშშ-ა. შემდეგ მათ იწყეს გავრცელება სხვა ქვეყნებში, თუმცა ბევრ ქვეყანაში (დიდ ბრიტანეთში, არგენტინაში, ნორვეგიაში, შვედეთში და ა. შ.) ისინი თვითონ შეიქმნა. დღეს ასეთი კომისიები პოსტკომუნისტური ქვეყნების დიდ ნაწილშია (უნგრეთი, პოლონეთი მაკედონია,

რუმინეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, რუსეთი, ბალტიისპირა ქვეყნები, ყაზახეთი და ა. შ.) შექმნილი.

საქართველოში პირველი მარეგულირებელი კომისიია შეიქმნა ენერგეტიკაში 1996 წელს, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. 1997 წელს შეიქმნა ტრანსპორტისა და ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი ეროვნული კომისიები, რომლებიც გაუქმდა 2007 წელს. ამჟამად გარდა ეკონომიკისა, ასეთი კომისია მოქმედებს კომუნიკაციის სფეროში, რომელიც შეიქმნა 2007 წელს.

**მართვა** არის დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივაციისა და კონტროლის პროცესი, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის მიზნების ჩამოყალიბებისა და რეალიზაციისათვის.

**მართვა მიზნების მიხედვით** – მართვის კონცეფცია, რომელიც ხელს უწყობს მთელი ორგანიზაციის ეკონომიურობას, ეფექტიანობას და მისი მთავარი ამოცანის გადაწყვეტას. მართვა მიზნების მიხედვით – წესი, რომელიც იძლევა მმართველობითი საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების საშუალებას. დამყარებულია მრავალი კომპანიის და ორგანიზაციის წარმატებით მომუშავე მენეჯერების სამუშაოთა დაკვირვებაზე („ჯენერალ მოტორს“ „ჯენერალ ელექტრიკი“).

**მართვა, ტრადიციული ვარიანტით**, – უფრო ტევადი, პოტენციურად უფრო მდიდარი და ტექნოლოგიური მოვლენაა (და ცნებაა), რომელიც მოიცავს მენეჯმენტს, როგორც კერძო შემთხვევას.

**მართვადი პასივები** – პასივების ის ნაწილი, რომელთა ფორმირების ინიციატივა თვითონ ბანკს ეკუთვნის და რომელთა მეშვეობითაც ბანკს შეუძლია გავლენა იქონიოს სარესურსო ბაზის ვადიანობასა და მდგრადობაზე, აგრეთვე ცვალოს მისი ფორმირების ხარჯები.

**მართვის ავტომატიზირებული სისტემა (მას)** – წარმოების ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლება დანადგარების

მუშაობის მართვა და კონტროლი განხორციელდეს ელექ-ტრონულ-გამომთვლელი მანქანების დახმარებით.

**მართვის ბადე** – ორგანზომილებიანი მიდგომა ხელმძღვანე-ლობის ეფექტიანობის შეფასებისადმი. ამ მიდგომის მიხედვით ბადის ვერტიკალური ღერძი წარმოადგენს „ზრუნვას ადამიანებზე“, ხოლო ჰორიზონტული – „ზრუნვას წარმოებაზე“.

**მართვის დემოკრატიზაცია –** ორგანიზაციის თანამშრომელთა მონაწილეობა მართვაში. ასეთი მონაწილეობის ფორმა მრავალნაირია: შრომის წილობრივი ანაზღაურება, აქციების შეძენა, ერთიანი ადმინისტრაციული მართვა, მმართვე-ლობითი გადაწყვეტილების კოლეგიალური მიღება და ა.შ.

**მართვის დონის** მიხედვით განასხვავებენ სახელმწიფოებრივ და რეგიონალურ ფონდებს.

**მართვის ეკონომიკური მეთოდების სამი ჯგუფი არსებობს:** საგადასახადო, ნორმატიული (როცა შემოღებული შეზღუდ-ვები ან შეღავათები უკავშირდება ოპერაციების მასშტაბს) და მაკორექტირებელი (გამოირჩევა მოქნილობით და ოპერატიულობით სიტუაციის შესაბამისად მასტიმული-რებელი ან შემზღუდველი ზემოქმედების შესაძლებლო-ბით). საგადასახადო მეთოდების გამოყენება ფინანსური ორგანოების პრეროგატივაა, მაშინ როცა ნორმატიული და მაკორექტირებელი – ცენტრალური ბანკისა.

**მართვის კულტურა** – მართვის სუბიექტის მმართველობითი საქმიანობის ხარისხობრივი მხარის დახასიათება; ფაქტო–რი, რომელიც განსაზღვრავს მმართველობითი გადაწყვე–ტილებების ეფექტიანობას. მართვის კულტურის დონე განისაზღვრება სუბიექტის მიერ მართვის უნარით გაით–ვალისწინოს თავის გადაწყვეტილებებში სამმართველო პროცესის რეალური სირთულე, იპოვოს ზომა მართვის ამოცანებსა და ობიექტის ფუნქციონირების რეალურ პირობებს შორის, გააფართოვოს და გაადრმავოს საპასუ–

ხისმგებლო გადაწყვეტილებათა სფერო, აამაღლოს მათი ეფექტიანობა.

**მართვის მეთოდები** – მართვის მეთოდი, ესაა ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად მართვის ობიექტზე (ფირმა, კომპანია, განყოფილება, ქვეგანყოფი–ლება და ა.შ.) ზემოქმედების ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა.

**მართვის მეცნიერული სკოლა** – მართვისადმი მიდგომა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მეცნიერული მეთოდის, მოდელების და სისტემური ორიენტაციის გამოყენება უწოდებენ, აგრეთვე, რაოდენობრივ მიდგომას.

**მართვის მოცულობა** – ხელმძღვანელის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანების რაოდენობა.

**მართვის ობიექტისა და სუბიექტის ორგანული მთლიანობის პრინციპი.** იგი მართვას განიხილავს, როგორც მართვის ობიექტზე მართვის სუბიეტის ზემოქმედების პროცესს. ისინი უნდა შეადგენდნენ ერთიან სისტემას, რომლესაც აქვს გასასვლელი, უკუკავშირი და გარეგან გარემოსთან კავშირი.

**მართვის პროცესი** – ურთიერთდაკავშირებული უწყვეტი მოქმედებების და ფუნქციების საერთო მოცულობა ორგანიზაციის ჩარჩოებში.

**მართვის სისტემის მდგრადობისა და მობილურობის პრინციპი.** აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, ორგანიზაციის შინაგანი და გარეგანი გარემოს ცვლილებების შემთხვევაში, მართვის სისტემამ ძირეული ცვლილებები არ უნდა განიცადოს. მდგრადობა, უწინარეს ყოვლისა, სტრატეგიული გეგმების ხარისხისა და მმართველობის ოპერატიულობით, გარეგანი გარემოს ცვლილებებთან მენეჯმენტის სისტემის შემგუებლობით განისაზღვრება. ამასთან, მდგრადობასთან ერთად, მმართველობითი პროცესი მობილურიც უნდა იყოს, ე.ი. მას უნდა შეეძლოს სრულად გაითვალისწინოს მომხმარებელთა მოთხოვნები.

**მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდების** საფუძველია შრომის მორალური სტიმულირების გამოყენება, პიროვნებაზე ფსიქოლოგიური საშუალებების გამოყენებით ადმინისტრაციული დავალებების თითოეული მუშაკის შინაგან მოვალეობად და მოთხოვნილებად გადაქცევის უზრუნველყოფა. სოციოლოგიური გამოკვლევები მოწმობენ, რომ ხელმძღვანელის საქმიანობის წარმატება 15%-ით არის დამოკიდებული მის პროფესიონალიზმზე, დანარჩენი 85% კი ადამიანებთან მისი მუშაობის უნარზე მოდის.

**მართვის ფუნქციები** – ეს მმართველობითი საქმიანობის კონკრეტული სახეა რომელიც განხორციელდება სპეციალური მეთოდებითა და ხერხებით. მარტივად, რომ ვთქვათ, იგი არის სამუშაოს შესაბამისი ორგანიზაცია.

**მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შეთანაწყობის** პრინციპი ერთმმართველობისა და კოლეგიალურობის ეფექტიან გამოყენებას ითვალისწინებს.

**მართვის ხარისხი** – უნდა გვესმოდეს, როგორც იმ არსებითი თვისებების ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებს მართვის უნარს, დააკმაყოფილოს სამართავი ობიექტის მოთხოვნილებები ჩვენს შემთხვევაში - ბანკის საქმიანობის პროცესში გაჩენილი მოთხოვნილებები.

**მართვის ხარისხი საბოლოოდ შემდეგ მახასიათებლებში ვლინდება:**

- სოციალურ-ეკონომიკური: რენტებელობა, ეკონომიკაში ინტეგრირება, კლიენტურასთან ურთიერთობების ხასიათი;
- ორგანიზაციული: საიმედობა, ორგანიზებულობა, შემგუებლობა და სხვა; ტექნოლოგიური: ფორმალიზაციის დონე (როგორც „ბნელში“ მართვის ანტითეზა), კადრების პროფესიონალიზმი, ინოვაციურობა, ავტომატიზაციის დონე;
- სოციალური და ფსიქოლოგიური: კორპორატიულობა, კულტურის დონე, სოციალურ-კულტურული კლიმატი, ხელმძღვანელობის სტილი, ხელმძღვანელთა ქცევის ეთიკურობა.

**მართვის, ზედამხედველობის და რეგულირების ოფიციალური ორგანიზაციები** და სამსახურები შეიცავენ არა მხოლოდ მთელ რიგ ნორმატიულ მითითებებს, მოთხოვნებს, ნორმატივებსა და შეზღუდვებს, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ბანკი თავის საქმიანობაში, არამედ მონაცემებს ზედამხედველობის ამა თუ იმ მოთხოვნების დამრღვევი, ვალდებულების არშემსრულებელი, მომგებიანი მუშაობის ვერუზრუნველმყოფი ბანკების ან საეჭვო რეპუტაციის ფირმების შესახებ, რომლებთანაც კონტაქტი ბანკისათვის ზედმეტ რისკთანაა დაკავშირებული.

**მართვისადმი პროცესული მიდგომა** – კონცეფცია, რომლიც თანახმად მართვა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული მოქმედებების ან ფუნქციების უწყვეტ სერიას.

**მარკეტიგის კონცეფციებია:** 1. საწარმოების სრულყოფის კონცეფცია, ანუ წარმოებაზე ორიენტაცია; 2. საქონლის სრულყოფის კონცეფცია, ანუ პროდუქტზე ორიენტაცია; 3. კომერციული ძალისხმევის ინტენსიფიკაციის კონცეფცია, ანუ ორიენტაცია გაყიდვაზე; 4. უშუალოდ მარკეტინგის კონცეფცია, ანუ უშუალოდ ბაზარზე ორიენტაცია; 5. სოციალურ ეთიკური მარკეტინგის კონცეფცია, ანუ სოციალურ-საპასუხისმგებლო მარკეტინგის კონცეფცია.

**მარკეტინგი** - 1. ტერმინი მომდინარეობს ინგლისური სიტყვა market-ისგან, რომელიც ბაზარს ნიშნავს. მას ჩვეულებრივ, იყენებენ ფირმის იმ განსაკუთრებული მიდგომის აღსანიშნავად, რომელსაც იგი ბაზარზე თავისი საქონლის რეალიზაციის მიმართ, ანუ თავისი საბაზრო სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელების მიმართ იყენებს. 2. კომერციული საქმიანობის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ბაზრის შესწავლითა და სამომხმარებლო მოთხოვნაზე აქტიური ზემოქმედებით, ფასის სწორად დადგენით, საქონლის მორალური ცვეთის პროგნოზით, სარეკლამო სტრატეგიითა და ა.შ. განაპირობებს წარმოებული საქონლის მორალურობის შეუფერხებელ გასაღებას. 3. საქონლის წარმოებისა და გასაღების ორგანიზების კომპლექ-

სური სისტემაა, რომელიც მომხმარებელთა კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და მოგების მიღებაზეა ორიენტირებული და ბაზრის შესწავლასა და პროგნოზირებას ეყრდნობა. 4. არის ადამიანის საქმიანობის სახე, რომელიც მიმართულია გაცვლის გზით მომხმარებელთა საჭიროებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ. 5. სხვადასხვა სახის ღონისძიებების, სისტემებისა და ტექნიკური ხერხების ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება ბაზრის მოსაპოვებლად და მასზე დასამკვიდრებლად. ფ. კოტლერის განმარტებით მარკეტინგი საქმიანობაა, რომელიც გამიზნულია ადამიანთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე გაცვლის გზით. 6. ტერმინის მნიშვნელობის საფუძვლად მიჩნეულია სიტყვა „ბაზარი“ ინგლისურად MARKET სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ბაზარმცოდნეს“ და გულისხმობს საბაზრო ურთიერთობების სფეროში განსაზღვრულ საქმიანობას. 7. (ლათ. ბაზარი, გასაღება) ბაზრის ძირითადი მექანიზმების მოთხოვნისა და მიწოდების შესწავლა, მაღალრაციონალური ორგანიზაცია. 8. ეხმარება განსაზღვროს ლოგისტიკამ მისი მოქმედების არეალი მომსახურების პარამეტრებში, თვალი მიადევნოს მომხმარებლების მოთხოვნებისა და მოტივაციების სტრუქტურებსა და დინამიკას, პროგნოზირება გაუკეთოს ბაზრის კონიუნქტურას და სხვა. 9. (ინგლ. Market - საბაზრო საქმიანობა) - პირდაპირი გაგებით ნიშნავს საბაზრო საქმიანობას. ნებისმიერი დარგის საწარმოების მართვის ერთ-ერთი სისტემაა და გულისხმობს ბაზარზე მიმდინარე კომერციული პროცესების დეტალურად აღრიცხვასა და ანალიზს სამეურნეო გადაწყვეტილებათა მისაღებად. ნებისმიერ საწარმოებში მარკეტინგი კომერციული საწარმოების ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

**მარკეტინგი აგრეგირებული** – მარკეტინგის სტრატეგია, რომელშიც გამოიყენება მარკეტინგის ერთი კომპლექსი ერთნაირი საქონლის მიწოდებით ყველა მომხმარებლისთვის.

**მარკეტინგი დიფერენციული** – მარკეტინგის სტრატეგია, რომელიც მიმართულია სხვადასხვა სეგმენტებზე მარკეტინგის თავისი (შესაბამისი) კომპლექსის დამუშავებით.

**მარკეტინგი ინტეგრირებული** – მომხმარებლებისთვის მარკეტინგულ ღონისძიებათა დამუშავება და ფასეულობის შექმნის, წინწაწევისა და წარდგენის მთლიანი ინტეგრირებული მარკეტინგული პროგრამის შედგენა. ეს ღონისძიებები მრავალფეროვანია. ტრადიციულად, მათ აღწერენ როგორც: **მარკეტინგ-მიქსს**-მარკეტინგული ინსტრუმენტების ნაკრებს, რომლებიც გამოიყენება ფირმების მიერ, მათი მარკეტინგული მიზნების მისაღწევად.

**მარკეტინგი პერსონალის** – მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა. მისი ამოცანაა ორგანიზაციის უზრუნველყოფა ადამიანური რესურსებით. პერსონალის მარკეტინგი განიხილება შემდეგი სამი მიდგომით: 1. მარკეტინგი, როგორც ბაზარზე ორიენტირებული მართვის ძირითადი პრინციპი; 2. მარკეტინგი, როგორც გადაწყვეტილებათა სისტემატიზირებული ძიების მეთოდი; 3. მარკეტინგი, როგორც კონკრეტულ უპირატესობათა მიღწევის საშუალება.

**მარკეტინგის არსებობს ორი ტიპი:** 1. სამომხმარებლო საქონლის მარკეტინგი; 2. საწარმოო დანიშნულების საქონლის (წარმოების საშუალებების) მარკეტინგი.

**მარკეტინგის აუდიტი** – ფირმაში მარკეტინგის სამსახურის საქმიანობის პირობების, მიზნების, სტრატეგიებისა და შესასრულებელი ფუნქციების კომპლექსური, სისტემური, დამოუკიდებელი, პერიოდულად ჩასატარებელი შემოწმება.

**მარკეტინგის გამოყენებას** ახასიათებს სამი ნიშნის არსებობა, რომლებიც მარკეტინგის არსებით ნიშნებად გვევლინება:

- ფირმების ორიენტაცია კლიენტების მოთხოვნილებებზე (მარკეტინგის ფილოსოფია);
- საბაზრო პოლიტიკის უამრავი ინსტრუმენტის გამოყენება (მარკეტინგ-მიქსი);

- გასაღების სფეროში განხორციელებული ყოველგვარი საქმიანობის მიზანმიმართული კოორდინაცია (მარკეტინ-გული მართვა).

**მარკეტინგის გარემო** (marketing environment) – გამოყოფენ ხუთ ძირითად კომპონენტს, რომლებიც მარკეტინგის სისტე–მაზე ახდენს როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას. ეს კომპონენტებია: ეკონომიკა, პოლიტიკა, დემოგრაფია, სამართალი, კულტურა.

**მარკეტინგის გეგმა.** 1. ეს არის მარკეტინგული პროცესის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი შედეგი. 2. მარკეტინგის გეგმა უნდა დაიწყოს ძირითადი მიზნებისა და რეკომენდა–ციების მოკლე აღწერით. მიმოხილვის შემდეგ გადმო–ცემულია გეგმის შინაარსი.

**მარკეტინგის დანერგვა** – მარკეტინგის გეგმების სამუშაო დავალებებად გარდაქმნის და მათი რეალიზაციის პრო-ცესია, რომელიც იძლევა დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. მარკეტინგის გეგმა კარგავს აზრს მისი ჯეროვანი შესრულების გარეშე.

**მარკეტინგის ინსტრუმენტარიუმის** წარმატებით გამოყენების წინამძღვარია საბანკო ბაზრის მარკეტინგული კვლევა. მისი ძირითადი ელემენტებია: ინფორმაციის შეგროვება, ბაზრის ანალიზი, ბაზრის პროგნოზირება.

**მარკეტინგის ინფორმაციულ სისტემას უწოდებენ,** მარკეტინგის გეგმების შესადგენად, პრაქტიკაში გასატარებლად და შესრულების მიმდინარეობის გასაკონტროლებლად აუცი–ლებელი ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის, შეფასე–ბისა და გამოყენებისათვის საჭირო კავშირების ერთობ–ლიობას.

**მარკეტინგის ინფორმაციული სისტემა** მოიცავს ოთხ ელემენტს: 1. შინაგანი ანგარიშების სისტემა; 2. გარეგანი ინფორმა–ციის შეგროვების სისტემა; 3. მარკეტინგული კვლევის სისტემა; 4. მარკეტინგული ინფორმაციის ანალიზის სისტემა.

**მარკეტინგის კომპლექსი** – 1. მარკეტინგის იმ ინსტრუმენტების ნაკრებია, რომელიც გამოიყენება საწარმოს მიერ მიზნობრივ ბაზარზე ზემოქმედების მოსახდენად და სასურველი რეაქციის მისაღებად. 2. მარკეტინგის კომპლექსის ელემენტებია: 1. საქონელი (product) 2. ფასი (price) 3. გავრცელების მეთოდები (placc) 4. ბაზარზე საქონლის წინ წაწევის მეთოდები (promotioo).

**მარკეტინგის კონტროლი** – საწარმოს (ფირმის) მარკეტინგული საქმიანობის შემოწმება, რომელიც ხორციელდება საკუთარი ძალებით (შიგა კონტროლი) ან სპეციალიზებული ფირმების გამოყენებით (გარე კონტროლი). გარე კონტროლი (მარკეტინგის აუდიტი) დაკავშირებულია მთლიანად ფირმის მარკეტინგული ფუნქციების ყოველმხრივ შესწავლასთან.

**მარკეტინგის კონცეფცია** – 1. ბიზნესის მოწყობის, ფირმის, ორგანიზაციის ან ადამიანის საქმეების წარმოების ფილო–სოფია, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას (ბიზნესს) საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ე. ი. მომხმარებლებსა და მოგებაზე ორიენტირებულ საქმიანობას; 2. მარკეტინგული საქმიანობის ძირითადი იდეების, დებულებებისა და ინსტრუმენტების სისტემა, რომლებიც გამოიყენება საწარმოს (ფირმის) მიზნების-მოგების მიღების და საბოლოო მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების მისაღწევად. გამოყოფენ წარმოების, საქონლის სრულყოფის, კომერციული ძალისხმევის ინტენსიფიკაციის, საკუთრივ მარკეტინგის და სოციალურ-ეთიკურ კონცეფციებს. 3. უპირველეს ყოვლისა, მყიდველთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. ამ კონცეფციაში პირველად დადგა წინა პლანზე არა მწარმოებლის (გამყიდველის) მოთხოვნილებები, არამედ მომხმარებლის ინტერესები. მისი არსი მოკლედ ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: „ვაწარმოოთ ის, რაც მყიდველს ჭირდება“.

**მარკეტინგის ლოგისტიკა** – მატერიალური ნაკადების (მასალების და მზა პროდუქციის) დაგეგმვა, დანერგვა და კონტ-

როლი წარმოება-გასაღების სრულ ციკლში მყიდველთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. იგი ნიშნავს მოთხოვნის ჯაჭვის შესწავლას.

**მარკეტინგის მართვა –** ეს არის ანალიზი, დაგეგმვა, ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება და კონტროლი, რომლებიც მიმართულია ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად მიზნობრივ მყიდველებთან ხელსაყრელი გაცვლითი პირობების დადგენის, განმტკიცებისა და შენარჩუნებისაკენ.

**მარკეტინგის მართვის პროცესი** – პროცესი რომელიც მოიცავს: 1. საბაზრო შესაძლებლობების ანალიზს; 2. მიზნობრივი ბაზრების შერჩევას; 3. მარკეტინგის კომპლექსის შემუშავებას; 4. მარკეტინგული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას.

**მარკეტინგის მართვის პროცესის ეტაპებია:** 1. საბაზრო შესაძლებლობების ანალიზი; 2. მიზნობრივი ბაზრების შერჩევა; 3. მარკეტინგის კომპლექსის დამუშავება; 4. მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება.

**მარკეტინგის მენეჯმენტი** – მარკეტინგის ფუძემდებლური კონცეფციების გამოყენების მეცნიერება და ხელოვნება მიზნობრივი ბაზრების შერჩევის, ახალ მომხმარებელთა მიზიდვისა და მათი წრის გაფართოებისათვის მაღალხარისხოვანი საქონლისა და მომსახურების შექმნისა და შეთავაზების საშუალებით.

**მარკეტინგის მიზანია** მიზნობრივ მყიდველთა (მომხმარებელთა) გადახდის უნარიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უკეთ, ვიდრე ამას აკეთებენ კონკურენტები.

**მარკეტინგის მმართველი** – კომპანიის თანამშრომელი, რომლის საქმიანობაა დასახულის ანალიზი, დაგეგმვა, ცხოვრებაში გატარება ან კონტროლის ფუნქცია.

**მარკეტინგის რევიზია** – მარკეტინგული გარემოცვის ამოცანების, სტრატეგიისა და ფირმის ოპერატიული საქმიანობის კომპლექსური, სისტემური, მიუკერძოებელი და რეგულარული გამოკვლევა იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს ის პრობლემები და შესაძლებლობები, რომლებიც აღმოცენ-

დება და გამოჩნდება; მიეცეს აგრეთვე რეკომენდაციები მოქმედების გეგმის შესახებ ფირმის მარკეტინგული საქმიანობის სრულყოფისათვის.

**მარკეტინგის საინფორმაციო სისტემა** – მოიცავს დროული და სარწმუნო ინფორმაციის შეგროვების, დახარისხების, ანალიზის, შეფასებისა და გავრცელების ინდივიდებს, მოწყობილობასა და პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება მარკეტინგული გადაწყვეტილებების მისაღებად.

**მარკეტინგის სისტემაში** – საქონელი განიხილება როგორც სასარგებლო თვისებების ერთობლიობა, რომელიც ყველაზე სრულად უზრუნველყოფს მომხმარებელთა მიზნობრივი ჯგუფის მოთხოვნილებებს. საქონელი შეიძლება იყოს მატერიალური დოვლათი (ნაწარმი, საგანი) ან საქმიანობის სახეობა (მომსახურება).

**მარკეტინგის სპეციალისტები** საქონელში ან მომსახურებაში გამოყოფენ სამ დონეს: 1. საქონლის ჩანაფიქრი; 2. რეალური საქონელი; 3. საქონელი გამაგრებით.

**მარკეტინგის სტრატეგია** – 1. მენეჯერი სახავს ზოგად მარკეტინგულ სტრატეგიას, ანუ ,,მოქმედებათა გეგმას“ დასახული მიზნების მისაღწევად. 2. რაციონალური და ლოგიკური წყობა, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაცია აპირებს თავისი მარკეტინგული ამოცანების გადაწყვეტას და რომელიც მოიცავს მიზნობრივი ბაზრის კონკრეტულ სტრატეგიას მარკეტინგის კომპლექსისა და მარკეტინგის დანახარჯების მიმართ.

**მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავება** – მარკეტინგის წინასწარი სტრატეგიის ჩამოყალიბება საქონლის მოწონებული ჩანაფიქრის საფუძველზე.

**მარკეტინგის ტრადიციული არხი** – დამოუკიდებელი მწარმოებლის, ერთი ან რამდენიმე საბითუმო ან საცალო მოვაჭრის შეხამება, სადაც თითოეული მათგანი წარმოადგენს ცალკეულ საწარმოს და ცდილობს თავისთვის უზრუნველყოს მაქსიმალურად შესაძლო მოგება, თუნდაც

საერთოდ სისტემისათვის ან რომელიმე დანარჩენისათვის მოგების მაქსიმუმის მიღების საზიანოდ.

**მარკეტინგის ფუნქციები:** ყიდვა; გაყიდვა; ტრანსპორტირება; შენახვა; სტანდარტიზაცია და კლასიფიკაცია; დაფინანსება; გარისკვა და მარკეტინგული ინფორმაციის მოპოვება.

**მარკეტინგ-მენეჯმენტი** – 1. მარკეტინგის მართვა, ფირმის ყველა ღონისძიების მიზანმიმართული კოორდინაცია და ფორმირება, რომელიც დაკავშირებულია საბაზრო საქმიანობასთან საწარმოს დონეზე, ბაზრის დონეზე და მთლიანად საზოგადოების დონეზე; 2. მმართველობითი (სამმართველო) საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს (ფირმის) მარკეტინგის სამსახურის ყველა ქვედანაყოფის ეტინ(მარკეტინგის განყოფილების, გასაღების განყოფილების და სხვ.) დაგეგმვის, ორგანიზაციის კონტროლის, აუდიტის სტიმულირების განხორციელებასთან; 3. მარკეტინგის მართვის პრინციპების, მეთოდების, საშუალებებისა და ფორმების ერთობლიობა საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ფორმირებისა და აღწარმოების პროცესის ინტენსიფიკაციის, მოგების გადიდების მიზნით.

**მარკეტინგმიქსი** (მარკეტინგის კომპლექსი) – 1. მარკეტინგის სტრუქტურა; მარკეტინგის სისტემის კომპონენტები; ელემენტები; მარკეტინგის შემადგენელი პროცესები; 2. მარკეტინგის რეცეპტი: საქონლის ან მომსახურების პროდუცენტიდან (მწარმოებლიდან) საბოლოო მომხმარებლამდე წინ წაწევის კომპლექსური პროგრამა (ინგლ. აღინიშნება 4 ,,p“-თი: პროდუქტი, ფასი, გასაღების ადგილი, წინ წაწევა. 5. მარკეტინგული ინსტრუმენტების ერთობლიობაა, რომლებიც გამოიყენება ფირმის მიერ მიზნობრივ ბაზარზე მარკეტინგული ამოცანების გადასაწყვეტად.

**მარკეტინგს გააჩნია ორი სახე:** – 1. საქონელზე ან მარკეტინგზე ორიენტირებული მარკეტინგი; 2. მომხმარებელზე ორიენტირებული მარკეტინგი.

**მარკეტინგულ სტრატეგიებში** იგულისხმება პრინციპული ხასიათის საშუალო და გრძელვადიანი გადაწყვეტილებები, რომლებზე დაყრდნობითაც წარიმართება საქმიანობა და საქონლის სახეები.

**მარკეტინგულ შეთავაზებაში** იგულისხმება საქონლის, მომსახურების და მათ შესახებ ინფორმაციის შეთავაზება ბაზრისათვის მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

**მარკეტინგული არხის მონაწილეთა პარტნიორობა** ნიშნავს ურთიერთობების შეცვლას შუამავლების როგორც მომხმარებლების მიმართ და მათი აღქმა პარტნიორებად ფასეულობის დასაყვანად საბოლოო მომხმარებლამდე.

**მარკეტინგული დაკვირვების სისტემის** დანიშნულებაა მონაცემების წარდგენა ბაზარზე სიტუაციის შესახებ მოცემულ მომენტში. მარკეტინგული დაკვირვების სისტემა წარმოადგენს ინფორმაციის წყაროების და მისი მიღების მოწესრიგებულ ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება კომპანიის მენეჯერების მიერ საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების ობიექტურად გამოკვლევისათვის.

**მარკეტინგული ინფორმაციის სისტემა** – ადამიანების, მოწყობილობების და მეთოდური ხერხების ურთიერთკავშირის მუდმივმოქმედი სისტემა, გამიზნული აქტუალური, დროული და ზუსტი ინფორმაციის შეკრების, კლასიფიკაციის, ანალიზის შეფასებისა და გავრცელებისათვის, რაც გამოიყენება მარკეტინგის სფეროს განკარგულებების მიერ დაგეგვის სრულყოფის, მარკეტინგული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარების და შესრულების კონტროლის მიზნით.

**მარკეტინგული კვლევა** – იმ მონაცემთა წრის სისტემატური განსაზღვრა, რომელიც აუცილებელია ფირმის წინაშე მდგარი მარკეტინგული სიტუაციისათვის, მათი მოპოვება, ანალიზი და ანგარიში მიღებული შედეგების შესახებ.

**მარკეტინგული კვლევა მოიცავს შემდეგ ეტაპებს**: 1. პრობლემის გამოვლენა; 2. კვლევის კონცეფციის დამუშავება; 3. ინ-

ფორმაციული წყაროების არჩევა; 4. ინფორმაციის შეკრება; 5. შეკრებილი ინფორმაციის ანალიზი; 6. მიღებული შედეგების ანგარიშის სახით გაფორმება და წარდგენა.

**მარკეტინგული კვლევის სახეებია: 1.** კაბინეტური კვლევა; 2. მულტიკლიენტური კვლევა; 3. მულტისპონსორული კვლევა; 4. პანელური კვლევა; 5. საველე კვლევა.

**მარკეტინგული კომპლექსი** – მარკეტინგის კონტროლს დაქვემდებარებული იმ ცვლადი ფაქტორების კრებული, რომელთა ერთობლიობას ფირმა იყენებს მიზნობრივი ბაზრის ან სასურველი საპასუხო რეაქციის გამოსაწვევად.

**მარკეტინგული კონცეფცია –** არის მტკიცება იმისა, რომ ორგანიზაციის მიღწევის საფუძველია მიზნობრივი ბაზრის საჭიროების და მოთხოვნილების განსაზღვრა და მათი სურვილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა კონკურენტთან შედარებით უფრო ეფექტიანი და უფრო პროდუქტიული მეთოდებით.

**მარკეტინგული საქმიანობა** – 1. მუშაობის, ფუნქციების, ნაირსახეობა ბიზნესის სფეროში; 2. მარკეტინგის ფუნქციებთან (მარკეტინგული კვლევები, მარკეტინგის ორგანიზაცია, ფასწარმოქმნა, მარკეტინგის სტრატეგიებისა და გეგმების დამუშავება, საქონლის წინ წაწევა, მარკეტინგული დაზღვევა, ბენჩმარკინგი და ა. შ.) განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობა მოითხოვს ფორმირებისა (ჩამოყალიბებისა) და ფირმების მოგების უზრუნველყოფის მიზნით; 3. ყოველი საქმიანობა, რომელიც მოიცავს მარკეტინგის ფილოსოფიისა და ინსტრუმენტების დანერგვის პროცესს საბაზრო ურთიერთობათა აღწარმოებითი ჯაჭვის ყველა რგოლში და იძლევა შესაძლებლობას გაეცეს პასუხები კითხვებზე: რა და რამდენი იწარმოოს, როგორ და ვისთვის იწარმოოს, რომ საქონელი და მომსახურება აკმაყოფილებდეს მოთხოვნასა და უზრუნველყოფდეს მოგების მიღებას; 4. მარკეტინგული საქმიანობის პროცესში ბანკი იკვლევს ბაზარს, ამუშავებს კონკურენტულ სტრატეგიას და ახორციელებს მისი რეალიზაციის ღონისძიებათა

პროგრამას. შეგროვილი მარკეტინგული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება საბანკო ბაზრის ანალიზი, ბაზარზე დაკვირვება და ბაზრის ცვლილებათა პროგნოზირება.

**მარკეტინგული სისტემა** – საბაზო სივრცის (გარემოს) სოციალურ-ეკონომიკური ელემენტების ერთობლიობა, რომლებიც ფლობენ დამოუკიდებლობასა და მთლიანობას და იმყოფებიან მუდმივ ურთიერთმოქმედებაში საქონელზე და მომსაურებაზე მოთხოვნის ფორმირებისა და განვითარებისთვის მოგების მიღების მიზნით.

**მარკეტინგული სისტემის ეფექტიანობა** – 1. მარკეტინგული სისტემის უნარიანობის მაჩვენებელი უზრუნველყოს საქონლისა და მომსახურებაზე მოთხოვნის ფორმირების უწყვეტი პროცესი მარკეტინგზე დანახარჯების განსაზღვრული დონის პირობებში; 2. მარკეტინგული სისტემის ფუნქციონირების ხარისხის კრიტერიუმები, მაჩვენებლები; 3. მარკეტინგული სისტემის სუბიექტების რესურსების გაცვლის პროცესში ურთიერთმოქმედების შედეგიანობის (რეზულტატიანობის) კომპლექსური მაჩვენებელი.

**მარკეტინგული სტრატეგია** გულისხმობს კომპანიის საქმიანობის საბაზრო პირობებთან შეგუების ბაზარზე საქონლის პოზიციის, ბაზრის კვლევაზე დანახარჯების დონის, გასაღების სტიმულირების, ღონისძიებათა კომპლექსის, მარკეტინგულ საქმიანობაზე გამოყოფილი სახსრების შერჩეულ ბაზრებს შორის განაწილების გზით.

**მარკეტინგული შუამავლები** – 1. ფირმები, რომლებიც ეხმარებიან კომპანიას კლიენტებს შორის მისი საქონლის წინ წაწევაში, გასაღებასა და გავრცელებაში. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: მოვაჭრე შუამავლები, საქონელმოძრაობის ორგანიზაციის სპეციალიზებული ფირმები, მარკეტინგული მომსახურების სააგენტოები და საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებები; 2. არიან ის საწარმოები და ფიზიკური პირები, რომლებიც ეხმარებიან მოცემულ კონკრეტულ საწარმოს საქონლის მომხმარებლისკენ

გადაადგილებასა და გასაღებაში. მარკეტინგულ ეთიკაში იგულისხმება, ვიწრო გაგებით მარკეტოლოგების, ფართო გაგებით კი ბიზნესში დასაქმებული ყველა ადამიანის, ქცევის სტანდარტები და მორალური ფასეულობები.

**მარკირება** (ინგლ. – markering, ფრანგ. - marquage, გერ. - Markering) – საფუთავზე, საჭდეზე ან თვით საქონელზე გაკეთებული გადაზიდვისა და ტვირთის ჩაბარებისათვის საჭირო წარწერებია. მარკირება ამარტივებს საქონლის შერჩევას, გზაში გადატვირთვასა და მყიდველთათვის ჩაბარებას. იგი შეიძლება იყოს: სასაქონლო, სატვირთო, სატრანსპორტო და სპეციალური.

**მარკის საზღვრების გაფართოების სტრატეგია** – ყოველნაირი ცდა სამარკო სახელწოდების გამოყენებისა, რომელსაც წარმატება ხვდა ბაზარზე მოდიფიცირებული ან ახალი საქონლის გამოტანის შემთხვევაში.

**მარკიტანტი** – ვაჭარი, რომელიც ძირითადად სურსათ-სანოვაგეს, საკვებ პროდუქტებს (ძირითადად ტკბილეულს) და სხვა წვრილმანს ყიდის. ძველ რომში მარკიტანტები ლაშქრობის დროს ჯარს თან დაჰყვებოდნენ.

**მარკო** – ფულის მონეტის ღირებულება არა ნომინალის მიხედვით, არამედ მისი წონის შესაბამისად.

**მარჟა** (margin spread) [<ფრანგ. marge კიდე, არე] – 1. არის სხვაობა კომერციული ბანკის საპროცენტო შემოსავალსა და გასავალს შორის, მიღებულ და გადახდილ პროცენტებს შორის. მარჟის სიდიდე ხასიათდება აბსოლუტური სიდიდით და მთელი რიგი ფინანსური კოეფიციენტებით. მარჟის სიდიდე გაიანგარიშება ბანკის საპროცენტო შემოსავლის საერთო სიდიდესა და ბანკის გასავალს შორის სხვაობით. აგრეთვე, ცალკეული სახეობის აქტიური ოპერაციებთან მიღებულ საპროცენტო გასავლებს შორის სხვაობით, რომელსაც ამ ოპერაციებისთვის იყენებენ. 2. სხვადასხვა მაჩვენებლებს (ფასებს, პროცენტულ განაკვეთებს, ფასიანი ქაღალდების კურსებს და ა.შ.) შორის სხვაობის გამომხატველი სიდიდე. ბანკის საპროცენტო

მარჟა არის სხვაობა კომერციული ბანკის საპროცენტო შემოსავალსა და გასავალს შორის, მიღებულ და გადახდილ პროცენტებს შორის.

**მარჟა დაკრედიტების** – 1. ფასიანი ქაღალდების შეძენა ნაწილობრივ იმ სახსრებით, რომელიც ბროკერისაგან კრედიტით არის აღებული. 2. შეძენის ფასის ის ნაწილი, რომელიც არ იფარება კრედიტით. 3. უზრუნველყოფის ღირებულების ზედმეტობა.

**მარჟინალიზმი** (marginalism) [<ფრანგ. margina უკიდურესი, ზღვრული] – ერთ-ერთი მიმდინარეობა, მეთოდოლოგიური პრინციპი, რომლის ძირითადი მეთოდები და ინსტრუმენტები გამოიყენება ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში. იგი ითვალისწინებს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კვლევაში ზღვრული სიდიდეების გამოყენებას, ეფუძნება რაოდენობრივ ანალიზს და იყენებს ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებს. მარჟინალიზმი საქონლის ღირებულებას (ფასეულობას) განსაზღვრავს იმ სასარგებლო ეფექტით, რომელიც მას მოაქვს მომხმარებლისთვის. აქედან გამომდინარე, იგი უპირისპირდება კლასიკური სკოლის შრომითი ღირებულების თეორიას. მარჟინალიზმი მოიცავს ზღვრული სარგებლიანობის, ზღვრული მწარმოებლურობის, ზღვრული ხარჯისა და ა.შ. თეორიებს. ძირითადი მარჟინალისტური კონცეფციები გამოიყენება მოთხოვნის, ფასის, საბაზრო წონასწორობის და ა.შ. თეორიებში.

მარჟინალიზმმა ფართო განვითარება პოვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ჰ. კლარკის, ფ. ეჯუორთის, ი. ფიშერის, ა. მარშალის, ვ. პარეტის, ლ. ვალრასის, კ. ფიქსელისა და სხვათა ნაშრომებში. ამ თეორიამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ეკონომიკური აზრის განვითარებაში და „მარჟინალისტური რევოლუციის“ სახელითაა ცნობილი.

**მარჟინალური** (ფრ. marginal) – ზღვართან ახლოს თითქმის წამგებიანი.

**მარჟინი** – ყოველი მხარის მიერ ნაკისრი საკონტრაქტო ვალდებულებების გარანტიაა.

**მარტივი თამასუქი** – 1. (სოლო თამასუქი) ისეთი წერილობითი დოკუმენტია, რომელშიც მოცემულია თამასუქის გაცემის (მოვალის) უბრალო და ყოველგვარ პირობას მოკლებული ვალდებულება, გარკვეულ ვადაში და გარკვეულ დროს გადაუხადოს ფულის გარკვეული თანხა სახსრების მიმღებს; 2. არის საბუთი, რომლითაც მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს თანხა გარკვეული დროის განმავლობაში; 3. რომელიც გამოწერილია დებიტორის ანუ გადამხდელის ანუ მოვალის მიერ, კრედიტორის სახელზე და მის წინაშე სავალე ვალდებულებას აღიარებს. მარტივი თამასუქის დროს ურთიერთობაში ორი სუბიექტი მონაწილეობს; 4. (promissory note) - ვალდებულება განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ გარკვეული დროის განმავლობაში. მარტივი თამასუქი მოიცავს: 1. დასახელებას – „თამასუქი“ რომელიც ჩართულია ტექსტში იმ ენაზე რომელზეც ეს დოკუმენტია შედგენილი; 2. მარტივ დაპირებას განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ, რაც არაფრით არ არის შეპირობებული; 3. გადახდის ვადის მითითებას; 4. იმ ადგილის აღნიშვნას, სადაც თანხა უნდა გადაიხადონ; 5. იმ პირის დასახელებას, ვისთვის ან ვისი ბრძანებითაც უნდა გადაიხადონ; 6. თამასუქის შედგენის თარიღისა და ადგილის მითითებას; 7. თამასუქის გამცემი პირის ხელმოწერას.

გადასაპირებელი თამასუქისაგან განსხვავებით, მარტივ თამასუქში არ არის მითითებული გადამხდელი. მარტივ თამასუქს გამოწერს და ხელს აწერს მევალე.

**მარქსი კარლ** (1818-1883) (Marx Karl) – გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, სოციოლოგი, ისტორიკოსი და პოლიტოლოგი. სწავლობდა ბონის, ბერლინისა და იენის უნივერსიტეტებში. იენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი აქტიურად რჩება პოლიტიკურ ბრძოლაში. მისი პირველი სტატიები გამოქვეყნდა „რეინის გაზეთში სადაც იგი

პოლიტიკურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მარქსმა თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი უკიდურეს სიღარიბეში გაატარა, 1849 წლიდან ცხოვრობდა ინგლისში და თავისი მეგობრისა და კოლეგის ენგელსის ფინანსური დახმარებით მრავალრიცხოვან ოჯახს ინახავდა.

მარქსმა უარყო ჰეგელის კონსერვატული პოლიტიკური ფილოსოფია და განავითარა მისი დიალექტიკური მეთოდი. კაპიტალიზმის განვითარების კანონები მან ახსნა ნაშრომში „კაპიტალი“ (Iტ.(1867) IIტ. (1885) IIIტ. (1894)).

მეორე და მესამე ტომები გამოვიდა ენგელსის რედაქციით. ეკონომიკის სფეროში მარქსის სხვა მნიშვნელოვანი ნაშრომებია „ზედმეტი ღირებულების თეორიები“ (სამ ნაწილად, 1905-1910) და „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1859). ეკონომიკის დარგში მეცნიერული მიღწევებით მარქსი აღიარებულია მსოფლიოს უდიდესი მოაზროვნედ, მიუხედავად იმისა რომ მისმა ზოგიერთმა დასკვნამ ვერ პოვა პრაქტიკული აღიარება.

მარქსისტული ეკონომიკური მოძღვრების ღერძია ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების თეორიები. გაცვლის პროცესის განვითარების საფეხურები როგორც ისტორიულისა და ლოგიკურის ასახვა, დეტალურად გაანალიზა მარქსმა „კაპიტალის“ პირველ ტომში.

ენგელსთან ერთად, მარქსმა დაწერა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ (1848) სადაც განხილულია კომუნისტური საზოგადოების პრინციპები. ეს ნაშრომი გახდა საპროგრამო დოკუმენტი იმ სახელმწიფოებისათვის რომლებიც შეეცადნენ აეშენებინათ სოციალისტური საზოგადოება. მარქსის სახელთან არის დაკავშირებული მიწისა და სხვა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების გაუქმება და საზოგადოების თითოეული წევრის თანაბარი უფლებით საზოგადოებრივი საკუთრების ცენტრალიზებული მართვის საფუძველზე სახელმწიფო ტიპის ეკონომკის შექმნა. საკუთრებით ურთიერთობებს კ.

მარქსი ანიჭებდა პირველ ხარისხოვან მნიშვნელობას და მიიჩნევდა წარმოებითი ურთიერთობების დედაარსად.

კ. მარქსის მიხედვით, ანტაგონიზმი წარმოიქმნება საკუთრებითი ურთიერთობების წიაღში, ამიტომ კერძო კაპიტალისტურ საკუთრებაზე და აქედან გამომდინარე ექსპლუატაციაზე დაფუძნებული კაპიტალიზმის კრახი გარდაუვალია. კ. მარქსმა ღრმად შეისწავლა ადრეული კაპიტალიზმის ბუნება, მაგრამ ვერ შეძლო განეჭვრიტა მისი მომავალი ბედი და აღმოჩნდა კომუნისტური საზოგადოების შესახებ ცრუ წარმოდგენების ტყვეობაში. მაშინ, როდესაც ფულის წარმოშობის რაციონალური კონცეფცია ფულს ძველი კანონმდებლობის გენიალური ჩანაფიქრისა და აქედან გამომდინარე, ძველი კანონმდებ-ლობით ნაყოფად თვლის (ფულის წარმოშობისადმი სუბიექტურ-ფსიქოლოგიური მიდგომა-იდეა, რომელიც ფულის წარმოშობას უკავშირებს ადამიანებს შორის შეთანხმების შედეგს), პირველად არისტოტელესთან გვხვდება (Аристотелъ, Никомахова этикd. Coz. T.M.,1983, C. 156-157) და განუყოფლად ბატონობდა XVIII საუკუნის ბოლომდე, ევოლუციური კონცეფცია ფულის წარმოშობის ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ობიექტურ პროცესად მიიჩნევს. მართალია ევოლუციური კონცეფცია სათავეს ა. სმითისა და დ. რიკარდოსგან იღებს, მაგრამ ამ მიმართულების ფუძემდებლად აღიარებენ კ. მარქსს, რომელსაც მხარს უჭერენ პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, რ. ბარი და სხვა ცნობილი მეცნიერები.

**მარშალი ალფრედ** (1842-1924) (Marshall Alfred) – ინგლისელი ეკონომისტი (განათლებით მათემატიკოსი) კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი (1885-1908). მიუხედავად იმისა რომ ზღვრული ანალიზის ფუძემდებელი იყო, არასოდეს არ უარყოფდა თავის კავშირს ინგლისურ კლა-სიკურ ეკონომიკურ სკოლასთან. მან დაარსა ინგლისურ-ამერიკული სკოლა და XX საუკუნის დასაწყისში წამოაყენა ალტერნატიული ღირებულების (ფასეულობის) თეორია,

რომელიც ინგლისურ-ამერიკული სკოლის თეორიის სახელითაა ცნობილი.

მარშალმა ღირებულების სხვა თეორიების (შრომითი ღირებულების თეორია, წარმოების დანახარჯების თეორია, მოთხოვნა-მიწოდების თეორია) შეერთებით შექმნა ღირებულების ახალი თეორია, რომელშიც ამოსავალი პოსტულატია მოთხოვნა-მიწოდების კანონი. ამ თეორიის მიხედვით საქონლის მიწოდებას განსაზღვრავს წარმოების დანახარჯები, ხოლო მოთხოვნას – საქონლის ზღვრული სარგებლიანობა. ამრიგად, აღნიშნულ თეორიაში გათვალისწინებულია როგორც იმათი თვალსაზრისი, ვინც ღირებულებას ობიექტური ფაქტორებით განსაზღვრავს, ისე იმითაც, ვინც მათ სუბიექტური ფაქტორებით განსაზღვრავს. მაშასადამე, ღირებულების მარშალისებური თეორია ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით ღირებულების განსაზღვრის თავისებური სინთეზია. იგი ასაბუთებს ღირებულებასა და სარგებლიანობას შორის ფუნქციონალურ კავშირს და ფასს, როგორც საქონლის საყიდლად გადახდილ ფულის რაოდენობას განიხილავს ღირებულებასა და სარგებლიანობის ერთობლიობად.

ა. მარშალის ნაშრომის ფუნდამენტური იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მოთხოვნა და მიწოდება განსაზღვრავენ წონასწორობის საბაზრო ფასებს. იგი აკრიტიკებდა როგორც კლასიკურ ისე ავსტრიულ სკოლებს და ასაბუთებდა რომ ისინი ცალმხრივად განიხილავდნენ ფასწარმოქმნას. მარშალი ამტკიცებდა, რომ როგორც მოთხოვნა, ისე წარმოების დანახარჯები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წონასწორობის ფასების ფორმირებაში.

ალფრედ მარშალმა შემოიღო მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიკურობის ცნებები, ლეონ ვალრასთან ერთად შექმნა მოთხოვნა-მიწოდების მარტივი მოდელი რომელმაც დიდი როლი შეასრულა ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის გარკვევაში. მან ხიდი ააგო კლასიკურ (ობიექტურ) და ნეოკლასიკურ (სუბიექტურ) თეორიებს

შორის. მისი ძირითადი ნაშრომებია: „ეკონომიქსის პრინციპები“ (1890), „ინდუსტრია და ვაჭრობა“ (1919), „ფული, კრედიტი და კომერცია“ (1923) და სხვ. მარშალის ნაშრომებმა უდიდესი როლი შეასრულეს არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მართვაში, არამედ თანამედროვე მიკროეკონომიკის ფორმირებაშიც.

**მარშრუტი** – 1. ამა თუ იმ სახეობის ტრანსპორტის მიმოსვლის მთელი გზა მის მიერ რეისის შესრულების დროს; 2. წინასწარ დასახული გზა, გასაჩერებელი პუნქტების აღნიშვნით; 3. საჰაერო ხომალდის ფრენის მთელი გზა მის მიერ რეისის შესრულების დროს.

**მარშრუტული გზავნილება** – ტვირთის პარტია ერთი ზედდებულით და ისეთი რაოდენობით, რომელიც შეესაბამება მარშრუტის წონით ნორმას, ე.ი. მთელი სარკინიგზო შედგენილობის ნორმას.

**მარჯინი** – სხვაობა ტვირთის მინიმალური რაოდენობისა, რომელიც ვალდებულია გემმა მიიღოს გადაზიდვაზე და იმ ტვირთის რაოდენობას შორის, რომელიც გემმა უნდა დატვირთოს ბორტზე დამფრახტველთან დადებული საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების მიხედვით.

**მასალატევადობა** – განისაზღვრება წლის მანძილზე ყველა მატერიალური დანახარჯის შეფარდებით გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასთან.

**მასალებზე მოთხოვნათა დაგეგმვა** – დაგეგმვის სისტემა, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნილი პროდუქციის რაოდენობასა და გამოშვების გრაფიკს. გრაფიკი განსაზღვრავს დაგეგმვის პერიოდის განმავლობაში მასალებზე მოთხოვნის დროს.

**მასალები და დეტალები** – საქონელი, რომელიც მთლიანად გამოიყენება მწარმოებლის მიერ ნაწარმში, იყოფა ორ ჯგუფად: ნედლეული, ნახევარფაბრიკატები და დეტალები.

**მასალები** – 1. ორგანიზაციის გამართული მუშაობა ბევრადაა დამოკიდებული მასალებით მომარაგებაზე. ამასთან მომარაგება უნდა იყოს კომპლექსური და დროული. მაშასა-

დამე ორგანიზაცია დროულად და საჭიროების მიხედვით უნდა ივსებდეს მისთვის აუცილებელ ყველა მარაგს. მაგალითად, იაპონელები მუშაობენ მომარაგების პრინციპით - „ზუსტად განსაზღვრულ დროს“, რაც ორგანიზაციას ათავისუფლებს ზედმეტი მარაგებისგან. ამ პრინციპით მუშაობისას ორგანიზაცია გარკვეულ რისკზე მიდის, რადგან მიმწოდებლის მიერ მასალის გაგზავნის გრაფიკის ოდნავი დარღვევაც კი მისი მუშაობის რიტმის შეფერხებას გამოიწვევს. ამიტომაა, რომ იაპონიაში საიმედო მიმწოდებლების შერჩევას დიდი ყურადღება ექცევა. 2. რესურსები, მოხმარებული საწარმოო ოპერაციების შესრულების პროცესში. მაგალითად, დეტალები მოწყობილობების შეკვეთებისათვის. მასალები განსხვავდება ნედლეულისაგან იმით, რომ არ გაითვალისწინება ცალკე, როგორც საწარმოო პროდუქციის ღირებულების ელემენტი.

**მასალების კლასიფიკაცია** არის მათი ერთეულების ლოგიკურ ჯგუფებად დახარისხება, მათი ხასიათის ან დანიშნულების გათვალისწინებით.

**მასალების ნორმატიული დანახარჯი** უდრის მასალის ხარჯვის ნორმირებული რაოდენობისა და მასალის ერთეულის ფასის ნამრავლს.

**მასიურად ითვლება ნაკადი,** – რომელიც წარმოიშობა ტვირთის ტრანსპორტირების პროცესში არა ერთეული სატრანსპორტო საშუალებით, არამედ მათი ჯგუფით, მაგალითად, სარკინიგზო შემადგენლობა ან რამდენიმე ათეული ვაგონი, ავტომანქანების კოლონა, გემების ქარავანი და ა.შ.

**მასობრივი მომსახურების მოდელი** – მოდელი, რომელიც გამოიყენება მომსახურების საწარმოთა ოპტიმალური რიცხვის განსაზღვრისათვის მათზე მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. უწოდებენ, აგრეთვე „რიგების მოდელს“.

**მასობრივი საბანკო პროდუქტი** არის მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობის უქონელი პროდუქტი. მას განსაკუთრებული ნიშან-თვისებები არ გააჩნია. მასობრივი საბანკო პროდუქტი მხოლოდ პროდუქტის ან ფინანსური აქტივის

სახეობების მიხედვით განირჩევა, მაგალითად საბანკო დეპოზიტი, საბანკო ანგარიში, სახელმწიფო შინაგანი ან მუნიციპალური სესხის ობლიგაციები და ა.შ. მასობრივი საბანკო პროდუქტს უშვებენ მომხმარებლებისა და ინვესტორების ფართო წრეზე გავლით.

**მასობრივი წარმოება** – სამრეწველო წარმოების ტიპი, რომელიც გამოირჩევა მკაცრად განსაზღვრული ნომენკლატურით ერთგვაროვანი პროდუქციის მნიშვნელოვანი მოცულობით გამოშვების დროს. მასობრივი წარმოება არ საჭიროებს ხშირ გადაწყობას, ინსტრუმენტების, ტექაღჭურვილობის, სატრანსპორტო სისტემის, კონტროლის, მეთოდების, ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების და ა.შ. შეცვლას.

**მასობრივი წარმოების კონვერსიული სისტემა** – კონვერსიული სისტემა – კონვერსიული პროცესის ტიპი, რომლის დროსაც იწარმოება დიდი რაოდენობის შედარებით სტანდარტიზებული პროდუქციით.

**მასობრივი წარმოების კონვერსიული სისტემა** – კონვერსიული პროცესის ტიპი, რომლის დროსაც იწარმოება დიდი რაოდენობის შედარებით სტანდარტიზებული პროდუქცია.

**მასშტაბით განპირობებული ეკონომია** (economies of scafe) – ეკონომია რომელიც მიიღწევა გრძელვადიან პერიოდში წარმოების მოცულობის გადიდების პირობებში საშუალო მთლიანი დანახარჯების შემცირებით.

**მასშტაბის ეფექტი** (returns to scafe) – წარმოების მოცულობის ცვლილების კოეფიციენტი ყველა გამოყენებული რესურსის რაოდენობის ცვლილებისას. თუკი მაგალითად, როგორც რესურსები ორკეცდება, იმავე პრინციპით იზრდება წარმოების მოცულობა, მაშინ ამბობენ, რომ მასშტაბის ეფექტს არ ჰქონია ადგილი, თუკი წარმოების მოცულობა იზრდება ორჯერ უფრო ნაკლებად, მაშინ ადგილი აქვს უარყოფითი მასშტაბის ეფექტს, ხოლო თუ იგი იზრდება ორჯერ უფრო მეტად, მაშინ დადებითი მასშტაბის ეფექტს. ეს მოვლენა უნდა განვასხვავოთ მხოლოდ ერთი რესურ-

სის ცვლილების შემთხვევისაგან, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, გამოხატავს კლება და უკუგების კანონს. მზარდი მასშტაბის ეფექტს (increasing returns to scafe) ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა ფირმის გრძელვადიანი საშუალო დანახარჯები ეცემა გამოშვებული პროდუქციის ზრდის პარალელურად.

**მატარებლის გზავნილება** – ტვირთების გზავნილება, რომელიც წარედგინება გადაზიდვაზე ერთი ტვირთმფლობელის მიერ ერთი ტვირთმიმღების მისამართზე ერთი სატვირთო-სატრანსპორტო ზედდებულით, რომლის გადაზიდვის ქვეშ მიეწოდება ცალკეული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

**მატების ტემპი** (tate of growth) – გვიჩვენებს მოცემული სიდიდე პროცენტული გამოხატულებით რამდენით გაიზარდა საანალიზო პერიოდში. მატების ტემპი არის ზრდის ტემპს მინუს 100%.

**მატერიალურ ნაკადს უწოდებენ** ნივთიერი ფორმის მქომე პროდუქციას (ტვირთებს, დეტალებს, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს და ა.შ.), რომელიც განიხილება მასზე სხვადასხვა ლოჯისტიკური ოპერაციის დართვის პროცესში დროის მოცემულ ინტერვალში.

**მატერიალური აქტივები** – არის ნივთიერი, ხელშესახები. ისინი ძირითად საშუალებებად ან ფონდებად არის ცნობილი. მათ მიეკუთვნება: მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები.

**მატერიალური აქტივი** – აქტივი რომელიც არ არის არამატერიალური აქტივი.

**მატერიალური დოვლათი (საქონელი)** – ქვეყნების უმრავლესობაში მატერიალური დოვლათი (საქონელი) საწარმოო (ბიზნესურ) და მარკეტინგული ძალისხმევათა ძირითადი ობიექტია.

**მატერიალური მარაგების დაფარვის კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოითვლება:**

$$\text{მარაგების დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{დაფარვის ნომინალური წყაროები}}{\text{მატერიალური მარაგები}}$$

**მატერიალური მომსახურება** (material service) – შრომის სპეციფიკური ეკონომიკური ფორმა, რომლის სასარგებლო ეფექტიც მატერიალიზებულ მომსახურებაში ვლინდება. საერთაშორისო დარგობრივი კლასიფიკატორის მიხედვით, მატერიალური მომსახურება ორ ჯგუფად იყოფა: პირველი ჯგუფი უკავშირდება პროდუქტების მოძრაობას უშუალოდ მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში, ხოლო მეორე – საკუთრივ წარმოების გარეთ მატერიალური დოვლათის მოძრაობას. პირველ ჯგუფში შედის სატვირთო ტრანსპორტი, წარმოებრივი დანიშნულების კავშირგაბმულობა, საბითუმო ვაჭრობა, სასაწყობო მეურნეობა, ელექტრო -, გაზ - და წყალმომარაგება, წარმოებრივი დანიშნულების რემონტი, საქმიანი და საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება, საფინანსო-საკრედიტო მომსახურება. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება: საცალო ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება, საბინაო კომუნალური მომსახურება, კავშირგაბმულობა მოსახლეობის მომსახურების ნაწილში, სამგზავრო ტრანსპორტი. ასეთი დაყოფა რამდენადმე პირობითია, ვინაიდან არსებობს მომსახურების სახეები, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც ერთ, ისე მეორე ჯგუფს. მაგალითად, საქმიანი და საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება არ შეიძლება მთლიანად ეკუთვნოდეს მატერიალური მომსახურების პირველ ჯგუფს, ვინაიდან მასში შედის მომსახურების ისეთი სახეებიც, რომლებიც ლოგიკურად მატერიალური მომსახურების მეორე ჯგუფში უნდა შედიოდეს, კერძოდ, სამომხმარებლო საქონლის არენდასთან დაკავშირებული სალიზინგო მომსახურება და ა. შ.

**მატერიალური ნაკადი** – 1. მოძრაობის მდგომარეობაში მყოფი მატერიალური რესურსები, დაუმთავრებელი წარმოება,

მზა პროდუქცია, რომელთათვის გამოიყენება ლოგისტი–კური ოპერაციები და ფუნქციები, დაკავშირებული მის ფიზიკურ გადაადგილებასთან სივრცეში (დატვირთვა, გადმოტვირთვა, ტარაში მოთავსება, პროდუქციის გადა-ზიდვა, მისი დახარისხება, კონსოლიდაცია და სხვა; 2. ეს არის პროდუქცია (ტვირთების, დეტალების, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სახით), რომელიც განიხი-ლება მის მიმართ სხვადასხვა ლოგისტიკური (ტრანსპორ-ტირება, საწყობში შენახვა) ან ტექნოლოგიური (მექანიკური დამუშავება, აწყობა) ოპერაციების გამოყენების პროცესში და განეკუთვნება დროის განსაზღვრულ ინტერვალს.

**მატერიალური ნაკადის განზომილება** წარმოადგენს წილადს, რომლის მრიცხველშიც მითითებულია პროდუქციის გაზომვის ერთეული, მას აქვს ნივთიერი ფორმა (ცალი, ტონა და ა.შ.), ხოლო მნიშვნელში მითითებულია დროის გაზომვის ერთეული (დღე-ღამე თვე, წელი და ა.შ.). მაგა-ლითად ტონა/წელი, ვაგონი/თვე, კონტეინერი/ცვლ და ა.შ.

**მატერიალური ნაკადის ცნება** – ლოჯისტიკაში საკვანძოა. მატე-რიალური ნაკადი წარმოიქმნება მზა ნაწარმის ნახევარ-ფაბრიკატებისა და ნედლეულის სხვა მატერიალური ოპე-რაციების ტრანსპორტირების, დასაწყობების და შესრუ-ლების შედეგად დაწყებული ნედლეულის პირველადი წყაროდან საბოლოო მომხმარებლამდე.

**მატერიალური საექსპედიციო მომსახურება** – მიეკუთვნება ყველა სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ტვირთე-ბის გადაადგილების მატერიალურ ფიზიკურ პროცესები-საგან. საექსპერტო მომსახურების ეს სახე შეესაბამება საქმიანი ლოგისტიკის მატერიალურ ქვესისტემას მისი საერთო მეთოდების და პრინციპების საფუძველზე.

**მატერიალური სტიმულირება** (material stimulation) – წარმოების მუშაკთა შრომისადმი წახალისების ეკონომიკური ფორმე-ბისა და მეთოდების სისტემა, მათი შრომითი აქტიურო-ბისა და დაინტერესებულობის ამაღლება წარმოების საბოლოო შედეგების გაუმჯობესებისათვის.

**მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფერო** (material production area, tangible assets) – ეროვნული ეკონომიკის იმ დარგთა ერთობლიობა, რომლებიც აწარმოებენ მატერიალურ დოვლათს ნივთობრივი პროდუქტისა და ენერგიის ფორმით. გაეროს სსდკ-ის სტრუქტურაში, რომელიც წარმოდგენილია სამი სექტორის სახით, პირველი ორი სექტორი შეადგენს მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს, ხოლო მესამე – მომსახურების სფეროს.

მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფერო ოთხ განყოფილებას მოიცავს, აქედან პირველ სექტორში შედის ერთი განყოფილება: 1. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, ნადირობა და თევზჭერა. მეორე სექტორი მოიცავს დანარჩენ სამ განყოფილებას: 2. სამთომოპოვებითი მრეწველობა; 3. გადამამუშავებელი მრეწველობა; 4. მშენებლობა.

**მატერიალურობის (არსებითობის) პრინციპის** არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბუღალტრულ აღრიცხვაში მხედველობაში არ მიიღება არაარსებითი ფაქტი. არსებითად იცვლება ოპერაცია, რომლის შედეგად იცვლება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. თუმცა ოპერაციების არსებითად და არაარსებითად დაყოფა სუბიექტურია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ფინანსური ანგარიშგება უნდა ასახავდეს ყველა არსებით ფაქტს.

**მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ლოგისტიკა** არის მასალათა ნაკადების მართვა საწარმოს მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის პროცესში, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ლოგისტიკის მიზანია, მომწოდებლების მიერ სხვადასხვა საწარმოს ქვედანაყოფების მატრიალური რესურსებით ხარისხიანი და საიმედო უზრუნველყოფა, რომლებიც აუცილებელია საწარმოს მიერ დასახული დავალების შესასრულებლად.

**მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნილებების დაგეგმვა მასობრივი წარმოების კონვერსიული სისტემა** – კონვერსიული მატერიალურ-ტექნიკური მარაგების სის-

ტემა, რომლის მიზანია, რომ მარაგში იყოს მხოლოდ ის, რაც საჭიროა წარმოების უახლესი გეგმების შესრულებისათვის.

**მატრიცული ორგანიზაცია** არის ორგანიზაციული სტრუქტურის აგების ორი კრიტერიუმის - მართვის ეკონომიკური ფუნქციებისა და მომსახურების ჯგუფების კომბინირება. ფუნქციონურ განყოფილებებთან ერთად ბანკში არსებობს მომსახურების ჯგუფების მენეჯერების ინსტიტუტი. მათ უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილებები მომსახურების „თავიანთი ჯგუფის“ ფარგლებში და კოორდინაციას უწევენ სხვა განყოფილებების საქმიანობას.

**მატრიცული ორგანიზაცია** – ადაპტური სტრუქტურის ტიპი, რომელშიც პროექტის განხორციელებისათვის შექმნილი ჯგუფის წევრები პასუხისმგებელნი არიან როგორც ამ კონკრეტული პროექტის, ასევე მოცემული საწარმოს ხელმძღვანელობის წინაშეც, სადაც ისინი მუდმივად მუშაობენ.

**მაქსიმალური მარაგი** არის მარაგის უმაღლესი დონე, რომელზეც მაღლა მარაგი არ აიწევს. ეს მაჩვენებელი გამოიყენება საწყობების დასაგეგმად.

**მაქსიმალური საბაჟო განაკვეთები** გამოიყენება იმ ქვეყნების საქონელზე, რომლებთანაც სახელმწიფო სავაჭრო ხელშეკრულებები არ აქვს, მინიმალური – ხელშეკრულებების და შეთახმებების მქონე ქვეყნების საქონლისათვის.

**მაღალეფექტიანი სამუშაო სისტემა.** კონკურენციის გაღრმავება და ეკონომიკური გამოწვევები მოითხოვს დასაქმებულებმა მეტი ყურადღება გაამახვილონ პროდუქტიულობასა და შედეგების გაუმჯობესებაზე, რაშიც მნიშვნელოვან როლს ადამიანური რესურსები ასრულებს. ის კომპანიები, რომლებსაც აქვს მაღალი მწარმოებლურობის მქონე კადრების შერჩევის, ტრერინგის, უსაფრთხოების დაცვის პროგრამები, გამოირჩევიან საუკეთესო შედეგებით. მაღალეფექტიანი სამუშაო სისტემა არის ადამიანური რესურსების მენეჯმენტის კანონებისა და პრაქტიკის

ნაკრები, რომლებიც ერთად უზრუნველყოფენ წარმოების მაღალი შედეგების მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ როგორც წესი, იმ კომპანიებში, სადაც მაღალია მწარმოებლურობა უფრო მაღალია ანაზღაურება, მაშინ როცა მსგავს სხვა კომპანიებში ანაზღაურება დაბალია, მეტია სწავლების დრო, გამოიყენება კადრების შერჩევისა და დაქირავების უფრო რთული სისტემა, მათ გააჩნიათ საუკეთესო წარმოება, დიდი მოგების პირობები, ოპერაციების დაბალი ღირებულებები.

**მაჩვენებელი** – 1. ხარისხობრივად განსაზღვრული სიდიდე, რომელიც წარმოადგენს გაზომვის ან გაანგარიშების შედეგს. 2. სოციალური-ეკონომიკური ობიექტებისა და პროცესების რომელიმე თვისების რაოდენობრივი მახასიათებელი. პირველ განსაზღვრას იყენებენ აღრიცხვის, სტატისტიკის, დაგეგმვის პრაქტიკაში; მეორეს-მონაცემების ავტომატიზირებული დამუშავების თეორიასა და პრაქტიკაში.

**მახარისხებელი ცენტრი Hub** – განსაზღვრული რეგიონისათვის (რაიონისათვის) ტვირთების შეკრების, დახარისხების და განაწილების ცენტრალური პუნქტი. მოცემული კონცეფცია წარმოშობილია ტერმინისაგან, რომლებიც გამოიყენება საჰაერო გადაზიდვებში. ის გულისხმობს ტვირთების შევსებასა და განაწილებას ერთიანი პუნქტის საშუალებით.

**მახსოვრობის ბარათები** – ესაა უმარტივესი ელექტრონული ბარათები, რომელთაც მხოლოდ მახსოვრობა აქვთ. მიკროპროცესოლური ბარათების მახსოვრობა გაცილებით აღემატება მაგნიტური ბარათებისას. მისი შედარება, შეჯამება და გადაწერა მრავალჯერაა შესაძლებელი.

**მბრძანებლური ანუ ცენტრალიზებური ეკონომიკის** პირობებში საწარმოთა უმეტესი ნაწილი სახელმწიფო (საზოგადოებრივ) საკუთრებაშია.

**მგეგმავი.** იგი ცდილობს ორგანიზაციის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებას, ამ უკანასკნელის (ორგანიზაციის) მომავალი საქმიანობის ოპტიმიზაციის გზით. იგი

ცდილობს ძირითადი რესურსების კონცენტრირებას ორგანიზაციის საქმიანობის ტრადიციულ სფეროებში.

**მგზავრთა გადაყვანის მიხედვით პირდაპირი ხარჯებია:** სამგზავრო ვაგონების შეკეთების ხარჯები, მატარებლების მომსახურების ხარჯები, მათ გასამგზავრებლად გაწეული ხარჯები, ცვეთის ხარჯები და ა.შ.

**მგზავრთა წონა** – საჰაერო ხომალდზე მგზავრთა დატვირთვის კომერციული გაანგარიშებისათვის მგზავრთა რაოდენობა მრავლდება 90 კგ-ზე, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მგზავრისა და უფასო ბარგის წონას.

**მგზავრთბრუნვა** – (შესრულებული მგზავრთკილომეტრი) - ანგარიშობენ გადაყვანილი მგზავრთა რაოდენობისა (მგზ) და გადაზიდვის მანძილის (კმ) გამრავლებით. იზომება მგზავრკილომეტრებში.

**მგზავრი** – 1. პირი, რომელსაც გააჩნია სამგზავრო ბილეთი. ამ ბილეთის გამცემის მიერ მგზავრს გაეწევა სატრანსპორტო მომსახურება; 2. ფიზიკური პირი, რომელიც მგზავრობს ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

**მგზავრი ტრანზიტული** – მგზავრი, რომელიც საჰაერო გადა-ზიდვის შესახებ ხელშეკრულების თანახმად შუალედური აეროპორტიდან ფრენას აგრძელებს იმავე რეისით, რომელითაც იგი ამ აეროპორტში ჩამოვიდა.

**მგზავრი ტრანსფერული** – 1. მგზავრი, რომელიც საჰაერო გადა-ზიდვის თანახმად შუალედური აეროპორტიდან ფრენას აგრძელებს არა იმავე რეისით, რომლითაც ის ამ აერო-პორტში ჩამოვიდა, არამედ ამავე გადამზიდველის სხვა რეისით, ან სხვა გადამზიდველის რეისით; 2. მგზავრი, რომელიც სხვადასხვა ტრანსპორტით გადაყვანის შესახებ ხელშეკრულების თანახმად შუალედური აეროპორტიდან ფრენას აგრძელებს არა იმავე რეისით, რომლითაც ის ამ აეროპორტში ჩამოვიდა, არამედ ამავე გადამზიდველის სხვა რეისით, ან სხვა გადამზიდველის რეისით.

**მდარე საქონელი** (injerior good) – საქონელი, რომელზეც სხვა

თანაბარ პირობებში, მოთხოვნა მცირდება შემოსავლის ზრდასთან ერთად.

**მდგრადი ზრდა** (steady growth) – ეკონომიკის დინამიკური მდგომარეობა, როდესაც განვითარება ხდება მუდმივი პროპორციული ტემპებით. ეკონომიკური ზრდის თეორია იკვლევს მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს.

**მდგრადობის ეკონომიკური შინაარსის** უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებაა ბანკის სტრატეგიის (პოლიტიკის) შესაბამისობა იმ რეალური გარემოს ობიექტურ მახასიათებლებთან, რომელშიც მას უწევს მუშაობა და ბანკის საქმიანობის მიმდინარე პარამეტრების შესაბამისობა მის საკუთარ სტრატეგიულ მიზნებთან.

**მდებარეობის მოხერხებულობა** – მარკეტინგული არხის ისეთი განფენილობა რომელიც უადვილებს მომხმარებელს საქონლის ყიდვას (შეძენას).

**მეგაეკონომიკა** (megaeconomics) – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და მათი შემსწავლელი საერთაშორისო ეკონომიკა. იკვლევს საერთაშორისო მასშტაბით ისეთ გლობალურ პრობლემებს, როგორიცაა საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობები, საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობები და ა.შ.

**მეგამარკეტინგი** ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ზემოქმედების სტრატეგიული კორდინაციაა, რომლებიც მიმართულია თანამშრომლობის დამყარებაზე სხვადასხვა პარტიებთან და საზოგადოებრივ ჯგუფებთან განსაზღვრულ ბაზარზე გასასვლელად ან მასზე სამუშაოდ. მაგალითად, კომპანია „Pepsico“-მ გამოიყენა მეგამარკეტინგი ინდოეთის ბაზარზე გასასვლელად.

**მეზოეკონომიკა** (mesoeconomics) – ქვეყნის ეკონომიკის ქვესისტემების (ინფრასტრუქტურის, სათბობ-ენერგეტიკის მომსახურების სფეროს და ა.შ.) ეკონომიკა. შეისწავლის ეკონომიკის ქვესისტემებს სექტორული ეკონომიკის სახით.

**მეთაური კომპანია** – კომპანია, რომელიც კონტროლს უწევს ტრანსეროვნულ კორპორაციაში შემავალ საწარმოებს როგორც თავის ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, მათ კაპიტალში მონაწილეობის წილის ფლობის გზით.

**მეთოდი** – 1. ბერძნული წარმოშობისაა და მიზნის მიღწევის საშუალებას ნიშნავს. იმ საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც მმართველობით საქმიანობაში ორგანიზაციის მიზნების განსაზღვრისათვის და მათ მისაღწევად გამოიყენება, მართვის მეთოდებს წარმოადგენენ. მართვის მეთოდების დიდი რაოდენობა, აგრეთვე, მათი ზრდის ტენდენცია და მრავალგვარობა კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით მათი კლასიფიკაციის აუცილებლობას განაპირობებს; 2. ბერძნული სიტყვაა ნიშნავს ილეთს, მოქმედების ხერხს, ხოლო მართვასთან მიმართებაში ნიშნავს მმართველობითი საქმიანობის ხერხს, ამა თუ იმ სამმართველო ამოცანების გადაწყვეტას. მართვის მეთოდები უნდა ეფუძვნებოდეს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განმსაზღვრელი ობიექტური კანონების მოქმედებას.

**მეთოდი FYFO** ეყრდნობა იმ კონცეფციას, რომ პირველად შეძენილი მასალები პირველად დაიხარჯება. ამიტომ წარმოებაში გაცემული მასალები შეფასდება ყველაზე პირველად შეძენილი მასალის პარტიის ფასით, ამ პარტიის ამოწურვამდე.

**მეთოდი LYFO** ეყრდნობა იმ კონცეფციას, რომ თითქოს პირველად იხარჯება ბოლოს შეძენილი (ანუ ახლად შეძენილი) მასალები. ამიტომ საწყობიდან გაცემული მასალების შეფასება ხდება ბოლოს შეძენილი მასალების ფასით, იმ პარტიის ამოწურვამდე. ხოლო ნიშნად დარჩენილი მასალების საბოლოო მარაგი შეფასდება ყველაზე ადრე შეძენილი მასალების ფასით.

**მეთოდი NYFO** მოითხოვს, რომ საწყობიდან გაცემული მასალები შეფასდეს მომავალში შესაძენი მასალების მოსალოდნელი ფასით. იგი არის მასალების ჩანაცვლების

ღირებულების მსგავსი. განსხვავების დაბალანსება ხდება მარაგის კორექტირების ანგარიშიდან.

**მელქაძე ვალერიან** (1912-1981) (Melkadze Valerian) - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი (1979), აკადემიურ მეცნიერებათა დოქტორი (1972), პროფესორი (1977), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1975). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1937). 1946-48 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, პარალელურად თსუ-ში კითხულობდა ლექციებს. 1948-1963 წლებში იმყოფებოდა პარტიულ და ხელმძღვანელ სამუშაოებზე. იყო საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი (1958-1963წ), თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი (1960-1963), საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი (1963-1981). ვ. მელქაძემ საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური მეცნიერების ახალ დარგს-რეგიონალურ ეკონომიკას; შეიმუშავა შიგარესპუბლიკური ტერიტორიული ერთეულების მიხედვით ეროვნული შემოსავლის ანალიზური კვლევის მეთოდი; ორიგინალური ნაშრომები შექმნა ეკონომიკის მართვის, პროგნოზირების, წარმოების სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების პრობლემებზე. ძირითადი შრომებია: „კანონზომიერებები საქართველოს ეროვნული შემოსავლის წარმოშობაში“ თბ. 1974 (რუსულ ენაზე); „საქართველოს ეკონომიკის განვითარების კომპლექსური პროგრამა“ თბ. 1975; „საქართველოს საზოგადოებრივი პროდუქციისა და ეროვნული შემოსავლის რეგიონალური სტრუქტურა“ თბ. 1978.

**მენეჯერთა გუნდის ერთიანობის პრინციპი** – მენეჯერები კავშირებს ახორციელებენ თავიანთი მმართველობითი დონიდან ერთი საფეხურით დაბალ ან მაღალ დონეზე. ყოველი

ხელქვეითი ვალდებულია შეასრულოს მის წინაშე დასმული ამოცანა და პასუხი აგოს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. არც ერთმა ხელმძღვანელმა არ უნდა მისცეს დავალება მოსამსახურეს მისი უშუალო უფროსის გვერდის ავლით. ამგვარი პრინციპის რეალიზაციის დადებით მხარედ გვევლინება ის, რომ სამუშაოს განაწილებისას უკვე წინასწარაა განსაზღვრული შემსრულებლები. მაგრამ, მას ახასიათებს უარყოფითი მომენტებიც. გამორიცხული არ არის, რომ ხელმძღვანელი იზოლირებული აღმოჩნდეს თავისი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მისმა უშუალო ხელქვეითებმა შეიძლება შეაფერხონ ხელმძღვანელის კავშირები მმართველობითი სტრუქტურის სხვა რგოლებთან.

**მენეჯერი** – 1. საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის მართვის სპეციალისტი, დაქირავებული მმართველი. მენეჯერები ორგანიზებას უკეთებენ ფირმაში მუშაობას, ხელმძღვანელობენ ფირმის თანამშრომელთა ჯგუფის საწარმოო საქმიანობას. იგი იმ ფირმის, კომპანიის თანამდებობის პირია, რომელშიც მუშაობს და შედის ფირმების საშუალო და უმაღლეს ხელმძღვანელთა შემადგენლობა. 2. (ინგლ. manager), სამოქალაქო ავიაციაში მართვის სპეციალისტი, რომელსაც ავიასაწარმო ქირაობს დროის გარკვეულ პერიოდში ხელშეკრულების საფუძველზე. 3. პროფესიონალი მმართველი ბიზნესის სფეროში, ანხორციელებს ადამიანთა ჯგუფის ხელმძღვანელობას. 4. (manager) [ინგლ. manajer<manage>მართვა] – წარმოების მართვის სპეციალისტი მმართველი, რომელსაც ქირაობს სახელმწიფო, კომპანია ან კერძო მეწარმე. 5. ორგანიზაციის წევრი, რომელიც ეწევა მმართველობით საქმიანობას. მენეჯერები მუშაობენ მართვის ყველა დონეზე, რომელთაც ექვემდებარება მომუშავეთა განსაზღვრული რაოდენობა. მენეჯერები გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა ხელმძღვანელობდნენ ეკონომიკური მოსაზრებებით. მენეჯმენტში მთავარია მიზნის (ამოცანის) დასახვა, რომელიც პასუხობს ორგანიზაციის ინტერესებს.

**მენეჯერი** – ხელმძღვანელი; მმართველი; გამგე; დირექტორი; ადმინისტრატორი. მართვის დონეების მიხედვით განასხვავებენ უმაღლესი, საშუალო და დაბალი (ძირითადი) რგოლის მენეჯერებს. ბიზნესის ორგანიზაციებში უმაღლესი რგოლის მენეჯერები არიან საბჭოს თავმჯდომარე, პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და კორპორაციის ხაზინადარი. საშუალო რგოლის მენეჯერები წარმოდგენილი არიან განყოფილებათა ხელმძღვანელების სახით. დაბალი რგოლის მენეჯერებს მიეკუთვნებიან ბრიგადირები, ოსტატები, ცვლის ოსტატები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ არამმართველობით პერსონალს.

**მენეჯერიზმი** (managerialism) – თანამედროვე ეკონომიკური თეორია, რომლის მიხედვითაც წარმოების კონტროლი კერძო მესაკუთრეებისაგან გადადის დაქირავებული მმართველების - მენეჯერების ხელში.

**მენეჯმენტი** – 1. წარმოებისა და საწარმოო პერსონალის პრინციპების, ფორმირების, მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა მართვის მეცნიერების მიღწევათა გამოყენებით. მენეჯმენტის ძირითადი მიზნით წარმოების მაღალი ეფექტიანობის, საწარმოს (ფირმის), კომპანიის რესურსული პოტენციალის უკეთ გამოყენების მიღწევა. 2. სინამდვილეში იგივეა, რაც ჩვენთვის ჩვეული მართვა (ერთსაც და მეორესაც ცხადია, დახვეწა სჭირდება) და მაინც, ეს იგივეობრივი და ურთიერთშემცვლელი ცნებები არაა. 3. მენეჯმენტის შეფასება წარმოადგენს ყველაზე ძნელი და ამავე დროს, ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას, რადგან ამ დროს ფაქტიურად ხდება რისკის მართვა და მონიტორინგი მენეჯმენტის საშუალებით. მენეჯმენტის შეფასება იწყება სამეთვალყურეო საბჭოდან, რადგან სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკის აქციონირების წინაშე იმაზე, თუ რამდენად ადექვატურია არსებული მენეჯმენტი იმისათვის, რომ დაცული იქნეს აქციონერთა ინტერესები. 4. საწარმოს (ფირმის) მართვის (პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების) სისტემა,

რომელიც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის (ბიზნესის) ეფექტიან განხორციელებას და ფირმის გადარჩენას კონკურენტული გარემოს პირობებში. მართვის პროცესს (დაგეგმვას, ორგანიზაციას, მოტივაციასა და კონტროლს) ახორციელებენ მენეჯერები; 5. მართვის მეცნიერება საბაზრო ეკონომიკის პირობებში რომელიც ემყარება სისტემების თეორიას გადაწყვეტილებათა მიღების თეორიას სოციოლოგიას, ფსიქოლოგიას და სხვ; 6. ბიზნესის პერსონალის მართვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში 7. მართვის პრინციპების, მეთოდებისა და საშუალებათა ერთობლიობა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მოგების გადიდების მიზნით. 8. როგორც პროცესი მოიცავს თანმიმდევრულ ფუნქციებს: დაგეგმვა, ორგანიზაცია, რეგულირება, კონტროლი და აღრიცხვა. 9. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფირმის მართვის ფორმებისა და მეთოდების სისტემა. 10. მართვის პრინციპების, მეთოდებისა და საშუალებათა ერთობლიობა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და გადიდების მიზნით. 11. (management) [ინგლ. <management>მართვა გამგებლობა] - წარმოების მართვა, წარმოების პრინციპების მეთოდების საშუალებებისა და ფორმების ერთობლიობა, გამოყენებული წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მოგების გადიდების მიზნით. მენეჯმენტი ოთხი ფუნქციისაგან შედგება: დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია, კონტროლი. განასხვავებენ საერთო და ფუნქციურ მენეჯმენტს. საერთო მენეჯმენტი გულისხმობს მთლიანად ფირმის მართვას, ფუნქციური მენეჯმენტი კი დაკავშირებულია ფირმის ცალკეული ქვესისტემების მართვასთნ. ამ ქვესისტემების (შრომითი რესურსები, ფინანსები, უშუალოდ წარმოების პროცესი და სხვა) ურთიერთდაკავშირებული ფუნქციონირება ფუნქციური მენეჯმენტის პრეროგატივაა. 12. როგორც საბაზრო მეურნეობის გაძღოლის ახალი მიმართულება, წარმოების მართვის ხელოვნებისა და მეცნიერების სინთეზია. იგი ეფუძვნება მმართველობით საქმიანობაში

თანამედროვე ფორმების, მეთოდების, პრინციპებისა და საშუალებების გამოყენებას. მენეჯმენტი, როგორც ცოდნის სპეციალური დარგი, დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბდა XX საუკუნის 40-იან წლებში. 13. მენეჯმენტის არეალი შემოიფარგლება მხოლოდ ბიზნეს საქმიანობით, ამიტომ იგი განსხვავდება მართვისაგან, რომელშიც სახელმწიფოებრივი მართვა იგულისხმება.

**მენეჯმენტი** –ნიშნავს ხელმძღვანელობას, მართვას. მართვა არის დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციის და კონტროლის პროცესი, აუცილებელი იმისათვის, რომ ყველა შიგა და გარე რესურსების შეხამება-მობილიზების გზით მიღწეული იყოს ორგანიზაციის მიზნები.

**მენეჯმენტის მეთოდი** – ეს მართვის სუბიექტის ზემოქმედების შედეგია მართვის ობიექტზე, სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნების განხორციელებისაკენ. დღეისათვის გამოიყენება პერსონალის მენეჯმენტის სამი ალტერნატიული მეთოდი: ადმინისტრაციული (ორგანიზაციული, განკარგულებითი), ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური.

**მეორადი ბაზარი** (secondary market) --მიმოქცევაში გაშვებული ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა დილერების ან ბროკერების მიერ.

**მეორადი ბაზარი,** – ისეთი ბაზარია, რომელზეც ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდები (რომლებიც უკვე იყო ვინმეს მფლობელობაში) ხელახლა იყიდება.

**მეორადი კაპიტალი** – არის პრივილეგირებული აქციების ჯამი, რომელსაც მიმოქცევის შეზღუდული ვადა გააჩნია, ასევე სუბსიდირებული ფასიანი ქაღალდები და ვალდებულებები, სავალო ინსტრუმენტები, პირველადი კაპიტალის გაუთვალისწინებელ აქციებში კონვერტირებადი ვალდებულებები.

**მეორადი მოთხოვნილებები** – ფსიქოლოგიური ბუნების მქონე მოთხოვნილებები, როგორიცაა შეფასება, შეჩვევა და ძალაუფლება.

**მეორადი რეზერვები** – ბანკის ლიკვიდობის უზრუნველყოფისათვის იქმნება, იგი მაღალლიკვიდური აქტივებისგან შედგება, რომელთა სწრაფად რეალიზების შესაძლებლობა არის შესაძლებელი და რომელსაც დიდი ბრუნვადობა ახასიათებს. მათ პირველ რიგში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები მიეკუთვნება. ასევე მათი ფორმირება შეიძლება განხორციელდეს ბანკის აქცეპტებისგან, თამასუქებისაგან და ზოგიერთ შემთხვევაში პირველი კლასის მეცენატების ობლიგაციებისგანაც.

**მეორადი რესურსები** – (secondary resources) ერთჯერადად გამოყენებული მატერიალური რესურსები ან წარმოების ნარჩენები, რომლებიც გამოიყენება სხვა წარმოებაში.

**მეორადი საბანკო კაპიტალი** – არის ბანკის სუბორდინირებული სავალო ვალდებულება. იგი ანაბრების უზრუნველყოფის დამატებით წყაროს წარმოადგენს და აქ უპირველეს ყოვლისა, ობლიგაციები არის გათვალისწინებული. ცნება „სუბორდინირებული“ ნიშნავს, რომ მათი მფლობელების მოთხოვნილებების განაღდება ბანკის მიერ თავისი მეანაბრეების წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ ხორციელდება.

**მეპაიეებად** – შეიძლება მოგვევლინონ ფიზიკური და იურიდიული პირები. მეპაიე როგორც წესი, პირადი შრომით იღებს მონაწილეობას კოოპერატივის საქმიანობაში, თუმცა შეიძლება, რომ მისი მონაწილეობა შესრულებული შენატანით შემოიფარგლებოდეს.

**მერკანტი** (ფრანგ.) – ვაჭარი. XV საუკუნეში სამრეწველო კაპიტალის ეპოქამდე წარმოიშვა ეკონომიკური მოძღვრება მერკატილიზმი, რომელიც სავაჭრო კაპიტალის ინტერესებს ასახავდა. მერკანტილიზმის მომხრეები ამტკიცებდნენ, სიმდიდრის წარმოქმნის წყაროს მიმოქცევის და არა წარმოების სფერო წარმოადგენსო: თვით სიმდიდრეს კი ფულის მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მასთან აიგივებდნენ.

**მერკანტილიზმი** – 1. წარმოდგება იტალიური სიტყვისაგან, mercante, რაც ვაჭარს ნიშნავს. 2. ეს არის საერთაშორისო

ვაჭრობის მიზანშეწონილობა და მომგებიანობა რომელიც დასაბუთებულია სხვადახვა თეორიით, რომელიც 1500 - 1800 წწ. წარმოადგენდა ეკონომიკური აზროვნების საფუძველს. ამ თეორიის თანახმად ქვეყნის კეთილდღეობაზე, წარმოების განვითარება კი არაა დამოკიდებული, არამედ სხვა ქვეყანაში საქონლის გატანაზე და ამ გზით ფულის დაგროვებაზე; 3. (mercantilism) [<იტალ. mercante> ვაჭარი, მოვაჭრე] – პირველი ეკონომიკური მიმართულება, რომელიც სავაჭრო ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა XV-XVIII საუკუნეებში. ამ მოძღვრების პრინციპი ასეთი იყო: მოგება წარმოიქმნება მიმოქცევის სფეროში. ფულის საზღვარგარეთ გატანა ამცირებს ქვეყნის სიმდიდრეს, შემოტანა კი-ამდიდრებს. ამ პრინციპიდან გამომდინარე, ადრინდელი მერკანტილიზმის (აღმოცენდა XV საუკუნის უკანასკნელ მესამედში, არსებობდა XVI საუკუნის შუა პერიოდამდე) წარმომადგენლებს (უ. სტაფორდი, გ. სკარუფი, დ. სანტისი და სხვ.) ქვეყნის სიმდიდრის ზრდის აუცილებელ პირობად მიაჩნდათ აქტიური ფულადი ბალანსი, გვიანდელი მერკანტილიზმის (განვითარდა XVI საუკუნის შუა პერიოდიდან, აყვავებას მიაღწია XVIII საუკუნეში, დაშლა დაიწყო XVIII საუკუნიდან, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შეიცვალა ფიზიოკრატიზმით) წარმომადგენლებს (თ. მენი, ა. სერა, ა. მონკრეტიენი და სხვ.) აქტიური სავაჭრო ბალანსი. XVIII საუკუნის შუა ხანებში ეკონომისტთა ყურადღებამ მიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში გადაინაცვლა. მერკანტალიზმი შეიცვალა ფიზიოკრატიზმით.

**მერკანტილური** (mercantile) [<იტალ. mercante> ვაჭარი, მოვაჭრე] – 1. სავაჭრო, კომერციული; 2. ვაჭრული, მეწვრილმანური.

**მერფის კანონი** – სარეკლამო კანონი, რომელიც იუწყება: „არასაკმარისი სარეკლამო ხარჯები განაპირობებენ ფულის უაზრო ხარჯვას“. ე.ი. ეკონომია რეკლამაზე უაზრობაა.

**მერყევი ფასი** (sliding price) – ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ცვალებადი ფასი. ასეთ შემთხვევაში

ხელშეკრულებით საბოლოო ფასს არ ადგენენ, მხარეები თანხმდებიან მხოლოდ მისი დადგენის წესზე. მერყევი ფასის სახესხვაობაა ფასი შემდგომი ფიქსაციით.

**მერჩენდაიზინგი** – საცალო ვაჭრობის ქსელში საქონლის გასაყიდად მომზადება: სავაჭრო დახლების, ვიტრინების გაფორმება, საქონლის სავაჭრო დარბაზში გამოფენა-დალაგება, საქონლის შესახებ ინფორმირება კონსულტირება.

**მესა** – გერმანიაში ყოველწლიური ბაზრობის (იარმარკა) სახელწოდება.

**მესამე მსოფლიო** – აზიის აფრიკის, ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნები, რომელთა საერთო ნიშნებია ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დაბალი დონე, მოსახლეობის ზრდის სწრაფი ტემპი, განვითარებულ სახელმწიფოებზე ტექნოლოგიური და ფინასური დამოკიდებულების მაღალი დონე.

**მეტეოროლოგიური მომსახურება** – მოიცავს მოწყობილობებსა და სამსახურებს, რომელიც ავიაციას უზრუნველყოფს მეტეოროლოგიური პროგნოზებით, გაფრენამდე ინსტრუქტაჟის ჩატარებითა და ასევე სახიფათო მოვლენებზე (Sigmet) შეტყობინებებით.

**მეტრაჟი** (metric area) (ფრანგ. metrage) – 1. რაიმეს სიგრძე, გამოხატული მეტრებში; 2. რაიმეს ფართობი, გამოხატული მეტრებში.

**მეტრული ტონა** – 1000კმ. ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში, მათ შორის რუსეთშიც.

**მეურნე სუბიექტების** შექმნისას საწარმოო ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების შეძენის წყაროს საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს.

**მეურნეობა** არის გარკვეულ დროსა და სივრცეში სიუხვის შექმნისა ან მოპოვების პროცესის წარმოება მიღებული დოვლათის მოხმარების ან გაცვლა-გადანაწილების მიზნით.

**მექანიზაცია** – ხელით შრომის შეცვლა მანქანებით. სახალხო მეურნეობის დარგში მანქანა-მოწყობილობების დანერგვა.

**მექანიზაცია** – მანქანების გამოყენება ადამიანების ნაცვლად.

**მექანისტური ორგანიზაციისათვის** მთავარი მახასიათებელია რაციონალიზმი. მისი ფუნქციონირების ეფექტიანობა მიიღწევა დროის ეკონომიითა და სამუშაოთა შესრულების მაღალი ხარისხით. ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მეცნიერული მეთოდების გამოყენება, ფუნქციების და უფლებამოსილებათა განაწილება, სპეციალიზაცია და კადრების სწავლება.

**მექანისტური ორგანიზაცია** – ორგანიზაციის ადაპტური ან ორგანული სტრუქტურის საპირისპირო, ტრადიციულ-ბიუროკრატიული.

**მეცნიერება** არის აზროვნების მწყობრი სისტემა, რომელიც ცდილობს მრავალრიცხოვან მოვლენებს შორის მოინახოს შინაგანი კავშირები და კანონზომიერებები. მისი მიზანია ახსნას მოვლენებს შორის ურთიერთქმედების კანონები. ერთმანეთისგან გამოყოს ამა თუ იმ მოვლენის მიზეზი და შედეგი.

**მეცნიერება გადასახადების შესახებ** – განსაზღვრავს მათ ორმაგ ბუნებას: პირველი გადასახადი გვევლინება წარმოებით ურთიერთობათა სპეციფიკურ ფორმად, რაშიც ვლინდება მისი საზოგადოებრივი ბუნება: მეორე, გადასახადი წარმოადგენს ეროვნული შემოსვალის ნაწილს ფულად ფორმაში რაც ახასიათებს მის მატერიალურ ბუნებას.

**მეცნიერებატევადი დარგები** – თანამედროვე დარგები, სადაც სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ხარჯების წილი შეადგენს საერთო ხარჯების 3,5%-ზე მეტს, ხოლო სამეცნიერო პერსონალის რიცხვი, მუშაკთა მთელი რიცხვის სულ ცოტა 2,5%-ს.

**მეცნიერული მართვის სკოლა** – პირველი ფორმალური მიდგომა მართვისადმი. ეფუძნება იმას, რომ ხელით შრომის რეორგანიზაცია, პროფილის შეცვლა, მისი ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შესაძლებელია დაკვირვების, გაზომ-ვების ლოგიკის და ანალიზის მეშვეობით.

**მეწარმე** – 1. საქმიანი ადამიანი, რომელიც ეწევა ბიზნესს პირადი სახსრებისა რისკის საფუძველზე. ბიზნესმენისაგან განსხვავებით მეწარმე თვითონ მართავს საკუთარ ფირმას, ვინაიდან თვითონ არის საკუთარი ბიზნესის (წამოწყების) შემოქმედი, ნოვატორი და ბიზნესგეგმის ავტორი; 2. (entrepreneur) – პირი, სამრეწველო საქმიანობას ეწევა. ეკონომიკურ ანალიზში მეწარმის საქმიანობა განიხილება, როგორც წარმოების დამოუკიდებელი ფაქტორი. მეწარმეებს ენიჭებათ პასუხისმგებლობა ეკონომიკური გადაწყვეტილებისათვის: რა აწარმოონ, რა რაოდენობით, წარმოების რა მეთოდით. ვინაიდან გადაწყვეტილების მიღებისა და წარმოებული საქონლის რეალიზაციას შორის არსებობს გარკვეული დრო, მეწარმე ვალდებულია გააკეთოს მოთხოვნის პროგნოზი. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს იქედან, რომ მეწარმეობას ახლავს რისკი, რომელიც დაკავშირებულია ამ პერიოდში მოთხოვნის რყევებთან. ინდივიდუალურ ფირმებში მეწარმე ერთდროულად იღებს თავის თავზე საწარმოს ფინანსურ რისკს და მტკიცე პასუხისმგებლობას ფირმის მართვის თვალსაზრისით. აქციონერულ კომპანიებში ეს ორი ფუნქცია დაყოფილია აქციონერებსა ე.ი. მესაკუთრეებსა (რომლებიც ეწევიან ფინანსურ რისკს) და დირექტორთა საბჭოს (რომლებიც ფაქტობრივად მართავენ ფირმას) შორის 3. იგი „მგეგმავის“ მსგავსად ორიენტირებულია ორგანიზაციის მომავალი ამოცანების შესრულებაზე. იგი „მგეგმავისაგან“ იმით განსხვავდება, რომ ეძებს საქმიანობის ახალ შესაძლებლობებს.

**მეწარმე** – ადამიანი, რომელიც მიდის რისკზე ახალი რეორგანიზაციის შექმნის, ან ახალი იდეის, პროდუქტის და მომსახურების დანერგვის დროს.

**მეწარმე-ხელმძღვანელი** – ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად ეძებს ახალ შესაძლებლობებს და ნაყოფიერებით იღებს რისკს საკუთარ თავზე, ახორციელებს რა ცვლილებებს და სრულყოფის ღონისძიებებს.

**მეწარმენი** – კომპანიათა მფლობელები და მენეჯერები, რომლებიც არ არიან კომპანიათა მესაკუთრენი, აგრეთვე ბიზნესის ის ორგანიზატორები, რომლებიც ერთ პიროვნებაში ახამებენ მფლობელებსა და მმართველებს.

**მეწარმეობა** – 1. ინოვაციური ბიზნესი. ბიზნესი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მეწარმეობა, ვინაიდან იგი მოიცავს ნებისმიერ ერთჯერად ბიზნესოპერაციებსაც და მეწარმეობასაც. მეწარმეობა ბიზნესისაგან განსხვავებით ნიშნავს ახალი პროდუქციის (მომსახურების) შექმნას და ახალი მომხმარებლის ახალი ბაზრის შექმნას. 2. (entrepreneurship) – შემოსავლის, მოგების მიღებისათვის გამიზნული ფიზიკური ან იურიდიული პირების დამოუკიდებელი, კანონით ნებადართული სამეწარმეო (სამეურნეო) საქმიანობა, რომელიც ხორციელდება საკუთარი ხელით, ფინანსური რისკითა და ქონებრივი პასუხისმგებლობით.

**მზა პროდუქცია** – არის ნაწარმი, რომელმაც მოცემულ საწარმოში გაიარა დამუშავების ყველა სტადია, შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტს და განკუთვნილია სარეალიზაციოდ.

**მზა პროდუქციაში** შეიძლება შევიდეს საქონელი, რომლის რეალიზაცია ხდება გადამუშავების გარეშე ან საწყობში არსებული გაუყიდავი ან მიუწვდომელი პროდუქცია.

**მზა საქონელში იგულისხმება** – მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, საოჯახო მეურნეობაში მოსახმარად ან გამოსაყენებლად განკუთვნილი ყველა სამრეწველო ნაწარმი, მრეწველობაში გამოყენებული ხანმოკლე მოხმარების (ერთ წელზე მეტი) სამრეწველო საქონელია.

**მზადყოფნა ნებისმიერი მოულოდნელობისათვის** – მასში იგულისხმება წინასწარ აკვიატებული მოსაზრებისა და მისი შესაბამისი ქცევის უქონლობა. იგი სწრაფი გარდაქმნისა და სიტუაციის ცვლილებაზე დროული და ადეკვატური რეაგირების საშუალებას იძლევა.

**მზღვეველის ანგარიში** – მზღვეველის მიერ გაცემული დოკუ-მენტია, რომელშიც მითითებულია განხორციელებული დაზღვევის თანხა და ამ თანხის გადახდის მოთხოვნა.

**მთავარი გზაჯვარედინი –** საბანკო მის მენეჯმენტის ევოლუ-ციის ის მომენტი. გამოიყენება როდესაც ხდება ბანკის პრობლემური მდგომარეობის შეცნობა და გადაწყვეტი-ლების მიღება.

**მთლიანი ამონაგები –** პროდუქციის, მომსახურების, მატერია-ლურ ფასეულობების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი შემოსავლების მთლიანი თანხა.

**მთლიანი აქტივები –** უდრის №№ 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 23, 24, 25, 27, 29 კლასის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხების ჯამს გამოკლებული №№41,49 კლასის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხები.

**მთლიანი გამოშვება** (gross output) – დროის გარკვეულ პერიოდში ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსა-ხურების ერთობლიობა საბაზო ფასში.

**მთლიანი და დამატებითი ღირებულება** (gross vafuc added) – სხვაობა მთლიან გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის.

**მთლიანი დანაზოგი** (gross savings) – მთლიანი განკარგვადი შემოსავლის ნაწილი. მიიღება დანაზოგისაგან ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამოკლებით

**მთლიანი დანახარჯები –** (ინგლ. Total costs (TC) 1. ეწოდება მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამს. 2. ფირმის მიერ პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ერთობლიობა, გამოხატული ფულადი ფორმით. ფირმამ თავისი შესაძლებლობები ბაზრის მოთხოვნას უნდა შეუფარდოს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს წარმოების დანახარჯების შემცირებას. ამიტომ მან უნდა განსაზღვროს: რა უნდა აწარმოოს, რამდენად კონკურენ-ტუნარიანი იქნება მისი პროდუქცია, რა ფასად შეიძენს წარმოებრივ რესურსებს, რა დაუჯდება კვალიფიციური სამუშაო ძალის დაქირავება და ა.შ. მინიმალური დანახარ-

ჯებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა ფირმის საქმიანობის ლაიტმოტივია, რომელშიც ერთ-ერთი განმსაზღვრელი როლი მთლიან დანახარჯებს ეკუთვნის.

**მთლიანი ეროვნული დანაზოგი** (gross oational savings) – განკარგულებაში დარჩენილი მთლიანი ეროვნული შემოსავლის ნაწილი, რომელიც არ შედის საბოლოო მოხმარებაში.

**მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ)** gtoss national product – GNP – მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების საბოლოო პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი) და წარმოადგენს საბაზრო ფასებით პირველადი შემოსავლების (შრომის ანაზღაურება, მოგება, წარმოებაზე გადასახადები, საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები – სარგებელი, დივიდენდი, რენტა და ა.შ.) ჯამს, მიღებულს მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ მათი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობით თავისი ქვეყნის მშპ-ისა და სხვა ქვეყნების წარმოებაში. ამრიგად, მშპ როგორც წესი, მეტია მშპ-ზე იმ პირველადი შემოსავლების ჯამით, რომელიც მიღებულია მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ. ამასთან, იგი არ მოიცავს არარეზიდენტების შემოსავლებს მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე.

**მეპ** – უდრის საბაზრო ფასებში მშპ-ს პლუს შრომის ანაზღაურების ჯამი, საკუთრებიდან შემოსავლები, სამეწარმეო შემოსავალი მიღებული „დანარჩენი მსოფლიოდან“, მინუს მათი შესაბამისი ნაკადები გადახდილი „დანარჩენი მსოფლიოსათვის“.

**მეპ-ს** 1968 წლამდე მთლიანი ეროვნული შემოსავალი ეწოდებოდა. რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით მეპ-სა და მშპ-ს შორის განსხვავება დიდი არ არის. როგორც წესი, განვითარებული ქვეყნებისათვის იგი 1%-ს არ აღემატება. მშპ შეიძლება გაიზომოს ეროვნული წარმოებით, შემოსავლებითა და საბოლოო მოხმარებით.

მეპ-ის გაზომვის სამივე მეთოდი ერთსა და იმავე რაოდენობრივ შედეგს იძლევა.

**მეპ**-ის გამოუცხადებელი დეფლატორის ფასების ინდექსი (GNP) impficit price deflator) – მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს მიმდინარე ფასებში მეპ-ის შეფარდებას შესადარ ფასებში მეპ-თან, ანუ თანაფარდობას ნომინალურ და რეალურ მეპ-ებს შორის.

**მეპ**-ის ინდექსი – დეფლატორები (GNP deflators) - ინდექსთა ჯგუფი, რომელსაც იყენებენ მეპ-ის მაჩვენებელთა აგებისათვის შესადარ ფასებში. მასში შედის: ფასების აგრეგატული ინდექსი, მეპ-ის გამოუცხადებელი დეფლატორის ფასების ინდექსი, ფასების ჯაჭვური ინდექსი, აგრეთვე, სპეციალურად აგებული ინდექსები.

**მთლიანი ეროვნული პროდუქტი** გამოხატავს ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების საბოლოო შედეგებს დროის გარკვეულ პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი). იგი წლის განმავლობაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი საბაზრო ღირებულების ჯამია.

**მთლიანი ვალდებულებები** უდრის №№ 33, 34, 35, 36, 37, 38, 40, 43, 44, 45, 47 კლასის საბალანსო ანგარიშზე რიცხული თანხების ჯამს.

**მთლიანი ინვესტიცია** (gross investment) – ეკონომიკაში ინვესტიციების მთლიანი მოცულობა დროის გარკვეულ მონაკვეთში. იგი შედგება წმინდა ინვესტიციებისა და იმ ინვესტიციებისაგან, რომლების გამოყენება მწყობრიდან გამოსული ძირითადი კაპიტალის შესაცვლელად.

**მთლიანი კაპიტალი** 1. არის პირველადი და მეორადი კაპიტალის ჯამი დაქვითების გამოკლებით. 2. განაღდებული საწესდებო კაპიტალის, დამატებითი ფულადი შენატანების, შემოწირულობების, საერთო რეზერვის, გასული წლის გაუნაწილებელი მოგებისა და სამეურნეო წილის მოგების ერთობლიობა.

**მთლიანი მოგება** (gross profit) – საწარმოს მოგების მთლიანი თანხა დაქვითვასა და გადარიცხვამდე. იგი დამატებული

ღირებულების ის ნაწილია, რომელიც რჩება მეწარმეების დაქირავებული მუშაკების შრომის ანაზღაურების, წარმოებასა და იმპორტზე წმინდა გადასახადებთან დაკავშირებული ხარჯების გამოქვითვის შემდეგ. მთლიანი მოგება წმინდა მოგებისა და ძირითადი კაპიტალის მოხმარების ჯამია.

**მთლიანი საექსპლუატაციო შემოსავალი** – ახასიათებს ავიასაწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგს და წარმოადგენს სხვაობას საერთო ამონაგებს, პროდუქციისა და მომსახურების წარმოებასა და მათ რეალიზაციაზე გაწეულ ყველა დანახარჯებს შორის.

**მთლიანი შემოსავალი** (gross income) – ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც მოგებასთან ერთად გამოხატავს საწარმოს წარმოებრივი და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებს. განისაზღვრება, როგორც სხვაობა საქონლის გაყიდვიდან მიღებულ ფულად ამონაგებსა და ამ საქონლის წარმოებაზე გაწეულ მატერიალურ დანახარჯებს შორის.

**მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ)** (gross domestic product – GDP) – მაკროეკონომიკური ინდიკატორი, შიგა ეკონომიკის ფუნქციონირების ყველაზე განზოგადებული მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს განსაზღვრული დროის განმავლობაში, როგორც წესი, ერთი წლის განმავლობაში მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლივ საბაზო ღირებულებას. მშპ ამოსავალი მაკროეკონომიკურ მაჩვენებლად ითვლება გაეროს ეროვნული ანგარიშების სისტემაში. მასზე ორიენტირებულია ახალი ეროვნული ანგარიშების სისტემა (1993).

**მთლიანი შიგა პროდუქტი დეფლატორი** (gross domestic product defldor) – თანაფარდობა მშპ-ის ნომინალურ ზრდასა და რეალურ ზრდას შორის. გარკვეული დროის განმავლო-

ბაში წარმოებული საბოლოო პროდუქტის (საქონლისა და მომსახურების) ფასების ცვლილებების საზომი.

**მთლიანი შიდა პროდუქტი** არის მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი საბაზრო ღირებულება, მიღებული მხოლოდ მოცემული ქვეყნის წარმოების ფაქტორების გამოყენებით.

**მთლიანი ხარჯები** არის მუდმივი და ცვალებადი ხარჯების ჯამი.

**მიდრეკილება დანაზოგისადმი** (propensity to the savings) - შემოსავლის გადიდების კვალობაზე დანაზოგის წილის გადიდება. იხ. უნივერსალური ფსიქოლოგიური კანონი ეკონომიკაში.

**მიდრეკილება იმპორტირებისადმი** (propensity to import) – იმპორტზე გაწეული ხარჯების წილის ზრდა შემოსავალში.

**მიდრეკილება ინვესტირებისადმი** (propensity to invest) – ეროვნული შემოსავლის ის წილი, რომელიც ხმარდება კაპიტალდაბანდებებს.

**მიდრეკილება მომხმარებისადმი** (propensity to consume) – სამომხმარებლო ხარჯების წილის ზრდა შემოსავალში.

**მიზანთა პრიორიტეტები** (ესეც გათვალისწინებულია სახელწოდებაში, იგი შეიძლება იყოს მრავალგვარი: საიმედობა, სტაბილურობა, ზრდა, შემოსავლიანობა, ზრუნვა - პერსონალის ყურადღება, კვალიფიკაცია და ა.შ. ).

**მიზეზი** ეწოდება იმ ფაქტორს ან გარემოებას, რომელიც ამა თუ იმ მოვლენას იწვევს.

**მიზეზობრივ-შედეგობრივი მოდელირება** – განსახილველ და სხვა ფაქტორებს შორის დამოკიდებულების სტატისტიკური ანალიზის შედეგების საფუძველზე მომავლის საცდელი პროგნოზირების ხერხი.

**მიზნები** – მას შემდეგ რაც მენეჯერი ჩამოაყალიბებს პრობლემებს, მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გეგმის მიზნების

შესახებ. აუცილებელია ფინანსური და მარკეტინგული მიზნების განსაზღვრა.

**მიზნები** – კონკრეტული საბოლოო მდგომარეობა ან შედეგები, რომელთა მიღწევა სურს ჯგუფს ერთად მუშაობით. ფორმალური ორგანიზაციები მიზნებს განსაზღვრავენ დაგეგმვის პროცესის მეშვეობით.

**მიზნების დაზუსტება –** მიზნის, ფორმის, ტერმინების, მატარებლებისა და ცალკეული მიზნების შეზღუდვების ყველაზე ზუსტი განსაზღვრა.

**მიზნებისა და საშუალებების თანაფარდობა** – ხელმძღვანელობის მოდელი, რომლის თანახმად მმართველებმა უნდა განახორციელონ ხელმძღვანელობის ის ტიპი, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება მოცემულ სიტუაციას.

**მიზნების სტრუქტურიზებულობა** – ყველა მოძიებული მიზნის იერარქიული მოწესრიგება; მიზნების რეალიზებადობის შემოწმება.

**მიზნების შერჩევა** – (მიზნებზე გადაწყვეტილებების მიღებასთან ერთად) გაგებული უნდა იქნას მოქმედებები, რომელთაც მივყავართ იმ მიზნების სისტემის გადაწყვეტილებათა განხორციელებასთან, რომელიც უნდა შესრულდეს.

**მიზნების ძიება** – ღონისძიებები, რომლის დროსაც წარმოებს მაღალი დარგის საწყისი მიზნების დადგენა.

**მიზნის მასშტაბი** (იწოდება აგრეთვე მიზნის კრიტერიუმად, ანდა მიზნობრივ მიწერილობად) – განსაზღვრავს მიზნის შინაარსის სასურველ მასშტაბს. ოპტიმიზაცია – მაგალითად, მოგების მაქსიმიზაცია, საერთო დანახარჯების მინიმიზაცია; ფიქსირება – მაგალითად, ბრუნვის გადიდება 10%-ით და შეზღვუდების დადგენა (მაგალითად, ხარჯმა არ შეიძლება გადააჭარბოს დადგენილ თანხას); შეზღუდვების დადგენა ნიშნავს მიზნის მიღწევის განსაზღვრული დონის დაკმაყოფილებას.

**მიზნის შინაარსი** წარმოადგენს სიდიდეს, რომელზეც უნდა იმოქმედოს ალტერნატივის შერჩევამ. ის შეიძლება

განისაზღვროს: ცალკეული მახასიათებლებით (მაგალითად, მოგება, ბრუნვა, საერთო დანახარჯები); მახასიათებლების ცვლილებებით (მაგალითად, ბრუნვის გადიდება); ორი მახასიათებლის დამოკიდებულებით (მაგალითად, რენტაბელობა და მომგებიანობა).

**მიზნობრივი (საორიენტაციო) ფასი** (guide price) – გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნებში ამა თუ იმ პროდუქციაზე გადასახადის სიდიდის განსაზღვრისათვის ერთიანი სასოფლო სამეურნეო პოლიტიკის გატარების მიზნით.

**მიზნობრივი დანიშნულების** მიხედვით განასხვავებენ: სოციალურ და ეკონომიკურ ბიუჯეტგარეშე ფონდებს მართვის დონის მიხედვით კი - სახელმწიფოებრივ და რეგიონალურებს.

**მიზნობრივი კომიტეტი** – დროებითი ჯგუფი, შექმნილი გარკვეული მიზნის მისაღწევად.

**მიზნობრივი მართვა** – პროცესი, რომელიც შედგება ოთხი დამოუკიდებელი ეტაპისაგან: 1. მიზნების მოკლე და მკაფიო ჩამოყალიბება; 2. მიზნების მიღწევის რეალისტური გეგმების შემუშავება; 3. მუშაობის ხარისხის და შედეგების სისტემატური გაზომვა და კონტროლი; 4. კორექტივების შეტანა დაგეგმილი შედეგების მისაღწევად.

**მიზნობრივი მარკეტინგი** – მყიდველთა ფართო წრისათვის საქონლის შეთავაზებიდან (მიწოდებიდან) ხდება გადასვლა შერჩეული მიზნობრივი ბაზრების მომსახურებაზე. მიზნობრივი მარკეტინგი ეფექტიანად ხორციელდება სპეციალიზებული ტელეარხების, ჟურნალების და ინტერნეტის სიახლეების გამოყენებით.

**მიზნობრივი მომხმარებელთა არჩევა** – დროის განაწილება, აქტიურ და პოტენციურ მომხმარებლებთან ურთიერთმოქმედებისაკენ.

**მიზნობრივი მყიდველების (მომხმარებლების) არჩევა:** არსებულ და პოტენციურ მყიდველებთან ურთიერთმოქმედების დროის განაწილება.

**მიზნობრივი სეგმენტები** შეიძლება იყვნენ როგორც ერთნაირი, ასევე სავსებით განსხვავებულები, მაგრამ თითოეული მათგანი კომპანიას აძლევს დიდი შემოსავლის გარანტიას.

**მიზნობრივია აუდიტორიის უპირატესობა.** მაგალითად რადიო და ტელევიზია ყველაზე ეფექტიანი საშუალებებია მოზარდთა აუდიტორიის მოცვისათვის.

**მიკრო-ბიზნესი** – საქართველოს კანონმდებლობით მიკრო-ბიზნესის სტატუსი ენიჭება ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას, დამოუკიდებლად საქმიანობს და ამ საქმიანობიდან მის მიერ მისაღები მთლიანი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღმატება 3000 ლარს.

**მიკროდაგეგმვის პრობლემა** კი ნიშნავს სარეკლამო ხარჯების ზემოქმედების მაქსიმიზაციის აუცილებლობას მოკლევადიან პერიოდში. ამ შემთხვევაში ერთ თვეში რეკლამის განთავსების პერიოდი შეიძლება იყოს კონცენტრირებული („მსკვდომი“ რეკლამა), განაწილებული განუწყვეტლივ ან წყვეტილი მთელი თვის განმავლობაში.

**მიკროეკონომიკა –** (ბერძ. Mikros - პატარა), ეროვნული მეურნეობის ნაწილის ეკონომიკა. სამოქალაქო ავიაციის ეკონომიკა მიეკუთვნება მიკროეკონომიკას.

**მიკროეკონომიკა (mikroeconomics) (ბერძ. mikros პატარა)** – 1. ეროვნული მეურნეობის (სექტორის, დარგის, საწარმოს) ეკონომიკა; 2. ეკონომიკური თეორიის განყოფილება, რომელიც შეისწავლის ცალკეული სამეურნეო ერთეულების – შინამეურნეობის (ჰაუსჰოლდის ბლოკის), ბიზნესის ბლოკის, სამთავრობო დაწესებულებების საქმიანობას.

**მიკროეკონომიკის საფუძველია** კერძო მეწარმობა, რომლის ძირითადი ობიექტებია ფირმები. თვითონ ფირმა წარმოადგენს მარკეტინგულ და საწარმოო ფუნქციონირების ერთობლივ სისტემას, ფირმის განუყოფელი ერთეულია სამუშაო ადგილები, ოპერაციები და პროცედურები, მათი რეაგირება ხორციელდება საწარმოო სისტემის ორგანიზა-

ციითა და მართვით. ფირმის ორგანიზაცია და მართვა თავი გამოკვლევებში იყენებს ეკონომეტრიკის მეთოდოლოგიას. ეკონომეტრიკა ბერძნული წარმოშობის ტერმინია და ნიშნავს ეკონომიკურ მახასიათებელთა გაზომვას.

**მიკროეკონომიკისაგან** განსხვავებით მაკროეკონომიკა ყალიბდება საერთო ეკონომიკური მახასიათებლებით, რომელთა მაჩვენებელია ქვეყანაში მწარმოებლურობის ზრდის ტემპები, საზოგადოებრივი პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი, ინფლაცია, უმუშევრობა, იგი ამასთანავე მოიცავს საფინანსო, საკრედიტო, საგადასახადო და საბაჟო მექანიზმებს.

**მიკროეკონომიკური ანალიზი** – შეისწავლის ცალკეული საწარმოების (კომპანიების) საწარმოთა გაერთიანებების და ეკონომიკის ცალკეული დარგის (სექტორის) ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს.

**მიკროლოგისტიკა** – ლოკალური საკითხების გადაწყვეტა ლოგისტიკური სისტემის ცალკეული ელემენტის ფარგლებში.

**მიკროლოგისტიკური სისტემა** – 1. ფუნქციონირებს ჯაჭვის ცალკეული რგოლების ჩარჩოში, მაგ. საწარმოს საზღვრებში. ამ შემთხვევაში საწარმოს შიგნით წყდება მასალათა გადაადგილების დაგეგმვის, მომზადების, რეალიზაციის და კონტროლის საკითხები. 2. წარმოადგენს შიდასაწარმოო ლოგისტიკური სისტემის კლასს.

**მიკროპროცესორული ბარათი** წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო ან საგადამხდელო ბარათის ზომის ბარათს, რომელშიც ჩადგმულია ე.წ. მიკრო ჩიპები-მიკროპროცესორები. იგი წარმოადგენს ჩეკების ელექტრო წიგნაკს, რომლის მეშვეობითაც წარმოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია ტერმინალის ეკრანზე გამოიტანება.

**მილსადენი ტრანსპორტი** – დაბალი თვითღირებულება: მაღალი გამტარუნარიანობა; ტვირთის შენახვის მაღალი შესაძლებლობა; დაბალი კაპიტალტევადობა.

**მიმდინარე ანგარიში** იმ არაკომერციული პირების, წარმომადგენლობების და სტრუქტურული ქვედანაყოფების დაფინანსებისთვის გამოყენებული ანგარიში, რომლებიც სამეწამეო საქმიანობას ეწევიან. მიმდინარე ანგარიში განკუთვნილია მისი მფლობელის მიზნობრივი დაფინანსებისთვის, ფულის შესანახად, აგრეთვე საანგარიშსწორებო ოპერაციებისთვის.

**მიმდინარე აქტივები** 1.არის დაფარვის ერთ თვემდე ვადის მქონე აქტივები; 2. მიმდინარე აქტივები შეიძლება უფრო კონვერტირდეს ნაღდ ფულად ერთი წლის განმავლობაში. ასეთი აქტივები ლიკვიდურად ითვლება. აქტივების ჩამონათვალიდან მიმდინარე აქტივებად ითვლება ნაღდი ფული, დებიტორული ანგარიშები, ინვენტარი და წინასწარ გადახდილი ხარჯები. ლიკვიდური აქტივების ქონა კარგია, როდესაც ბიზნესი გასაჭირშია და ამ დროს გჭირდებათ თანხა ხელფასის ან მომწოდებლებისთვის გადასახდელად.

**მიმდინარე დღეები** – მიმდევრობით კალენდარული დღეები 24 საათის ხანგრძლივობით, კვირა და სადღესასწაულო დღეების ჩათვლით.

**მიმდინარე ვალდებულებები** არის ბანკის მთლიანი და გარე საბალანსო ვალდებულებებიდან ერთ თვემდე ვადაში გადასახდელი/შესასრულებელი და შესაძლო შესასრულებელ ყველა ვალდებულებათა თანხობრივ მოცულობათა ჯამი, რომელშიც არ გაითვალისწინება ბანკის მიერ გაცემული გარანტიებისა და გასანაღდებელი აკრედიტების ნაწილი მათ უზრუნველსაყოფად ამავე ბანკში დაჯავშნული ფულადი სახსრების ოდენობით და უცხოური ყიდვა-გაყიდვისათვის ნაკისრი ვალდებულებები.

**მიმდინარე კონტროლი** – იგი სამუშაოთა მსვლელობის პროცესში ხორციელდება. მიმდინარე კონტროლის ობიექტია ხელქვეთი თანამშრომლები. მას თავიანთი კომპენდენციის ფარგლებში ახორციელებენ ამ თანამშრომელთა უშუალო უფროსები. ისინი გულდასმით ამოწმებენ ხელქვეითების

საქმიანობას, არკვევენ სრულდება თუ არა დასახული გეგმები ან მოქმედი ინსტრუქციები. საჭიროების შემთხვევაში მიღებულ იქნება შესაბამისი ზომები.

**მიმდინარე კონტროლი** – კონტროლის პროცედურის ეტაპი, რომელიც ხორციელდება უშუალოდ სამუშაოთა შესრულების დროს.

**მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი** (currentio) – 1. არის საბრუნავი სახსრებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების თანაფარდობა. ბიზნესის უმეტესი სახეობებისათვის კარგ მაჩვენებლად ისეთი კოეფიციენტი ითვლება, როდესაც საბრუნავი სახსრები თუნდაც ორჯერ აჭარბებს მოკლევადიან ვალდებულებებს; 2. გვიჩვენებს, თუ რამდენად დაბალანსებულია ბანკის აქტივები და პასივები უახლესი თვისთვის, რამდენად სწორად დაიგეგმა წყაროებისა და დაბანდების სტრუქტურა მოკლევადიანი პერპექტივებისათვის, რამდენად ზუსტად ახდენენ ბანკის მუშაკები მიმდინარე გადასახდელებისა და შემოსულობათა პროგნოზირებას, აქტივებში განუთავსებელი რჩება შემოსავლის მომტანი თავისუფალი სახსრები, თუ პირიქით, ჭარბადაა განთავსებული ლიკვიდობის საზიანოდ.

**მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებელს** – ანგარიშობენ ლიკვიდური ჯამის შეფარდებით მოთხოვნამდე ანგარიშებით და 30 დღემდე ვადის მქონე ანგარიშებით წარმოქმნილ ვალდებულებებთან. იგი დროის უფრო მეტ შუალედს მოიცავს (30 დღემდე); იგი ლიკვიდობის, როგორც ნაკადის, შეფასების მცდელობას წარმოადგენს.

**მიმდინარე ლიკვიდობის ნორმატივი** – 1. წარმოადგენს საკრედიტო ორგანიზაციის ლიკვიდური აქტივების თანხის შეფარდებას მის მოთხოვნამდე ვალდებულებებისა და 30 დღემდე ვადის მქონე ანგარიშების ჯამურ თანხასთან. მისი მინიმალურად დასაშვები ნორმატივის მნიშვნელობაა 70%; 2. **მიმდინარე ლიკვიდობის ნორმატივი H3** განისაზღვრება ბანკის ლიკვიდური აქტივების ჯამის შეფადებით მოთხოვნამდე და 30 დღემდე ვადის მქონე

ანგარიშებზე ბანკის ვალდებულებათა ჯამთან. ეს ნორმატივი ახასიათებს ბანკის ლიკვიდობას მოკლევადიან პერიოდში.

**მიმდინარე მარაგები** – 1. არის საწარმოო და სასაქონლო მარაგების ძირითადი ნაწილი. მარაგების ეს კატეგორია, მიწოდების რიგითობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს საწარმოო ან სავაჭრო პროცესების უწყვეტობას. მიმდინარე მარაგების სიდიდე პროცესებიდან გამომდინარე მუდმივად ითვლება. 2. ნედლეულის, მასალების და სათბობის მარაგი, რომლებიც შექმნილია საწარმოებში წარმოების ყოველდღიური მოთხოვნილების უზრუნველყოფისათვის. იქმნება იმის შედეგად, რომ შრომის საგნები, ჩვეულებრივ, შემოიზიდება საწარმოში ისეთი რაოდენობით, რომელშიც ჭარბობენ მათზე დღეღამურ მომხმარებას და იხარჯება არა მაშინვე, არამედ თანდათანობით.

**მიმდინარე ნორმატივი** არის ნორმატივი, რომელიც მოკლე პერიოდის განმავლობაში გამოიყენება და რომელიც დაკავშირებულია ამჟამად არსებულ მდგომარეობასთან.

**მიმდინარე საბანკო კონტროლი** ყოველდღე ხორციელდება საბანკო ოპერაციების ჩატარების პროცესში სააღრიცხვო-საოპერაციო აპარატის მუშაობის ორგანიზაციის ყველა უბანზე.

**მიმდინარე საქმიანობა** – არის საწარმოს საქმიანობა, რომელსაც მისთვის ძირითადი შემოსავლები მოაქვს, ხოლო სხვა სახეობის საქმიანობაც, რომელიც საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის.

**მიმდინარე სიტუაცია ბაზარზე** – ამ განყოფილებაში წარმოდგენილი უნდა იყოს გაყიდვების მოცულობის, ფასების, მოგების, კონკურენტების, საქონელმოძრაობის (გავრცელების) არხების შესახებ მიმდინარე მონაცემები (ინფორმაცია). ინფორმაცია ემყარება რეალურ მონაცემებს, რომლებსაც წარმოადგენს მარკეტინგის მენეჯერი.

**მიმდინარე ფულადი** – ვალდებულებები იფარება ერთი წლის განმავლობაში. ფულადი ვალდებულებების ჩამონათვალ-

ში მიმდინარე ფულად ვალდებულებებად ითვლება: კრედიტორული დავალიანება, დებიტორული დავალიანება და დარიცხული ხარჯები.

**მიმოქცევაში არსებული ფული (money in cucufation)** – სახელმწიფოს მიერ მიმოქცევაში გაშვებული ქაღალდისა და ლითონის უპროცენტო ფულის ნიშნები.

**მიმოქცევის არხებში საქონელმოძრაობის ანუ გასაღების პოლიტიკა** – გულისხმობს გასაღების ქსელის საქონლის გასაღების ამოცანებთან შესაბამისობას.

**მიმღების ვალდებულება** – 1. მიიღოს ტვირთი წარმოადგენს უპირობოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი ხარისხი გაფუჭების ანდა დაზიანების გამო შეიცვალა იმდენად, რაც გამორიცხავს მისი სრული ანდა ნაწილობრივი გამოყენების შესაძლებლობას. მიმღების მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ეს მოვალეობა გადადის გამგზავნზე. 2. ტვირთის მიღება, მისი გადმოტვირთვის უზრუნველყოფა და გადაზიდვის გადასახდელებზე დამატება (საჭიროების შემთხვევაში).

**მიმწოდებელი** – გამყიდველი, რომელიც ვალდებულებას იღებს გადასცეს განსაზღვრულ ვადაში (ვადებში) მის მიერ წარმოებული ანდა შესყიდული პროდუქცია სამეწარმეო საქმიანობაში გამოსაყენებლად ანდა სხვა მიზნებისათვის.

**მიმწოდებლები** – ორგანიზაციას უზრუნველყოფენ მასალებით, ენერგიით, სამუშაო ძალით და ა.შ. შესაძლებელია სხვა ქვეყნიდან მიღებული რესურსები უფრო იაფი, მაღალი ხარისხის იყოს, მაგრამ ამასთან ერთად, ამგვარი კავშირი საშიშიცაა, რადგან ამ დროს გაძლიერებულია გარემოს მოძრაობის ფაქტორები (მაგალითად, პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკის დაცემა და ა.შ.)

**მიმწოდებლები** – უპირველეს ყოვლისა, ზრუნავენ ფირმებთან ხანგრძლივ, საიმედო და მომგებიან კავშირებზე.

**მინერალური ნედლეული და სათბობი (სასარგებლო წიაღისეული)** – ორგანული და არაორგანული წარმოშობის

დედამიწის ქერქის ბუნებრივი მინერალური წარმონაქმნები, რომელთა ეფექტიანი გამოყენება შეიძლება მატერიალური წარმოების სფეროში.

**მინერალური რესურსები** – ხმელეთის ან აკვატორიის (სახელმწიფოს, კონტინენტის ან მთელი მსოფლიოს) წიაღში დაბუდებული გამოყენებული სასარგებლო წიაღისეული (მადნეულის ან არამადნეულის) მარაგები.

**მინიმალური რეზერვები** – ბანკის ფულად საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია, ეს არის ცენტრალურ ბანკში კომერციული ბანკების ანაბრების სავალდებულო ნორმა, რომელიც დგინდება კანონმდებლობით საკრედიტო ორგანიზაციების შესაძლებლობების შეზღუდვისა და განსაზღვრულ დონეზე მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის ოდენობის შესანარჩუნებლად.

**მინიმალური რეზერვები** – ესაა ცენტრალურ ბანკში კომერციული ბანკების ანაბრების სავალდებულო ნორმა, რომელიც დგინდება კანონმდებლობით საკრედიტო ორგანიზაციების საკრედიტო შესაძლებლობების შეზღუდვისა და განსაზღვრულ დონეზე მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის ოდენობის შესანარჩუნებლად.

**მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი** – ამ დებულების მიხედვით დადგენილი და გაანგარიშებული საზედამხედველო კაპიტალი, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს ეროვნული ბანკი.

**მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი** (minimum consumers budget) – ძირითადი ფიზიოლოგიური და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი კვების პროდუქტების, არასასურსათო საქონლის, მომსახურების შეჯამებული ღირებულება ერთ სულზე გაანგარიშებით წელიწადში (ან თვეში). გამოითვლება სამომხმარებლო კალათის საფუძველზე და საცალი ფასებისა და ტარიფების დონის გათვალისწინებით. როგორც წესი, მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი

წელიწადში ერთხელ უნდა გადაისინჯოს, სამომხმარებლო ფასების ინდექსის გათვალისწინებით, ხოლო სტრუქტურისა ღირებულების შესახებ მონაცემები-რეგულარულად უნდა ქვეყნდებოდეს. მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ადამიანის ნორმალური ცხოვრების ქვედა ზღვარი, ანუ შეფარდებითი (და არა აბსოლუტური) სიღატაკის დონე.

**მინიმალური ხელფასი** (quaranteed (minimum) wage) – კანონით დადგენილი ყველაზე დაბალი შრომის ანაზღაურება.

**მისაწვდომობა** – 1. ნაკლები ფასი აქვს ისეთ სეგმენტს, რომლის ყურადების მიქცევაც ბანკს არ შეუძლია თავისი გასაღებითა და კომუნიკაციებით; 2. სეგმენტის ეფექტიანად მოცვისა და მომსახურების შესაძლებლობა პრინციპში არსებობს.

**მისია** – ორგანიზაციის არსებობის ძირითადი საერთო მიზანი ან ამოცანა.

**მისიონერი** – ვაჭრობის მუშაკი, რომლის ძირითადი ამოცანაა კარგი ურთიერთობათა დამყარება რეალურ და პოტენციურ გამომყენებლებთან ან მათი სწავლება (მაგალითად მედიკოსი-კონსულტატი ფარმაცევტი კომპანიიდან).

**მისიონერული ორგანიზაცია** – მისი საქმიანობის საფუძველია იდეოლოგია და ორგანიზაციის წევრებს შორის ნდობის მაღალი დონე. ასეთ ორგანიზაციებში არსებობს მომუშავეთა ვიწრო სპეციალიზაცია, მოვალეობათა დიფერენციაცია და სტანდარტიზაციის შედარებით მაღალი დონე. ასეთებია შედარებით პატარა ორგანიზაციები და დამოუკიდებელი კავშირები, რომელთა წევრები ერთ იდეოლოგიაზე დგანან.

**მისმენეჯმენტი** – 1. ე.წ. ცუდი მენეჯმენტის აღსანიშნავად გამოიყენება, ეს არის მენეჯმენტის სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც უნებლიე შეცდომები, ასევე ბანკის პერსონალის წინასწარ განსაზღვრული მოქმედებები, საჭირო კონტროლის არარსებობა, ზედამხედველობის არა ადექვატური უფლებამოსილებანი და სხვა; 2. **მის-**

**მენეჯმენტს** ბანკის კრიზისის ეტაპობრივი გაღრმავების მახასიათებელს 4 ჯგუფად (კატეგორიად) ყოფენ: ტექნიკური მენეჯმენტი, კოსმეტიკური მენეჯმენტი, ავანტურული მენეჯმენტი, თაღლითობა.

**მისწრაფება გაუგო სხვებს, მათ წადილსა და საქციელს.** ყოველივე ეს, ერთი მხრივ, ადამიანს ეხმარება, შეურიგდეს მოწინააღმდეგე მხარეს, ხოლო მეორე მხრივ – სწორად განსაზღვროს თავისი ქცევა.

**მიუტიუელიზმი** – სესხება. ამ სიტყვიდან მიიღო სახელწოდება პრუდონის მიერ წამოყენებულმა მოძღვრებამ. პრუდონის აზრით, შესაძლებელია შეიქმნას ისეთი უკანდაუბრუნებელი კრედიტის სისტემა, რომლის საფუძველზე უნდა განხორციელდეს ყველა სახის მომსახურეთა გაცვლა მის მონაწილეთა შორის. ამ გზით პრუდონი შეეცადა დაესაბუთებინა საზოგადოების მშვიდობიანი გზით გარდაქმნის იდეა.

**მიღება** – ეცადეთ მიიღოთ მეორე მხარე და იყოთ განწყობილი იმისათვის, რათა გაიგოთ რაიმე ახალი პარტნიორის შესახებ.

**მიღწევადი ნორმატივი** – ეწოდება ნორმატივს, რომელიც საქმიანობის ეფექტურ პირობებში წარმოიშობა. მაგალითად, დანადგარები და მასალები გამოყენებული იქნება მაღალი გამოსავლიანობით, გათვალისწინებული იქნება ნორმალური დანაკარგი და მანქანების მწყობრიდან მოსალოდნელი გამოსვლა.

**მიღწევები** – წარმატებებს აღწევენ, აკეთებენ კარიერას, მათთვის მთავარია მუშაობა. არჩევენ პრესტიჟურ საქონელს, რომელიც ამცნობს კოლეგებს მისი მფლობელობის მიღწეული წარმატებების შესახებ.

**მიწა** (land) – ეს ტერმინი გამოიყენება ეკონომიკაში არა მხოლოდ დედამიწის ზედაპირის იმ ნაწილის აღსანიშნავად, რომელიც არ არის დაფარული წყლით, არამედ როგორც ბუნებრივი რესურსი, რომლის გამოყენება შესაძლებელია

წარმოებაში. ამიტომ მიწა, ჩვეულებრივ, განისაზღვრება, როგორც წარმოების ფაქტორი.

**მიწის გადასახადი** (land tax) – გადასახადი, რომელიც ამოიღება ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ მიწის ფართობზე.

**მიწის რენტა** (land rent) – მიწის მესაკუთრის შემოსავალი, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება მის წარმოებას და მას იგი მიწის გამოყენების უფლების გაცემისათვის იღებს. მიწის რენტა მიწის, როგორც ბუნებრივი რესურსის, გამოყენებისაგან მიღებული მოგების ნაწილია.

**მიწის რენტა** არის შემოსავლის სახე, რომელიც არ მოითხოვს მისი მიმღების სამეწარმეო საქმიანობას და გულისხმობს ამ მიწაზე წარმოებული წმინდა შემოსავლის ნაწილის მიწის მესაკუთრისათვის გადაცემას.

**მიწისა და ნიადაგის რესურსები** – დედამიწის ზედაპირი, რომელიც გამოსადეგია ადამიანის ცხოვრების, მშენებლობისა და ნებისმიერი სხვა სახეობის სამეურნეო საქმიანობისათვის. მიწის რესურსები ხასიათდება ტერიტორიის ოდენობით და მისი ხარისხით-რელიეფით, მიწის საფარით.

**მიწოდება** (supply) – 1. ეკონომიკური კატეგორიაა და ბაზრის მნიშვნელოვანი ელემენტი – საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალის ფულისა და ა.შ. ის ერთობლიობა რომელიც ბაზარზეა მოცემულ მომენტში. მოიცავს ორ ელემენტს: 1. ამა თუ იმ საქონლის გასხვისებისათვის მზადყოფნას; 2. პირობებს, რომლითაც მწარმოებელი თანახმაა გაყიდოს თავისი საქონელი. მიწოდების ძირითადი წყაროებია საქონლის წარმოება, მისი იმპორტი, სასაქონლო მარაგი და ა.შ. მიწოდება პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილების მატერიალური საფუძველია; 3. საქონლის ის რაოდენობაა, რომლის გატანა მეწარმეებს შეუძლია მსოფლიო ბაზარზე დროის გარკვეულ მონაკვეთში არსებული მსოფლიო ფასით.

**მიწოდებათა დრო** – დროის პერიოდი, სისტემაში მიწოდების შესახებ შეკვეთის მოსვლასა და მომხმარებლის მიერ მზა პროდუქციის მიღებას შორის.

**მიწოდებათა მაჩვენებლები** – მაჩვენებლები რომელიც ახასიათებს მიწოდებათა მოცულობას, სტრუქტურას, რითმულობას (თანაბრობას).

**მიწოდებათა უტყუარობა** – შეკვეთის წილიდან, შესრულებული დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში მოთხოვნილი დროის მაჩვენებლით შეკვეთების მოცულობაში დროის იმავე პერიოდში განსაზღვრული როგორც ცალკეული ნომენკლატურის ჭრილში, ისე მთლიანად მთელ საწარმოში.

**მიწოდების ბაზისი** – ხელშეკრულების პირობა, რომელიც ითვალისწინებს გამყიდველსა და მყიდველს შორის ვალდებულებათა განაწილებას საქონლის ტრანსპორტირების, სატრანსპორტო  და სხვა საქონელთანმხლები დოკუმენტების გაფორმებას და ხარჯების გადახდას, შემთხვევით დაღუპვაში რისკის გადასვლის მომენტის განსაზღვრას ანდა საქონლის დანაკარგებს გამყიდველიდან (მიმწოდებლიდან) მყიდველზე (მიმღებზე), აგრეთვე მიწოდების თარიღს. საერთაშორისო ვაჭრობაში ჩვეულებების, განმარტებების და კონვენციების შექმნისათვის დაფუძნებული საერთაშორისო წესების გამოყენების უნიფიკაციას აწარმოებს საერთაშორისო წესებისა და განმარტებების უკანასკნელი რედაქცია, რომელიც ატარებს სახელწოდების ,,ინკოტერმს-2000“ და შეიცავს 13 რეკომენდირებულ ბაზისს.

**მიწოდების ეკონომიკური თეორია** (supply-side economics) – დოქტრინა, რომელშიც აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ეროვნული წარმოების ზრდის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები, როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან პერიოდებში, ეკონომიკაში შრომისა და კაპიტალის ალოკაცია და ეფექტიანი გამოყენებაა. ამის შესაბამისად ყურადღებაა გამახვილებული იმ წინააღმდეგობებზე,

რომლებიც ხელს უშლის წარმოების ფაქტორების მიწოდებასა და მათ ეფექტიან გამოყენებას. პრაქტიკაში ეს ნიშნავს იმას, რომ განსხვავებული ყურადღება ექცევა ერთობლივი მიწოდების მრუდის მდგომარეობას, ნაწილობრივი უმუშევრობის ბუნებრივი დონის განმსაზღვრელ ფაქტორებს და არა ეფექტიანი მოთხოვნის მოკლევადიან დონეს, როგორც ეს მიღებულია კეინზიანურ მოთხოვნის თეორიაში. მიწოდების თეორიის მიხედვით, ეკონომიკური ზრდის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორებია შრომისა და ინვესტირებისადმი სტიმულირების არარსებობა, რომელიც თავის მხრივ, უკავშირდება გადასახდელების არაადექვატურ სტრუქტურას, აგრეთვე იმ ინსტიტუციურ ბარიერებს, რომლებიც აფერხებენ რესურსების ეფექტიან ალოკაციას. ამ თეორიიდან გამომდინარე, რეკომენდაციები მდგომარეობს გადასახადების შემცირებასა და კონკურენციის გაძლიერებაში.

მიწოდების ეკონომიკური თეორია საფუძვლად დაედო აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკას გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, კონსერვატორული ადმინისტრაციის არჩევის შემდეგ, რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში. იგი ეკონომიკურ პოლიტიკაში ორთოდიქსული კლასიკური ეკონომიკური თეორიის დაბრუნების ნათელი მაგალითია და თანამედროვე თეორიის ,,ახალი კლასიკური მაკროეკონომიკის“ შემადგენელი ნაწილი.

**მიწოდების ვადა** მყიდველის მიერ მყიდველის საკუთრებაში ან მისი დავალებით მოქმედი პირისათვის საქონლის გადაცემის ვალდებულების შესრულების მომენტია, ხოლო მიწოდების თარიღი-მყიდველის განკარგულებაში საქონლის გადაცემის თარიღი.

**მიწოდების ინტერვალი** – დრო, ერთი მეორის მომდევნო ორ მიწოდებას შორის.

**მიწოდების ინფლაცია** – (supply-push inflation) - წარმოების ხარჯების ზრდით გამოწვეული ინფლაცია, რაც ფასების საერთო დონის ზრდაში ვლინდება.

**მიწოდების მოცულობისა და მოთხოვნის მოცულობის თანაფარდობა** ამა თუ იმ მომსახურების დეფიციტისას მომხმარელის გავლენა მცირეა და პირიქით. ეს სირთულეა ამ სიდიდეთა ზუსტად განსაზღვრის შეუძლებლობა სტატისტიკის უქონლობის გამო (შესაძლებელია მხოლოდ ექსპერტული შეფასება). აღნიშნული თანაფარდობა შესაძლოა განსხვავდებოდეს რეგიონების მიხედვით, მაგრამ მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ფაქტორის თვალსაზრისით გარკვეული კონკურენტული პოტენციალი აქვთ ტრადიციულ საბანკო დარგებს – დაკრედიტებას, საშემნახველო საქმეს, საინვესტიციო შუამავლობას, საანგარიშსწორებო – საკასო და სავალუტო მომსახურებას, აგრეთვე პლასტიკური ბარათების გამოშვება-მომსახურებას.

**მიწოდების მრუდი** (supply curve) – მრუდი, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას მიწოდების ფასსა და მიწოდების მოცულობას შორის. იგი ასახავს გამყიდველთა საბაზრო ქცევას. მიწოდების მრუდის ყოველი წერტილი გვიჩვენებს მოცემული საქონლის იმ რაოდენობას, რომლის წარმოებაზეც მწარმოებლები თანახმა არიან შესაბამისი ფასით.

**მიწოდების მწკრივის (ჯაჭვის) მართვა** – 1. გულისხმობს ყველა მატერიალური რესურსებით, მომსახურების და ინფორმაციის ნაკადების სისტემურ მართვას, რომელიც იწყება ნედლეულის მომწოდებლებით და მთავრდება მზა პროდუქტის მომხმარებელთან მიტანით. ტერმინი მიწოდების (ჯაჭვის) მწკრივი ორგანიზაციათა ურთიერთკავშირს ასახავს; 2. ყველა კომპანიისათვის განსხვავებულია.

**მიწოდების მწკრივის (ჯაჭვის) მიზანი** არის გაურკვევლობის, რისკის შემცირება და მომხმარებელთა მოთხოვნებზე დადებითი გავლენის მოხდენა.

**მიწოდების მწკრივის (ჯაჭვის) სტრატეგიის შემუშავებას** დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნის შესწავლას, რის საფუძველზეც მოხდება მიწოდების

(ჯაჭვის) დაპროექტება. ამ მხრივ მარშალ ფიშერმა პროდუქცია დაყო უპირატესად ინოვაციურ პროდუქტებად, რადგანაც ასეთი სახის პროდუქტებისათვის დამახასიათებელია და განსხვავებულია მომარაგების ჯაჭვი.

**მიწოდების საბაზისო** პირობები ის სპეციალური პირობებია, რომელთა საფუძველზე განისაზღვრება ხელშეკრულების მხარეთა მოვალეობანი საქონელმოძრაობის სხვადასხვა ეტაპზე (მიმწოდებლის საწყობიდან მიმღების საწყობამდე), აგრეთვე მყიდველსა და გამყიდველს შორის სატრანსპორტო და სხვა თანმდევი ხარჯების განაწილების წესი, რისკის გადაცემის მომენტი და პასუხისმგებლობაზე გადაზიდვის დროს საქონლის შემთხვევითი განადგურების და დაზიანების შემთხვევაში.

**მიწოდების საქონლის რაოდენობის შემოწმება** ითვალისწინებს ფაქტობრივად მიწოდებული და კონტრაქტში აღნიშული საქონლის რაოდენობის შესაბამობის დადგენას.

**მიწოდების სიხშირე** – საგეგმო პერიოდში შესრულებულ მიწოდებათა რიცხვი. მიწოდებათა რიცხვის საშუალებით შეიძლება გამოსახულ იქნეს მიწოდების საშუალო ინტერვალი.

**მიწოდების ფასი** (supply price) – მინიმალური ზღვრული ფასი, რომელზე დაბლაც არ შეიძლება საბაზრო ფასი დაეცეს. ეს წარმოებას არარენტაბელურს გახდის, რაც ეწინააღმდეგება მიმწოდებელთა ეკონომიკურ ინტერესებს. მწარმოებლები ჯერ კიდევ თანახმა არიან ამ ფასად გაყიდონ საქონელი.

**მიწოდების შოკი** (supply shock) – მაკროეკონომიკაში წარმოების ხარჯების ან მწარმოებლურობის მოულოდნელი ცვლილება, რომელიც მნიშვნელოვან და შოკისებურ გავლენას ახდენს ერთობლივ მიწოდებაზე. მიწოდების შოკის შედეგად ხდება რეალური მშპ-ისა დაფასების დონის უეცარი ცვლილება.

**მკვდარი ფრახტი** – გადასახადი საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებაში (მითითებული) დაუტვირთავი ტვირთის რაო-

დენობაზე, რომელიც ვალდებულებით უნდა წარედგინათ გადაზიდვაზე.

**მმართველ ორგანოს** თავისი მოვალეობების ეფექტურად შესრულებისათვის უნდა გააჩნდეს ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხი. მმართველ ორგანოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვალეობა იმაში გამოიხატება, რომ შექმნას სისტემა რომელიც უზრუნველ-ყოფს კორპორაციის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის შესრულებას, დაბეგვრის, კონკურენციის, შრომის, გარემოს დაცვის, თანაბარ შესაძლებლობათა, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების კანონების ჩათვლით.

**მმართველი ორგანოს მოვალეობები** – კორპორაციული მართვის სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს კომპანიის სტრა-ტეგიულ მართვას, ადმინისტრაციის ეფექტურ კონტროლს მმართველი ორგანოს მხრიდან აგრეთვე მის ანგარიშ-ვალდებულებას კომპანიისა და აქციონერების წინაშე.

**მმართველობა** – სამართავ ობიექტზე გარემოს მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორების ზემოქმედების შეზღუდვის, ნეიტრალიზაციის ან შეცვლის შესაძლებლობა.

**მმართველობით სტრატეგიაში** იგულისხმება იმის საერთო კონცეფცია, თუ როგორ მიიღწევა ორგანიზაციის მთავარი მიზნები, როგორ წყდება მის წინაშე მდგომი პრობლემები და როგორ ნაწილდება ამისათვის საჭირო შეზღუდვები რესურსები.

**მმართველობითი აღრიცხვა –**(managerial accounting), რომელიც ოპერაციების წარმოებას, კონტროლინგის (controlling) ორგანიზაციას, ფასწარმოქმნისათვის ბაზის შემუშავებას (base of price formation), აგრეთვე საგადასახადო პოლი-ტიკის განხორციელებას (base for current operations and taxex policy) და მოლაპარაკებების წარმოებას (base for negotiations) ითვალისწინებს.

**მმართველობითი აღრიცხვა უფრო ფართო ცნებაა,** – რომელიც ინფორმაციას ამზადებს მართვის ყველა დონეზე. ასეთ

ინფორმაციას წარმოადგენს ფინანსური და საწარმოო ანგარიშები. მმართველობითი აღრიცხვა ძირითადად დაკავშირებულია მენეჯმენტისათვის რჩევების მიცემით, რომელებიც ეფუძვნება მოგროვებულ ინფორმაციას.

**მმართველობითი აღრიცხვის მიზანია** მოამზადოს ინფორმაცია გარე მომხმარებლებისათვის. ესენია: აქციონერები, პოტენციური ინვესტორები, საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები, კრედიტორები, კლიენტები, სახელმწიფო სტრუქტურები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, თუმცა აგრეთვე იგი გამოიყენება შიდა მოხმარებისათვის, ფინასური განყოფილებების მიერ, ფინანსური კოეფიციენტების ანალიზისა და მომგებიანობის ამაღლების ღონისძიებების შემუშავებისათვის.

**მმართველობითი გადაწყვეტილების** მიღების ყველა მეთოდი სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს ესენია: არაფორმალური (ევრისტიკული), კოლექტიური და რაოდენობრივი მეთოდები. ამ მეთოდების გამოყენების გაადვილებისა და მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობა პროგნოზირებას იყენებს.

**მმართველობითი ეთიკა** – ეთიკა ნიშნავს სტანდარტებს, რომლებიც ეფუძვნება ზოგად საკაცობრიო ნორმებსა და წესებს. ადამიანური რესურსების მენეჯმენტში ეთიკა დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორიცაა: სამუშაო ადგილის უსაფრთხოება, დასაქმებულთა ჩანაწერების დაცვა, დასაქმებულთა პირადი უფლებების დაცვა და სხვა.

**მმართველობითი კომპეტენტურობის მომენტის** შემთხვევაში ადამიანებს აქვთ ძლიერი მოტივაცია, გახდნენ მენეჯერები. მათ ამის საშუალებას აძლევს მუშაობაში პირადი გამოცდილება და ნიჭი.

**მმართველობითი უფლებამოსილებანი** პირდაპირ კავშირშია მათ მფლობელთა პასუხისმგებლობასთან, რომელიც ორი

სახისაა: ზოგადი და ფუნქციური. ზოგადი პასუხისმგებლობის ობიექტია ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა. ფუნქციური პასუხისმგებლობა დაკავშირებულია კონკრეტული სამუშაოს შესრულებასთან. გამოყოფენ თანამდებობრივი პასუხისმგებლობის შემდეგ ხარისხებს: დაბალი, საშუალო და მაღალი.

**მმართველობის ნორმა** – მომუშავეთა რაოდენობა, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან ერთ ხელმძღვანელს.

**მმართველური მიდგომა** – ლიკვიდობის შეფასების მიმართ გულისხმობს: ისეთი ორგანოს (ორგანოების) არსებობას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე, ლიკვიდობის მართვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებაზე; ლიკვიდობის ეფექტიანად მართვის უზრუნველყოფაზე, ლიკვიდობის მდგომარეობის გაკონტროლებაზე და სათანადო გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

**მმართველური შრომის** საერთო თავისებურებებს მიეკუთვნება: შემოქმედება, როგორც გონებრივი შრომის ფორმა; ინოვაციურობა; მკაცრი დროითი შეზღუდვები; კოლექტიური ხასიათი (პარტნიორობა, კორპორატიულობა); რისკიანობა.

**მნიშვნელობა.** სეგმენტები უნდა იყოს საკმაოდ დიდი და მომგებიანი. სეგმენტი მომხმარებელთა ერთგვაროვანი ჯგუფია მაქსიმალური სიდიდით, რომელიც ფლობს საკმარის მსყიდველობით უნარიანობას იმისათვის, რომ მისთვის დამუშავდეს სპეციალური მარკეტინგული პროგრამა.

**მნიშვნელობის მიხედვით გეპი** შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი (პასიური), ისე დადებითი (აქტიური).

**მოაზროვნეები –** მოწიფული ადამიანები, უზრუნველყოფილები და ცხოვრებით კმაყოფილები. მათთვის მოტივაცია იდეალებია, ისინი აფასებენ საჩუქარს, ცოდნასა და პასუხისმგებლობას. საქონელზე აფასებენ საიმედობას, ფუნქციურობას და ფასეულობით მნიშვნელობას.

**მოგება** – 1. სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და თვითღირებულებას შორის. შესაძლებლობათა რეალიზაციის მთავარი ფაქტორია; 2. მოგება საწარმოს ფუნქციონირების ეფექტიანობის ფინანსურ შედეგს წარმოადგენს. თავის მხრივ ფინანსური შედეგი შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც. მეწარმე ბიზნესის საქმიანობას საბოლოოდ, მოგების მიღების თვალსაზრისით აფასებს, რადგანაც მეწარმისათვის ნებისმიერ ბიზნესს იმდენად აქვს აზრი რამდენადაც მას მოგება მოაქვს; 3. მოგება წარმოადგენს: ა) საწარმოს მუშაობის ეკონომიკურ ეფექტს. იგი არის საწარმოს საბოლოო დადებითი ფინანსური შედეგი. მასში ასახულია საწარმოს საქმიანობის ყველა მხარის ფუნქციონირების ხარისხი. ამიტომ, მოგება საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური, ნაერთი, ზოგადი მაჩვენებელია, რომელზეც პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენს საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობაში მომხდარი ნებისმიერი ქმედება. ბ) მოგება წარმოადგენს წარმოების გაფართოების მატერიალური სტიმულირების და დაგროვების საშუალებას. გ) მოგების მიღების უზრუნველყოფა და მისი გადიდების გონივრული გზების ძიება საწარმოს ფინანსური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. დ) მოგება არის ეკონომიკური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი. საწარმოში მოგების მაჩვენებელი სხვადსხვა დონეზე განისაზღვრება. შესაბამისად გამოიყოფა მოგების შემდეგი მაჩვენებლები: 1. **მოგება რეალიზაციიდან** არის სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალსა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას შორის. ცნობილია ზღვრული მოგების მაჩვენებელი, რომელიც არის სხვაობა შემოსავლებსა და ცვლად ხარჯებს შორის. მაგრამ, ეს მაჩვენებელი გამოიყენება საწარმოს შიგნით, მენეჯმენტის მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად დაგეგმვის დროს და არ წარმოადგენს ფინანსური ანალიზის სფეროს. რეალიზაციიდან მიღებული მოგების მაჩვენებელზე

გავლენას ახდენს შემოსავლისა და თვითღირებულების ცვლილება. შემდეგ კი თვით შემოსავლებსა და თვითღირებულებაზე მოქმედი ფაქტორები. როგორიცაა: რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა, ფასი, დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე. 2. **საოპერაციო მოგება** არის საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული მოგება. იგი უდრის რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული არასაწარმოო დანახარჯები, როგორიცაა მარკეტინგის და საერთო-ადმინასტრაციული ხარჯები. ანუ, საოპერაციო შემოსავლებს მინუს საოპერაციო ხარჯები. საოპერაციო მოგებაზე გავლენას ახდენს რეალიზაციიდან მიღებულ მოგებაზე მოქმედი ფაქტორები და აგრეთვე მარკეტინგსა და ადმინისტრაციული ხარჯების ეფექტიანად გამოყენების ხარისხი. 3. **მოგება დაბეგვრამდე** უდრის საოპერაციო მოგებას მინუს საპროცენტო ხარჯები და პლიუს საპროცენტო შემოსავლები. 4. **წმინდა მოგება** არის სხვაობა დასაბეგრ მოგებასა და მოგების გადასახადს შორის. ე.ი. მასზე გავლენას ახდენს მოგების გადასახადის ნორმა. 5. **გაუნაწილებელი მოგება** არის წმინდა მოგებიდან გაცემული დივიდენდებისა და შექმნილი რეზერვების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი მოგება. 4. როგორც ფინანსური კატეგორია შემდეგი სახის ფუნქციებს ასრულებს: კვლავწარმოებითობის, რომელიც გაფართოებული კვლავწარმოების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს; მასტიმულირებელს, როგორც საწარმოს ფულადი ფონდების შექმნის წყარო, საკონტროლოს, როგორც სამეურნეო საქმიანობის ფინანსური შედეგების ეკონომიკური მაჩვენებელი; 5. არის ნებისმიერი ფორმის საკუთრების საწარმოებში მიღებული ფულადი დანაზოგების ძირითადი ნაწილის ფულადი გამოსახულება. 6. სხვაობა ფირმის ერთობლივ შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის (როდესაც ერთობლივი შემოსავალი ჭარბობს დანახარჯებს). 7. (profit) ეკონომიკური კატეგორია, რომელიც ახასიათებს საავიაციო საწარმოს სამეურნეო საქმიანობის

საბოლოო ფინანსურ შედეგს. იგი განისაზღვრება საექსპ-ლუატაციო შემოსავლებსა და საექსპლუატაციო დანახარ-ჯებს შორის სხვაობით; 8. სხვაობა ფირმის ერთობლივ შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის (რომელსაც ერთობლივი შემოსავალი სჭარბობს დანახარჯებს). მაკრო-ეკონომიკაში მოგების გაანგარიშებისას მასში შეაქვთ მოგება საკუთარი კაპიტალიდან, ხოლო სასესხო კაპი-ტალზე სარგებლის სიდიდე დანახარჯებში შედის. 9. ეკო-ნომიკური კატეგორია, რომელიც ახასიათებს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის საბოლოო ფინანსურ შედეგს. იგი განისაზღვრება საექსპლუატაციო შემოსავლებისა და საექსპლუატაციო დანახარჯებს შორის სხვაობით.

**მოგების მარჟა (profit margin)** – არის ფირმის რენტაბელობა, რომელიც მოგებისა და შემოსავლების თანაფარდობით განისაზღვრება. მოგების მარჟის განსაზღვრისას სამი უფრო მეტად საერთო მახასიათებელს წარმოადგენს: საოპერაციო მოგების მარჟა, გადასახადის გადახდამდე მიღებული მოგების მარჟა და სუფთა მოგების მარჟა.

**მოგების ნორმა** – კაპიტალის საერთო ეფექტიანობის განმაზო-გადებელი მაჩვენებელია, რომლის გაანგარიშებაც ხდება მოგების საშუალო წლიური თანხის კაპიტალის მთლიან მოცულობასთან შეფარდებით. იგი გვიჩვენებს მოგების რა რაოდენობა მოდის კაპიტალის ერთეულზე. რაც მეტია ეს მოგება, მით უფრო მაღალია კაპიტალის ეფექტიანობის დონე.

**მოდელი** – არის ობიექტის ამა თუ იმ თვისებებისა და მათი ურთიერთკავშირების წარმოდგენის სისტემა. მოდელი შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ხერხებით (ეკონომი-კაში ხშირად განტოლებებისა და ფორმულების სახით), იგი უნდა ასახავდეს ობიექტის მნიშვნელოვან ნიშნებს და მასში მიმდინარე პროცესებს.

**მოდელი** – საგნის, სისტემის, ან იდეის წარმოდგენა მთელისა-გან (ანუ თვით საგნისაგან) განსხვავებულ ფორმაში. მოდელი ასრულებს სასარგებლო როლს, რადგან იგი

ამარტივებს რეალობას, რითაც ადვილდება შინაგანი ურთიერთობების დანახვის შესაძლებლობა.

**მოდერნიზაცია** – (ფრანგ. თანამედროვე) რისამე შეცვლა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. მაგ. წარმოების მოდერნიზაცია ე.ი. წარმოებაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა და ა. შ.

**მოდიფიკაცია** – განახლება, სახეცვლილება. მოდერნს ისეთ საქონელს უწოდებენ, რომელსაც თანამედროვე იერსახე და ხარისხობრივი მაჩვენებელი აქვს.

**მოდიფიცირებული** – ისეთი სტრატეგიაა, როდესაც ბანკები მომხმარებლებს სთავაზობენ სხვადასხვა ნომინალის მქონე დეპოზიტურ სერთიფიკატებს (და განსხვავებული ვადების თანხების და ა.შ. მქონე ანაბრებს) ისე, რომ მათზე სხვადასხვა დონის შემოსავლების მქონე მომხმარებლებს მიუწვდებოდეთ ხელი.

**მოვლენებზე ზემოქმედების ზომის ცოდნა.** იგი გულისხმობს უნარს – შეაჩერო საკუთარი თავი და არ გადახვიდე შეტევაზე ან, პირიქით, დააჩქარო მოვლენები იმისათვის, რომ „ფლობდე სიტუაციას“ და შეგეძლოს ადეკვატურად რეაგირებდე მასზე.

**მოვლენები** – მარკეტოლოგები (მარკეტინგ-მკვლევარები) აქტიურად მონაწილეობენ ისეთ მოვლენებში, როგორიცაა ოლიმპიური თამაშები, გამოფენა-გაყიდვები, ხელოვნებისა და კულტურის ღონისძიებები და სხვა.

**მოზიდული სახსრები** – ანაბრები, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებული სახსრები. იმ სახსრების ერთობლიობაა რომლებიც ბანკების განკარგულებაში და მათ მიერ საკრედიტო და სხვა აქტიური ოპერაციებისათვის გამოიყენება.

**მოთხოვნა** – 1. მოთხოვნილების ის ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფილია გადახდის უნარიანობით ანუ გადახდის უნარიანი მოთხოვნილებაა; 2. (demand) – გადახდის უნარიანი მოთხოვნილება, ფულით უზრუნველყოფილი მოთხოვნილება. მოთხოვნა ბაზარზე არსებული მოთხოვ-

ნილების გამოვლენის ფორმა და მისი განმსაზღვრელია. იგი შეიცავს ორ ელემენტს: 1. მოთხოვნილებას ამა თუ იმ საქონლის შეძენის სურვილს; 2. ფულად სახსრებს, რაც ინდივიდს აქვს მოცემული საქონლის შესაძენად.

**მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე** საქონლის ის რაოდენობაა, რომლის ყიდვა სურთ ან შეუძლიათ სახელმწიფოებსა და ინდივიდუალურ მომხმარებლებს დროის გარკვეულ მონაკვეთში არსებული ფასით.

**მოთხოვნა შეკვეთაზე** – არის მასალების შესყიდვის მოთხოვნის დოკუმენტი.

**მოთხოვნამდე მოზიდული** – სახსრებისგან განსხვავებით, ვადიან საფუძველზე მოზიდულ სახსრებს აქვს მეტი სტაბილურობა, მაგრამ მათი ბრუნვადობა გაცილებით დაბალია.

**მოთხოვნა-მიწოდების თეორია** (the theory of demand and supply) – ამ თეორიის წარმომადგენლები (გ. მაკლეოდი, დ. ლოდლერდელი და სხვები) ღირებულებას აიგივებენ ფასთან და მას განსაზღვრავენ მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით. მათი აზრით, ღირებულების რეგულატორი საბაზრო პირობებია.

**მოთხოვნილება** – პიროვნების, ინდივიდის მიერ საჭიროების სპეციფიკური ფორმის მიღება კულტურული დონის შესაბამისად.

**მოთხოვნილებათა იერარქია მასლოუს მიხედვით** – ადამიანთა ყველა მოთხოვნილების ხუთ ჯგუფად დაყოფა, გაკეთებული ა. მასლოუს მიერ. ეს ჯგუფებით: ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური, პატივისცემისა და თვითგამოხატვის.

**მოთხოვნილებები** – რაიმეს უკმარისობის ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური შეგრძნების შინაგანი გამოხატულებაა. ძირითად მოთხოვნილებებს წარმოადგენს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები (საკვებზე, სასმელზე, სითბოზე და ა.შ.)

**მოთხოვნილების** – ფულით უზრუნველყოფილი ნაწილია მოთხოვნა.

**მოთხოვნის ინფლაცია** (demand-push inflation) – ერთობლივი მოთხოვნის ზრდით გამოწვეული ინფლაცია, რაც ფასების საერთო დონის ზრდაში ვლინდება.

**მოთხოვნის მრუდი** (demand curve) – მოთხოვნის ფუნქციის გრაფიკული ილუსტრაცია. მრუდი, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას მოთხოვნის ფასსა (საბაზრო ფასსა) და მოთხოვნის მოცულობას (განსაზღვრული საქონლის რაოდენობა, რომელზეც არის მოთხოვნა) შორის. იგი მომხმარებელთა საბაზრო ქცევის გამომხატველია. მოთხოვნის მრუდის ყოველი წერტილი გვიჩვენებს გარკვეული საქონლის იმ რაოდენობას, რომლის ყიდვაც სურთ მომხმარებლებს შესაბამისი ფასით.

**მოთხოვნის ორგანიზატორი** – ვაჭრობის მუშაკი, რომელიც შემოქმედებითი მეთოდების გამოყენებით ყიდის მატერიალურ საქონელს (მტვერსასრუტები, საოჯახო საქონელი) ან მომსახურებას. (დაზღვევა სარეკლამო ან საგანმანათლებლო მომსახურება)

**მოთხოვნის პროგნოზირება** – გულისხმობს გარკვეული დროის შემდეგ კომპანიის პროდუქტებზე მოთხოვნის წინასწარ მდგომარეობის შესწავლას. ამას გაყიდვების პროგნოზსაც უწოდებენ.

**მოთხოვნის რეგულირება (regulation of demand)** – ერთობლივი მოთხოვნის რეგულირება ფულად საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით.

**მოთხოვნის ფასი (cost of demand)** – უკიდურესად მაღალი (ზღვრული) ფასი, რომლის ზევითაც საბაზრო ფასი ვეღარ აიწევს. მომხმარებლები ჯერ კიდევ თანახმა არიან ამ ფასად შეიძინონ ერთეული საქონელი. იგი განისაზღვრება მომხმარებელთა შემოსავლებით და არსებითად გამოხატავს შესაძენი დოვლათის ზღვრულ სარგებლიანობას.

**მოკლე სავალუტო პოზიცია** – ბანკის ღია სავალუტო პოზიცია, რომლის დროსაც ყველა პასივი და ვალდებულება

უცხოურ ვალუტაში აღემატება მის აქტივებს და მოთხოვ-ნებს იმავე ვალუტაში.

**მოკლე ტონა,** ამერიკული ტონა – 907კგ. გამოიყენება მთელს მსოფლიოში, მათ შორის რუსეთშიც.

**მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები და ვალდებულებები** – არის დაბანდებები და ბანკის მოთხოვნამდე და ერთ წელზე ნაკლები დაფარვის ვადიანი სახსრების წყაროები.

**მოკლევადიანი ანუ სოლო გამოფენების ხანგრძლივობა** ჩვეულებრივ 3 კვირას არ აღემატება. ისინი შეიძლება იყოს საერთო ხასიათისა და სპეციალიზებული. პირველ შემთხვევაში წარმოებს ყველა სფეროს მიღწევათა დემონს-ტრაცია, მეორეში – რომელიმე დარგის.

**მოკლევადიანი ინვესტიციები** – არის ფულადი საშუალებების დროებითი დაბანდებები, მოგების მიღების მიზნით. მოკლელვადიანი ინვესტიციები შეიძლება განხორციელ-დეს აქციების ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალ-დების შეძენით.

**მოლაპარაკებები** მოიცავს მომუშავეთა საქმიანობის მრავალ ასპექტს და ასრულებს გარკვეულ ფუნქციებს. მოლაპა-რაკებები, როგორც კონფლიქტების გადაწყვეტის მეთოდი, მოწინააღმდეგე მხარეებისათვის მისაღები გადაწყვეტი-ლებების ძიებისადმი მიმართული ილეთთა ერთობლიო-ბაა. მოლაპარაკებები შესაძლებელია, როცა დაპირისპირე-ბული მხარეები ურთიერთდამოკიდებულია და მათ უფლებებში არაა არსებითი განსხვავება.

**მოლაპარაკების ეროვნულ სტილში** იგულისხმება ამა თუ იმ ქვეყნის (და არა რომელიმე ეროვნების) წარმომადგენ-ლისათვის დამახასიათებელი სტილი.

**მოლოდინი** – მიმდინარე სიტუაციისა და წარსულის გამოც-დილებაზე დაყრდნობით, ადამიანები თავიანთი ქცევის შედეგების გათვალისწინებით აყალიბებენ გარკვეულ მოლიდინს. ისინი ცნობიერად (შეგნებულად) თუ ქვეცნო-ბიერად წყვეტენ თუ რამდენად რეალურია თუ არარეა-ლურია მათთვის მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა. ეს

მოლოდინი მათი ქცევის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია.

**მოლოდინის დრო** – საშუალო დრო, რომლის განმავლობაში მომხმარებლებს (მყიდველებს) უწევს ლოდინი საქონლის ყიდვისას (შეძენისას) მყიდველები ამჯობინებენ არხებს, რომლებიც გამოირჩევა დიდი სიჩქარით.

**მომავალი პერიოდის მიხედვით დაფიქსირებული ფასები ისეთი ფასებია** რომელთა დაფიქსირება კონტრაქტის დადების მომენტში კი არ ხდება, არამედ მისი შესრულების პერიოდში (ჩვეულებრივ საქონლის მიწოდების მომენტში). ასეთი ფასის გამოყენება მოითხოვს კონტრაქტში ფასის განსაზღვრის საფუძვლის მითითებას.

**მომავალი ღირებულება** – მოსალოდნელი ღირებულება ფირმის აქტივებისა, რომლებშიც დღეისათვის ინვესტირებულია გარკვეული თანხა.

**მომარაგება** – პროდუქციის მომხმარებლამდე დასაყვანად გაწეული საქმიანობა, რომელიც აერთიანებს პროდუქციის შესყიდვას.

**მომარაგების პოლიტიკა** – საერთო რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება საწარმოს მომარაგების ფუნქციონალური ქვედანაყოფების დანიშნულება, მიზანი და ფუნქციონირების კომერციული ასპექტები. მას მიეკუთვნება მომარაგების ქვედანაყოფის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის აღწერა, დებულება ფასიანი შესყიდვების შესახებ, მითითებები გადაწყვეტილებების მიმღებ პირებზე და დებულება მომარაგების საქმიანობის ეთიკის შესახებ.

**მომარაგების სისტემის მიზანი** – მინიმალური საერთო დანახარჯებით მომხმარებელთა შეკვეთის მომსახურების დაგეგმილი დონის უზრუნველყოფა.

**მომარაგების წყაროების გლობალური განლაგების სტრატეგიის შემუშავება** – უშუალოდაა განლაგებული პირდაპირი ინვესტიციების ანუ საერთაშორისო წარმოების ორგანიზაციის სტრატეგიასთან. მთლიანობაში წარმოებისა და

მომარაგების წყაროების გლობალური განლაგების სტრატეგია გულისხმობს ფირმების მიერ მაკომპლექტებელი ნაწილების დამზადებისა და საამწყობო საწარმოების განლაგების ადგილის შერჩევას.

**მომგებიანია კომერციული ორგანიზაციები,** რომელთა მთავარი მიზანია მოგება. არამომგებიანი ორგანიზაციების მთავარი მიზანი არაა მოგება. ამასთან, მათ შეუძლიათ მიიღონ განსაზღვრული ოდენობის მოგება, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის არსებობისა და განვითარებისათვის.

**მომგებიანობის კოეფიციენტი** – მოგების ზღვრული კოეფიციენტი აჯამებს საწარმოს მოგება-ზარალის უწყისის მდგომარეობას. იგი გვიჩვენებს თუ რამდენი ლარი რჩება საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან (ანუ რეალიზაციის ყოველი 1 ლარიდან რამდენი თეთრია საწარმოს მოგება).

**მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა** სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები;
2. ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლები;
3. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლები.

ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები შეიძლება სხვადასხვა ბაზის საფუძველზე იქნეს გამოთვლილი:

$$\text{აქტივების მომგებიანობა} = \frac{\text{მოგება დაბეგვრამდე} \times 100}{\text{აქტივების ჯამი}}$$

იგი გვიჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ერთ ლარ აქტივზე. იგი მომგებიანობის ყველაზე ზოგადი მაჩვენებელია და მთელი ავანსირებული ღირებულების გამოყენებით ეფექტიანობას ახასიათებს. მისი ალტერნატიული მაჩვენებელია კაპიტალის უკუგება (ROCE).

$$\text{კაპიტალის უკუგება (ROCE)} = \frac{\text{მოგება პროცენტისა და გადასახადის გადახდამდე}}{\text{საკუთარი კაპიტალი+გრძელვადიანი ვალდებულებები}}$$

იგი საკუთარი სახსრებითა და გრძელვადიანი ვალდებულებებით შეძენილ რესურსებს მომგებიანობის დონეს ახასიათებს. ხოლო სხვაობა პირველ და მეორე მაჩვენებელს შორის მოკლევადიანი რესურსების გამოყენების მომგებიანობას ახასიათებს.

$$\text{წარმოების მომგებიანობა} = \frac{\text{დაფარვის ნომინალური წყაროები}}{\text{მატერიალური მარაგები+ ძირითადი საშუალებები}}$$

მომგებიანობის ეს მაჩვენებელი ახასიათებს იმ აქტივების ეფექტიანობას, რომლებიც წარმოადგენენ პროდუქციის წარმოების საშუალებებს ანუ, რომელთა მეშვეობითაც იქმნება პროდუქტი. იგი ახასიათებს მოცემულ საწარმოში (ბიზნესში) გამოყენებული, საკუთარი წარმოების საშუალებების მომგებიანობას, რადგან საოპერაციო მოგება მთლიანად მოცემული საწარმოს წარმოების საშუალებების გამოყენების ხარისხზეა დამოკიდებული. დასაბეგრ მოგებაზე, როგორც ვიცით, გავლენას ახდენს საპროცენტო ხარჯები და საპროცენტო შემოსავლები, რომელთა სიდიდე მოცემული კომპანიის მუშაობის ეფექტიანობაზე არაა დამოკიდებული.

**მომდევნო კონტროლის მიზანია –** სააღრიცხვო-საოპერაციო მუშაობის ყველა მიმართულების სისტემატურად შემოწმება საბანკო ოპერაციების შესრულების შემდგომ პერიოდში.

**მომსახურება** (service, maint enanse) –1. შრომის ეკონომიკური ფორმა, ეკონომიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს ურთიერთობას შრომის სარგებლიანობის საფუძველზე. მომსახურების სასარგებლო ეფექტი ვლინდება მატერიალური და არამატერიალური მომსახურების სახით. გამოყოფენ მომსახურების შემდეგ ჯგუფებს: ა) წარმოებაზე ორიენტირებული (ამ ჯგუფში შედის საქმიანი მომსახურებისა და მატერიალური დოვლათის წარმოების მომსახურე სხვა დარგი); ბ) სავაჭრო; გ) პირადი და დ)

სოციალური მომსახურება. ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაციის მიხედვით, მოხმარების მკვეთრად განსხვავებული დარგები ქმნიან მომსახურების სფეროს; 2. ითვლება „უხილავ სიკეთედ“. მომსახურება გარკვეული ჯგუფის დარგთა ან კონკრეტული სახის შრომითი საქმიანობის პროდუქტია, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის გარკვეულ მოთხოვნილებას ან საჭიროებას; 3. შეიძლება დავახასიათოთ როგორც, მიმწოდებლის (შემსრულებლის) და მისი შრომის საშუალებების ურთიერთობის შედეგი მომხმარებელთან ან უკანასკნელის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით; 4. მყიდველებისთვის სხვადასხვა მომსახურების შეთავაზება: კონსულტირება წარმოშობილ პრობლემებზე, ტექნიკური დახმარების აღმოჩენა, დაკრედიტების ორგანიზაცია, საქონლის მიწოდების კონტროლი; 5. ბაზარზე შემოსული სამომხმარებლო ღირებულებები, რომლებიც უპირატესად არ წარმოადგენენ განივთებულ ფორმებს; 6. საქმიანობის ან დოვლათის სახეა, რომელიც ერთ მხარეს შეუძლია შესთავაზოს (მიაწოდოს) მეორე მხარეს.

**მომსახურება არასაბაზროა,** თუ იგი იყიდება არასაბაზრო ფასით და მისი მწარმოებელი რესურსები (50% და მეტი) იქმნება არა ამ მომსახურების რეალიზაციით, არამედ - სამთავრობო ტრანსფერებით საოჯახო მეურნეობის ნებაყოფლობითი შენატანებით, საკუთრებიდან მიღებული შემოსავლებით.

**მომსახურება საბაზროდ** ითვლება მომსახურება, რომელიც იყიდება საბაზრო ფასით და მისი მწარმოებელი რესურსები (50% და მეტი) იქმნება ამ მომსახურების რეალიზაციით მიღებული ამონაგებიდან.

**მომსახურების აპარატი –** ასეთი აპარატი განსაზღვრული სახის მომსახურებას ეწევა. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ კორპორაციის კადრების განყოფილება, რომელიც მთელ ორგანიზაციას ემსახურება. იგივე შეიძლება ითქვას

მარკეტინგის, ფინანსების, დაგეგმვისა და სხვა ქვედანაყოფების შესახებაც.

**მომსახურების ბაზარი** – 1. მატერიალური და არამატერიალური მომსახურების ყიდვა-გაყიდვის აქტების ერთობლიობა ქმნის მომსახურების ბაზას. ეკონომიკურ ურთიერთობებში მომსახურების მრავალი სახე გამოიყენება. ბოლო ხანს მნიშვნელოვნად განვითარდა მისი ისეთი სახეები, როგორიცაა „ნოუჰაუ“ და სალიცენზიო მომსახურება, ინჟინერინგი, ლიზინგი, ფორფეიტინგი, სატრანსპორტო, ტურისტული, სადაზღვევო მომსახურება და სხვ; 2. (service, market) – მატერიალური და არამატერიალური მომსახურების ყიდვა-გაყიდვის აქტების ერთობლიობა.

ეკონომიკურ ურთიერთობებში მომსახურების მრავალი სახე გამოიყენება. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა მისი ისეთი სახეები, როგორიცაა, ნოუ-ჰაუ და სალიცენზიო მომსახურება, ინჟინირინგი, ლიზინგი, ფაქტორინგი, ფორფეიტინგი, სატრანსპორტო, ტურისტული, სადაზღვევო მომსახურება და ა.შ. საბაზრო ურთიერთობები სულ უფრო იკიდებს ფეხს განათლებში, ჯამრთელობის დაცვაში, ფიზკულტურასა და სპორტში. ამიტომ მომსახურებით ვაჭრობა, შესაბამისად ცალკეულ, უფრო ვიწრო ბაზრებად იყოფა.

განვითარებულ ქვეყნებში მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის სწრაფმა ტემპმა კოლოსალურად გაზარდა მოთხოვნა როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ მომსახურებაზე, დააჩქარა სპეციალიზებული სერვისული ფირმების ჩამოყალიბება. მათ იკისრეს ის ფუნქციები, რომლებსაც წინათ თვით სამრეწველო კომპანიები ასრულებდნენ. სერვისული ბაზრის მასშტაბების გაფართოებამ და მომსახურების სპექტრის განუწყვეტელმა განახლებამ მკვეთრად გაზარდა მომსახურების მოხმარება. მომსახურების ისეთმა სექტორებმა, როგორიცაა საბანკო საქმე, დაზღვევა, განათლება, რეკლამა, სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი, ბაზრების გამოკვლევა, საინფორმაციო

სერვისი, კონსულტაციები მართვის საკითხებში, მსხვილი კორპორაციების შტაბ-ბინების მოწყობა და მათი მომსახურება, ტურიზმი და ა.შ., ეკონომიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძენა. გაიზარდა მომსახურების წილი პირადი მოხმარების სტრუქტურაში. უკანასკნელ პერიოდში აშშ-ში იგი შეადგენს 31%-ს, ინგლისში 37%-ს, შვედეთში 41%-ს, და ა.შ. მსოფლიოში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია იაპონიაში. სერვისული საქმიანობის განვითარების მთავარ წყაროდ ტექნოლოგიური სიახლენი იქცა. ამჟამად ყველაზე დინამიკური ის დარგებია, რომლებიც ბაზარს მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიით წარმოებულ მომსახურებას აწვდიან და თვითონ ინფორმაციით ვაჭრობენ. ტექნიკურმა სიახლეებმა საინფორმაციო მომსახურებაზე მოთხოვნის ნახტომისებურმა ზრდამ, კერძო კოოპერაციების სასარგებლოდ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ცვლილებებმა განაპირობა ელექტრონული ინფორმაციის გიგანტური ბაზრის შექმნა. ინფორმაციული სერვისი ეკონომიკის მესამეული სექტორის ყველაზე დინამიკური ნაწილი გახდა. კომპიუტერულ ავტომატიზაციას ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობისა და შესაბამისად, ამ დარგში დასაქმებულთა („თეთრსაყელოიანების“ რიცხვის ზრდა მოჰყვა. (იხ. თ. განმარტება) ძალზე გაიზარდა საინფორმაციო პროდუქციის „საქონლურობა“, ჩამოყალიბდა დიდი მოცულობის დამოუკიდებელი ბაზრები, ხოლო ფირმებმა დაიწყეს ფართომასშტაბური „ექსტერნალიზაცია“.

**მომსახურების დანახარჯთა კალკულაცია** – არის თვითღირებულების კალკულაციის მეთოდი, რომელიც გამოიყენება მომსახურების ყოველი ერთეულის თვითღირებულების განსაზღვრისათვის (იმ კომპანიებში, რომლებიც ეწევიან მომსახურებას გარეთ ან თვით კომპანიის შიგნით).

**მომსახურების დივერსიფიკაციის სტრატეგია** – კლიენტების მომსახურების სპექტრის გეგმაზომიერად გადიდება,

ახალი ფინანსური და სხვა ინსტრუმენტების შემოღება და ათვისება.

**მომსახურების დროის ნორმა** – დრო მოწყობილობების, წარმოებრივი ფართისა და სხვა ობიექტების ერთეულის მომსახურებაზე.

**მომსახურების მსოფლიო ბაზარი** მოიცავს მომსახურების სფეროს, რომელიც უკანასკნელ წლებში სწრაფი ტემპით ვითარდება.

**მომსახურების ნაკადური მეთოდი** – სადაც მაგალითად კვების ობიექტში ნაკადური ხაზი როგორც საწარმოო პროცესი, რადგანაც იქ ნაჩვენებია როგორ არის აწყობილი ნაკადური ხაზი რომ იქ საჭმელი კეთდება ადგილზე რასაც მომხმარებელი თავად უყურებს და აფასებს მის ხარისხიანობას მომზადების პროცესში.

**მომსახურების ნორმა** – მოწყობილობების, წარმოებრივი ფართისა და სხვა ობიექტების რაოდენობა, რომელთაც უნდა მოემსახუროს შესაბამისი კვალიფიკაციის ერთი მუშა ან მუშათა ჯგუფი განსაზღვრულ ტექნიკურ-ორგანიზაციულ პირობებში.

**მომსახურების სფერო** – 1. არის ეროვნული ეკონომიკის იმ დარგთა ეკონომიკური საქმიანობის იმ სახეობათა ერთობლიობა, რომლებიც აწარმოებენ მატერიალურ და არამატერიალურ მომსახურებას; 2. (services sphere, sector) ეროვნული ეკონომიკის ის დარგია და ეკონომიკური საქმიანობის იმ სახეობათა ერთობლიობა, რომლებიც აწარმოებენ მატერიალურ და არამატერიალურ მომსახურებას. მომსახურების სფერო გაეროს სსდკ-ის მიხედვით, ეკონომიკის მესამეული სექტორია. პირველად სექტორად აღიარებულია სოფლის მეურნეობა (მასთან ერთად: ნადირობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა), ხოლო მეორეულად – ინდუსტრია (სამთომოპოვებითი და გადამმუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა). ამასთან, მესამეულ სექტორში გათვალისწინებულია მომსახურების მხოლოდ „ხილეული“ სახეები, რომლებიც ეკონომიკის განვითარე-

ბის კვალობაზე ცალკე დამოუკიდებელ დარგებად ჩამოყალიბდა. მასში არ შედის მომსახურებისას „უხილავი“ სახეები, რომლებიც შერწყმულია მეურნეობის პირველადი და მეორეული სექტორების საშუალო ეკონომიკურ საქმიანობასთან. ესენია: სამმართველო სამსახურის, ფირმების, საკონსტრუქტორო, საპროექტო განყოფილებების მომსახურება, საქარხნო მეცნიერება, მუშაკთა შიგაწარმოებრივი სწავლება და ა.შ.

ეკონომიკის მესამეული სექტორის მკვეთრად განსხვავებულ დარგთა ერთ სფეროში გაერთიანებას განაპირობებს ის გარემოება, რომ მათში დასაქმებულთა შრომის სასარგებლო ეფექტი მომსახურების სახით ვლინდება.

გაეროს ეროვნული ანგარიშების სისტემის კლასიფიკაციაში, სახელდობრ „ეკონომიკური სახეების პროდუქციის კლასიფიკაციაში“ მომსახურების სფერო დაყოფილია საბაზრო და არასაბაზრო მომსახურებად, რომლებიც თავის მხრივ იყოფა ოთხ ჯგუფად: 1. საბაზრო მომსახურების მწარმოებელი დარგები; 2. არასაბაზრო მომსახურების მწარმოებელი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დარგები; 3. არასაბაზრო მომსახურების კერძო არაკომერციული ორგანიზაციების დარგები; 4. დარგები, რომლებიც შედგება საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოებული სხვადასხვა სახის არასაბაზრო მომსახურებისაგან.

მომსახურების სფეროს ასეთი დაყოფა საშუალებას აძლევს სტატისტიკურ ორგანოებს, ამ ნიშნის მიხედვით აწარმოონ გაანგარიშებები. მაგ. XX საუკუნის ბოლოს საბაზრო მომსახურების ხვედრითი წონა ევროპული გაერთიანების ექვსი წამყვანი ქვეყნის (დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, გფრ-ს, ჰოლანდიის) ერთობლივ დამატებულ ღირებულებებში შეადგენდა 50%-ს, მაშინ როდესაც გადამმუშავებელი მრეწველობის ხვედრი წონა მხოლდ 30%-ს უდრიდა.

**მომსახურების ხარისხის მაჩვენებლებს მიეკუთვნება –** სატვირთო ოპერაციების შესრულების ხანგრძლივობა,

ტვირთის ხარისხის შენარჩუნება, დოკუმენტების სწორად გაფორმება, ინფორმატიულობა, დატვირთვა განტვირთვისას მოცდენის დრო, საჭირო რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებები და სხვა.

**მომსახურებისგან მიღებული შემოსულობანი** – აქ აღრიცხავენ ნაღდ შემოსულობებს ტრანსპორტიდან, კომუნალური საწარმოებიდან, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და გასართობი საწარმოებიდან. აქაც შემოსავლები მცირდება უნაღდო შემოსულობებისა და ხელფასზე გაწეული ხარჯების გამო.

**მომსახურეები** – ასრულებენ ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა: ადამიანთა საქმიანობის ორგანიზაცია, წარმოების მართვა, კვლევითი მუშაობა და ა.შ. მოსამსახურეები, მათი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უმეტესად დაკავებული არიან გონებრივი, ინტელექტუალური შრომით.

**მომსახურეობა მოწყობილობის ლიზინგთან დაკავშირებით** – არის მოწყობილობის ბანკის კლიენტის სახელით და მისი დავალებით შეძენა, იმისათვის რომ აღნიშნული მოწყობილობა კლიენტს არენდაში გადასცეს მისგან ლიზინგური გადასახადების მიღებით.

**მომუშავეთა (თანამშრომელთა) შეგროვება, შეფასება, შერჩევა და სამუშაოზე მიღება.** ამ ფუნქციის მნიშვნელობა განისაზღვრება სამუშაო ძალის ღირებულების და მომუშავისადმი წაყენებული მოთხოვნის ზრდით.

**მომუშავეთა გაცემულ შეღავათებში** იგულისხმება ისეთი არაპირდაპირი გაცემები, როგორიცაა: საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება, სადაზღვევო დანახარჯები, ავტომობილებით მომსახურება, ყოველწლიური შვებულების ანაზღაურება და ა.შ.

**მომუშავის კვალიფიკაციის ზომას ეწოდება პროფესიონალური კომპეტენტურობა** – იგი განსაზღვრავს მომუშავის უნარს ხარისხიანად და შეუცდომლად შეასრულოს თავისი ფუნქციები როგორც ჩვეულებრივ, ისე ექსტრემალურ პირობებში, წარმატებით აითვისოს ახალი და სწრაფად

იქნეს ადაპტირებული შეცვლილ პირობებთან. გამოყოფენ პროფესიონალური კომპენტენტურობის შემდეგ სახეებს: 1. ფუნქციური კომპეტენტურობა. იგი ხასიათდება პროფესიონალური ცოდნითა და მისი რეალიზაციის უნარით; 2. ინტელექტუალური კომპეტენტურობა, რომელიც გამოიხატება ანალიზური აზროვნებისა და თავის მოვალეობათა შესრულებისადმი კომპლექსური მიდგომის განხორციელების უნარით; 3. სიტუაციური კომპეტენტურობა, რომელიც გულისხმობს სიტუაციის შესაბამისად მოქმედების უნარს; 4. სოციალური კომპეტენტურობა. მასში იგულისხმება კომუნიკაციური და ინტეგრაციული უნარის არარსებობა, ადამიანთან ურთიერთობის, მათზე გავლენის მოხდენისა და დასახული მიზნის მიღწევის უნარი.

**მომხმარებელთა და მწარმოებელთა კონცენტრაციის ხარისხის თანაფარდობა** – თუკი მომხმარებლებს დიდი კაპიტალი აქვთ და ორგანიზებული არიან, ხოლო დარგის მეწარმეებს მცირე კაპიტალი აქვთ და დაცალკევებული არიან, მაშინ მომხმარებელთა გავლენა მიზანშეწონილია არა ცალკეული საბანკო დარგების, არამედ მთლიანად საბანკო ბაზრის მიხედვით.

საბანკო მომსახურების გამყიდველები (განსაკუთრებით – კომერციული ბანკები) როგორც წესი, საკმაოდ მსხვილი სამეწარმეო ერთეულებია. მრავალი მათგანისთვის დაწესებულია საწესდებო კაპიტალის საკმაოდ მაღალი მინიმალური დონე. მათი კონცენტრაციის ხარისხი ხშირად უფრო მაღალია, ვიდრე საბაკო მომსახურების მომხმარებლებისა, ამასთან, ზოგიერთი არასაბანკო საფინანსო საკრედიტო ინსტიტუტის (რეგისტრატორები, კონსულტანტები) სიდიდე მცირეა, მაშინ, როდესაც ცალკეულ კლიენტებს გიგანტური მასშტაბები შეიძლება ჰქონდეთ. ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევასთან ერთად მომხმარებელთა ფინანსური მდგომარეობა და კონცენტრაციის ხარისხი გაიზრდება.

ფინანსური მომსახურების გამყიდველები თანამედროვე პირობებში მიდრეკილებას ავლენენ ნაირგვარი გაერთიანებების ორგანიზაციებისკენ (ასოციაციები, კავშირები, კონსორციუმები და ა. შ.), მაგრამ ისინი აცნობიერებენ გაერთიანების საჭიროებას საკუთრი უფლებების დაცვის საქმეში.

**მომხმარებელთა დენადობა** – გამოხატავს ბაზარზე ახალი მყიდველების გამოჩენის სისწრაფეს. რაც უფრო მაღალია ამ მაჩვენებლის დონე, მით უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს რეკლამა.

**მომხმარებელთა ინფორმირებულობის დონე.** რაც უფრო მეტად ინფორმირებულები არიან მომხმარებლები კონკურენტების მომსახურების შესახებ, მით უფრო მგრძნობიარედ ეკიდებიან ისინი მომსახურების ფასებსა და ხარისხს. საბანკო მომსახურების მომხმარებელთა ინფორმირებულობა ჯერ კიდევ ერთი თანრიგით უფრო დაბალია, თანაც ყველაზე უფრო დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობა.

**მომხმარებელთა კონვერსიის ხარჯების დონე** – რაც უფრო დაბალია კონვერსიის ხარჯები, მით უფრო დიდია სუბსტიტუტებისკენ მომხმარებელთა გადახრის ალბათობა. მომხმარებელთა გადართვა საბანკო მომსახურების მწარმოებელთა ერთი ჯგუფიდან მეორეზე გარკვეულ ორგანიზაციულ დანახარჯებს იწვევს. თუმცა, სასაქონლო ან საბიუჯეტო კრედიტით სარგებლობა არ ნიშნავს საბანკო კრედიტზე უარის თქმას და საბანკო ბაზრის ინსტიტუტებთან ჩამოყალიბებული ურთიერთობების რღვევას, ე.ი. არ განაპირობებს კონვერსიის არავითარ ხარჯებს.

**მომხმარებელთა მიზიდვისა და შენარჩუნების პროცესი** – მომხმარებელთა ეფექტიანი მიზიდვა მათთან ურთიერთობის განვითარება და შენარჩუნება.

**მომხმარებელთა მობილურობა, სუბსტიტუტებზე ორიენტაციის აღებისკენ მათი მიდრეკილება** – რაც უფრო მობილურები არიან მომხმარებლები, მით უფრო მეტია სუბსტიტუტების

მხრიდან წამოსული საფრთხე. საკრედიტო-ფინანსურ ორგანიზაციებსა და მათ კლიენტებს შორის საბაზრო ურთიერთობები ჩვენში ამ ბოლო ხანას ჩამოყალიბდა, საბჭოთა პერიოდში კი საბანკო დაწესებულებების შერჩევის თავისუფლება არ არსებობდა. ამის შედეგად საბანკო მომსახურების მომხმარებელთა მობილურობა დღეს შედარებით ნაკლებია, თუმცა ყოველწლიურად მატულობს. საბანკო ბაზარზე სუბსტიტუტების მხრიდან მომდინარე საფრთხე მთლიანობაში მნიშვნელოვანი არაა. მისი უგულვებელყოფა ყველა დარგშია შესაძლებელი, გარდა დაკრედიტებისა და ირიბი დაკრედიტებისა.

**მომხმარებელთა საკუთარი პროდუქციის ან მომსახურების ხარისხის დამოკიდებულება დარგის პროდუქციაზე** – დიდი დამოკიდებულების შემთხვევაში მომხმარებლები თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე საწარმოს დარგებთან (ამ შემთხვევაში ფინანსურ ინსტიტუტებთან) და არსებითი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ საბაზრო პირობებზე. რაც უფრო ნაკლებია ეს დამოკიდებულება, მით უფრო მეტია მომხმარებელთა გავლენა.

საბანკო მომსახურება, როგორც ასეთი, შემადგენელ ელემენტებად არ შედის ნებისმიერი სხვა დარგის პროდუქტებში. ცხადია არსებობს ისეთი საწარმოები, რომელთათვისაც ხარისხიან საბანკო მომსახურებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აქ იგულისხმება, მაგალითად, ნაირგვარი შუამავლები, რომლებსაც უზადო საანგარიშსწორებო მომსახურება ესაჭიროებათ. თუმცა მთლიანობაში, უმრავლესი საწარმოების წარმოების შედეგების ხარისხის დამოკიდებულება საბანკო მომსახურებაზე დიდი არაა.

**მომხმარებელთა სუვერენიტეტი** - სამომხმარებლო სამართლით განმტკიცებული სუვერენიტეტი, რომელიც სამართლის დამოუკიდებელი მიმართულებაა და წარმოადგენს ნორმების, წესების და ინსტრუქციების ერთობლიობას,

რომელთა მიზანია საქონლისა და მომსახურების ბაზარზე მომხმარებელთა დაცვა.

**მომხმარებელთა ქცევა** – 1. როგორც მარკეტინგის სფერო, სწავლობს ცალკეული მყიდველების, მყიდველთა ჯგუფების და ორგანიზაციების მიერ საქონლის მომსახურებას იდეის ან შთაბეჭდილებათა ამორჩევის, შეძენის, გამოყენებისა და ლიკვიდაციის პროცესს თავიანთ საჭიროებათა და სურვილების დაკმაყოფილებისათვის; 2. მომხმარებელთა რეაქცია პირობათა კომპლექსზე, რომლებიც აყალიბებენ მის მოტივაციას ყიდვის ობიექტს და მიზნებს, დროის, ყიდვის ადგილის, გაყიდვების ორგანიზაციის და სერვისული მომსახურების მიმართ.

**მომხმარებელთა შეკვეთების მომსახურების ხარისხი** – კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება ვარირებადი პარამეტრების ერთობლიობით. ამ პარამეტრებიდან უმნიშვნელოვანეს წარმოადგენს: საწარმოს ლოგისტიკური სისტემის უნარი უზრუნველყოს მომხმარებლისათვის საჭირო პროდუქციის მიზიდვა განპირობებულ დროში და მოთხოვნილ ადგილზე, სისტემის უნარი უზრუნველყოს შეკვეთების შესრულების საჭირო დონე, ლოგისტიკური მომსახურების ციკლის ხანგრძლივობა, შესრულებაზე შეკვეთის დაყენების მოცდის დროის ჩათვლით.

**მომხმარებელთან ურთიერთობათა მარკეტინგი.** ამ შემთხვევაში ყურადღების გადატანა ხდება მომხმარებლებთან (კლიენტებთან) გრძელვადიან, ურთიერთხელსაყრელ ურთიერთობებზე.

**მომხმარებლებთან უკუკავშირის მეთოდი** გულისხმობს მომხმარებელთა რეაქციის შესწავლას შეთავაზებულ სარეკლამო მიმართვაზე.

**მომხმარებლებთან ურთიერთქმედების მართვის პროცესი** – საქმიანობის ყველა სახე, რომლებიც მიმართულია თითოეული კლიენტის უფრო სრულ გაგებაზე, მასთან

ურთიერთმოქმედების მოწესრიგებაზე და ინდივიდუალური სასაქონლო მიწოდების დამუშავებაზე.

**მომხმარებლები** – არიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ყიდულობენ და მოიხმარენ მოცემული საწარმოს საქონელს.

**მომხმარებლების მონაცემთა ბაზები** – გაყიდვების შესახებ ინფორმაციის შეგროვების ნაცვლად იქმნება მონაცემთა გაფართოებული ბაზები ინდივიდუალური მომხმარებლების შესყიდვების, მათი სურვილების, დემოგრაფიული მონაცემების და მოგების შესახებ. შესაბამისი მონაცემების საფუძველზე ფირმები ავლენენ მომხმარებელთა მოთხოვნილებების სხვადასხვა ზონას და ახდენენ თითოეული მათგანისათვის მიწოდების დიფერენცირებას.

**მომხმარებლებისა და მწარმოებლების კონვერსიის ხარჯების თანაფარდობა** – მომხმარებლების კონვერსიის ხარჯები ის დანახარჯებია, რომლებიც მომწოდებლის შეცვლას უკავშირდება. მომხმარებლების გავლენა მაშინ იქნება მნიშვნელოვანი, თუკი მიმწოდებლებთან მათი ურთიერთობების გაწყვეტა მათზე უფრო ნაკლებად იმოქმედებს ვიდრე მომწოდებლებზე. აღსანიშნავია, რომ ბანკის კლიენტების შეცვლა ძირითადად ხდება ,,ახალი“ ბანკისაგან სარფის მიღების მოლოდინით. გარდა ამისა, თანამედროვე პირობებში ჩვეულებრივი ხდება ხოლმე იმგვარი ვითარება, როდესაც კლიენტები ერთდროულად რამდენიმე ბანკის მომსახურებით სარგებლობენ.

**მომხმარებლის (მყიდველის)** – ცხოვრებაში განასხვავებენ ოჯახების ოთხ სახეს. დამრიგებელი (მაორიენტირებელი) ოჯახი შედგება ინდივიდის მშობლებისა და მისი ნათესავებისაგან. მასში ყალიბდება რელიგიური რწმენა, განისაზღვრება ინდივიდის სასიცოცხლო მიზნები, სიყვარულის გრძნობა. თუ ადამიანი მშობლებთან შედარებით იშვიათ ურთიერთობაშია, მათი გავლენა მის ქცევაზე შეიძლება დარჩეს მნიშვნელოვანი; განსაკუთრებით არსე-

ბითია გავლენა იმ ქვეყნებში, სადაც მშობლები ტრადიციულად ცხოვრობენ ერთ ოჯახად მოზრდილ შვილებთან ერთად. ამავე დროს დამრიგებელი ოჯახის გავლენა მეტწილად ირიბი ხასიათისაა, პირდაპირ გავლენას მომხმარებლის ქცევაზე ახდენს მისი დამოყვრებული (დანათესავებული) ოჯახი ცოლქმარი და შვილები.

**მომხმარებლის 4"C"** (sofution) – მომსახრების გადაწყვეტილება (customer), მყიდველის ხარჯები (customer cost), მოხერხებულობა (conveinience), კომუნიკაციები (communication). იგი შეესაბამება „მარკეტინგ მიქსს" (4p).

**მომხმარებლის დანახარჯები** – შესყიდვის ფასი და საექსპლუატაციო დანახარჯები საქონლის სამსახურის ვადის პერიოდში.

**მომხმარებლის მუდმივი ღირებულება.** ცალკეული გარიგებებით მიღებული მოგებიდან გადასვლა მოგების მიღებაზე ხორციელდება მომხმარებლის სასიცოცხლო ციკლის საქმიანობის მართვის გზით. ზოგიერთი ფირმა სთავაზობს თავის კლიენტებს საქონლის რეგულარულ მიწოდებას შემცირებული ფასებით (ფასდაკლებით), რამდენადაც იგი დარწმუნებულია, რომ ეს ხელს შეუწყობს მომხმარებლებთან ხანგრძლივ ურთიერთობათა დამყარებას.

**მომხმარებლის უნარი, დარგის პროდუქციის გარეშე გაიტანოს თავი.** რაც უფრო ძლიერია ეს უნარი, მით მეტი გავლენა აქვთ მომხმარებლებს. მთელ რიგ მომსახურებაზე უარის თქმის ალბათობა მომხმარებლებში მაღალია. კომერციულ ბანკებს და ბაზრის სხვა ინსტიტუტებს ჯერ კიდევ წინა აქვთ მათზე მოთხოვნის ჩამოყალიბება. ამასთან დაკრედიტებაზე და საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურებაზე უარის თქმა კლიენტებს არსებითად არ შეუძლიათ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საბანკო მომსახურებას არა აქვს კონკურენტუნარიანი შემცვლელები, დიდი არაა საბანკო მომსახურებაზე უარის თქმის შესაძლებლობა, ეს კი ამაღლებს საბანკო სფეროს მომზადებას მეწარმეებისათვის.

**მომხმარებლის წილი.** ბაზრის წილის გაფართოება იცვლება მომხმარებელთა რიცხვის გაზრდით. ამისთვის ფირმები სთავაზობენ აქტუალურ მყიდველებს (მომხმარებლებს) საქონლის გაფართოებულ ასორტიმენტს, ასწავლიან პერსონალის დამატებითი საქონლის გაყიდვის ან გასაღების გადიდების მეთოდებს.

**მონათესავე საწარმო** – იურიდიული პირის შვილობილი და კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო, აგრეთვე მისი მაკონტროლებელი პირები და მათი შვილობილი და კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები.

**მონდომებულები –** ადვილად ექცევიან ტენდეციების გავლენის ქვეშ, უყვართ მხიარულება, მათი შესაძლებლობები, შეზღუდულია სახსრებით. უპირატესობას ანიჭებენ სტილის (სტილიან) საქონელს.

**მონეტარიზაციის კოეფიციენტი** – განისაზღვრება M2 ფულის დამოკიდებულებით ერთობლივ პროდუქტთან და ახასიათებს ფულადი ბრუნვის შედარებითი უზრუნველყოფა საგადამხდელო საშუალებებით.

**მონეტარიზმი** – 1. ფულის მიმოქცევაში რაოდენობრივი თეორია, რომლის მიხედვით განსაზღვრავენ ბრუნვაში მოქცეული ფულის რაოდენობის გავლენას ფასების დონეზე. დინამიკაში არსებულ პროპორციულობას; 2. (monetarism) - ერთ-ერთი ძირითადი მაკროეკონომიკური თეორია, რომელიც იკვლევს ფულის მრავალწახნაგოვან ასპექტებს და მის გავლენას ეროვნულ ეკონომიკაზე. მონეტარული თეორიის წარმომადგენლები (მ. ფრიდმენი, ფ. კეიგანი, ფ. ჰაიკი და სხვ), იცავენ დებულებას ეკონომიკური სისტემის თვითრეგულირების შესახებ, ხოლო ეკონომიკის არასტაბილურობას ფულადი სისტემის მერყეობით ხსნიან.

ტერმინი მონეტარიზმი შემოიღო კარლ ბრუნერმა 1968 წელს და ჩვეულებრივ, გამოიყენება იმ შეხედულებების გამოსახატავად, რომლის მომხრეებიც თვლიან, რომ ერთობლივი ფულადი შემოსავლის დონის ცვლილებას

ძირითადად განაპირობებს ფულადი მასის მოცულობის ცვლილება.

მონეტარიზმის ფუძემდებლად აღიარებულია მილთონ ფრიდმენი, რომელმაც თავის ნაშრომებში, „ფულის რაოდენობრივი თეორია. ახალი ფორმულირება“, „ფულის მიმოქცევის ისტორია აშშ-ში 1867-1960 წლებში“ (ა. შვარცთან ერთად) – დაასაბუთა ფულის ახალი როლი თანამედროვე ეკონომიკაში, ფულად-საკრედიტო რეგულირების პრიორიტეტი ეკონომიკის სტაბილიზაციაში.

მონეტარიზმი ფულის რაოდენობრივი თეორიის სახეშეცვლილი ვარიანტია. მისი არსი გამოიხატება შემდეგში: ფული საბაზრო მეურნეობის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს წარმოების დინამიკასა და ფასების დონეზე. ამიტომ ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის საკმარისია სახელმწიფომ გაატაროს აქტიური ფულადი პოლიტიკა და არ გამოიყენოს საბიუჯეტო-საგადასახადო ბერკეტები. ცენტრალურმა ბანკმა ზემოქმედება უნდა მოახდინოს ფულად მიწოდებაზე. ფულადი მასის მატების ტემპი წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 3-5%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო მეწარმეობის მექანიზმი დაინგრევა და ინფლაცია გაიზრდება. ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედება შემოიფარგლება ფულადი მასის მუდმივი ზრდის ტემპების შენარჩუნებით.

მონეტარიზმი დაუპირისპირდა კეინზიანელობას და იგი „ანტიკეინზიანურ რევოლუციად“ არის აღიარებული. ფრიდმენი და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა წარმომადგენლები, კეინზისგან განსხვავებით, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგნი არიან. მათი აზრით, სახელმწიფოს სოციალური დანახარჯები, ერთ მხრივ ზრდის ბიუჯეტის დეფიციტსა და ინფლაციას, მეორე მხრივ, შრომის სტიმულირების დაცემით აქვეითებს წარმოების ეფექტიანობას. მონეტარისტებისათვის ეკონომიკა, პირველ

ყოვლისა, არის ბაზარი, ხოლო ბაზარი-თვითრეგულირებადი სისტემა, რომელზეც ზემოქმედება შესაძლებელია უპირატესად ფულადი მასის მოცულობის რეგულირებით.

XX საუკუნის 90-იანი წლების II ნახევრიდან მონეტარიზმი საფუძვლად დაედო აშშ-სა და მსოფლიო მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. ბოლო პერიოდში მონეტარული თეორიის ნაკლოვანებებმა თავი იჩინა მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში. გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს სწორედ მ. ფრიდმენის მონეტარულ თეორიას უკავშირებენ. ქვეყნის ფულად საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ, საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების იგნორირებამ, წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ, გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას და მსოფლიოს ფინანსური კრიზისისკენ უბიძგა, რასაც მოჰყვა ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და ერთობლივი მოთხოვნის დაცემა.

მონეტარიზმის „ინტელექტუალურმა კოლაფსმა“ კითხვის ქვეშ დააყენა ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა. ასეთ სიტუაციაში წინა პლანზე ისევ კეინზიანური თეორიის პოსტულატებმა წამოიწია.

**მონეტარული ოქრო** – ოფიციალური ოქროსა და ვალუტის რეზერვების ნაწილი, ოქრო სახელმწიფო საცავებში.

**მონოგრაფია –** (ბერძნული წარმოშობის) ვრცელი მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც დამუშავებულია ერთი რომელიმე თემა ან საკითხი.

**მონოპოლისტური კონკურენციის თეორია** – მონოპოლისტური ბაზრის თეორია, რომელიც იკვლევს სტრატეგიას, ტაქტიკას, ფორმებსა და ჯგუფური მონოპოლიების კონკურენციის შესაძლო შედეგებს თანამედროვე კაპიტალისტური მასობრივი წარმოების პირობებში.

**მონოპლანი –** (მონო ლათ. Planum-სიბრტყე) ერთფრთიანი თვითმფრინავი. მონოპლანებს განასხვავებენ ფიუზელაჟის

(კორპუსის) მიმართ ფრთების განლაგებისა და მასზე დამაგრების მიხედვით. თანამედროვე თვითმფრინავის ძირითადი ტიპია თავისუფლად მზარდი მონოპლანი.

**მონოპოლია** – (monopoly) (ბერძ. monos ერთი, pole ვყიდი) – 1. წარმოების, ვაჭრობის, რეწვის და ა.შ. განსაკუთრებული უფლება, რომელიც ეკუთვნის ერთ პირს, პირთა განსაზღვრულ ჯგუფს, ან სახელმწიფოს; 2. მსხვილ მეწარმეთა გაერთიანება, რომელიც წარმოიქმნება წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის საფუძველზე. მონოპოლიის ძირითადი სახეებია: კარტელი, სინდიკატი, ტრესტი, კონცერნი, კონსორციუმი, კონგლომერატი; 3. საბაზრო სიტუაცია, როდესაც ბაზარზე არის ერთსახოვანი პროდუქციის ერთი მწარმოებელი (გამყიდველი, მიმწოდებელი) და მრავალი მომხმარებელი, მყიდველი (საპირისპიროა-მონოფსონია). თუ ბაზარზე ერთი გამყიდველი და ერთი მყიდველია, მაშინ საქმე გვაქვს ორმხრივ მონოპოლიასთან. ასეთ სიტუაციას აბსოლუტურ მონოპოლიას უწოდებენ თუმცა, როგორც სრულყოფილი კონკურენცია, ასევე აბსოლუტური მონოპოლია არ გვხვდება რეალურ ცხოვრებაში.

**მონოპოლიზაცია** (monopolization) – მონოპოლიის დამყარების პროცესი.

**მონოპოლისტი** (monopolist) – 1. მონოპოლიის მფლობელი; 2. მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენელი.

**მონოპოლიურ ბაზარზე –** შესვლა ძალიან გაძნელებული ან დაბლოკილიც კია. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, აქაც შესვლის ბარიერები ყოველთვის გადაულახავი არაა. ბარიერების ხასიათზე და სიმაღლეზე დამოკიდებულებით განასხვავებენ სამი სახის მონოპოლიას: დახურულ, ბუნებრივ და ღია მონოპოლიას. დახურულია კონკურენციის იურიდიული აკრძალვით (მაგალითად, რეგისტრირებული პატენტებით) დაცული მონოპოლია. ბუნებრივი მონოპოლია იმ დარგში რჩება, რომელშიც გრძელვადიანი

საშუალო დანახარჯები მინიმალურია მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელ ბაზარს მხოლოდ ერთი ფირმა ემსახურება. მას საფუძვლად უდევს ეკონომია წარმოების მასშტაბზე.

**მონოპოლიური კონკურენცია** (monopolistic competion) – არასრულყოფილი კონკურენციის ფორმა. მონოპოლიური კონკურენციის თეორია შექმნეს ე. ჩემბერლინმა („მონოპოლიური კონკურენციის თეორია“, 1933) და ჯ. რობინსონმა („არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორია“, 1933).

ბაზრის ფაქტობრივი სტრუქტურა არ შეესაბამება მის უკიდურეს სიტუაციებს – მონოპოლიას სრულყოფილ კონკურენციას. ფირმები, რომლებიც აწარმოებენ მსგავს, მაგრამ არაიდენტურ პროდუქციას, მუშაობენ მონოპოლიური კონკურენციის პირობებში. პროდუქციის დიფერენციაცია ფირმებს ანიჭებს მონოპოლიური ძალაუფლების ელემენტებს – ყოველი მათგანისათვის მოთხოვნის მრუდს აქვს უარყოფითი დახრილობა, ამიტომაც ფირმას შეუძლია გავლენა მოახდინოს საბაზრო ფასზე. მაგრამ ზემოგების ხანგრძლივად მიღების შესაძლებლობა გამორიცხულია დარგის თავისუფლად შეღწევის გამო, ვინაიდან ახალ ფირმებს შეუძლიათ შეიმუშაონ და აწარმოონ ერთი და იმავე პროდუქციის სხვადასხვა მარკა ანალოგიური წარმოების დანახარჯების პირობებში. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მოკლევადიანი მოგება ქრება გრძელვადიან პერიოდში ახალი კონკურენტების წარმოქმნით.

**მონოპოლიური კონკურენციის თეორია** (theory of minopolition) – საბაზრო ქცევის მოდელი, შექმნილი ე. ჩემბერლინისა და ჯ. რობინსონის მიერ 1933 წელს, მის მიხედვით, ბაზრის ფაქტობრივი სტრუქტურა არ შეესაბამება თავისუფალი კონკურენციის ან მონოპოლიების უკიდურეს სიტუაციებს. მსგავსი, მაგრამ არაიდენტური პროდუქციის მწარმოებელი ფირმები მუშაობენ მონოპოლიური კონკურენციის პირობებში და შეუძლიათ საბაზრო ფასებზე აქტიური

ზემოქმედება, მაგრამ ზემოგების ხანგრძლივად მიღების შესაძლებლობა გამორიცხულია დარგში თავისუფალი შეღწევის გამო. აქედან გამომდინარე, მოკლევადიანი მოგება ქრება გრძელვადიან პერიოდში ახალი კონკურენციის წარმოქმნით.

**მონოპოლური მაღალი ფასი** გამოიყენება მონოპოლიათა მიერ საკუთარი საქონლის გასაყიდად, ხოლო მონოპოლიურად დაბალი – ნედლეულის შესაძენად.

**მონოპოლური რენტა** – სოფლის მეურნეობაში გარკვეულ პირობებში აღმოცენდება. მის წარმოშობას განაპირობებს მონოპოლიური ფასი, რომელიც აღემატება პროდუქციის ღირებულებას.

**მონოპსონია** (monopsony) – საბაზრო სიტუაციის ერთ-ერთი სახეობა, როდესაც ბაზარზე არის მრავალი გამყიდველი და ერთი მყიდველი. საპირისპიროა – მონოპოლია. თუ ბაზარზე არის რამდენიმე გამყიდველი და ერთი მყიდველი, მაშინ მონოპოლია შეზღუდულია.

**მორალური ცვეთა** – შრომის საშუალებების ღირებულების დაკარგვა მათი ტექნიკურ-საექსპლუატაციო თვისებების დაკარგვის ხარისხისაგან დამოუკიდებლად.

**მორალური ცვეთა** (obsolescence) – ძირითადი კაპიტალის ღირებულების შემცირება: ა) ტექნიკური პროგრესის საფუძველზე შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად; ბ) უფრო სრულყოფილი, ეკონომიკურად გაუმჯობესებული მანქანა-დანადგარების წარმოება, რის შედეგადაც მოქმედი მანქანა – დანადგარების დაძველება და წარმოებიდან განდევნა ხდება მათ ფიზიკურად გაცვეთამდე.

**მოსაკრებელი** გადამზიდველის ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ ამა თუ იმ მომსახურებაზე დაწესებული თანხა. ასე, მაგალითად, სააეროპორტო მოსაკრებლებს მიეკუთვნება: მოსაკრებელი აფრენა-დაფრენისათვის, მოსაკრებელი საავიაციო უსაფრთხოებისათვის, კომერციული მომსახუ-

რებისათვის, სამგზავრო მოსაკრებელი, მოსაკრებელი თვითმფრინავის ზენორმატიული დგომისათვის და ა.შ.

**მოსალოდნელი ინფლაციის დონე** (expected rate of inflation) – ინფლაციის დონე, რომელსაც მომავალი პერიოდისათვის ელოდებიან არსებული სოციალურ -ეკონომიკური ინფორ-მაციის საფუძველზე.

**მოსამსახურეები** – პერსონალის ნაწილი. მოსამსახურეები ასრულებენ ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა: ადამიანთა საქმიანობის ორგანიზაცია წარმოების მართვა, ადმინის-ტრაციულ-სამეურნეო და საფინანსო-საბუღალტრო საქ-მიანობის წარმართვა, კვლევითი მუშაობა, მომარაგება-გასაღებისა და იურიდიული საქმიანობის ორგანიზაცია და ა.შ. მოსამსახურეები, მათი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უმეტესად დაკავებული არიან გონებრივი ინტელექტუალური შრომით. მოსამსახურეებიდან გამო-ყოფენ შემდეგ ქვეჯგუფებს: 1. ხელმძღვანელები; 2. სპე-ციალისტები; 3. მომსახურეებს მიკუთვნებული სხვა მომუშავეები, რომლებიც ახორციელებენ შემდეგი სახის სამუშაოებს: დოკუმენტების მომზადება და გაფორმება, აღრიცხვა, კონტროლი, სამეურნეო მომსახურება (მოლა-რეები, საქმისმწარმოებლები, კომენდანტები) და ა.შ.

**მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება** – ხანდაზმული და მოხუცი ადამიანების წილის გადიდება მოსახლეობის საერთო რიცხვში. ყველაზე გავრცელებული სკალის შესაბამისად მოსახლეობა დაბერებულად ჩაითვლება, თუ 60 წლისა და მეტი ასაკის პირთა წილი 12%-სა და მეტს შეადგენს.

**მოსახლეობის სოციალური დაცვა** (social security, welfare) – კანონმდებლობით განმტკიცებული, ეკონომიკური, სა-მართლებრივი და სოციალური გარანტიების მიზნობრივი სისტემა, რომელიც მოქმედებს დესტაბილიზაციის ფაქტორების, პირველყოვლისა უმუშევრობის ინფლაციის, სიღატაკის წინააღმდეგ. იგი ისე უნდა აიგოს, რომ შრომის დემოტივაცია არ გამოიწვიოს.

**მოსახსნელი ძარა** (Swop body) – ტვირთის გადაზიდვის ერთეული, რომლის ზომები შეესაბამება ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაბარიტებს და რომელიც აღჭურვილია დატვირთვა – განტვირთვის მოწყობილობებით. ეს მოწყობილობები განკუთვნილია მის გადასაადგილებლად სხვადასხვა სახის ტრანსპორტს შორის, რის გამოც გადატვირთვის წესები მოქმედია საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტზე.

**მოსმენის უუნარობა**. საყოველთაოდ ცნობილია, რომ განათლების სისტემა უფრო მეტ ყურადღებას უთმობს კითხვისა და წერის კულტურას, ვიდრე მოსმენის უნარის გამომუშავებასა და განვითარებას. ბევრი ფიქრობს, რომ მოსმენისათვის საკმარისია წყნარად ყოფნა და ადამიანისათვის ლაპარაკის საშუალების მიცემა. ეს მოსმენის პროცესის მხოლოდ ერთ ფრაგმენტს წარმოადგენს. გამოკვლევები ადასტურებენ, რომ არც თუ იშვიათად, მმართველი ხელქვეითს მხოლოდ 25%-იანი ეფექტიანობით უსმენს. ხელმძღვანელის მოსმენის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის დაინტერესებულობაზე საკითხის ან იმ პირის მიმართ, ვინც შეკითხვა დასვა. მოსმენის უუნარობა შეიძლება არაკომპეტენტურობითაც იყოს გამოწვეული.

**მოტივაცია –** ეს პირადი მიზნებისა და ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის საკუთარი თავისა და სხვების სურვილის აღძვრის პროცესია.

**მოტივაცია** – მომუშავეთა უნარი, მოახდინონ რეაგირება მოტივატორებზე, ანუ გარე ფაქტორებზე, რომლებიც უღვივებენ მათ ინტერესს გარკვეული შრომითი ქცევისადმი, წარმოების მიზნების მისაღწევად მოტივები ძირითადად ეყრდნობა პირად მოთხოვნილებებსა და ინტერესებს.

**მოტივაცია** – საბაბი, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს სუბიექტის მოქმედებაზე.

**მოტივაცია** – პირადი და მთელი ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად საკუთარი თავისა და სხვების განწყობის პროცესია.

**მოტივაცია** – საკუთარი თავისა და სხვების სტიმულირება იმ საქმიანობისათვის, რომელიც მიმართულია ინდივიდუალური და ორგანიზაციის საერთო მიზნების მიღწევისაკენ.

**მოტივაცია.** მოტივაცია ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად ადამიანების, მომუშავეთა შესაძლებლობების მაქსიმალური მობილიზების პროცესია. ხელმძღვანელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ თუნდაც ბრწყინვალედ შედგენილი გეგმები და ორგანიზაციის ყოველმხრივ სრულყოფილი სტრუქტურა ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნება თუ ვინმე მასზე გაპიროვნებული სამუშაოს ვერ შეასრულებს. ამდენად, მოტივაციის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზაციის წევრებმა უნდა შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით.

**მოტივაცია შრომითი საქმიანობის** – შრომითი საქმიანობისადმი შემაგულიანებელი შინაგანი და გარეგანი მამოძრავებელი ძალების ერთობლიობა. იგი ამ საქმიანობას აძლევს განსაზღვრული მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ მიმართულებას.

**მოტივაციაში** – იგულისხმება ადამიანისათვის სამოქმედოდ ბიძგის მიცემა.

**მოტივაციის პრინციპი** – მისი არსი შემდგომში მდგომარეობს: მენეჯერები, რაც უფრო სრულად განახორციელებენ წახალისებისა და დასჯის უფლებამოსილებას, მოტივაციის პროგრამა მით უფრო ეფექტიანი იქნება.

**მოტივაციის სიტუაციური თეორია** – მოტივაციის მოდელი, დაფუძნებული მოსაზრებაზე, რომ ადამიანის ქცევა წარმოადგენს მისი მოთხოვნილებების ფუნქციას და რომ, ამასთანავე, ქცევა არის ადამიანის მიერ ამა თუ იმ სიტუაციის აღქმისა და ქცევის რომელიმე ტიპის ამორჩევის შედეგების ფუნქციაც.

**მოტივაციის შინაარსობრივი თეორია** – მოტივაციის თეორია, დაფუძნებული მცდელობაზე. პირველ რიგში განისაზღვროს ის მოთხოვნილებები, რომლებიც ადამიანებს აიძულებენ იმოქმედონ. ასეთი თეორიები შექმნეს ა. მასლოუმ, ფ. ჰერცბერგმა და დ. ნაკკლელანდმა.

**მოტივაციის შინაარსობრივი თეორიები** წარმოდგენას გვიქმნიან იმ მოთხოვნილებებზე, რომლებიც ადამიანებს ამა თუ იმ სახის მოქმედების სურვილს აღუძრავენ.

**მოტივები** – შინაგანი მისწრაფებები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის შრომითი ქცევის მიმართულებას და მის ფორმებს. ერთსა და იმავე ქცევას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მოტივაციური საფუძველი. მოტივაცია ადამიანის ქცევასა და მის შესაძლებლობათა რეალიზაციის მთავარი ფაქტორია.

**მოტივი** – სურვილის აღმძრავი მიზეზი, რომელიც აიძულებს ადამიანს ეძებოს მისი დაკმაყოფილების გზები და საშუალებები. მოტივი შრომის მთავარი ფაქტორია.

**მოქმედებათა პროგრამები** – მარკეტინგის გეგმამ უნდა მოიცვას საერთო (ზოგადი) პროგრამები, რომლებიც მიმართულია ფირმის მიღწევაზე და პასუხის გასაცემად კითხვებზე: რა გაკეთდება? როდის იქნება მზად? ვინ გააკეთებს? რამდენი ეღირება?

**მოქმედებები, რომლებიც ემყარება გადაწყვეტილებათა მიღების მოდელებს.** ხდება გადასვლა ინტუიციის საფუძველზე გადაწყვეტილებათა მიღებიდან გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ემყარება ბაზრის ფუნქციონირების ანალიზის მოდელებსა და შედეგებს.

**მოქმედების ლაგი** (action lag) – დროის შუალედი პოლიტიკურ გადაწყვეტილებისა (განსაკუთრებით მიკროეკონომიკაში) და მის განხორციელებას შორის. ჩვეულებრივ მოქმედების ლაგს წინ უძღვის გადაწყვეტილების ლაგი. ეს უკანასკნელი პოლიტიკური ლაგის შემადგენელი ნაწილია.

**მოქმედების ობიექტური სფერო** აკონკრეტებს მიზნის შინაარსს ლოგისტიკური საქმიანობის ველის მიმართ, რომლისთვისაც რეალიზებული უნდა იქნას მოცემული მიზანი.

**მოქნილი ვალუტის კურსი** (flexible exchange rate) – სხვადასხვა ქვეყნის ვალუტების გაცვლითი კურსის განსაზღვრის სისტემა, რომლის დროსაც ვალუტის კურსი ყალიბდება უმთავრესად საბაზრო ძალების ზემოქმედებით, ე.ი. მოთხოვნა – მიწოდების საფუძველზე და არა სახელმწიფოს მიერ. ზოგჯერ მას მცურავი ვალუტის კურსის სისტემასაც უწოდებენ. როდესაც სახელმწიფო უარს ამბობს ვალუტის კურსის ფუნქციონირებაში ამა თუ იმ სახით ჩარევაზე, ამ სისტემას მცურავი ვალუტის კურსის წმინდა სისტემას უწოდებენ.

**მოქნილი ლოგიკური სისტემა** – სისტემა, რომელშიც მატერიალური ნაკადის დაყვანა მომხმარებლამდე ხორციელდება, როგორც პირდაპირი კავშირებით, ისე შუამავლების მონაწილეობითაც.

**მოქნილი ფასი** (flexible prices) – ფასი, რომელიც ადვილად იცვლება ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებისას.

**მოქცევის პორტი** – პორტი რომელში შეცვლაც შესაძლებელია მხოლოდ მოქცევის დროს.

**მოცულობითი ერთეულების რიცხვი** – რომელთა გამოყენებისათვის გადაეხდევინებინა განაკვეთი რომელიც დადგენილია სმ$^3$ ტვირთის გადაზიდვისათვის, ჩვეულებრივ ეს რიცხვი შეადგენს 30-50 კუბურ ფუტს.

**მოცულობითი ტონა** – ჩვეულებრივ გენერალური ტვირთების გაზომვის ერთეული, რომელიც ტოლია 40 კუბ. ფუნტის მასიური ანდა მოცულობითი ტონის მიხედვით. გაანგარიშების უფლება, როგორც წესი, ეკუთვნის ტვირთმფლობელს.

**მოცულობის პოლიტიკა** – კომერციული ბანკის მოცულობის პოლიტიკის მიზნით ფასზე გავლენის მოხდენა საბანკო პროდუქტების მოცულობის მეშვეობით მისი ღონისძიე-

ბების (მაგალითად, ხელოვნურად შექმნილი დეფიციტის) შედეგი შეიძლება გახდეს მოთხოვნის ხელოვნურად გადიდება და ფასების სასურველი აწევა. მოცულობის პოლიტიკას კომერციული ბანკისთვის ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ასორტიმენტულ პოლიტიკას.

**მოძრავი გამოფენები** – ეწყობა სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებით. მათი მიზანია რაც შეიძლება მეტი დამთვალიერებლის მიზიდვა.

**მოძრავი ფასი** – ეწოდება კონტრაქტის გაფორმების პროცესში დაფიქსირებულ ფასს, რომელიც შეიძლება გადაისინჯოს საქონლის მიწოდების მომენტში არსებული საბაზრო ფასების შესაბამისად.

**მოძრაობის უნარიანობა** – სიჩქარე, რითაც გარემოში ცვლილებები ხდება (რაც უფრო ინტენსიურია ისინი, მით უფრო მეტი მოცულობის ინფორმაცია უნდა გააჩნდეს მენეჯმენტს და ახდენს მათ ოპერირებას). გარემოში მოძრაობის უნარიანობა გააჩნია მკაცრი დარგობრივი ორიენტაციით. მაღალი მოძრაობის უნარიანობით ხასიათდება კომპიუტერული ტექნოლოგია, ბიოინჟინერიის, ელექტრონიკის, მსუბუქი მრეწველობის გარემოებები; ნაკლებად მოძრაობის უნარიანობა უფრო კონსერვაციულია კვების მრეწველობის, პოლიგრაფიის, ავეჯის წარმოების და ა. შ. გარემოებით. გარდა ამისა, გარემოთა მოძრაობის უნარიანობა გავლენას ახდენს მის ფაქტორთა ურთიერთდაკავშირებულობაზე.

**მოწმობა რაიონის დასახელების შესახებ** განკუთვნილია მასში მითითებული საქონლისა და რაიონში მიღებული დასახელების შესაბამისობის დასადასტურებლად (მაგალითად შამპანიური, პორტვეინი და ა.შ.). იგი გაიცემა ხელისუფლების ან უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

**მოწმობა საქონლის ხარისხის კონტროლის შესახებ** კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს მასში აღწერილი საქონლის შესა-

ბამისობას ეროვნულ ან საერთაშორისო სტანდარტებთან ან იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობასთან, ან კონტრაქტის პირობებთან.

**მოწყობილობებითა და ნაგებობებით დატვირთვა - განტვირთვა** – შენახვისა და სხვა ოპერაციები სატრანსპორტო საშუალებითა და ტვირთებით.

**მოწყობილობის ლიზინგი** – ბანკს შეუძლია შესთავაზოს თავის კლიენტს მოწყობილობის შეძენა სალიზინგო შეთანხმების საშუალებით, რომლითაც ბანკი ყიდულობს მოწყობილობას და არენდით გადასცემს მას კლიენტს. დადებული ხელშეკრულების შესაბამისად კლიენტი ვალდებულია შეიტანოს სალიზინგო გადასახდელები, რომლებიც საბოლოო ჯამში მთლიანად ფარავენ ბანკის მიერ შესყიდული და არენდით გადაცემული მოწყობილობის ღირებულებას.

**მოხალისე ექსპერტთა საერთაშორისო კორპუსი (მესკ)** (International Corpsof Volunteers Experts) – არაკომერციული და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია მრავალმხრივი დახმარება გაუწიოს სუსტად განვითარებულ ქვეყნებს სოციალურ ეკონომიკურ სფეროში. მესკ შეიქმნა 1969 წელს და ამჟამად 12000-ზე მეტ ექსპერტ-სპეციალისტს ითვლის. მას აფინანსებენ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები, 200-ზე მეტი უმსხვილესი კორპორაცია და სხვ. მესკ ეხმარება კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებს, განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, განათლების დაწესებულებებს, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლაში. იგი აფინანსებს ეკონომიკის განსაზღვრულ დარგებში პროგრესის დაჩქარების პროექტებს. მნიშვნელოვანია მესკ-ის საქმიანობა მარკეტის სფეროში. იგი ინვესტიციებით დიდად უწყობს ხელს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. მესკ-მა საქართველოსთან თანამშრომლობა დაიწყო 1993 წლის ივლისიდან.

**მოხმარება** (consumption) – კვლავწარმოების ციკლის ბოლო სტადია, საქონლისა და მომსახურების გამოყენების

პროცესი წარმოებრივი და არაწარმოებრივი (საბოლოო) მოხმარების სახით.

**მოხმარების საგნებისა და სამომხმარებლო მომსახურების ბაზარი.** აქ ბანკები გამოდიან როგორც ფინანსური შუამავლები (სესხების გაცემა სამომხმარებლო მიზნით) ზოგჯერ კი – როგორც მყიდველებიც.

**მოხმარების ფონდი –** სუფთა მოგებიდან ანარიცხების მეშვეობით იქმნება და იგი დივიდენდების (სააქციო საზოგადოებებში) ერთდროული წახალისების, მატერიალური დახმარების, დამატებითი შვებულების ანაზღაურების, კვების, ტრანსპორტში მგზავრობის და სხვა მიზნების ასანაზღაურებლად მიიმართება.

**მრავალეროვანი კორპორაცია –** ფირმა, რომელიც ფლობს და მართავს ორ, ან მეტ ქვეყანაში განლაგებულ საწარმოებს.

**მრავალმილიონიანი ლიზინგი** გადასახადებისაგან დაცული ისეთი ქონების ლიზინგია, როგორიცაა მთელი საწარმოები, უნიკალური მოწყობილობების კომპლექტში და ა.შ.

**მრავალმხრივი სავალუტო-საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციები** – ორგანიზაციებია, რომლებიც სულ უფრო შესამჩნევ როლს ასრულებენ მსოფლიო ეკონომიკაში და წარმოადგენენ ფორუმს განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნებს შორის სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობის მოგვარებისთვის.

**მრავალმხრივი სავაჭრო – ეკონომიკური ორგანიზაციები** - ორგანიზაციები, რომლებიც ამუშავებენ და ახორციელებენ სავაჭრო-პოლიტიკურ და სხვა ამოცანებს საერთაშორისო ვაჭრობის დარგში. მსოფლიო სავაჭრო ნაკადების ფორმირებაში ძირითად როლს ასრულებს სავაჭრო ორგანიზაციათა შედარებით მცირე წრე: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ), გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონცეფცია, საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავაჭრო პალატა.

**მრავალნაბიჯიანი მეთოდი** ითვალისწინებს, შემოსავლების შესახებ ანგარიშგებაში ძირითადი საქმიანობა, საგადასახადო გადახდები, კომპანიის ფილიალების ოპერაციები ცალ-ცალკე იყოს მითითებული, რომელთა ანგარიშგება მის საკუთარ ანგარიშებში და სხვა მსგავს მაჩვენებლებში კონსოლიდირებული არ არის. სწორედ ამით აიხსნება აღნიშნული ხერხის სახელწოდება. მრავალნაბიჯიანი რადგანაც, მთლიანობაში კორპორაციის სუფთა მოგების მისაღებად, რამდენიმე წინასწარი ნაბიჯის გაკეთება, ანუ საქმიანობის ცალკეული სახეობების მიხედვით სწორედ შუალედური ჯამების გაანგარიშება არის საჭირო.

**მრავალფეროვან ფაქტორთა ერთობლიობა** (მოვლენები, პროცესები, საორგანიზაციო სტრუქტურები, პარტიები, საზოგადოებები, პრიორიტეტები), რომელზედაც დამოკიდებულია ბანკის მენეჯმენტის მდგომარეობა და მიზანდასახულობათა რეალიზაცია, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საბანკო მენეჯმენტის „გარემო“.

**მრავალფუნქციური ტერმინალური კომპლექსი** – ეს არის სატრანსპორტო-საექსპედიციო საწარმოები, რომლებიც ასრულებს სატრანსპორტო – გამანაწილებელი ლოგისტიკური ცენტრის ფუნქციებს გასაწევი მომსახურების ფართო სპექტრით გადაზიდვის, ტვირთგადამუშავების, შენახვის, კლიენტურის სერვისული და კომერციულ-საქმიან მომსახურებას და წარმოადგენს საინჟინრო-ტექნიკურ მოწყობილობებისა და ნაგებობების კომპლექსს თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით.

**მრავალფუნქციურობის პრინციპი** – მოიცავს საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს: მატერიალურს (რესურსები, მომსახურება), ფუნქციონალურს (შრომის ორგანიზაცია), ინტელექტუალურს (საბოლოო მიზნის მიღწევა).

**მრეწველობა** (industry) – გაეროს საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციისა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით, ეკონომიკის მეორეული სექტორის - ინდუსტრიის უმსხვილესი შემადგენელი ნაწილი, რომე-

ლიც თავის მხრივ, იყოფა მოპოვებით და გადამმუშავებელ მრეწველობად.

**მრეწველობის გასაყიდი ფასი** – მოიცავს საწარმოს გასაყიდ ფასს, დამატებულ ღირებულებაზე გადასახადს (დღგ) და აქციზებს.

**მსესხებელი კრედიტის** გამოყენებაზე იხდის გარკვეულ თანხას. მსესხებლის მიერ კრედიტორისათვის გადახდილ თანხას კრედიტის ღირებულება ეწოდება. მისი ძირითადი ელემენტია წლიური საპროცენტო განაკვეთი რომელიც ერიცხება დაუფარავი ვალის ნაწილს.

**მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება** – ბანკის მიერ კლიენტზე კრედიტის მიწოდების შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის, აგრეთვე ძირითადი ვალისა და პროცენტების თანხების დაბრუნების შესაძლებლობის თვალსაზრისით კომპლექსურ შეფასებაში მდგომარეობს. ბანკის მიერ მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრა-რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების კომპლექსური პროცესია, რომლის მიზანი კრედიტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაციული ბაზის შექმნაში გამოიხატება.

**მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებას** უწოდებენ მისი ეკონომიკური მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესწავლასა და შეფასებას.

**მსოფლიო ბაზარზე** გამოყოფენ სამ უმსხვილეს ბაზარს: საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარი, კაპიტალის მსოფლიო ბაზარი და შრომის მსოფლიო ბაზარი. ისინი ჩამოყალიბებულია ზენაციონალურ დონეზე.

**მსოფლიო ბაზარზე** ცალკეული საქონლის უმეტესი ნაწილის რეალიზაცია შეუძლია მსოფლიო წარმოებაში საკმაოდ მცირე ხვედრითი წონის მქონე ქვეყანას.

**მსოფლიო ბაზარი** (World market) – საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო გაცვლის სფერო, რომელიც ეფუძვნება შრომის საერთაშორისო დანაწილებას. იმ ქვეყნების ბაზრების ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთთან არიან

დაკავშირებულნი სასაქონლო-ეკონომიკური ურთიერთობებით. მსოფლიო ბაზარმა წინამძღვრებში შექმნა მსოფლიო მეურნეობის წარმოშობისათვის. მსოფლიო ბაზრის განვითარების დონე გამოხატავს წარმოების ინტერნაციონალიზაციის დონეს.

**მსოფლიო ბაზარი** – ქვეყნის შიდა ბაზრებისაგანაა წარმოებული. იგი სავაჭრო-ეკონომიკური და საკრედიტო-ფინანსური ურთიერთობების დაკავშირებული ცალკეულ ქვეყანათა ეროვნული ბაზრის ერთობლიობაა.

**მსოფლიო ბაზრის** კონიუნქტურის შესწავლა წარმოებს ორ ძირითად ჭრილში: 1. ცალკეული ქვეყნის ან მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა (მას საერთო სამეურნეო კონიუნქტურას უწოდებენ) და 2. სასაქონლო ბაზრებზე არსებული მდგომარეობის ანალიზი (სასაქონლო ანუ საბაზრო კონიუნქტურა).

**მსოფლიო ბანკი** (World Bank) – აერთიანებს გაეროს სისტემაში შემავალ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციის ხუთ ჯგუფს. ესენია: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (აერთიანებს 185 ქვეყანას), განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (აერთიანებს 166 ქვეყანას), საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (აერთიანებს 179 წევრ-ქვეყანას), მრავალმხრივი ინვესტირების გარანტიის სააგენტო (აერთიანებს 172 ქვეყანას) და საინვესტიციო დავების გადაჭრის საერთაშორისო ცენტრი (აერთიანებს 143 ქვეყანას). ამ ხუთ ჯგუფს ჰყავს საერთო ხელმძღვანელობა და აქვს საერთო მიზანი – განვითარებადი ქვეყნების ფინანსური დახმარება და ცხოვრების დონის ამაღლება. საქართველო ხუთივე ჯგუფის წევრია.

**მსოფლიო ეკონომიკა (მსოფლიო მეურნეობა)** – ფართო განსაზღვრებით - მსოფლიო ყველა ეროვნულ ეკონომიკათა ერთობლიობა, ვიწრო განსაზღვრებით - ეროვნულ ეკონომიკათა მხოლოდ იმ ნაწილის ერთობლიობა, რომელიც გარე სამყაროსთან ურთიერთმოქმედებენ.

**მსოფლიო მეურნეობა** (World economy) – მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეროვნულ მეურნეობათა ერთობლიობა, მათი ეკონომიკური ურთიერთკავშირი, რომელიც მოიცავს საგარეო ვაჭრობას, კაპიტალის გატანას, სამუშაო ძალის (შრომითი რესურსების) მიგრაციას, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების შექმნას, სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლას, ეკონომიკური ხელშეკრულებების დადებასა და ა.შ. თანამედროვე პირობებში გლობალური პრობლემების გამწვავებამ გააძლიერა მსოფლიო მეურნეობრივი კავშირები.

**მსოფლიო მეურნეობა** – საწარმოო-სავაჭრო, საკრედიტო-საფინანსო, სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილებით დაკავშირებული ეროვნული მეურნეობებისა და სხვა სამეურნეო სუბიექ-ტების (ფირმების, ბანკების, სახელმწიფოთა კავშირების) ერთობლიობაა.

**მსოფლიო მიწის ფონდი** – დედამიწის ხმელეთის სიდიდე. მსოფლიო მიწის ფონდის სტრუქტურა – სასოფლო სა-მეურნეო კულტურების ნათესებით, საძოვრებით, ტყეებით, დასახლებული პუნქტებით, სამრეწველო საწარმოებით, გზებით და სხვა. დაკავებული ფართობების თანაფარ-დობა.

**მსოფლიო სავალუტო სისტემა** (World monetary cystem) – საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობის ორგანიზაციის ფორმათა ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ფულად-საკრედიტო მიმოქცევას ქვეყნის შიგნით და საერთაშო-რისო ანგარიშსწორების სფეროს. მან თავის განვითარებაში განვლო ოთხი ეტაპი. პირველი ეტაპი იწყება XIX საუკუნის 70-იან წლებიდან და გრძელდება პირველ მსოფლიო ომამდე. იგი ცნობილია ოქროს სტანდარტის თავდაპირველი ფორმის – ოქრომონეტური სტანდარტის სახით. ეს უკანასკნელი გულისხმობდა: 1) ოქროს მონეტე-ბის თავისუფალ მოძრაობას; 2) ღირებულების ნიშნების თავისუფალ გადახურდავებას ოქროს მონეტებზე; 3)

ოქროს თავისუფალ ექსპორტ-იმპორტს. ვალუტის შექცევადობის სრულყოფილი ხასიათი, რაც გამოიხატებოდა ერთი ქვეყნის ვალუტის ფიქსირებული პარიტეტის მიხედვით გაცვლაში არა მხოლოდ სხვა ვალუტაზე, არამედ ოქროზეც, ოქრომონეტური სტანდარტის კრახამდე შემორჩა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკის სწრაფმა აღმავლობამ ბევრ ქვეყანაში (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ა.შ.) აღადგინა ვალუტის სრულყოფილი შექცევადობა არა ოქროს მონეტებში, არამედ ოქროს ზოდებში. ჩამოყალიბდა ოქროს სტანდარტის მეორე ფორმა - ოქროზოდური სტანდარტი, რომელიც მოქმედებდა XX საუკუნის 30 წლებამდე. ეს პერიოდი მსოფლიო სავალუტო სისტემის განვითარების მეორე ეტაპია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ღირებულების ნიშნების გადახურდავება ოქროს ზოდებზე. ზოგიერთ ქვეყანაში (მეტწილად კოლონიურ ქვეყნებში), ოქროს ფონდის სიმცირის გამო, შემოიღეს ოქროდევიზური სტანდარტი, რომელიც ძირითადად ითვალისწინებდა ბანკნოტებ უცხოურ ვალუტაზე გადახურდავებას. როგორც ოქროზოდური, ისე ოქროდევიზური სტანდარტის დროს ნებადართული იყო თავისუფალი ექსპერტ-იმპორტი. მსოფლიო სავალუტო სისტემის ორგანიზაციის ეს ახალი ტიპი იურიდიულად გაფორმდა 1922 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე, მის საფუძველს ოქროს ზოდები და დევიზები შეადგენდა.

ვალუტის სრულყოფილი შექცევადობა (ე.ი. ოქროს სტანდარტული სისტემა) გაგრძელდა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე. „დიდი დეპრესიის“ წლებმა მძლავრი დარტყმა მიაყენა ოქროს სტანდარტს და საბოლოოდ დაუსვა წერტილი მის არსებობას. დაიწყო მსოფლიო სავალუტო სისტემის კრიზისი, რაც გამოიხატა სავალუტო შეზღუდვების შემოღებით, ოქროს თავისუფალი გატანა-შემოტანის აკრძალვით, სხვადასხვა ქვეყნის

ვალუტების გაუფასურებით და ა.შ. მეორე მსოფლიო ომმა კიდევ უფრო გააღრმავა გენუის სავალუტო სისტემის კრიზისი.

მსოფლიო სავალუტო სისტემის მესამე ეტაპი უკავშირდება ბრეტონ ვუდსის სავალუტო სისტემის შექმნას. იგი იურიდიულად გაფორმდა ბრეტონ ვუდსის (აშშ-ის კურორტი) ცნობილ კონფერენციაზე, რომელმაც განსაზღვრა ახალი მსოფლიო სავალუტო სისტემის შემდეგი ძირითადი ფუნქციები: 1. ოქროს სავალუტო სტანდარტის სისტემის შემოღება; 2. ფიქსირებული სავალუტო კურსების დაწესება; 3. მსოფლიო სავალუტო სისტემის შექმნა. ბრეტონ ვუდსის სავალუტო სისტემის შექმნით საფუძველი ჩაეყარა სხვადასხვა ქვეყნის სავალუტო კავშირების სახელმწიფოთა შორის რეგულირებას. შეიქმნა ეროვნული ვალუტების ურთიერთგაცვლის ანუ ურთიერთკონვერტირების სამართლებრივი მექანიზმი. სავალუტო რეზერვს ოქროსთან ერთად წამყვანი ვალუტები შეადგენდა.

მსოფლიო სავალუტო მექანიზმის განმსაზღვრელი ძირითადად ამერიკული დოლარი გახდა, მას დაეკისრა მთავარი სარეზერვო ვალუტის როლი. ამასთნ, 60-ია წლებში სტაბილური კურსი დაიმკვიდრა გფრ-ის მარკამ და იაპონურმა იენმა.

ბრეტონ ვუდსის კონფერენციის გადაწყვეტილებით შეიქმნა საერთაშორისო-სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი.

70-იანი წლების დასაწყისში ტრანსნაციონალური კაპიტალის ჩამოყალიბებამ გააძლიერა მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ინტერნაციონალიზაცია. აშშ-მა შეწყვიტა დოლარის ოქროზე გაცვლით ოფიციალური ფასებით, რის გამოც საერთაშორისო სავალუტო მექანიზმის ძირითადი რგოლები მწყობრიდან გამოვიდა. დაიწყო მსოფლიო სავალუტო სისტემის კრიზისი, რამაც დღის წესრიგში დააყენა მისი რეფორმის აუცილებლობა. ბრეტონ ვუდსის სავალუტო სისტემამ არსებობა შეწყვიტა.

1976 წლიდან მსოფლიო სავალუტო სისტემის განვითარებაში დაიწყო მეოთხე ეტაპი. იამაიკის ქალაქ კინგსტონში განისაზღვრა ახალი მსოფლიო სავალუტო სისტემის კონტურები.საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილებით 1978 წელს გაუქმდა ოქროს პარიტეტი.

ოქრო, რომელიც სავალუტო სისტემაში XX საუკუნის 70-იან წლებამდე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, გამოიდევნა საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროდან, მიიღეს გადაწყვეტილება მისი საბოლოო დემონეტიზაციის შესახებ.მთავარი ვალუტის სტატუსი მიენიჭა ამერიკულ დოლარს, ხოლო განმსაზღვრელი როლი – საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს. დოლარი ფაქტობრივად დარჩა საერთაშორისო საგადასაახდელო და სარეზერვო საშუალებად. ეს ძირითადად განაპირობა აშშ-ის უდიდესმა ეკონომიკურმა პოტენციალმა და მსოფლიოში მისმა ყველაზე დიდმა ოქროს მარაგმა (მსოფლიოში არსებული ოქროს მარაგის 35,8 ათსი ტონიდან 8,14 ათასი ტონა აშშ-ზე მოდის). შემთხვევითი არ არის რომ თანამედროვე მსოფლიო სავალუტო სისტემას დოლარის სტანდარტსაც უწოდებენ.

იამაიკის სავალუტო სისტემაში ახალი სავალუტო რეჟიმის დამყარებით დაკანონდა მცურავი გაცვლითი კურსი. ამის გამო ამჟამინდელი სავალუტო სისტემა ცნობილია მცურავი კურსის სისტემის სახელწოდებით.

**მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია – (Worid Trade Organization, WTO)** წარმოადგენს 1995 წლის 1 იანვრამდე „გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობის შესახებ“ (General Agreement of Tariffs and Trade, GATT) სახელწოდებით მოქმედი ორგანიზაციის საქმის გამგრძელებელსა და მემკვიდრეს. GATT ხელმოწერილი იყო 1947 წელს ჟენევაში 23 სახელმწიფოს მიერ. ესაა შეთანხმება სავაჭრო პოლიტიკის შესახებ, რომელიც უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ვაჭრობის დროს მასში მონაწილე ქვეყნების მიერ.

**მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო)** – მრავალმხრივი სავაჭრო ეკონომიკური ორგანიზაცია, რომლის სამართლებრივი საფუძველია გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის რედაქციით, გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ და შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა სავაჭრო ასპექტების შესახებ. აქვე შედის რამდენიმე ათეული შეთანხმება მორიგება, გადაწყვეტილება, ოქმი და დეკლარაცია, რომლებსაც ერთნაირი ძალა აქვთ წევრი ქვეყნებისათვის.

**მსოფლიო საფინანსო ბაზარი (კაპიტალის მსოფლიო ბაზრები)** – საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომლებიც როგორც შუამავლები აწარმოებენ ფინანსურ აქტივებს კრედიტორებსა და მსესხებლებს, ფინანასური რესურსების გამყიდველებსა და მყიდველებს შორის. მსოფლიო საფინანსო ბაზარი შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა თვალსაზრისით. მაგალითად, ფუნქციური თვალსაზრისით იგი შეიძლება დაიყოს ისეთ ბაზრებად, როგორიცაა საკრედიტო, დერივატივების, სადაზღვევო მომსახურების, საკრედიტო აქციების, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა კიდევ უფრო ვიწრო ბაზრებად. მაგალითად, საკრედიტო ბაზარს ხშირად ყოფენ გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების ბაზრად და საბანკო კრედიტების ბაზრად.

**მსოფლიო საფოსტო კავშირი (მსკ)** – ერთიანი საფოსტო წერილობითი კორესპოდენციების გაგზავნის ურთიერთგაცვლებისათვის. კავშირის წევრებს ქვეყანები წარმოადგენენ. კავშირის ყველა ტერიტორიაზე ტრანზიტის თავისუფლება გარანტირებულია. ოფიციალური ენა ფრანგული. სათაო ოფისი – ქ. ბერლინში.

**მსოფლიო ფასად** – შეიძლება ჩაითვალოს ის ფასი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ადგილი აქვს მსხვილ კომერციულ გარიგებას, რომელიც ითვალისწინებს გან-

ცალკავებულ და არაურთიერთდაკავშირებულ საექს-პორტო და საიმპორტო ოპერაციებს.

**მსოფლიო ფასი** (World market price) – ფასი, რომელიც გამოიყენება მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების რეალიზაციისას. საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში მსოფლიო ფასი ჩვეულებრივ არის ამა თუ იმ სახის საქონლის უმსხვილესი გამყიდველებისა და მყიდველების გარიგების ან ძირითადი მსოფლიო სავაჭრო ცენტრების (მაგალითად ჩიკაგოს სავაჭრო ბირჟის, ნიუ-იორკის ბამბის ბირჟის, ლონდონის ლიონის ბირჟის და ა.შ.) ფასი თანამედროვე მსოფლიო ბაზრისათვის დამახასიათებელია ერთსა და იმავე საქონელზე მრავალგვარი ფასი რაც განპირობებულია ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ხასიათის ფაქტორებით (საბაჟო და საგადასახადო ბარიერი, სახელმწიფო პროტექციონიზმი, ვაჭრობის განსაკუთრებული პირობები თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში). ამიტომ გარკვეულ პერიოდში ამა თუ იმ რეგიონში განსაზღვრულ საქონელზე რეალური ფასი შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს მსოფლიო ფასისაგან.

არსებობს მსოფლიო ფასის რამდენიმე სახეობა: – სავაჭრო გარიგებისას – ფასების თავისუფლად კონვენტირებადი ვალუტის გადახდით; სავაჭრო გარიგებისას – ფასები არაკონვერტირებადი ვალუტის გადახდით; კლირინგული შეთანხმების ფასები; არასავაჭრო ოპერციების ფასები, ტრანსფერული ფასები.

**მსოფლიო ფასი ეწოდება** გარკვეული სახის საქონლის ფასს რომლის საფუძველზე ხდება ამ საქონლის მნიშვნელოვანი მოცულობის რეალიზაციის საერთაშორისო ვაჭრობის მეშვეობითა და თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში ანგარიშსწორებით.

**მსოფლიო ფინანსური ცენტრები** – მსოფლიოს ის ადგილები, სადაც სხვადასხვა ქვეყნების რეზიდენტებს შორის ფინანსური აქტივებით ვაჭრობას განსაკუთრებით დიდი მასშტაბი აქვს. ესენია, უწინარეს ყოვლისა, ნიუ-იორკი და ჩიკაგო -

ამერიკაში, ლონდონი, ფრანკფურტი, პარიზი, ციურიხი, ჟენევა, ლუქსენბურგი – ევროპაში, ტოკიო, სინგაპური, ჰონკონგი, ბახრეინი – აზიაში. მომავალში მსოფლო ფინანსური ცენტრები შეიძლება გახდნენ ახლანდელი რეგიონული ცენტრებიც – კეიპტაუნი, სან-პალუ შანხაი და სხვები. მათ მიეკუთვნებიან ზოგიერთი ოფშორული ცენტრებიც, უწინარეს ყოვლისა, კარიბის ზღვის აუზში – პანამას, ბერმუდის, ბაჰამის, კაიმანის, ანტილის და სხვა კუნძულებს.

**მსოფლიო ფულის ფუნქცია** – მსოფლიო ფულის წარმოშობა ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის წარმოშობის განვითარებამ განაპირობა. მსოფლიო ბაზარზე ფული ფუნქციონირებს როგორც გადასახადის, შეძენისა და სიმდიდრის დაგროვების საყოველთაო საშუალება.

ფულის მეშვეობით მსოფლიო ფულის ფუნქციის შესრულება გულისხმობს მის საერთაშორისო ანგარიშსწორებაში მონაწილეობას, როგორც საგადამხდელო ბალანსის რეგულირების საშუალება. ოქროს სტანდარტის ფუნქციონირების პერიოდში (1816-1974 წ.წ.) მსოფლიო ფულის როლში ოქრო და ძლიერი ვალუტები გამოდიოდა. ოქრო დღესაც აგრძელებს აბსოლუტური ანუ განსაკუთრებული საქონლის ფუნქციის შესრულებას. მსოფლიო ბაზარზე ფუნქციონირებისას ფული ქვეყნებს შორის კაპიტალის გადანაწილებას უზრუნველყოფს და მსოფლიო მასშტაბით საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოებას ემსახურება.

**მსოფლიოს ფინანსური რესურსები –** ფართო განსაზღვრით - ყველა ქვეყნის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიოს საერთაშორისო საფინანსო ცენტრების ფინანსური რესურსების ერთობლიობა; ვიწრო განსაზღვრით - მხოლოდ ის ფინანსური რესურსები, რომლებიც იყენებენ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში, ე.ი. რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის სულ უფრო იშლება მსოფლიო ფინანსების გლობალიზაციის კვალობაზე.

**მსოფლიოს ძირითად საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრებს მიეკუთვნება** – საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლო, საერთაშორისო საზღვაო საარბიტრაჟო სასამართლო, საინვესტიციო დავის დარეგულირების საერთაშორისო ცენტრი, ლონდონის საერთაშორისო სამედიატორო სასამართლო და სხვა.

**მსუბუქწონიანი ნაკადები** – წარმოდგენილია ისეთი ტვირთით, რომელიც საშუალებას არ იძლევა სავსებით გამოვიყენოთ ტრანსპორტის ტვირთამწეობა. მსუბუქტონიანი ნაკადის 1 ტონა ტვირთი იკავებს 2 მ-ზე მეტ მოცულობას – მაგალითად, თამბაქოს ნაწარმი ტრანსპორტირების პროცესში ქმნის მსუბუქწონიან ნაკადებს.

**მსშ** – კრედიტებიდან და ინვესტიციებიდან მიღებული მთელი საპროცენტო შემოსავალი.

**მსხ** – 1. დეპოზიტებზე და სხვა სასესხო საშუალებებზე გაწეული საპროცენტო ხარჯები; 2. მთელი საპროცენტო ხარჯები.

**მსხვილ კომპანიათა თანამშრომლობის თანამედროვე ფორმაა სტრატეგიული ალიანსი,** რომელშიც იგულისხმება კომპანიათა ძალების გაერთიანება მსოფლიო ბაზარზე თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად და სხვა კომპანიებთან კონკურენტულ ბრძოლაში უპირატესობის მოსაპოვებლად.

**მტაცებლური, დამანგრეველი ფასწარმოქნა** (predatory pricing) – ფასების დროებით დაცემა წარმოების დანახარჯებზე დაბალია კონკურენციის შევიწროვების ან შესუსტების მიზნით. ასეთი პრაქტიკა დამახასიათებელია როგორც წესი მსხვილი მრავალპროფილიანი ან რამდენიმე ბაზარზე მომუშავე ფირმისთვის, რომელსაც შეუძლიათ გაუძლონ ფასების დაცემას ერთ ბაზარზე სხვა პროდუქციაზე ან სხვა ბაზარზე ზარალის კომპენსაციის გზით, მოგების ზრდის მოლოდინით მას შემდეგ, როგორც კი კონკურენტები იქნებიან შევიწროვებული ან შესუსტებული.

**მტკიცე ფასი** (fixed, firm price) – უცვლელი ფასი ხელშეკრულების დადების მომენტიდან მისი მოქმედების მთელი პერიო-

დის განმავლობაში. მოკლევადიან პერსპექტივაში ერთობ-ლივი მოთხოვნის ცვლილებები მასზე გავლენას არ ახდენს. გრძელვადიან გარიგებებში მხარეები ჩვეულებრივ გაურბიან მტკიცე ფასებს, რითაც ცდილობენ შეამცირონ დანაკარგები საბაზრო ფასების შეცვლის შემთვევაში. მტკიცე ფასების დაწესება ხელსაყრელია გამყიდველი-სათვის ფასების დაცემისას, ხოლო მყიდველისათვის ფაზების გაზრდისას.

**მუდმივი დანახარჯები** (fixed cost) – დანახარჯები, რომლის მოცულობაც არ იცვლება წარმოების მოცულობის ცვლ-ილების პროპორციულად. ეს ის დანახარჯებია, რომელიც მოკლევადიან პერიოდში არ შეიძლება გადიდდეს ან შემცირდეს პროდუქციის გამოშვების გადიდების ან შემცირების პროპორციულად. მუდმივ დანახარჯს ფირმა გაიღებს მაშინაც, როცა წარმოება არ ფუნქციონირებს. მას მიეკუთვნება: რენტული გადასახადი, სესხზე სარგებელი, სადაზღვევო შენატანები, დაცვის შენობის განათების დანახარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები და ა.შ.

**მუდმივი დანახარჯები** (ინგლ. Fixed costs(FC)) ეწოდება ისეთ დანახარჯებს, რომელთა სიდიდე არ მოქმედებს წარმოე-ბის მოცულობის ცვლილებაზე. მათ მიეკუთვნება მაგალითად, მიწის რენტა, დაზღვევის გადასახადი, ოჯარის ქირა, სამორტიზაციო ანარიცხები მართვის აპარატის პერსონაზე, შრომის ანაზღაურებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ა.შ. გაწეული დანახარჯები.

**მუდმივი ისეთი დანახარჯებია,** რომლებიც მთლიანობაში არ იცვლებიან პროდუქციის წარმოების ზრდის პროპორ-ციულად.

**მუდმივი კომიტეტი –** ესაა ორგანიზაციის შიგნით პერმანენ-ტულად მუდმივმომქმედი ჯგუფი, რომელიც რაიმე კონკრეტულ დავალებას ასრულებს.

**მუდმივმოქმედი კომიტეტი** – ორგანიზაციაში შექმნილი, მუდ-მივად მოქმედი ჯგუფი, რომლის მიზანია რაიმე კონკრე-ტული ამოცანის გადაჭრა.

**მუდმივი ხარჯები** ის ხარჯებია, რომლებიც რჩება უცვლელი, მიუხედავად წარმოების მოცულობისა და რეალიზაციიდან ამონაგებისა (სათავსების არენდა, გათბობა, კრედიტების პროცენტი, ადმინისტრაციის ხელფასი და ა.შ.)

**მუდმივობის კონცეფცია** (consistancy concept) - აღრიცხვის განხორციელების ფორმები, რომლებიც მოცემულ დროში გამოიყენება, უნდა შეესაბამებოდეს პროცედურებს, რომლებიც ანალოგიური ოპერაციების აღრიცხვისათვის ადრე იყო გამოყენებული. აღრიცხვის მეთოდები და ცალკეული მაჩვენებლების განმარტება ერთი ანგარიშგების პერიოდში არ უნდა იცვლებოდეს, ხოლო შესაძლებლობის ფარგლებში, რაც შეიძლება უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, უცვლელი დარჩეს.

**მულტიმოდალური გადაზიდვები Multi - მრავალი, modal – ტრანსპორტის სახე** 1) მულტიმოდალური გადაზიდვების ორგანიზაციის წესი რამოდენიმე ტრანსპორტის მონაწილეობით, რეგლამენტირებულია ტვირთების შესაყიდი საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ (გაერო, ჟენევა. 24.05.1980); 2) ტვირთების გადაზიდვა ორი ან მეტი ტრანსპორტით.

**მულტიმოდალური გადაზიდვების ოპერატორი** – ნებისმიერი პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებებს მულტიმოდალურ გადაზიდვებზე და თავის თავზე იღებს სრულ პასუხისმგებლობას განხორციელებას გადამზიდავის ან გადაზიდვის ოპერატორის სახით.

**მულტიმოდალური ლოგისტიკური სატრანსპორტო გამანაწილებელი ცენტრი (მლსგც)** – ცნების ქვეშ ვიგებთ მრავალფუნქციურ ტერმინალურ კომპლექსს, აგებულს სატრანსპორტო ქსელის მულტიმოდალურ კვანძებში მაგისტრალური სამიმოსვლო გზების გადაკვეთაზე. გარანტირებულად უზრუნველყოფს კლიენტების კომპლექსურ სატრანსპორტო-საექსპედიციო კომერციულ საქმიან და სერვისულ მომსახურებას, ფუნქციონირებს ლოგისტიკური ტექნოლოგიების საფუძველზე და უზრუნველყოფს

მაქსიმალურ სინერგიულ ეფექტს მთელს ლოგისტიკურ ჯაჭვში ტვირთგამგზავნიდან ტვირთმიმღებამდე სატრანსპორტო განაწილებითი პროცესის მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესით შეთანხმების საფუძველზე, სასაქონლო-მატერიალური, საინფორმაციო, სერვისული და ფინანსური ნაკადების ინტეგრაციით. ტვირთების ინტერმოდალური გადაზიდვა, დაფუძნებულია ორი ან მეტი სახის სატრანსპორტო კომბინაციაზე სატრანსპორტო ჯაჭვის რგოლების ურთიერთქმედების თანმიმდევრობით, ფორმირებით-ცენტრალიზებული სქემით, ინტერმოდალური გადაზიდვების ოპერატორის არსებობით, გამსხვილებული სატვირთო-ერთეულების ფორმირებით, ტვირთების მიზიდვით „კარიდან-კარამდე“, ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტით და ერთიანი პასუხისმგებლობით მთელ გადაზიდვის გზაზე.

**მულტინაციონალური კორპორაცია** ეწოდება (მნკ) ისეთ კომბინაციას, რომელსაც ორ ან მეტ ქვეყანაში აქვს საწარმოო ბაზა.

**მულტიპლიკატორი – K კოეფიციენტი,** რომელიც გვიჩვენებს შემოსავალის ცვლილების დამოკიდებულებას ინვესტიციის ცვლილებაზე. თუ ინვესტიციის მთლიანი მოცულობის ზრდა მიმდინარეობს, მაშინ შემოსავალი იზრდება იმ სიდიდით, რომელიც k-ჯერ მეტია, ვიდრე ინვესტიციის ნაზრდი.

**მულტიპლიკატორი** (multiplier) [ლათ. multipliator მამრავლი] – 1. კოეფიციენტი (K), რომელიც გამოხატავს გარკვეულ რაოდენობრივ თანაფარდობას ფუნქციონალურად ერთმანეთზე დამოკიდებულ ორ ან მეტ ცვალებად ეკონომიკურ სიდიდეს შორის. ერთობლივი მოთხოვნის მატების ერთ ერთეულზე ერთობლივი მიწოდების ცვლილების კოეფიციენტი; 2. ლათინური წარმოშობისაა და მამრავლს ნიშნავს. ეკონომიკურ თეორიაში იგი კოეფიციენტია, რომელიც გამოხატავს განსაზღვრულ რაოდენობრივ თანაფარდობას ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში მყოფ ორ

ან მეტ ცვალებად ეკონომიკურ სიდიდეს შორის. მულტიპლიკატორის ცნება შემოიღო ინგლისელმა ეკონომისტმა კანმა 1905 წელს. იგი მიზნად ისახავდა დაედგინა ზოგადი პრინციპები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნებოდა რაოდენობრივი თანაფარდობის გამოთვლა ინვესტიციების ზრდასა და მისგან გამოწვეული ერთობლივი დასაქმების მატებას შორის. კანის მულტიპლიკატორის თეორიით, რომელიც უმუშევრობის პრობლემას ეძღვნება, შემდეგ განავითარა ჯ. კეინზმა დასაქმების მულტიპლიკატორის ინვესტიციების მულტიპლიკატორისა და შემოსავლების მულტიპლიკატორის სახით.

**მულტიპლიკატორული ეფექტი** (multiplier effect) – რეალური ინვესტიციების ან ერთობლივი მოთხოვნის სხვა კომპონენტების ცვალებადობისას რეალური ერთობლივი მოთხოვნის სიდიდის უფრო მნიშვნელოვანი ცვლილების ეფექტი. მაგალითად, როდესაც საბიუჯეტო პოლიტიკა იწვევს ეკონომიკის სუბიექტების შემოსავლების ზრდას, შესაბამისად იზრდება სამომხმარებლო ხარჯებიც.

**მუნიციპალიზაცია** (municipalization) [ლათ. municipium თვითმმართველი თემი] – სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კერძო პირთათვის საკუთრების ჩამორთმევა და გადაცემა ქალაქის ან სოფლის თვითმმართველობისათვის – მუნიციპალიტეტისათვის.

**მუნიციპალიტეტი** – ქალაქის ან სოფლის ადგილობრივი არჩევითი თვითმმართველობითი ორგანო. მუნიციპია ძველ რომში თვითმართველობის უფლებიან ქალაქს ეწოდება.

**მუნიციპალიტეტი** (municipality) [ლათ. municipium თვითმმართველი თემი] – 1. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო, აგრეთვე შენობა, რომელიც ამ ორგანოს უკავია; 2. დაბალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ავსტრალიაში, ვენესუელასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

**მუნიციპალური ბიუჯეტგარეშე ფონდები** იქმნება ხელისუფლების ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე. ამ მიზნით ბანკებში

იხსნება სპეციალური ანგარიშები, სადაც თავს იყრის და ინახება ფონდებში ჩასარიცხი სახსრები.

**მუქთი** – უფასო.

**მუშათა თანამდებობის დასახასიათებლად** გამოიყენება სამუშაოებისა და პროფესიების ერთიანი სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარი ან ანალოგიური დარგობრივი ცნობარები.

**მუშაკზე (ადამიანზე) კონცენტრიული ხელმძღვანელი** – ხელმძღვანელი, რომელიც, პირველ რიგში ბრუნავს მუშაკებზე, როგორც ადამიანებზე და ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას მათ შორის ურთიერთობების სრულყოფის გზით. რ. ლაიკერტის მიხედვით, ხელმძღვანელის ასეთი ტიპის საპირისპიროა მენეჯერი, რომელიც კონცენტრირებულია შრომაზე.

**მუშაობის ოპტიმალური განაწესის უზრუნველყოფა** (მუშაობის, შვებულების და ა.შ.). ამ ფუნქციის შესრულება უზრუნველყოფს ოპტიმალურ შრომით რიტმს.

**მუშაობის** სპეციფიკის, მისი საფუძვლისა და სტრუქტურის ანალიზის გათვალისწინებით, ბანკები შეიძლება განვმარტოთ როგორც ისეთი საწარმო ან საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, რომლის მთავარი ფუნქციები არის: დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაცია და მათი გადაცემა კრედიტის სახით დროებით სარგებლობაში ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე. ბანკები აწარმოებენ ფულისა და ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა სახის ოპერაციებს, ფინანსურ მომსახურებას უწევენ მთავრობას, საწარმოებს, მოქალაქეებსა და ერთმანეთს.

**მუშები** – პერსონალის ნაწილი. მუშები უშულოდ ქმნიან მატერიალურ დოვლათს ან ეწევიან წარმოებრივი ხასიათის მომსახურებას. ისინი, თავის მხრივ, იყოფიან ძირითად და დამხმარე მუშებად. ძირითადი მუშები დასაქმებული არიან ტექნოლოგიურ პროცესებში. ისინი, შრომის სათანადო იარაღების გამოყენებით, ახდენენ შრომის საგნის ფორმის, სტრუქტურის, თვისების და სივრცობრივი

მდგომარეობის შეცვლას, რომლის შედეგად იქმნება მატერიალური პროდუქტები ან მომსახურება. დამხმარე მუშების ფუნქციაა წარმოების ძირითადი, ანუ ტექნოლოგიური პროცესების მომსახურება. ისინი უმეტესად დასაქმებულები არიან სარემონტო, ინსტრუმენტალურ, სატრანსპორტო და სასაწყობო განყოფილებებში.

**მყარი ვალუტა** – ვალუტა, რომელიც მთლიანად კონვერტირებადია სხვა ვალუტებში როგორც მიმდინარე ოპერაციების (ვაჭრობა, არაკომერციული ტრანსფერები) მიხედვით, ისე კაპიტალის ექსპორტისა და იმპორტის სფეროში.

**მყარი ოფერტის** – დროს, ოფერენტი გარკვეული ვადის განმავლობაში თავის თავს შებოჭილ პირად მიიჩნევს, ვინაიდან ოფერტის მოქმედების ვადის განმავლობაში მას საქონლის შეთავაზება სხვა პირისათვის არ შეუძლია.

**მყარი ფასი** – კონტრაქტის დადების მომენტში დაფიქსირებული ფასია. იგი შემდგომში არავითარ ცვლილებებს არ ექვემდებარება.

**მყარმა ოფერტმა** შეიძლება შეასრულოს „პირველი ოფერტის“ როლი. ასეთი სიტუაცია მაშინაა როდესაც მყიდველი „პირველი ხელის“ უფლებით სარგებლობს.

**მყიდველთა კონკურენცია** – ბაზარზე ფასებისა და მოთხოვნის მოცულობის ჩამოყალიბების მხრივ მყიდველებს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა ის ტიპია, რომლებიც ვლინდება მათ შორის შეჯიბრში საჭირო საქონლისა და მისი შემენის ყველაზე ხელსაყრელი პირობების მოსაპოვებლად.

**მყიდველის ბაზარი** (buyers market) – სიტუაცია ბაზარზე, როდესაც მიწოდება აღემატება მოთხოვნას, რის გამოც ფასი ეცემა და გამყიდველებს უჭირთ პროდუქციის რეალიზაცია.

**მყიდველის კურსი** – კურსი, რომლის მიხედვითაც ბანკი ყიდულობს უცხოურ ვალუტას.

**მყიდველის წარმომადგენელი** (bujing indent house) საკომისიო ფირმა უცხოელი მყიდველის (იმპორტიორის) დავალება-

თა და შეკვეთებით (ინდენტებით) ყიდულობს საქონელს საკუთარი ქვეყნის მწარმოებლებისაგან.

**მყიდველისათვის** – საერთო ფასეულზე წარმოადგენს ეკონომიკური, ფუნქციური და ფსიქოლოგიური სარგებლიანობის აღთქმულ ფულად ღირებულებას, რომელსაც იგი ელოდება მიიღოს ამა თუ იმ საქონლის შეძენით.

**მყიდველობითი უნარი პარიტეტი** (მუპ) – თანაფარდობა ეროვნულ ვალუტებს შორის, მათი მყიდველობითი უნარის მიხედვით.

**მყისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტი** H2 განისაზღვრება, როგორც ბანკის მაღალლიკვიდური აქტივების თანხის შეფარდება ბანკის იმ ვალდებულებების თანხასთან, რომელიც განპირობებულია მოთხოვნამდე ანგარიშებით.

**მყისიერი ლიკვიდობის მაჩვენებელი –** რომელსაც ანგარიშობენ ბანკის მაღალლიკვიდური აქტივების ჯამის შეფარდებით მოთხოვნამდე ანგარიშებით არსებულ ვალდებულებებთან, ხატოვნად შევადაროთ „გაელვებას“, რომელიც ბანკის ბალანსის ლიკვიდობას აშუქებს დროის მოცემული მომენტისათვის, იგი ყოველდღე და ყოველ საათს იცვლება და ახასიათებს ლიკვიდური სახსრების მარაგს კონკრეტული თარიღისათვის იმ ვალდებულებების მიმართ რომლებიც ერთ მომენტში შეიძლება მოითხოვონ. ცენტრალურმა ბანკმა მყისიერი ლიკვიდობის ნორმატივის მინიმალურად დასაშვებ მნიშვნელობად 20% დააწესა.

**მშრომელთა იმიგრაცია –** ნაკადები მიგრანტებისა, რომლებიც ქვეყანაში მიდიან.

**მცირე ან სატვირთო სიჩქარე** – მატარებლების მოძრაობის სიჩქარე ტვირთებით სარკინიგზო მიმოსვლებში. პირობითად ადგენენ წვრილი გზავნილებისათვის – 180კმ/დღ; ვაგონური გზავნილებისათვის – 330კმ/დღ; მარშრუტული გზავნილებისათვის – 550 კმ/დღ-ში.

**მცირე ბიზნესი** – 1. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ერთი წლის განმავლობაში არ აღემატება 100000 ლარს; 2.

(small business) - საბაზრო სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტი, სამეწარმეო საქმიანობის ყველაზე მოქნილი და დინამიკური ფორმა, რომელიც წვრილი მეწარმეობის პრინციპზეა დაფუძვნებული და წარმოდგენილია უმცირესი და მცირე ფირმების სახით. მისი განვითარება ჯანსაღი საბაზრო გარემოს ფორმირების აუცილებელი პირობაა. მცირე საწარმოთა სიმრავლე ხელს უწყობს კონკურენციის წარმოქმნას, მონოპოლიზმის აღმოფხვრას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ყველა სახის რესურსის, მათ შორის, შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ნედლეულის წყაროებთან და გასაღების ბაზრებთან სიახლოვის შედეგად სატრანსპორტო ხარჯების მინიმუმამდე დაყვანას, როგორც ქალაქში, ისე სოფლად თანამედროვე სტანდარტების და ცხოვრების სტილის გავრცელებას, რაც საბოლოო ანგარიშით, განაპირობებს მსხვილი საქალაქო აგრომერაციის ზრდის შეზღუდვას (საქართველოს სინამდვილეში სწორედ მცირე ბიზნესის განვითარებას უნდა დაუკავშიროთ მრავალი მივიწყებული სოფლის აღდგენა-განვითარების საკითხი). მცირე ბიზნესის საფუძველზე წარმოქმნილი ეკონომიკური აგენტების სიმრავლე მოსახლეობისათვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებას. ყოველივე ეს, ერთად აღებული მყარ საფუძველს ქმნის სოციალური განვითარებისათვის. ამიტომ არის, რომ მთელ მსოფლიოში აღინიშნება მცირე ბიზნესის სწრაფი განვითარება, თუმცა არ შეიძლება მისი აბსოლუტიზება და პანაცეად მიჩნევა.

მცირე ბიზნესს არ შესწევს ძალა ძვირადღირებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრისათვის. მცირე ბიზნესი ძალზე მგრძნობიარეა ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებებისადმი. მასზე ზოგჯერ გამანადგურებელ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარების ციკლური ხასიათი. მცირე ბიზნესის წარმართვაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა კრედიტზე პროცენტის განაკვეთის დონე.

საქმე ისაა, რომ მცირე ფირმები გამუდმებით განიცდიან კაპიტალის ნაკლებობას და მსხვილ კომპანიებზე მეტად არიან დამოკიდებული მიმდინარე ბრუნვის დაკრედიტებაზე. ბანკები კი საერთოდ გაურბიან მათ დაკრედიტებას ან ცდილობენ გაწეული რისკისათვის ამ ფირმებისაგან, როგორც ნაკლებად საიმედო მსესხებლებისაგან, კომპენსაცია მიიღონ ჩვეულებრივზე მაღალი პროცენტის დაწესებით. ბიზნესის მცირე მასშტაბი წვრილ წარმოებას არ აძლევს საშუალებას, გამოიყენონ კაპიტალის მიზიდვის სხვა წყაროები, მაგალითად გამოუშვან აქციები. მათ უჭირთ ისეთი ინვესტორების მოძებნა, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან თავიანთი სახსრების ამ ფირმების საქმეში დაბანდებით. მცირე ბიზნესის პრობლემებს კიდევ უფრო ართულებს ინფლაციური პროცესების გაძლიერება, კერძოდ, ფასების ზრდის გამო მატულობს ფულზე მოთხოვნა. ინფლაციის დროს მცირე საწარმოებს არ შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ თავიანთი პროდუქციის საბაზრო ფასებისა და დანახარჯების დონეს, რაც ბევრად უფრო ხელმისაწვდომია მსხვილი ფირმებისათვის. ყოველივე ამის გამო, მცირე ფირმები ხშირად ვერ უძლებენ კონკურენციას და კოტრდებიან. მაგალითად დიდი ბრიტანეთის დასაქმების სამინისტროს მონაცემებით, მცირე ფირმების „სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა“ 7 წელია.

აღნიშნული ნაკლოვანების მიუხედავად მცირე ბიზნესის უარყოფით მხარეებს უდავოდ სჭარბობს დადებითი, რამაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში შესაძლებელი გახადა გიგანტებისა და მცირე ფირმების თანაარსებობა. ამ უკანასკნელთა სიცოცხლისუნარიანობას დიდად უწყობს ხელს მათ დასაცავად გამიზნული სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს საგადასახადო, საკრედიტო და სხვა შეღავათებს, ტექნიკურ და საკონსულტაციო მომსახურებას და ა.შ. მცირე ბიზნესს იცავს მცირე და საშუალო საწარმოთა მსოფლიო ასოციაცია.

ამრიგად, მცირე ბიზნესის სიცოცხლის უნარიანობაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს შემდეგი ხუთი ძირითადი ფაქტორი: 1. საბაზრო კონიუნქტურის მდგომარეობა; 2. კრედიტზე პროცენტული განაკვეთის დონე; 3. კაპიტალის მიზიდვის შესაძლებლობები; 4. ინფლაციის ტემპები; 5. ბიზნესის სამთავრობო რეგლამენტაცია. სხვადასხვა ქვეყანაში უმცირეს, მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოთა კრიტერიუმები განსხვავებულია. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კრიტერიუმია დასაქმებულთა რიცხოვნება, რომელიც სხვადასხვა პარამეტრით ხასიათდება. მაგალითად აშშ-ში უმცირესად ითვლება ფირმა, რომელშიც 10 კაცამდეა დასაქმებული, მცირედ 10-დან 500 კაცამდე, ხოლო მსხვილ ფირმად 500 და მეტი დასაქმებული. იტალიაში უმცირეს ფირმათა რიცხვს მიეკუთვნება საწარმოები, სადაც 1-დან 20 კაცამდე მუშაობს, მცირე საწარმოებში დასაქმებულია 20-დან 100-მდე კაცი, საშუალოში 100-დან 500-მდე, ხოლო მსხვილ ფირმაში – 500 და მეტი. საფრანგეთში საწარმო, სადაც 10-მდე კაცით დასაქმებული უმცირესი ფირმაა, 10-დან 50 კაცამდე მცირე, 50-დან 500-მდე საშუალო 500 და მეტი – მსხვილი. დიდ ბრიტანეთში მცირე ფირმებს მიეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულია 1-დან 100-მდე კაცი, საშუალო – 100-დან 500-მდე; გფრ-ში მცირედ ითვლება საწარმო დასაქმებულთა რიცხოვნობით 1-დან 50 კაცამდე, ხოლო საშუალოს მიაკუთვნებენ ისეთ ფირმებს, სადაც 50-დან 500-მდე კაცი მუშაობს.

საქართველოში მცირეს მიეკუთვნება ფირმა, რომელშიც 20-მდე კაცია დასაქმებული, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვა 500000 ლარამდეა, საშუალოს მიეკუთვნება 20-დან 100-მდე კაცი (საშუალო წლიური ბრუნვა 500 ათასიდან 1,5 მლნ ლარამდე), მსხვილს – 100 და მეტი (საშუალო წლიური ბრუნვა1.5 მლნ ლარი და მეტი). უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა წვრილი მეწარმეობის სწრაფი

ზრდით ხასიათდება. მაგალითად, აშშ-ში მცირე ბიზნესს ეწევა ფირმების 99%, რომელთა წილადაც მოდის მთლიანი ეროვნული პროდუქტის 40%, მათ შორის, მომსახურების სფეროში – 81%; იაპონიაში სულ ითვლიან 9 მლნ ფირმას, აქედან 85%-მდე მცირეა. მცირე ბიზნესს იქ ეწევა დასაქ-მებულთა 3/4; საფრანგეთში განსაკუთრებით გავრცელე-ბულია უმცირესი ფირმები. ისინი შეადგენენ საწარმოთა საერთო რაოდენობის 96,6%-ს, მცირე საწარმოები – 2.8%-ს, საშუალო - 0,5%-ს (ე.ი. სულ უმცირეს, მცირე და საშუალო ფირმებზე მოდის 99.9%, ხოლო მსხვილი კომპანიები 0.1%), იტალიაში ყოველ 15 კაცზე მოდის ერთი მცირე ან უმცირესი ფირმა; ბრიტანულ ეკონომიკაში სწრაფად ვითარდება მიკრობიზნესი, ერთკაციანი საწარმო საკმაოდ მრავალრიცხვიანი კატეგორიაა დიდი ბრიტანეთის დასაქ-მების სტრუქტურაში, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში. ეს თავისებურება დამახასიათებელია შვედეთი-სათვისაც, სადაც მომსახურების სექტორი ზოგიერთ დარგში ფირმების ნახევარზე მეტი ერთი კაცითაა წარმოდგენილი. გერმანიაში მცირე ბიზნესი სამეურნეო განვითარების სტაბილიზაციის და სოციალური ამოცანე-ბის გადაჭრისათვის გამიზნული პროგრამების რეალიზა-ციის ძირითადი გზაა. ამ საქმით მომსახურების სფეროში დაკავებულია მომუშავეთა 75%; უკანასკნელ პერიოდში დიდი გაქანება მიეცა მცირე ბიზნესის განვითარებას სამხრეთ კორეაშიც. ბოლო ათწლეულში ამ ტიპის საწარმოთა რიცხვი ფირმების საერთო რაოდენობაში 9-დან 62%-მდე გაიზარდა. უკანასკნელ პერიოდში ეს პროცესი საქართველოშიც დაიწყო. ბოლო მონაცემებით, მცირე საწარმოთა რიცხვმა 17 ათასს გადააჭარბა, ხოლო საშუალო საწარმოთა რიცხვმა – 3 ათასს.

**მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ძირითად მიმართულებას** წარმოადგენს იმ მექანიზმების შექმნა, რომელიც მოქნილად და ეფექტურად უზრუნველყოფს ლოგისტიკური სისტემების ძირითადი ელემენტების

ურთიერთქმედებას, როგორებიცაა: მომარაგება-წარმოება-დასაწყობება-ტრანსპორტირება-გასაღება.

**მცირე პრივატიზაცია** (small privatision) – 1. წვრილი საწარმოების (უმთავრესად მომსახურების სფეროს) სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში გადასვლა, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ ფასიან საფუძველზე; 2. სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებად გარდაქმნა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, აგრეთვე მრეწველობისა და სხვა დარგების მცირე საწარმოებში. მცირე პრივატიზაცია როგორც წესი მოკლე დროში ხორციელდება, რასაც უზრუნველყოფს ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენება საბოლოო შედეგებით პრივატიზაციის მონაწილეთა მატერიალური დაინტერესებისათვის. შრომით კოლექტივებს ეძლევათ ფინანსური შეღავათები საწარმოთა შესაძენად. მცირე პრივატიზაციის პრინციპები ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას საპრივატიზაციო საწარმოებისადმი ისეთი მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ფართობი, ძირითადი კაპიტალის თავდაპირველი ღირებულება, დასაჯდომი ადგილების რაოდენობა და სხვ. მცირე პრივატიზაციის ობიექტებს მიეკუთვნება: 150 კვ. მ-ზე ნაკლები ფართობის მქონე მაღაზიები, საზოგადოებრივი კვების საწარმოები სადაც 50-ზე ნაკლები დასაჯდომი ადგილია, პავილიონები, სავაჭრო ავტომატები და სხვა წვრილი ობიექტები. მცირე პრივატიზაცია ფორმდება მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებით.

**მცირე რემონტი** ეწოდება მინიმალური მოცულობის საგეგმო რემონტს.

**მცირე საწარმო** – 1. საქართველოს კანონმდებლობით ყველა სახის საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა და წლიური ბრუნვა არ აღემატება: 1. მრეწველობაში 40 დასაქმებულსა და 500000 ლარს და 2. სოფლის მეურნეობაში 20 დასაქმებულსა და 150000 ლარს და ა.შ; 2. განს-

ხვავდება ანგარიშზე მცირე ბრუნვებით, მუშაკთა მცირე რიცხოვნებითა და ბაზარზე უმნიშვნელო წილით.

**მცირე ქვეყნები** (small countries) – ღია ეროვნული ეკონომიკები, რომლებიც ზოგიერთი სახის საქონლისა და მომსახურების ფასების განსაზღვრისას მსოფლიო ბაზრის ფასებს იყენებენ. ერთსა და იმავე ქვეყანას შეუძლია უკარნახოს მსოფლიო ბაზარს ფასები საქონლის ცალკეულ ჯგუფებზე და წარმოადგენდეს „მცირე ქვეყანას" საქონლის სხვა ჯგუფებზე მსოფლიო ფასების ფორმირებისას ანუ მიიღოს სხვის მიერ დადგენილი მსოფლიო ფასები.

**მცოცავი (მცურავი) სავალუტო კურსი** – ვალუტის კურსის თავისუფლად მერყევი რეჟიმი, რომელიც ემყარება სავალუტო რეგულირების საბაზრო მექანიზმის გამოყენებას.

**მცოცავი პროცენტული განაკვეთი** – პროცენტული განაკვეთი საშუალოვადიან და გრძელვადიან კრედიტებზე, რომლის სიდიდე არ ფიქსირდება კრედიტის მთელი პერიოდისათვის, როგორც ეს მიღებულია ტრადიციულ პრაქტიკაში, არამედ წარმოებს მათი გადახედვა კრედიტორსა და მსესხებელს შორის შეთანხმებული დროის შუალედში, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იცვლება სიტუაცია შესაბამის საკრედიტო ბაზარზე.

**მცოცავი სავალუტო კურსი** – 1. ვალუტის თავისუფლად მერყევი კურსის რეჟიმი, რომელიც ემყარება სავალუტო რეგულირების საბაზრო მექანიზმის გამოყენებას; თანამედროვე მსოფლიო სავალუტო სისტემის ერთ-ერთი სტრუქტურული პრინციპი; 2. კურსის პირობებში გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ქრება სავალუტო კურსისა და ცვალებადი მიკროეკონომიკური პირობების შეუსაბამობასთან დაკავშირებული დისბალანსის წარმოშობის საშიშროება.

**მცოცავი ფასი** – გამოიყენება გრძელვადიანი (1 წელზე მეტი) მიწოდების კონტრაქტებში. იგი მოძრავი ფასის ნაირსა-

ხეობაა და განისაზღვრება საბაზრო ფასის ცვლილებათა შესაბამისად.

**მცურავი განაკვეთი** – მცურავი განაკვეთით პროცენტის გადამხდელი მხარე სვოპში, ჩვეულებრივ, გვევლინება უფრო მაღალი რეიტინგის მქონე მხარედ; იგი ფიქსირებულ საპროცენტო გადასახდელს იღებს ნაკლები საკრედიტო რეიტინგის მქონე მხარისგან.

**მცურავი გაცვლითი კურსი** (flooting exchange rate) – ვალუტის კურსის მართვის მეთოდი. გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოცხადებული ვალუტების ოფიციალური კურსის რეგულირებისათვის. ქვეყნებს აქვთ უფლება შეცვალონ გაცვლითი კურსი შიგა ბაზრის გაწონასწორების მიზნით.

**მძიმეწონიანი ნაკადები უზრუნველყოფს** სატრანსპორტო საშუალებების ტვირთამწეობის სრულ გამოყენებას, საჭიროებს შესანახად სასაწყობო მცირე მოცულობას. მძიმეწონიანი ნაკადები ქმნის ტვირთს რომლის ერთი ადგილის მასა აჭარბებს 1 ტონას (წყლის ტრანსპორტით გადაზიდვისას) და 0,5 ტონას (სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვისას), მძიმეწონიანი ნაკადის მაგალითად გამოდგება ტრანსპორტირების პროცესში განხილული ლითონები.

**მძღოლი** – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზაზე გადაადგილებას, მართვის დადგენილი წესით.

**მწარმოებელთა ფასების ინდექსი** (producer price index) – მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს შუალედური მოხმარების ნედლეულზე, მასალებსა და სხვა საქონელზე ფასების ცვალებადობის საშუალო დონე საბაზისო პერიოდთან შედარებით. გამოიყენება მეპ-ის მაქსიმალურად დეტალიზებული კომპონენტების შესადარ ფასებში გასაანგარიშებლად.

**მწარმოებლებისათვის საბაზრო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დონე** – რაც უფრო ხელმისაწვდომია ინფორმაცია, სხვა თანაბარ პირობებში მით უფრო ინტენსიურია მოქმედ

კონკურენტებს შორის გაჩაღებული მეტოქეობა. საბანკო ბაზრის მეტწილ დარგებში ინფორმაცია დღეს იმდენადვე მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსია, რამდენადაც ძნელად ხელმისაწვდომი (ეს განსაკუთრებით ჩანს დაკრედიტებაში). ეს ქვეყანაში საბანკო კონკურენციის შესუსტების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ფაქტორია.

**მწარმოებლის მიერ საქონლის კონკურენტუნარიანობის შეფასება** – ითვალისწინებს ერთობლივი სასარგებლო ეფექტისა და მთლიანი დანახარჯების სტრუქტურის განსაზღვრას, მათი ყოველი ელემენტის გაანგარიშებისა და შერჩეული სტრატეგიის საფუძველზე ამ ელემენტებზე ზემოქმედებას მათი შემცირების ან გადიდების მიზნით.

**მწარმოებლის ფასი** (producer price) – ფასი, რომელიც მოიცავს საქონლის (მომსახურების) საბაზისო ფასს, ყველა პირდა-პირ გადასახადს (დამატებულ ღირებულებაზე გადასახა-დის გარდა) და გამორიცხავს სუბსიდიებს.

**მწარმოებლურობა** – 1. იგი გამოხატავს დამოკიდებულებას დამზადებულ პროდუქციასა (ერთეულთა რაოდენობა გასასვლელში) და მოხმარებულ რესურსებს (ერთეულთა რაოდენობა გასასვლელში) შორის. რაც ეფექტიანია ორგა-ნიზაცია, მით უფრო მაღალია მისი მწარმოებლურობა; 2. კომპლექსურ ფაქტორულ მწარმოებლურობას გულისხ-მობს, რომელიც ყველა სახის რესურსის (და არა მხოლოდ შრომის) ეფექტიანი გამოყენებით მიიღწევა. აქვე შევნიშ-ნავთ, რომ, პრაქტიკაში ხშირად „მწარმოებლურობის“ სინონიმად გამოიყენება ტერმინი „ნაყოფიერება“, თუმცა მათ მრავალ საერთოსთან ერთად არსებითი განმასხვა-ვებელი ნიშნებიც აქვთ; 3. ორგანიზაციის ყველა ქვედანა-ყოფის დონეზე დასახული მიზნების გარეშე წარმოუდ-გენელია კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვება; 4 (productivity) – წარმოების რეალური მოცულობის დამოკი-დებულება გამოყენებული რესურსების რაოდენობის მიმართ გამოითვლება ფორმულით: E=Q/K, სადაც E – მწარმოებლურობაა, Q – წარმოების რეალური მოცულობა,

K – დანახარჯი. პროდუქციის ერთეულზე დანახარჯის შემცირება იწვევს მწარმოებლურობის გადიდებას და პირიქით.

**მწარმოებლურობის ზრდა** კაპიტალისა და შრომის გამოყენების ეფექტიანობის ზრდის შედეგია, თუმცა ხშირად შეუძლებელია კაპიტალისა და შრომის მწარმოებლურობის გამიჯვნა. პრაქტიკაში ეს ტერმინი, ჩვეულებრივ გამოიყენება შრომის მწარმოებლურობასთან მიმართებაში.

**მწარმოებლურობის თეორიები** (theory of productivity) – ეკონომიკური თეორიები, რომლებიც განიხილავენ წარმოებისა და განაწილების ურთიერთქმედებას, მის შედეგებს და გავლენას წარმოების მონაწილეებზე. თავდაპირველად გამოდიოდა წარმოების ფაქტორთა თეორიების (ჟ.ბ. სეი, ფ. ბასტია და სხვ.) სახით, რომელთა მიხედვით წარმოების თითოეული ფაქტორი (შრომა, კაპიტალი, მიწა) მონაწილეობს საზოგადოებრივი კრედიტის შექმნაში და შესაბამისად შემოსავალიც ნაწილდება ხელფასის, მოგების და რენტის სახით. XIX საუკუნის ბოლოს ამერიკელი ეკონომისტის ჯ. ბ. კლარკის მიერ შემუშავებულ იქნა ზღვრული მწარმოებლურობის თეორია. თავდაპირველად წარმოიშვა როგორც, ღირებულების შექმნისა და განაწილების თეორია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი მან ბიძგი მისცა ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური თეორიის განვითარებას.

**მწვანე რევოლუცია** – განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობის გარდაქმნა თანამედროვე აგროტექნიკის საფუძველზე ახალი უხვმოსავლიანი ჯიშის კულტურების გამოყვანის, სარწყავი მიწების გაფართოებისა და მინერალური სასუქების ფართოდ გამოყენების გზით.

**მხარდაჭერისა და აღდგენის მიზნები** – კონკრეტული ბანკების საკრედიტო ორგანიზაციებისა და მათი ჯგუფების მხარდაჭერა ისეთ კრიტიკულ სიტუაციებში, რომელსაც იწვევს ობიექტური მიზეზები ან პოლიტიკური და მაკროეკონომიკური, აგრეთვე, საგარეო ფაქტორები.

# ქართული ანბანი

ა – ან

ბ – ბან

გ – გან

დ – დონ

ე – ენ

ვ – ვინ

ზ – ზენ

თ – თან

ი – ინ

კ – კან

ლ – ლას

მ – მან

ნ – ნარ

ო – ონ

პ – პარ

ჟ – ჟან

რ – რაე

ს – სან

ტ – ტარ

უ – უნ

ფ – ფარ

ქ – ქან

ღ – ღან

ყ – ყარ

შ – შინ

ჩ – ჩინ

ც – ცან

ძ – ძილ

წ – წინ

ჭ – ჭარ

ხ – ხან

ჯ – ჯან

ჰ – ჰაე

## ლიტერატურა


1. ჯ. კანკაძე. უახლესი ეკონომიკური ლექსიკონი. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2018.
2. ლ. ქოქიაური. საბანკო საქმიანობის საფუძვლები. სტუ, 2000.
3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1986.
4. ლარისა ყორღანაშვილი. საერთო ბიზნესი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998.
5. მანანა ნანიტაშვილი, გიორგი შუბლაძე. მარკეტინგის მენეჯმენტი. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2014.
6. ნუგზარ თოდუა, ბაბულია (დოდო) მღებრიშვილი. მარკეტინგის საფუძვლები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009.
7. გიორგი ცაავა. საბანკო საქმე. თბილისი, 2005.
8. გიორგი ხანთაძე, გიორგი ცაავა. საბანკო ოპერაციები. თბილისი, 2012.
9. ჯ. კანკაძე და სხვები. ფირმის ორგანიზაცია და მართვა. 2018.
10. ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, 1991.
11. ჯ. კახნიაშვილი. საბაზრო ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 1992.
12. ჯ, კახნიაშვილი. მიკრო და მაკრო ეკონომიკა. სტუ. 1996
13. ჯ. კანკაძე და სხვები. მიკროეკონომიკა. სტუ. 2016.
14. ჯ. კანკაძე და სხვები. მაკროეკონომიკა. თბილისი, 1996.
15. რ. ასათიანი, გიორგი ადეიშვილი. ეკონომიკური თეორია. თბილისი, 1998.

16. ე. ხარაბაძე. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011.
17. ვახტანგ ასათიანი, ნოდარ დუმბაძე, კოტე ზარანდია, დავით დავითიძე. სამოქალაქო ავიაციის ეკონომიკა. 1999.
18. ნაირა ყირიმლიშვილი. ფინანსები. 2005.
19. ლელა ბახტაძე. ფინანსური ბაზარი. 2007.
20. მირონ ტუღუში, ნაირა ყირიმლიშვილი. მენეჯმენტი.
21. გ. ცაავა, ბ. ბიწაძე, ზ. ლიპარტია. ფინანსური მენეჯმენტი. 2006.
22. მურმან ბლიაძე. სამეწარმეო და ოპერაციული მენეჯმენტი. 2019.
23. მურმან ბლიაძე, ნოდარ ბლიაძე. ფირმის ორგანიზაცია და მართვა. 2018.
24. ბობ ნელსონი, პიტერ ექონომი. მართვა მარტივად. გამომ-ცემლობა პალიტრა, 2015.
25. ლევან ბოცვაძე, კახაბერ ერაძე, ვლადიმერ ბორვაძე. ლოგის-ტიკის მენეჯმენტი და მოდელირება. 2010.
26. ა. გაბელია. ფინანსები. თბილისი, 2011.
27. ე. ჯგერენაია. საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები. 2002.
28. ი. ჭილაძე. მმართველობითი აღრიცხვა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010.
29. ნოდარ დუმბაძე, იური სუხიტაშვილი, ალექსი ნონიაძე. სამოქალაქო ავიაციის ეკონომიკა. თბილისი, 2009.
30. ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი. სატრანსპორტო ლოგისტიკის სამართლებრივი რეგულირება. 2007.
31. https://core.ac.uk/download/files/575/15537680.pdf.
32. ზ. შენგელია. ლოგისტიკის საფუძვლები. თბილისი, 2008.
33. მ. ზუბიაშვილი, ა. მღვდელაძე, ა. მარუაშვილი, ა. კუტერმინა. გ. ტყეშელაშვილი. ტრანსპორტის მენერმენტი. სტუ. 2007.

34. როზეტა ასათიანი, ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი, 2010.
35. ზ. როგავა. გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი. ბაკმი, თბილისი, 2002.
36. როსტომ ბერიძე. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისი, 2011.
37. ნუგზარ პაიჭაძე, ეკა ჩოხელი, ნინო ფარესაშვილი. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011.
38. ი. ჭილაძე. ფინანსური ანალიზი. თბილისი, 2011.
39. გ. შიხაშვილი, ნ. ხვინთელიანი. მენეჯმენტის ლექსიკონი. 2005.
40. Gunnar Heinsohn, Otto Steiger, Frank Decker. Ownership Ecomomics. On the Foundations of Interest, Money, Marlets, Business Cycles and Economic. Development. December 9, 2016.
41. Simon Crima, Ercan Öxen and Hakan Bor. Contemporary Issues in Business, Economics and Finance.

# სარჩევი


ა ..... 3 – 82
ბ ..... 83 –146
გ ..... 146 – 212
დ ..... 212 – 277
ე ..... 277 – 336
ვ ..... 336 – 352
ზ ..... 352 – 362
თ ..... 362 – 375
ი ..... 375 – 420
კ ..... 420 – 510
ლ ..... 510 – 545
მ ..... 545 – 688
ქართული ანბანი ..... 689 – 689
ლიტერატურა ..... 690 – 693